


ISSN 1512-0597

# ქართველობის არქეოლოგიაში



№ 15-16

2005

# **ქ მ ბ ა ნ ი**

## **საქართველოს არქეოლოგიაში**

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
ოთარ ლორთქიფანიძის სახ.  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის  
ჟურნალი**

**№ 17-18**

**D Z I E B A N I**

**Journal of the Georgian Archaeology**

**Otar Lordkipanidze  
Centre for Archaeological Studies  
Georgian Academy of Sciences**

**Tbilisi**

**2005**

**თბილისი**

63.4 (2Г). 902/904  
(479.22)  
δ531

საგამომცემლო საბჭო:

ი.მ.დ. გელა	გამყრელიძე (თავმჯდომარე)
ი.მ.დ. დარიუხან	კაჭარავა (მოადგილე)
ი.მ.დ. გურაშ	კვირკველია
ი.მ.დ., პროფ. ბესარიონ	მაისურაძე
ი.მ.კ. ზურაბ	მახარაძე (მოადგილე)
ი.მ.დ., პროფ. მედეა	ნიორაძე
ი.მ.დ., პროფ. რამინ	რამიშვილი
ი.მ.დ., აკად. წალენჯიშვილი	ფიცხელაური
ი.მ.დ., აკად. ოთარ	ჯაფარიძე

რ ე დ ა ქ ც ი ა : ბ. მაისურაძე (მთავარი რედაქტორი),  
გ. კვირკველია (მოადგილე), დ. კაჭარავა, მ. კვაჭაძე,  
ზ. მახარაძე, დ. მინდორაშვილი, გ. ნიორაძე, ვ. სადრაძე,  
მ. ჩარკვიანი (მდივანი)

**Editorial Council:**

<i>Prof. Dr. Gela</i>	Gamkrelidze ( <i>Chairman</i> )
<i>Prof. Dr. Darejan</i>	Kacharava
<i>Prof. Dr. Guram</i>	Kvirkvelia
<i>Prof. Dr. Besarion</i>	Maisuradze
Dr.. Zurab	Makharadze
<i>Prof. Dr. Medea</i>	Nioradze
<i>Prof. Dr. Ramin</i>	Ramishvili
<i>Prof. Dr. Konstantin</i>	Pitskhelauri
Acad. Otar	Japaridze

Editors of the volume: B. Maisuradze (*editor-in-chief*),  
G. Kvirkvelia, D. Kacharava, Z. Makharadze, D. Mindorashvili, G.  
Nioradze, V. Sadradze, M. Charkviani, M. Kvachadze

ISSN 1512-0589

© არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 2005

## შ ი ნ ა ა რ ს ი C o n t e n t s

## ს ტ ა ტ ი ე ბ ი A r t i c l e s

<b>ქ. გაბუნია, ა. ვეკუა.</b> ბუნებრივი გარემოს ეფოლუცია სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონში ეოპლეიისტოცენ-ადრე ჰოლოცენში .. . . . .	5
<b>M. Gabunia, A. Vekua.</b> Ecological Dynamics of the Southern Georgian Volcanic Highland Region in Apeopleistocene- Early Holocene (Summary) .. . . . .	7
<b>თ. ბუგანიშვილი.</b> ორიალეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთის ძველი ქვის ხანის ძეგლები .. . . . .	13
<b>T. Bugianishvili.</b> Lower Palaeolithic Sites of the North-Eastern Slope of Trialeti Range (Summary) .. . . . .	16
<b>გ. კალანდაძე.</b> ოღასყურას ქვისხანის ნამოსახლარები .. . . . .	22
<b>K. Kalandadze.</b> Stone Age Sites at Oghaskura (Summary) .. . . . .	24
<b>ლ. ჭელიძე.</b> ქვის პერიოდის ახალი სადგომი წალკაში .. . . . .	30
<b>L. Chelidze.</b> New Site of the Stone Age in Tsalka (Summary) .. . . . .	34
<b>გ. თორთლაძე.</b> ახალიქვის ხანის მასალა ურთის ნამოსახლარიდან.. . . . .	46
<b>G. Tortladze.</b> Materials from the Neolithic Period Settlement of Urta (summary) .. . . . .	47
<b>ლ. ნებიერიძე.</b> ძვრის ენეოლითური ნამოსახლარი.. . . . .	55
<b>L. Nebrieridze.</b> The Aeneolithic Settlement Site of Dzevri (Summary) .. . . . .	57
<b>გ. ჩიქოვანი.</b> ბიბილოსებრპირიანი ჭურჭლები აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებიდან.. . . . .	63
<b>G. Chikovani.</b> Vessels with Comb-Shaped Mouth from Eastern Georgian Early Husbandry Settlements (Summary) .. . . . .	65
<b>ა. ორჯონიკიძე.</b> ორჯონის ნასახლარის ადრეული კომპლექსები.. . . . .	69
<b>A. Orjonikidze.</b> Early Complexes of the Orchosani Settlement Site (Summary) .. . . . .	73
<b>ნ. შანშაშვილი.</b> მტკვარ-არაქსის კულტურის ნიშან-სიმბოლოების ფუნქციის, დათარიღებისა და წარმომავლობის ზოგიერთი საკითხი.. . . . .	84
<b>N. Shanshashvili.</b> On the Function of Sign-Symbols of Kura-Araxes Culture (Summary) .. . . . .	88
<b>გ. ღლონტი.</b> ლითონის ნივთები არაგვის ხეობის მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლებიდან.. . . . .	95
<b>M. Ghlonti.</b> Metal Artifacts from the Kura-Araxes Sites of the Aragvi Basin (Summary) .. . . . .	97
<b>გ. მირცხულავა.</b> ნაყოფიერების კულტის ისტორიიდან .. . . . .	100
<b>G. Mirtskhulava.</b> On the History of the Fertility Cult (Summary) .. . . . .	108
<b>ლ. წითლაძეაძე.</b> მასალები შიდა ქართლის მთისპირა ზოლის გარე სამყაროსთან ურთიერთობის- თვის გვიანი ბრინჯაოს ხანაში.. . . . .	119
<b>L. Tsitlanadze.</b> Evidence on the Contacts of Shida Kartli Foothills with the Outer World in the Bronze Age (Summary) .. . . . .	121
<b>ი. ჯაფარიძე, რ. პაბუაშვილი, გ. ინანიშვილი.</b> ფერადი ლითონის წარმოებისათვის გვიანბრინჯაოს ხანის კოლხეთში .. . . . .	123
<b>I. Japaridze, R. Papuashvili, G. Inanishvili.</b> Towards the Study of Bronze Nonferrous Metal Production in Late Bronze Age Colchis (Summary) .. . . . .	126
<b>ნ. ახვლედიანი.</b> ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლების დათარიღების შესახებ.. . . . .	130
<b>N. Akhvlediani.</b> On the Issue of the Dating of Late Bronze-Early Iron Age Sites in Transcaucasia (Summary) .. . . . .	133
<b>ლ. ჯიბლაძე.</b> ახალი ინფორმაცია გალის რაიონის სოფ. გაგიდაში აღმოჩენილ ბრინჯაოს ინვენტარზე .. . . . .	144
<b>L. Jibladze.</b> New Information about the Bronze Grave Goods Discovered in v. Gagida, Gali District (Summary) .. . . . .	145

<b>ბ. მურვანიძე.</b> ელი-ბაბას სამაროვანი .....	147
<b>B. Murvanidze.</b> The Eli-Baba Burial Ground (Summary) .....	149
<b>6. ბახსოლიანი.</b> ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის აღმოსავლეთი მცირე აზია არქეოლოგიური გათხრების შუქჩე... ..	164
<b>N. Bakhsoliani.</b> Eastern Asia Minor of the First Half of the 1 <sup>st</sup> Millennium BC according to Archaeological Excavations (Summary) .....	168
<b>ა. კახიძე, მ. ხალვაში.</b> ქიოსური ამფორების ერთი ჯგუფის დათარიღების საკითხისათვის (ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპლის მიხედვით) .....	170
<b>A. Kakhidze, M. Khalvashi.</b> Towards the Dating of One Group of Chian Amphorae (According to the 5 <sup>th</sup> century B.C. Necropolis of Pichvnari) (Summary) .....	171
<b>ქ. ჯავახიშვილი.</b> გლიატტიკურ ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები III. გემა სამთავროდან ..	173
<b>K. Javakhishvili.</b> Gems Bearing Representations of Scenes from Specimens of Ancient Monumental Art. III. Gem from Samtavro (Summary) .....	175
<b>თ. თოდეუა.</b> სერაპისის ქანდაკება გონიო-აფსაროსიდან ..	177
<b>T. Todua.</b> Figurine of Serapis from Gonio-Apsaros (Summary) ..	179
<b>დ. ლეკაშვილი.</b> ოქროფენილი და ვერცხლფენილი მინის მძიებები მცხეთის ანტიკური ზანის სამარხებში ..	181
<b>D. Lekashvili.</b> Gilt and Silver-Plated Glass Beads from Classical Burials of Mtskheta (Summary) ..	183
<b>ქ. რამიშვილი.</b> ორი ბულა მცხეთის სვეტიცხოვლის უბნიდან ..	186
<b>K. Ramishvili.</b> Two Bulae from Mtskheta Svetitskhoveli Site (Summary) ..	192
<b>გ. ჩიხლაძე.</b> უინვალის სამაროვანზე მოპოვებული საკინძები ..	195
<b>V. Chikhladze.</b> Pins Found at Zhinvali Burial Ground (Summary) ..	203
<b>თ. კინტურაშვილი, ნ. კალანდაძე.</b> არქეოლოგიური მინის კვლევისა და რესტავრაციის საკითხისათვის (ყულევში აღმოჩენილი მინის ჭურჭლის მაგალითზე) ..	213
<b>T. Kintsurashvili, N. Kalandadze.</b> Towards the Study and Restoration of Archaeological Glass (AS Exemplified by Glass Vessels Discovered in Qulevi) (Summary) ..	216

**პ რ ქ ე თ ლ თ გ ი ნ ს ი ს ტ ი რ ი პ  
H i s t o r y o f A r c h a e o l o g y**

<b>ხ. ჯორბენაძე.</b> დიმიტრი ბაქრაძის წვლილი შემთხვევითი აღმოჩენების გადარჩენის საქმეში ..	217
<b>Kh. Jorbenadze.</b> Dimitri Bakradze's Contribution to the Salvage of Casual Finds ..	217

**გ ა ხ ა ს ი ს ტ ი რ ი პ  
A d m e m o r i a m**

<b>აკადემიკოს ფერდინანდ თავაძის ხსოვნას ..</b>	220
In memory of Acad. Ferdinand Tavadze ..	220

**ქ რ თ ნ ი ბ ა  
C h r o n i c l e**

**არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2004 წელს  
The Centre for Archaeological Studies in 2004**

<b>ი. ჯალაგანია, ხ. ჯორბენაძე, ა. ჭონია.</b> სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ..	224
<b>I. Jalaghania, Kh. Jorbenadze, A. Chqonia.</b> Scientific-research work ..	224
<b>თ. კობახიძე.</b> არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო ბიბლიოთეკა ..	233
<b>T. Kobakhidze.</b> The Scientific Library of the Centre for Archaeological Studies ..	233
<b>შემოქლებათა განმარტება ..</b>	234
<b>Abbreviations ..</b>	234

## მანანა გაბუნია, აბესალომ გეგუა

### გარებრივი გარემოს ეფოლუცია სამსროი საქართველოს გარემონტრცხ-ადრე პრიორიტეტი

სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო ძველი ქვის ხანაში საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. მართალია, აქ აღმოჩენილ ძველ ადგილსაბოვებულთა თუ სადგომთა მცირე რაოდენობა თითქოს ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ამ რეგიონში წარმოებულ ყოველ არქეოლოგიურ დაზვერვას ქვის ხანის სხვადასხვა საფეხურისათვის დამახასიათებელი გარემონტრცხ-ადრე პრიორიტეტის მოპოვება მოჰყვება და იმასაც, რომ ამ მხარის არქეოლოგიურმა შესწავლამ სისტემური ხასიათი სულ 25-ოდე წლის წინ მიიღო, გასაგები იქნება, რომ ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდი არაა საფუძველს მოკლებული.

საქართველოს ტერიტორიის მთელი სამხრეთი ნაწილი ჯერჯერობით ერთადერთი მხარეა, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობის პალეოანთროპოლოგიური აღმოჩენები ვაკეთდა. ესაა ოლდევგას ეპოქის (I,8 მლნ.წ.) ადგილსაპოვებელი დმანისი, სადაც ძალიან არქაული იერის ქვის ინკუნტარსა და ფუნასთან ერთად უძველესი პომინიდების ნაშთებიცაა მოპოვებული. ამ აღმოჩენის შედეგად დღეს აღიარებულია, რომ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. ლევანტური დერეფნით აფრიკიდან ევრაზიაში პროქტორეზის გზები გადიოდა და, რომ დმანისელი ჯორჯიელი (*Homo Georgicus*) ადამიანი დასავლეთ ევრაზიის უძველესი მობინადრეა [23, გვ. 36-47]. აქვე საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით ერთადერთი სტრატიფიცირებული ადრეაშელური ძეგლი – ახალქალაქის (ჯავახეთის) ამირანისგორა. ამას მოჰყვება შუა და გვიანაშელური ადგილსაბოვებლები: ჭიქიანი, ახალქალაქი I-IV, ფერსაო, ამხერისგორა; შუაპალეოლითური ნაბინარები – კუმურდო, წოფი I, აატარა ხრამი და შუა, გვიან და ფინალური მეზოლითის სადგომები: ზურტაპეტი, ეძანი, ბავრის მღვიმე, ბავრის ეხი I, ეხი II [1, გვ. 5-99; 3, გვ. 136-165; 5, გვ. 3-82; 6, გვ. 754-756; 7, გვ. 3-54; 8, გვ. 5-9; 10, გვ. 7-123; 12, გვ. 174-176].

ჩამოთვლილი ძეგლების ნაწილი უკვე მეტნაკლებად შესწავლილია, ზოგიც გათხრისა და შესწავლის საფეხურზეა. ამ გამოკვლევათა საფუძველზე აღმოჩნდა, რომ აქ ძველიქვის ხანის მეტნაკლებად ერთომერის მომდევნო თითქმის ყველა საფეხურის მატერიალური კულტურა წარმოდგენილი. აღნიშნულ ძეგლთა არქეოლოგიური, პალეოზოოლოგიური და პალეობოტანიკური კომპლექსების ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა ქვის ხანის ცალკეული ეტაპისათვის რეგიონისთვის დამახასიათებელი რიგი საეციფიკური ნიშნების გამოვლენა. ეს ნიშნები, გარდა ბევრი სხვადასხვა ფაქტორისა, დიდად

იყო დამოკიდებული შესაბამისი ბუნებრივი გარემოს თავისებურებებზეც. ეს ბუნებრივია, რამეთუ, ცნობილია, რომ ქვის ხანის სხვადასხვა საფეხურზე ადამიანთა მეურნეობის ხასიათის, მისი ქცევის, ყოფისა და კულტურის თავისებურებათა დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ბუნებრივი საარსებო პირობების (პალეოგეოგრაფიული თავისებურებები, პალეოკლიმატი და სხვ.) შესწავლას, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავდნენ ადამიანის ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბების, ყოფისა და კულტურის განვითარების გზებს. დედამიწის ფორმირების მჭიდრო კავშირი ჩანს ადამიანისა გარემონტრცხ-ადრე ულ ეტაპზე განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი ჩანს ადამიანისა გარემონტრცხ-ადრე ულ ეტაპზე განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი ჩანს ადამიანისა გარემონტრცხ-ადრე ულ ეტაპზე განსაკუთრებით მჭიდრო კავშირში და მცენარეთა სამყაროსათან, რომლითაც ის იყო გარემონტრცხ-ადრე ული. ყოველივე ზემოთქმულის გამო საკუთრებით გასაგებია, რომ ქვის ხანის ამა თუ იმ ძეგლის და გარემონტრცხ-ადრე ული ეპოქის განხილვისას ყოველთვის შევხებივართ შესაბამისი დროის ეკოლოგიურ გარემოსაც. ამჯერად სულ სხვა კუთხით ვეცდებით გავაშუქოთ ეს საკითხი. კერძოდ, შედარებით ვრცლად შევხებით ბუნებრივი გარემოს თავისებურებების განვითარების დინამიკას სამხრეთ საქართველოში მეოთხეულის მანძილზე – ერალეისტრუცნიდან ადრე პოლოცენის ჩათვლით.

პალეოეკოლოგიური სურათის აღსადგენად, თავისებურებების გამოსავლენად და დროში მომხდარი ცვლილებების დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეოთხეულის ხერხემლიანთა ფაუნისა და ფლორის მონაცემებს, განსაკუთრებით კი ისეთი ადგილსაპოვებლებისა, რომლებიც მჭიდრო კავშირშია არქეოლოგიურ ძეგლებთან.

ზემოჩამოთვლილ არქეოლოგიურ ძეგლთა უმეტესობა მიწის ზედაპირიდან აკრეფილი ქვის იარაღებითაა წარმოდგენილი, მათ არ გააჩნიათ სტრატიგრაფიული მონაცემები, არ ახლავთ ფაუნის ნაშთები, ამდენად ისინი აღნიშნული საკითხის კვლევისათვის არ გამოგვადგება. მიუხედავად ამისა, ის რამდენიმე ძეგლი, რომელიც შედარებით კარგადაა სტრატიგრაფიულად დათარიღებული (დმანისი, ამირანისგორა, წოფი, ზურტაპეტი, ეძანი, ბავრის მღვიმე-ეხები) და საკმაოდ მრავალფეროვან პალეონტოლოგიურ ნაშთებსაც შეიცავს, შესაძლებლობას გვაძლევთვალი გავადევნოთ ბუნებრივი გარემოს ცვლილებებს ვილაფრანკული ეტაპიდან მოყოლებული (1,8 მლნ.წ.) ადრე პოლოცენის ჩათვლით (10-9 ათასი წლის წინ).

სამხრეთ საქართველოს კულკანური მთიანეთის რეგიონში აღმოჩენილი ქვის ხანის უძველესი საფეხურის ძეგლია დმანისის ადგილსაპოვებელი, რომლის პალეომაგნიტური ასაკი  $\approx 1.850000$  წელია და ოლდუვაის პალეომაგნი-

ტურ ეპიზოდს შეესაბამება [27, გვ. 1024; 22, გვ. 3-72; 29, გვ. 77-180].

დმანისის ფაუნა ეკოლოგიური პირობების მნიშვნელოვან მრავალფეროვნებაზე მიგვითოთებს. მისი შემადგენლობა I ცხრილშია წარმოდგენილი, რომლიდანაც ჩანს, რომ ამ ფაუნაში წამყვანი ადგილი ეკუთვნის გაშლილი და ნახევრადგაშლილი სივრცეების (სტეპი და ტყე-სტეპი) ფორმებს, როგორიცაა სირაქლემა, ოქოტონა, მექენიშია, ჯერანი, ცხენი, ურაფი და სხვ. ამავე დროს აქ აღინიშნება ირმების სიჭარებე, რაც იმას მივგანიშნებს, რომ დმანისის მიდამოებში ტყის მასივებიც საკმაოდ ფართოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ირმებთან ერთად დამანისში ტყის ბინადარი ცხოველებიდან დადგენილია თხუნელა, კვერნა, დათვი, დმანისი-ბოსი და სხვ. ხახევრადარიდული ლანდშაფტების არსებობაზე მიუთითებენ აგრეთვე რეკტილიები, რომელთა რიცხვშია გველგესლა, მგუდავი, ხელიკი [23, გვ. 43].

დმანისის მიდამოების მრავალფეროვნება პალეო-ბოტანიკური მონაცემებითაც დასტურდება [23, გვ. 43; 9, გვ. 13-15]. პალინოლოგიური მონაცემებით დმანისში ძვლების შემცველ შრეებში აღინიშნება ბუქენარი და ბალახოვანი მცენარეების (*Chenopodiaceae, Artemisia, Ephedra*) სიჭარებე. ხემცენარეების მტვერი შედარებით მცირეა. ამავე დროს თითქმის ყველა შრე შეიცავს *Borraginaceae*-ს ათასობით თესლს. იგი წარმოდგენილია გვარებით *Anchuse, Lycopsis, Lithospermum* და სხვ. ხშირია იქ აკაკის (*Celtis*) თესლიც, რომელიც აფრიკული სავანის დამახასიათებელი ფორმაა. ტყის მცენარეთაგან დმანისში დადგენილია *Abies, Pinus, Fagus, Alnus, Tilia, Castanea, Betulu* და სხვ. [13, გვ. 4-5; 14, გვ. 178-181].

მოცემული პლიო-პლეისტოცენური ფაუნისა და ფლორის მონაცემებიდან ჩანს, რომ ამ დროს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია ეკავა ლრმა ხეობებითა და ველებით დანაწევრებულ საშუალო სამაღლის მთაგორიან მასივებს, იყო მდინარეთა და ტბების სიუხვე, მდიდარი ცხოველთა სამყარო, მრავალფეროვანი მცენარეული საფარი. პავა იყო ზომიერად შრალი და თბილი. ცხადია, ყოველივე ამან ხელი შეუწყო, ამ მხარეში ადამიანის აღრეულ განსახლებასა და დაკვიდრებას [23, გვ. 43; 9, გვ. 13-15].

დაახლოებით ამავე პერიოდს ეკუთვნის წალკის ფაუნაც. წალკის ადგილსაპოვებელი ჯერ გათხრილი არაა და მხოლოდ შურფებით მოპოვებული მასალითაა წარმოდგენილი, მაგრამ აქ გამოვლენილი მცირე მასალაც საშუალებას იძლევა მიახლოებით აღვადგინოთ სამხრეთ საქართველოს პალეოგრაფიული გარემო.

წალკის ხერხემლიანთა ფაუნის ადგილსაპოვებელი მოქცეულია ზედაპლიოცენური ასაკის ლავებს შორის არსებულ ტბურ ნალექებში (ცხ. II). მიუხედავად მოცემული ფაუნის შედა-

რებითი სიდარიბისა, თამამად შეიძლება მისი შეპირისპირება კოწახურისა და დმანისის ფაუნებთან, ისინი ერთმანეთს ავსებენ და ერთი სტრატიგრაფიული დონის ფაუნისტურ კომპლექსს ასახავენ [17, გვ. 373-376]. აღნიშნული ფაუნისტური კომპლექსი, ლ. გაბუნიას დასკვნით [24, გვ. 20-33], შეესაბამება დასავლეთ ევროპის ზედა ვილაფრანკულის დასაწყისს.

ქვედა პლეისტოცენის ბოლოსა და შუა პლეისტოცენის დასაწყისის გარემო პირობების აღსადგენად, რომელიც არქეოლოგიურად აღრეაშელს შეესაბამება, მდიდარ მასალას გვაწვდის ახალქალაქის ამირანისგორა. მისი პალეომაგნიტური ასაკი მატურიამას უარყოფითი პალეომაგნიტური ეპოქისა და ხარამილოს დადებითი პალეომაგნიტური ეპიზოდის ქვედა საზღვარს უნდა შეესაბამებოდეს და ≈ 1 მლნ. წლით თარიღდება [28, გვ. 1367-1391; 26, გვ. 237-240]. ამ ადგილსაპოვებელში ქვის იარაღებთან ერთად ნამარს ხერხემლიანთა საკმაოდ მრავალფეროვანი ნაშთებია მოპოვებული (ცხ. 1). ეს ფაუნა ძირითადად სტეპური ლანდშაფტის ბინადარი ცხოველებითაა წარმოდგენილი. ესენია: მარტორქა, ზიუსენბორნული და ჰიპარიონიდული ცხენები, ხალებიანი აფთარი, ზაზუნა, ჭრელტყავა და სხვ.; შედარებით დარიბად გამოიყურება ტყის მობინადრეთა ეკოლოგიური დაჯგუფება, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მაჩვი, დათვი, ირემი, თროვონთერიული სპილო, ხოლო წავის ნაშთების აღმოჩენა მოწმობს, რომ ამ მიდამოებში ასევე გავრცელებული იყო მდინარეები და ეფემერული ტბური აუზები [11, გვ. 207].

მოულოდნელი იყო ახალქალაქის მაღალმთიან რეგიონში ჰიპოპოტამის გამოჩენა. ჰიპოპოტამი ამფიბიოტური ცხოველია და მისი არსებობისათვის წყალუხვი მდინარე ან ვრცელი აუზი აუცილებელი პირობაა. ამდენად, ჩანს, აქ მისთვის შესაბამისი, ხელსაყრელი გარემო პირობები იყო გავრცელებული.

ახალქალაქის მიდამოებში არიდული ლანდშაფტის ფართო გავრცელება პალეობოტანიკური მონაცემებითაც დასტურდება. ნალექებში ძვლებთან ერთად *in situ* ნაპოვნია ქსეროფიტული მცენარეების ქვათესლასა (*Lithospermum arvense*) და აკაკის (*Celtis glabrata*) ნაყოფის ნაშთები [14, გვ. 178-181].

ამრიგად, ფაუნისტური და ფლორისტული მონაცემებით დასტურდება, რომ ახალქალაქის მიდამოებში გალერიულში გაბატონებული იყო სტეპური ლანდშაფტი, ალაგალაგ მეჩხერი ტყით დაფარული უბნებით. ფაუნის შემადგენლობაში ჰიპოპოტამისა და წავის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ეფემერული ტბური აუზები და წყალუხვი მდინარეებიც არ უნდა ყოფილიყო ამ მიდამოებისათვის იშვიათობა. ჰავაუთუოდ უნდა ყოფილიყო მშრალი და ზომიერად ცხელი [11, გვ. 163].

შუა პლეისტოცენის გეოლოგიური ეპოქის დახასიათების შესაძლებლობას იძლევა ზემო ოროზმანის ფაუნა (ცხრ. II). როგორც წარმოდგენილი ცხოველთა სახეებიდან ჩანს, ამ დროს ჰავა საგრძნობლად უნდა შეცვლილიყო – შეიძინება აცივება და ჰავის დანოტივება (კეთილშობილი ირემი, ირემლადი, პირველყოფილი ძროხა), ქსეროფიტული ლანდშაფტი შეცვალა ტყით დაფარულმა უბნებმა [11, გვ. 163]. იგივე სურათს ასახავს დმანისის რაიონის სოფ. ახაში მოპოვებული მცირერიცხოვანი ფაუნის ნაშთები (ცხრ. II), რომელებიც, ჩანს, ზემოროზმანის სინქრონული უნდა იყოს [11, გვ. 14; 18, გვ. 308].

შუა პლეისტოცენის დასასრული და ზედა-პლეისტოცენის დასაწყისი შუა პალეოლითურ ეპოქას შეესაბამება. ამ დროის ჰავისა და ლანდშაფტის აღდგენა წოფი I-ის (მარნეულის რ-ნი) მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ფაუნის საშუალებით ხერხდება (ცხრ. III). წოფის ფაუნაში, როგორც ცხრილიდან ჩანს, წამყვან როლს თამაშობენ გაშლილი ველის (კაბალოიდური ცხენი, ნამარხი ევროპული ვირი, ბიზონი, ოქოტონა), ტყის (კეთილშობილი ირემი, დათვი, კურდღლელი) და მთაგორიანი ლანდშაფტების (ნიამორი, დაღესტნური ჯიხვი) ბინადარი ცხოველები, ანუ სითბოსმოყვარული ფორმები [10, გვ. 5].

პატარა ხრამის მუსტიურ სადგომში (წალკის რ-ნი) ნამარხი ფაუნა ღარიბადა წარმოდგენილი (ცხრ. III). მიუხედავად ამისა, ის იძლევა ზოგიერთი ეკოლოგიური ხასიათის დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას და მეტყველებს იმაზე, რომ პატარა ხრამის მიდამოებსა და მის მოსაზღვრე უბნებში გაბატონებული უნდა ყოფილიყო ზეგნური ხასიათის სტეპური ლანდშაფტი, შედარებით მშრალი ჰავის პირობებით [5, გვ. 42]. ამასვე ადასტურებს პალინოლოგიური მონაცემებიც. 6. კლოპოტოვგასაიას მიერ ჩატარებული სპორებისა და მტვრის ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ ბალახეული მცენარეების მტვერი შეადგენს სპექტრის 87 %-ს, ხოლო გვიმრისნაირთა სპორები 11 %-ს [20, გვ. 741-744].

პლეისტოცენის დასასრული და პოლოცენის დასაწყისი არქეოლოგიურად მეზოლითურ ეპოქაზე მოდის. მეზოლითის ფარგლებში ამ რეგიონის კველაზე ახალგაზრდა ძეგლია ზურტაკეტის სადგომი (დმანისის რ-ნი). ზურტაკეტის საკმაოდ მრავალფეროვან ფაუნაში (ცხრ. IV) ძუძუმწოვერების გარდა ორნიტოფაუნის ნაშთებიცაა მოპოვებული. პალეოეკოლოგიური თვალსაზრისით ამ ფაუნაში საინტერესოა პრევალსკის ცხენისა და კანჯარის არსებობა, რომელებიც გაშლილი და შედარებით მშრალი გარემოს მობინადრენი იყვნენ [16, გვ. 73; 1, გვ. 25]. საერთოდ ფაუნის შემადგენლობიდან ჩანს, რომ ზურტაკეტში გამოიყოფა ორი ძირითადი ეკოლოგიური დაჯგუფება: ერთი ტყის მობინადრეთა, რომელსაც მიეკუთვნება კეთილშობილი ირემი და შეელი, ხოლო მეორე – გაშლილი

სტეპური და ნახევრადსტეპური, წარმოდგენილი პრევალსკის ცხენით, კანჯარითა და მექვიშიათი. ეკოლოგიური თვალსაზრისით შუალედური ადგილი უკავია აღნიშნულ დაჯგუფებათა შორის, უთუოდ, დომბას, რომელიც ტყე-სტეპების ტიპური მობინადრეა. ზურტაკეტის ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენელი განსაკუთრებულ, სპეციფიკურ გარემოს უნდა ყოფილიყო შეგუებული. ასეთია სალი კლდეების მკვიდრი ჯიხვი და გორაკებიანი ზეგნების მობინადრე მუფლონი [1, გვ. 26]. აღნიშნულ ფაუნაში აშკარად ჭარბობს სტეპებისა და ტყიანი სტეპების ბინადართა ნაშთები [16, გვ. 73; 1, გვ. 26].

ამავე ეპოქის ამსახველია უთუოდ ებანის მეზოლითური სადგომის (წალკის რ-ნი) ფაუნა, რომელიც ზურტაკეტისაზე უფრო ღარიბია, მაგრამ აშკარად ამჟღავნებს ძასთან ეკოლოგიურ მსგავსებას (ცხრ. IV). აქ წარმოდგენილი გარეული ცხენი, კანჯარი და ჯეირანი გაშლილი ველების მობინადრენია და ამ ფაუნაში სტეპურ ან ნახევრადსტეპურ ელემენტთა დომინანტურ მდგომარეობაზე მიუთითებს [1, გვ. 26]. შედარებით ტენიანი ბიოტოპი წარმოდგენილია ტყის ისეთი ფორმებით, როგორიცაა კეთილშობილი ირემი და გარეული ღორი, თუმცა ღორი ზოგჯერ მთან რაიონებსაც ეტანება, დაბლო, ადგილებში კი მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე ბინადრობს, თავს აფარებს ბუჩქნარს, მუხნარს ან შერულ ტყეს [1, გვ. 26]. აღნიშნულ ფაუნაში აშკარად ჭარბობს სტეპებისა და ტყიანი სტეპების ბინადართა ნაშთები [16, გვ. 73; 1, გვ. 26].

ებანის კულტურული ფენის სპორებისა და მტკვრის ანალიზის მონაცემები, რომელებიც პალეო-ბოტანიკოსმა ი. შატილოვამ მოგვაწოდა, გვიჩვენებს, რომ აქ წარმოდგენილია როგორც ტყის ფორმაცია (ფიჭვი, ნაძვი, მურყანი), ისე ბალახოვანი მცენარეები (ტუჩოსნები, ქოლგოსნები, რთულყვავილოვნები, ხენოპლიდიცები, მრავალნასკვიანები) სპორების დიდი ნაწილი გვიძრისნაირებს ეკუთვნის. აქედან ჩანს, რომ ებანის მიდამოებში შერული ტყე უნდა ყოფილიყო და არ გამოირიცხებოდა სტეპური სივრცეების სიახლოვეც. კულტურული ფენის ზედა შრის პალეობოტანიკურ მონაცემებში კი სულ არ ჩანს ხე-მცენარეთა ფორმაცია, ხოლო ბალახოვებიდან მცირე რაოდენობითაა რთულ-ყვავილოვნები, ხენოპლიდიცები, დიპსაკაცეულები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ზედა ფენების დაგროვების პროცესში ტყის მასივი თანდათან მცირდებოდა და ადგილს გაშლილი ველის ბიოტოპს უთმობდა.

ამგვარად, ზურტაკეტ-ებანის, ანუ თრიალეთის რეგიონის გვიანბლეისტოცენური-ადრე პოლოცენური საცხოვრებელი გარემო შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ნახევრადსტეპური ლანდშაფტი, რომელიც გაშლილი (ზოგან ბორცვიანი) ველებისა და ჭალის, შესაძლოა მეტ-ნაკლებად მეჩხერი ტყეების მონაცელებითი ხასიათდებოდა. ამ გაშლილ სივრცეებს ჩრდილოეთით,

ალბათ, ნაწილობრივ ტყით დაფარული ძველი თრიალეთის ქედი ესაზღვრებოდა [1, გვ. 27].

მეზუთე ცხრილში მოცემულია ჯავახეთის ზეგანზე მოპოვებული ფინალური მეზოლითით დათარიღებული ბავრის მღვიმისა და ბავრის II ენის ფაუნათა სია (ცხრ. V). ეს სადგომები გვიან პლეისტოცენისა და ადრე ჰოლოცენური ეპოქის ცხოველთა ასოციაციას შეიცავს და საკმაოდ სრულ წარმოდგენას იძლევიან ამ რეგიონში იმ დროს გავრცელებულ ლანდშაფტსა და ჰავის პირობებზე. როგორც ეხის, ისე მღვიმის ფაუნაში გავრცელებულ ცხოველთა ნაშთები თითო-ოროლა ძვლითაა წარმოდგენილი და ორივე ადგილსაპოვებელში ერთი და იგივე ჩლიქისნები, მტაცებლები და წყლის მოყვარული ფრინველები აღინიშნება. ნამარხი ძვლების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ცხენზე. ცხენის ნაშთების სიუხვე და ამ კომპლექსებში ნამარხი ცხვრის არსებობაჯავახეთის ზეგანზე გამლილი სივრცეების გავრცელებაზე და შედარებით ცხელ ჰავაზე მიუთითებენ. ამ დასკვნას ადასტურებს საკმაოდ მრავალფეროვანი ორნიტოფაუნაც, რომელთა უმეტესობას სტეპებისა და ნახევრალუდანობების მობინადრენი შეადგენს. ამავე დროს ჯავახეთის ზეგანზე უნდა ყოფილიყო საკმაოდ მოზრდილი ტბა ან დაჭაობებული უბანი, რაზედაც მიუთითებს მცურავი ფრინველების – იხვი, იხვინჯა, ყურყუმელა, ღერღეტი და სხვ. აშკარა სიჭარბე [12, გვ. 174-176; 19, გვ. 12-14; 21, გვ. 9-11]. ამგვარად, ჯავახეთის ზეგანსა და, ალბათ, მის მიმღებარე ტერიტორიაზე იმ დროს გაბატონებული იყო მშრალი ჰავა და სტეპური ან ნახევრადსტეპური ლანდშაფტი, წყალგამყოფებსა და მდინარეების ხეობებში ტყე იყო გავრცელებული, რომელთა მობინადრეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა კეთილშობილი ირგმი, მაჩვი, მგელი და სხვ. ტბურ აუზებთან კი დაკაგშირებული იყო აქ დადგენილი წყლის მოყვარული ფრინველები [6, გვ. 754-756].

თრიალეთ-ჯავახეთის გარემო პირობების კარგი ინდიკატორებია წვრილი ძუძუმწოვრები. ამ ფაუნათა შემადგენლობაში რუხი კურდღლის (ზურტაკეტი, ბავრის ენი II), თრიის, მემინდვრიას (ზურტაკეტი, ბავრის მღვიმე), მექენიშიას, ბუჩქნარის მემინდვრიას (ზურტაკეტი, ბავრის მღვიმე) და სხვა დამახასიათებელი ფორმების არსებობა საკმაოდ კარგად ასახავს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მთიანეთის ფაუნისტურ ასოციაციას, რომელიც პლეისტოცენის დასასრულისა და პოლოცენის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა და დაკავშირებული უნდა ყოფილიყო გამყინვარების შემდგომი ლანდშაფტების განვითარებასთან და საყოველთაო დათბობასთან [15, გვ. 55; 16, გვ. 73].

ზემოთანხმილული მონაცემების შეჯამებისა და ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ზოგიერთი დასკვნის გამოტანა. თავდაპირველად, თუ ერთმანეთს შევადარებთ სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონის ყველაზე არქაულ და ბიოსტრატიგრაფიულად

საკმაოდ კარგად დასაბუთებულ ორ ძეგლს, რომელთაგან ერთი – დმანისი ქვემო ქართლში მდებარეობს, ხოლო მეორე ამირანისგორა – ჯავახეთში, ახალქალაქის პლატოზე, დავინახავთ, რომ მიუხედავად მათ შორის არსებული ბიოსტრატიგრაფიული სხვაობისა, დმანისისა და ახალქალაქის ფაუნებს შორის გარკვეული მსგავსებაც აღინიშნება, ორივე კომპლექსის შემადგენლობაში შედიან საერთო ფორმები (იხ. ცხრ. I); მაგრამ დმანისის ფაუნა მირთადად ვილაფრანგული სახეებისაგან შედგება, ახალქალაქში კი ისინი რელიქტების სახითაა შემორჩენილი (ხმალკბილა ვეგზვი, ჰიპოპოტამი, მარტორქა). პალეობოტანიკური ანალიზის შედეგადაც ორივე ადგილსაპოვებელში შეიმჩნევა ისეთი საერთო ფორმების არსებობა, როგორიცაა აკაკი და ქვათესლა. პალეოეკოლოგიური ოვალ-საზრისით ორივე ძეგლის პალეობიოლოგიური მონაცემები ცხადყოფს, რომ  $\approx 800000$  წლის მანძილზე (ეს ის დროა, რომელიც ერთმანეთს აშორებს დმანისსა და ახალქალაქს – 1,8 და  $\approx 1$  მლნ. წლები) ბუნებრივ გარემოს აქ დიდი ცვლილება არ განუცდია და მთელი ამ ხანის მანძილზე აქ დია სტეპური, სავანური ტიპის ქსეროფიტული ლანდშაფტები იყო წარმოდგენილი, თუმცა ქვედა ცლეისტოცენის ბოლოს თითქოს ქსეროფიტიკაცია თონავ იზრდება. საერთო ჯამში, ორივე ფაუნისტური კომპლექსის არსებობის დროს ჰავა უნდა ყოფილიყო შედარებით მშრალი, ზომიერად ცხელი, ისეთი როგორც ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლისთვისაა დამახასიათებელი [11, გვ. 163].

შემდეგ ეტაპზე (შეა პლეისტოცენში) ჰავა საგრძნობლად უნდა შეცვლილიყო – აშკარად იგრძნობა აცივება და ჰავის დანოტივება. სავარაუდოა, რომ ეს ცვლილებები გამყინვარების გამოძახილი იყო, მაგრამ, როგორც პალეონტოლოგიური და პალინოლოგიური მასალები გვიჩვენებენ, გამყინვარებებს აქ არსებითი ცვლილებები არ გამოუწვევია. ჩანს, ადგილი ჰქონდა მხოლოდ ტყის ზოლის და ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენლის გავრცელების ვერტიკალური ზონების გადაადგილებას. მეტი ფართობი დაიკავა ტყის მასივებმა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ საქართველოს პლეისტოცენში არ ჩანს ბორეალური ფაუნის ელემენტების (ჩრდ. ირგმი, ბეწვიანი მარტორქა და სხვ.) შემოჭრა. პლეისტოცენის დასასრულისათვის კვლავ თბილი და მშრალი ჰავის პირობები დგება (წოფი I, პატარა ხრამი).

შენიალური პლეისტოცენი და პოლოცენის დასაწყისი, გამყინვარების შემდგომი პერიოდი, ამიერკავკასიაში, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში, ხასიათდება თანდათან დათბობითა და არიდიზაციის გაძლიერებით, რაც ტენიანი ბიოსტრების საგრძნო, შემცირებას იწვევს [15, გვ. 81]. ამ პერიოდში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს გაშლილი ველები და სავანური ტიპის მსგავსი ლანდშაფტი, შესაბამისად, ხერხემლიანთა ფაუნის შემადგენლობაში იზრდება აზიური

წარმოშობის ცხოველების (გარეული ცხვარი, ჯეირანი, მექვიშია და სხვ.) როლი. გოგიჩაიშვილისა და თუმაჯანოვის პალინოლოგიური გამოკვლევები [25, გვ. 183-194] ადასტურებს ფაუნისტურ მონაცემებს აღმოსავლეთ საქართველოში ჰოლოცენში ქსეროფიტული ლანდშაფტის ფართო გავრცელების შესახებ.

ამრიგად, ვილაფრანგული ეპოქიდან დაწყებული ადრე ჰოლოცენის ჩათვლით, სამხრეთ საქართველოს ეულკანური მთიანეთის რეგიონში, რომელიც ქვემო ქართლის-თრიალეთის და

სამხცე-ჯავახეთის ტერიტორიებს მოიცავს, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ყოველ შემთხვევაში 1,8 მლნ. წლიდან მოკიდებული, ვიდრე 9-8,5 ათასი წლის წინ, კლიმატური პირობები მკვეთრ ცვლილებებს არ განიცდიდა, ხდებოდა მხოლოდ ჰავის მერყეობა მეტ-ნაკლე, აცივებასა, შესაბამისად ტენიანობის ზრდასა და ძირითადად კი – ზომიერად თბილ, შედარებით ცხელ არიდულს შორის.

### ცხრილი I

დმანისი (Dmanisi)	ახალქალაქის ამირანის გორა (Amiranis -gora)
1. გიგანტური სირაქლემა ( <i>Strutio dmanensis</i> )	1. ოროგონთერიული სპილო ( <i>Mammonthus aff. trogontherii</i> )
2. სამხრეთის სპილო ( <i>Archidiskodon meridionalis</i> )	2. სამხრეთის სპილო ( <i>Archidiskodon meridionalis</i> )
3. ზაზუნა ( <i>Marmota sp.</i> )	3. ზუსენბორნული ცხენი ( <i>Equus sussenbornensis wust</i> ).
4. კურდღელი ( <i>Hypolagus cf.</i> )	4. ჰიპარიონიული ცხენი ( <i>Equus hipparionoides</i> ).
5. ეტრუსკული მგელი ( <i>Canis etruscus</i> )	5. ეტრუსკული მარტორქა ( <i>Dicerorhinus cf. etruscus</i> )
6. ეტრუსკული დათვი ( <i>Ursus etruscus</i> )	6. ჰიპოპოთამი ( <i>Hippopotamus georgicus</i> )
7. ხმალკბილა ვეფხვი ( <i>Megantereon meganteleon</i> )	7. გაშლილრქიანი ირემი ( <i>Praemegaceros verticornis</i> )
8. სტენონის ცხენი ( <i>Equus cf. stenonis</i> )	8. ნამარხი ძროხა ( <i>Boss sp.</i> )
9. ეტრუსკული მარტორქა ( <i>Dicerorhinus etruscus etruscus</i> )	9. ხმალკბილა ვეფხვი ( <i>Hometherium sp.</i> )
10. ნამარხი ძროხა ( <i>Dmanisibus georgicus</i> )	10. მელა ( <i>Vulpes sp.</i> )
11. ირემლადი ( <i>Dama aff. nestii</i> )	11. მგელი ( <i>Canis tengmisi</i> )
12. გიგანტური ირემი ( <i>Eucladoceros cf. senensis</i> )	12. ზაზუნა ( <i>Marmota sp.</i> )
13. ხმელეთის კუ ( <i>Testudo sp.</i> )	13. ზღარბი ( <i>Erinaceus sp.</i> )
	14. თრია ( <i>Citellus sp.</i> )
	15. აფთარი ( <i>Crocuta cf. sinensis Zdan</i> )
	16. დათვი ( <i>Ursus sp.</i> )
	17. ვეფხვი ( <i>Panthera cf. tigris L.</i> )
	18. ჭრელტყავა ( <i>Vormela cf. peregrusna Guld.</i> )
	19. წავი ( <i>Lutra cf. lutra L.</i> )

### ცხრილი II

წალკა (Tsalka)	ზემო ორთხმანი (Zemo Orosmani)	ახა (Akha)
1. სტენონის ცხენი ( <i>Equus cf. stenonis</i> )	1. კეთილშობილი ირემი ( <i>Cervus cf. claphus</i> )	1. სპილო ( <i>Elephas sp.</i> )
2. სამხრეთის სპილო ( <i>Archidiskodon meridionalis</i> )	2. ირემლადი ( <i>Cervus (Dama sp.)</i> )	2. აფთარი ( <i>Hyaena sp.</i> )
3. გიგანტური ირემი ( <i>Eucladoceros sp.</i> )	3. პირველყოფილი ძროხა ( <i>Bos cf. primigenius</i> )	3. კაბალოიდური ცხენი ( <i>Equus caballus</i> )
4. ირემლადი ( <i>Dama aff. nestii</i> )	4. კაბალოიდური ცხენი ( <i>Equus caballus cf. strictipes</i> )	4. ძროხა ( <i>Bos sp.</i> )
5. ირემი ( <i>Cervus sp.</i> )	5. გარეული ცხვარი ( <i>Ovis Sp.</i> )	
6. ლეპტობოსი ( <i>Leptobos sp.</i> )	6. გიგანტური ირემი ( <i>Megaloceros sp.</i> )	
7. ეტრუსკული მგელი ( <i>Canis aff. etruscus</i> )	7. მღვიმური ლომი ( <i>Felis cf. spelea</i> )	
8. ხმალკბილა ვეფხვი ( <i>Homotherium sp.</i> )	8. ზაზუნა ( <i>Marmota sp.</i> )	

ცხრილი III

წოფი (Tsopi)	პატარა ხრამი (Patara Khrami)
<ol style="list-style-type: none"> <li>1. ბეწვიანი მარტორქა (<i>Rhinoceros aff. antiquitatis BL</i>).</li> <li>2. კაბალოიდური ცხენი (<i>Equus caballus L. sf. var. strictipes Lab.</i>)</li> <li>3. ნამარხი ვირი (ევროპის) (<i>Equus cf. hidruntinus Red.</i>)</li> <li>4. ნიამორი (<i>Capra aegagrus Enxil?</i>)</li> <li>5. დაღესტნის ჯიხვი (<i>Capra cylindricornis BL.</i>)</li> <li>6. კეთილშობილი ირემი (<i>Cervus elaphus L.</i>)</li> <li>7. დომბა (<i>Bison sp.</i>)</li> <li>8. მგელი (<i>Canis sp.</i>)</li> <li>9. დათვი (<i>Ursus sp.</i>)</li> <li>10. კურდღელი (<i>Lepus europaeus L.</i>)</li> <li>11. ოქტონა (<i>Ochotona sp.</i>)</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ვიწროთითა ცხენი (<i>Equus strictipes</i>)</li> <li>2. გარეული ცხვარი (<i>Ovis sp.</i>)</li> <li>3. დომბა (<i>Bison sp.</i>)</li> <li>4. ოქტონა (<i>Ochotona sp.</i>)</li> <li>5. გნოლი (<i>perdix perdix</i>)</li> </ol>

ცხრილი IV

ზურტაგეტი (Zurtakheti)	ეძნი (Edzani)
<ol style="list-style-type: none"> <li>1. კაბალოიდური ცხენი (<i>Equus caballus L.</i>)</li> <li>2. კეთილშობილი ირემი (<i>Cervus elaphus maral Ogibly</i>)</li> <li>3. დომბა (<i>Bison of. bonasus L.</i>)</li> <li>4. ჯიხვი (<i>Capra cylindricornis Blyth?</i>)</li> <li>5. მუფლონი (<i>Ovis cf. ophion Blyth?</i>)</li> <li>6. კუღანი (<i>Equus cf. hemionus</i>)</li> <li>7. პრევალსკის ცხენი (<i>Equus cf. przewalskii</i>)</li> <li>8. კურდღელი (<i>Lepus europaeus L.</i>)</li> <li>9. მემინდვრია (<i>Arvicola aff. arvalis Vall.</i>)</li> <li>10. მექვიშია (<i>Meriones sp.</i>)</li> <li>11. ჭურებანი ზღარბი (<i>Hemiochimus auritus calligoni Sat.</i>)</li> <li>12. ჩიბისი (<i>Vanellus vanellus L.</i>)</li> <li>13. იხვი კუდსადგისა (<i>Anas acuta L.</i>)</li> <li>14. კაკაბი (<i>Alectorius kakelik Falc.</i>)</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კეთილშობილი ირემი (<i>Cervus elaphus</i>)</li> <li>2. ჯეირანი (<i>Gazella sp.</i>)</li> <li>3. კანჯარი (<i>Equus hemionus</i>)</li> <li>4. ძროხა (<i>Bos sp.</i>)</li> <li>5. გარეული ღორი (<i>Sus scrofa ferrus</i>)</li> <li>6. კაბალოიდური ცხენი (<i>Equus caballus</i>)</li> </ol>

ცხრილი V

ბავრის მღვიმე (Bavra)	ბავრის ეხი I (Bavra I)
<ol style="list-style-type: none"> <li>1. კავკასიის ომანა (<i>Mesocricetus brandti</i>)</li> <li>2. მემინდვრია (<i>Cricetidae sp.</i>)</li> <li>3. თრია (<i>Citellus sp.</i>)</li> <li>4. მელა (<i>Vulpes vulpes</i>)</li> <li>5. მგელი (<i>Canis lupus</i>)</li> <li>6. კაბალოიდური ცხენი (<i>Equus caballus</i>)</li> <li>7. გარეული ღორი (<i>Sus seroфа</i>)</li> <li>8. ცხვარი (<i>Ovis sp.</i>)</li> <li>9. ბიზონი (<i>Bison sp.</i>)</li> <li>10. გარეული ქათამი (<i>Gallus sp.</i>)</li> <li>11. გარეული იხვი (<i>Anas platyrhynchos</i>)</li> <li>12. ამიერკავკასიის გნოლი (<i>Perdix perdix</i>)</li> <li>13. რუხი ყვავი (<i>Corvus corone sharpii</i>)</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ამიერკავკასიის ომანა (<i>Mesocricetus brandti</i>)</li> <li>2. მცირე აზიის მიწის კურდღელი (<i>Allactaga williamsi</i>)</li> <li>3. კურდღელი (<i>Lepus europaeus</i>)</li> <li>4. მგელი (<i>Canis lupus</i>)</li> <li>5. მელა (<i>Vulpes vulpes</i>)</li> <li>6. კაბალოიდური ცხენი (<i>Equus Caballus</i>)</li> <li>7. ცხვარი (<i>Ovis sp.</i>)</li> <li>8. ძროხა (<i>Bos sp.</i>)</li> <li>9. გარეული იხვი (<i>Anas platyrhynchos</i>)</li> <li>10. ევრაზიული იხვინჯა (<i>Anas crecca</i>)</li> <li>11. რუხი იხვი (<i>Anas strepera</i>)</li> <li>12. წითელთავა ყურყუმალა (<i>Aythya ferina</i>)</li> <li>13. რუხი ღერღეტი (<i>Ancer ancer</i>)</li> <li>14. პატარა ბატასინი (<i>Mergus albellus</i>)</li> <li>15. ველის კირკიტა (<i>Falco maumenni</i>)</li> <li>16. ჩვეულებრივი კირკიტა (<i>Falco tinninculus</i>)</li> <li>17. დასავლური თვალშავი (<i>Falco vespertinus</i>)</li> <li>18. გნოლი (<i>Perdix perdix</i>)</li> <li>19. შაშვი (<i>Turdus sp.</i>)</li> </ol>

**M. Gabunia, A. Vekua**

## **ECOLOGICAL DYNAMICS OF THE SOUTHERN GEORGIAN VOLCANIC HIGH-LAND REGION IN AEOPLEISTOCENE-EARLY HOLOCENE**

(Summary)

Despite the scarcity of Old Stone Age sites brought to light on Southern Georgian volcanic highlands, it can be assumed that this territory was quite densely populated in that remote period. It should be noted that this is exactly the location of the palaeoanthropological find of outstanding importance (Dmanisi, 1.8 million B.P.) – hominid remains have been unearthed, along with archaic stone tools and diverse fossilized fauna. It is attested that *Homo Geogicus* represents the oldest inhabitant of western Eurasia.

The above region hosts the only up to date stratified Early Acheulian station – Amiranisgora of Akhalkalaki (1 million B.P.) in Javakheti. It is chronologically followed by Middle and Late Acheulian open stations: Chikiani, Persati, Akhalkalaki I-IV, Diliska, Amkherisgora; Kumurdo, Tsopi I, Patara Khrami are attributed to the Late Palaeolithic. The following sites are assigned to different stages of the Mesolithic: Zurtaketi, Edzani, Bavris Mghvime, Ekhebi I, II. Besides, there is a large amount of casual finds.

Complex analysis of the above sites resulted in the elaboration of a set of the specific characteristics of the region. These characteristics, along with other elements were greatly indebted to environmental peculiarities. This seems quite natural since, as is generally accepted, environment (palaeogeographic and palaeoclimatic peculiarities) mainly predetermined and shaped both the physical type of humans and the ways of their cultural development. At the early stages of existence, ancient humans had extremely close contacts with nature – the world of flora and fauna they were surrounded with.

The present paper deals with the dynamics of environmental development of the Southern Georgian volcanic highland, starting from the Villefranchean period through Early Holocene.

The evidence on vertebrate fauna and flora coming from the Quaternary, especially data related to the synchronous archaeological sites, plays a key role in the process of reconstruction of palaeoecological conditions and their changes through time.

Fossilized vertebrate species coming from archaeological and palaeontological sites of the above region are represented in plates I-IV.

Comparative analysis of the two earliest and biostratigraphically well studied sites of this region – those of Dmanisi in Kvemo Kartli and Amiranisgora in Javakheti - has revealed a certain similarity between Dmanisi and Akhalkalaki fauna – common species characteristic of both complexes (Pl. I). Though Dmanisi fauna mainly consists of Villefranchean species (saber-toothed tiger, unicorn, hippopotamus), they have survived as relicts in Akhalkalaki. Palaeobotanic analysis testifies to the existence of common plants – *Celtis glabrata* and *Lithospermum arvense* in both places. Palaeobiological data from both sites back the conjecture that during some 800 000 years (Amiranisgora is 800 000 years later than the Dmanisi site) the environment had not undergone crucial changes and was represented by open steppe, savanna type xerophytic landscapes, though xerophytism seems to increase slightly towards the Lower Pleistocene. To sum it up, fauna complexes of both sites apparently existed in a comparatively dry and moderately hot climate characteristic of the Mediterranean coastal line.

The climate must have dramatically changed in the following period of the Middle Pleistocene – it became colder, more humid (Pl. II) and the number of forests increased. Towards the end of the Middle Pleistocene warm and dry climate prevails again (Tsopi I, Patara Khrami, Pl. III).

The process of general warming, growth of aridity and formation of fauna adapted to the modern climatic conditions took place by the end of the Pleistocene and beginning of the Holocene. Prevailing savanna type landscape increased the role of Asian animals.

Palynologic researches prove the wide diffusion of xerophytic landscapes in Southern and South-Eastern Georgia during the Holocene.

It can be assumed that for a considerable time span – at least from 1.8 till 9-8.5 million years ago, i. e. beginning with the Villefranchean epoch through the Early Holocene, no drastic climatic changes had occurred in the volcanic highlands of Southern Georgia, covering Kvemo Kartli-Trialeti and Samtskhe-Javakheti regions. Changes probably fluctuated from moderate cooling and growth of humidity to moderately warm and comparatively hot and arid climate.

### **ლიტერატურა**

1. გაბუნია მ. ორიალეთის მეზოლითური კულტურა. თბ., 1876.
2. გაბუნია მ. ჯავახეთის ამირანისგორის ძველი ქვის ხანის ნაბინარი. – კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები.

საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 1997, გვ. 15-16.

3. გაბუნია მ. ჯავახეთის მეზოლითური კულტურა (სამხრეთ საქართველოს კულტური მთიანეთის რეგიონი). – „ჯავახეთი“, I (ისტორია და თანამედროვეობა). ახალციხე, 2002, გვ. 136-165.

4. გაბუნია მ. ბუნებრივი გარემო და სოციალური ადაპტაცია ზედაპალეოლით-მეზოლითში. – „ჯავახეთი“, II (ისტორია და თანამედროვეობა). ახალციხე, 2003, გვ. 176-186.

5. გაბუნია მ., გეგუა ა. პატარა ხრამის (თრიალეთის) პეტროგლიფები. თბ., 1980.

6. გაბუნია მ., გეგუა ა. ქვის ხანის ახალი ძეგლი სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. – სმამ, 1981, 103, №3, გვ. 754-756.

7. გაბუნია მ. სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ძეგლიქვის ხანა. – სადისერტაციო მაცნე. თბ., 2004, გვ. 3-54.

8. გაბუნია მ., ფანქულიძე ს. ამხერისგორის აშელური ხანის ადგილსაპოვებელი. – ბიებანი, № 8 თბ., 2001, გვ. 5-9, ტაბ. I-II.

9. გაბუნია ლ., გეგუა ა., ლორთქიფანიძე დ. დმანისის ნამარხი ადამიანი და მისი ეკოლოგიური გარემო. – კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 1997, გვ. 13-15.

10. გრიგოლიაძე გ. ქვემო ქართლის პალეოლითი (დამარხული გამოქვაბული წოფი I). თბ., 1963.

11. გეგუა ა. ახალქალაქის ქვედაპლეისტოცენურ ძეგლებითოვართა ფაუნა. თბილისი, 1962.

12. გეგუა ა., გაბუნია მ. გვიანდალეოლითური ადამიანი და მისი გარემო სამხრეთ საქართველოში. – სმამ, 116, №1, 1984, გვ. 174-176.

13. გეგუა ა. დმანისის ადამიანის გარემო. – სამეცნიერო სესია „მსოფლიო კულტურული-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (მოხსენებათა ოეზისები). თბ., 1993, გვ. 4-5.

14. ავაკოვ გ. ს. Окремленные остатки трав семейства бурачниковых (*Boraginaceae*) в древнечетвертичных отложениях Грузии. – ИАНГ, Сер. биол., т. 19, №3, 1993, с. 178-181.

15. ბენდუკიძე ი. გ. Голоценовая фауна позвоночных Грузии. Тб., 1979.

16. ბურჯა-აბრამოვიჩ ნ. ი., ბენდუკიძე ი. გ. Фауна эпипалеолитической стоянки Зуракети. – САНГ, том 55, № 3, 1969, с. 73.

17. ვეკუა ა. კ. ჯიგაური დ., თოროვ რ. Новые палеонтологические находки в окрестностях Цалки. – САНГ, т. 118, № 2, 1985, с. 373-376.

18. ვეკუა ა. კ. (коллектив авторов). История животного мира. Позвоночные. – Грузия в антропогене. Тб., 1991, с. 308.

19. ვეკუა ა. კ., კვავადзе ე. ვ., გაბუნია მ. კ. Позднепалеолитический человек и окру-

жающая его среда в Южной Грузии. – Всесоюзное совещания по проблеме "Человек и природа в древнекаменном веке" (Краткие содержания). Тб., 1991, с. 12-14.

20. ვეკუა ა. კ., გაბუნია მ. კ., კლიპოთვსკა ნ. ბ. К вопросу о датировке петроглифов Патара храмы. – САНГ, т. 91, №3, с. 741-744.

21. გაბუნია მ. კ. ურუშაძე თ. ფ., ჯანელიძე ჭ. პ. Природная обстановка Джавахетского вулканического плоскогорья в верхнем плеистоцене и раннем голоцене. – Всесоюзное совещание по проблеме "Человек и природа в древнекаменном веке" (Краткие содержания). Тб., 1990, ст. 9-11.

22. გაბუნია ლ. კ., ვეკუა ა. კ. Дманисский ископаемый человек и сопутствующая ему фауна позвоночных. Тб., 1993.

23. გაბუნია ლ. კ., ვეკუა ა. კ., ლორქიპანიძე დ. օ. Природная обстановка первичного проникновения древнего человека в умеренные широты. – ИАН СССР, Серия географическая, №6, Москва, 1996, с. 36-46.

24. გაბუნია ლ. კ. К вопросу о границе между неогеном и четвертичной системой в Европе. – Международный коллоквиум по проблеме "Граница между неогеном и четвертичной системой", М., 1972, с. 20-23.

25. თუმაჯანოვ ი. ი., გოგიაშვილი ლ. კ. Основные черты послехвалынской истории лесной растительности Иорской низменности (Вост. Грузия). – Сб. "Голоцен" (К VIII конгрессу YNQUA, Париж), Москва, 1969, с. 183-194.

26. Gabunia M., Vekua A., Tvalchrelidze M. Der altpaläolithische Fundplatz Achalkalaki am Amiranis-Berg in Djavacheti-Gebiet Süd-Georgien. – Archäologisches Korrespondenzblatt, 24, Heft 3, Mainz, 1994, S. 237-240.

27. Gabunia L., Vekua A., Lordkipanidze D., Swisher III, C., Ferring R., Lustus A., Nioradze M., Tvalchrelidze M., Anton S. G., Bosinski G., Ioris O., M-A de Lumley, Majsuradze G., Muskhelishvili A. Earliest Pleistocene Hominid Cranial Remains from Dmanisi, Republic of Georgia: Taxonomy, Geological Setting and Age. – Science, Volume 288, 2000, pp. 1019-1025.

28. Tappen M., Adler D. S., Ferring C. R., Gabunia M., Vekua A., Swisher III, C. Akhalkalaki: The Taphonomy of an Early Pleistocene Locality in the Republic of Georgia – Journal of Archaeological Science, volume 29, 2002, pp. 1367-1391.

29. Vekua A. Die Wirbelter fauna Villafranchium von Dmanisi und ihre biostratigraphische Bedeutung. – Archäologisches Korrespondenzblatt, 42, Mainz, 1995, S. 77-180.

## თამაზი ბუგიანიშვილი

### თრიალების ქედის ჩრდილო-აღმოსავლები კალთის ძგელი ქვის ხანის მეცნიერები

ნაშრომში გამოკვლეულია თრიალების ქედის ჩრდილოეთი ფერდობის აღმოსავლეთი მხარის იმ მონაკეთის ძევლი ქვის ხანის ძეგლებისა და ცალკეული ნივთების ადგილსამყოფლების მასალები, რომლებიც დაკავშირებულია ქედის აღნიშნული კალთის მთისწინეთთან და მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის პირველ ტერასასთან, მდებარეობს მისი შენაკადების მდ. თემისა და მდ. ხეკორძულას ხეობებს შორის და ტერიტორიულად შიდა ქართლის, კასპისა და მცხეთის აღმინისტრაციულ რაიონებში შედის.

აღნიშნული რაიონების ქვის ხანის ძეგლები გამოკლენილია ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი ადგილმდებარეობის მაჩვენებელი და ქვის ხანისადმი კუთვნილების შესახე, მეტისმეტად მოკლე მონაცემების გარდა სხვა არაფერია გამოქვეყნებული საცნობარო [1, გვ. 169; 179; 183; 211] ოუ სპეციალურ ლიტერატურაში [2, გვ. 116].

კასპის რაიონში 1973 წელს თრიალების ქედის ჩრდილოეთი ფერდობის აღმოსავლეთი ნაწილის მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადების მდინარეების კავთურასა და თემაშს შორის მოქცეული მონაკეთის მთისწინეთში, სოფ. კავთისხევისა და სოფ. ნოსტეს დამაკავშირებელი შარაგზის მარჯვენა მხარეს, დაახლოებით 4-5 კმ სიგრძისა და 150-200 მ სიგანის ზოლზე, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კორისა და კასპის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელები გოგი ხუბუტიამ გამოაგლინა 3 „დია“ ტიპის ქვედაპალეოლიტური ხანის ადგილსამყოფელი „ურბეხანი“, „ბრილისა“ და „კორუმტე“, რომელთა ქვის მასალებიც მოგვიანებით ჩვენ გადმოგვეცა შესასწავლად. სამივე ადგილსამყოფელის ქვის ნივთები გაკეთებულია ადგილობრივი ზოლიანი და სხვადასხვა შეფერილობის კაჟის, კირქვისა და მერგელისაგან.

ყველაზე მეტი ნივთების შემცველი ადგილ-სამყოფელი „ურბეხანი“ მდებარეობს სოფ. ნოსტეს დასავლეთით, ნასოფლარ ოძისთან ცხირეთის ციხისკენ მიმავალი სასოფლო გზის მარცხენა მხარეს, ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1,5-2 კმ-ის დაშორებით. აქ ქვედა პალეოლიტის ხანის ნაშთები გაძნეული აღმოჩნდა ბალახისა და ეკალ-ნარით გაბარდული ნაკვეთის ადგილ-ადგილ მოშიშვლებულ ქვა-ლორდიან ზედაპირზე, დაახლოებით 2-2,5 ჰა ფართობზე.

ადგილ „ურბეხანზე“ ნაპოვნია ქვის 47 ქვედაპალეოლიტური ნივთი. შეგროვებულ კოლექციაში წარმოდგენილია წარმოების ნარჩენები (გადანაყარი), 7 ნუკლეუსი, 19 ანატკეც-ნამზადი და 21 დასრულებული იარაღი.

შვიდივე ნუკლეუსი გაკეთებულია კაჭრებზე. 6 მათგანი ერთფუძიანი გრძივია, ხოლო ერთი - ორფუძიანი გრძივი. ერთფუძიანი ნუკლეუსები ყველა გლუვი დარტყმის მოედნიანია, რომლებიც დახმარებია ზურგისაკენ 60°-80°-იან მახვილი კუთხით. ყველა ნუკლეუსს ეტყობა ცალმხრივი, ფრონტალური ატკეცის კვალი ერთი ან ორი ნეგატივის სახით, ზურგი ამოზნექილია და კაჭრის კანითაა დაფარული, უკანო ზურგი კი არასწორია ან სწორი აქვთ.

ორფუძიანი გრძივი ნუკლეუსი ცალმხრივი ურთიერთსაპირისაპირო ატკეცითი ტიპისაა. დარტყმის ერთი მოედანი გაფორმებული აქვს სამი ფართო ფირფიტის ატკეცით, მეორე მოედანი - ერთი ფართო ფირფიტის ატკეცით. ზურგი ამოზნექილი და ქანის გლუვი კანით დაფარული აქვს. სამუშაო ზედაპირზე ეტყობა ლამელისებური და პატარა ფირფიტების ურთერთ საპირისაპირო მიმართულების ატკეცის არაღრმა ნეგატივები.

19 ანატკეც-ნამზადიდან 15 მოგრძო, ხოლო 4 დაბალი და ფართო მოყვანილობისაა. ისინი (რომელთა შორისაც გვხვდება ლამელისებური და სამკუთხედისებურიც) ძირითადად 5-7 სმ ზომისა და საკმაოდ მასიურია. მათვის დამახასიათებელია არასწორი, შემთხვევითი მოყვანილობა, გრძივი ღერძის მიმართ ირიბად ან იშვიათად პერპენდიკულურულად განლაგებული გლუვი, ფართო, ქვედა სიბრტყისადმი ძირითადად 110°-იანი ბლაგვი კუთხით დახმარები დარტყმის მოედნები. ანატკეცების რელიეფურ ბურცობს ნიუარის წარმონაქმნით უპირატესად ქვედა სიბრტყის 1/3 და ნახევარი უკავია, ზოგჯერ კი 2/3, ან მთლიანად მოიცავს მას. ზურგი წინამორბედი ატკეცის ნეგატივებიანი, ორფერდაა, გლუვი, სწორი ან არასწორი და კაჭრის კანით დაფარულია. წამყვანია მეორადი ანუ წინამორბედი ატკეცის ნეგატივებიან ზურგიანი ანატკეცები.

ნუკლეუსების და ანატკეცების ტექნოლოგიური ნიშნები და ტიპოლოგია მიუთითებს, რომ „ურბეხანის“ ქვედაპალეოლიტური ინდუსტრიის ქვის პირველადი დამუშავების ანუ გაპობა-ატკეცისათვის გამოიყენებოდა არქაული კლექტონური და უმთავრესად შერბილებული კლექტონური ანუ აშელური ტექნიკა.

დასრულებული იარაღები გაკეთებულია ძირითადად მასიურ ანატკეცებზე. ჯგუფში წარმოდგენილია სახოკ-საჩხეისებური მეტად მასიური იარაღი (ტაბ. I, I), სახოკები, საფხეკები, ანკოშები, საჩორქ-სათლელი ეჩოსებური იარაღი, ერთწახნაგოვან „ყუიანი“ დანა, ლიმასისებური იარაღი, სახვრეტი, წვეტანისებური იარაღი და კომბინირებული იარაღი: სწორი სახოკი

– ანკოშთან, წვეტანისებური – დაკბილულთან და სხვ.

წამყვანი იარაღია სახოკები. ისინი 6 ცალია და წარმოდგენილია ამოზნექილ, სწორ, ჩაზნექილ და ორ სამუშაო პირიანი იარაღების სახით.

იარაღების სამუშაო პირები გაფორმებულია ცალმხრივი, ზურგის ან ქვედა სიბრტყისმიერი რეტუშით, ორმხრივრეტუში გამოყენებულია მხოლოდ ერთხელ. რეტუში საკმაოდ მრავალფეროვანია: მსხვილი და ფართოფაცეტოვანი ციცაბო, წვრილფაცეტოვანი დაგბილული, ფართოფაცეტოვანი დამრეცი და წვრილმარცვლოვანი ციცაბო. იარაღის სამუშაო პირის გასაფორმებლად გამოიყენებოდა აგრეთვე, ერთამონადარიანი, ორამონადარიანი და მომიჯნავე ამონადარებიანი ანკოშები. ვარდა იარაღის სამუშაო პირის გაფორმების საშუალებისა ანკოშები წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ იარაღსაც. იარაღის ჯგუფისათვის დაახასიათებელია აგრეთვე, კაჭრის კანიანი „ქუსლიანი“ და „ყუიანი“ და უკანო ერთწანნაგა „ყუიანი“ ხელსაწყოები.

ამგვარი იარაღები და მათ გასაკეთებლად შედარებით მრავალნაირი, სამუშაო პირის გამაფორმებელი, რეტუშის გამოყენება დამახასიათებელია გვიანი ხანის ქვის ინდუსტრიებისათვის.

„ურბეხანის“ ქვის ინდუსტრია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მსგავსებას იჩენს ზოგად აშელურ ნიშნებში ჭიათურის რაიონის [3, გვ. 23-33], სომხეთის სატანი-დარისა და არზნის [4. გვ. 23-80] და სხვა რეგიონების გვიანი ხანის „ღია“ ადგილსამყოფელების მასალებთან. ვარდა ამისა ტიპოლოგიური მსგავსება მუდავნება ზოგიერთ ცალკეულ ნივთებს შორისაც.

„ურბეხანის“ ინვენტარის ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნების გათვალისწინებით და საქართველოს და სხვა რეგიონების თანადროული ძეგლების მასალებთან შედარებით, მისი ქვის ინდუსტრია ქვედა პალეოლითის კარგად განვითარებულ უბიფასებო კულტურას მიეკუთვნება და გვიანი აშელის ხანით (არა მისი დასასრულით ან მიწურულით) თარიღდება. მისი კოლექციის შემადგენლობა მოწმობს, რომ იგი წარმოადგენდა სადგომ-სახელოსნოს წარმოების სრული ციკლით.

ქვედა პალეოლითური ნაშთების მოპოვების მეორე პუნქტი „ბრილისი“ მდებარეობს კავთის-ხევი – ნოსტეს საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს სოფ. მთიულთ – უბნის მიწაზე, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე. ქვის ნივთები აღმოჩნდა მიწის ზედაპირზე ტყე-ბუჩქნარისაგან თავისუფალ ადგილებში დაახლოებით 2-3 ჰა ფართობზე.

„ბრილისის“ „ღია“ ადგილსამყოფელზე შეგროვდა 43 ქვედაპალეოლითური ქვის ნივთი,

დამზადებული იმავე ადგილობრივი ქანებისაგან, რომელთაგანაც „ურბეხანის“ ინვენტარი. შეგროვებულ კოლექციაში წარმოდგენილია წარმოების ნარჩენები, 6 ნუკლეუსი, 20 ანატკეცი და 17 მზა იარაღი.

6-ვე ნუკლეუსი ერთფუძიანია. დამზადებულია კაჭრებზე. 5 გრძივი, ხოლო ერთი განივი ტიპისაა. აქვთ ზურგისაკენ დახრილი გლუვი, ფართო დარტყმის მოედნები. ზურგი ამოზნექილი კაჭრის კანით დაფარული ან უკანო არასწორი თუ სწორი აქვთ. სამუშაო სიბრტყეზე ეტყობათ ატკეცის ერთი-ორი ან რამდენიმე არასწორი ნებატივი.

20 ანატკეცი-ნამზადიდან 11 გრძივი, ხოლო 9 დაბალი, ფართო, შემთხვევითი მოყვანილობისაა და მასიურია. მათი საშუალო ზომა 5-7 სმ-ია. ანატკეცებს ძირითადად აქვთ გრძივი ღერმის მიმართ ირიბად განლაგებული, ქვედა სიბრტყისაკენ 110°-იანი ბლაგვი კუთხით დახრილი გლუვი, ფართო დარტყმის მოედნები. რელიეფურ ბურცულს ნიჟარისებური წარმონაქმნით უპირატესად ანატკეცების ქვედა სიბრტყის 1/3 ან ნახევარი უკავია. არის ისეთები რომლებსაც ქვედა სიბრტყის 2/3-ს, ან მთელ ფართობს მოიცავენ. წამყვანი ადგილი უკავიათ წინამორბედი ატკეცის ნეგატივებიან ზურგიან ანუ მეორად ანატკეცებს. მცირეა პირველადი, კაჭრის კანით დაფარულ ზურგიანი და ორფერდა, უკანო სწორი თუ არასწორი ზურგიანი ანატკეცები.

„ბრილისის“ 17 იარაღ-ხელსაწყოდან 8 სახოკია, 6 ანკოში და თითო: საფხეკი, საჭრისი-სებური და წვეტანისებური იარაღია. წამყვანი იარაღია სახოკი. ისინი ამოზნექილი, სწორი, ჩაზნექილი, კონვერგენტული და ორ სამუშაო პირებიანია (ფაბ. II, 2). მეორე ადგილზეა ანკოშები. 4 მათგანი გვერდამოლარულია, ხოლო ორი ორგვერდამოლარულია.

სხვა იარაღი, როგორც აღინიშნა, თითო ცალია. იარაღის სამუშაო პირების გასაფორმებლად გამოყენებულია ძირითადად ზურგისმიერი მსხვილი და ფართოფაცეტოვანი ციცაბო რეტუში, თხელი და ფართოფაცეტოვანი ციცაბო რეტუში, თხელი და ვიწროფაცეტოვანი რეტუში, თხელი და ფართოფაცეტოვანი დამრეცი რეტუში, წვრილი რეტუში, სასაჭრისე ხიწვების ჩამოთლა და სხვ. ანკოშები ფორმდებოდა მსხვილი და ფართო ფირფიტების ან რეტუშის ამოღარვით.

ნივთების შემადგენლობის მიხედვით „ბრილისის“ ადგილსამყოფელი წარმოადგენდა სადგომ-სახელოსნოს წარმოების სრული ციკლით, ე.ი. ისეთ „ღია“ ტიპის ძეგლს, სადაც ქვის პირველადი დამუშავება და იარაღის საბოლოო გაფორმებაც ადგილზე ხდებოდა.

„ბრილისის“ ინდუსტრია ქვის პირველადი დამუშავების ე.ი. გაპობა-ატკეცის ტექნიკისა და მეორადი დამუშავების ანუ იარაღის გაფორმების მხრივ იდენტურია, ხოლო ტიპოლოგიური

შემადგელობით თითქმის სრულიად მსგავსია „ურბეხანის“ ინვენტარისა. ქვის გაპობა-ატკეცი-სათვის აქ გამოყენებული იყო კლექტონური და შერბილებული კლექტონური ტექნიკა, ხოლო იარაღ-ხელსაწყოების სამუშაო პირის გამოსაყ-ვანად რეტუშის იგივე სახეები.

აღნიშნული ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნების და მისი ნივთიერი მასალის „ურბეხანის“ ქვის ინვენტართან მსგავსების გათვალისწინებით „ბრილისის“ კაჟის ინდუსტრია „ურბეხა-ნის“ ქვედაპალეოლითურ კულტურას მიეკუთვ-ნება და გვიანი აშელის ხანით თარიღდება.

კასპის რაიონში ქვედაპალეოლითური მასა-ლის აღმოჩენის მესამე პუნქტი მდებარეობს სოფ. ნოსტეს ჩრდილოეთი, ასე 3-4 კმ-ის დაშორებით, ადგილ „კორუმტყის“ განაპირას ეწ. რაჯიანქევის მარცხნა ნაპირზე. აქ ტყე-ბუჩქნარს შორის, შედარებით მოშიშვლებულ, საკმაოდ სწორ ზედაპირზე, დაახლოებით 2 ჰა ფართობზე აშკარად საწარმოო ნარჩენების კაჟის, კირქვისა და სხვა ქანების ნატეხ-ნამსხვრევებსა და კაჭრებს შორის შეგროვდა 39 ქვედაპალეოლითური ნივთი: 4 ნუკლეუსი, 16 ანატკეცი და 19 დასრულებული იარაღი.

ყველა ნუკლეუსი ერთფუძიანია და გაფორმე-ბულია: 3 გრძივი ტიპის ანამტვრევებზე, ხოლო ერთი – განივ მასიურ კაჭარზე. კაჭარზე და ერთ სამკუთხედისებურ ანამტვრევზე გაფორმებულ ნუკლეუსებს აქვთ გრძივი ღერძის მიმართ ირი-ბად განლაგებული, ზურგისაკენ დაქანებული ფართო და გლუვი დარტყმის მოედნები, ხოლო ანამტვრევებზე გაკეთებული ორი ნუკლეუსის დარტყმის მოედნად გამოყენებულია მათი ერთ-ერთი სწორი, გლუვი მხარე. სამუშაო ანუ ატ-კეცის ზედაპირზე ეტყობათ ერთი ან რამდენიმე არასწორი და ღრმა ნეგატივი. ზურგი ამოზნე-ქილა და კაჭრის კანით დაფარული ან იგი უკანონ სწორი თუ არასწორი ზედაპირით. ნუკ-ლეუსების ტექნოლოგიური მონაცემების მიხედ-ვით მათვის დამახასიათებელია ქვის გაპობა-ატკეცის კლექტონური და შერბილებული კლექ-ტონური წესი.

ქვის გაპობა-ატკეცის ამავე ტექნიკის გამო-ყენებაზე მიუთითებენ „კორუმტყის“ „ლია“ ად-გილსაყოფელზე შეგროვებული ანატკეცებიც. აქ ნაპოვნია სულ 16 ანატკეცი. ამათგან 13 მოგრძო, ორი კი დაბალი, ფართო და მასიურია. ანატკე-ცები ძირითადად არასწორი, შემთხვევით მოყ-ვანილობისაა. მათ შორის ლამელისებური ერთა-დერთი ცალია. ანატკეცების საშუალო ზომა 5-7 სმ-ია. მათ აქვთ გრძივი ღერძის მიმართ ირი-ბად ან ძალიან იშვიათად, პერპენდიკულარულად განლაგებული გლუვი ფართო დარტყმის მოედ-ნები. წამყვანია ირიბი, ქვედა სიბრტყისაკენ 110°-იანი ბლაგვი კუთხით დახრილი გლუვი მოედ-ნები. განსხვავებულია მხოლოდ თითო ამოზნე-ქილი ვიწრო გლუვი და მთლიანად კაჭრის კა-ნით დაფარული მოედანი. რელიეფურ ბურცულს ნიჟარისებური წარმონაქმნით უპირატესად ქვე-

და სიბრტყის 1/3 ან ნახევარი უკავია, ზოგი-ერთს კი – 2/3 ან მთელი ფართობი. ზურგზე აქვთ წინამორბედი ატკეცის სხვადასხვა ზომა-მოყვანილობის ნეგატივები, ან იგი ორფერდაა, უკან არასწორია თუ დაფარულია კაჭრის კა-ნით. მაშასადმე, ჯგუფში წამყვანია მეორადი ჩა-მოთლის ანატკეცები.

„კორუმტყის“ ტერიტორიაზე ნაპოვნია 19 და-სრულებული იარაღი – 8 სახოკი, 3 ანკოში და თითო გვერდსაფეხები, ერთწახნაგა „ყუიანი“ და-ნა, დანისებური იარაღი, წვეტანისებური იარაღი, ნისკარტისებური იარაღი, კაჭრის კანით დაფა-რული მასიურ „ქუსლიანი“ სახვრეტი და ორი ორსამუშაოპირიანი იარაღი: სწორპირა საფხექი კომბინირებული ორმაგ ანკოშთან და წვეტანი-სებური იარაღი კომბინირებული რეტუშით ამო-დარულ ანკოშთან. წამყვანი იარაღია სახოკები, ისინი ამოზნექილ, სწორ, ჩაზნექილ პირებიანი და კონვერგენტული ტიპისაა (ტაბ. II<sub>3,4</sub>).

იარაღი გაკეთებულია ანატკეცებსა და ანამ-ტვრევებზე. მათ გასაკეთებლად გამოყენებულია „ურბეხანის“ და „ბრილისის“ მსგავსი საკმაოდ მრავალფეროვანი მეორადი დამუშავების ტექნი-კა. სამუშაო პირები გაფორმებულია ზურგისმი-ერი (ცალმხრივი) მსხვილი და ფართოფაცეტო-ვანი ციცაბო რეტუშით, თხელი და ფართოფა-ცეტოვანი ციცაბო რეტუშით, თხელფაცეტოვანი ციცაბო რეტუშით ზურგისმიერი თხელფაცე-ტოვანი ციცაბო წყვეტილი რეტუშით, ფართო და წვრილფაცეტოვანი ციცაბო რეტუ-შით და გვერდების ანკოშირებით, ე.ი. ერთი ფართო და მსხვილი ფირფიტის ატკეცით ან რეტუშით ამოღარვით.

„კორუმტყის“ ადგილსამყოფელი აქ მოპოვე-ბული ნივთიერი მასალის შემადგენლობის მი-ხედვით, ჩანს, წარმოადგენდა სადგომ-სახელოს-ნოს წარმოების სრული ციკლით ე.ი. ისეთ ძეგლს, სადაც ქვის დამუშავების ყველა პრო-ცესი ადგილზე მიმდინარებდა.

„კორუმტყის“ ინდუსტრია ქვის პირველადი და მეორადი დამუშავების მხრივ და ტიპოლო-გიური შემადგენლობით თითქმის სრულიად მსგავსია „ურბეხანისა“ და „ბრილისის“ ინვენ-ტარისა. მხოლოდ იარაღ-ხელსაწყოთა ჯგუფშია უმნიშვნელო განსხვავება, წარმოდგენილია ისეთი ერთეული იარაღები, რომლებიც პირველ ორ ძეგლზე არ არის ნაპოვნი.

აღნიშნული ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნე-ბისა და მისი ნივთიერი მასალის „ურბეხანისა“ და „ბრილისის“ ქვის ინვენტართან მსგავსების გათვალისწინებით „კორუმტყის“ ინდუსტრია ამ ორი ძეგლის იდენტურ ქვედაპალეოლითურ კულტურას მიეკუთვნება და გვიანი აშელის ხანით თარიღდება.

„ურბეხანის“, „ბრილისის“ და „კორუმტყის“ „ლია“ ადგილსამყოფლების მასალებში კარგად შეინიშნება ქვის პირველადი და მეორადი დამუ-

შავების საკმაოდ არქაული და შედარებით განვითარებული ტექნიკური წესით გაკეთებული ნივთების თანაარსებობა. მათი ინვენტარი იმის საშუალებას იძლევა, რომ ყველა მოცემული ინდუსტრიისათვის აშელ-კლექტონური ატკეცის წესის უფრო აღრეული არსებობა დავადგინოთ და ამასთან ცალკეული ძეგლების იარაღების შემადგენლობაში დავინახოთ ზოგიერთი განსხვავებები, თუმცა ისინი იძლენად უმნიშვნელოა, რომ ვერ არღვევნ მასალების საერთო მსგავსებას, რაც მოწმობს მათ ქრონოლოგიურ თანადროულობასა და აშელური კულტურის განვითარების ერთი ხაზისადმი კუთვნილებას.

თრიალეთის ქედის ჩრდილოეთი ფერდობის აღმოსავლეთი მხარის, მდ. თებამისა და მდ. კავთურას ხეობებს შორის მდებარე მონაკვეთის სამივე აღგილსამყოფლის ინდუსტრიების ტექნიკურ-ტიპოლოგიური მონაცემების ურთიერთისადმი და ჭიათურისა, სატანი-დარის, არზნის და საქართველო-ამიერკავკასიის სხვა რეგიონების აღრეული პალეოლითის გვიანი საფეხურის „ლია“ ძეგლების მასალებთან შედარება საფუძველს იძლევა ისინი ამ პერიოდის ერთიანი ტექნოლოგიური ტრადიციის მატარებელ, კარგად განვითარებულ ქვედაპალეოლითურ კულტურას მივაკუთვნოთ, გვიანი აშელის ხანით დავათარილოთ და გამოვყოთ, როგორც თრიალეთის ქედის დასახელებული რაიონის, ამ ეპოქის აღნიშნული უბითასებო და ანატკეცების ტექნიკის წამყვნობაზე დაფუძნებული კულტურის ძეგლების ლოკალური ჯგუფი.

მცხეთის რაიონის ტერიტორიაზე ქვედა პალეოლითის ხანის ნივთი პირველად აღმოჩნდა 1992 წელს. აღნიშნულ წელს სოფ. შუა ნიჩბის-ში, თრიალეთის ქედის ფერდობის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დახრილ კალთაზე, აღგილობრივი მცხოვრებლის თამაზ მაზმიშვილის ეზოში მიწის სამუშაოების დროს იპოვეს ობსიდიანის მასიური ნაკეთობა. ნაპოვნი ჩააბარეს ნიჩბისის-ხევის დამოუკიდებელი არქეოლოგიური ექსპლიციის ხელმძღვანელს შოთა ირემაშვილს, რომელმაც იგი ჩვენ გადმოგვცა შესასწავლად.

ნაპოვნი ნივთი წარმოადგენს სახო-საჩეხის-ხებურ უხეშ იარაღს (ტაბ. III). გაკეთებულია იგი შავი ობსიდიანის მასიურ, მოგრძო და ფართო კლექტონურ ანატკეცზე, რომლის სიგრძეც 19 სმ-ია, სიგანე – 9,5 სმ, ხოლო სისქე – 4,8 სმ. აქვს ორფერდა დარტყმის მოედანი. შუაში კარგად გამოკვეთილი დარტყმის მსხვილი წერტილით. ანატკეცის რელიეფურ ბურცულას ნიუარისებური წარმონაქმნით ქვედა სიბრტყის 2/3 უკავია, ზურგი მაღალი და ორფერდა აქვს, ეტყობა წინამორბედი ატკეცის ორი მოგრძო ნებატივი. იარაღის სამუშაო პირი გაფორმებულია ანატკეცის ამოზნექილ თხელ გრძივ გვერდზე ორმხრივი წყვეტილი, ფართო და თხელფაცეტოვანი რეტუშით, მეორე გრძივი გვერდი მასიურია და ნახევრად დაფარულია კაჭრის კანით, მოხერხებულია მუშაობის დროს ხელის ჩასაკი-

დად და ნების საყრდენად. მისი ტიპოლოგიის, ყველა ტექნიკური ნიშნისა და კასპის რაიონის „ურბებანის“ აღგილსამყოფელის მსგავს კაჟის იარაღთან (ტაბ. I) შედარების გათვალისწინებით, შუა ნიჩბისის სახო-საჩეხის-ხებური ობსიდანის იარაღი ზოგადად გვიანი აშელის ხანით თარიღდება.

მცხეთის რაიონში ძველი ქვის, კერძოდ, ზედა პალეოლითის ხანის პირველი ნივთები აღმოჩნდა 1989 წელს სოფ. ძეგვის ტერიტორიაზე, თრიალეთის ქედის ძირში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს პირველი ტერასის დონეზე, მდ. მტკვრისა და მდ. ხეკორძულას შესართავთან, აღგილ უკანგალაში.

უკანგალაში ქვის ხანის ზედაპირული ნაშთები იპოვა და შეაგროვა მცხეთის არქეოლოგიური ექსპლიციის ნიჩბისის-ხევის არქეოლოგიური რამზის ხელმძღვანელმა შოთა ირემაშვილმა და შემდგომ ისინი ჩვენ გადმოგვცა შესასწავლად.

შეგროვებულ კაჟის მასალაში წარმოდგენილია სულ 9 ნივთი: ანატკეცები, ურეტუშო და გვერდრეტუშინირებული ლამელები, ამოზნექილ სამუშაოპირიანი სახოკი და გვერდისა და კუთხის საჭრისები (ტაბ. IV<sub>19</sub>). მსგავსი მასალა დამახასიათებელია ზედა პალეოლითის ხანის საქართველოს ძეგლებისათვის, მაგრამ ნივთების სიმცირე ართულებს პარალელების მოძიებას და ამ ეპოქის ფარგლებში მათი ასაკის უახლოესი სიზუსტით განსაზღვრას. ამიტომ ეს პატარა კოლექცია მხოლოდ ნივთების ტექნიკური ნიშნების მიხედვით წინასწარულად გვიანი ზედა პალეოლითის ხანით თარიღდება.

## T. Bugianishvili

### LOWER PALAEOLITHIC SITES OF THE NORTH-EASTERN SLOPE OF TRIALETI RANGE (Summary)

The paper deals with the Lower Palaeolithic sites of the north-eastern slope of Trialeti range, discovered between the basins of the right tributaries of the river Mtkvari – the Tedzami and Kavtiskhevi, in the Khekordzula valley, flowing through the administrative districts of Kaspi and Mtskheta.

Three Acheulean open stations were found in Kaspi district – Urbekhani, Brilisi and Korumtqe (Pls. I-II). Flint artifacts, containing nuclei, flakes, cores and finished tools, coming from all the three stations, are almost identical and dated to the Late Acheulean period. They represent a single – non-bifacial line of development of this culture, and are identified as a local Late Acheulean, non-bifacial group of the north-eastern slope of the Trialeti range.

A rough sharp-hack tool, manufactured from obsidian flake and belonging to the Late Acheulean (Pl. III, 1) was found in the village of Shua Nichbisi (Mtskheta district), while in the locality called Ukanchala (near v. Dzegvi) flint cutting tools, scraper, flakes and nuclei (Pl. IV, 1-9) of the late Upper Palaeolithic were evidenced.

### ლიტერატურა

1. საქართველოს ისტორიისა და გულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5. თბ., 1990.
2. საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, ქვის ხანა. თბ., 1991.
3. ოუშაბრამიშვილი დ. არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ყვირილას ზეობაში. — სსმმ, XXX-B, 1962, გვ. 23-33.
4. Паничкина М. З. Палеолит Армении. Ленинград, 1950.

### ტაბულების აღწერა

ტაბ. I. — სახოკ-საჩეხისებური კაუის უხეში იარაღი („ურბეხანი“)

ტაბ. II. — 1. სახოკი ამოზნექილ სამუშაო პირიანი („ბრილისი“); 2. სახოკი სწორ სამუშაო პირიანი („ბრილისი“); 3. სახოკი ჩაზნექილ სამუშაოპირიანი („კორუმტყე“); 4. სახოკი სწორ სამუშაო პირიანი, ლამელისებურ ანატკეცზე („კორუმტყე“).

ტაბ. III. — სახოკ-საჩეხისებური შავი ობსიდიანის უხეში იარაღი (სოფ. შეა ნიჩბისი).

ტაბ. IV. — სოფ. ძეგვი, ადგილი „უკანჭალა“:  
1. საჭრისი გვერდის, მარტივი; 2. საჭრისი კუთხის; 3. საჭრისი კუთხის; 4. საფხეკი გვერდის, ლამელაზე; 5. სახოკი ამოზნექილ სამუშაო პირიანი; 6. ლამელა გვერდებრეტუშირებული; 7. ლამელა გვერდებრეტიუშირებული, ნატეხი; 8-9. ანატკეცები კაუისა.

### Description of the plates


Pl. I — scraping-chopping coarse flint tool (Urbekhani)


Pl. II. — 1. scraping tool with a convex blade (Brilisi) 2. scraping straight-bladed tool (Brilisi); 3. scraping concave-bladed tool (Korumtqe).

Pl. III — scraping-chopping coarse black obsidian tool (v. Shua Nichbisi).


Pl. IV — v. Dzegvi. "Ukanchala" locality: 1. side cutter, simple; 2. angle cutter; 3. angle cutter, 4. side scraper, on lamella; 5. convex-bladed scraper; 6. lamella with retouched sides; 7. lamella with sides retouched fragment; 8-9. flint flakes.

Գած. 1






Գած. III



გაბ. IV



## კარლო კალანდაძე

ოდასყურას ქვისხანის ნამოსახლარები

ოღასყურას უძველესი ნამოსახლარები მდებარეობენ ქ. ქუთაისის დასავლეთით, მდ. ოღასყურას ხეობაში, ქალაქშა და სოფ. ბანოჯას შორის მდებარე ე.წ. „საცობის ტყეში“, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, წყლის დონიდან 45-ოდე მეტრზე, ხოლო ზღვიდან 100 მ სიმაღლეზე. ტერიტორია, რომელზედაც უძველესი ნამოსახლარები გამოვლინდა, წარმოადგენს შემაღლებულ, მოგრძო ზეგანს, რომლის ზედაპირი კარსტული ძაბრებითაა დახვრეტილი. ამჟამად ზეგანი ძელქვებითა და წიწვოვანი ტყითაა დაფარული (სურ. 1).



სურ. 1

არქეოლოგიური ნაშთები ნახევარ ჰექტარზე  
იყო მიმობნეული. მასალის ძირითადი ნაწილი,  
ნალექების ზემოქმედებით, დროთა განმავლობა-  
ში, ნამოსახლარებიდან ფერდობზე გადმორე-  
ცხილა, ნაწილიც კარსტულ ძაბრებში ჩარეცხი-  
ლა და მიწისქვეშა გამდინარე წყლებს ოლასყუ-  
რას ნაპირთან ისევ გარეთ გამოუტანია. ზეგან-  
ზე კი ქვისხანის უმნიშვნელო ნაწილი და მო-  
გვანონ ხანის (ბრინჯაო, ფერდალური ხანა) ნა-  
მოსახლარების მომწვარ-მოლესილი იატაკების  
თხელი შრე იყო შემორჩენილი.

ოღასყურას ხეობაში არქეოლოგიურ ნაშთებს თავდაპირველად (1970-იან წლებში) მოყვარულმა ახალგაზრდა მხარეთმცოდნებმ, ქუთაისის მკვიდრმა აღვევო თვარატებ მიაკვლია. მან, შეგროვილი მასალის ერთი ნაწილი ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ჩააბარა, ხოლო მეორე ნაწილი წყალტუბოს მხარის შემსწავლელ არქეოლოგიურ ექსპედიციას გადასცა. 1980-იანი წლებიდან კი ოღასყურას ხეობაში არქეოლოგიური კვლევა-ძიება დაიწყო არქეოლოგთური კვლევის ცენტრის წყალტუბოს მხარის შემსწავლელმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი კ. კალანდაძე, კონსულტანტი ნინო ბერძნიშვილი). ექსპედიციის მუშაობაში წლების მანძილზე ძეგლის აღმოჩენის

თვარაძეც) აქტიურად მონაწილეობდა.<sup>2</sup> საძიებო თხრილებში, რომლებიც ნამოსახლარებზე გაიგლო, არქეოლოგიური მასალა ძალზე მცირე აღმოჩნდა, ესაა კაფის ლამელას თითო-ოროლა ფრაგმენტი ცეცხლის კვალით. ძეგლზე ჯერ-ჯერობით უძრავი ფენა, სამწუხაროდ, არ დადასტურდა. ზედაპირულად კი სხვადასხვა პერიოდის (პალეოლიტური, ნეოლიტური, ენეოლიტური და ბრინჯაოს ხანის) იარაღ-ზელსაწყობი შეგროვდა. ამასთან ერთად მრავლად იყო წარმოდგენილი იარაღთა დამზადებისას წარმოქმნილი ნაშთები. სულ შეგროვილი ინვენტარის ოდენობა 1039 ცალს აღემატება, რომლებსაც ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განვიხილავთ:

მუსტიფერო იარაღები ცოტაა: 2 ც. წვეტანა  
 და 27 ანატკეც-ანამტვრევი. 1. წვეტანა, კაჟის,  
 ორფერდა, დაფნის ფოთლის ფორმის, მახვილი  
 წვერითა და ბასრი ნაკირებით. იარაღი ზურგის  
 მხრიდან ირგვლივ დამუშავებულია სიღრმეში  
 შემძლევი ციცაბო რეტუშით. მუცელი ბრტყელი  
 და სწორი აქვს, რომლის დარტყმის ბურცობზე  
 ორი ფაცეტის აცლის კვალი ემჩნევა. იარაღი  
 მაღალი ტექნიკითა დამუშავებული და პრო-  
 პორციულია. იგი დაფარულია სქელი, მონაც-  
 რისფრო პატინით. ეტყობა სიგლუევე და ხმა-  
 რების ძალი, ზომა  $8 \times 3 \times 1$  სმ (ტაბ. I).<sup>3</sup>

<sup>2</sup> ექსპედიციაში ხანგრძლივად და ნაყოფიერად მონაწილეობდნენ, როგორც ცენტრის თანამშრომლები (ლ. ნებიერიძე, მ. გაბუნია, დ. კრაწავილი და სხვ.), ისე წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკები (ც. ღვინიანიძე, დ. ხაჭაპურიძე, ნ. იოსელიანი, ი. კუნალაშვილი, ს. ტორაძე, ნ. ჯიქა, თ. ბუბეიშვილი და სხვ.).

<sup>3</sup> წვეტანას სიგლუებე ხშირი გორებითა გამოწვეული. იგი სხვა იარაღებთან ერთად იმ წყაროშია ნაპოვნი, რომელიც მდინარის პირას მიწისქვეშეთიდან გმოვდინება. საერთოდ მასალის ძირითადი ნაწილი მდინარის პირველ ტერასაზე ჩამორცხვილი და შემდეგ აკრავილი. დიდი ნაწილი კი მდინარის მოდიდების დროსაა წალეკილი. (ოღასყურა პატარა მდინარეა, მაგრამ ხშირი წყარიბის დროს ისეთი წყალუხვი ხდება, რომ გზადაგზე ნაპირებს ლეპავს. იგი სათავფლიას მღვიმიდან გამოედინება [6, გვ. 34], მღვიმის შემდეგ მიწის ზედაპირზე მიედინება, ქალაქს დასავლეთიდან ჩაუვლის, გზად პატარა დელუ-ნაკალულებს იერთებს და მდ. გუბისწყალს უერთდება. იგი უფრო წყალუხვი იქნებოდა ადრე, რაზედაც მიგვანიშებს, მისი კალაპოტის დიდი სიღრმე და სიგანე. როგორც ეს ვიზუალურ დათვალიერებით ჩანს, ოდასყურა, ისე როგორც აქაური სხვა მდინარეები (საყულია, წყალწითელა, წყალტუბელა და სხვ.), ჩართულნი ყოფილან იმ უძველეს სანაოსნო არხების ქსელში, რომლებიც ანტიკური და წინაანტიკური ხანის გორანამოსახლარებს ერთმანეთთან აკავშირებდა და რომ-

<sup>1</sup> ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ამ ადგილს „პროპერტეიტის ტექნიკა“ ეძახიან, რადგან აქ, ადრე საკონტროლო უწმადებათ.

**2. წევტანისებური** იარაღი, კაჟის, ფართო, თხელპირიანი, პატინირებული, სამფერდა. იარაღის წვერი და ცალი პირი ზურგის მხრიდან მაღალი, თანმიმდევრული რეტუშითაა დამუშავებული. იარაღს სწორტალლოვანი და გლუვი მუცელი აქვს. დარტყმის ბურციბი თოთქმის არ ემჩნევა. ზურგზე, ტართან ახლოს, პატარა ანატკეცის აცლის კვალი ემჩნევა. იგი ნაკლებად სიმეტრული, ფართო და ბლაგვწვერიანია. ამ იარაღს შესაძლოა დანა-სახოკის როლიც გაეწია, ზომა: 7,5x3x1 სმ (ტაბ. I<sub>2</sub>).

ოღასყურას წვეტანებთან მსგავსებას ავლენენ კუდარო I-ის [3], ჯრუჭულასა [4] და სხვ. თანადროულ ძეგლებზე აღმოჩენილი ამავე და-სახელების იარაღები.

#### ნეოლითური იარაღები:

ამ პერიოდის 157 ცალი ინვენტარია წარმოდგენილი იარაღებისა და წარმოების ნამთების ჩათვლით. არის, როგორც ადრენეოლითური იერის იარაღები, ისე შუანეოლითური ინვენტარი. ნეოლითური ხანის კერამიკა ჯერჯერობით არა მიკვლეული. ქვის იარაღები კი საკმაოდ სახიანი და თვითმყოფადია. ესენია: საფაფოსხვა ტიპის საფხეკები, სახელდობრ: მორგვალო ფორმის, ფრჩხილისებრი, მარაოსებრი და სხვ. განვიხილოთ თითოეული ტიპის საფხეკები ცალკალკები:

**მორგვალებული საფხეკი**, კაჟის, მოწითალო, მაღალი, პატინირებული, ირგვლივ დამუშავებული სამუშაო პირით, ბრტყელი და სწორი მუცლით, დარტყმის მაღალი ბურციბით, ზურგზე გრძივი და განივი ანატკეცების აცლის კვალით. ზომა: 3,4x3x1 სმ (ტაბ. I<sub>5</sub>). იარაღს ემჩნევა გორებისა და ხმარების კვალი. ასეთი მრგვალი ფორმის საფხეკები დამახასიათებელია გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარებისათვის. მსგავსი საფხეკებით ცნობილია საქართველოს შემდეგი მეზოლით-ადრენეოლითური ძეგლები: ეძანი [1, ტაბ. III], ჯამპალი [7, ტაბ. XVII], პვირიკე, ხუცუბანი [2, გვ. 33-71], ანასეული I, [4, ტაბ. VIII], მელოური [3, ტაბ. XLI] და სხვ.

**ფრჩხილისებრი საფხეკი**, კაჟის, მოგრძო, ღია მოვარდისფრო, ბრტყელი მუცლით და შემაღლებული ზურგით, რომელზედაც სხვადასხვა სიდიდის ანატკეცების აცლის კვალი ემჩნევა. ამ ტიპის საფხეკებს სამუშაო პირი ზურგის მხრიდან, თანმიმდევრული, მაღალი რეტუშით აქვთ შემორგვალებული. დამუშავების მაღალი ტექნიკის გამოყენებით ისინი სიმეტრიული და ევექტური იარაღებია ზომა უდიდესისა 5,5x2,8x1 სმ; უმცირესის 3,5x3x1 სმ. (ტაბ. II<sub>9,10</sub>). ამ ტიპის საფხეკი გამოვლენილია მრავალ ნეოლითურ, ზედაპალეოლითურ და მეზოლითურ საფრომებზე. ესენია: საწურბლია [9, გვ. 9-10; ტაბ. 12, გვ.

ლითაც ძველი კოლხები დაცურავდნენ [5, გვ. 12]. ძველთაგან მოყოლებული, ოღასყურა მის ნაპირთან ძეგარე ძეგლს დღემდე ანადგურებს.

[1-19], აპიანჩა [8, გვ. 84-85; ტაბ. XXIV<sub>3</sub>], საბელასური [12, გვ. 81-83; ტაბ. XXII<sub>10</sub>], მელოური [3, ტაბ. XXVIII, 29] და სხვ.

**მარაოსებრი საფხეკი**, კაჟის მოწითალო, თხელ ანატკეცზე გაფორმებული, გლუვი, ამბობურცული მუცლით და ოდნავჩაზნექილი ბრტყელი ზურგით, რომელზედაც ორი მოზრდილი ანატკეცის აცლის კვალი ემჩნევა. სამუშაო პირი ზურგის მხრიდან მაღალი თანმიმდევრული რეტუშით აქვს შემორკალული, ზომა: 3,5x4x1 სმ (ტაბ. II<sub>12</sub>). მსგავსი იარაღები გვხვდება და-სავლეთ საქართველოს თანადროულ და წინარე ეპოქის (მეზოლითი) ნამოსახლარებზე: მელოურში [3, ტაბ. XI], ხუცუბანში [2, გვ. 38-71] და სხვ.

**საჭრისები კაჟის** (2 ც.), გაფორმებული სქელ ანატკეცებზე. ისინი მარტივი საჭრისებია: ერთი შუალა (ტაბ. II<sub>8</sub>) და მეორე კუთხის (ტაბ. II<sub>7</sub>). ერთის ზომაა 7x3x2; მეორისა – 5x3,5x1 სმ.

**ლამელები** ოღასყურას ნამოსახლარზე მრავალგვარია, არის როგორც ორფერდა, ისე სამუერდა და მრავალფერდა ლამელები (ტაბ. II<sub>1-5</sub>). მეტწილად ისინი ურტუშოა, თუმცა ზოგიერთს მკრთალი რეტუში და გამოყენების კვალიც ემჩნევა (ტაბ. II<sub>1</sub>). ლამელების დიდი ნაწილი დამტკრეულია ხშირი გადაადგილების გამო, თუმცა გვხვდება მთელი ცალებიც. ლამელების საერთო რაოდენობა ასზე მეტია, იგი სჭარბობს ანატკეცების. როგორც ჩანს ოღასყურას ნამოსახლარზე ლამელარული ტექნიკა ბატონიბდა.

**ანტკეცები** გვხედება, როგორც პირველადები, ისე მეორადები. მათი საერთო რაოდენობა 70 ცალია. ისინი მეტწილად დიდი ზომისაა (ტაბ. II<sub>11</sub>). არის ისეთი მასიური ანატკეცებიც, რომლებიც შუაზე გაპონილ ნუკლეუსებს უფრო უახლოვდებიან. მათ ზურგზე მრავალი ლამელა-ანატკეცის აცლის კვალი ემჩნევათ.

**ნუკლეუსები** რამდენიმე ტიპისაა. ესენია: პრიზმული, კონუსური, ამორფული და სხვ. ფუძის მიხედვით ყველა მათგანი მრავალფერიანია (ტაბ. II<sub>13</sub>). ნედლეულად გამოყენებულია მაღალი ხარისხის, მოყითალო და მონაცრისფრო კაჟის ქანი.

**წარმოების ნაშთს** შეადგენდა სხვადასხვა-გვარი კაჟის ანამტკრევ-ანატკეცები, მეტწილად პატარა ზომის ქერცლისმაგვარი ანატკეცები, კაჟის სხვადასხვა ზომის კაჭრების და ა.შ. მათი სიმრავლე ნამოსახლარზე იმაზე მიგვანიშნებს, რომ ოღასყურას ხეობაში ქვის ხანის ადამიანს ხანგრძლივად უცხოვრია, იგი სახელოსნოც ყოფილა.

**რიყის ქვის იარაღები** ოღასყურის კოლექციაში მხოლოდ ორი ცალია. ესენია: ხელცული, გახეხილი, პირდაჩეჩქვილი, ოვალურგანიკეთი-ანი, ფართოსამუშაოპირიანი, ნაკლეული, ვიწრო ტარით, ხმარების კვალით. ზომა 12x8x3,5 სმ (ტაბ. III<sub>1</sub>).

**ხელცულის ფრაგმენტი,** რიყის ქვის, გახე-  
ხილი, შუაზე გატეხილი, ოვალურგანივკვეთია-  
ნი, მოტეხილი აქვს სამუშაო პირი (ტაბ. III<sub>2</sub>).

რიყის ქვის იარაღთა ფრაგმენტები. ესენია: ხელჩაქების, სასრეს-სანაყის, ხელცულისა და  
სხვ. იარაღთა ნატეხები, რომელთაც ემჩნევათ  
გამოყენების კვალი. არცერთ მათგანს გაპრია-  
ლების კვალი არ ემჩნევა, რაც ძეგლის ადრე-  
ნეოლითობაზე მიგვანიშნებს. ამასვე მიუთითებს  
რიყის ქვის იარაღების სიმცირე, კაუის მრგვალი  
საფხეკების არსებობა და ლამელების სიჭარებე.

ოღასყურას ხელცულების ტიპები დამახასია-  
თებელად დასავლეთ საქართველოს თითქმის ყვე-  
ლა ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარისათვის.

#### ენეოლითური იარაღები:

ოღასყურას ნამოსახლარზე აკრეფილ მასალა-  
თა შორის ენეოლითური ხანის იარაღებიც არის.  
მათგან აღსანიშნავია კაუის ნამკლისპირი, სა-  
ვარცხლის ფორმის, ვარდისფერი, გლუვი, ცალ-  
პირდაკბილული, პრიალა, აშკარად ემჩნევა ხან-  
გრძლივი ხმარების კვალი, ზომა 5×2×1 სმ (ტაბ. I<sub>4</sub>). ანალოგიური ნამკლისპირები ცნობილია ნა-  
კურალეშიდან [4, ტაბ. XXII], ახალსოფლიდან  
[4, ტაბ. XX<sub>10-11</sub>], ციხურადან (სოფ. სვირი), [6,  
ტაბ. V<sub>2</sub>] და სხვ. ძეგლებიდან.

შუბისპირი, კაუის ყუნწიანი, წვერმოტეხი-  
ლი, ასიმეტრიული, მასიური, გლუვი, ძლიერ  
პატინირებული, ზომა: 6×3×1 სმ (ტაბ. I<sub>3</sub>). მეტ-  
ნაკლებად მსგავსი იარაღი ცნობილია სამელე  
კლდიდან [4, ტაბ. XXV<sub>7</sub>], თეთრი მღვიმიდან  
[3, ტაბ. XIII<sub>6</sub>] და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ოღასყურას ნამოსახ-  
ლარების არქეოლოგიური ნაშთების დიდი ნაწილი  
გადარეცხილი და მდინარის მიერ განადგუ-  
რებულია, ჩვენს ხელთ არსებული მასალები მა-  
ინც იძლევა იმის საშუალებას, რომ ვთქვათ –  
ოღასყურა მრავალფენიანი ძეგლია. როგორც  
აღინიშნა აქ, ხანგრძლივი დროის მანძილზე  
უცხოვრია მუსტიეს, ნეოლითის და ენეოლითის  
ხანის ადამიანებს. ეპოქების მანძილზე პირველ-  
ფოფილ ადამიანებს აქ უცხოვრიათ და უკეთები-  
ათ საჭირო იარაღ-ხელსაწყოები, რასაც წარმო-  
ების ნაშთების არსებობაც ადასტურებს. რო-  
გორც ჩანს აქაური გეოკლიმატური პირობები:  
მდებარეობა, მდიდარი ფლორა და ფაუნა, კარს-  
ტული წყარო, სათევზაო ადგილები და სხვ.  
მთლიანად აკმაყოფილებდა ადამიანის მოთხოვ-  
ნებს არა მარტო მითვისებითი მეურნეობის პი-  
რობებში, არამედ წარმოებით მეურნეობაზე გა-  
დასვლის შემდეგაც, რასაც ადასტურებს ძეგლ-  
ზე აკრეფილი ენეოლითური, ბრინჯაოსა და შუა  
საუკუნეების ხანის არქეოლოგიური ნაშთების  
სიმრავლე (ტაბ. IV<sub>1-4</sub>). რადგან წინამდებარე  
სტატია ქვისხანის ნამოსახლარებს ეძღვნება,  
უფრო გვიანი პერიოდის ნიმუშებს აქ ვრცლად  
არ განვიხილავთ.

ოღასყურას ნამოსახლარის სახით ქუთაისის  
შემოგარენში გამოვლინდა კიდევ ერთი მრავალ-  
ფენიანი საცხოვრებელ-სახელოსნო, რომელზე-

დაც მოპოვებულმა იარაღ-ინგენტარმა კიდევ  
უფრო გაზარდა ამ უძველესი ქალაქის მიმდე-  
ბარე ტერიტორიაზე შუაპალეოლითური, ნეო-  
ლითური, ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის  
ადამიანების განსახლების არეალი. ძეგლის შეს-  
წავლა დასრულებული არაა. აქ ჩატარდა აუცი-  
ლებელი, გადარჩენითი სახის სამუშაოები. მდი-  
ნარის ტალღებს გადაურჩა ზოგიერთი უნიკა-  
ლური არქეოლოგიური ნაშთი. ძეგლის საბო-  
ლოო შესწავლა გარკვეულ წვლილს შეიტანს,  
როგორც ჩამოთვლილი პერიოდების, ისე მომდე-  
ვნო ხანის ისტორიის კვლევის საქმეში.

#### K. Kalandadze

#### STONE AGE SITES AT OGHASQURA (Summary)

The multi-layered settlement site of Oghasqura is situated between the city of Kutaisi and the village of Banoja, on the territory of the so-called “Propkebis Tqe” – right bank of the river Oghasqura. The elevation of the site relative to the river is 45 m and it is 100 m above the sea level.

The surface of the site is more or less even, occasionally covered with woods and reveals karst craters. The site is sloped towards the river and archaeological remains were gradually accumulated in this direction.

The site was discovered in the 1970s by A. Tvaradze, a young “amateur” student of local lore. He handed part of the collected archaeological material to the Museum of History and Ethnography of Kutaisi and the rest to the archaeological expedition studying Tsqaltubo region.

The Tsqaltubo Archaeological Expedition (Director: K. Kalandadze, consultant: N. Berdzenishvili) carried out studies of the Oghasqura settlement site in the 1980s. Intact layers were not attested at the site, though flint tools and wastes, dated to the Mousterian, Neolithic, Aeneolithic and later periods (Bronze Age, Middle Ages), were collected on the surface.

Flint points and point-shaped tool, rendered in a highly elaborated technique and revealing rare symmetry, are attributed to the Mousterian epoch (Pl. II<sub>1-2</sub>).

Scrapers of different shapes (Pl. II<sub>5</sub>; Pl. III<sub>9-12</sub>), cutting tools (Pl. III<sub>13</sub>); a hand axe (Pl. IV<sub>1-2</sub>) are assigned to the Neolithic.

Flint spear points (Pl. II<sub>3</sub>) and sickles (Pl. II<sub>4</sub>) belong to the Aeneolithic.

The Bronze Age is represented by a quantity of ceramic wares (Pl. V<sub>1-3</sub>).

The excavations will be continued on Oghasqura site.

## ლიტერატურა

1. გაბუნიათ გ. თრიალეთის მეზოლითური კულტურა. თბ., 1975.
2. გოგიტიძე ს. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. თბ., 1977.
3. კალანდაძე კ. დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე. თბ., 1986.
- 3a. კალანდაძე კ. თეთრი მღვიმე. თბ., 1995.
4. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986.
5. ყაუხჩიშვილი ს. ძველი ბერძნული წყაროები საქართველოს შესახებ. თბ., 1976.
6. ჯაფარიძე ვ. კალანდაძე კ. გვინჩიძე გ. არქეოლოგიური სამუშაოები ნავთობსადენის ტრასაზე აღმოსავლეთ კოლხეთში. – მილსადენის არქეოლოგია, ტ. I, თბ., 1999, გვ. 82-98.
7. ჯიქია ლ. ქუთაისის და მისი შემოგარენის არქეოლოგიური ძეგლები. ქუთაისი, 1998.
8. წერეთელი ლ. მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში. თბ., 1973.
9. **Каландадзе К. С. Габуния М. К. Сацурбийский грот.** – ПАИ, 1986 (1991), გვ. 9-10.
10. **Коркия Л. О.** Апианча. Новые находки. – Палеолит Кавказа и сопредельных территорий, Тб., 1990, გვ. 84-86.
11. **Любин В. П.** Палеолит Кавказа. Л., 1989.
12. **Тортладзе Г. О.** Верхнепалеолитическая открытая стоянка Сабеласури. – Палеолит Кавказа и сопредельных территорий, Тб., 1990, გვ. 8-83.

## სურათისა და ტაბულების აღწერილობა

- სურ. 1 – ოდასყურას ნამოსახლარი, ზედი აღმოსავლეთიდან.
- ტაბ. I – 1. წვეტანა (მუსტიე); 2. წვეტანა-სებრი იარაღი (ენეოლითი); 3. შუბისბირი (ენეოლითი); 4. ნამგლის ჩასართი (ენეოლითი); 5. საფხევი (ნეოლითი).
- ტაბ. II – 1-5. ლამელები; 6. ანატკეცი; 7-8. საჭრისები; 9-10, 12. საფხევები; 11. რეტუშიანი ანატკეცი; 13. ნუკლეუსი (ნეოლითური ზანა).
- ტაბ. III – 1-2. ზელცულები (ნეოლითი).
- ტაბ. IV – 1-4. კერამიკული მასალა (ბრინჯაო-შუასაუკუნეების ზანა).

## Description of the figure and the plates

Fig. 1 – settlement site of Oghasqura, view from east.


Pl. I – 1. pointed tool (Moustier); 2. item resembling a pointed tool (Aeneolithic); 3. spearhead (Aeneolithic); 4. inlay of sickle (Aeneolithic); 5. scraper (Neolithic).

Pl. II – 1-5. lamellae; 6. flake; 7-8. cutters; 9-10, 12. scrapers; 11. retouched flake; 13. nucleus (Neolithic period)


Pl. III – 1-2. stone tools (Neolithic)

Pl. IV – 1-4. pottery (Bronze-Medieval period)


Фиг. 1



0 3




♂♂δ. III




1

0


3




2



1



2



3

4

## ლიდა ჭელიძე

### ქვის პერიოდის ახალი საღმომი ტალქაში


აი-ილიას სადგომი მდებარეობს წალკის რაიონის სოფლების ბეზთაშენისა და სანთას შორის, წალკის წყალსაცავის ჩრდილოეთით, მთიან პლატოზე, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ არის გადაჭიმული (სიმაღლე ზ.დ. – 1683,1 მ), აი-ილიას მთის მახლობლად. აღმოჩენილია დაზვერვითი სამუშაოების დროს ბაქოჯეიპანის ნავთობსადენის ტრასაზე [3, გვ. 33-44; 4, გვ. 56-73].

მერყეობს 0,25-დან 0,76 მ-დე, ხოლო ზოგიერთ ადგილებში 1,2-1,4 მ-ს აღწევს. თხრილში შედეგი სტრატიგრაფიაა დაფიქსირებული:

1. კორდოვანი ფენა სიმძლავრით 0,05-0,1 მ (წარმოდგენილია მთელ ფართობზე).

2. შავი ჰუმუსის ფენა სიმძლავრით 0,1-0,3 მ (წარმოდგენილია მთელ ფართობზე).

3. მოყვითალო თიხნარი ფენა (წარმოდგენილია თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში). განლაგებულია ცალკეული ლინზების სახით სიმძლავრით 0,05-0,26 მ. ზოგიერთ ადგილებში მისი



მთიანი პლატოს აღმოსავლეთ ნაწილში გაიმართა 34 თხრილი, რის შედეგადაც გაითხარა 1254 მ<sup>2</sup> ფართობი. 15 თხრილში, რომელთა საერთო ფართობია 1120 მ<sup>2</sup>, აღმოჩნდა კულტურული ნაშთები, რომელიც ერამიკის წვრილი ფრაგმენტებითა და ანატექციი ობსიდიანითაა წარმოდგენილი. 9 თხრილში (№ 2, 4, 17, 18, 24-26, 31, 32) სიღრმე კლდოვან საფუძვლამდე დიდი არ არის – 15-დან 50 სმ-მდე, №№ 1, 5, 7, 8, 10, 33 თხრილებში სიღრმე შეადგენდა 60 სმ-ზე მეტს, ხოლო ცალკეულ ადგილებში 1,2-1,4 მ-ს აღწევდა, რაც თვით კლდოვანი საფუძვლის რელიეფის მნიშვნელოვან უსწორმასწორობასთანაა დაკავშირებული. ქვის პერიოდის მასალის უდიდესი ნაწილი ორ თხრილში აღმოჩნდა – №№ 10 და 25, რომელებიც ფართობით ყველაზე დიდია და ამ პლატოს პრაქტიკულად ყველაზე ამაღლებულ ადგილებში მდებარეობს.<sup>4</sup>

№ 10 თხრილის ფართობია – 475 მ<sup>2</sup>, რომლის მხოლოდ ნაწილი, 350 მ<sup>2</sup> აღწევს სიღრმეში კლდოვან საფუძვლამდე (სურ. 1, 2). სიღრმე

სიმძლავრე აღწევს 1,2-1,4 მ.

4. ღორძის ფენა სიმძლავრით 0,05-0,1 მ. განლაგებულია უშუალოდ კლდოვან საფუძველზე.

5. კლდოვანი საფუძველი, სამხრეთის მიმართულებით დახრილია. აქვს ძალიან უსწორმასწორო ზედაპირი მრავალიცხოვანი ჩაღრმავებებით, ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვანითაც. ამით აიხსნება სხვადასხვა სიმძლავრით მოყითალო თიხნარი ფენის ლინზისებური ჩალაგება, რომელიც მის თავზეა განლაგებული.

ანალოგიური გეოლოგიური ფენების განლაგება დამახასიათებელია № 25 თხრილისთვის, რომლის ფართობიც 330 მ<sup>2</sup>-ია [5, გვ. 20].


არქეოლოგიური მასალა თხრილებში აღმოჩნილია ფენების მთელ სიღრმეზე, თანაც წარმოდგენილია კერამიკის ფრაგმენტებით, რომელთაგან ყველაზე აღრეული გვიანბრინჯაოს ხანისაა, და ანატექციი ობსიდიანით, რომელიც ქვის ხანას ეკუთვნის, ერთმანეთში არეულია. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თხრილები გაკეთდა მთიანი პლატოს ამ ნაწილის ყველაზე ამაღლებულ ადგილებში. მასალა არსალან არ გადალაგებულ-გადმოლაგებულა. მაგრამ რადგანაც ნიადაგოვანი ფენის სიმძლავრე კლდოვან

<sup>4</sup> თხრილები ჩახატა გ. ტატიშვილმა

საფუძვლამდე დიდი არ არის, ხოლო ქვის ხანის კულტურული ნაშთები ხელნახლებია და არეული უფრო გვიანდელი ეპოქების კერამიკასთან, ეს გამოწვეული უნდა იყოს ადამიანის სამეურნეო საქმიანობით, ნაიდაგის ეროზით, მღრღნელების ზემოქმედებით, მასალის გადარეცხვით ქვემოთკენ, წალკის წყალსაცავის ნაპირისაკენ და სხვა ფაქტორებით [5, გვ. 60, 64].

ორმხრივი, 1 პრიზმისებური ცალმხრივი და 1 ამორფული.

მასალიდან, რომელსაც მეორადი დამუშავება არ გააჩნია (679 ც.), უმრავლესობა სხვადასხვა ფორმისა და ზომის ანატკეცები და ნამსხვრევებია (634 ც.). თვალში გვხვდება წვრილი ანატკეცებისა და ნამსხვრევების უზარმაზარი რაოდენობა (416 ც.) და აგრეთვე ქერცლისებური



სურ. 2

გამოკვლევის პროცესში დადგინდა, რომ №№ 1, 2, 7, 10, 25 თხრილებში ფენების ქვედა ნაწილში, შერეულ ფენაზე 5-10 სმ-ით დაბლა, მხოლოდ ანატკეცი ობსიდიანი იყო ჩალაგებული. №№ 5, 31 და 32 თხრილებში კერამიკა საერთოდ არ იყო [5, გვ. 1-65].

15 თხრილში სულ აღმოჩენილი იყო ანატკეცი ქვის 818 ეგზემპლარი. მათგან: ობსიდიანი – 808 ც., ფერადი კაჟი – 8 ც., ანდეზიტი – 1 ც. და კვარცი – 1 ც.

ნუკლეუსები ძალიან ცოტაა წარმოდგენილი – 7 ც. (ტაბ. III<sub>19,20</sub>; ტაბ. VIII).<sup>5</sup> მათგან 3 პრიზმისებური მიკრონუკლეუსი, 2 გაბრტყელებული

<sup>5</sup> ქვის ინვენტარი ჩახატა დ. კრაწაშვილმა.

ანატკეცები (166 ც.). ანატკეცებიდან 31 ც. საკმაოდ ფართო დარტყმის მოედნები აქვს, რომელიც ჩამოჭრის სიბრტყესთან ბლაგვი კუთხითაა განლაგებული და ზედ მკაფიოდ გამოხატული დარტყმის ბურცობებია. ზოგიერთ მათგანს ზურგის მხრიდან ბუნებრივი ქერქი აქვს. ეს ანატკეცები არქაული შესახედაობისაა და მუსტიეს პერიოდს განეკუთვნება.

დაუმუშავებული ლამელები 33 ეგზემპლარითაა წარმოდგენილი (ტაბ. I<sub>6,10-20,22-23</sub>; ტაბ. X). უმეტესწილად მათ სწორი პროფილი და ორ-, სამ- ან ოთხწახნაგოვანი ზურგი აქვთ. მათგან: ლამელები, რომელთა სიგანე 0,8-1,2 სმ-ია – 7 ც.; 1,5-1,8 სმ-ის სიგანის – 10 ც.; 1,9-2 სმ-ის სიგანის – 10 ც.; 2,2-2,7 სმ-ის სიგანის – 4 ც.; 3,3 და 3,8 სმ-ის სიგანის – 2 ც. გრძელი ვიწრო ლამელები, განსაკუთრებით სამ- და ოთხწახ-

ნაგოვანი, მეზოლით-ნეოლითისთვისაა დამახასიათებელი. ნამზადებში გამოირჩევა მსხვილი ფართო ლამელები (6 ც.), რომელთაც უფრო გვიანდელი შესახედაობა აქვთ (ტაბ. X).

დაუმუშავებელი მასალის შემადგენლობა საშუალებას არ გვაძლევს დაბეჯითებით ვთქვათ, სად ხდებოდა ქვის პირველადი ატკეცვა – სადგომში თუ ნედლეულის წყაროს ადგილზე. ამას ნუკლეუსების მცირე რაოდენობა უშლის ზელს. წვრილი ანატკეცების, ნამსხვრევებისა და ქერქების უზარმაზარი რაოდენობა კი, რომელთა უმრავლესობა წარმოების ნარჩენებს წარმოადგენს, ადასტურებს, რომ შრომის იარაღების დამზადება სადგომის ტერიტორიაზე ხდებოდა.

ანატკეცი ქვა, რომელსაც მეორადი დამუშავების ნაშები აქვს, 132 ც. აღმოჩნდილი. ამ მასალის ტექნიკურ-ტიპოლოგიური გამოკვლევების შედეგად გაირკა, რომ კულტურულ ფენაში განლაგებული იყო გაპობილი ობსიდიანი, რომელიც მიეკუთვნება ქვის ხანის სამ სხვადასხვა ეტაპს – მუსტიეს, გვიან მეზოლითს-ადრე ნეოლითს და, სავარაუდოდ, გვიან ნეოლითს-ადრე ენეოლითს. არტეფაქტების განლაგება მოწმობს, რომ პრაქტიკულად ისინი არეული იყვნენ. თხრილების ნაწილში დაფიქსირდა კერამიკისა და ობსიდიანის შემცველი არეული ფენა და მის ქვეშ ობსიდიანის ანატკეცები, ხოლო ზოგიერთ თხრილში მხოლოდ ობსიდიანია წარმოდგენილი.

№ 1 თხრილის (სიღრმე კლდოვან დედაქანამდე 0,3-1,1 მ) მასალის განლაგების ქვედა დონეზე (0,4 მ), შავი ფერის ჰუმუსურ ფენაში აღმოჩნდა 1 მცირე ზომის დაუმუშავებელი ანატკეცი და 1 რეტუშირებული პრიზმისებური ლამელა (ტაბ. I<sub>3</sub>), რომელიც თარიღდება მეზოლითის დასასრულით – ადრე ნეოლითის ხანით. № 2 თხრილში (სიღრმე 0,2-0,4 მ) 0,3 მ დონეზე, შავი ფერის ჰუმუსის ფენაში აღმოჩნდა 1 მცირე ზომის, დაუმუშავებელი ანატკეცი, 1 რეტუშირებული ანატკეცი (ტაბ. IV<sub>5</sub>) და 1 რეტუშირებული პრიზმისებური ლამელა (ტაბ. I<sub>4</sub>), რომლებიც თარიღდება მეზოლითის დასასრულით – ადრე ნეოლითის ხანით. № 10 თხრილში (სიღრმე 0,25-0,76 მ), რომელშიც გაერთიანდა № 1 და № 2 თხრილი, 0,6 მ-ის სიღრმეზე, მოყვითალო ფერის თიხის ფენაში დაფიქსირდა კერამიკის ფრაგმენტები, ხოლო 0,65 მ-ის სიღრმეზე ამავე ფენაში აღმოჩნდა მუსტიერული ხანის ერთი დაუმუშავებელი ანატკეცი. № 5 თხრილში (სიღრმე 0,2-0,9 მ) 0,3 მ-ის სიღრმეზე შავი ფერის ჰუმუსის ფენაში აღმოჩნდა მუსტიეს ეპოქის იარაღები (ტაბ. V<sub>6</sub>; VII<sub>3,7</sub>) და მეზოლითური იერის მცირე ზომის რეტუშირებული ანატკეცი (ტაბ. IV<sub>4</sub>). № 7 თხრილში (სიღრმე 0,3-0,6 მ) 0,5 მ-ის სიღრმეზე, შავი ჰუმუსის ფენაში დაფიქსირდა 3 დაუმუშავებელი ანატკეცი, მათ შორის 1 ც. მუსტიერული იერისაა, 2 წარმოების ნარჩენია. № 25 თხრილში (სიღრმე 0,35-0,4 მ) 0,35-0,38 მ-ის სიღრმეზე, მოყვითალო ფერის თიხის ფენაში აღმოჩნდა გაპობილი ობსიდიანის 68 ეგზემ-

პლარი. ამასთანავე 0,35 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მინის ჭურჭლის 1 ფრაგმენტი, ამავე სიღრმეზე დაფიქსირდა ობსიდიანის იარაღები, რომლებიც ქვის ხანის სხვადასხვა ეტაპით თარიღდება: მუსტიეს (ტაბ. VII<sub>12</sub>; ტაბ. V<sub>3</sub>), გვიან მეზოლითი – ადრე ნეოლითის (ტაბ. I<sub>10,20</sub>; ტაბ. III<sub>20</sub>), გვიან ნეოლითი-ადრე ენეოლითის (ტაბ. X<sub>4</sub>) ეპოქით. 0,38 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა 2 იარაღი (ტაბ. III<sub>16</sub>; ტაბ. V<sub>8</sub>), რომლებიც მიეკუთვნება მეზოლითის ბოლოს – ნეოლითის დასაწყისს და მუსტიეს ხანას. № 31 თხრილში (სიღრმე 0,3 მ) 0,25 მ სიღრმეზე, შავი ფერის ჰუმუსის ფენაში აღმოჩნდა 2 ც. დაუმუშავებელი პირზმისებური ლამელა (ტაბ. I<sub>6</sub>; ინვ. № 256 (სიგანე – 1,6 სმ) და საფხეცი (ტაბ. II<sub>21</sub>), რომლებიც მიეკუთვნება მეზოლითის დასასრულის – ნეოლითის დასაწყისს. № 32 თხრილში (სიღრმე 0,5 მ) 0,45 მ დონეზე შავი ფერის ჰუმუსურ ფენაში დაფიქსირდა მუსტიეს ხანის იარაღი (ტაბ. V<sub>7</sub>) და მოგვიანო ხანით დათარიღებული სატეხი (ტაბ. VI<sub>5</sub>).

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ № 5, 25 და 32 თხრილების ქვედა კულტურულ ფენაში აღმოჩნდა არეული მასალა, რომელიც დაკავშირებულია როგორც ყვითელი ფერის თიხის ფენასთან, ასევე შავი ფერის ჰუმუსის ფენასთან. დანარჩენ თხრილებში აღმოჩნდა თითო არტეფაქტი, რომელიც თარიღდება ერთი არქეოლოგიური პერიოდით. ამასთანავე, სხვადასხვა თხრილებში აღმოჩნდილი ერთი პერიოდის არტეფაქტები დაფიქსირებულია სხვადასხვა გეოლოგიურ ფენაში.

მუსტიეს ანატკეცებზე დამზადებული იარაღი 18 ეგზემპლარის ითვლის. ისინი სხვადასხვა ფორმის სახოკებითა და საფხეცებით არის წარმოდგენილი (14 ც.), რომლებიც გაფორმებულია დამაბლაგვებელი რეტუშით ან ფართო ჩამოთლის მეშვეობით იარაღის ერთი ან ორივე ზედაპირის გასწვრივ (ტაბ. V<sub>1,3,4-10</sub>; ტაბ. VI<sub>6</sub>; ტაბ. VII<sub>1,2,5-6</sub>); აგრეთვე ისინი წარმოდგენილია ამოდარული იარაღებით (ტაბ. V<sub>2</sub>; ტაბ. VII<sub>3,4,7</sub>).

მეზოლითის დასასრულითა და ნეოლითის დასაწყისით დათარიღებული იარაღების უმრავლესობა წარმოდგენილია საფხეცებით, რომლებიც მცირე ზომისაა და მიკროანატკეცებზე დამზადებული, იშვიათად – საშუალო ზომის ანატკეცებზე (49 ც.), საფხეცების წამყვან ჯგუფს წარმოადგენს ის იარაღები, რომელთა სამუშაო პირი, როგორც წესი, გაფორმებულია მთელი პერიოდის გასწვრივ საპირისპირო დამაბლაგვებელი რეტუშის მეშვეობით. ეს იარაღები განსხვავდება ერთმანეთისაგან ფორმით. არის ოვალური – 11 ც. (ტაბ. II<sub>14,16-22</sub>), მომრგვალო – 16 ც. (ტაბ. II<sub>19,11-13,15</sub>), ოთხკუთხედისმაგვარი – 9 ც. (ტაბ. III<sub>10-16</sub>), სამკუთხედისმაგვარი – 3 ც. (ტაბ. III<sub>6-8</sub>), ამოდარული – 2 ც. (ტაბ. II<sub>10</sub>; ტაბ. III<sub>17</sub>). წარმოდგენილია საფხეცები სამუშაო პირით მთელი პერიოდის გაყოლებით, რომელიც ზურგის მხრიდან ციცაბო რეტუშითაა

გაფორმებული – 3 ც. (მათგან 2 ოვალური და 1 მომრგვალო (ტაბ. III<sub>1,3</sub>) და ბოლოს, არის საფხეკები, რომელთაც სამუშაო პირები გაფორმებული აქვთ ციცაბო რეტუშით ზურგის მხრიდან ანატკეცის ერთი ან ორი კიდის გასწვრივ – 5 ც. (ტაბ. III<sub>18,22</sub>).

სუსტად გამოხატული სახვრეტები – 9 ც. თითქმის ყველა შერწყმულია საფხეკთან. მათ მოკლე, ონდავ გამოყოფილი ან გამოუყოფელი წვეტები აქვთ (ტაბ. II<sub>4,11,20</sub>; ტაბ. III<sub>6,9,11,21,22</sub>). 1 ორმაგი სახვრეტი დამზადებულია მიკროლამელაზე, რომელსაც ზურგი დაბლაგვებული აქვს (ტაბ. I<sub>2</sub>).

აქვე წარმოდგენილია წვრილი და საშუალო რეტუშიანი ანატკეცები – 28 ც. ამათში გვხვდება ანატკეცები წვრილი დამაბლაგვებელი რეტუშით მუცლის ან ზურგის მხრიდან – 13 ც. (ტაბ. IV<sub>10,20-22</sub>), წვრილი გამაფხიანებელი რეტუშით მუცლის ან ზურგის მხრიდან – 9 ც. (ტაბ. IV<sub>3-6,8,9</sub>); ფართო გამაფხიანებელი რეტუშით ზურგის მხრიდან – 6 ც. (ტაბ. IV<sub>1,2,7,15-17</sub>). ამათგან ბოლო სამი იარაღი გარკევეულწილად ისრისპირებს მოგვაგონებს.

აღმოჩენილია რეტუშირებული ლამელები, რომელთა სიგანე 1,2-1,8 სმ-ია – 7 ც. მათგან ლამელები წვრილი დამაბლაგვებელი რეტუშით მუცლის მხრიდან ერთი კიდის გასწვრივ – 1 ც. (ტაბ. I<sub>8</sub>); წვრილი დამაბლაგვებელი და წვრილი გამაფხიანებელი რეტუშით ორივე კიდის გასწვრივ ზურგის მხრიდან – 2 ც. (ტაბ. I<sub>3,4</sub>); წვრილი გამაფხიანებელი რეტუშით ერთი კიდის გასწვრივ მუცლის ან ზურგის მხრიდან, 3 ც. (ტაბ. I<sub>5,9,21</sub>); ორი კიდის გასწვრივ ზურგის მხრიდან – 1 ც. (ტაბ. I<sub>7</sub>). არსებობს 1 მიკროლამელა წვრილი გამაფხიანებელი რეტუშით ზურგის მხრიდან ერთი კიდის გასწვრივ (ტაბ. I<sub>1</sub>).

საჭრისები ცოტაა – 6 ც. ერთის გარდა, ყველა კუთხოვანია, დამზადებული ანატკეცების ქვედა ბოლოებზე (ტაბ. IV<sub>1,13,14,18,19</sub>). 1 ც. გაფორმებულია მცირე ზომის ანატკეცის ნატეხის კუთხეზე (ტაბ. IV<sub>12</sub>).

წარმოდგენილია სატეხისებური იარაღები – 6 ც. მათგან 5 ც. გაფორმებულია მცირე ზომის ანატკეცებზე, ერთი სამუშაო ბოლო აქვთ (ტაბ. VI<sub>1-5</sub>). 1 ეგზემპლარი დიდი ზომის სატეხისებურ იარაღს წარმოადგენს (ტაბ. VI<sub>7</sub>).

აი-ილიას კოლექციაში გეომეტრიული მიკროლითების არარსებობა და მიკროლამელების ერთეული ეგზემპლარები შეიძლება, გარკევეულწილად, შემთხვევითობა იყოს გათხრითი სამუშაოების დროში და ტერიტორიულად შეზღუდული შესაძლებლობებისა და კულტურული ფენის დაზიანებულობის გამო. აქ უნდა აღინიშნოს დაბალი და სწორწახნაგოვანი ტრაპეციის ფორმის გეომეტრიული მიკროლითის აღმოჩენის ფაქტი სამი დამუშავებული კიდით, რომელიც გვხვდება როგორც მეზოლითის პერიოდში, ასევე ნეოლითში. ეს მიკროლითი მეზობელ ტერიტორიაზე – ელი-ბაბაზეა აღმოჩენილი, სადაც

გათხრების დროს ძალიან მსგავსი ქვის მასალა აღმოჩენდა. ყველაფერი ეს საშუალებას გვადლევს ვივარაუდოთ, რომ აი-ილიაზე შეიძლებოდა ყოფილიყო გეომეტრიული მიკროლითები, უფრო სავარაუდოა მცირე რაოდენობით. ეს ვარაუდი, და აგრეთვე, ანატკეცებზე დამზადებული მრგვალი და ოვალური საფხეკების წამყვანი მდგომარეობა, უმრავლესად მცირე ზომისა და მიკრო, მათ ზორის ამოდარული ფორმისა; მცირე ზომის სწორი ფორმის პრიზმისებური ლამელების არსებობა ოთხწახნაგოვანი ზურგით, რომლებიც შეიძლებოდა მოხსნილი ყოფილიყო ფანქრისებური ნუკლუსებიდან; პრიზმისებური ლამელების არსებობა, რომლებიც ფორმითა და ზომებით ამავე რეგიონის ბაზრის მეზოლითური ძეგლების ბაზალტის ლამელების მსგავსია [6, გვ. 90-91, ტაბ. XXVIII]; ორი მიკროლამელის არსებობა რეტუშირებული ზედაპირით და სამი პრიზმისებური მიკრონუკლეუსის არსებობა, – ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს, რომ წარმოდგენილი ნეოლითის პერიოდისათვის მიგვეკუთვნებინა. უნდა აღინიშნოს, რომ წვრილი მრგვალი საფხეკები, რომელთაც რეტუში მთელი პარამეტრის გასწვრივ აქვთ, წარმოდგენილია თრიალეთის მეზოლითის ყველა ძეგლზე. მაგრამ იქ მათი უმრავლესობა გაფორმებულია რეტუშით ზურგის მხრიდან [1, გვ. 34, ტაბ. III<sub>2</sub>; 6, გვ. 90-91, ტაბ. XXVII-XXVIII; 2, გვ. 5-8, ტაბ. I-VI]. საპირისპირო რეტუშის გამოყონების სიჭარე შეიძლება მოწმობდეს მასალის გარაპეულ თავისებურებაზე აი-ილიას სადგომზე და აგრეთვე მეზობელ ადგილსამყოფელზეც – ელი-ბაბაზე და სანთაზე, სადაც მსგავსი ქვის ინვენტარია და რომლებიც აგრეთვე წალკაში ნაკთობრასის გასწვრივ იყო გამოკვლეული. და უკვე ამის გამო მოცემული მასალა ინტერესს იწვევს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აი-ილიას სადგომისა და გუდალეთის მეზოლითური სადგომების ინვენტარის გასაოცარი მსგავსება. ეს უკანასკნელი განლაგებულია კასპის რაიონის ტერიტორიაზე სოფელ გუდალეთის ჩრდილოეთით 2 კმ-ზე [7, გვ. 92-94, ტაბ. XXIX-XXXII]. ამ სადგომის კულტურული ნაშთები აღმოჩენილია არც ისე მაღალ მთიან პლატფორზე, სადაც ნიადაგის ფენის სისქე კლდოვან საფუძლამდე დიდი არ არის – 40-55 სმ. კულტურული ნაშთები გადაადგილებული იყო, რადგანაც ეს ადგილი ყოველწლიურად იხვნება. და მხოლოდ უმნიშვნელო სისქეს გაყოლებაზე უფრო მკრივი ნიადაგის ფენისა (5-15 სმ), რომელიც კლდოვან საფუძლებზე იდო ზედაპირიდან 40 სმ სიღრმეზე, დაფიქსირებული იყო კულტურული ფენია in situ. გუდალეთის სადგომის ქვის ინვენტარი თითქმის მთლიანად დამზადებულია ანატკეცებზე, უმეტესად მცირე ზომისაა, ხოლო ზშირად ძალიან წვრილია, ფორმით აი-ილიას მსგავსი. იარაღების სამუშაო ბოლოები მზადდე-

ბოლა ანატექცების ნებისმიერ ზედაპირზე, დარტყმის მოედნის მხრიდანაც კი. ფართო მასშტაბით იარაღების გაფორმებისას იყენებდნენ საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე დამაბლაგვებელ რეტუშეს. ინვენტარის თითქმის ნახევარი საფხეკებითაა წარმოდგენილი, რომელიც ზომით, ფორმითა და დამზადების ხერხით აი-ილიას სადგომის საფხეკებს იმეორებს, მათ შორის საფხეკებს შერწყმულს სახვრეტებთან. სატეხებს ერთი სამუშაო ბოლო აქვთ. საჭრისები ცოტა, ისინი, აგრეთვე, კუთხოვანი ტიპებითაა წარმოდგენილი. მცირეოდენი რაოდენობითაა სახოკები. ლამელები – 5 ც., სიგანე 1,1 სმ-დან 3 სმ-მდე, ორ- და სამწახნაგოვანია. ნუკლეუსები მცირე ზომისაა, ან მთლიანად წვრილი, პირზომისებური და ამორფულია. გუდალეთის სადგომის ქვის ინვენტარისთვის მასალად გამოიყენებოდა ფერადი კაჟი, რომლის საბადოები მახლობლად არის განთავსებული. კერამიკა არ არის აღმოჩენილი; ძვლები შემორჩენილი არ არის. აი-ილიასა და გუდალეთის სადგომების ინვენტარის ასეთი გასაოცარი მსგავსება, თუმცადა ისინი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვანი მანძილითაა დაშორებული, ჩვენი შეხედულებით, შეიძლება უბრალო შემთხვევითობა არ აღმოჩნდეს.

აგრეთვე დიდ ინტერესს იწვევს აი-ილიას ქვის ინვენტარში დიდი ზომის ფართო ლამელების არსებობის ფაქტი, რომელიც წააგავს იმათ, რომლებიც ჩვენთვის შომუ-თევეს კულტურის დაბლობის ნამოსახლარებიდან არის ცნობილი. აქ ისინი ცოტა – 14 ც. (ტაბ. IX-X), შორის იარაღების ჩათვლით (8 ც.).

მათ შორისაა 1 ბოლოკიდურა საფხეკი, გაფორმებული 3,4 სმ სიგანის სწორი ფორმის ლამელაზე, რომელსაც ოვალური ფორმის დახრილი სამუშაო პირი აქვს (ტაბ. IX).

აი-ილიაზე პრიზმისებური რეტუშირებული ლამელები 5 ცალია (4 ც-ის სიგანე 2,8-3,0 სმ; 1 ცალისა – 2,3 სმ, წარმოადგენს ზედა წვეტის ნატეხს). მათ შორის წარმოდგენილია ლამელები, რომლებსაც ორი კიდის გასწვრივ აქვთ საპირისპირო განლაგებული წვრილი გამაფხიანებელი რეტუში – 1 ც. (ტაბ. IX<sub>4</sub>). ზურგის მხრიდან ორი კიდის გასწვრივ – 1 ც. (ტა. IX<sub>7</sub>), ზურგის მხრიდან ერთი კიდის გასწვრივ – 1 ც. (ტაბ. IX<sub>5</sub>), მუცლის მხრიდან ერთი კიდის გასწვრივ – 1 ც. (ტაბ. IX<sub>8</sub>); ფართო გამაფხიანებელი საპირისპირო მდებარე რეტუშით ორი კიდის გასწვრივ, რომელიც დაკილულობას ქმნის – 1 ც. (ტაბ. IX<sub>6</sub>).

ამ ინვენტარში გამოიყოფა ორმაგი საჭრისი, 1 ცალი, რომელიც დამზადებულია 2,4 სმ სიგანის ლამელის ნატეხის კუთხეზე წვრილი გამაფხიანებელი რეტუშით ზურგის მხრიდან ერთი კიდის გასწვრივ (ტაბ. IX<sub>2</sub>).

ერთი ბურლი გაფორმებულია ზურგის მხრიდან 2,5 სმ სიგანის მასიური ორწახნაგოვანი ლამელის ქვედა ბოლოზე. სამუშაო წვეტი ოდნავ გამოყოფილია (ტაბ. IX<sub>3</sub>). მსგავსი ლამელების არსებობა, რაც შულავერი-შომუ-თევეს

კულტურის ინვენტარშია ფართოდ გავრცელებული, არ შეიძლება მკვლევარის ინტერესს არ იწვევდეს, როცა საუბარია შესაძლო გენეტიკურ კავშირზე.

დროის მიხედვით მათი შესაბამისი კერამიკა არ იყო აღმოჩენილი. კერამიკის ყველაზე ადრეული ფრაგმენტები გვანი ბრინჯაოს პერიოდს მიეკუთვნება. გარდა ამისა, აი-ილიას ინვენტარის ტრასოლოგიური ანალიზის შედეგად (კერამიკის განსაზღვრებები) არც ერთი ნამტვის ჩანართი დაფიქსირებული არ არის. სავარაუდოდ დიდი ზომის ლამელები და მათგან დამზადებული იარაღები მიეკუთვნება ნეოლითის გვიანდელ პერიოდს, როდესაც მსხვილლამელოვანი ტექნიკის ჩასახვა ხდება.

აი-ილიას სადგომის მთელი ინვენტარის ტრასოლოგიური ანალიზის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მათ შორის წარმოდგენილია იარაღები ცხოველის ხორცის აქნისათვის, ტყავის დამუშავებისათვის, მუშაობისათვის მაგარ მასალაზე – ძვალზე, რქაზე და ხეზე, სამკაულების, შორის იარაღების დამზადებისათვის [5, გვ. 52]. უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო კულტურულ ნაშთებში ორგანული ნივთიერებები ჩვენს დრომდე ვერ გადარჩა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აი-ილიას სადგომის მაცხოვებლების ძირითადი საქმიანობა ნადირობა იყო, ხოლო, ქვის პერიოდის გვიანდელ ეტაპზე, შესაძლებელია, ახლადაღმოცენებული მიწათმოქმედება დამეცხოველეობა.

## L. Chelidze

### NEW SITE OF THE STONE AGE IN TSALKA (Summary)

The Ai-IIia open station is located on a fairly even mountainous plateau (1683.1 m above the sea level) inclined from the east to south, in Tsalka district between the villages of Beshtasheni and Santa, to the North of the Tsalka water reservoir. The excavations were carried out by the Tsalka Archaeological Expedition (director: G. Narimanishvili).

Archaeological ditches were quite shallow – 0.15-0.5 m deep, occasionally 1.2-1.4 m until they reached rocky ground. The total area of excavations that yielded fragments of pottery and flaked obsidian equals 1120 sq. m. The earliest fragments belong to the Late Bronze Age. 818 examples of split stones were attested. 132 reveal traces of secondary treatment. The rest of the material represents small nuclei, flakes, plaques, fragments without any treatment.

Technical-typological study of the material, along with analysis of its depth of occurrence, has

shown that the cultural layer contains mixed fragments of split obsidian belonging to the three different stages of the Stone Age – Mousterian, Later Mesolithic-Early Neolithic and Later Neolithic-Early Aeneolithic.

The earliest stage is represented by scrapers and socketed tools made of Mousterian flakes. The following artifacts belong to the final stage of Mesolithic-Early Neolithic: quantities of small rounded or oval scrapers along with scrapers of different shapes made of small flakes, narrow and elongated plaques with or without any treatment; the small number of drills, points and chisels made of small flakes, retouched or not-retouched nuclei; single finds of micro-plaques and micro-nuclei. The archaeological material from Ai-IIia somewhat differs from the Trialeti Mesolithic sites by peculiar treatment, manifested in the technique of shaping. The bulk of scrapers in Ai-IIia are retouched along the perimeter and cross-hatched pattern applied, while similar scrapers from Edzani, Zurtaketi, Bavri are retouched in one direction.

The last stage of the Stone Age is represented by large broad plaques and tools made of them: pointed scrapers, double cutting tool worked on the broken-off edge, point or drill, retouched plaques. Retouched plaques of similar type are widespread in the obsidian inventory of the Shulaveri-Shomutepe valley culture and it is precisely this that makes the late stage of the Stone Age finds from Ai-IIia interesting.

### ლიტერატურა

1. გაბუნია მ., თრიალეთის მეზოლითური კულტურა. თბ., 1976.
2. გაბუნია მ., წერეთელი ლ. კავკასიის მეზოლითური კულტურები. – ძიებანი, № 12, 2003, გვ. 5-30.
3. ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ., შან-შაშვილი ნ. წალკის რაიონში 2002 წლის სექტემბერში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. თბ., 2003 (ხელნაწერი). ინახება არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში.
4. ნარიმანიშვილი გ. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების წინასწარული ანგარიში. თბ., 2003 (ხელნაწერი). ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.
5. ნარიმანიშვილი გ., დაგლიანიძე რ., მინდორაშვილი გ., მახარაძე ზ., კვაჭაძე მ., შანშაშვილი ნ., ჭელიძე ლ. აი-ილიას (BPGA-6) ნამოსახლაზე 2003 წელს ჩატარებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში. – თბ., 2004 (ხელნაწერი). ინახება არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში.

**6. გაბუნია მ. გ.** ბავრская пещера. – Палеолит Кавказа и сопредельных территорий. Тб., 1990, с. 89-91.

**7. ჭელიძე ლ. მ.** Гудалетская стоянка каменного периода. – Палеолит Кавказа и сопредельных территорий, Тб., 1990, с. 92-94.

### სურათების და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1. C და D უბნები. თხრილი X. გეგმა და ჭრილები

სურ. 2. D უბანი. თხრილი X. გეგმა და ჭრილები.

ტაბ. I-X. აი-ილიას სადგომის ქვის ინვენტარი.


### Description of the figures and plates


Fig. 1 – Plots C and D. Trench X. Plan and sections.

Fig. 2 – Plot D. Trench X. Plan and sections.


Pl. I-X – Stone finds from Ai-IIia site.


# ঘোষ. ।






♂♂. III







გაბ. V




ѲѲð. VI





ঁৰ. VII





გაბ. IX





## ახალიქმის ხანის მასალა ურთის ნამოსახლარი

ურთის ნამოსახლარი 60 წელზე მეტია, რაც ცნობილია, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მასალები დღემდე არ არის შესწავლილი და გამოქვეყნებული.

ჯერ კიდევ 1940 წელს არქეოლოგმა ნინო ხოშტარიამ მდ. ენგურის ხეობაში ჩატარებული დაზერვებისას სოფ. ურთაში (ზუგდიდის რ-ნი) შეკრიბა ზედაპირული მასალა და გააკეთა ორი სადაზერვო თხრილი, რომელშიც 60-70 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა ნეოლითური იერის მასალა. თავის საველე მუშაობის ანგარიშში 6. ხოშტარია აღნიშნავდა, რომ ურთის მთის რაიონი ადრეც ყოფილა ცნობილი ახალიქვის ხანის იარაღების აღმოჩნით, რომლებიც ინახება ფოთისა და ზუგდიდის მ-ზეუმებში. მისი აზრით კულტურული ფენა უძრავი (in situ) იყო. ძეგლი ერთფენიანია და ნაშთები იმყოფებოდა პირველად დანალექ მდგომარეობაში [4, გვ. 16].

70-იან წლებში ქვის ხანის ძეგლების გამოვლენის მიზნით ენგურის ხეობაში დაზერვითი სამუშაოები ჩატარა არქეოლოგმა გ. გრიგოლიამ და აგრეთვე შეაგროვა ზედაპირული მასალა, რომელიც ისევე, როგორც 6. ხოშტარიას მიერ მოპოვებული, გამოუქვეყნებულია და დღეს მის შესახე, არაფერის თქმა არ შეგვიძლია.

1985 წელს აპრილის თვეში არქეოლოგიური კლევის ცენტრში მოვიდა სოფ. ურთის მცხოვრების აღ. ბოხუას შეტყობინება, რომ სოფლის მახლობლად, ურთის მთის ძირას მდებარე მღვიმეს, რომელიც შესაძლოა პირველყოფილი ადამიანის სადგომი ყოფილიყო, სრული განადგურება ელოდა, მთაზე კირის კარივრის ამოქმედების გამო. საჭირო გახდა სასწრაფო ზომების მიღება, რის გამოც მაშინვე ხუთი დღით ვიყავი მივლინებული სოფ. ურთაში.

სოფ. ურთა მდებარეობს ზუგდიდის სამხრეთით 8 კმ დაშორებით, მდ. ჯუმის (ენგურის შენაკადი) შუა დინებაზე, მდ. ჯამპონაგალის (ჯუმის შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, ურთის ჩრდილო-დასავლეთით, შავი ზღვიდან პირდაპირ ხაზზე დახლ. 20 კმ მანძილზე.

ჩასვლისთანავე დავათვალიერე მდგიმე. მისი ერთი შესასვლელი უკვე ამოქოლილი აღმოჩნდა ლოდებით, ხოლო მღვიმის მეორე შესასვლელმა, რომელიც 10-15 მეტრით მაღლა მდებარეობს, მიიქცია ჩვენი ყურადღება, რის გამოც ამავე წლის აგვისტოში თერჯოლის არქეოლოგიურ ექსპლიციაში მუშაობისას განმეორებით ჩავედი სოფ. ურთაში. მდგიმეში გავაკეთე საცდელი თხრილი (ზომა 2x1,5 მ), მაგრამ ადამიანის ცხოვრების ვერავითარი კვალი ვერ შევნიშნე.

სამაგიეროდ შედეგიანი აღმოჩნდა სოფელში არსებული ერთი ბორცვის დათვალიერება, რო-

მელზედაც ორი მოსახლის კარმიდამოა განლაბებული. ზედაპირულად შევაგროვე მეტად საყურადღებო ხელითური იერის მასალა. სამწუხაროდ, საკარმიდამოზე არ მოხერხდა საცდელი თხრილის გავლება. ბორცვის ჩრდილო ფერდობზე შევამჩნიო დაუმუშავებელი ნაკვეთი, სადაც დავიწყეთ თხრილის გავლება, მაგრამ განუწყვეტელი წვიმებისა და შეზღუდული დროის გამო შეუძლებელი გახდა მუშაობის გაგრძელება. შემდეგ წლებში ვაპირებდი მუშაობის განახლებას ძეგლზე, მაგრამ ამ რეგიონში შექმნილი ობიექტური პირობების გამო ეს არ მოხერხდა. მიუხდავად ძეგლზე ჩატარებული მოკლევადანი და ზერვებისა, მასზე შევაგროვეთ დიდი და მეტად ძეტყველი ნეოლითური კოლექცია.

წინამდებარე წერილის მიზანია ჩემს მიერ მოპოვებული კოლექციის გამოქვეყნება, მისი სამეცნიერო მიმღებელი შეყვანა.

კოლექცია შედგება 702 ქვის ნაკეთობისაგან, რომელთაგან 139 ერთეული (19 % მასალის საერთო რაოდენობიდან) იარაღებია. დიდი რაოდენობითაა წარმოების ნარჩენები, რომლებშიც გამოიყოფა კაჟის ნუკლეუსების მკაფიო, დიდი ჯგუფი (60 ერთეული), რაც მასალის საერთო რაოდენობის 8,6 %-ს შეადგენს. ყოველი მათგანი გამოირჩევა დაზეწილი ფორმებით. მათზე არსებული ნეგატივების მიხედვით ჩანს, რომ ატკეცილი უნდა ყოფილიყო საკმაოდ სწორი მოყვანილობის დანისებური ლამელები და მიკროლამელები. მათ შორის ძირითადად გახვდება პრიზმისებური ორფუძიანი და ერთფუძიანი ცალები. კონუსისებური და ფანქრისებური ნუკლეუსები (ტაბ. I). ეს ნუკლეუსები ძირითადად იმეორებენ ოდიშის ნამოსახლარის ნუკლეუსთა ფორმებს.

წარმოების ნარჩენების უდიდეს ნაწილს კაჟის ანამტვრევები შეადგენს (503 ერთეული), რაც მასალის 72 % უდრის. ყოველ მათგანს შერჩენილი აქვს დარტყმის მოედანი და შესაბამისი ბურცობი. მათგან კაჟის მასიური ანატკეცილი 184 ერთეულია, ხოლო საშუალო და მცირე ზომის – 319 ც.

ლამელები ჩვენს კოლექციაში 28 ცალია (4,0 %), მათი ასეთი სიმცირე, უნდა ვიფიქროთ, შემთხვევითია, რადგან შეუძლებელია ასეთი დიდი რაოდენობით აღმოჩნილი ნუკლეუსებიდან ატკეცილი ლამელები უკვალოდ გამჭრალიყვნენ. მომავალი კვლევისას მათი რაოდენობა უეჭვლად გაიზრდება.

კაჟის იარაღები წარმოდგენილია საფხექბით, საჭრისებით, სახვრეტით და დაკბილული იარაღით.

საფხექბები (5 ერთ.). ყოველი მათგანი დამზადებულია სქელ ანატკეცზე (ტაბ. II<sub>6-10</sub>). მათგან ორი კიდურაა, ერთი კი, ამოღარული. ერთი სა-

\* წაგითხულია 1989 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო სეისაზე.

ფხეკი (ტაბ. II<sub>10</sub>) ორმხრივ ირგვლივაა დამუშავებული.

საჭრისები (5 ერთ.) (ტაბ. II<sub>15</sub>) სქელ ლამელისებურ ანატკეცზეა ნაკეთები. მათ შორის არის ირიბი, კუთხის და სწორი საჭრისები.

აღსანიშნავია ერთი ორგვერდდაკბილული ლამელა (ტაბ. II<sub>11</sub>), რომელიც სამკელი დანის ჩასართად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

კოლექციაში გვაქვს ერთი სახვრეტი, 3 რეტუშორი, 6 ლამელისებური ანატკეცი და 1 წვეტანა, რომელიც წააგავს მუსტიერუს.

უნდა აღინიშნოს, რომ კაჟის იარაღები დამზადებულია მაღალი ხარისხის კაჟისაგან, რომლის გამოსავლებსაც, რამდენიმე ადგილს მივაკვლიერ მდ. ჯუმის ნაპირზე.

წამყვანი ადგილი კოლექციაში მაკროლითებს ანუ ორმხრივი ათლის ტექნიკთ რიყისქვის (19 ც.) ან კირქვიერი კაჟისაგან (39 ც.) დამზადებულ იარაღებს უჭირავს. სულ 58 ერთეულია (ტაბ. III, ტაბ. IV<sub>4</sub>). მაკროლითები მიწის დასამუშავებელ იარაღებადა მიჩნეული. კოლექციაში ძირითადად წერაქვისებური მაკროლითებია.

ურთის ნამოსახლარზე აღმოჩნდა რიყისქვის გახეხილ-გაპრიალებული სოლისებური ცულები (10 ც.) (ტაბ. IV<sub>2</sub>; ტაბ. V), და მათი ნამზადი (6 ც.). კოლექციაში გვაქვს რიყისქვის 4 სატეხ-სათლელი და სატეხის ნამზადები (3 ც.). აღსანიშნავია სამი თოხისებური იარაღი და ერთი თოხი, რომლის მსგავსი ჯერჯერობით არ არის აღმოჩნილი არც ერთ ნეოლითურ ნამოსახლარზე (ტაბ. IV). კოლექციაში გვაქვს 2 ხელსაფეხვავის ფრაგმენტი (ტაბ. VI<sub>2</sub>) და 7 სანაყ-საბეგველი, რომლებიც მარცვლეულის დასანაყად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არის რიყის ქვის საჩეხი იარაღებიც.

კერამიკა ჩვენს კოლექციაში არ არის, რაც უნდა აიხსნას მოკლევადიანი დაზვერვებით და შესაძლოა ზედაპირულად მისი დაშლით. 6. ხოშტარიას კოლექციაში ყოფილა კერამიკაც და მიკროლითებიც, რის შესახებაც იგი აღნიშნავს თავის ანგარიშში. უნდა ვითიქროთ, რომ ძეგლის შემდგომი კვლევისას ეს დანაკლისი შეივსება.

ურთის ნამოსახლარის მასალას ახლო პარალელი გააჩნია დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებთან, კერძოდ ოდიშის ტიპის ნეოლითური ნამოსახლარების მასალებთან. უპირველეს ყოვლისა ეს სიახლოვე ვლინდება ქვის როგორც პირველადი, ისე მეორადი დამუშავების ტექნიკაში, აგრეთვე იარაღების ტიპოლოგიაში [2, გვ. 47-55].

ურთის იარაღების ერთი ნაწილი, კერძოდ ცულები, სატეხები და სათლელები დამზადებულია გახეხვა-გაპრიალების ანალოგიური ტექნიკით, რაც ახასიათებს ოდიშს, ანასეულ II-ს, კისტრიკსა და საერთოდ ამ ჯავუფში შემავალ ძეგლებს [2, გვ. 79]. დიდი სიახლოვე შეინიშნება აგრეთვე ტიპოლოგიაში. ურთის ცულები და სატეხ-სათლელები იმეორებენ ოდიშის ტიპის ძეგლების იარაღთა ფორმებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვის იარაღების დამუშავების მაკროლითური ტექნიკა. ქვის იარაღების დამუშავებაში ხეხვა-გაპრიალების ტექნიკასთან ერთად უპირატესობა ენიჭება მაკროლითურ ტექნიკას. ე.ი. იარაღების ორმხრივი ათლის საშუალებით დამზადების ხერხს. ასეთი ხერხითაა დამზადებული ოდიშის [2, გვ. ტაბ. XXII<sub>1,3-4</sub>], კისტრიკისა [3, გვ. 286] და თეთრამიწის წერაქვისებური იარაღები [1, გვ. 256], რომლებსაც სამიწათმოქმედო ფუნქცია მიეწოდება. ურთის წერაქვისებური მაკროლითური იმეორებენ ოდიშისა და კისტრიკის მაკროლითების ფორმებს. განსხვავება იმაშია, რომ ურთის ჩვენეულ კოლექციაში არ არის პირფართო თოხისებური მაკროლითები. სამაგიეროდ აქ თოხი სხვა ფორმისაა, რომლის მსგავსი, როგორც აღვნიშნეთ, არ არის ცნობილი ოდიშის ჯგუფის ძეგლების მასალებში.

აღსანიშნავია რეტუშის ხასიათის ანალოგიურობა. მირითადად გვხვდება მაღალი და დამრეცი რეტუშით დამუშავებული იარაღები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს კოლექციაში სულ 5 საფხეკია, შეიმჩნევა აშკარა მსგავსება ოდიშის ტიპის ძეგლების საფხეკებთან, როგორც რეტუშის ხასიათში, ასევე მის ფორმებში.

ურთის კოლექციის ძირითადი კომპონენტების ახლო პარალელები ოდიშისა და კისტრიკის მასალებთან საშუალებას გვაძლევს ურთის ნამოსახლარი მივაკუთვნოთ ოდიშის ტიპის ძეგლთა ჯგუფს და გვიანენელითით დავათარიღოთ. გვიანი ნეოლითი დღესდღეობით ძვ.წ. VII ათასწლეულით თარიღდება. შემდგომი კვლევა-ძიება ურთის თარიღს კიდევ უფრო დააზუსტებს.

ამჯერად კი გვინდა აღნიშნოთ, რომ ურთის კოლექციის სახით გვაქვს აღრესამიწათმოქმედო ქულტურის კიდევ ერთი საინტერესო ძეგლი, რომლის შემდგომი შესწავლა და ადრე აღმოჩნილი მასალების გათვალისწინება გარკვეულ წვლილს შეიტანს ნეოლითური კულტურის შესწავლაში.

## G. Tortladze

### MATERIALS FROM THE NEOLITHIC PERIOD SETTLEMENT OF URTA (Summary)

The Urta settlement (Zugdidi district) was known for more than 60 years, but archaeological materials have not been published until now.

A fairly expressive collection was gathered during archaeological survey in the village of Urta. The comparative-typological analysis of these artifacts revealed that the settlement belongs to Odishi type remains, dated to the later Neolithic – 7<sup>th</sup> millennium B.C.

## ლიტერატურა

1. კილაძე (ბერძენიშვილი) 6. ახალიქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან. – მსკი, ნაკვ. 29, თბ., 1951, გვ. 237-264.
2. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ., 1972.
3. ლუკინ А. Неолитическое селище Кистрик близ Гудаут. – СА, XV, 1950, с. 247-286.
4. ხოშთარია Н. В. Археологические разведки в бассейне р. Энгурци в 1940 г. тბ., 1940, (ხელნაბეჭდი), ინახება 6. ხოშტარიას არქივში.

## ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I – ნუკლეუსები.
- ტაბ. II – 1-5. საჭრისები; 6-10. საფხეკები; 11. დაკბილული ლამელა.
- ტაბ. III – წერაქვისბური მაკროლითები.
- ტაბ. IV – 1. თოხი; 2. ცული; 3. წერაქვისებური მაკროლითი.
- ტაბ. V – ცულები.
- ტაბ. VI – ხელსაფქვავის ფრაგმენტები.

## Description of the Plates

Pl. I – nucleuses


Pl. II – 1-5. cutter; 6-10. scraper; 11. jagged lamella.

Pl. III – pickaxe-like macroliths.


Pl. IV – 1. hoe; 2. axe; 3. pickaxe-like macrolith.


Pl. V – axes.

Pl. I – fragments of a quern.




♂♂δ. II






ঘো. IV




0 3




2

3

ঘোষ. V




1



2

0 3

ঋঢ. VI



## ძმინდეს ქვემოთ მოცემული ნამოსახლარი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ძევრის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ნ. კილაძე) (ბერძნიშვილი) 1952 წელს მღვიმე საგვარჯილის შესწავლის პარალელურად სადაზვერვო თხრილები გაივლო მღვიმის მახლობლად მდებარე ძევრის ბორცვზე, რომელზედაც უძველესი ნამოსახლარის არსებობა დადასტურდა. აღნიშნული სამუშაოს ჩატარება დაევალა ექსპედიციის წევრს, მაშინდელ ასპირანტს, შემდგომ ქვისხანის არქეოლოგიის ცნობილ მკვლევარს დ. თუშაბრამიშვილს. მას შემდეგ ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოები არ გაგრძელებულა, გათხრის დროს მოპოვებული მცირეოდენი, მაგრამ მეტყველი მასალა დღემდე გამოუქვეყნებელია.

წინამდებარე სტატიის მიზანია ამ კოლექციის გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს დასავლეთ საქართველოს ღია ენეოლითური ნამოსახლარების შესწავლას, რადგან მათი მასალები სადღეისოდ ნაკლებადაა ცნობილი.<sup>6</sup>

ძევრის ნამოსახლარი მდებარეობს თერჯოლის რ-ში, სოფ. ძევრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ძევრულისა და შავი წყლის ხეობის დასაწყისში, მთა აფიცხებულის ძირში, ორ მღვიმეს შორის მდებარე პატარა ბორცვზე. ერთი მღვიმედან გამოედინება შაორის მთიდან მომდინარე მდ. შავი წყალი, მეორედან კი-ცირკი დებიტის მქონე პატარა მდინარე ე.წ. ძევრულას თქაში (დამპალი წყალი), რომელიც მდ. შავ წყალთან ერთად დაახლოებით 0,5 კმ-ში მღვიმე საგვარჯილის მახლობლად უერთდება მდ. ძევრულას, რომელიც მღვიმე „ბერე კარიდან“ გამოიდინება. სამი მხრიდან მთებით (სეფარეთი, აფიცხებული, კვახნური) შემოსაზღვრული და ჩაკეტილი წყალუხვი ხეობა კარსტული წარმოშობისაა. მასში იარუსებადა განლაგებული მღვიმები. აფიცხებულის მთაზე დღესაც გადადის ოკრიბის საურმე გზა ტბა შავისაკენ, სადაც კარგი სახნავ-სათესი საგარეულებაა. აქ ყოფილა ოკრიბების სეზონური საცხოვრებლები [1].

აღნიშნული ბორცვი მდ. ძევრულის დონიდან 20 მ-ის, ხოლო ზღვის დონიდან 222 მ სიმაღლეზეა.

თერჯოლის რ-ში 1981-1991 წლებში ჩვენი მუშაობისას ძეგლი არაერთხელ მოვინახულეთ, მაგრამ გათხრების ჩატარება ვერ მოვახერხეთ მასზე მდგარი ტყიბულჲესის დამხმარე ნაგებობის გამო.

ნამოსახლარის სადაზვერვო თხრილების ძუნწი მონაცემები ავიღეთ ნ. კილაძის (ბერძნიშვი-

ლი) საველე დღიურიდან [1]. ბორცვის გეგმა და ჭრილები შემოჩენილი არ არის. სამწუხაროდ კოლექციას არ ახლავს კერამიკული და ოსტეოლოგიური ნაშთები, რომელიც ქვის მასალასთან ერთად იყო აღმოჩენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპედიციის ხელმძღვანელის მიერ კოლექცია თავიდანვე იყო გათიშული და მუზეუმს გადაეცა მხოლოდ ქვის მასალა და რამდენიმე სხვა ნივთი. კერამიკა და ძვლოვანი ნაშთები ინახებოდა საგვარჯილის კერამიკასთან ერთად (არამაზის ბაზაზე), რომლის მიგნება დღემდე ვერ მოხერხდა.

I თხრილი ბორცვის სამხრეთ ფერდობზე გაკეთებულა (ზომა 3x4 მ), რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ყოფილა დამხრობილი. მისი ჩრდილო კედელი 2,5 მ სიმაღლისა ყოფილა, სამხრეთისა კი – 1,5 მ-დე. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებთან და ძვლოვან ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია კაუისა და რიფის ქვის მასალა.

II თხრილი (ზომა 2x4 მ) დასავლეთის ფერდობზე გათხრილა. დამხრობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენაა. თხრილის აღმოსავლეთი კედლის სიმაღლე 1,75 მ, დასავლეთისა კი – 0,90 მ უდრიდა. სხვა მონაცემები სადაზვერვო თხრილებისა არ შემოინახა. შემოგვრჩა მხოლოდ აღმოჩენილი ნივთების სიღრმეების მაჩვენებლები. ნივთების აღრიცხვა ყოველ 5-10 სმ-ში გაკეთებულა. მეორე თხრილში კორდოვანი ფენის ქვეშ აღმოჩენდა ქვის საკიდი, კაუის გათლილი კარტები და კონკრეციები. თხრილის ზედა ნაწილში მასალა თითქმის არ იყო. დანარჩენი ნაშთები კი ძირითადად კულტურული ფენის სხვადასხვა სიღრმიდან მომდინარეობდა.

როგორც კოლექციის მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, იარაღის დასამზადებელ ნედლეულად ძევრის ნამოსახლარის მცხოვრები ძირითადად ადგილობრივ კაუს და რიფის ქვის სხვადასხვა ქანებს იყენებდნენ. იშვიათად გამოიყენებოდა ობსიდიანი, არგილიტი და სხვა ქანები.

დ. ძევრულის ხეობის მიდამოები მდიდარია ტურონ-სენონის კაუსის ქანების გამოსავლებით. ისინი კარგად შეიმჩნევა მდინარეთა კალაპოტების გაშიშვლებებში ფილების სახით. უპირატესად კი იყენებდნენ, როგორც ჩანს, ძევრულის ხეობის კირქვიანი ფერდობებიდან მომდინარე, განსაკუთრებით კი მთა აფიცხებულის კაუს კონკრეციებს, რომლებიც ნაპოვნი იყო, როგორც კულტურულ ფენაში, ისე ზედაპირულად. ბორცვის მიდამოებში ახლაც მრავლადა კაუსის სხვადასხვა ზომის კონკრეციები, რომლებიც მომდინარეობენ აფიცხებულის კლდოვანი მასივიდან. ძევრის ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო მთა აფიცხებულის 20 კონკრეცია.

<sup>6</sup> მასალა ინახება ს. ჯავაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ქვისხანის ფონდში მღვიმე საგვარჯილის კოლექციასთან ერთად (კოლ. № 1-5).

ძევრის ნამოსახლარის კაჟის იარაღები პატინით განსხვავდებოდნენ მღვიმე საგვარჯილის კაჟის მასალისაგან [1], რადგან ღია ნამოსახლარზე ნაშთების შენახვის პირობები განსხვავებულია.

ძევრის ნამოსახლარზე გაკეთებული ორი სა-დაზვერვო თხრილის კულტურულ ფენაში სულ აღმოჩნდა 148 ნივთი (კერამიკისა და ცხოველთა ძვლების გარდა). მათგან 136 ერთეული ქვის მასალა (124 ერთ. კაჟისაა, 11 ერთ. ქვის, 1 – ობ-სიდიანის); ძვლის იარაღები (3 ერთ.); სამა-ჯურის ფრაგმენტები (5 ერთ.); კვირისტავები (3 ერთ.) და ერთი ქვის საკიდი.

კოლექციაში დაახლოებით 50% წარმოების ნარჩენებია: ნუკლეუსები, პრიზმული ფორმის (2 ც.), უხეში ანატეც-ანატეხები (41 ც.); ნუკლეუ-სის დარტყმის სიბრტყის შესწორების შედეგად მიღებული განივი ანატეცები (5 ც.); კაჟის ანამ-ტრევები ცეცხლის კვალით, დაუმთავრებელი და გადაკეთებული იარაღები. როგორც ჩანს, გა-დაკეთება უმტესად ხდებოდა ბრტყელი, უტი-ლიზებური ნუკლეუსებიდან. კაჟის ნაწარმის დიდი ნაწილი აფიცხებულის კაჟისაგანაა ნაკე-თები.

წარმოების ნარჩენების სიმრავლე და კაჟის მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მისი როგორც პირველადი, ისე მეორადი დამუშავება ნასახლარის ტერიტორიაზე ხდებოდა. ყოველი-ვე ეს კი მიუთითებს ნამოსახლარზე იარაღების დასამზადებელი სახელისანოს არსებობაზე.

ლამელები საშუალო ზომისაა (10 ერთ.). მათ შორის არის წამხვილებული და დამაბლაგვე-ბელი რეტუშით დამუშავებული ცალები. სიგრძე 4-6 სმ შორის მერყეობს. დიდი ზომის ლამელა მხოლოდ ორიოდეა (6x3,5 სმ). კოლექციაში ერთადერთი ცალგვერდრეტუშიანი სამწახნაგა ლამელაა (სიგრძე 5 სმ).

კაჟის იარაღებიდან ყველაზე მკაფიო სერია შებისპირებისაა (7 ც.). ყოველი მათგანი ორმ-ხრივამუშავებულია მცოცავი წნევითი რეტუ-შით, რომელიც უმტესად მსხვილფაცეტიანია. შებისპირები აღმოჩნდილი იყო კულტურული ფენის მთელ სიღრმეზე. 0,30 მ-დან – 1,25 მ სიღრმემდე. მათ შორის გამოიყოფა შემდეგი ტიპები:

1. ფუძეამოღარული, ფრთებდაშვებული (1 ც.), (სიგრძე – 5,3 სმ, სიგანე – 1,9 სმ). აღმოჩნდა 0,25 მ სიღრმეზე (ტაბ. II<sub>3</sub>).

2. ფუძე და ორივეგვერდამოღარული, ფრთებ-დაშვებული (2 ც.) (სიგრძე – 4,8-6,1 სმ შორის მერყეობს). აღმოჩნდა 0,30-0,80 მ სიღრმეზე (ტაბ. II<sub>2</sub>).

3. ყუნწიანი (1 ც.), დამუშავებულია უხეში მცოცავი რეტუშით. (სიგრძე – 5,5 სმ), აღმოჩნდა 0,65 მ სიღრმეზე (ტაბ. II<sub>7</sub>).

4. გვერდქიმიანი (1 ც.), შუა ნაწილი ორივე მხრიდან ბრტყელი და დაუმუშავებელია (სიგრძე – 5,5 სმ), აღმოჩნდა 1,1 მ სიღრმეზე (ტაბ. II<sub>6</sub>).

კოლექციაში არის ორი შუაზე გადატეხილი შებისპირი, რომელთა თავდაპირველი ფორმის გარკვევა შეუძლებელია (ტაბ. II<sub>4-5</sub>).

ძევრის ანალოგიური შებისპირები ნაპოვნია საგვარჯილები, დარკვეთის ებში, ახალსოფლის (ტყიბულის რ-ნი) ნამოსახლარზე, თეორამიწაზე და ჩიხორში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გვერდქიმიანი შებისპირი, რომლის მსგავსი აღ-მოჩნდილი იყო დარკვეთის ენეოლითურ ფენაში. საერთოდ ამგვარ იარაღებს გვერდქიმიანსა თუ ფუძექიმიანს ჰელუანის ტიპის შებისპირებს უწოდებენ.

საფეხეცი (ტაბ. III<sub>3</sub>) ოვალურპირიანი, გვერდ-რეტუშიანი, დამზადებულია განიერ ლამელისე-ბურ ანატეცებზე. ნაკლულია.

საჭრისი (2 ერთ.) – ორივე ზიწვიანია, ერთი მათგანი დამზადებულია სქელ, მასიურ ანამტ-ვრევზე, მეორე ლამელის გადატეხის კუთხეზე.

სახვრეტიც ორია, კარგად დამუშავებული გრძელი წვერით.

კომბინირებული ერთადერთი იარაღი საფხეკ-საჭრისი ნუკლეუსიდანაა გადაკეთებული.

აღსანიშნავია კაჟის მაკროლითური ტექნი-კით დამუშავებული წვეტიანი და ქუსლიანი ია-რაღი, ხელნაჯახის მსგავსი. ადგილ-ადგილ ბუ-ნებრივი ქერქი აქვს შერჩენილი.

ქვის იარაღების დასამზადებლად ძირითადად გამოიყენებოდა მდინარეთა ნაპირებზე არსებუ-ლი რიყის ქვები და ქვის სხვა ქანები, რომლე-ბიც მზადდებოდა ხეხვა-გაპრიალების ტექნიკით.

ქვის იარაღები სულ 6 ცალია. მათ ემჩნევა ტენდენცია ზომების შემცირებისაკენ. გამოიყო-ფა შემდეგი ტიპები:

ცული რიყისქვის, ნაპრიალები, ძირბრტყელი და ზურგშემაღლებული (სიგრძე – 9,6 სმ, სიგანე – 4,1 სმ). აღმოჩნდა 1,25 მ სიღრმეზე (ტაბ. III<sub>1</sub>).

ცულის სამუშაო პირის ნატეხი, რიყისქვის, პირაპრიალები, ზურგმოკოდვილი. გრძივ ჭრილ-ში სოლისებურია (სიგრძე – 5,5 სმ, სამუშაო პირის სიგანე 3,4 სმ) (ტაბ. III<sub>4</sub>).

სატეხი არგილიტისა, ტრაპეციისებური გა-ნიკვეთით და დაქანებული სამუშაო პირით. ჩანს, რომ კარგად იყო ნაპრიალები. გვერდები და ქვედა სიბრტყე ატეხილი აქვს. სამუშაო პი-რის სიგანე 3 სმ, სიგრძე – 4 სმ. აღმოჩენილია – 0,20 მ სიღრმეზე (ტაბ. III<sub>3</sub>).

სათლელი რიყისქვის, ნაპრიალები, ცალი გვერდი სიგრძეზე ჩამოტეხილი. სიგრძე – 7,1 სმ. ტრაპეციისებური განიკვეთისა უნდა ყოფილი-ყო. გრძივ ჭრილ-ში – სოლისებურია. აღმოჩნდა 0,40 მ სიღრმეზე (ტაბ. III<sub>2</sub>).

ხელსაფეხვავის ქვები (2 ერთ.), მოგრძო, ნავისებური ფორმის. კოლექციაში არის რიყის ქვის იარაღების ნატეხები, რომელთა დანიშნუ-ლების გარკვევა ჭირს.

ძვლის სამი იარაღია, მათგან ორი სადგისია, დამზადებული ლულოვანი ძვლებისაგან. მესამე კი გაურკვეველი დანიშნულების იარაღია, ოვა-ლურგანიკვეთიანი, ცალგვერდზე ღარი გასდ-ევს, ყუნწი ორმხრივაა გახვრეტილი. ნაკლუ-ლია. სიგრძე – 5 სმ, სიგანე – 1,3 სმ. აღმოჩნდა 1,2 მ სიღრმეზე (ტაბ. IV<sub>5</sub>).

სამაჯურების ფრაგმენტები აღმოჩენილი იყო მთელი ფენის სიღრმეზე, დაწყებული 0,20 მ-დან 1,40 მ-დე. სულ აღმოჩნდა ფიქალის 6 სხვადა-სხვა სამაჯურის ნატეხი, მოშავო-მონაცისფრო, ვიწრო და ბრტყელი, ოდნავ შესამჩნევი ქედით, ოთხკუთხა განივგვეთისა (ტაბ. IV<sub>1-4</sub>). მათგან ერთი წვრილი მავთულის მაგვარია, მრგვალი განივგვეთით (ტაბ. IV<sub>1</sub>). ქორდის სიგრძე მერყეობს 3,1 სმ-5,5 სმ-მდე, სისქე საშუალოდ 0,5 სმ-ია.

ზედმიწევნით ანალოგიური ფიქალის სამაჯურის ფრაგმენტები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს თითქმის ყოველ ენეოლითური ხანის ნამოსახლარზე (საგვარჯილე, დარკვეთი, სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, თეთრამიწა, ახალსოფელი, ჩიხორი, საქაჯია და სხვ.).

ამავე ტიპის სამაჯურები, იგივე მასალისაგან დამზადებული, ცნობილია პროტომაიკობური ნამოსახლარებიდან (მეშოკოს ქვედა ფენა, სკალა, ხაჯოხი) [6, გვ. 77].

კვირისტავები (3 ც.), თიხის, კონუსის ფორმის, აგურისფორად გამომწვარი, უხეშად ნაკეთები, ერთი მათგანი ნაკლულია. დიამეტრი საშუალოდ 4 სმ-ია (ტაბ. IV<sub>6-7</sub>).

ამგვარივე კვირისტავები აღმოჩენილია საგვარჯილეში [5, გვ. 18] და თითქმის ყველა ენეოლითურ ნამოსახლარზე, დარკვეთის ეხზე [3, ტაბ. VI]; თეთრ მღვიმეში [2, ტაბ. XX] და სხვ.

საკიდი-ამულეტი (ტაბ. IV<sub>8</sub>) რიყისქვის, ბრტყელი, ოვალური ფორმის, ყუნწვანებული, ორივე მხრიდან ნახეხი, ნაკლულია. (სიგრძე 1,9 სმ). ზუსტად ამგვარივე საკიდები ცნობილია თეთრი მღვიმიდან [2, ტაბ. XV<sub>13</sub>]. სხვადასხვა ფორმის საკიდები აღმოჩენილია საგვარჯილეში [4, გვ. 10] და მაიკობის კულტურის აღრიცხულ ნამოსახლარებზე [6, გვ. 72].

ძევრის ნამოსახლარის კომპლექსი ერთ პერიოდს განეკუთვნება. ნამოსახლარი ერთფენიანია. მასში არ ჩანს სხვადასხვა ჰპოქის მინარევები, როგორც ეს შეიმჩნევა საგვარჯილის მასალებში.

ძევრის ნამოსახლარის მთელი კომპლექსი განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს საგვარჯილის გვიანენეოლითური ფენის მასალებთან. ეს სიახლოვე ყველაზე მეტად ვლინდება კაჟისა და ქვის იარაღებში, განსაკუთრებით კი ეს ითქმის შუბისპირების ზოგიერთ ტიპზე (ფუძეამოღარული და ფუძე და გვერდებამოღარული). ზედმიწევნით ანალოგიურია ამ ძეგლების ფიქალის სამაჯურები. ისინი იძღვნად მსგავსია, რომ ერთი სელოსნის ნახელავს წააგავს.

ძევრის ნამოსახლარის მასალას (ქვის იარაღები, სამაჯურები, კვირისტავები) პირდაპირი ანალოგები გააჩნია დასავლეთ საქართველოს, როგორც მღვიმურ, ისე ღია ენეოლითური ფენის მასალებში.

ძევრის დანარჩენ მასალებსაც საგვარჯილის მსგავსად უახლოესი ანალოგები გააჩნია ყუბანისპირეთის პროტომაიკობური ნამოსახლარების მასალებთან (მეშოკოს ქვედა ფენა, სკალა, ხაჯოხი, ვესიოლი) [6, გვ. 77; 109] და აგრეთვე

სხვა ჩრდილო-კავკასიურ პროტომაიკობურ ძეგლებთან (სკობონოე, ზამოკ).

ძევრის ნამოსახლარი კულტურულად დასავლეთ საქართველოს გვიანენეოლითური ძეგლების წრეს ეკუთვნის და, ცხადია, ქრონოლოგიურადაც მათი თანადროულია.

დასავლეთ საქართველოს ენეოლითური ძეგლების აბსოლუტური თარიღები ჯერჯერობით ცოტა გვაქვს. ჩვენთვის საინტერესოა მღვიმე მუქუანის (ჭიათურის რ-ნი) ენეოლითური ფენის რადიონახშირბადული (C<sup>14</sup>) კალიბრებული თარიღი TB-315 4366±217, ე.ი. ძვ.წ. V ათასწლეულის ბოლო საუკუნეები.

ძევრის კომპლექსის მასალებს უახლოესი პარალელები გააჩნია, როგორც საგვარჯილისა და ძეგლების, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი გვიანენეოლითური ძეგლების მასალებთან. აღნიშვნული პარალელებისა და ძეგლებანას რადიონახშირბადული თარიღის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ძევრის კომპლექსი გვიანენეოლითურია და ძვ.წ. V ათასწლეულის ბოლო პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.

ძევრის ენეოლითური ნამოსახლარი შეიძლება მიგვეჩნია საგვარჯილედან სეგმენტაციის შედეგად წარმოქმნილად, რადგან, როგორც ზემოთ აღნიშვნეთ, მანძილი ამ ორ ძეგლს შორის დაახლოებით 500 მეტრია. მაგრამ აქ სხვა კითხვაც ისმის, რატომ არ დასახლდა საგვარჯილედან გამოყოფილი უჯრედი ამ ხეობის ნებისმიერ მღვიმეში ან ეხში, რომლებიც ასე მრავლადა ამ პატარა და ცალმხრივ ჩაკეტილ ხეობაში? არ არის გამორიცხული, რომ ეს ბორცვი ყოფილიყო სეზონური საცხოვრებელი საგვარჯილეში მცხოვრებთავის და იქ დასახლება წლის გარკვეულ დროს შესაძლოა მეურნეობის საჭიროებას განეპირობებინა. ამ ვარაუდის მტკიცება დღესდღეობით მნელია, ვიდრე არ იქნება ჩატარებული დამატებითი კვლევა.

ძევრულას პატარა ხეობა, დაწყებული მღვიმე საგვარჯილედან მთა აფიცხებულამდე, უნდა ვიფიქროთ, ეკუთვნოდა ერთ ტომს თუ მის რომელიმე გვარს.

თუ მოხერხდა ამ ძეგლის შემდგომი კალევა, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ იგი შუქს მოჰყენს გვიანენეოლითური კულტურის ზოგიერთ ბუნდოვან საკითხს.

## L. Nebieridze

### THE AENEOLITHIC SETTLEMENT SITE OF DZEVRI (Summary)

The Dzevri Archaeological Expedition (director N. Kiladze (Berdzenishvili) of the I. Javakhishvili Institute of History along with excavations of Sagvarjile cave in 1952 carried out exploratory work on the nearby (within 500 m) Dzevri hill, which revealed remains of an ancient settlement. Scant, yet important archaeological

material obtained on the site has so far not been published.

The present paper aims at publishing the above collection.

On the basis of comparative-typological analysis of archaeological data, it has been ascertained that the Dzevri hill collection belongs to early husbandry culture, namely to a Late Aeneolithic settlement and bears close parallels with Sagvarjile cave and other Western Georgian sites of the same period (Samele Klde, Darkveti, Tetri Mghvime, etc.). It is suggested that the Dzevri hill settlement must have appeared as a result of separation from Sagvarjile.

### ლიტერატურა

1. კილაძე (ბერძენიშვილი) 6. ძევრის არქოლოგიური ექსპედიციის საველე დღიური № 4, 1952 წ. (17/VII-19/№V). ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვისხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
2. კალანდაძე ქ. თეთრი მღვიმე. თბ., 1994.
3. ნებიერიძე ლ. დარკვეთის მრავალფენანი ქნი. თბ., 1978.
4. ნებიერიძე ლ. მღვიმე საგვარჯილეს სამკაულებისა და ამულეტების დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 6, 2000, გვ. 5-12.
5. ნებიერიძე ლ. საკულტო რიტუალები (მღვიმე საგვარჯილეს მასალების მიხედვით). – ძიებანი, № 3, 1999, გვ. 5-18.
6. **Формозов А. А.** Каменный век и энеолит Прикубанья. М., 1965.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. – ძევრის ხეობის სქემატური რუკა.

ტაბ. II. – შუბისპირები ძევრის ნამოსახლარიდან

ტაბ. III. – 1. ცული; 2. ცულის პირის ნატეხი; 3. სათლელი; 4. სატეხი; 5. საფხეპი.

ტაბ. IV. – 1-4. სამაჯურების ფრაგმენტები; 5. ძვლის იარაღი; 6-7. კვირისტავები; 8. საკიდი.

### Description of the Plates


Pl. I – Sketch map of the Dzevri valley.

Pl. II – spearheads from the Dzevri settlement site.


Pl. III – 1. axe; 2. fragment of an axe blade; 3. cutter; 4. chisel; 5. scraper.




Pl. IV – 1-4. fragments of bracelets; 5. bone tool; 6-7. whorls; 8. pendant

ტაბ. I




ঘোষ. II





ঋঢ. IV



## გურამ ჩიქოვანი

### ბიბილოსებრამიანი ჭურჭლები აღმოსავლეთ საქართველოს აღრესამიზათმოქმედო კულტურის ნამოსახლარების

მიმთვისებლურიდან წარმოებით მეურნეობაზე გადასვლისა და განვითარების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მეთუნეობამ, რომლის წარმოების პირველი ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებულია ძვ.წ. VI-ის ათასწლეულის დასასრულისა და V ათასწლეულის ნამოსახლარებზე.

პრიმიტიული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შემდგომი განვითარების ხანგრძლივ ეტაპზე სულ უფრო იზრდება მათი პრაქტიკული დანიშნულება, როგორც პროდუქტების გადამუშავების, ისე მათი შენახვის თვალსაზრისით.

აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარებიდან მოპოვებული სამეთუნეო ნაწარმიდან ძირითადად წარმოდგენილია თიხის ჭურჭლები, რომელთა რაოდენობა გათხრილი ნამოსახლარების უმრავლესობიდან მეტად მნიშვნელოვანია და საერთოდ, ცალკეული ძეგლის თუ არქეოლოგიურ კულტურათა რაობის განსაზღვრის ძირითადი ელემენტია.

სადღეისო ძონაცემებით გავკავისასა და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში, მთლად ზუსტად არ არის დადგენილი არც წარმოებით მეურნეობაზე გადასვლისა და არც სამეთუნეო წარმოების ჩასახვის პროცესი, მაგრამ ვრცელ ტერიტორიაზე, მეტ-ნაკლებად თანადოროულ ძეგლებზე, მათი აღმოჩენის ფაქტი უნდა მიუთითებდეს სამეთუნეო წარმოების განვითარების დაახლოებით ერთდროულ პროცესზე, თუმცა თიხის ჭურჭლის ტიპოლოგიური და ორნამენტული შემკობის თვალსაზრისით შეიმჩნევა მათი წარმოების არეალური და ეტაპობრივი განვითარებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან დღემდე, აღმოსავლეთ საქართველოში, გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, შესწავლილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის მრავალი ერთფენიანი და მრავალსამშენებლო პორიზონტიანი ნამოსახლარებიდან ყველაზე მეტი რაოდენობით წარმოდგენილია თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელთა უმრავლესობა ფრაგმენტულობის მიუხედავად, შედარებით ნათლად ასახავს ადრესამიწათმოქმედო კულტურის მოსახლეთა სამეთუნეო წარმოების განვითარების ზოგად დონეს.

აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. VI ათასწლეულის შეორე ნახევრისა და IV ათასწლეულის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების თიხის ჭურჭლის ნატეხებში კარგად ჩანს მოწინავე კულტურებთან ურთიერთობითა და შინაგანი განვითარების შედეგად სამეთუნეო წარმოების ჩამოყალიბებული ტრადიციების უწყვეტი სახე.

სადღეისოდ გათხრილი ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების ძონაცემთა გათვალისწინე-

ბით გამოითქვა მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ხანგრძლივ ეტაპზე ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდა სამი განსხვავებული არქეოლოგიური კულტურა, რომელთაც ახასიათებდათ განვითარების თავისებური გზა. ესენია – მრავალსამშენებლო პორიზონტიანი შულავერ-შომუ თეფეს კულტურის, სიონის ტიპის, ან წოფი-გინჩის წრის ერთფენიანი ძეგლები და ბერიკლდების ქვედა ფენის ნამოსახლარი [5, გვ. 3].

ამათგან პირველი და მეორე კულტურის ნამოსახლარებს, როგორც ეს უკვე მიღებულია არქეოლოგიურ სამეცნიერო გამოკლევებში, აღმოსავლეთ საქართველოში არსებობისა და განვითარების შედარებით ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ხოლო რაც შეეხება ბერიკლდებების ქვედა ფენის ტიპის ნამოსახლარს თავისი არქიტექტურული გეგმარებით, სამშენებლო ტექნიკითა და მოპოვებული მასალებით, ის სიახლეს წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოში და არსებობს შედარებით მოკლე ქრონოლოგიურ პერიოდში. ამ ინოვაციური კულტურის ცალკეული ელემენტები, როგორც შენიშვნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, კონკრეტულად კი თიხის ჭურჭლები, ძირითადად წარმოდგენილია ენეოლითის ფინალური ეტაპისა და უაღრესი ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე [10, გვ. 86].

ზემოთ აღნიშნულ არქეოლოგიურ კულტურათა შორის თავისი გამორჩეული ადგილი უჭირავს წოფი-გინჩის წრის ძეგლებს, რომლებიც გარდა კავკასიის ცალკეული რეგიონებისა, მთლიანად მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს და ხასიათდებიან განვითარების საკუთარი გზით.

წოფი-გინჩის წრის ძეგლების ერთ-ერთი ძირითადი განხსაზღვრელი ელემენტია თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც დამზადებულია ხელით და ვიზუალურად კეცში შეიცავნ არა-ორგანულ მინარევებს ან მცენარეულ ჩანართებს. ისინი გამოიჩევანია დამზადების ტექნიკით, ფორმებით, ორნამენტთა თავისებურებებითა და შემკობის წესით, კულტურული მემკვიდრეობის უწყვეტობითა და გარკვეული ინოვაციებით, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან დაახლოებით შემოსაზღვრონ ამ წრის ძეგლების არეალი და დაჯგუფდნენ ქრონოლოგიურად [8, გვ. 38-39].

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოში შესწავლილი ამ წრის ნამოსახლარებიდან მოპოვებული თიხის ჭურჭლის ნატეხები ძირითადად ბრტყელი მიზანია, ხოლო პირი მოყრილი, გადაშლილი ან სწორი აქვთ. მათ შორის გამოირჩევა დაბალი ან შედარებით მაღალი,

ცილინდრულყელიანი ჭურჭლის ერთი ნაწილი სადა და უორნმენტოა, ხოლო მეორე ნაწილს კი ყელი და პირი შემკული აქვს ჭდეული და რელიფური ორნამენტით. თიხის ჭურჭლის ნატეხების ერთ ნაწილს პირს ქვემოთ ან ტანის შუა ნაწილში ერთმწკრივად შემოუყვება გამჭოლი ნასვრეტები, ხოლო ძირის ზოგიერთ ნატეხს ეტყობა ჭილოფის ანაბეჭდის კვალი.

ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს წოვიგინის წრის ძეგლების სამეთუნეო ნაწარმის უფრო კონკრეტული დახასიათება. შევეხებით მხოლოდ მათ ერთ ნაწილს, რომელიც გამოირჩევა ფორმათა ერთგვარი ორიგინალურობით და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არის ბიბილოსებრპირიანი ჭურჭლის სახელწოდებით. ასეთი ტიპის ჭურჭლის პირველ აღმოჩენას და შემდგომ ახალი ძეგლებიდან მთა რაოდენობის ზრდას თავისებური ისტორია აქვს. დღეს ჩვენს ხელთ არსებული არტეფაქტების მიხედვით შეიძლება მათზე განმაზოგადოებელი მსჯელობა.

პირველად ასეთი ბიბილოსებრპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა 1957 წელს წოვის ნამოსახლარზე, რომელსაც ძეგლის გამოხრელები „გობისებრ ჭურჭელ“ უწოდებდნენ. მათი აღწერის მიხედვით ამ ჭურჭლის დიამეტრი 50 სმ-დე უნდა ყოფილიყო, ხოლო გვერდის სიმაღლე 14 სმ. მას ქობა ოთხ ადგილას ჰქონდა ამოზიდული და გარეთ გადაზნექილი. გვერდის ზედა ნაწილში კი ერთ მწკრივად შემოუყვებოდა გამჭოლი ნასვრეტები და ჭურჭლის გარე სარჩულისაგან განსხვავებით შიდა პირი შედარებით ნაპრიალები ჰქონდა [1, გვ. 68]. ამ თავისებური ჭურჭლის აღწერაზე საგანგებოდ ამახვილებდა ჭურადლებას აწ განსვენებული ო. კიდურაძე [3, გვ. 84]. უფრო ადრე კი ამავე საკითხზე მსჯელობს ქალბატონი გ. ფხაკაძე, რომელსაც აღწერილი და გამოქვეყნებული აქვს ბრტყელმირა და სწორკედლიანი ბადია, დაკეჭილი ბიბილოსებრი შევრილებით წოვის ნასახლარიდან [4, გვ. 120]. შემდგომ წლებში ასეთი ჭურჭლის ნატეხები, არც თუ მრავლად, მაგრამ სხვა ძეგლებზედაც აღმოჩნდა. ისინი ძირითადად ცნობილია ცნობილი შემდგომი არაგოლოგიური ექსპედიცია პროფ. რ. რამიშვილის ხელმძღვანელობით.

არაგვის ხეობაში ბიბილოსებრპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხი პირველად აღმოჩნდა ახალი უინგალის (არანისი) ნამოსახლარზე, სადაც ამ მრავალფენიან ძეგლზე გაითხარა დაახლოებით 40 მ<sup>2</sup> აღრესამიწათმოქმედო მასალების შემცელი ფენა. აღნიშნული ფენა ითხრებოდა 1978 წელს დ. გოგელიას ხელმძღვანელობით [14, გვ. 130-131]. ნამოსახლარზე აღმოჩნდა ბიბილოსებრპირიანი თიხის ჭურჭლის ორი ნატეხი. მათგან

ერთი მოშავო ფერისაა და უხეშექეციანია. იგი ოდნავ პირგადაშლილია და პირი ტალღისებრი ორნამენტით აქვს შემკული. ბიბილოსებრი პირის ამ ნატეხს შიდა მხარეს დატანილი აქვს „წიწვოვანი“ ორნამენტი, ხოლო გადანატებში ეტყობა გამჭოლი ნასვრეტების კვალი. მეორე ნატეხი, უფრო მარტივი ფირმისაა და პირზე შემოუყვება ტალღისებრი ორნამენტი (ტაბ. I<sub>2</sub>, ტაბ. I<sub>2</sub><sub>6</sub>).

შემდგომი პუნქტი, სადაც აღმოჩნდა ბიბილოსებური პირგვერდის ნატეხი, არის ხერთვისი, რომელიც მდებარეობდა უინგალის ძეგლი ჰესის ტერიტორიაზე, მთიულეთისა და ფშავის არაგვის შესაყარზე, ამჯერად უინგალის წყალსაცავის კვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე. აქ ხეხილის ბაღისა და სამშრეოთით მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაოებისას აღმოჩნდა გვიანანტიკური სამარხები, ხოლო მიწის ზედაპირიდან 0,9 მ-ზე სამი ორმო და რიყნარ ფენაზე თხლად განფენილი ადრესამიწათმოქმედო მასალების შემცელი ფენა [15, გვ. 54]. აქ მოპოვებული მცირერიცხოვანი ადრესამიწათმოქმედო მასალებიდან აღსანიშნავია ბიბილოსებური პირგვერდის ნატეხი, ტალღისებრი ორნამენტით შემკული პირით. მას ყელის არეში შიგნიდან ბასრი იარაღის ჩხვლეტით გარე ზედაპირზე უსისტემოდ გამოყვანილი ჰქონდა მცირე ზომის კოპბი, რომელთა ნაწილი გარეცხვისას მოძვრა და გამჭოლი ნასვრეტების სახე მიიღო (ტაბ. I<sub>4</sub>).

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა „მწითურების მამულში“ აღმოჩნდილი ბიბილოსებრპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხი. ამ მრავალფენიან მონაკვეთზე, სადაც წარმოდგენილია ადრეშუასაუკუნეების სამაროვანი, მტკვარა-არაქსის კულტურული ფენა შესაბამისი ორმოებითა და სამარხებით, ერთმეტრიანი სტერილური თიხნარით გამოყოფილი ფენის კვეშ გაითხარა 30-50 სმ სისქის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფენა [15, გვ. 89] თხრილის სამშრეო ნაწილში, სქელქვა-ღორღიან ფენაში ჩაჭრილ მცირე ორმოში სხვა ნატეხებთან ერთად აღმოჩნდა ბიბილოსებრპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლის ძირისა და პირგვერდის ნატეხები ნაწილობრივ აღდგა. მოყავისფრო ფერის ჭურჭელი შესაძლოა ღრმა ბადიისებრ ჭურჭელს ეკუთვნის, რომელსაც ოდნავ გადაშლილი ტალღისებრი პირი აქვს, ხოლო პირის ქვემოთ კი შემოუყვება გამჭოლი ნასვრეტები (ტაბ. I<sub>3</sub>). სამწუხაროდ, მისი მოლიანი აღდგენა ვერ მოხერხდა და დარჩენილი ორი ბიბილოს მიხედვით ჭურჭელს მინიმუმ თოხი ბიბილო მაინც უნდა ჰქონოდა. ბიბილოსებრპირიანი ბადიის მსგავსი ჭურჭელი ასევე აღმოჩნდა მდინარე არაგვის მარცხნა ნაპირზე ნაწილობრივ გათხრილ ჩინთის ნამოსახლარზეც. იგი უხეშექეციანია, გამომწვარია მოჩალისფროდ და შემორჩენილია ძირის მცირე ნაწილი და პირგვერდის ნაწილი. მას ოდნავ გადაშლილი ტალღისებრი ორნამენტით შემკული პირი და ტანის შუა ნაწილში ერთ მწკრივად განლაგებული გამჭოლი ნასვრეტი აქვს (ტაბ. I<sub>1</sub>) აღწერილი ნატეხი აღმოჩნდა ნამოსახ-

ლარის გათხრის პირველ წელს, უშუალოდ მდინარე არაგვის ნაპირზე წარმოქმნილ მცირე ბაქანზე 1986 წელს [16, გვ. 90]. ეს მეტად საინტერესო ნამოსახლარი ნაწილობრივ გაითხარა 1986-188 წლებში [6, გვ. 72].

შიდა ქართლის სხვა ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარებიდან ბიბილოსებრპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა გორის რაიონში, სოფელ ხელთუბანთან გათხრილ ნამოსახლარ „თანდისწყარო I“-ზე. აქ აღმოჩნდილ ღრმა ჯამისებრი ჭურჭლის ორ ნატეხს დაჭდეული ბიბილოსებრი პირი და მოყავისფრო შიდა პირი აქვთ (ტაბ. I<sub>6,7</sub>). ნამოსახლარი გაითხარა 1986 წელს გორის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გ. მინდიაშვილის ხელმძღვანელობით [11, გვ. 15-16; 7, გვ. 20].

ბიბილოსებრპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები ცნობილია კახეთიდან. ალაზნის ველზე გათხრილ „დამწვარი გორას“ ნამოსახლარიდან, რომელსაც სწავლობდა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია აკადემიის წევრ/კორესპონდენტის კ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით [12, გვ. 86-88; 13, გვ. 17]. ჭურჭლის ასეთ ბიბილოსებრ შევრილიან პირებს ძეგლის გამთხრელი ვ. გარაზაშვილი ბიბილოსებრი ყურების სახელწოდებით მოიხსენიებს [9, გვ. 21] და მათ ცალკე ტიპად გამოყოფს [2, გვ. 22]. ისინი, შიდა ქართლში აღმოჩნდილი ასეთივე ჭურჭლის მსგავსად, მიეკუთვნებიან დაბალტანიან ჭურჭელს და მათ შედარებით მკვეთრად გადაშლილი ბიბილოები აქვთ. ამ მხრივ ისინი შედარებით განსხვავდებიან შიდა ქართლის მასალებისაგან (ტაბ. II<sub>1,9</sub>).

როგორც მოხმობილი მასალებიდან ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოში ბიბილოსებრპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები მცირე რაოდენობითაა აღმოჩნდილი. ყველა ისინი მიეკუთვნებიან დაბალტანიან, სამზარეულო ჭურჭელს. რაც მთავარია, ასეთი ჭურჭელი აღმოჩნდილია აღმოსავლეთ საქართველოში და წოვი-გინჩის წრის ძეგლების აღმოსავლეთ საქართველოს ნამოსახლარების თავისებურებას წარმოადგენს. ამასთანავე ისინი წარმოადგენს წოვი-გინჩის წრის ძეგლების აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების კულტურული მემკვიდრეობის უწყვეტობის ერთ-ერთ არტეფაქტს, ვინაიდან გვხვდებიან როგორც ადრეულ (აბანოსხევი) და შუა (უინგალი, ახალი უინგალი, ხერთვისი, თანდისწყარო I), ისე მოგვიანო ხანის ძეგლებზე (ჩინთი, დამწვარი გორა, წოვი) და ძირითადად თარიღდებიან ძვ.წ. V ათასწლეულის მეორე ნახევრითა და IV ათასწლეულის პირველი ნახევრით [8, გვ. 37].

## G. Chikovani

### VESSELS WITH COMB-SHAPED MOUTH FROM EASTERN GEORGIAN EARLY HUSBANDRY SETTLEMENTS

(Summary)

Archaeological excavations, conducted for many years, show that from the second half of the 6<sup>th</sup> millennium B.C. through the second half of the 4<sup>th</sup> millennium B.C. three archaeological cultures – those of Shulaveri-Shomutepe, Sioni (or the Tsopi-Ginchi circle) and settlements of the type of the lower layers of Berikldeebi – coexisted at different stages of their development in Eastern Georgia. Pottery was developed in these cultures, hence ceramics serves as one of the main characteristics for the classification of these cultures. Earthenware from the Tsopi-Ginchi circle is in the area of Eastern Georgia. Production of vessels with “comb-shaped mouth” diffused from these sites to Eastern Georgia, dated generally to the second half of the 5<sup>th</sup> millennium up to the second half of the 4<sup>th</sup> millennium B.C. and attested both on sites of earlier (Abanokhevi) and subsequent (Akhali Zhinvali, Khertvisi, Tandistsqaro) and the later stages (Chinti, Damtsvari Gora, Tsopi). eastern Georgian vessels with comb-shaped mouth are one of the defining artifacts of the cultural succession for sites of the Tsopi-Ginchi circle.

### ლიტერატურა

1. გრიგოლია გ., ტატიშვილი თ. ქვემო ქართლის უძევესი ძეგლები. – სიგპ, ტ. I, 1960, გვ. 63-82.
2. გარაზაშვილი ვ. ნამოსახლარი „დამწვარი გორა“ (1980 წლის საველე მუშაობის შედეგები). – კაეშ, VI, 1984, გვ. 19-25.
3. კოლურაძე თ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდზეც. თბ., 1976.
4. ფხაგაძე გ. ქვემო ქართლის ენეოლითი. თბ., 1963.
5. ჩიქოვანი გ. კულტურული პროცესები აღმოსავლეთ საქართველოს ნამოსახლარებზე წინა აზიის მასალების მიხედვით. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 3-5.
6. ჩიქოვანი გ. ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარი სოფ. ჩინთიდან. – „ლეგია და კომპანიის“ უნივერსიტეტი. შრომები, ტ. II, თბ., 1998, გვ. 73-80.

**7.** ჩიქოვანი გ. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი თანდისწყარო I სოფელ ხელთუბანთან (გორის რაიონი). – ძიებანი, № 3, თბ., 1999, გვ. 10-23.

**8.** ჩიქოვანი გ. შიდა ქართლი ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1999.

**9. Варазашвили В. В.** Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна. Тб., 1992.

**10. Глонти Л. И., Джавахишвили А. И.** Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита-поздней бронзы в Шида Картли – Берикледееби. – КСИА, 192, 1987, გვ. 80-87.

**11. Миндиашвили Г. М., Чиковани Г. Ч.** Экспедиция Горийского района. – ПАИ, 1986 (1991), с. 15-19.

**12. Пицхелаури К. Н., Дедабришвили Ш., Маисурадзе Б., Миндиашвили Г., Абдушелишвили М., Варазашвили В.** Отчет о полевых работах Кахетской археологической экспедиции. – ПАИ, 1977 (1980), с. 85-95.

**13. Пицхелаури К. Н.** Исследования Кахетской археологической экспедиции – ПАИ, 1980, (1982), с.17-20.

**14. Рамишвили Р., Джорбенадзе В., Гогелия Д., Глонти М., Чихладзе В., Робакидзе Ц., Маргвелашвили М., Мухигулашвили Н., Рчеулишвили Г., Циклаури Д., Ломидзе Ц., Каландадзе З., Циклаури И., Церетели К.** Археологические исследования в Арагвском ущельи, – ПАИ, 1978 (1981), с. 119-173.

**15. Рамишвили Р. М., Рчеулишвили Г. Г., Маргвелашвили М. Г., Чихладзе В. В., Глонти М. Г., Циклаури Д. К., Робакидзе Ц. Ш., Циклаури И. Д., Церетели К.** Археологические исследования в Арагвском ущельи, – ПАИ, 1980 (1982), с. 52-59.

**16. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Чиковани Г. Ч., Глонти М. Г., Гогочури Г. К., Цитланадзе Л. Г., Мухигулашвили Н. З., Бучукuri А. И., Маргвелашвили М. Г., Циклаури И. Д., Ломидзе Ц. Ш., Циклаури Д. К., Каландадзе З. А., Гамехардашвили М. З., Буачидзе К. Г.** Археологическая экспедиция горного региона Восточной Грузии. – ПАИ, 1986 (1991), с. 89-95.

**17. Чиковани Г.** Глиняная посуда как один из определяющих компонентов поэтапного развития раннеземледельческих культур Грузии. – Археология, Этнология и фольклористика Кавказа, Материалы международной Конференции, Ереван, 2003, с. 47-48.

### ტაბულების აღწერილობა



ტაბ. I – ბიბილოსებრპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები: 1. ჩინთის; 2,5. ახალი უინვალის; 3. აბანოსხევის; 4. ხერთვისის; 6-7. თანდისწყარო – I ნამოსახლარებიდან,

ტაბ. II – ბიბილოსებრპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები დამწვარი გორას ნამოსახლარიდან.


### Description of the plates

Pl. I – fragments of vessels with comb-shaped mouth from the settlements: 1. Chinti; 2. Akhali Zhinvali; 3. Abanokhevi; Khertvisi; 6-7. Tandistsqaro.

Pl. II – fragments of vessels with comb-shaped mouth from the Damtsvari Gora settlement.



ঘোষ. II



## ალექსანდრე ორჯონიგიძე

### ორგანიზაციის ნასახლარის აღმენილი პრმპლექსები

უკანასკნელ წლებში საქართველოს ტერიტორიაზე, BP-ის მილსადენის დერეფანში წარმოებულმა ფართომასშტაბიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი გამოავლინა. მათ შორის აა ქ. ვალეს მახლობლად მდებარე თრჭოსნის ნამოსახლარი, რომელზეც 2002 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ საკონტროლო თხრილებით აღრეშუასაუკუნეების ნაშთების ქვეშ მოქცეული უფრო ადრეული ხანის ძეგლიც აღმოაჩინა. მტკვარ-არაქსული იერის ფრაგმენტული მასალის საფუძველზე მისი ასაკი ადრებრინჯაოს ხანით განისაზღვრა [11]. მომდევნო წლის სტაციონარული გათხრების შედეგებმა (I კამპანია), რომელიც აქვე, დაახლ. 600 მ<sup>2</sup> ფართობის ორი თხრილის შესწავლას ემყრებოდა (ტაბ. I, II), აღნიშნულს გარდა აქ ბედნისა და დასავლეთ საქართველოს მდგომარი კულტურებისათვის დამახასიათებელი მასალების არსებობაც დაადასტურა [12].

ადრებრინჯაოს ხანის კომპლექსები ძირითადად წარმოდგენილია არქეოლოგიური მასალის შემცველი სხვადასხვა დიამეტრისა და სიღრმის მქონე საკულტო და სამეურნეო დანიშნულების, გრუნტში ამოჭრილი ორმოებით; ასევე, ორიოდე სამარხითა და ქვის ნაგებობის ნაშთით.

ზოგან დადგინდა სტრატიგრაფიული სურათიც: I თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ქვის ნაგებობის კედლის ქვეშ, არქეოლოგიური მასალის შემცველი ორმო აღმოჩნდა (ტაბ. I); II თხრილში, 30-ე ორმოში, მცირეწლოვანი ბავშვის სამარხზე გამართული იყო სამსხვერპლო (ტაბ. II). ზოგი ორმო სხვა ორმოთი იყო ჩაჭრილი (ტაბ. II).

სტრატიგრაფიული მონაცემების არსებობის მიუხედავად, მოპოვებული მასალის იგივეობის გამო ცხადი გახდა, რომ ამ კომპლექსებს შორის ქრონოლოგიური სხვაობა უმნიშვნელოა – ისინი ერთსა და იმავე პერიოდს განეკუთვნება.

აქ აღმოჩნდილ ქვის ნაგებობას მომრგვალებული კუთხე აქვს. მას იატაკი და კერა, ძალზე დამახასიათებელი ელემენტები ამ ხანის საცხოვებლისა, არ აღმოაჩნდა.

სეგავსი გეგმვების მქონე ნაგებობა საქართველოს ამ კუთხეში თითქმის უცნობია – იგი მთლიანად სწორკუთხა არქიტექტურითაა წარმოდგენილი [8, გვ. 31]. ორგონისნის ნაგებობის მეტ-ნაკლებად ახლო ანალოგად ამავე რეგიონში შეიძლება ჩაითვალოს ამირანის გორის II ნაგებობა, რომელიც გეგმაში ასევე მომრგვალებული იყო, არ ჰქონდა თიხატეპნილი იატაკი და კერა. ტ. ჩუბინიშვილის აზრით, საქმე გვაქვს დამხმარე ნაგებობასთან, რომელიც, აღბათ, გადაუხურავიც იყო [20, გვ. 30]. შესაძლოა, ორ-

ჭოსნის ამ ნაგებობასაც ანალოგიური დანიშნულება ჰქონდა.

30-ე ორმოზე მოწყობილი სამსხვერპლო წარმოადგენს სამ, ერთმანეთზე დაწყობილ თიხის მასიურ, კვადრატულ ფილებს (50x50 სმ), რომელთა შორის ნაცროვანი შრე იყო მოქცეული. ფილები ბრტყელია, კუთხებმომრგვალებული, ზედა ფილას 10 სმ სიმაღლის 4 კონუსური შვერილი გააჩნია (საინვ. № 3765), რომელიც მის თოხივე კუთხეზე უნდა ყოფილიყო ამოფანილი (ტაბ. VIII<sub>6</sub>), მსგავსად მტკვარ-არაქსის კულტურის რქისებრი სადგრის ზოგიერთი ტიპისა [42, გვ. 78]. ამ ცენტრალურ ნაწილს აქეთ-იქიდან შედარებით მომცრო ზომის ანალოგიური სექციები უნდა ჰქონოდა მიღვიმული. ეს სამსხვერპლო რამდენადმე მოგვაგონებს სამხრეთ თურქმენეთში გათხრილ აღტინ-დეპეს ადრებრინჯაოს ხანის სამსხვერპლოებს [37, გვ. 242, სურ. 3].

სამსხვერპლოს ქვეშ მოქცეული ბავშვის ჩონჩის მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩულად იყო დაკრძალული. ორმოში გაიწმინდა სამსხვერპლოს ფილების ფრაგმენტები, საგულდაგულოდ გათლილი ქვის, ორი ბრტყელი ფილა და მცირეოდენი არქეოლოგიური მასალა. მსგავსი ტრადიცია – სამოსახლოს ტერიტორიაზე, ხშირად საცხოვრებლის იატაკის ქვეშ ან ორმოში ჩვილის დაკრძალვა იშვიათი მოვლენა არაა ადრებრინჯაოს ხანის სამოსახლარზე [20, გვ. 39; 33, გვ. 34; 15, გვ. 199].

ორგონისნის ნასახლარზე რამდენიმე ათეული ორმო იქნა გათხრილი. ამ ორმოების ზედაპირი ნაშმიროვან-ნაცროვან მუქ ლაქას წარმოადგენდა, რომელიც ადვილად განირჩეოდა მოყვითალო ფერის თიხნარი გრუნტის ფონზე. უმეტესობას ზედ მოზრდილი ქვების გროვა ედო, რომელშიც ზოგჯერ ნავისებური ფორმის ქვის ხელსაჟევავიც იყო ჩართული. ორმოები შეიცავდა ნაცროვან მიწასა და ქვებში არეულ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს, საქონლის ძვლებსა და ლითურ მასალას. იშვიათად გვხვდებოდა ბრინჯაოს მცირე ზომის ნივთებიც.

ორმოები ერთმანეთთან ახლოსაა განლაგებული. გვხვდება როგორც მოზრდილი, ისე მომცრო ზომის, ღრმა – 2 მეტრზე მეტი, ან დაბალი – 0,2 მეტრი სიღრმისა. უმეტესობა სწორკედლიანია, ზოგი კი ქვემოთა გაფართოებული, რის გამოც ორმოს გადაჭრილი კონუსის ფორმა აქვს მიღებული. ორმოს კედლები შეუღესვია. ორმოებში სტრატიგრაფიული სურათი არ ჩანს.

ორმოები ძალზე დამახასიათებელია სხვადასხვა ხანის ძეგლებისათვის. მაგრამ განსაკუთრებით მრავლად საკულტო თუ სამეურნეო დანიშნულების მსგავს ორმოებს ვხვდებით ადრებრინჯაოს ხანაში - მტკვარ-არაქსისა და ბე-

დენის კულტურის ნასახლარებზე. მაგალითად, ღრმახევისთავზე ამ ხანის 100 ორმოა გათხრილი [1], დაახლოებით ამდენივე – ქვემო არანისში [33, გვ. 34]; არაერთი ორმოა გათხრილი ილტოსა და ხაშურის ნაცარგორაზე [34, ტაბ. I], ხოლო ბერიკლდების მრავალფენინ ნასახლარზე გამოვლენილი 262 ორმოდან 229 ბედენურ პერიოდს განეკუთვნება [19, გვ. 17].

ორჭოსნის ნასახლარზე აღმოჩენილი ძვლის იარალები – მახათები, სადგრები, ნემსები კარგადაა ცნობილი ადრელითონების ხანის არაერთი ნასახლარიდან ისევე, როგორც ქვის ხელსაფქვავები, სანაყები, სასრესები და სხვ. (ტაბ. IV<sub>1,8</sub>; V<sub>2,3</sub>). აქვე აღმოჩენილი კაჟის ნამგლის ორმხრივდამუშავებული ჩასართები (საინვ. № 487) და ობსიდიანის ფუძეამოღარული ისრისპირები (ტაბ. IV<sub>10</sub>) კი ფართოდაა წარმოდგენილი ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე. შედარებით იშვიათია ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის სწორფუძიანი ისრისპირი (ტაბ. III<sub>3,11</sub>; IV<sub>11</sub>), რომელსაც საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, ძირითადად ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებზე ვხვდებით. შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიაში ამ ტიპის ისრისპირის უმეტესობა სწორედ ორჭოსნის ნასახლარზეა აღმოჩენილი [14, გვ. 28]. მე-7 ორმოში ნაპოვნი სწორფუძიანი ისრისპირი, მციცავი რეტუშით დაფარული დანარჩენი ცალებისაგან განსხვავებით, დამუშავებულია ბედენისა და თრიალეთის კულტურებისათვის დამახასიათებელი წარილი პარალელური ამოღარვის ტექნიკით (ტაბ. III<sub>11</sub>). ამავე ორმოშია აღმოჩენილი ბრინჯაოს დიფერენცირებულტანიანი ოთხწახნაგა ისრისპირიც (ტაბ. III<sub>12</sub>). ორჭოსნის ნასახლარზე ცნობილია ბრინჯაოს ოთხწახნაგა ისრისპირის მეორე – არადიფერენცირებულტანიანი ტიპიც (ტაბ. III<sub>2</sub>). ბრინჯაოს დიფერენცირებულტანიანი ისრისპირი საქართველოში ადრებრინჯაოს ხანის მხოლოდ მოგვიანო ეტაპზე იჩენს თავს [25, გვ. 168], დამახასიათებელია ძირითადად სამცხე-ჯავახეთისათვის და თანაარსებობს არადიფერენცირებულტანიან ტიპითან ერთად [13, გვ. 107].

საქართველოსა და საერთოდ, სამხრეთ კავკასიისათვის იშვიათობას წარმოადგენს ბრინჯაოს ანკესი, აღმოჩენილი ორჭოსნის ნასახლარის მე-2 ორმოში. შესანიშნავად შემონახული ლითონის ეს იარაღი (ტაბ. III<sub>7</sub>) თითქმის ანალოგიურია საგვარჯილეს ზედა ფენაში ნაპოვნი ცალისა [7, ტაბ. XII<sub>14</sub>].

ორჭოსნის ნასახლარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უმეტესობას კერამიკა წარმოადგენს. იგი ხელითნაძერწია, სამეთურეო მორგვის გამოყენების გარეშე. განვდება შავი, ლეგა, მოყავისფრო და მოწითალო ფერის ზედაპირიანი, ხშირად ორფენად გამომწვარი, თხელკედლიანი, კარგად გაპრიალებული, ან უხეში ნაწარმი. განირჩევა დერგის, ქოთნის, ქილის, ტაფის და სხვა ტიპის ჭურჭელი, შემკული ძირითადად კოპებითა და შვერილებით; იშვიათად

– ნაკაწრი ხაზებით. თიხის ჭურჭელში ორი ჯგუფი გამოიყოფა:

1 ჯგუფის ჭურჭელს მიეკუთვნება შედარებით უხეში ნაწარმი – ძირითადად უყურო ქილები და ქოთნები პირქვეშ გამოყვანილი კოპებითა და შეგრილებით; ასევე, ტაფისებური ჭურჭელი. უკანასკნელი მრგვალი ფორმისაა, მაღალი ოდნავებადაშლილი ბორტით, რომელსაც ზოგჯერ დაჭდებული ან ტალისებრი კიდე აქვს. ხშირად ასეთ ჭურჭელს პირქვეშ შემოუყვება შიდა მხრიდან გამოწვამდე გაპეტებული ნახვეტების მწკრივი. უმეტესობას ძირზე ეტყობა წნული, წრიულ-კონცენტრული ან სპირალური სახის თოკისებრი ანაბეჭდის კვალი (ტაბ. IV<sub>7</sub>; VII<sub>7,8</sub>). ზოგიერთი ტაფა ცალგვერდგადასნილია, მსგავსად მტკვარ-არაქსის კულტურის ცალებისა, მაგრამ შაოგან განსხვავდება პირქვეშ ხახვეტებისა და ძირზე წნული თოკისებრი ანაბეჭდების არსებობით. ამ ტიპის ჭურჭელი არც მაიკოპის კულტურისათვისაა დამახასიათებელი, რის გამოც თავის დროზე იგი დაღესტნისათვის სპეციფიკურად იქნა მიჩნეული, სადაც ამგვარი ჭურჭელი საკმაოდ ადრეული სანიდანაა ცნობილი [40, გვ. 93]. მაგრამ ასეთივე ჭურჭელი აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ზოგიერთ ძეგლზეც, რამაც საეჭვო განადა აღნიშნული მოსაზრების სისწორე [34, გვ. 52].

მართლაც, ორჭოსნის ნასახლარის ტაფისებური ჭურჭლის ანალოგებს მრავლად ვწვდებით როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა არუხლო VI [16, ტაბ. XLIX], იმირის გორა [4, გვ. 66], იორ-ალაზნის აუზის ადრეული ნამოსახლარები [31, ტაბ. V, XX], საგვარჯილე, დარკვეთი, სამერცხლე კლდე და სხვ. [16, გვ. 230].

იგივე ტიპის ჭურჭელი მოგვიანოდაც განაგრძობს არსებობას. ილტოს ნასახლარზე იგი აღმოჩენილია ბედენური ტიპის ნაწარმთან ერთად [34, გვ. 52], ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ტაფისებური ჭურჭელი პირქვეშ შემოყოლებული ნახვრეტების მწკრივითა და ძირზე წნული წრიული ანაბეჭდის კვალით საქართველოს ტერიტორიაზე ხმარებაში იყო ენეოლითიდან შუაბრინჯაოს ხანამდე [34, გვ. 52]. იგივე პერიოდში ჩანს იგი გავრცელებული ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაშიც, სადაც საქართველოსთან მჭიდრო კულტურული კავშირები განსაკუთრებით ნათლად იკვეთება ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა: გინჩი, ჩინა, ჩირკეი, გალგალატლი I და სხვა ნასახლარები [32, სურ. 12, 15, 28]. იქვე, ყარაბუდახენტის ერთეულთ სამარხში, რომელიც ადრებრინჯაოს ხანის დასასრულს მიეკუთვნება, მსგავსი ტაფა თავის ხეფთან ერთად იქნა ნაპოვნი [41, გვ. 93], ხოლო ნაზრანთან შესწავლილ ნასახლარზე იგი შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისით თარიღდება [38, გვ. 61-88].

ძირზე წნული წრიული ანაბეჭდების კვალი გააჩნია ორჭოსნის ნასახლარის პირქვეშ კოპებითა და შევრილებით შემკულ ქილის და ქოთნის ფორმის ზოგიერთ ჭურჭელსაც (ტაბ. III<sub>1,10</sub>), რომელთა ანალოგი ასევე არის დასავლეთ [5, ტაბ. VIII, XII; 16, გვ. 263-265] და აღმოსავლეთ [4, ტაბ. 39] საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებზე. განსაკუთრებით კარგად იგი შელავერ-შომუთეფეს კულტურის კერამიკაზეა წარმოდგენილი, თუმცა ფორმისა და შემკობის მრავალფეროვნებით იგი განსხვავდება ორჭოსნის ცალებისაგან. მსგავსი ჭურჭელი გვხვდება დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მღვიმურ და ლია ნასახლარებზე: სამელე კლდეში, ცუცქვათში, დარკვეთში, ოჩამჩირესა და ფიჩორის ქვედა ფენებში [18, გვ. 35, 40; 16, გვ. 251-253, 265, 272, 280]. იგი ადრეკორდანული კულტურის ფურცელწყაროს № 7 ყორდანშიცაა დადასტურებული [2, გვ. 27-55]. ანალოგიური ფორმის ჭურჭელი, ხშირად შემკული პირქვეშ მიძრწილი ერთეული კოპებითა და შევრილებით ცნობილია ადრებრინჯაოს ხანის მიწურულის ზველის რაბათისა და ლოდობანას ნასახლარებზეც [8, ტაბ. 30<sub>7</sub>, 32<sub>13</sub>]. ჭილოფის ან წნულანაბეჭდიანი მირის მქონე ნაწარმი დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით<sup>7</sup> დათარიღებულ ანაკლიის, ისპანისა და ფიჩორის ნასახლართა ქვედა ფენებში ისეთ ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა, რომელსაც ბერიკლდებისა და თრიალეთის ადრეული ყორდანების კერამიკას უდარებენ [40, გვ. 20].

II ჯგუფის ჭურჭელი გაცილებით მაღალ-ხარისხოვანია, კარგადაა გამომწვარ-გაპრიალებული, რითაც საგრძნობლად განსხვავდება I ჯგუფის კერამიკული ნაწარმისაგან. მის ახლო ანალოგებს ძირითადად ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზე ვხვდებით. სამცხე-ჯავახეთისა [8, ტაბ. 30, 32] და ბერიკლდების [23, ტაბ. I<sub>9, 10</sub>] ამ დროის მასალაში პოულობს პარალელს ორჭოსნის ნასახლარის 41-ე ორმოს ქილისებრი ჭურჭელი პირიზონტალურად გადაშლილი პირითა და პირქვეშ მიძრწილი მოზრდილი შვერილით (ტაბ. VII<sub>3, 9</sub>). ზველის რაბათზე ჩანს [8, ტაბ. 29<sub>5</sub>] ორჭოსნის მე-4 და მე-13 ორმოებში აღმოჩნდილი ორი ჭურჭლის ანალოგიც (ტაბ. III<sub>8</sub>; IV<sub>3</sub>). იგივე ფორმა გვხვდება ამირანის გორის XIII შენობასა და ბერიკლდების ბედენურ ფენაშიც [20, გვ. 34, სურ. 6<sub>16</sub>; 23, ტაბ. VIII<sub>11</sub>]. კარგადაა ცნობილი ის ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის სინქრონულ ძეგლებზეც. თვლიან, რომ ჩრდილო კავკასიის ამ რეგიონში ჭურჭლის ეს ფორმა ბრინჯაოს ხანის მთელი პერიოდის განმავლობაში რჩება მაშინ, როცა იგი უეცრად ქრება სამხრეთ კავკასიასა და ანატოლიაში [41, გვ. 110]. თუმცა, მესხეთის

ყორდანების მასალებით ჩანს, რომ იგი საქართველოში შუაბრინჯაოს ხანაშიც აგრძელებს არსებობას [27, გვ. 70, სურ. 26]. ორჭოსანზე აღმოჩენილი შავპრიალა ბიკონუსურტანიანი ქოთნებიდან ერთი (ტაბ. VII<sub>2</sub>) ემსგავსება მტკარ-არაქსულ ნაწარმს, მაგრამ შუაზე მცირედ გამობერილი ყელითა და მკვეთრად გადაშლილი პირით ახლო დგას ბედენურ ნაწარმთანაც. იგივე შეიძლება ითქვას შავპრიალა მეორე ქოთანზეც (ტაბ. VIII), რომელიც წააგავს სამხრეთ საქართველოში გავრცელებულ მტკარ-არაქსის კულტურის ბიკონუსურტანიან ჭურჭელს, განსაკუთრებით კი – ბეშთაშენის ცალს [36, ტაბ. 31<sub>53</sub>]. თუმცა, გამოწვის თავისებურებით და ცილინდრული ყელიდან მკვეთრად გამოყოფილი გადაშლილი პირით სიახლოეს იჩენს ბედენურ ნაწარმთანაც.

ამავე კულტურის მასალებში პოულობს ანალოგებს ზოგადად მტკარ-არაქსული იერის მქონე [47, გვ. 183, სურ. 78] მომრგვალებულტანიანი და ცილინდრულყელიანი შავპრიალა ჭურჭელიც მკვეთრად გადაშლილი პირით (ტაბ. VII<sub>1</sub>). იგი ზუსტად იმეორებს ქვემო ქართლის № 4 ბედენური ყორდანის ჭურჭლის ფორმას. მასვე ემსგავსება ქვემო ქართლის სხვა ფორდანთა ჭურჭელიც, რომელიც ორჭოსნის ცალისაგან განსხვავდებით ყურიანია [29, ტაბ. XXXV-XXXVIII]. მე-2, 28-ე და 41-ე ორმოთა ჭურჭელი მომრგვალებული მუცლით, ცილინდრული ყელითა და მკვეთრად გადაშლილი პირით (ტაბ. III<sub>4</sub>; V<sub>8</sub>; VII<sub>4</sub>) უახლოვდება რა მტკარ-არაქსულ ნაწარმს, მეტ მსგავსებას იჩენს ბედენურ თიხის ჭურჭელთან. იგივე ნიშნებით ხასიათდება 26-ე ორმოში აღმოჩნდილი ძალზე დიდი ზომის მოვარდისფროდ გაპრიალებული დერგიც (ტაბ. V<sub>1</sub>), რომელიც ახლოთ დგას ხაშურის ნაცარგორის ბედენურ დერგებთან [9, ტაბ. III].

ორჭოსნის ნასახლარის 30-ე ორმოში, სამსხვერპლოს ქვეშ აღმოჩნდილი ტოლჩა (ტაბ. V<sub>6</sub>) მსგავსია ბედენური კულტურის წნორის № 2 [35, ტაბ. XXVII<sub>32</sub>] და ბაკურციხის ყორდანთა ცალებისა [43, ტაბ. XX<sub>26</sub>], ასევე ბერიკლდების ზოგიერთი ჭურჭლისა [23, ტაბ. XI<sub>3,4</sub>].

აღრებრინჯაოს ხანის ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს ორჭოსნის ნასახლარზე, სამსხვერპლოსთან აღმოჩნდილი თიხის მცირე ზომის ანთროპომორფული ქანდაკებაც, რომელსაც შესაძლოა საკულტო შინაარსი და დანიშნულება ჰქონდა. იგი წარმოადგენს სქემატურად გადმოცემული ადამიანის (ქალის?) შავად გამომწვარ-გაპრიალებულ ფიგურას ზარისებრი ფორმის ძირშედრეკილი ტორსით, განზე გაზიდული, პირობითად გამოსახული ხელებითა და ტანიდან გამოყოფილი კონუსური თავით (ტაბ. V<sub>9</sub>). ეს ქანდაკება ნაკლებად უკავშირდება ადრესამიწათმოქმედო ხანის შულავერ-შომუთეფეს ფიგურებს, რადგან ისინი მთლიანად გამოუწვავი თიხისაგან ნაკეთები მეტ-ნაკლებად სტილიზებული დამჯდარი ქალის ქანდაკებაა, რომელთაგან უმრავლესობაზე ნაყოფიერების გამომხატველი

<sup>7</sup> გამოყენებულია ტრადიციული ქრონოლოგია – ა.ო.

ნიშნებია ხაზგასმული [28, გვ. 87]. ადრესა-მიწათმოქმედი ხანის ანთროპომორფული ფიგურები უფრო მეტად წააგავს წინა და შუაზის ადრეული კულტურების ფიგურებს [22, გვ. 16]. მათგან განსხვავებით ადრებრინჯაოს ხანის საქართველოში მდგარი, ძირითადად მამაკაცის სქემატური გამოსახულებები გვხვდება [30, გვ. 219-237], რომელიც განსაკუთრებულ მსგავსებას ცირკებია-აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის-პირეთის ფიგურებთან იჩენენ [22, გვ. 40], მეტადრე ადრებრინჯაოს ხანის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიურ ნაწარმთან, ვიდრე სამხრეთ და დასავლეთ ანატოლიის ფიგურებთან, რომელიც არ იძლევიან მტკვარ-არაქსულის მსგავს ფორმებს [30]. ორჭოსნის ნასახლარის თიხის ქანდაკებაც ახლო ანალოგებს პოლობს ამავე წრეს მიკუთვნებულ სამხრეთ კავკასიის თიხის მცირე ზომის ფიგურებთან. რამდენადმე კონუსური ტანითა და რულიმენტული ხელებით მასთან გარკვეულ მსგავსებას იჩენს ქაცხელას ქანდაკებები [22, ტაბ. VI]. მომრგვალებულგანივებითი ტანით, წაწვეტებული თავითა და გაზიდული მკლავებით მას შეიძლება შევუდაროთ დასავლეთ საქართველოს – ისპანის ნასახლარის ანთროპომორფული ფიგურაც, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის იერის მქონე ნაწარმთან ერთადაა აღმოჩენილი [39, გვ. 35, ტაბ. XXIX<sub>3</sub>]. მაგრამ განსაკუთრებულ სიახლოვეს ორჭოსნის ნასახლარის ეს ქანდაკება იჩენს ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებულ არიჭის ქანდაკებასთან [46, გვ. 76], რომლის თანმხლები გვიანმტკვარ-არაქსული კერამიკა ბედენურ ნიშნებსაც ავლენს [8, გვ. 107]. ამრიგად, ორჭოსნის თიხის ქანდაკება მიეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურაში ჩამოყალიბებულ ფიგურათა ტიპს, რომელიც არსებითად განსხვავდება წინამორბედი ხანის ამგვარივე ნაკეთობებისაგან.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ორჭოსნის ნასახლარზე გამოვლენილი ადრეული კომპლექსები ერთმანეთის სინქრონულია და განეკუთვნება ადრებრინჯაოს ხანას. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ორივე ჯგუფის თანადროულობა მტკიცდება მათი თანა-არსებობით თითქმის ყველა კომპლექსში.

ძნელი გასაზიარებელია მოსაზრება ორჭოსნის ნასახლარზე ენეოლითური ხანისა და ტიპური მტკვარ-არაქსული კერამიკის შემცველი ფენების არსებობის შესახე, [45, გვ. 120], რადგან ეს ფენები აქ არ არის. მართალია, I ჯგუფის თიხის ჭურჭლის სიახლოვე ადრესამიწათმოქმედო ხანის კერამიკულ ნაწარმთან ჩანს [45, გვ. 120], მაგრამ ასეთივე ნაწარმი უცხო არ არის მომდევნო ხანის ძეგლებისთვისაც, რის გამოც იგი კარგავს მტკიცე და-მათარიღებულ არგუმენტაციას. ამ მხრივ გაცილებით მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ორჭოსანზე აღმოჩენილ II ჯგუფის კერამიკას. კა-

უის ორმხრივდამუშავებული ნამგლისჩასართები და ობსიდიანის ისრისპირებიც, თითქმის უცნობია ადრესამიწათმოქმედო კულტურისათვის და მხოლოდ ადრებრინჯაოს ხანაში იჩენს თავს [28, გვ. 74; 21, გვ. 12]. კაუის ამგვარი ნამგლისპირი არ გახვდება არც შულავერ-შომუთეფესა და არც დასავლეთ საქართველოს მღვიმებში [4, გვ. 124; 7, გვ. 83]. სამაგიეროდ, ფართოდ ვრცელდება იგი ადრებრინჯაოს ხანაში – მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურის ძეგლებზე [3; 23]. ნიშანდობლივია, რომ დასავლეთ საქართველოს მღვიმურ ძეგლ საგვარჯილებზე აღმოჩენილ კაუის ერთადერთ ნამგლისპირსაც მტკვარ-არაქსის კულტურასთან კავშირში განიხილავენ [7, გვ. 83].

ყურადღებას იქცევს ორჭოსნის ნასახლარზე ქვის ყუნწანი ისრისპირის არარსებობაც, რაც ამ ძეგლს ადრებრინჯაოს ხანის მოგვიანო პერიოდის იერს აძლევს. როგორც ცნობილია, ადრებრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ყუნწანი ფორმა ღომინირებს [24, გვ. 88]. ორჭოსნის ნასახლარზე კი ისრისპირის მხოლოდ უყუნწო ფორმებია აღმოჩენილი, მათ შორის ტოლლერდა სამკუთხედის ფორმისა, რომელიც სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებისა და მეორე ნახევრის ძეგლებზე ჩნდება [14, გვ. 28]<sup>8</sup> ისევე, როგორც ბრინჯაოს დიფერენცირებულტანიანი ოთხწახნაგა ისრისპირი [13, გვ. 107].

მტკვარ-არაქსული ტრადიციების შემონახვას უნდა მიეწეროს ორჭოსნის ნასახლარზე შავპრიალა-ვარდისფერსარჩულიანი, მოვარდისფრო პრიალა თიხის ჭურჭლისა და თიხის ანთროპომორფული ქანდაკების არსებობა. და მანც, აქ თითქმის არ ჩანს ტიპური მტკვარ-არაქსული ფორმები, ჭურჭლის ხუფები, დამახასიათებელი ყურები, კერები, ზესადგრები, ორნამენტი და სხვა ის ელემენტები, რაც ასე თავისებურ სახეს აძლევს ამ კულტურას.

ბედენის კულტურის ნაწარმთან ავლენს მეტ საერთოს ორჭოსნის ნასახლარის თიხის ჭურჭლის, განსაკუთრებით კი – II ჯგუფის უმეტესობა. სწორედ ამ კულტურისათვისაა დამახასიათებელი ერთფენად გამომწვარი შევპრიალა კერამიკა, რომლის ზუსტ ანალოგებს ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოს ზემოთაღნიშულ სამარხეულ თუ ნასახლარ ძეგლებზე. მიუხედავად ამისა, ორჭოსნის ეს ნაწარმი მაიც განსხვავდება ტიპური ბედენური კერამიკისაგან ორნამენტის არარსებობითა და ყურიანი ჭურ-

<sup>8</sup> აღსანიშნავია, რომ წითელგორების ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნასახლარზე აღმოჩენილი სწორფუძიანი ორი ისრისპირიდან ერთი დამუშავებულია წვრილი პარალელური ამოღარვის ტექნიკით [31, გვ. 31], რაც მის მოგვიანო ასაკზე უნდა მიუთითებდეს. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნასახლარი ადრევე იყო დაზიანებული სადრენაჟო არხით და ეს ისრისპირები მახლობლად, გადანაყარ მიწაში იქნა აკრეფილი [31, გვ. 19].

ჭლის ნაკლებობით, რაც მის ლოკალურ თავი-სებურებებზე უნდა მიუთითებდეს.

სამცხის ამ ნაწილში მტკვარ-არაქსისა და ბე-დენის კულტურის ძეგლები შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი, რაც დასავლეთ საქართველოსთან ტერიტორიული სიახლოვით და მსგავსი ბუნებრივი პირობებითაა ახსნილი [28, გვ. 155]. და-სავლეთ საქართველოს კულტურის არსებობა ამ მხარეში სრულიად ბუნებრივი ჩანს – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კულტურათა ურთიერთობა აქ ისტორიულ ჭრილში დასტურდება [10, გვ. 1-10]. ადრებრინჯაოს ხანაში კი ამის მაგალითს წარმოადგენს ორჭოსნის მახლობლად მდებარე აბასთუმნის ყანობილის ნასახლარი, სადაც ტიპურ შავპრიალა მტკვარ-არაქსულ კერა-მიკასთან ერთად დასავლეთ საქართველოს მდგო-მური ძეგლებისათვის დამახასიათებელი მასალაც აღმოჩნდა [44, გვ. 21].

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამცხეში დასავ-ლეთ საქართველოს კულტურის მატარებელი ტომები უკვე ამ დროიდან კონტაქტში შედიან მტკვარ-არაქსულ ტომებთან. აღმოსავლეთ სა-ქართველოს კულტურასთან ურთიერთობა ჩანს შემდგომაც, ბედენის კულტურის ხანაშიც გრძელდება, რაზეც უნდა მეტყველებდეს I ჯგუ-ფის კერამიკის არსებობა ორჭოსნის ნასახლა-რის მასალებში. ენეოლითის ხანაში ჩამოყალი-ბებული ამგვარი ნაწარმი დასავლეთ საქარ-თველოში ადრებრინჯაოს ხანაშიც განაგრძობს არსებობას [28, გვ. 119].

განსხვავებული სურათია აღმოსავლეთ სა-ქართველოში, სადაც მსგავსი კერამიკა ენეოლი-თის მოძევნო ხანაში – მტკვარ-არაქსის კულ-ტურის ძეგლებზე თითქმის არ გვხვდება. იგი აქ ძირითადად ბედენის კულტურაში იჩენს თავს, რაც თავისთავად სვამს საკითხს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს აღნიშნულ კულ-ტურათა ურთიერთმიმართების თაობაზე.

ბედენისა და გვიანმტკვარ-არაქსული კულ-ტურების თანადროულობა სადღეისოდ აღმოსავ-ლეთ საქართველოს არაერთ ძეგლზეა დადა-სტურებული [29, გვ. 144]. დასავლეთ საქარ-თველოს მდვიმეთა ნაწილზე კი ჩანს ადგილობ-რივი და გვიანმტკვარ-არაქსული ნაწარმის თა-ნაარსებობა. გამომდინარე აქედან, ლოგიკურია ბედენისა და დასავლეთ საქართველოს მდვიმურ კულტურათა თანადროულობის დაშვება მათი განვითარების გარკვეულ საფეხურზე. არქაული ნიშნების შემოჩენით გამორჩეული დასავლეთ საქართველოს მდვიმური კულტურა აქ თუ I

<sup>9</sup> მოწამეთას მდვიმეში ადგილობრივ კერამიკასთან ერთად გვიანმტკვარ-არაქსული ხანის ცრუფურიანი ფრაგმენტიც აღმოჩნდა [17, გვ. 22-36], ხოლო სა-მერცხლე კლდეში ამავე დროისა უნდა იყოს ვიწრო და მაღალი ყურების მქონე კერამიკის ფრაგმენტებიც [16, ტაბ. CLIII], რაც ადასტურებს მოსაზრებას, რომ მდვიმებში, ზოგან, ცხოვრება მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენის შემდგომაც გრძელდება [28, გვ. 156; 16, გვ. 232].

ჯგუფის თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი, რომელშიც წითლადშეღებილი სფერულტანიანი ბბრისებრპრიანი თიხის „იმპორტული“ ჭურ-ჭელიც შედის (ტაბ. IV<sub>5</sub>, VI<sub>3</sub>), აღმოსავლეთ სა-ქართველოს კულტურას ძირითადად II ჯგუფის კერამიკული ნაწარმი ასახავს, რომელსაც ანა-ლოგები გარკვეულწილად მტკვარ-არაქსულ ძირზე ამოსულ ბედენურ კერამიკაში [29, გვ. 130] ეძებნება.

ამდენად, ორჭოსნის ნამოსახლარი წარმო-გვიდგება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართვე-ლოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა კერა-მიკული ტრადიციების სამცხეში შეხვედრის კი-დევ ერთ პუნქტად, რომლის მონაცემებმა ახალი იმპულსი უნდა მისცეს კავკასიის ადრეულ კულტურათა ურთიერთმიმართების კვლევას.

## A. Orjonikidze

### EARLY COMPLEXES OF THE ORCHOSANI SETTLEMENT SITE

(Summary)

In 2003 the Akhaltsikhe Archaeological Expedition carried out diggings on the Orchosani settlement site near the Vale customs, in the area of the BP pipeline corridor, discovering earlier archaeological materials under a mediaeval layer. Archaeological data suggests that the cultural layers brought to light are synchronous and are datable to the Early Bronze Age.

One group of pottery (Pl. III-1, 10; IV- 4.7; VI; VII-7,8) bears quite close resemblance with pottery coming from the Western Georgian cave complexes, while the other (Pl. V-6,7,8; VII-1,2,4; VIII-1; IX) finds parallels with Bedeni culture earthenware. These similarities enable the author to conjecture that Orchosani settlement was the point where the ceramic traditions of Eastern and Western Georgian Early Bronze Age cultures met.

## ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., გა-ხიანი გ. ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგ-ლები. თბ., 1980.
2. კაბანაძე გ. ივრისპირების ბრინჯაოს ხა-ნის სამარხები. – კაეშ, VI, 1984, გვ. 27-53.
3. კიკვიძე ი. ხიზანაანთ გორის ადრებრინ-ჯაოს ხანის ნასახლარი. თბ., 1971.
4. კილურაძე თ. აღმოსავლეთ ამიერკავკა-სის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიო-დიზაცია. თბ., 1976.
5. ნებიერიძე ლ. დარკვეთის მრავალფენია-ნი ეხი, თბ., 1978.

- 6.** ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986.
- 7.** ნებიერიძე ლ. მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარი. თბ., 2003.
- 8.** ორჯონიძემე ა. სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში. თბ., 1983.
- 9.** ორჯონიძემე ა. შერეულპერამიკიანი კომპლექსები შიდა ქართლიდან, პრეპრინტი. თბ., 1992.
- 10.** ორჯონიძემე ა. ზოგი რამ ბრინჯაოს ხანის შესწავლის ისტორიიდან მესხეთ-ჯავახეთში, პრეპრინტი. თბ., 1997.
- 11.** ორჯონიძემე ა., ჩიხლაძე ვ., მარგველაშვილი. ВР მილსადენის კორიდორში მოქმედი ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის 2002 წლის სექტემბერში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. ხელნაწერი, ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.
- 12.** ორჯონიძემე ა. ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წლის ივნის-აგვისტოში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. ხელნაწერი, ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.
- 13.** ორჯონიძემე ა. მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 2004.
- 14.** ორჯონიძემე ა. ქვის ისრისპირები საქართველოდან. – ძიებანი, № 13-14, 2004, გვ. 24-61.
- 15.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, თბ., 1970.
- 16.** საქართველოს არქეოლოგია. II, თბ., 1993.
- 17.** ფხაკაძე გ. დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურის და მაიკონის კულტურის ურთიერთობის საკითხები. – სას, III, თბ., 1985, გვ. 22-36.
- 18.** ფხაკაძე გ. დასავლეთი ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში. თბ., 1993.
- 19.** ყიფიანი გ. ბერიკლდეები, გალავანი და ტაძარი. – სსმ, XLII-B, თბ., 1997, გვ. 13-57.
- 20.** ჩუბინიშვილი ტ. ამირანის გორა. თბ., 1963.
- 21.** ჭელიძე ლ. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითისა და ადრებრინჯაოს პერიოდების ქვის ინვენტარს შორის მემკვიდრეობითობის საკითხი. – ძიებანი, № 13-14, გვ. 11-13.
- 22.** ჯაგახიშვილი გ. ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში. თბ., 1984.
- 23.** ჯალაბაძე მ. ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი), საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1998.
- 24.** ჯაფარიძე თ. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.
- 25.** ჯაფარიძე თ. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969.
- 26.** ჯაფარიძე თ. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბ., 1976.
- 27.** ჯაფარიძე თ. და სხვ. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. თბ., 1981.
- 28.** ჯაფარიძე თ. საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1991.
- 29.** ჯაფარიძე თ. ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის, ძვ. წ. III ათასწლეული. თბ., 1998.
- 30.** Антонова Е.В., Есаян С. А. Антропоморфная скульптура Армянского нагорья V-III тыс. до н.э. Местная специфика и межрегиональные связи. – Древний Восток. Этнокультурные связи. М., 1988, с. 219-237.
- 31.** Варазашвили В. Л. Раннеземледельческая культура Иор-Алазанского бассейна. Тб., 1992.
- 32.** Гаджиев М. Г. Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа. М., 1991.
- 33.** Глонти М. Г. Памятники Арагвского ущелья раннебронзовой эпохи. – Душетская научная конференция., Тб., 1984, с. 33-39.
- 34.** Дедабришвили Ш. Ш. Памятники эпохи ранней и средней бронзы. – ТКАЭ, I, Тб., с. 35-75.
- 35.** Дедабришвили Ш. Ш. Курганы Алазанской долины, Тб., 1979.
- 36.** Жоржикашвили Л. Г., Гогадзе Э. М. Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тб., 1974.
- 37.** Зернов В. Б. Опыт реконструкции архитектурных памятников древности в Средней Азии. – Взаимодействие культур и цивилизаций. СПб., 2000, с. 239-259.
- 38.** Лопан О. В., Маслов В. Е. Энажевское поселение – памятник эпохи бронзы в Ингушетии. – Древности Северного Кавказа. М., 1999, с. 61-88.
- 39.** Микеладзе Т. К. и др. Исследования Колхидской археологической экспедиции. – ПАИ, 1974 (1976), с. 34-41.
- 40.** Микеладзе Т. К. К археологии Колхида. Тб., 1990.
- 41.** Мунчаев Р. М. Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа. – МИА, 100, 1961.
- 42.** Мунчаев Р. Н. Кавказ на заре бронзового века. М., 1975.
- 43.** Пицхелаури К. К. Исследования Кахетской археологической экспедиции. – ПАИ, 1980 (1982), с. 17-20.
- 44.** Пхакадзе Г. Г., Каландадзе К. С., Орджоникидзе А. З. Результаты работ Абастуманской экспедиции. – ПАИ, 1980 (1982), М., с. 20-21.
- 45.** Пхакадзе Г. Г. Новый очаг раннеземледельческой культуры в Южной Грузии. – Ар-

хеология, этнология, фольклористика Кавказа. Тб., 2004, с. 120-121.

**46. Хачатрян Т. С. Древняя культура Ширака.** Ереван, 1975.

**47.** Burney C. Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze Age. – Anatolian Studies, VIII, 1958, pp. 157-209.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I - I თხრილი. გეგმა, ჭრილი.

ტაბ. II – II თხრილი. გაგმა, ჭრილები.

ტაბ. III – I თხრილი: 1-2. კერამიკა და  
ისრისპირი ქვის ნაგებობიდან; 3. ობსიდიანის  
ისრისპირი, კვ. D-5, ორმო; II თხრილი: 4-7.  
კერამიკა და ლითონის ანგესი, ორმო 2; 8.  
კერამიკა, ორმო 4; 9,10. კერამიკა, ორმო 3; 11-12.  
კერამიკა, ორმო 7; 13-14. კერამიკა, ორმო 9.

ტაბ. IV – II თხრილი. 1-2. ძვლის იარაღები  
და კერამიკა, ორმო 12; 3. კერამიკა, ორმო 13; 4-  
5. კერამიკა, ორმო 19; 6. კერამიკა, ორმო 21; 7-  
8. კერამიკა, ძვლის იარაღი, ორმო 25; 9-11. ქვის  
იარაღები, ორმო 26.

ტაბ. V-II თხრილი: 1-3. კერამიკა და ქვის იარაღები, ორმო 26; 4. კერამიკა, ორმო 29; 5, 8. კერამიკა, ორმო 28; 6-7. კერამიკა, ორმო 30; 9. თიხის ფიგურა, 30-ე ორმოსთან.

ტაბ. VI – II ოხრილი: 1-2. კერამიკა, ორმო 31;  
3-4. კერამიკა, ორმო 32; 5. კერამიკა, ორმო 34;  
6-7. კერამიკა, ორმო 36.

ტაბ. VII – II ოხრილი: 1-10. კერამიკა, ორმო

ტაბ. VIII – II თხრილი: 1. კერამიკა, ორმო 41; 2-4. კერამიკა, ორმო 42; 5. კერამიკა, ორმო 43; 6. კერამიკა, ორმო 30, სამსხვერპლოს ცენტრალური ნაწილი, რუკონსტრუქცია.

## **Description of the plates**

Pl. I. – Trench I. Plan, section.

Pl. II. – Trench II. Plan, section.

Pl. III. – Trench I: 1-2. Pottery and metal arrowhead, stone building; 3. Obsidian arrowhead, sq. D-5. Pit; Trench II: 4-7. Pottery and metal hook, pit 2; 8. Pottery, pit 4; 9-10. Pottery, pit 3; 11-12. Pottery, pit 7; 13-14. Pottery, pit 9.

Pl. IV. – Trench II. 1-2. Bone tools and pottery, pit 12; 3. Pottery, pit 13; 4-5. Pottery, pit 19; 6. Pottery, pit 21; 7-8. Pottery, bone tools, pit 25; 9-11. Stone tools, pit 26.


Pl. V. – Trench II. 1-3. Pottery and stone tools, pit 26; 4. Pottery, pit 29; 5,8. Pottery, pit 28; 6-7. Pottery, pit 30; 9. Clay figurine near pit 30.


Pl. VI. – Trench II. 1-2. Pottery, pit 31; 3-4. Pottery, pit 32; 5. Pottery, pit 34; 6-7. Pottery, pit 36.

Pl. VII. - Trench II. 1-10. Pottery, pit 41.


Pl. VIII. Trench II. 1. Pottery, pit 41; 2-4. Pottery, pit 42; 5. Pottery, pit 43; 6. Trench II. Pit 30, central part of the altar. Reconstruction.



# Fig. 1






გაბ. III






2




3




4

5




6




7


0 3



8



9




10




11


გაბ. V




ঘোষ. VI



გაბ. VII





## ნინო ჭანჭაშვილი

### მტკვარ-არაქსის პულტურის ციფან-სიმბოლოების ფუნქციის, დათარიღებისა და წარმომავლობის ზოგიერთი საპითხი

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე ნიშნებიანი კერამიკა გვჩვდება როგორც სამხრეთ კავკასიაში (ბერთაშენი, ოზნი, ამირანის გორა, ქვაცხელა, მუხათგვერდი, ციხიაგორა, ქვემო არანისი, კარნუტი, გარნისი, არიჭი, ჯუჯევანი, მაშტოც-ბლური, მოხრაბლური, ბაბა-დერვიში), ასევე ურმიისტბისპირეთში (იანიკ-თეფე, გეორთეფე) და აღმოსავლეთ ანატოლიაში (ნორშუნთეფე, არსლანთეფე, კორუჯუთეფე, თეფესიკი, პულური) [3, გვ. 4; 34, ტაბ. 86-92].

ნიშნები გვჩვდება როგორც ამოკაწრული, ისე რელიეფური სახით. ძალზე იშვიათად ჩნდება სალებავებით შესრულებული გამოსახულებები. მოხატული ჭურჭელი აღმოჩენილია ბეშთაშენში [11 გვ. 42-44, 48, 50], ოზნიში [11, გვ. 41], ქვაცხელაზე [4, გვ. 30, 36], ქვემო არანისში [1, გვ. 21]. გამოსახულებები შესრულებულია წითელ ფონზე შავი სალებავით, ანდა ყვითელ ფონზე ყავისფერი სალებავით, ზოგჯერ წითელი და შავი სალებავით მოხატულია ყავისფერი ზედაპირი. იკონოგრაფია საკმაოდ ღარიბია: ბრტყელი სარტყელი, მსხვილი წერტილები, ასიმეტრიული სამკუთხედები, აბსტრაქტული სახეები, სვასტიკისებური ნიშნები, რქოსანი ცხოველი. საინტერესოა, რომ მოხატულია მხოლოდ ორი ტიპის ჭურჭელი – სამყურა, მაღალყელიანი (ოზნი, ქვაცხელა, ქვემო არანისი) და პატარა სასმისი (ქვემო არანისი). უნდა აღინიშნოს, რომ მოხატული კერამიკა გვჩვდება სწორედ იმ ძეგლებზე, რომლებზეც აღმოჩენდა ნიშნებიანი თიხის ჭურჭელი. ამ ნიშნებს ზოგიერთი მეცნიერი (ბ. კუფტინი, კ. კუშნარევა, ტ. ჩუბინიშვილი, გ. გობეგიშვილი, შ. ამირანაშვილი) „პროტოდამწერლობად“ მიიჩნევს [2, გვ. 8, 63, 75].

ანალოგიური გამოსახულებებით (უფრო მრავალფროვანი სახით) მოხატული კერამიკა აღმოჩენილია აღმოსავლეთ ანატოლიაში, ევფრატის ზემო წელზე მდებარე ძეგლებზე (ნორშუნთეფე, არსლანთეფე, ტეფესიკი, დეგირმენთეფე, ჰან იბრაჟიმ შაპი, იმამოგლუ, კოშკარბაბა ჰუიუქი, პულურ-საქიოლი, კორუჯუთეფე, შემშიეთეფე, ტიულინთეფე, იენიქო), სადაც ისინი ადრე ბრინჯაო II და ადრე ბრინჯაო III პერიოდებით (ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისი და შუა ხანები) თარიღდება. ამ რეგიონის მოხატული კერამიკის მკვლევარის, კ. მაროს აზრით, ევფრატის ზემო წელზე მოხატული კერამიკის რენესანსი დაკავშირებული იყო გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებთან. იგი ასახავს რეგიონის სტრუქტურულ ეკოლუციას ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში [34, გვ. 181].

როდიდან და საიდან ჩნდება ნიშნები მტკვარ-არაქსის კერამიკაზე?

ადრებრინჯაოს ხანის, მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ.წ. IV-III ათასწლ.) ნიშნები მსგავსებას იჩენენ უძველეს დამწერლობით სისტემებთან (ტაბ. I).

კერამიკის მოხატვის ტრადიციას ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ღრმა ფესვები აქვს. აღმოსავლეთ ანატოლიის და სამხრეთ კავკასიის ძვ.წ. III ათასწლეულის მოხატული კერამიკის მოტივები კარგად იყო ცნობილი ჰასუნას, ჰალაფის, უბეიდის კერამიკოსებისათვის: ბრტყელი სარტყელი, წერტილოვანი ორნამენტი, სვასტიკისებური ნიშნები, დაშტრიხული სამკუთხედები, სხვადასხვა აბსტრაქტული ნიშნები, „წამწამიანი“ სამკუთხედები, სირაქლემასმაგარი ფრინველების, თუ რქოსანი ცხოველების პროცესები [30, სურ. 24, 66, 84-87]. ამ გამოსახულებების დიდი ნაწილი შესულია უძველეს დამწერლობით სისტემებში. სუზიანაში და თეფე იაპიაში კერამიკაზე ამოკაწრულმა ნიშნებმა (ძვ.წ. V-III ათასწლეული), მეცნიერთა აზრით, საფუძველი დაუდო პროტოელმურ და პროტოპარაპულ დამწერლობას [29, გვ. 117; 36, გვ. 107]. ბალკანეთში აღმოჩენილი ნიშნები (ვინჩა, ტორდოსი) საოცარ მსგავსებას იჩენენ შუმერულ დამწერლობასთან [33, გვ. 29-30]. ჩვენი აზრით, მტკვარ-არაქსის კერამიკაზე ნიშნები და მოხატულობა ჩნდება ერთდროულად ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებისათვის. მათ, როგორც ჩანს, გააჩნია უფრო ღრმა ფესვები მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი კულტურების ტრადიციებში.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ვინჩის კულტურის (ძვ.წ. VI ათასწლეული) ძეგლებზე აღმოჩენილია კერამიკული ნაწარმი, რომელიც გეომეტრიული „ხაზვანი“ ტიპის ნიშნებითაა შემკული [31, გვ. 251; 12, გვ. 55].

მეცნიერთა ნაწილი (ფალკენშტაინი, როზენკრანცი, ივანოვი) აღნიშნავდა საოცარ იკონოგრაფიულ მსგავსებას ბალკანურ ნიშნებსა და პროტოშუმერულს შორის [12, გვ. 55], თუმცა შემდგომში შუმერულ ნიშნებს უფრო ადრეული პროტოტიპები მოექნებათ პროტოდამწერლობაში, რომელიც წინა აზიაში იყო ცნობილი [12, გვ. 55].

ძვ.წ. V ათასწლეულის შუა ხანებში სუზიანაში (ჯავარბადი, ჯოვი, ბენდებალი) კერამიკაზე ჩნდება ზოგჯერ ამოკაწრული, ზოგჯერ კი საღებავით შესრულებული აბსტრაქტული ნიშნები. D. Pott-ის, G. Dollfus-ისა და P. Encreve-ს აზრით, ეს ნიშნები დამწერლობისათვის დამახასიათებელ სისტემას კი არ ქმნიდნენ, არამედ

საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენდნენ, რომლებმაც, შესაძლოა, ასევე საფუძველი დაუდეს პროტოელამურ და პროტოინდურ დამწერლობებს [36, გვ. 107].

ეს ნიშნები დიდ მსგავსებას იჩენენ აღმოსავლეთ ანატოლიის ძვ.წ. III ათასწლეულის კერამიკზე გამოსახულ აბსტრაქტულ ნიშნებთან [34, ტაბ. 86-92].

არქაულ დეშიფრებულ დამწერლობებს შორის უძველესია შუმერული ხატოვანი, რომლის ადრეული ნიმუშები გვხვდება ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნის ძეგლებზე [7, გვ. 128; 8, გვ. 97]. შუმერული არქაული დამწერლობა გავრცელებული იყო მესოპოტამიის უძველეს ქალაქ-სახელმწიფოებში. ის ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან ლურსტელით შეიცვალა [15, გვ. 36].

შუმერული არქაული დამწერლობა ითვლის რამდენიმე ათასზე მეტ ნიშანს, მაგრამ ძირითადი ამოსავალი სიმბოლოების რიცხვი 72-ია [13, გვ. 180].

მტკვარ-არაქსულ ნიშანთა 33 ჯგუფიდან შუმერულთან, ჩვენი აზრით, სიახლოეს იჩენს 8 ჯგუფი (ტაბ. I).

პროტოელამური დამწერლობა ძირითადად იხმარებოდა სუზაში, ურუქისა და ჯემდეთ-ნასრის პერიოდიდან აქადის დინასტიის ბოლომდე (ძვ.წ. IV-III ათასწლ.) [35, გვ. 1], და არსებობდა დაახლოებით 500 წელი. ფირფიტები პროტოელამური დამწერლობით სუზის გარდა აღმოჩნდა მხოლოდ თეფე-სიალკში [35, გვ. 2, ტაბ. LXXXIX].

პროტოელამურთან სიახლოეს იჩენს მტკვარ-არაქსულ ნიშანთა 13 ჯგუფი (ტაბ. I).

ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობა მოქმედებდა ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნიდან ახ.წ. 400 წლამდე [8, გვ. 67]. ეგვიპტური დამწერლობის უძველესი ნიმუშები (3200-2200 წწ. ძვ.წ.) გვხვდება სტელებზე, კლდეებზე, ქანდაკებებზე. ეგვიპტის გარდა აღმოჩნდიდა ფინიკიში, პალესტინაში, ლიბიის უდაბნოს ოაზისებსა და სინაზე [14, გვ. 7].

ეგვიპტურთან სიახლოეს იჩენს მტკვარ-არაქსულ ნიშანთა 6 ჯგუფი (ტაბ. I).

პროტოინდური დამწერლობა მიეკუთვნება ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნას და აღმოჩნდილია მოხენჯო-დარიში, ლოტხალში, კალიბანგაში [20, გვ. 498-500].

პროტოინდური დამწერლობა ითვლის 300-მდე ნიშანს, მათთან სიახლოეს იჩენს მტკვარ-არაქსული ნიშნების 17 ჯგუფი (ტაბ. II).

ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე ანატოლიაში ლურსმული დამწერლობის გვერდით ჩნდება ე.წ. ხეთურ-ლუვიური იეროგლიფური დამწერლობა [17, გვ. 21]. ლურსმულით შესრულებული ტექსტები თითქმის სულ ბოლაზ-ქოიშია ნაპოვნი, იეროგლიფური დამწერლობით შესრულებული კი 70 ადგილასაა ნაპოვნი [9, გვ. 25].

ხეთურ-ლუვიური იეროგლიფური დამწერლობა ფართოდ იხმარებოდა დაახლ. ძვ.წ. 1500 წლიდან [17, გვ. 21] და თავი შემოინახა ურარტულ ხანამდე [26, გვ. 43]. ხეთურ-ლუვიური იეროგლიფური დამწერლობა ითვლის 500-მდე ნიშანს. მათთან სიახლოეს იჩენს მტკვარ-არაქსული ნიშნების 13 ჯგუფი.

ძვ.წ. III ათასწლეულში დამწერლობითი სისტემა გაჩნდა ხმელთაშუა ზღვის აუზში - კუნძულ კრეტაზე ე.წ. ეგეოსური დამწერლობა, რომელსაც რამდენიმე სახესხვაობა გააჩნია:

1. კრეტული - იეროგლიფური ან პიქტოგრაფიული დამწერლობა. აღმოჩნდა კნოსოსში, მალიასა და ფესტოსში. უადრესი წარწერები ა. ევანსმა და ჯ. პენდლერიმ ძვ.წ. XXI-XX სს. დაათარიღეს. კრეტული - იეროგლიფური ითვლის 150-მდე იდეოგრამას.

2. ხაზოვანი A, რომლის უადრესი წარწერები ძვ.წ. XX-XIX სს. თარიღდება, გავრცელებული იყო კრეტაზე, შესაძლოა მელოსზე და თერაზეც. ითვლის 77-100 ნიშანს. ხაზოვანი A დეშიფრებული არაა.

3. ხაზოვანი B, რომელიც თარიღდება ძვ.წ. 1500-1100 წწ., ითვლის 88 ნიშანს [22, გვ. 85].

ხაზოვან A და B დამწერლობებთან გარკვეულ სიახლოეს იჩენს მტკვარ-არაქსულ ნიშანთა 15 ჯგუფი (ტაბ. I).

ამის გარდა, მტკვარ-არაქსული ნიშნები გარკვეულ მსგავსებას იჩენენ უნგრეთის ბრინჯაოს ხანის კულტურის ნიშან-სიმბოლოებთან [32, ნახ. 12ჯ, ტრიპოლიეს კულტურის კერამიკულ ნივთებზე გამოსახულ ნიშნებთან. ამ უკანასკნელთან მსგავსებას იჩენს მტკვარ-არაქსულ ნიშანთა 15 ჯგუფი (ტაბ. II) [21, გვ. 4-12, ნახ. 10].

მტკვარ-არაქსის ნიშნები მსგავსებას იჩენენ შუა აზიის ადრესამიწათმოქმედო კულტურების ნიშან-სიმბოლოებთან (ტაბ. II) [18, ნახ. 3, 5], აგრეთვე ბალკანურ პროტოელამწერლობასთან. მასთან მსგავსებას იჩენს მტკვარ-არაქსული ნიშნების 33 ჯგუფიდან 25 (ტაბ. II) [31, გვ. 251; 12, ნახ. 11]. მათ გარეგნული მსგავსების გარდა აახლოვებს კიდევ რამდენიმე გარემოება:

1. მტკვარ-არაქსული ნიშნები, ისევე როგორც ბალკანური, სქემატურია. პიქტოგრაფიაში პროტოტიპები იშვიათად ეძებნებათ (არქაული დამწერლობითი სისტემები კი შეიცავენ როგორც სქემატურ, ისე პიქტოგრაფიულ ნიშნებს).

2. მტკვარ-არაქსული ნიშნები, ისევე როგორც ბალკანური ნიშნების დიდი ნაწილი გამოსახულია თიხის ჭურჭელზე [31, გვ. 254] (მსგავსი პრაქტიკა არაა დამოწმებული უძველეს დამწერლობებში, გარდა ხარაპულისა [5, გვ. 266]).

3. მტკვარ-არაქსული ნიშნებიანი კერამიკა აღმოჩნდილია როგორც ნამოსახლარებზე, ისევე სამარხებში. ბალკანური პროტოელამწერლობის ნიშნებით შესრულებული წარწერების დიდი ნაწილი გვხვდება სამარხებში [31, გვ. 261].

3. ჰარმანის აზრით, ბალკანური პროტოდამწერლობა არ უნდა წარმოადგენდეს ნამდვილ დამწერლობას [31, გვ. 260]. ნიშნებიანი საგნები (თიხის ჭურჭელი, თიხის ფირფიტები, კვირისტავები, ქანდაკებები) ძირითადად აღმოჩენილია სამარხებში. წარწერები კი, ალბათ, რიტუალურ დასაკრძალავ ფორმულებს წარმოადგენდნენ ან გადმოსცემდნენ ღვთაების სახელს [31, გვ. 261].

უძველეს დამწერლობებსა და პროტოდამწერლობებში ძირითადად ურთიერთმსგავსებას იჩენენ ის უნივერსალური გამოსახულებები, რომლებიც გავრცელებული იყო სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა კონტინენტზე, მაგრამ აზრობრივი დატვირთვა კი ხშირად ერთი ჰქონდათ.

ასეთია M-ის ან W-ს მსგავსი, III ჯგუფის ნიშანი, რომელსაც გაშიფრულ არქაულ დამწერლობებში, ერთი სემანტიკური რიგის მნიშვნელობა აქვს. პროტოინდურსა და ეგვიპტურში იგი „გველის“ აღმნიშვნელია, შუმერულში „წყლის“, ხოლო ხეთურ-ლუვიურ იეროგლიფურში კი „ქარიშხლის“ ღვთაების სიმბოლოა (ტაბ. I) [2, გვ. 99].

VI ჯგუფის ნიშნები მსგავსებას იჩენენ პროტოელამურ ნიშანთან, რომელიც ქალაქ სუზის სიმბოლო იყო, აგრეთვე პროტოინდურ ნიშანთან, რომელიც „საცხოვრებელს“ აღნიშნავდა, ხეთურ-ლუვიურ „სასახლის“ აღმნიშვნელ იეროგლიფურ და ეგვიპტურ „სახლის“ აღმნიშვნელ ნიშნებთან [2, გვ. 100].

პარალელური ხაზებით დაშტრიჩული მართკუთხედი (VII ჯგუფის ნიშანი) შუმერულში აღნიშნავდა „მინდორს“, პროტოინდურში „შავს“, ან „გუთანს“, ეგვიპტურში კი „მიწას“ [2, გვ. 100].

Φ-ის მსგავსი ნიშანი (XI ჯგუფი), პროტოინდურში ნიშნავს „უხვს“, ეგვიპტურში მარცლეულის დეტერმინატივია, ხოლო ხაზოვან B დამწერლობაში „ხორბლის“ აღმნიშვნელია [2, გვ. 101].

XV ჯგუფის ნიშანი – სამკუთხედზე აღმართული ორმაგი სპირალი – მსგავსებას იჩენს პროტოელამურ ნიშანთან, რომელიც რ. მექენემის აზრით ადამიანს აღნიშნავს. აგრეთვე ეს მსგავსება „დიდი მეფის“ ხეთურ-ლუვიურ იეროგლიფურ და პროტოინდურ ნიშანს, რომელიც ი. კნოროზოვის აზრით აღნიშნავს „უმაღლესს“, ფინელი მეცნიერების ს. და ა. პარბოლების, პ. აალტოსა და ს. კოსკენიების აზრით კი „მეფეთა მეფეს“ [20, გვ. 102].

როგორც ვხედავთ, მტკვარ-არაქსის კულტურის ნიშნებს პარალელები ეძებდებათ უძველეს დამწერლობებსა თუ პროტოდამწერლობებში. საეჭვოა, რომ მტკვარ-არაქსელებს ცალ-ცალკე ესესხებინათ ნიშნები შუმერულიდან, პროტობალკანურიდან თუ ეგვიპტურიდან. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსელების ნიშან-სიმბოლოები მომდინარეობენ იმ პირველწყაროდან, საიდანაც მომდინარეობეს საერთოდ დამწერლობის იდეა, თუ

კი შესაძლებელია, რომ არსებობდეს ამგვარი ცენტრი [2, გვ. 114].

თანამედროვე მეცნიერებაში სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს დ. შმანდტ-ბესერატის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით, დამწერლობის უძველეს სისტემებს საფუძვლად ედო სპეციალური უეტონების ანდა კოჭების საშუალებით ინფორმაციის გადაცემის მრავალათასწლიანი ტრადიცია. ასეთი კომუნიკაციის საშუალება ცნობილი იყო მთელ მახლობელ და შეა აღმოსავლეთში ძვ.წ. IX-IV ათასწლეულებში [16, გვ. 7].

ნეოლითური და ენეოლითური სადგომების გათხრისას არქეოლოგებმა მრავლად აღმოაჩინეს თიხისა და ქვისაგან დამზადებული წვრილი ნაკეთობები. დ. შმანდტ-ბესერატმა ამ ნივთების შესწავლის შედეგად გააკეთა დასკვნა, რომ ეს „ამულეტები“ წარმოადგენ გარკვეული საგნების პირობით მნიშვნელობებს ანდა რიცხვებს. ამ ნივთების დიდი რაოდენობა გახვრეტილია და, როგორც ჩანს, გარკვეული თანამიმდევრობით ძაფზე იყო ჩამოკიდებული. მხოლოდ ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე სიმბოლოების გამოსახვამ თახაზე განდევნა „საგნობრივი დამწერლობა“ [16, გვ. 7].

თუ კი ნივთებზე გამოსახული ცალკეული ნიშან-სიმბოლოები მომდინარეობენ ე.წ. „საგნობრივი დამწერლობიდან“, მაშინ ნათელი ხდება, რომ მათ იგივე აზრობრივი დატვირთვა უნდა ჰქონდეთ, რაც „ამულეტებს“, ე.ი. საკრალურ-რიტუალური, ანდა მაგიური.

გაშიფრული დამწერლობებიდან ასეთ საკრალურ-რიტუალურ ფუნქციას შესაძლოა ემსახურებოდა პროტოინდური დამწერლობა. ხარაპაში აღმოჩენილი თითქმის ყველა წარწერა ერთი ტიპის ჭურჭელზეა შესრულებული. წარწერები ხშირად სამსხვერპლო ხასიათს ატარებენ. ისინი გაღმოგვცემდნენ ღვთაების ანდა სხვა სათაყვანო ობიექტის სახელს.

გ. აღბედილის აზრით, „პროტოინდური დამწერლობა ეგვიპტური იეროგლიფურისაგან და მესოპოტამიური ლურსმული დამწერლობისაგან განსხვავებით საიდუმლოებითა მოცული. გაურკვეველია მისი წარმოშბა და მისი „შემდგომ-ხარაპული“ ისტორია [6, გვ. 36-38].

ამდენად, როგორც ვხედავთ, პროტოინდური დამწერლობა არქაული ცივილიზაციების დამწერლობითი სისტემებისაგან განსხვავებით ატარებს სპეციფიკურ, საკრალურ ფუნქციას. მისი მეშვეობით გამოისახებოდა მაგიური ფორმულები და ღვთაებების სახელები.

ასევე, თავდაპირველად მხოლოდ მაგიური დანიშნულება ჰქონდა ე.წ. „ძველ რუნებს“. ისინი ხმარებაში იყო II-III სს. მ. ი. სტებლინ-კამენსკის აზრით, „ძველი რუნები“ შეიქმნა იმ საზოგადოებაში, რომელშიც არ იყო არც პირობები დამწერლობის ფართო გამოყენებისათვის, არც მოთხოვნა მათ გამოყენებაში. მათ თითქმის შეინარჩუნებს ის ფუნქცია, რომელიც დამახასია-

თებელი იყო „ბრინჯაოს ხანის კლდეზე გამოსახული ნახატებისათვის [24, გვ. 10].

„ყოველ რუნას თავისი სახელი ჰქონდა და თავისი სახელისდა შესაბამისად ამა თუ იმ მაგიური ძალის მატარებელი იყო. რუნები ერთდორულად იხმარებოდა როგორც იღეოგრამები ან მაგიური ნიშნები“ [24, გვ. 10].

ძველისლანდიურ ლიტერატურულ ძეგლებში რუნები მოიხსენება როგორც ჯადოსნობა. „სკირნერის მოგზაურობაში“ მოთხრობილია, ლმერთ ფრეირის მიერ გერდას ხელის თხოვნის ამბავი. ფრეირის მსახური სკირნერი ემუქრება გერდას, რომ „გაუგზავნის სიგიჟესა და შეოთვას, ამოჭრის რა რუნას, რომელსაც ჰქვია „ტური“ და კიდევ სამ სხვა რუნას. „სიმღერაში რიგის შესახებ“ ნათქვამია, რომ კონმა იცოდა „სიცოცხლის რუნები“ და შეეძლო მახვილის დაჩლუნება, ზღვის დამშვიდება და ა.შ. ერთ-ერთ საგაში ვალკირია რიგდორივა ყვება, რომ სასმელი, რომელიც მან მისცა სიგურდს, სხვადასხვა ჯადოსნური რუნას შემცველია, მათ შორისაა „გამოჯანსაღების“, „გამარჯვების“ რუნა და ა.შ. [24, გვ. 13-14].

კ. შეღოუზის აზრით, „თითოეული რუნა ესაა პოტენციური ენერგიის მატარებელი, რომელიც წინ უსწრებდა ყოვას მის ნებისმიერ გამოვლინებაში“ [19, გვ. 7]. უძველეს დროშივე რუნებს აღიქვამდნენ როგორც „საიდუმლო შიფრს“, გარკვეული ძალის გამოთავისუფლების მისტიურ საშუალებას, რომელიც ადამიანს თავისი სურვილის ასრულების, მტრული განზრაცხვების აშორების თუ მომავლის წინასწარმეტყველების საშუალებას აძლევდა“ [19, გვ. 4].

ამდენად, ძველი რუნების თავდაპირველი და ძირითადი დანიშნულება იყო მაგია. რუნები, თავისი სახელის შესაბამისად, ამა თუ იმ პოტენციური ენერგიის მატარებელი იყვნენ.

არ არის გამორიცხული, რომ „მაგიური“ ნიშნებით კერამიკაზე ღვთაების სახელი იყო გამოსახული.

კ. ფრეზერის გამოკვლევებით, პირველყოფილი ადამიანისათვის საგანი, ან პიროვნება, მის სახელთან იყო გაიგივეუბლი, ისევე როგორც მისი სხეულის რაიმე ნაწილთან [25, გვ. 235].

არ სებობდა საკუთარი სახელის ტაბუირების უნივერსალური ტრადიცია, რათა ჰქეშმარიტი სახელის გაგებით მტერს ხელთ არ ეგდო ლმერთის, პიროვნების, საგნის, ნივთიერების თუ მოვლენის ძალა, არ დაუფლებოდა მის არსეს.

სხვადასხვა ხალხებში დადასტურებულია ორი სახელის ტრადიცია. ძველ ეგვიპტელებს ჰქონდათ ორი სახელი: ჰქეშმარიტი და კეთილი, ანდა დიდი და მცირე. კეთილი, ანუ იგივე მცირე სახელი ყველასათვის ცნობილი იყო, ჰქეშმარიტი, დიდი სახელი კი საიდუმლოებაში ინახებოდა. ძველ ინდოეთში, ბავშვი ბრაჟმანთა კასტიდან იღებდა ორ სახელს საყოველთაო ხმარებისათვის და საიდუმლოს, რომელიც მხოლოდ მშობლებს უნდა სცოდნოდათ [25, გვ. 236].

ეს ჩვეულება ადამიანს მაგიური ზემოქმედებისაგან იცავდა. ჯადოსნობა მოქმედი ხდებოდა მხოლოდ ჰქეშმარიტი სახელის წენებისას, მეორე სახელთან ერთად.

პირველყოფილი ადამიანი მალავდა აგრეთვე ლმერთების ჰქეშმარიტი სახელსაც, რათა სხვა ლმერთებს ან ადამიანებს არ გაეგოთ იგი და არ მოეხდინათ მასზე რაიმე ზემოქმედება [25, გვ. 249].

ერთ-ერთი ეგვიპტური თქმულება მოგვითხრობს, თუ როგორ გაიგო ვერაგმა ისიდამ მზის დიდი ლმერთის – რას ჰქეშმარიტი სახელი. ლმერთის სახელი განუყოფელია მისი არსესა და ძლიერებისაგან. ისიდამ ამოიღო რა რას გულიდან მისი ჰქეშმარიტი სახელი და თავის გულში გადაისვა, ამით ხელში ჩაიგდო რას ძალაუფლება [25, გვ. 250].

ითვლებოდა, რომ ადამიანი, რომელიც იგებდა ლმერთის ნამდვილ სახელს, ხელში იგდებდა მის ჰქეშმარიტ არსს და შეეძლო დაემორჩილებინა კიდეც. იმ მომენტიდან, როდესაც ლმერთი ქურუმს თავის ნამდვილ სახელს ეტყოდა, იგი ხდებოდა მისი მონა-მორჩილი [25, გვ. 250].

საიდუმლოებით იყო მოცული ქალაქ რომის მფარველი ღვთაების სახელი, რათა მტერს არ გადაებირებინა იგი თავის მხარეზე. ვინებე ვალერი სორანმა გაამხილა ეს საიდუმლო და იგი სიკვდილით დასაჯეს. ძველ ასირიელებსაც აკრძალული ჰქონდათ თავიანთი ქალაქების საიდუმლო სახელების წარმოთქმა [25, გვ. 250].

საიდუმლო სახელების მაგიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საიქიოს გზაზე დამდგარი მიცვალებულისათვისაც. ეს იყო საშუალება საიქიოს კარგის გაღების და დანაშნულების ადგილამდე დაუბრკოლებლად მიღწევისა [23, გვ. 49].

ძველეგვიპტური „მიცვალებულთა წიგნის“ 127-ე თავში ნათქვამია: „კარგის საკეტები ამბობენ: ჩვენ არ გაგიშვებთ, სანამ შენ არ გვეტყვი ჩვენს სახელს“. – „მე შენ არ გაგატარებ“, – ამბობს ზღურბლი, – „სანამ შენ ჩემს სახელს არ იტყვი“. – „მე არ გავისხები“, – ამბობს კლიტე – „სანამ შენ ჩემს სახელს არ იტყვი.“ მიცვალებულმა უნდა თქვას კარის ყველა ნაწილის სახელი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ეს სახელები ძალზე უცნაურად უღერს. ბოლოს კარი ეუბნება: „შენ ყველაუერი იცი, გაიარე!“ როგორც ვხედავთ, ტაბუირებულ სახელებს, საკალური სახელების მაგიას დასაკრძალავ რიტუალშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა [23, გვ. 49].

ჩვენი აზრით, ღვთაებებთან კომუნიკაციის და მათზე ზემოქმედების საშუალებას წარმოადგენდა ნეოლით-ბრინჯაოს ხანის ნიშან-სიმბოლოები, ან „პროტოდამწერლობები“, რომელთა რიცხვს განეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე გამოსახული ნიშნები.

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე ამოკაწრული „წარწერები“ შესრულებულია სხვადასხვაგვარად:

1. ჭურჭლის ან სხვა კერამიკული ნივთის ზედაპირზე გვხვდება ერთი ნიშანი - სიმბოლო, რომელიც ამ შემთხვევაში, ალბათ, გამოსახავს რომელიმე ღვთაებას, ღვთაების ინკარნაციას, ან ღვთაების ეპითეტს, რომელიც შესაძლოა მის ფუნქციაში ვლინდება (გეორ-თეფა, ქულ-თეფა, ამირანის გორა) (ტაბ. III<sub>7,9</sub>).

2. ჭურჭლის ზედაპირზე გვხვდება სხვადასხვა ნიშან-სიმბოლოები, რომელთაგან არც ერთი არ მეორდება (ოზნი, ამრანის გორა, ციხიაგორა). ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს მაგიურ ფორმულა-შელოცვასთან, რომელსაც გარკვეული ზემოქმედება უნდა მოეხდინა ბუნებაში კანონზომიერების ურლვეობაზე (ტაბ. III<sub>1-3</sub>).

3. ჭურჭლის ზედაპირზე გამოსახულია ნიშან-სიმბოლოების მთელი რიგი, რომელიც წარმოადგენს ერთი ნიშანის უმნიშვნელო სახეცვლილებას. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, საქმე გვაქვს ღვთაებაზე მაგიური ზემოქმედების რამდენჯერმე გაძლიერებასთან (ბეშთაშენი, არადეთის ორგორა, სამშვილდე) (ტაბ. III<sub>4-6</sub>).

ამრიგად, ჩვენი აზრით, მტკვარ-არაქსულ ნიშნებს, ისევე როგორც სხვა ნეოლით-ბრინჯაოს ხანის კულტურების ნიშან-სიმბოლოებს არა აქვთ სისტემური ხასიათი და ვერ ჩამოყალიბდნენ დამწერლობად.

როგორც ჩანს, ნიშნები ჩნდება მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ეტაპზე, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებისათვის და, ისევე როგორც სხვა თანადროულ, თუ აღრიცხვ კულტურებში დამოწმებული ნიშნები, გამოიყენებოდა მხოლოდ მაგიური, საკრალურ-რიტუალური დანიშნულებით.

N. Shanshashvili

## ON THE FUNCTION OF SIGN-SYMBOLS OF KURA-ARAXES CULTURE

(Summary)

Abstract representations - sign-symbols (Pls. I-III), which due to the socio-economic conditions failed to evolve into a writing system, appeared together with painted pottery by the mid-3<sup>rd</sup> millennium B.C. on sites of Kura-Araxes culture (Ozni, Beshtasheni, Kvemo Aranisi, Kvatskhela). Like in other Early Bronze Age cultures, these sign-symbols were only used as magic signs in sacred performances and rituals.

The sign-symbols of Kura-Araxes culture reveal a striking similarity with hieroglyphic scripts of the ancient civilizations: Sumerian, Proto-Elamite, Proto-Indian, Egyptian, Hittite-Luvian and Aegean (Pl. I). They also resemble signs attested on pottery from Tripolye, Anaus, signs of

the Hungarian Bronze Age cultures and Balkan proto-writing systems (Pl. II).

Sign-symbols are generally scratched on raw clay before firing on Kura-Araxes pottery, while representations in relief occasionally painted are also attested. Painted vessels with similar iconography, though revealing a richer set of ornaments, have been brought to light in Turkey, at the upper reaches of the Euphrates – sites Early Bronze Age II and III (Arslantepe, Degirmentepe, Han Ibrahim Shah, Imamoglu, Korujutepe, Koşkarbaba, etc.). The tradition of painting pottery in northern Mesopotamia and upper Euphrates had a long history. Motifs of decoration used to adorn pottery in the 3<sup>rd</sup> millennium B.C. in Eastern Anatolia and the Southern Caucasus had been quite familiar to the potters of Hassun, Halafa and Obeidan cultures.

The Kura-Araxes sign-symbols, apparently, originated from the same source, which accounted for the creation of the very idea of writing – if the existence of such a centre were possible at all. According to the hypothesis of D. Schmandt-Besserat, special counters already known in the Near East back in the 9<sup>th</sup>-4<sup>th</sup> millennia B.C. served as the basis for the evolution of ancient writing systems. Consequently, medals were substituted for their representations – sign-symbols of geometric shape bearing certain phonetic meaning.

## ლიტერატურა

1. ღლობტი მ. არაგვის ხეობის მოხატული ჭურჭლი. – არქეოლოგიური ტიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა შპ და მ სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1985, გვ. 17-21.

2. ჰანშავგილი ნ. ნიშნები და სიმბოლოები მტკვარ-არაქსის კულტურაში. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1990.

3. ჰანშავგილი ნ. ნიშნები და სიმბოლოები მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე. თბ., 1999.

4. ჯაგანიშვილი ალ., ღლობტი ლ. უბნის, შ. თბ., 1962.

5. Альбедиль М. Ф., Волчок Б. Я., Кнорозов Ю. В. Исследования протоиндийских надписей. – Забытые системы письма, М. 1982, 140-295.

6. Альбедиль М. Ф. Типы протоиндийских надписей. – Древние системы письма. Этническая семиотика. М. 1986, 36-68.

7. Вайман А. А. О протошумерской письменности. Тайны древних письмен. Проблемы дешифровки. М., 1976, 578-584.

8. Гельб И. Е. Опыт изучения письма. М., 1969.

- 9.** Дунаевская И. М. Язык хеттских иероглифов. М., 1969.
- 10.** Дьяконов И. М. Архаические мифы Востока и Запада. М., 1990.
- 11.** Жоржикиашвили Л., Гогадзе Э. Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тб., 1974.
- 12.** Иванов В. В. История славянских и балканских названий металлов. М., 1983.
- 13.** Кишишин А. Ветви одного дерева. Тайны веков. М., 1977.
- 14.** Коростовцев М. А. Египетский язык. М., 1961.
- 15.** Лоукотка И. Развитие письма. М., 1950.
- 16.** Люльфинг Г. У истоков алфавита. М., 1981.
- 17.** Маккуин М. Хетты и их соседи в Малой Азии. М., 1982.
- 18.** Массон В. М., Сарианиди В. И. О знаках на среднеазиатских статуэтках эпохи бронзы. – ВДИ, № 1, М., 1969, ud& 86-98.
- 19.** Медоуз К. Магия рун. М., 1997.
- 20.** Парпола А., Коскениеми С., Парпола С., Аальто П. Прогресс в дешифровке протодравидского письма долины Инда. – Тайны древних письмен. Проблемы дешифровки. М., 1976, ud& 522-530.
- 21.** Погожева А. П. Антропоморфная пластика Триполья. Новосибирск, 1983.
- 22.** Поуп М. Линейное письмо А и проблема эгейской письменности. – Тайны древних письмен. Проблемы дешифровки. М., 1976, ud& 85-96.
- 23.** Пропп В. А. Исторические корни волшебной сказки. М., 1946.
- 24.** Стелбин-Каменский М. И. Древнескандинавская литература. М., 1979.
- 25.** Фрэзер Д. Золотая ветвь. М., 1986.
- 26.** Barnett R. D. The hieroglyphic writing of Urartu. – Anatolian Studies. Presented to Hans Gustav Güterpock on the occasion of the 65<sup>th</sup> birthday. Istanbul, 1974, ud& 43-56.
- 27.** Dabbagh T. Hassuna pottery. – Sumer, V. XXI, № 1, 2, 1965, ud& 93-111&
- 28&** Dabbagh T. Halaf pottery. – Sumer, V. XXII, № 1-2, 1966, ud& 23-43&
- 29&** Dollfus G., Encreve P. Marques sur poteries dans la Susiane du V-e millénaire. Reflexions et comparaisons. – Paléorient, vol. 8/1, 1982, ud& 107-115&
- 30.** Goff B. L. Symbols of prehistoric Mesopotamia. New Haven and London, 1963.
- 31.** Haarmann H. Writing from old Europe to ancient Crete - a case of cultural continuity. - The Journal of Indo-European Studies, vol. 17, no 3/4. 1989, ud& 251-275&
- 32&** Kalicz-Schreiber R. Symbolic representations on early Bronze Age vessels. – The Journal of Indo-European Studies, Washington, 1990, vol. 18, nom. 1/2., ud& 59-107.
- 33.** Makkay J. The late Neolithic Tordos group of sings. - Alba Regia, Szekesfehervar, vol. X, 1969, ud& 9-27&
- 34.** Marro K. La culture du haut-Euphrate au Bronze Ancien. Essai d' interpretation à partir de la céramique peinte de Keban (Turquie).- Paris, 1997.
- 35.** Mequenem R. Epigraphie proto-élamite. – Memoires de la Mission archéologique en Iran, v. XXXI, Mission en Susiane, Paris, 1949.
- 36.** Potts D. The potter's marks of Tepe Yahya. – Paléorient, vol. 7/1, 1981, ud& 107-122&

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ნიშან-სიმბოლოები მტკვარ-არაქსის კულტურასა და უძველეს ცივილიზაციებში (შედარებითი ტაბულა).

ტაბ. II – მტკვარ-არაქსის და თანადროულ კულტურებში დამოწმებული ნიშან-სიმბოლოები (შედარებითი ტაბულა).

ტაბ. III – ნიშნები და სიმბლოები მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე: 1. ოზნი; 2. ამირანის გორა; 3. ციხიაგორა; 4. სამშვილდე; 5. ბეშთაშენი; 6. არადეთის ორგორა; 7. ამირანის გორა; 8. ქიულ-თეფე; 9. გეოი-თევე.

### Description of the Plates

Pl. I – sign-symbols in Kura-Araxes culture and ancient civilizations (comparative table)

Pl. II – Sign-symbols attested in Kura-Araxes and contemporary cultures (comparative table)

Pl. III – sign-symbols on Kura-Araxes culture pottery: 1. Ozni; 2. Amiranis gora; 3. Tsikhiagora; 4. Samshvilde; 5. Beshtasheni; 6. Aradeti Orgora; 7. Amiranis gora; 8. Kül-tepe; 9. Geoy-tepe

## ტაბ. I

ჯგუფი	მტკვარ-არაქსეული ნიშანი	შუმერული	პროტოელამური	პროტოინდური	ეგვიპტური	ხეთურ-ლუვიური იეროგლიფური	ხაზიანი A და B
I				საშებილია, საშებილიას მატარებელი			
II							
III		წყალი	~~~~~	~~~~~	~~~~~	ქარაშხალის ღვიარების სიმბოლი	
IV			ეტლი სახითი	საყრდენი დახმარება	მობრუნება		A ძამიანი
V							
VI			ქალაქ სეფის სიმბოლი	საცხოვრებელი	შენობა		
VII				შაგი გუთანი	მოწმეული მოწა		B ta.
VIII				მოწა			
IX		ქადა				სიმღიდონე ჯანმრთელობა	B ti
X							A  B ღვდვი
XI				უხვი, დროშა	მარცვლეული		A  B ხორბალი
XII				ელგა			
XIII			ადამიანი			ტახტი	
XIV				ლრუბელი			
XV			ადამიანი	უმაღლებები		დიდი მეფე	
XVI							
XVII							

# ტაბ. I (გაგრძელება)

ჯგუფი	მტკვარ-არაქსული ნიშანი	შემუშავდი	პროტოელმური	პროტონეოლიტური	ეგვიპტური	სემიური იეროლიტური	სახიგანი A და B
XVIII	■■■■■	■■■	■■■	■■■ ტყვ			
XIX	■■■■■		■■■ გვირგვინი	■■■ დიადი			B no კას
XX	■■■	■■■ შექმნა გაჩენა	■■■	■■■ ცისტრის გარსებლავი			
XXI	■■■	*	○○○	■■■ გარსებლავი		■■■	
XXII	■■■■■						
XXIII	■■■	■■■				» გვა	
XXIV	X						
XXV				სამი		სამი	
XXVI	△□□					△□□ უცნიბი დაქროის ხასელი	
XXVII	□		၃ რქა		□	၃ -ma	
XXVIII	၃					၃	B we ၃
XXIX	■■■			Λ ოთხი			A B Φიონ ၂
XXX	■■■■■			၃ ორქმი			B nwa
XXXI	■■■■■						
XXXII	■■■						
XXXIII	၃			၃ მდინარე		၃ ၃	




## ტაბ. ॥

ჯგუფი	მტკბარ-არაქესული ნიშანი	ადმოსაგლეთ ანატოლიური	პროტობალკანური	შეა აზის	უნგრეთის ძღვრე ბრინჯაო	ტრიპოლის
I						
II						
III						
IV						
V						
VI						
VII						
VIII						
IX						
X						
XI						
XII						
XIII						
XIV						
XV						
XVI						
XVII						



## ტაბ. II (გაგრძელება)

ჯგუფი	მტკარანაქსული ნიშანი	აღმოსავლეთ ანატოლიური	პროტობალკანური	შუა აზიას	უნგრეთის ადრე ბრინჯაოს	ტრიპოლის
XVIII	■■■■■	■■■	■■■■■	■		■■■■■
XIX	■■■■■	■■■	■■■		■■■	
XX	■■■■■	■■■	■■■■■	■■■■■	■■■■■	
XXI	※	* 木	木		■■■■■	*
XXII	■■■■■					
XXIII	■■■■■	»»»				
XXIV	IX	X	XX			
XXV	III	//	III			≡
XXVI	△△		△△			
XXVII	□	○	□			○
XXVIII	○		○			
XXIX	■■■	■	■			
XXX	■■■■■	■	■■■■■			
XXXI	□□□		□□□		□□□	□□□
XXXII	■■■	■■■	↓	■■■	■■■	■■■
XXXIII	ſ	ſ	ſ			ſ



გაბ. III





2




3



5



6



7



8



9

## მეტია დლონტი

### ლითონის ნივთები არაბის ხეობის მტკარ-არაქსული გულტერის ძმინდან

არაგვის ხეობის მტკარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე ლითონის სამეურნეო და საბრძოლო დანიშნულების რამდენიმე იარაღი და სამკაულია აღმოჩენილი, ძირითადად ქვემო არანისის (ახალი ჟინვალის) ნამოსახლარზე, ორმოებში.

**ხიშტისმაგარი იარაღი (09-XIX-76-246),** ოთხწახნაგა, სატარე ნაწილში გრძივი გამჭოლი ხვრელით, სიგრძე 28,5 მ; სიგანე – 1,1 სმ, ტარის სიგრძე – 7 სმ, ხვრელის სიგრძე – 0,7 სმ (ტაბ. I<sub>2</sub>).

ამ ტიპის ნივთი ითვლება წინააზიურ საბრძოლო იარაღად, სადაც ფართოდა გავრცელებული ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან. ხიშტისმაგარი იარაღი აღმოჩენილია ცარცის გორაზე, საჩხერეში, ყორღანულ სამაროვანზე, ბ. კუფტინის მიერ. მას ხიშტის შესახებ საველე დოკუმენტაციაში არაფერი აქვს ნათქვამი. იგი ამ იარაღს განიხილავს თავის ნაშრომში „Археологическая маршруtnaya экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию“ და აღნიშნავს, რომ იგი ნაპოვნი იყო ცარცის გორაზე [10, გვ. 73].

ამიერკავკასიაში მოპოვებული მსგავსი იარაღის სხვა ცალები შედარებით მცირე ზომისაა. ასეთი იარაღები აღმოჩენილია ქვაცხელას ნამოსახლარზე [6, გვ. 43], ნახიჭევანის ქიულ-თეფეზე [8, გვ. 54], ხაჩბულალის ყორღანში [11, გვ. 396] და სხვა.

საინტერესოა ჩრდილოეთ კავკასიაში ღუნიბის სამაროვანზე ხიშტისმაგარი იარაღის აღმოჩენის ფაქტი. ხიშტს პირი ოთხწახნაგა აქვს, კვადრატული განივევეთით, ყუნწიანი, პირის მხარეს განივევეთი მრგვალი ფორმისაა. ტარის უკეთ დაგების მიზნით ბოლოში სამი შვერილით. აღნიშნული ხიშტის აპარალელებად მკვლევარს მოტანილი აქვს ურბნისის, საჩხერის, ქიულ-თეფეზე II-ს ცალები. ღუნიბის ხიშტი საჩხერულისგან განსხვავებულია, ამდენად, აღნიშნული ცალები მხოლოდ ზოგად პარალელად გამოდგება.

ხიშტისმაგარი იარაღი წინააზიაში აღრეული ხანიდანვე არის ცნობილი: ურის სამეფო სამარხებში, ჩრდილოეთ სირიაში, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ჰისარ III-ში და სხვა [მითითებულია ო. ჯაფარიძის მიხედვით, 7, გვ. 160].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ორი ასეთი იარაღი, რომლებზედაც წარწერებია აღმოჩენილი. ერთ მათგანზე, რომელიც ასურის ეფენაშია აღმოჩენილი, იკითხება მეფე მანიშტუსის სახელი, ხოლო ლურისტანში აღმოჩენილ მეორე ხიშტს (რომელიც მკვლევართა აზრით შემოტანილი უნდა იყოს) – სუზის მმართველის პუზერ შუშინაგის სახელი. მანიშტუსი მეფობდა ძვ.წ. XXV ს-ში, ხოლო პუზერ შუშინაგი სუ-

ზის მმართველი იყო დაახლოებით XXII ს-ში [7, გვ. 160]. ამრიგად, იარაღის ეს ფორმა წინა აზიაში გავრცელებული ჩანს ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში. მკვლევართა აზრით, ჩვენში ამგვარი იარაღი, ალბათ, წინა აზიიდან შემოდის, სავარაუდოა, III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისში [10, გვ. 74].

გ. ქავთარაძეს არ მიაჩნია მიზანშეწონილად საჩხერული ხიშტისმაგარი იარაღის ქრონოლოგიური დაგავშირება აქადური დინასტიის მეფე მანიშტუსისა და სუზის მმართველის პუზერ შუშინაგის მეფობის წლებთან, იმ ხიშტისმაგარი იარაღების აღმოჩენის გამო, რომლებზედაც მათი სახელებია წარწერილი [4, გვ. 96]. ეს უკანასკნელი ა. მარტიროსიანის შენიშვნით, სულაც არ წარმოადგენს ხიშტისმაგარი იარაღების ყველაზე აღრეულ სახელებს. გ. ქავთარაძის შეხედულებით საჩხერულ იარაღთან ყველაზე ახლოს დგას ურის სამეფო აკლდამაში მოპოვებული იარაღი. გასათვალისწინებლია, აგრეთვე, თვით ამიერკავკასიის სხვა ძეგლებზე, კერძოდ ნახიჭევანის ქიულ-თეფე II-ზე და ტვლებიაწყაროს სამაროვანზე აღმოჩენილი არქაული ხიშტისმაგარი იარაღი [4, გვ. 97], რაც შესაძლოა საჩხერულის ადგილობრივ წარმომავლობაზეც მიგვანიშნებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე ქვაცხელას C ფენაში ნაპოვნი ძვლის ბიპირამიდული ისრისპირი თუ საჩხელეტი იარაღი [4, გვ. 97].

ქვემო არანისის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ხიშტისმაგარი იარაღი თავისი ფორმით ყველაზე ახლოს დგას საჩხერულ ცალთან (თუმცა ჩამორჩება მას ზომებით), რაც მათ ქრონოლოგიურ თანხვედრაზეც უნდა მეტყველებდეს (ვითვალისწინებთ, აგრეთვე, ქვაცხელასებრი ძვლის იარაღის აღმოჩენის ფაქტსაც).

**სატეხი (09-XIX-81-81)** ბრინჯაოსი, დაწახნაგებული, ბოლომოხრილი, სამუშაო პირი შებრტყელებული და ღარიანია. სიგრძე – 24 სმ, სიგანე – 1,5 სმ (ტაბ. I).

სატეხისმაგარი იარაღი აღმოჩენილია ბადაანის ნამოსახლარზე [3, გვ. 178], საჩხერეში, ზეგარში, თეთრი წყაროსა და ბედენის ყორდანებში. საჩხერულ სატეხს რვაწახნაგა დერო აქვს, მისი ცალი მხარე მთავრდება არამკვეთრი დარით, მეორე კი – ოთხწახნაგაა [7, გვ. 168]. მსგავსი სატეხი, რომელიც საკმაოდ აღრეულად არის მიჩნეული, შემთხვევით აღმოჩნდა ზეკარში [7, გვ. 169]. აღნიშნული ეგზემპლარი საჩხერულზე უფრო მოზრდილია. ეს სატეხები ემსგავსება ყობანის დიდ ყორლანებში, განსაკუთრებით კი ნოვოსვობდნაიაში აღმოჩენილ ცალებს

[9, გვ. 85]. კავკასიის გარეთ თითქმის იდენტური სატეხი ცნობილია ჰისარ II-დან. იარაღს ცალი ბოლო ოთხწახნავა, მეორე კი – ლარიანი აქვს. ნოვოსვობოდნაიას სატეხის განხილვისას, მკვლევარი მის ადრეულ ტიპებს ეძებს შუმერში, ხოლო ზუსტ ანალოგიებს პოულობს ჰისარში [16, გვ. 214]. ა. შმიდტი ამ ნივთს შუმერულ ცალებს ამსგავსებს, კ. შეფერი კი ზეკარის სატეხეს 2200-2000 წწ. ათარიღებს. ოჯაფარიძის აზრით, იარაღის ეს ტიპი კავკასიაში სამხრეთიდან ვრცელდება [7, გვ. 136].

ქვემო არანისის ნამოსახლარზე აღმოჩენილი სატეხი ახლოს დგას საჩხერულ ტიპთან. ამავე ნამოსახლარზე აღმოჩენილი ანკესისმაგარი ნივთი და სამაჯურისა (თუ რგოლის?) ფრაგმენტი.

ახალი ქინვალის ტერიტორიაზე ხევიდან წყალგავანილი არხის სათავის მშენებლობის დროს, 1973 წელს, აღმოჩნდა „ცხვრის რქებისებრი“ დახვეულთავიანი საკინძი (ტაბ. I<sub>3</sub>). მსგავსი საკინძები აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა ეტაპის ძეგლებზე.

ე. თყავაშვილმა მის მიერ საჩხერეში გათხრილ ყორდანში იპოვა „ცხვრის რქებისებრი“ დახვეულთავიანი საკინძი. მსგავსი საკინძი აღმოჩნდა 1955 წელს, ნაჩერქეზევის ყორდანის ქვაყრილში. ამავე წელს ქორემში, პასიეთის ყორდანზე № 1 სამარხში ცულთან და სატეკართან ერთად ნაპოვნი იყო ამ ტიპის მოზრდილი საკინძი. მსგავსი საკინძის ოქროს ცალი ცნობილია შუაბრინჯაოს თრიალეთის ერთ-ერთ ყორდანში. ქვასათალის სამაროვანზე, 1953 წელს, ერთ-ერთ კოლექტიურ სამარხში ნაპოვნი იყო ამ ტიპის საკინძის რამდენიმე ცალი. რამდენადმე განსხვავებულია ძალიას „რქისებრ დახვეულთავიანი“ საკინძი [7, გვ. 174].

საკინძის ეს ტიპი საჩხერის სამაროვანზე უფრო გვიანდელ საფეხურზე გვხვდება. ოჯაფარიძის აზრით, ადრეულიდან შუაბრინჯაოზე გარდამავალ პერიოდში. კარგადაა ცნობილი მსგავსი საკინძები ჩრდილოეთ კავკასიაში იესენისეული II ეტაპის დროს.

საკინძი ორმაგი სპირალური თავით ცნობილია ტროა II, ჰისარ II, ანაუ II, თეფე სიაღკიდან [7, გვ. 175]. კავკასიაში საკინძის ეს ტიპი საკმაოდ ადრეული ხანიდან ჩანს, თითქოს შეინიშნება კიდეც მისი თანდათანობითი განვითარება და მოვიანო ხანაში უკვე სხვადასხვა ვარიანტებად წარმოგვიდგება.

„ცხვრის რქისებრ“ დახვეულთავიანი საკინძის შესწავლის შედეგად (ბეშთაშენი, ურნისი, ქვაცხელა, ამირანის გორა, სამშვილდე, ქვემო მაღარო) მკვლევარებმა გამოყენეს სამი ძირითადი ტიპი: 1. სამშვილდის მაგვარი საკინძები, რომლებიც დამზადებულია ლითონის ღეროს ერთი ნახევრის ორად გაყოფის წესით. გაყოფილი ღეროები ორმხრივ დახვეულია სპირალური და ახლოს დგას აღმოსავლეთში მოპოვებულ

ცალებთან. 2. ურბნული საკინძები, რომელიც ისევეა დამზადებული, როგორც პირველი ჯგუფი, იმ განსხვავებით, რომ თავხვიების შემაერთებული უკვე უნაგირს არ ქმნის და მორკალურია. 3. თავმომრგვალებული, ორი ნაწილისაგან შედგანილი საკინძები. ცალკეა დამზადებული ვოლუტებიანი თავი და ღერო, შემდეგ კი ცხელი ჭედვით არის შეერთებული [2, გვ. 61].

ახალი ქინვალის საკინძი რამდენადმე ემსგავსება ურბნულ ტიპს, თუმცა განსხვავება მაინც შეინიშნება.

არაგვის ხეობის მტკვარ-არაქსული ძეგლებიდან ცნობილი ლითონის ყველა ნივთი ნაკეთებია დარიშხანიანი სპილენძისაგან ან დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან, სადაც დარიშხანის რაოდენობა მერყეობს 1,2%-3,2%-მდე. მხოლოდ ანკესისმაგვარი ნივთია დამზადებული სუფთა სპილენძისაგან. ლითონის ნივთების სპექტრული ანალიზი შესრულებულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში, ოთხწახნაგა ხიშტისა და სატეხის განმეორებითი ანალიზი გაკეთდა გერმანიის ქ. ბოხუმის სამთო მუზეუმის ქიმიურ ლაბორატორიაში [17]. ხელმეორედ ჩატარებულმა ანალიზმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა ნივთების ქიმიური შედეგნილობის განსაზღვრაში. ანალიზის შედეგების მიხედვით დარიშხანის შემცველობა ნივთებში 2,19%-5,27%-ია. სატეხში შეინიშნება ნიკელის კვალი (ცხრ. I).

ო. ჯაფარიძეს თავის ნაშრომში „ქართველი ტომების ისტორიისათვის...“, მოტანილი აქვს ლითონის ნივთების ქიმიური ანალიზები. იგი საგანგებოდ ჩერდება ადრეული ხანის ლითონში შემავალი დარიშხანის წარმომავლობის საკითხზე და აღნიშნავს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში მეტალურგია სხვადასხვა რაიონში განსხვავებული ტემპით ვითარდებოდა. მდ. ყვირილას აუზის ზემო წელს მიიჩნევს ისეთ რაიონად, სადაც ამ დროს მეტალურგია განსაკუთრებით მაღალ საფეხურს აღწევს [7, გვ. 190].

ტ. ჩუბინიშვილის აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში, ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე მოსახლე ტომები ადგილობრივად განვითარებული მეტალურგიის ფუძე-მდებლები უნდა ყოფილიყნენ მიუხედავად იმისა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სფეროში სპილენძის საბაზოების თანადორული დამუშავების კვალი არ აღმოჩენილა. მისი აზრით, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ კავკასიაში და მის მეზობელ ქვეწნებში, სამთო საქმე აღრევე იყო განვითარებული [5, გვ. 57].

სომხეთში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ნივთები შეისწავლა ე. ხანზადიანმა. მას თავის ნაშრომში მოტანილი აქვს ლითონის ნივთების ქიმიური ანალიზი და აღნიშნავს, რომ ძველი სომხეთის ტომებს ძვ.წ. III ათასწლეულში კარგად განვითარებული მეტალურგია ჰქონდათ. [7, გვ. 108]. სხვა მკვლევარების აზრით (ა. მარტიროსიანი, ს. სარდარიანი) სომხეთი ძველ-

თაგანვე წარმოადგენდა მეტალურგიულ ბაზას ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. ეს მოსაზრება ბევრმა მკვლევარმა არ გაიზიარა.

ჩრდილოეთ კავკასიის უძველესი მეტალურგიული წარმოება შეისწავლა ე. ჩერნიხმა. მისი აზრით, ამიერკავკასიაში უნდა არსებულიყო მდიდარი და ადვილად მისაღწევი სპილენძის მადანგამოსავლები, რასაც ხელი უნდა შეეწყო, ამიერკავკასიის ძველი მეტალურგიის სწრაფი აღმავლობისათვის და ფიქრობს, რომ სპილენძის მასალა ჩრდილოეთ კავკასიაში შეტანილი უნდა იყოს ძირითადად ამიერკავკასიიდან [15; 4, გვ. 47].

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოპოვებული ადრეული პერიოდის სპილენძ-ბრინჯაოს ნივთების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა სპექტრული ანალიზით აწარმოვა ი. სელიმხანოვმა. მას, ქიმიურ ანალიზებზე დაყრდნობით, ბრინჯაოს კულტურის პერიოდად დაყოფის პირობითი სქემა აქვს მოცემული და მიაჩნია, რომ ძვ.წ. III ათასწლეულში ლითონის ნივთებს ამზადებდნენ სპილენძ-დარიშხანის შენადნობისაგან, რისთვისაც გამოიყენებოდა ადგილობრივი სპილენძის უანგეული ჰადნები და დარიშხანის მინერალები. ძვ.წ. IV-III ათასწლეულისათვის თვითნაბადი სპილენძის გამოყენებას იგი გამორიცხავს [13, გვ. 167].

დაწინაურებული და ლითონით მდიდარი ჩანს მდ. ყვირილას აუზი (საჩხერის რაიონი) და შემდეგ შიდა ქართლი.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ადრეული ხანის ბრინჯაოს ნივთების ქიმიური შედგენილობის შეისწავლისა და საქართველოს არსებული სპილენძის გამადნების სისტემასთან მათი შედარების შედგენილობის გათვალისწინებით ფ. თავაძე და თ. საყვარელიძე მიიჩნევენ, რომ სპილენძის შენადნობები მიღებულია უშუალოდ დარიშხანის შემცველი სპილენძის უანგეული და კარბონატული მადნებიდან პირდაპირი აღდგენის გზით. ისინი ბუნებრივ მინარევებად თვლიან 2%-მდე დარიშხანის შემცველობას. აღნიშნულ რაოდენობაზე მეტ დარიშხანს კი უკვე ხელოვნურად შეტანილად მიიჩნევენ. დნობის აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესის განსახორციელებლად, მათი აზრით, კაზმს ამატებდნენ დარიშხანის მინერალს [14, გვ. 20].

ი. სელიმხანოვის აზრით, დარიშხანის დასაშვები ზღვარი ბუნებრივ და ხელოვნურ მინარევებს შორის 4%-ია, თუმცა იგი მაინც თვლის, რომ ადრეული ხანის ლითონებში შემავალი დარიშხანი ხელოვნურ დანამატს წარმოადგენს და შესაბამისად მას დარიშხანისა და სპილენძის შენადნობს უწოდებს [13, გვ. 153].

ც. აბესაძის ნაშრომის მიხედვით, კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში, მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში დარიშხანიანი სპილენძი მიიღებოდა უშუალოდ დარიშხანის შემცველი პოლიმეტალური უანგეული მადნებიდან პირდაპირი აღდგენის გზით (აღდგენითი დნობა). სპილენძის მადანში შემავალი დარიშხანი აღდგენითი დნო-

ბის პროცესში განიცდიდა აღდგენას და ლითონში გადადიოდა [1, გვ. 122].

მტკვარ-არაქსის კულტურის სხვადასხვა ძეგლებზე აღმოჩენილი ჩენოთვის საინტერესო ლითონის ნივთები დასტურდება კულტურის მოგვიან საუკუნეებზე. ანალოგიური სურათია არაგვის ხეობაშიც.

დღესდღეობით არაგვის ხეობაში მიკვლეული არ არის საწარმოო მნიშვნელობის სპილენძის საბადოები. ჩენი აზრით, არაგვის ხეობა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ამ პერიოდის ერთ-ერთ მძლავრ მეტალურგიულ ცენტრთან (ყვირილას აუზი).

## M. Ghloni

### METAL ARTIFACTS FROM THE KURA-ARAXES SITES OF THE ARAGVI BASIN (Summary)

The metal artifacts, studied by the author, mainly come from pits on the site of Kvemo Aranisi (Akhalı Zhinvali). They are dated to the second half of the 3<sup>rd</sup> millennium B.C.

The bayonet-like weapon and chisel resemble in shape the Sachkhere specimens, while the pin with a coiled head finds an analogy with the Urbnisi group of pins.

The metal artifacts are made of arsenic copper and arsenic bronze (As=1.2/3.2%).

As a result of a juxtaposition of the results of a chemical study of the ancient artifacts and geochemical data on ores in Georgia, it is assumed that ancient alloy of bronze was obtained through direct reduction of local arsenic-containing copper oxide and carbonaceous ores.

The bulk of the metal items found on different sites of the Kura-Araxes culture come from the late stages of this culture. The situation is the same in the Aragvi valley.

To date, the Atari copper deposits of industrial significance have been discovered in the Aragvi valley. The Aragvi valley was presumably connected with the strong metallurgical centre of the Qvirila basin.

## ლიტერატურა

1. აბესაძე ც. ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულში. თბ., 1969.
2. მირცხვლავა გ. სამშვილდე. თბ., 1975.
3. საქართველოს არქეოლოგია, ტ. II, თბ., 1991.
4. ქავთარაძე გ. საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბ., 1981.

5. ჩუბინიშვილი ტ. ამირანის გორა, თბ., 1963.

6. ჯავახიშვილი ალ., ღლოთხო ლ. ურბის I, თბ., 1962.

7. ჯაფარიძე თ. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.

8. **Абубулаев О.** Раскопки холма Кюль-тапа близ Нахичевани в 1955 г. – МИА, 67, 1959. с. 431-452

9. **Иессен А. А.** К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – ИГАИМК, вып. 120, 1935, с. 7-237.

10. **Куфтин Б.** Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию. Тб., 1949.

11. **Котович В.** Верхнегунибское поселение – памятник эпохи бронзы горного Дагестана. Махачкала, 1965.

12. **Мунчав Р.** Кавказ на заре бронзового века. М., 1975.

13. **Селимханов И.** Историко-химические и аналитические исследования древних предметов из медных сплавов. Баку, 1960.

14. **Тавадзе Ф., Сакварелидзе Т.** Бронзы древней Грузии, Тб., 1959.

## ცხრილი I

ლაბორატორიის შიფრი	ნივთის დასახელება	Cu	Sn	Pb	Zn	Bi	Ag	Sb	As	Fe	Ni	Co	Au
1011	ხიშტი ოთხჭახნაგა	ვუძე	-	-	-	-	კვალი	-	3,2	-	-	-	-
1012	სატეხი	ვუძე	-	კვალი	-	-	კვალი	-	1,2	-	-	-	-
1013	ანგესი	ვუძე	-	-	-	-	კვალი	-	-	-	-	-	-
1014	სმაჯური (ნაწილი)	ვუძე	-	-	-	-	კვალი	-	1,3	-	-	-	-
*	ხიშტი	ვუძე	-	0,03	-	-	0,2	0,02	5,27	-	-	-	-
*	ხიშტი	ვუძე	-	0,09	-	-	0,03	0,11	2,19	-	0,02	-	-

15. **Черных Е.** История древнейшей металлургии Восточной Европы. М. 1966.

16. **Чайлд Г.** У истоков европейской цивилизации М. 1952.

17. **Georgien Schätze aus dem Land des Goldenen Vlies.** Katalog der Ausstellung des Deutsch Bergbaumuseums Bochum. Bochum, 2001.


## ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – ლითონის ნივთები არაგვის ხეობის მტკვარ-არაქსული ძეგლებიდან: 1. სატეხი; 2. ხიშტისმაგვარი იარაღი; 3. ?ცხვრის რქისებრ%; დახვეულთავინი საკიბი; 4. სამაოურის (თუ რგოლის) ნაწილი; 5. ანგესისმაგვარი ნაკეთობა.

## Description of the Plates

Pl. I – metal items from Kura-Araxes sites of the Aragvi valley: 1. chisel; 2. bayonet-like weapon; 3. pin with head spiralled like a "sheep horn"; 4. part of bracelet (or hoop); 5. fishing-hook-like item

\* ანალიზები ჩატარდა გერმანიაში, ქ. ბოხუმის სამთო მუზეუმის ანალიზურ ლაბორატორიაში



## გურამ მირცხვლაგა

### ნაყოფის პულტის მირცხვლაგა

რელიგიის წარმოშობა ადამიანთა საზოგადოების მიერ ცივილიზაციისაკენ გადადგმული ერთერთი დიდი ნაბიჯია. განყენებული აზროვნება გონიერი ადამიანის პრეზუმაციაა, თუმცა კი ნეანდერტალელთა სამარხების აღმოჩენამ საფრანგეთში, პალესტინასა და ყირიმში, მკვლევარებს გამოათქმევინა ვარაუდი, რომ მათ შეიძლება უკვე აქვთ წარმოდგენა სულის არსებობის შესახებ [58, გვ. 8]. ჯერ კიდევ ქვედა პალეოლიტური პერიოდის – მუსტიური ადამიანის რელიგიური წარმოდგენების შესახებ მსჯელობენ ალპებში – პეტერსხელესა და დრახენლოხში აღმოჩენილი გამოქვაბულის დათვის მელების აღმოჩენის გამო, რომლებიც გარკვეული წყობით იყო დალაგებული ქაფუთებში. მეცნიერებმა ეს მომენტი სამონადირეო მაგიას ან ტოტემიზმს დაუკავშირეს მისი ყველაზე პრიმიტიული გაგებით [58, გვ. 9]. საერთოდ კი ვარაუდობენ, რომ რელიგიის საწყისი პირველყოფილ ანიმიზმი უნდა იყოს [66, გვ. 98].

ზედა პალეოლიტში, როცა ჩამოყალიბდა თანამედროვე ადამიანი, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების კვალი მატერიალურ კულტურაში უფრო მეტიოდ გამოიკვეთა. ამ პერიოდის სამარხები უკვე რიტუალის აშკარა კვალს შეიცავენ. ამავე დროს ჩნდება სახვითი ხელოვნების ძეგლები – სკულპტურა და გამოქვაბულების ფერწერა. გამოქვაბულებში კედლებზე ძირითად ცხოველები და ნადირობის სცენებია გამოსახული, რაც ასევე სამონადირეო მაგიაზე მიუთითებს, აღბათ. რაც შეეხება სკულპტურებს, ორინიაკული სკულპტურები ძირითადად დედაკაცის გამოსახულებებია, ძალზე დიდ ტერიტორიაზე საკმაოდ ერთგვაროვანი, სტეატოპიგიური, ხაზგასმული სასქესო ნიშნებით. ეს გამოსახულებები ძირითადად კერასთან არის აღმოჩენილი და ამიტომ მათ დიდი დედის, კერის დედის ან კერის დიასახლისის გამოსახულებად მიიჩნევენ [59, გვ. 80].

ცნობილია, რომ დიდი სამეურნეო და სოციალური ძრები, განსაკუთრებით „ნეოლიტური რევოლუცია“, იწვევს საზოგადოებაში ინტელექტუალურ სიახლეებს, მათ შორის კულტის სფეროში [48, გვ. 5]. მწარმოებლური მეურნეობის სხვადასხვა სახეობის ჩამოყალიბებამ პირველყოფილი რელიგია უფრო პარცელარული გახდა; თანდათან ძლიერდება და მრავალფეროვანი ხდება მაგია, რომელიც ახალ შინაარსს დებს ტოტემიზმსა და ანიმიზმი, ხოლო ეს უკანასკნელნ კი თავის მხრივ ავსებენ მაგიას. მაგიას, ანუ საკულტო ხასიათის ქმედებებს, განსაკუთრებით თავის შინაარსით, საკმაოდ კონსერვატული ხასიათი გააჩნია და საზოგადოებაში

გარკვეულ წეს-ჩვეულებათა ბატონობას ამკვიდრებს [66, გვ. 59]. მაგიური წეს-ჩვეულებები გარკვეული იდეოლოგიით იკვებება, ხოლო იდეოლოგია მჭიდრო კავშირშია სამეურნეო მოღვაწეობასთან. მაგია გარკვეულ წეს-ჩვეულებათა ერთობაა და უკავშირდება რწმენას, რომ ადამიანის შეუძლია ზემოქმედება ბუნებაზე, ადამიანებზე, ცხოველებზე და ბოლოს ღმერთებზეც. ადამიანს ძალიან უნდა, რომ ეს ასე იყოს და შესაბამისად, იჯერებს ან აჯერებენ, რომ ასეც არის; მხოლოდ საჭიროა რიტუალის სრული წესების დაცვით შესრულება [67, გვ. 95]. ხშირად მაგიური წეს-ჩვეულებების ჩატარება ქმედებასთან ერთად ითხოვს სიტყვიერ თანხლებას, ქმედების გახმოვანებას, შელოცვას, თხოვნას. რიტუალური სიტყვიერი მიმართება მოქმედებასთან ან პირიქით, გარკვეულ ცვლილებებს განიცდის და რთულდება – რიტუალიდან რიტუალმდე ერთსა და იმავე საზოგადოებაში და საზოგადოებიდან საზოგადოებაში [38, გვ. 18]. მაგია ორნაირია: მაგია დადებითი – ნადირობის წარმატება, განაყოფიერება, მოსავლის ზრდა, წვიმის გამოწვევა და სხვა; მაგია ამკრძალავი ანუ ტაბუ – იკრძალება ესა თუ ის ქმედება. მიიჩნევენ, რომ აქედან იღებს სათავეს და საფუძველი ეყრება ტრადიციებს.

ნეოლიტში კულტის დამადასტურებელი ძეგლები განსაკუთრებით მრავლდება. დაკრძალვის რიტუალი რთულდება და მრავალსახა ხდება. სამყაროსა და ბუნებრივი მოვლენების თავისებური გაგებით, ადამიანი ცდილობს მათ განზოგადოებას. ჩნდება მაგიურ ქმედებათა კომპლექსები, რომლის ამოცანაა იმოქმედოს ბუნების მწარმოებლურ-გამანაყოფიერებელ ძალებზე. მრავლდება პეტროგლიფები და ჩნდება ფალიური გამოსახულებები. ამავე დროს ჩნდება ნახევარწრებისა და წრეების გამოსახულებები სხივებით და ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია ეს უკვე იყოს მნათობთა გამოსახულებები; თუმცა კი ადრეულ ეტაპზე შეიძლება ეს სულაც არ იყოს ასტრალულ ღვთაებათა გამოსახულება. მოგვიანებით, როდესაც იწყება სამარხ ნაგებობათა ორიენტაცია მხარეთა მიხედვით, აშკარა ხდება მნათობთა თაყვანისცემა, რაც, თავის მხრივ, მიწათმოქმედების განვითარებასთან არის დაკავშირებული.

კავკასიაში ამ პერიოდში განსაკუთრებით ძლიერდება საოჯახო-საგვარეულო კულტი. უმეტეს შემთხვევაში ეს უკავშირდება კერას, წმინდა ხდება ყველაფერი მასთან დაკავშირებული – ცეცხლი, ნაცარი. ამავე დროს ძლიერდება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კულტი. ეს კი თავისთავად უკავშირდება ნაყოფიერებას

და მაგიური წესები საბოლოოდ კერასთან იყრიან თვეს.

მიწათმოქმედების საწყის ეტაპზე, როცა იგი ძირითადად ქალის საქმეა, ნელ-ნელა იზრდება ქალის წილი საზოგადოებრივ შრომაში, რაც აძლიერებს მის საზოგადოებრივ მდგომარეობას. კერა, ცეცხლი, საკვების მომზადება – ამას ემატება ისიც, რომ მშობიარობა, მომავალი თაობების გაჩენა და მათი მოვლა – ქალის საქმეა და უკვე ეს განაპირობებს მის განსაკუთრებულობას და იქმნება სახლის თუ კერის, გამრავლება-განაყოფიერების ხელისშემწყობი თუ მფარველობითი მაგიური წეს-ჩვეულებები, რაც, შესაბამისად, მის კულტის ჩამოყალიბებით სრულდება. ქართველურ სამყაროში ოჯახის მფარველი ღვთაება ფუძის – სახლის ანგელოზი ქალია [32, გვ. 143]. სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში კარგად შემოინახა უძველესი წესები, სადაც ცეცხლის შენახვა ქალის მოვალეობა იყო, კერის კულტის მსახური ქალია, ოჯახში პირველად შემოყვანილ პატარძალს აუცილებლად კერის გარშემო შემოატარებდნენ და ა.შ. [27, გვ. 120, 151]. ეს მომენტები იმავდროულად აისახება რელიგიაში. ისევ მრავლდება ქალის სკულპტურული გამოსახულებები მკვეთრად გამოსხატული თეძოებითა და მკერდით, მუცლით და განაყოფიერების სიმბოლოებით. ეს გამოსახულებები, ჯერ კიდევ ორინიაკის ეპოქიდან მოყოლებული ევროპასა თუ აზიაში, ძირითადად კერის მახლობლად არიან განლაგებული და „ცეცხლის დაასახლის“, კერის და საერთოდ ახლა უკვე ოჯახის და ნაყოფიერების მფარველს წარმოადგენენ. ოჯახისა და კერის გაძლიერების საქმეში ამ ქანდაკებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. სამხრეთ ორმდინარეთში დადასტურებულია, რომ სამლოცველოს აშენებისას, საძირკველში ქანდაკებებს ასვენებდნენ [51, გვ. 192]. ჩათალ-ჰუიუქშიც თიხის ქანდაკებები საცხოვრებელში არის დადასტურებული და კ. მელაარტი აღნიშვნას, რომ სახლის მიტოვების შემთხვევაში მათ არასოდეს არ ტოვებდნენ და ახალ ადგილზე მიაქვთ [68, გვ. 179-180]. ეს ფუძის ღვთაებათა ქანდაკებებია და მათი დიდი მნიშვნელობა განსაკუთრებით კარგად ჩანს ბიბლიაში, იმ ეპიზოდში, როდესაც ისააკის ძე – იაკობი გამოექცევა სიმამრს და თან წამოიღებს უამრავ ქონებას, ხოლო მისი ცოლი რაქელი მოპარავს მამას ფუძის ღვთაებათა ქანდაკებებს და თან წამოიღებს. დადევნებული სიმამრი დაბეჯითებით მოითხოვს მხოლოდ კერპების დაბრუნებას [5, 31, 30], რომლებიც მას მისი დიდი წინაპრის, აბრაამის მამის – თარასგან მოსდგამდა. ეს ქანდაკებები ამავე დროს ოჯახის და ფუძის მემკვიდრის უფლებას იძლეოდა. ნუზის არქივში აღმოჩენილ ლურსმულ წარწერაში იყო ანდერძი – მამა უტოვებს უფროს შვილს ქონების დიდ ნაწილს და საჩუქრად – ფუძის

ღვთაების ქანდაკებას, ხოლო პამურაბის კანონმდებლობის თანახმად სიმამრის მიცემული კერპის მქონე სიძეს ვაჟიშვილის სამემკვიდრეო უფლება ეძლეოდა [16, გვ. 78]. ასეთი დიდი ძალის მქონე ქანდაკება – კერპები, ბუნებრივია, კერასთან არის დაკვშირებული და მის მახლობლად არის განლაგებული, ხოლო კერას და ცეცხლს დიდი ძალა და მნიშვნელობა ენიჭება, მათ მიმართ განსაკუთრებული მოწიწება ჩანს, იქნება ეს ორმდინარეთში, ეგვიპტეში, ციმბირის ხალხებსა თუ ჩინელებში. ბიბლიაშიც კი ღმერთი ცხადდება ცეცხლის სახით. „ენოქის წიგნში“ ყველაფრის საწყისი ცეცხლია,<sup>10</sup> რიგვედაში ყველაფრის შემქმნელი არის ცეცხლის ღმერთი აგნე. ასევეა ავესტის მიხედვითაც. ეგვიპტეში ყოვლისშემძლე რა – მზეა; ბერძნულში ზევსსა და ცეცხლს ერთი ფუძე აქვთ და ა.შ. [60, გვ. 181].

მესაქონლეობის განვითარება მკვეთრად ზრდის შრომის ნაყოფიერებას. მეურნეობა მრავალსახა ხდება, რაც იწვევს ცვლილებებს რელიგიაში. მწარმოებლური მეურნეობა დამოკიდებულია ბუნებაზე, კლიმატზე და იწყება ბუნების მოვლენათა კულტი. იქმნება ღვთაებათა სიმბოლური გამოსახულების ახალი ნიშნები – ასტრალური სიმბოლიკა. ფიქრობენ, რომ ტოტემური კულტი მსხვერპლშეწირვის ჩვევაში გარდაისახება – მსხვერპლად ეწირება მოსავლის და საქონლის საუკეთესო ნამატი – რათა უგნებლად მოიხმარონ დანარჩენი და უზრუნველყონ შემდგომი მოსავალი [66, გვ. 89]. მწარმოებლური მეურნეობა კვლავწარმოებით არის დაინტერესებული, რაც თავისთავად განაყოფიერების იდეის მატარებელია. აი, აქ კი იქმნება ითიფალური გამოსახულებები.

კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, ენოლით-ადრებინჯავას პერიოდში, არქეოლოგიური კულტურები ყალიბდებიან და ვითარდებიან ურთიერთ მჭიდრო კავშირში მყოფი მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ბაზაზე. როგორც ჩანს, უფრო ადრეულ ეტაპზე წამყვანი მეცხოველეობა უნდა იყოს, რომლის როლიც მეურნეობაში მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად უფრო ძლიერდება. შესაბამისად ვითარდება და რთულდება იდეოლოგია და კულტის სფერო. კულტის სოციალური ორგანიზაციის სფეროში ადრეულ ეტაპზე ვარაუდობენ საოჯახო რიტუალს. საოჯახო რიტუალის დამადასტურებელი ატრიბუცია კავკასიის (და არა მარტო კავკასიის) ენეოლით-ადრებრინჯაოს-მტკვარ-არაქსის კულტურის სფეროში საკმაოდ მრავლად არის. შემდეგ ადასტურებენ სასოფლო თემის კოლექტიური სალოცავების რიტუალს და ბოლოს სატაძრო რიტუალს [39, გვ. 55].

<sup>10</sup> „ენოქის წიგნი“ სრულად აღმოჩნდა მე-18 საუკუნეში ეთიოპურ ენაზე და ის ძვირფასი წყაროა იუდევლებათა რელიგიური მსოფლმხედველობის შესახებ ქრისტეს დაბადების პერიოდში.

საკულტო-სარიტუალო მსახურების განვითარების ეს სქემა პრინციპში მისაღებია, მაგრამ იმ კორექტივით, რომ საოჯახო რიტუალი არ წყდება, მუდმივად არსებობს და ზოგიერთ ადგილებში საქართველოში და კავკასიაშიც დღე-განდღმდე ინარჩუნებს თაქს.

საქართველოში გვიანი ენეოლითის პერიოდში უკვე ჩანს სათემო სამლოცველო (თეთრი მლვიმე, ხრამის დიდი გორა, იმირის გორა, ბერიკლები).<sup>11</sup> მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში სპეციალური საკულტო რიტუალის ნაგებობები ჩანს სამშვილდებში, ქვაცხელებზე, ახალციხის ამირანის გორაზე, თეთრწყაროში. მოგვიანებით ჩნდება ნამდვილი ტაძრები (მოხრაბლური, კირბეტ კერაკი).

ნეოლით-ენეოლითის პერიოდის საოჯახო-საკულტო რიტუალის მასალები ჯერჯერობით შედარებით ცოტაა მოპოვებული. შეიძლება ეს იმით იყოს განპირობებული, რომ სიონი-გინჩის ძეგლების წრეში კარგად შემონახული საცხოვებლები არ არის შესწავლილი. შედარებით მეტია ეს მასალები შულავერ-შომუთეფეს წრეში. მტკვარ-არაქსის კულტურაში, როგორც აღვინიშნეთ, ეს მასალები უკვე მრავლდება და მრავალფეროვანი ხდება. ეს არის მუდმივი ცეცხლის შესანახი კერები, ორმოები, თიხის პლასტიკა, კერის სადგარები ხარის რქებით თუ ნახევარმთვარის გამოსახულებით და ა.შ. (ტაბ. II). მტკვარ-არაქსის კულტურაში ძლიერი ჩანს ხარის კულტი, რომელიც დაკავშირებულია სადგართან, კერასთან, მუდმივ ცეცხლთან. სადგრები ხშირად ზოომორფულია ან ანთროპო-მორფული და ფალიურ კულტთან, ხოლო საბოლოოდ ყველაფერი ეს – განაყოფიერებასთან არის დაკავშირებული. ხარის თიხის სკულ-პტურები ადრესამიწამორქმედო კულტურის ძეგლებზე მიუთითებს მის კავშირზე სახნავ მიწათმოქმედებასთან, ვინაიდან ხარის ნაყოფიერების კულტთან მჭიდროდ დაკავშირება ეთნო-გრაფიული მონაცემებით მაშინ ხდება, როცა იწყება ხარის გამოყენება გამწევ ძალად [62, გვ. 60]. ვარაუდობენ, რომ მტკვარ-არაქსელთა რელიგიაში, როგორც ჩანს, უკვე არსებობდა ღვთაებათა გარკვეული იერარქია. ერთ-ერთი ადრეული ღვთაება სწორედ ხარის სახით წარმოგვიდგება და მისი კულტიდ ქცევა სატრანსპორტო და განსაკუთრებით სახნავ საქმეში გამოყენებამ განაპირობა. ამავე დროს იგი უკავშირდება ნაყოფიერებას და შესაბამისად კერას. მტკვარ-არაქსის კულტურაში მრავლად არის სხვა ზოომორფული სახის თაყვანისცემის ობიექტები – ცხვრის, თხის, ირმის, ძაღლის, წერისა თუ გველის სახით. საერთოდ ამ კულტურას ახასიათებს ზოოლატრია [39, გვ. 56], რაც ფართოდ არის ასევე გავრცელებული წინა

<sup>11</sup> გამოთქმულია ვარაუდი, რომ ბერიკლების სამლოცველო შესაძლებელია მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდის იყოს [იხ. 34, გვ. 93].

აზიაში, ეგვიპტეში, ინდოეთში და სხვ. რაც შეეხება ხარს, ამ ქვეყნებში ისიც გამორჩეული ღვთაებაა. ზოგიერთ აგრარულ კულტებში, კერძოდ იმ ქვეყნებში, სადაც წვიმას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ხარი ტრანსფორმირდება წვიმის ღვთაებად. ამიტომაც რიგვედაში ღედამიწა ძროხაა; წყალი ანაყოფიერებს მიწას, როგორც ხარი ძროხას [66, გვ. 92].

ძალზედ საინტერესოა ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ამ შემთხვევაში ღეჩხემში, დაფიქსირებული საკრალური რიტუალი „ბოსლობა“. ამ რიტუალს ოჯახის წევრები მართავენ ოჯახის უფროსის წინამდლოლობით. რიტუალში მოიხსენიება სიტყვა „კოტ-მოზვერი“.<sup>12</sup> რიტუალი ტარდება კერასთან და ბოსელში, სადაც ლოცვენ თითოეულ საქონელს და განსაკუთრებით კი უფერებიან ხარს, უფალს ხაზგასმით შესთხოვენ მის ძლიერებას; ჩანს, რომ მის ძლიერებაზე დამოკიდებული საერთოდ საქონლის კეთილდღეობა [7, გვ. 154]. რიტუალში აუცილებლად მონაწილეობს ხის ან თიხის ფალოსი. პროფ. ვ. ბარდაველიძე ამ რიტუალის კვლევის შედეგად ასკანის, რომ „ბოსლოა“ მესაქონლეობის მფარველი ღვთაების სახელია, რომელიც შემდგომ საქონლის სადგომს დაერქვა [4, გვ. 103]. ვარაუდობენ, რომ სიტყვა „ბოსელი“ წარმოებულია სიტყვა „ბოს“-იდან, რომელიც ადრე შეიძლება ხარს აღნიშნავდა.<sup>13</sup> ბოსლობის რაჭულ ვარიანტში გახვდება მაგიური სიტყვა „ბუა“, რაც სავარაუდოა, რომ საქონლის მფარველი ღვთაების სახელი იყოს. იგი წარმოგენილია ხალხში, როგორც ბანჯგვლიანი არსება, რომლითაც შემდგომ ბავშვებს აშინებდნენ [7, გვ. 156]. სიტყვა „ბუა“ ზეპირ-სიტყვიერებაში ბეწვისა და ქურქის მნიშვნელობითაც იხმარება. აქვე უნდა გავიჩინოთ მეგრულ ენაში შემორჩენილი საქონლის საბავშვო სახელი „ბოუა“.

საინტერესოა ხეთურ და სხვა ინდოევროპულ ტრადიციებში საქონლის ფასი. „ხეთური კანონების“ თანახმად, სახნავი ხარი ყველაზე ძვირი იყო – 12 სიკილა ვერცხლი, შემდეგ მოდის გამანაყოფიერებელი ხარი – 10 სიკილა, მაკე ძროხა – 8 სიკილა და ზრდასრული ძროხა – 7 სიკილა [42, გვ. 572]. ი. კიკვიძე, ვფიქრობ, საკებით მართებულად ვარაუდობს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის თითოეული, ანთროპომორფული ზესადგრები და მათი ურთიერთობა კერასთან, მიუთითებს, რომ უკვე არსებობდა „ბოსლობის“ მსგავსი რიტუალი, მითუმეტეს, რომ რქიან ზესადგრებს ხარის გამოსახულებად მიიჩნევენ და ხარის კულტს უკავშირე-

<sup>12</sup> მოზვერი ქართულად ახალგაზრდა ხარს ნიშნავს, ხოლო სიტყვა „კოტ, კუტ“ ფალისის აღმნიშვნელი სიტყვაა [3, გვ. 188].

<sup>13</sup> შეად. ლათინური \_ Bos.

ბენ [14, გვ. 171]. ხარის კულტზე მიუთითებს ცხინვალის ნაცარგორაზე გათხრილ სამლოცველოში, სარიტუალო კერასთან აღმოჩენილი ხარის ფიგურები (ეს სამლოცველო ძვ. წ. II ათსწლეულის მეორე ნახევრით არის დათარილებული – იხ. 8, გვ. 255). ხარი ძველ რელიგიებში მთვარის ღვთაებას განასახიერებს. ხარის რქები მთვარედ არის წარმოლგენილი. მთვარე გამოსახულია ხარის თავზე ალთინ-დეპეს მთვარის ტაძარში. „ციურ ხარად“ იწოდება მთვარის ღვთაება ნანა ურის ზიკურატის წარწერებში. ახალი მთვარე არის გამოსახული ხარის თავზე, რქების ნაცვლად, თრიალეთურ სარტყელზე. ხიზანაანთ გორის B დონეზე აღმოჩენილი ითიფალური, ანთროპომორფული ქანდაკების სახის ფორმაში ძეგლის გამოხტრები ი. კიკვიძე მთვარის გამოსახულებას ხედავს [14, გვ. 172].

საინტერესოა საქართველოში ეთნოგრაფიულად დადასტურებული და ტრადიციული საახალწლო წეს-ჩვეულებები. მათი დიდი ნაწილი მოსავლისა და საქონლის გამრავლებისადმი და საერთოდ განაყოფიერებისადმი არის მიძღვნილი. მრავალ სხვადასხვა ქმედებებთან ერთად აღსანიშნავია განსაკუთრებული დამოკიდებულება ხარის მიმართ და ხენა-თესვასთან დაკავშირებით. ხშირად ახალ წელს ოჯახში მეკვლედ ადამიანთან ერთად ხარიც შემოყვავდათ, რომელსაც მეკვლე კერის გარშემო სამჯერ შემოინარებდა [2, გვ. 144]. ქართულ-კავკასიურ სინამდვილეში, ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებითაც დგინდება ხარის მდიდარი მითოლოგიური წარსული. შეწირული ხარის ხორცის თანაბრად განაწილება თემის წევრებს შორის ხარის ტოტემურ წარსულზე მიუთითებს [24, გვ. 7]. დიდია ხარის როლი გადასახლებული მოსახლეობის უკან დაბრუნების მცდელობაში; შეწირული ხარის სისხლი წინაპრებთან ერთიანობის სიმბოლოდ განიხილება. ხარი დაკავშირებულია ოჯახთან, გერთან [12, გვ. 126]. მოგვიანებით ქრისტიანულ-წარმართული რელიგიური სომნი ხარს უფუნქციოდ არ ტოვებს. ქართველთა ყოფაში დამოწმებული ყოფილა რიტუალი – პურების გამოცხობა ხარებისთვისაც და ამ პურების ხარის რქებზე წამოცმა [6, გვ. 201; 2, გვ. 121]. ამავე დროს ტარდებოდა რიტუალური თესვა – მეკვლე სათესლე მარცვალს მიმოაბნევდა ოჯახში და საქონლის სადგომში. ახალ წელს, ანუ იანვრის დამდეგს ამ რიტუალის ჩატარება რასაკირველია მიუთითებს, რომ ქართველთათვის ადრინდელ დროში ახალი წელი ახალ აგრარულ წელს ემთხვეოდა. დადგენილია, რომ ძველქართული წარმართული კალენდრით ახალი წელი სექტემბერში დგებოდა, რაც ჩვენებური ხორბლის – დოლის პურის თესვის დროა. ცნობილია, რომ საქართველოში პირველად საშემოდგომო მარცვლეული ყოფილა; მოგვიანებით, საგაზაფხულო მარცვლეულის შემოსვლას-

თან დაკავშირებით, რაც მორწყვით მიწათმოქმედებას უნდა შემოეტანა, <sup>14</sup> ახალი წელი გაზაფხულზე იქნა გადმოტანილი [6, გვ. 205]. ხარის მეკვლეობა იმით იყო განპირობებული, რომ სწორედ ის ავლებდა პირველ ხნელს – კვალს, მეკვლე მამაკაცთან ერთად. მოგვიანებით ახალი წლის უკვე იანგარში გადმოტანამ კი მათ რიტუალური მნიშვნელობის პირველი კვალის გავლების საშუალება მოუსპო და მეკვლეს მეფებურის მნიშვნელობა მიეცა [6, გვ. 216]. ამრიგად, უძველესმა საახალწლო წეს-ჩვეულებებმა, რომლებიც, აგრარული წლის დაწყებისათან დაკავშირებული, თავი მაინც შემოინახა და მტკიცებ დამკიდრებული რიტუალი არ დაიკარგა, თუმც კი გარკვეულად სახე იცვალა.

საერთოდ მიწათმოქმედებაში ემპირიული ცოდნით მიღებულ ფენოლოგიურ დაკვირვებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მეურნეობაში. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მთვარის ფაზებთან შეთანხმებას, განსაკუთრებით ვეგეტაციურ პროცესებში, დღესაც ექცევა ყურადღება. ამასთან დაკავშირებით ძველად საქართველოში საგანგებო რიტუალები სრულდებოდა [37, გვ. 55]. ცნობილია, რომ ბიოლოგიური საათის მეშვეობით რეგულირდება ფაზიოლოგიური პროცესები სადღედამისო, სეზონურ და წლიურ ციკლებში [40, გვ. 33]. ეს პროცესები მთვარის ფაზების ციკლთან არის დაკავშირებული [61, გვ. 504]. ეს კანონზომიერებები ცნობილი იყო მიწათმოქმედი ტომებისათვის. ბუნებაზე სათანადო დაკვირვებებმა მეურნეს საშუალება მისცა განესაზღვრა მთვარის ფაზებთან დაკავშირებით აგრარული სამუშაოების ჩატარების რიტმი [6, გვ. 193]. შესაბამისად ადამიანმა ისწავლა დროის გაზომვა მთვარის ფაზების მიხედვით; იუდაურ ლეგენდებში ნათქვამია, რომ „მთვარე შექმნილია დღეთა აღსარიცხად“ [60, გვ. 83]. აქვეუნდა აღინიშნოს, რომ, როგორც აკად. ივ. ჯაგანიშვილი იკვლევს, ქართული წარმართული პანთეონის მთვარი ღვთაება მთვარე – მამაკაცია [37, გვ. 60].

ამ მოკლე მიმოხილვიდან კარგად ჩანს, როგორ უკავშირდება ერთმანეთს განაყოფიერებისადმი მიძღვნილ წეს-ჩვეულებებში ხარის კულტი, მთვარე, კერა და მის ატრიბუცია. კერასთან სრულდებოდა, როგორც ჩანს, ადრევე საკულტო ცერემონიალი და ადორაციული მომენტები. საინტერესოა, რომ ადორაციის გამომხატველი გამოსახულები მკვეთრად გამოსახული ფალიური

<sup>14</sup> პალეოეთნომოგური კვლევით დადასტურებულია სარეველები, რომლებიც ახასიათებს მხოლოდ საგაზაფხულო, ან მხოლოდ საშემოდგომო მოსავალს, რაც მიუთითებს ზოგიერთ აღილებში, ამ შემთხვევაში ქვემო ქართლში ორჯერად თესვას [62, გვ. 59; 46, გვ. 48].

ნიშნებით (ტაბ. V<sub>3-5</sub>), ჩანს ჯერ კიდევ ენეოლითურ ძეგლებზე (არუხლო, იმირის გორა [22, ტაბ. XI; 34, გვ. 57]). მტკვარ-არაქსელთა საცხოვრებლის ცენტრში მდებარე კერა და კერის უგან დედაბოძი, კედლის გასწროვ თარისებური თიხის ნაშენობა, რომელიც ხშირად ასტრალური ნიშნებით არის შემჯული [50, გვ. 26, ტაბ. 15], განსაკუთრებული სარიტუალო აღილებია.

ამრიგად, სამყაროს ბუნებრივ მოვლენათა თავისებური აღქმის შედეგად აღმიანი ცდილობს მაგიური წეს-ქმედებებით იმოქმედოს ბუნების მოვლენებზე. ამისათვის სხვა მრავალთან ერთად ქმნის და ასრულებს განაყოფიერებისადმი მიძღვნილ რიტუალებს ყველა საჭირო შემთხვევაში, იქნება ეს ადამიანის განაყოფიერება, საქონლის გამრავლება თუ მოსავლიანობის გაზრდა და შესაბამისად ამ უკანასკნელის შემთხვევაში, დედამიწის განაყოფიერება.<sup>15</sup> მრავლდება ფალოსის გამოსახულებები; იდეოლოგიურ წარმოდგენათა შემდგომმა განვითარება-გართულებამ საცხოვრებელ შენობაში საკურთხევლები წარმოშვა თიხის თარისებური შემაღლების სახით, საკულტო კერის უკან, რაც ასე ფართოდ არის გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურაში. ანალოგიური სურათია სინქრონულ კუპტენიტრიპოლიეს კულტურაშიც [63, გვ. 99].

მესაქონლეობის ხვედრითი წონის ზრდა იწვევს განაყოფიერების რიტუალის გაძლიერებას; შესაბამისად, ვითარდება მიწათმოქმედებაც და მოსავლიანობის გაზრდისადმი მიძღვნილი საკულტო რიტუალები. ო. კიკვიძე ფიქრობს, რომ მტკვარ-არაქსელი მრგვალი, მუდმივი ცეცხლის შესანახი კერა მზესთან ასოცირდება. მზე ქართულ ასტრალურ პანთეონში ქალური ბუნებისაა. ქალური ბუნებისაა ასევე კერაც, რომლის მეთვალყურე და მომვლელი დედაცაცია. სიზანაანთ გორის ნასახლარზე კერის ბორდიურის ნალესობაში ხორბლის ჩატანება გამრავლება-განაყოფიერებისადმი მიძღვნილი ქმედებაა [13, გვ. 85], ხოლო მამრის როლს ამ შემთხვევაში კერის ითიფალური თუ ხარის გამოსახულებიანი რქიანი სადგრები ან თვით ფალოსის გამოსახულებები ასრულებენ. საინტერესოა ტრიპოლიეს კულტურაში აღმოჩენილი ქალის თიხის ფიგურა, რომლის კეცში ჩართულია ხორბლის მარცვლები და ფქვილი. ამ რიგად სრულად იკვრება კავშირი ქანდაკებების, კერის – შესაბამისად მზის და ითიფალური გამოსახულებებისა, ნაყოფიერების კულტის ასპექტში [55, გვ. 34].

მუდმივი ცეცხლის შესანახი კერები დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ ადრე ნეოლი-

<sup>15</sup> ძალზე ძლიერია დიდი დედის კულტი (განაყოფიერების) და მამრობითი ღვთაება – ხარის გამოსახულებით ტრიპოლიეს კულტურაში ძვ. წ. IV-III ათასწლ. [იხ. 47, გვ. 85]. ასევე ძლიერად ჩანს ხარის კულტი მაკობის კულტურაში [52, სურ. 34].

თის პერიოდში არის დაფიქსირებული [9, გვ. 39]. იყო თუ არა ეს კერები უკვე სარიტუალო შინაარსისა, ამის საბუთი არ მოგვეპოვება, მაგრამ თავისი დანიშნულების მიხედვით, ეს შეიძლება უკვე ვივარაუდოთ, მით უმეტეს, რომ საცხოვრებლებში სამეურნო კერებიც არის დადასტურებული. აშკარად საკულტო კერებზე დაბეკითებით საუბარი შეიძლება აღმოსავლეთ საქართველოში შულავრის გორის კერების შესახებ, რომელიც ასევე ნეოლითის პერიოდისაა, მხოლოდ უკვე განვითარებული ეტაპის [14, გვ. 163]. საკულტო კერები აღმოჩენილია ასევე დასავლეთ საქართველოში – იმერეთში, საგვარჯილეს ენეოლითურ ფენაში. კერასთან იყო ხელსაფეხვავები, რქის თოხისნაირი იარაღები, კვირისტავები და ბორბლისებური ნივთები. ამ კერის დანიშნულებად მუდმივი ცეცხლის შენახვას გულისხმობენ და, შესაბამისად, იგი საკულტო მნიშვნელობით მოიაზრება [20, გვ. 71]. აქვე აღმოჩნდა ქვისაგან დამზადებული ფალოსი [20, გვ. 70]. ასეთივე საკულტო კერები, ანუ მუდმივი ცეცხლის შესანახი კერები აღმოჩნდა იმავე რეგიონში თეთრი მღვიმის ე.წ. „სარიტუალო დარბაზში“, სადაც კვირისტავებთან, საქონლის ფიგურებთან და ხარის რქებთან ერთად ასევე აღმოჩნდა ქვისა და თიხისაგან დამზადებული ფალოსები (ტაბ. I<sub>5</sub>) [11, გვ. 101]. ეს არის ფალოსის გამოსახულებათა აღმოჩენის ყველაზე აღრეული შემთხვევა საქართველოში და, ალბათ, კავკასიაშიც. საგვარჯილისა და თეთრი მღვიმის ენეოლითური ფენები V ათასწლეულის დასასრულით არის დათარიღებული გამთხრელთა მიერ [11, გვ. 143]. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან საქართველოში ფალოსის კულტის შესახებ მსჯელობა უკვე დაბეკითებით შეიძლება.

მტკვარ-არაქსის კულტურაში, რომლის ჩამოყალიბების პროცესში ივარაუდება იმერეთის მთიანი ზოლის ენეოლითური კულტურის გარკვეული როლი [44, გვ. 49; 19, გვ. 42], ფალოსის კულტი სათანადო ადგილს იკავებს. მას, როგორც აღვინიშეთ, წინა პირობები გააჩნია, როგორც დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ კულტურაში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს წინა მტკვარ-არაქსულ კულტურებში. სწორედ მტკვარ-არაქსის კულტურაში ჩნდება რქანი ზესადგრები, რომლებიც ხარის გამოსახულებაა, ხარის კულტის მიმართ შენებელია და შესაბამისად განაყოფიერებასთან და საკულტო კერასთან არის დაკავშირებული (ტაბ. II<sub>2-5</sub>); ხარის კულტს დაუკავშირა იმთავითვე ო. ჯაფარიძემ რქანი ზესადგრები და მისი საწყისი ენეოლითის პერიოდით განსაზღვრა [33, გვ. 28].

კერასთან არის დაკავშირებული ზესადგრების მეორე ტიპი – ე.წ. „ნალისებური“ ზესადგრები, რომლებიც ასევე მრავლად არის აღმოჩენილი მტკვრისა და არაქსის აუზში. ისინიც გარკვეულწილად ხარის კულტთან არიან და-

კავშირებული [14, გვ. 168]. ამავე დროს მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლზე – ახალციხის ამირანის გორაზე აღმოჩენილი ნალისებური ზე-სადგრები ანთროპომორფულია, მჯდომარე მამაკაცს გამოსახავს ითიფალური ნიშნით და ხშირად ხარის რქებითაც (ტაბ. II<sub>6</sub>). ძეგლის გამოხურები ტ. ჩუბინიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ეს სადგრები განასახიერებენ ფეხებგაშლილ მამაკაცს ითიფალური ნიშნებით და არა ხელებგაშლილ ქალღმერთს, როგორც ამას აკად ბ. კუფტინი ვარაუდობდა [29, გვ. 66]. სწორედ ასეთი სადგრები და ფალოსები არის მტკვარ-არაქსელთა წარმოდგენაში დედაკაცური ბუნების საკულტო კერების გამანაყოფიერებული. ასეთი ფალოსი, თიხისაგან დამზადებული, აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლზე მდ. ივრის ხეობაში, ორხევის ნასახლარზე, თიხის შევრილებიან საკულტო კერაში (ტაბ. II<sub>10</sub>). კერის უკან გამართული იყო პოდიუმი, რომელზედაც სარიტუალო თიხის ჭურჭელი იყო დაწყობილი [50, გვ. 25]. თიხისა და ქვის ფალოსებია აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოში, ჩაქვის გვიანენეოლითურ ნასახლარზე, კერაში (ტაბ. I<sub>3</sub>) [43, გვ. 12, ტაბ. 8-16]. განსაკუთრებით საინტერესოა აფხაზეთში გუანდრას ენეოლითურ ნასახლარზე საცხოვრებელში აღმოჩენილი ქალის თიხის ქანდაკება და მასთან რქიანი სადგარი, რომელიც ხარისა და ფალოსის გაერთიანებულ კომბინაციას უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. I<sub>6</sub>) [64; ტაბ. XLVII].

თიხის ფალოსი აღმოჩენილია გვიანი ტრიპოლიეს კულტურის ნასახლარზე მოლდავეთში – სტარიე ბადრაუე. მას თან ახლდა ხარის შვიდი თიხის ფიგურა და ქალის პატარა ქანდაკება [49, გვ. 220]. კერაში და კერის მიდამოებში ფალოსი აღმოჩენილია სომხეთში, არიშის ნასახლარზე [65, გვ. 71 სურ. 32]; ჩრდილოეთ კავკასიაში ზაგლი I-ის სამაროვანზე, № 4 ქაფუთში, მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად ასევე აღმოჩნდა ქვის ფალოსის მოდელი [57, გვ. 29]. ეს არის, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ პერიოდისათვის ფალოსის გამოსახულების სამარხში აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევა კავკასიაში. მტკვარ-არაქსულ სამარხებში არ გვხვდება სარიტუალო კერასთან დაკავშირებული ნივთები – კერძოდ, საკულტო სადგრები, კერის მოდელები ან მათი ნატეხები, მით უმეტეს ფალოსის გამოსახულებები. მოგვიანებით სამარხებში ჩნდება ფალოსის მინიატურული მოდელები, უკვე საკიდებად გამოყენებული, როგორც ჩანს, აპოტროპული ხასიათის – ავი თვალისაგან დამცავი ავგაროზები, რომელთაც ნაყოფიერების კულტის მსახურებასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეთ. საკულტო მსახურებისათვის გამოსაყენებელი თუ უკვე გამოყენებული ნივთები (მაგ. კულტმსახურების დროს შეწირვის სახით დამტკრეული ქანდა-

კებები), კერიდან ამოდებულ წმინდა ნაცრთან ერთად იმარხება ორმოებში, სადაც, როგორ ჩანს, ასევე გარკვეული რიტუალი სრულდება. იარიძ თევზებე დადასტურდა, რომ რიტუალის დროს ამტკრევენ სარიტუალო ნივთებს – ანთროპომორფულ ჭურჭლებს, თიხის ქნიდაკებებს და ცერემონიალის დამთავრების შემდეგ სპეციალურ ორმოში „ჩაასვენებენ“ და მარხავენ [51, გვ. 209]. ეს ორმოები ნასახლარებზე არსებული მარცვლეულის შესანახი ორმოებია, ორმელიც ასევე წმინდა და სარიტუალოდ გამოსაყენებული. ბადაანის მტკვარ-არაქსულ ნასახლარზე შესწავლილ საკმაოდ მოზრდილ ორმოებში (2x2 მ), დაფიქსირდა საგანგებოდ თიხითა და ნაცრით გადალესილი 7 ფენა. თითოეული ფენა, 25-30 სმ სისქისა, სავსე იყო ნაცრიან-ნახშირიანი მასითა და კერამიკის ნატეხებით. ორმოს ძირზე დაწყობილი იყო ცხვრის კოჭები. საინტერესოა, რომ ერთი მოზრდილი, ორად გატეხილი ტოლჩის ერთი ნახევარი იყო მეორე ფენაში, მეორე ნახევარი კი მეექვსეში. ეს ფაქტები მიუთითებს, რომ ორმოთა შევსება არ არის ქაფტიური, არამედ რაღაც გარკვეულ რიტუალს ემორჩილება. ორმოები თავდაპირველად, როგორც აღვნიშნეთ სამეურნეო დანიშნულების – მარცვლეულის თუ სხვა საკვების შესანახია. ასეთი ორმო კი უკვე საკრალურია. ასევე წმინდა კერის ნაცარი, განსაკუთრებით საკულტო კერის და ყველა ის ნივთი, ორმელიც კერასთან არის დაკავშირებული, სადგრები თუ სარიტუალო ჭურჭელი. მათი სანაგვეზე გადაყრა ტაბუირებულია და ეს წეს-ჩვევები ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც კი არის დადასტურებული.

ფალიური კულტი თავისთავად განაყოფიერების ორგანოთა გაღმერთებაში გამოიხატება. Genitalia-თა გამოსახულებების მიმართ თაყვანისცემა გამოიხატება, ალბათ, როგორც შესაწირის მიტანით, ასევე გარკვეული რიტუალით. ამავე დროს, ფალიური გამოსახულებები თავად ხდებიან რიტუალის მონაწილენი. ეს კულტი ერთნაირად არის გავრცელებული, როგორც განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ხალხებში, ასევე კლასიკურ სამყაროში. ინდოევროპული და სემიტური რელიგიები, უგვიპტის ჩათვლით, სავსეა ფალიური კულტის კვალით. ცნობილია, რომ ბერძნულ-რომაული ფალიური კულტი, რომელიც კონცენტრირებულია ძირითად დიონისეს და აფროდიტეს ირგვლივ, ნასესხებია სემიტური რელიგიიდან. დიონისეს კულტში, მოსავლის აღებისას, სრულდებოდა ე.წ. ფალიური სიმღერები და პროცესიას მიქონდა ფალოსის გამოსახულებები. პროცესიას წევრებს ყელზე ფალოსის გამოსახულებები ჰქონდათ ჩამოკიდებული. ამ შემთხვევაში ეს გამოსახულებები, როგორც აღვნიშნეთ, აპოტროპულ სახეს იღებს, საწყისი კი რასაკვირველია განაყოფიერების კულტია. სირიაში ასტარტისა

და ატისის ტაძრების შესასვლელში ფალოსის გამოსახულებები ყოფილა მთელი ფალიური სცენებით ასტარტის კულტიდან. დიონისეს ტაძრში პროპილეუმში მდგარა ორი გრანდიოზული ფალოსი წარწერით, რომ დიონისე მათ ჰერას უძღვნის. ფალოსის კულტის შემადგენელი ნაწილია წინადაცვეთის წესიც. მეცნიერები ამ წესს განიხილავენ, როგორც მაგიურ აქტს, როგორც სიმბოლურ გამოხატულებას სისხლიანი მსხვერპლთშეწირვისა. ამ შემთხვევაში ღმერთს ეწირება ისეთი მნიშვნელოვანი ორგანოს ნაწილი, რომელიც თავად არის საკულტო საგანი. ეს ერთ-ერთი უძველესი წესია, როდესაც ერთნაირად იცავდნენ როგორც ამერიკელი ინდიულები, ავსტრალიელები, პოლინეზიელები თუ აფრიკული ტომები. ასევე წინადაცვეთა გავრცელებული იყო ეგვიპტეში, საიდანაც ის გადაიღეს ებრაელებმა. ვარაუდობენ, რომ ეგვიპტელებმა და არაბებმა ეს წესი გადაიღეს ეთიოპიელებისაგან, ხოლო არაბებისაგან კი თურქებმა [16, გვ. 74]. წინადაცვეთის წესის ასე ფართოდ გავრცელების მიზეზი უნდა იყოს ამ ხალხებში ძლიერი ფალიური კულტის არსებობა, რაც გენოტეიზმის დამკვიდრებასთან დაკავშირებით უმაღლესის მიმართ გარკვეულ შეწირვას აკანონებდა.<sup>16</sup>

საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი ფალოსის კულტთან დაკავშირებით. ბიბლიიდან ცნობილია, რომ აბრამის ქანანში მოგზაურობის პერიოდში, მას ლმერთი უბრძანებს მისი ტომი ერთი რელიგიური რწმენის საზოგადოებად შეაერთოს და ამის ნიშნად ავალებს ყველა მამაკაცმა წინადაიცვითოს. ვინც ამაზე უარს იტყოდა, აბრამის ტომის წევრად არ ჩაითვლებოდა. თვით აბრამიც უარყოფს თავის წარმართულ წარსულს და სახელად აბრაამს ირქმევს. ფაქტორიად აბრამი მონოთეიზმის ქადაგებას იწყებს. ამ შემთხვევაში, უფრო ძველი ფალიური კულტი ახალ ლმერთს ეწირება, თუმცა კი საბოლოოდ არ კარგავს თავის ძალას. ამის დასტურია ასევე ერთი ბიბლიური ეპიზოდი, როდესაც აბრაამი თავისი შვილის, ისააკისათვის ცოლის სათხოვნელად თავის ერთგულ მსახურს ელიეზერს აგზავნის ქარანში თავისი ძმის ნაქორის სახლში, რათა ისააკისათვის თავიანთი წესის თანახმად თავისიანი ქალი შეერჩიათ. რომ ეს ნამდვილად ასე მოხდეს აბრაამი ელიაზარს აფიცებს – „2. უთხრა აბრაამმა თავის მორჩილს... საზარდულის ქვეშ ამომიდევი ხელი. 3. გაფიცებ უფალს, ლმერთს ცისას და მიწისას...“ [5, თ.24, 2, 3]. ძველ ებრაულ ტექსტებში კი პირდაპირ წერია: „აიღე ხელში ჩემი სარცხვინელი და შემომფიცე“ [25, გვ. 117]. ამ ნაწყვეტში კარგად ჩანს, თუ რა ძლიერია ფა-

ლიური კულტი. მასზე აფიცებენ უკვე არსებული თავისი ღმერთის სახელით. ეს არის ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისი, როდესაც აბრაამის მამა – თარა გამოდის ურიდან და ჩვენ ვიცით, რომ ფალიური კულტი ძლიერი იყო შეაძლინარეთშიც.

განაყოფიერებისა და ფალოსის კულტთან დაკავშირებით, საინტერესოა აკად გ. ჩიტაიას მიერ საქართველოში, თეთრიწყაროს რაიონში დადასტურებული გვალვის საწინააღმდეგო წეს-ჩვეულება – „წყლის მოხვნა“. ამ გაგებით, ხენა წარმოდგენილია, როგორც განაყოფიერების აქტი, რათა იშვას წყიმა ისევე, როგორც ეს არის დაფიქსირებული მიწის ხვნის დროს, სადაც მიწა მდედრობითი სქესის არის, ხოლო სახნის ფალოსია [28, გვ. 309-311]. წყლის მოხვნის ჩვეულება დადასტურებულია კახეთში [36, გვ. 228-230], ხოლო თანეთის რაიონში ეს წესი დაამოწმა ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ – რაფიელ ერისთავმა. იგი აღწერს ამ წესს, სადაც მოგვითხოვბას, რომ 8 წყვილმა გოგონამ მდინარე იორში აატარეს და ჩაატარეს სახნისი [10, გვ. 98]. საინტერესოა, რომ განაყოფიერების რიტუალს ამ შემთხვევაშიც ქალები ატარებენ, რაც უძველესი წეს-ჩვეულების გამოძახილია. ამასთან დაკავშირებით, აკად. გ. ჩიტაიას მოაქვს ძალზედ საინტერესო ცნობა, რომ ფლორენციის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცულია ანტიკური პერიოდის ჯამი, სადაც მოცემულია სახნისის გამოსახულება, რომელიც ამავე დროს ფალოსიცაა [28, გვ. 310; 17, გვ. 125].

საინტერესოა ირ. სონდულაშვილის ცნობა, რომ ჩრდილოეთ საქართველოში, მდინარე არაგვის ხეობაში, სოფ. ზემო მლეთაში დაფიქსირებულია ქვის ოთხკუთხა ყორე, კვარცხლბეკის მსგავსი, მაში ჩადგმული ქვის ფალოსით. ასეთივე შირიმის ქვის კვარცხლბეკი და მასზე დადგმული ფალოსი უნახავს ზემო მლეთის კვირაცხოვლის ეკლესიის გალავნად შემოვლებულ ყორეზე [23, გვ. 267-278].

საინტერესოა, რომ ჩეუგაშებში განაყოფიერების კულტი მოიაზრებოდა როგორც საიდუმლო საქორწინო კავშირი მიწისა სახნისთან [58, გვ. 169]. მორდველებში გაზაფხულზე, ყვავილობის დროს ქონდათ მაგიური წეს-ჩვეულება – მიწის მოპარვა, რასაც საქორწინო სახეს აძლევდნენ. არჩეული „სიძე“ მიღილდა მოსავლიან ადგილას 7 ადგილზე აიღებდა მიწას, რომელიც იყო „პატარძალი“, მოიტანდა და გაფანტავდა თავიანთ მიწაზე [58, გვ. 170]. ძველ საბერძნეთში, ცნობილი ელევსინური მისტერიების დროს ცას მიმართავდნენ „იწვიმე ფეხბმიმედ“, ე.ი. ცა წვიმის სახით ანაყოფიერებდა დედამიწას [60, გვ. 197]. ამ შემთხვევაში ცა მამაკაცია; ქართულ მითოლოგიაში

<sup>16</sup> ჰეროდოტეს ცნობით, ადრეულ ეტაპზე წინადაცვეთის წესი კოლხებშიც ყოფილა გავრცელებული [37, გვ. 29]

მამაკაცი მთვარეა, ხოლო მიწა თითქმის ყველგან დედამიწა, ანუ ქალია, რომელიც ნაყოფიერდება.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოში მოპოვებულია მრავალი საინტერესო ქანდაკება, რომელიც აუცილებლად ფალოსის კულტს უკავშირდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანით დათარიღებული ქანდაკები სტეფანწმინდის განძიდან და ზეკარიდან (ტაბ. VI, VII) [1, ტაბ. 11-12]. კახეთში, მელაანში აღმოჩენილი ქანდაკება, რომელიც ბ-ნდა კ. ფიცხელაურმა იმთავითვე განაყოფიერების კულტს დაუკავშირა (ტაბ. V<sub>6</sub>) [26, ტაბ. XVI<sub>1,2</sub>]; ვანის ნაქალაქარზე, ორ სამარხს შორის კლდეში ამოკვეთილ პატარა ორმოში დაფულეული იყო მამაკაცის რკინის პატარა ითიფალური ქანდაკება (ტაბ. VII<sub>3</sub>) [22, ტაბ. 23]. აღაიანში, № 3 და № 5 სამარხებში აღმოჩენდა ფალოსის გამოსახულებიანი 7 საკიდი და ადამიანის მუშტის ფალიური გამოსახულება – საკიდი (ტაბ. II<sub>8,9</sub>) [18, ტაბ. III]. ანალოგიური საკიდები მოპოვებულია მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე [45, გვ. 136].

ფალოსის კულტი მთელს მსოფლიოშია გავრცელებული. ის ცნობილია ინდოეთში, მცირე და წინა აზიაში, ძველ რომსა და საბერძნეთში [17, გვ. 123-125], ციმბირის ხალხებსა და იაპონიაში [41, გვ. 60].

საქართველოში მრავალ ადგილზეა დამოწმებული სხვადასხვა სახის ქვის თუ ბრინჯაოს ფალოსები [17, გვ. 126-29]. ფალოსის კულტთან დაკავშირებული ქვის ძეგლები ცნობილია თრიალეთში, სოფ. თეზში, სოფ. დიღომთან – დიდგორზე, სოფ. მლეთიდან, წითელ ხიდიდან, კავთისხევში [21, გვ. 197 სურ. 9, 11, 12, 21], ახალქალაქის მაზრიდან, სოფ. მურჯახეთში (ტაბ. VIII) [56, გვ. 93-94].

თბილისის მახლობლად, სოფ. დიღმის თეთრი გიორგის ეკლესიაში მოთავსებული იყო ქვის ფალოსი (აღნიშნული ფალოსი დაიკარგა 1996-97 წლებში), რომელიც მოსახლეობაში სასწაულმოქმედ სვეტად იყო მიჩნეული. ეთნოგრაფ. ჯ. სონდულაშვილს 1952 წელს მთხრობლისაგან ჩაუწერია, რომ „თუ ქალს შვილი არ უჩნდებოდა, ვერ უქმდიმდებოდა, შემოდგომით შეიკრიბოდნენ ქალები შევიდოდნენ ეკლესიაში და სვეტთან ლოცულობდნენ, თან ძღვენი მიჰქონდათ – ხორბალი, ქერი და სხვა. ამ ლოცვაზე კაცების დასწრება არ შეიძლებოდა. გადმოცემით გამიგია, რომ მოხუცი ქალები ფერხულში ჩაებმებოდნენ და უშვილოებს სვეტთან მიუშვებდნენ. უშვილო ქალი ამ ქვას უნდა შეხებოდა, მერე კი დაფუხმიმდებოდა. ეგ ქვა ჯერ ეკლესის ქვემოთ ნიშთან ყოფილა, მერე, როცა სარაჯოვს ეგ ეკლესია აუშენებია, იქ გადაუტანიათ“.

ამავე დროს, საქართველოში დადასტურებულია უძველესი სარიტუალო სადღესასწაულო წესჩვეულებები „ბერიკაობა“, „ყევნობა“, „აღრეგილაი“, „საქმისაო“ და სხვა, რომლებშიც განაყოფიერებისა და ფალოსის კულტის უძველესი შრეებია შემორჩენილი [37, გვ. 64-76; 35, გვ. 33].

მოკლედ შევეხებით „ბერიკაობის“ ინსტიტუტს, რომელიც უკანასკნელ ხანს საახალწლო რიტუალად შემორჩა. „ალილობაბერიკაობასთან“ დაკავშირებული წესჩვეულებები მსოფლიოს მრავალ ხალხთა ყოფაშია დადასტურებული [6, გვ. 120, 174]. ის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული რიტუალური ქმედებებია, შემდგომში სახეშეცვლილი. ამ დროს ხდებოდა ნიღბიანი ბერიკების კარდაკარ სიარული, ოჯახის დალოცვა, გამრავლება-ბარაქიანობისათვის სალოცავი სიმღერების შესრულება. ანალოგიური საკულტო ქმედებისათვის იყო, ალბათ, განკუთვნილი ხაშურის ნაცარგორის ნასახლარზე მტკვარარაქსულ ფენაში აღმოჩენილი ანთროპომორფული ნიღბის ნატეხი [53, ტაბ. 46], რომლის რესტავრირებული გამოსახულება მოცემულია ტაბ. III-ზე. ამ გამოსახულებას თითქმის იმეორებს არაგვის ხეობაში, უინგალში შესწავლილ მტკვარარაქსულ ძეგლზე აღმოჩენილი „ღვთაების“ გამოსახულება. ზედა დაზიანებულ ნაწილზე ვარაუდობენ რქების არსებობასაც. შენობა სამლოცველოდ არის მიჩნეული [54, გვ. 131-133]. ახლოს არის ასევე ანთროპომორფული გამოსახულებები საკულტო ჭურჭელზე ბადანის ნასახლარიდან (ტაბ. IV) [22, ტაბ. XXIX]. ყველა ეს გამოსახულება ძალიან ჰგავს ერთიმეორეს და რაღაც საერთო საკულტო რიტუალის ატრიბუტებია, იქნებ სწორედ ბერიკაობის.

ბერიკაობა ის წარმართული დღესასწაულია, რომელიც გაზაფხულზე სრულდებოდა და სამეურნეო წლის დაწყებას უკავშირდებოდა. თავის ღროზე ეს რიტუალი განაყოფიერებისადმი მიძღვნილი წესჩვეულება იყო და გარკვეულად ფალოსის კულტს უკავშირდებოდა [1, გვ. 71]. ბერიკას ხისაგან გამოთლილი ფალოსი ჰქონდა ჩამოკიდებული. ბერიკაობის საქართველოში არსებული სხვადასხვა სახეობები „მელია-ტულეფი“, „საქმისაო“, „ადრეკილა“, „პარეკელა“ ერთი წარმომავლობისა ჩანს. აკად. შ. ამირანაშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ ბერიკაობა ძლიერ წააგავს დიონისებს საგაზაფხულო მისტერიებს [1, გვ. 71]. საქართველოში მრავლად აღმოჩენილი ითიფალური ქანდაკებები, სწორედ ამ რიტუალის განსახიერებაა და მასთან არის დაკავშირებული. ასეთივე საკულტო დღესასწაულია სვანეთში, სოფ. პადიშში დადასტურებული – „ღიჩებინობა“. ამ რიტუალში მთავარია „ღვატი“ – 3-6 მეტრის სიგრძის სარი – ნაგვის მორი, რომელსაც ვაჟის მამები სწი-

რავენ შესაწირს და შესაბმელი ქსოვილი – „ღურშა“ – რომელსაც ვაჟის დედები შეაბამენ „ღვატს“ [7, გვ. 169]. მშობლები საკულტო ხის მორს თავიანთი ვაჟიშვილის მამაკაცურ სიძლიერეს შესთხოვენ. ნაძვი წმინდა ზედ ჯერ კიდევ შუმერში მიაჩნდათ [15, გვ. 125]. ღვატი გარკვეულწილად სიცოცხლის ხეც არის და „ღოჩეშინობა“ ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი ღვეობაა, „ღვატი“ კი ფალოსის კულტის გამოძახილია.

ამრიგად, განაყოფიერების სარიტუალო წესჩვეულება და ფალოსის კულტი საქართველოსა და კავკასიაში ენეოლითის ხანიდან დადასტურებულია [31, გვ. 15], ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც ჩანს და დამოწმებულია და შემორჩენილი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა ხანებშიც.

### Guram Mirtskhulava

#### ON THE HISTORY OF THE FERTILITY CULT (Summary)

The origin of religion is one of the major and interesting gains of ancient human society. Obviously enough, we judge about the early stage of religion on the basis of archaeological material. Man must have acquired the ability of abstraction after the formation of *Homo sapiens*, even though some signs of this is attested in the actions of Lower Palaeolithic men too.

Religious thinking is clearly in evidence in the Upper Palaeolithic. Graves with goods and painted with ochre, sculpture, cave wall-paintings appear in the Upper Palaeolithic. Notions on natural forces take shape and the need arises of obtaining their favors.

Economic and social changes, following the Neolithic revolution, bring about novelties in the sphere of cult as well. Ground is laid for magic rituals. Magic rites and customs are fed by a definite ideology, while ideology is linked to economic activity.

Productive economy is dependent on nature and climate, giving rise to the worship of natural phenomena. Productive economy is interested in reproduction, which in itself bears the idea of fertilization, giving rise to the phallic cult. Representations of stone and clay phalluses appear on Aeneolithic sites of Western Georgia, becoming particularly pronounced in the area of the Kura-Araxes culture. A definite hierarchy appears to take shape in the Kura-Araxes religion. One of the early gods emerges in the form of an ox and its use as a means of transport, and especially in ploughing, contributed to its turning into a cult.

The cult of the ox is related to the moon as regulator of the economic cycle, the hearth fire and, accordingly, the sun as giver of life. Thus, an interesting cultic pantheon is formed, being a dominant of the fertility cult and becoming established in ritual customs and mores and becoming so strongly rooted as to survive over the millennia and attested even in ethnographic life.

#### ლიტერატურა

1. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია, I. თბ., 1944.
2. ბარდაველიძე გ. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I. თბ., 1939.
3. ბარდაველიძე გ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1941.
4. ბარდაველიძე გ. ქართული (სვანური) ხალხური საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953.
5. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბ., 1989.
6. ბრეგაძე ნ. საქართველო, მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა. თბ., 2004.
7. ბუხრაშვილი პ. საცხოვრისი ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში ძველად. თბ., 2005.
8. გობეჯიშვილი გ. სტალინირის ნაცარგორა. – მიმომხილველი, II, 1951, გვ. 239-280.
9. გრიგოლია გ. ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი, პალური. თბ., 1977.
10. ერისთავი რ. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები. თბ., 1986.
11. კალანდაძე კ. ოთორი მღვიმე. თბ., 1994.
12. კანდელაკი მ. ამანათობა და „ხარ-ქაბით შეყრის“ წესი აღმოსავლეთ საქართველოში. – სმამ, 1, 1984, გვ. 117-129.
13. კიკვიძე ი. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ხასახლარი. თბ., 1972.
14. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი საქართველოში. თბ., 1976.
15. კიკნაძე ზ. შუმერული მითოლოგია. თბ., 1969.
16. კოსიდოგსკი ზ. ბიბლიური თქმულებები. თბ., 1976.
17. მაკალათია ს. ფალოსის კულტი საქართველოში. – მიმომხილველი, I, 1926, გვ. 122-136.
18. მირანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1983.
19. მირცხულავა გ. ადრესამიწათმოქმედო კულტურების ნამოსახლართა განვითარების ზოგიერთი საკითხი. – კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი, VI), 2001, გვ. 40-45.

- 20.** ნებიერიძე ლ. მღვიმე საგვარჯილეს ენეოლიტური ხანის ნამოსახლარი. თბ., 2003.
- 21.** რეზვიაშვილი ბ. სალოცავი „მზიური“ (გიუნე). – სსმმ, XXIV-В, 1963, გვ. 187-231.
- 22.** საქართველოს არქეოლოგია II. ავტორთა კოლექტივი ო. ჯაფარიძე, დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, გ. მირცხულავა, ა. ორჯონიკიძე, გ. მინდორაშვილი, გ. ფხავაძე, თბ., 1992.
- 23.** სონდულაშვილი ირ. ცამეტი დღე მთიულეთის არაგვის ხეობაში. – სსმმ, X-B, 1940, გვ. 267-278
- 24.** სოხაძე პ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების და მისი გადმონაშთების ბრძოლის ისტორიიდან. თბ., 1964.
- 25.** ტაქესილი ლ. სახალისო ბიბლია, თბ., 1963.
- 26.** ფიცხელაური პ. იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა. თბ., 1965.
- 27.** ჩართოლანი მ. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961.
- 28.** ჩიტაია გ. ეთნოგრაფიული მოგზაურობა აღბულახის რაიონში. – შრომები, III, თბ., 2001, გვ. 292-316
- 29.** ჩუბინიშვილი ტ. ამირანის გორა. თბ., 1963.
- 30.** ჩუბინიშვილი ტ. მტკვარისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა. თბ., 1965.
- 31.** ჩუბინიშვილი ტ. ერთი დათარიღების ცდა ნაყოფიერების კულტურის ისტორიიდან. – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 13-16.
- 32.** ცანავა აპ. ქართული მითოლოგია. თბ., 1992.
- 33.** ჯაფარიძე თ. ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1958.
- 34.** ჯაფარიძე თთ. საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბ., 2003.
- 35.** ჯაღაბაძე გ. მემინდვრეობა სვანეთში, სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1970.
- 36.** ჯაღაბაძე გ. მემინდვრეობის კულტურა საქართველოში. თბ., 1971.
- 37.** ჯაღაბაძე გვ. ქართველი ერის ისტორია, I. თბ., 1960.
- 38.** Абрамян Л. А. Три уровня в структуре магического обряда. – Конференция "Идеологические представления древнеиших обществ" (ИПДО), тезисы докладов, М., 1980, с. 15-18.
- 39.** Арешян Г. Е. Элементы религиозных представлений эпохи зарождения городской цивилизации (по материалам Куро-Аракской культуры). – Конференция ИПДО, тезисы докладов, М., 1980, с. 53-58.
- 40.** Брюнинг Э. Ритмы физиологических процессов ("Физиологические часы"). М., 1961.
- 41.** Васильевский Р. С. Идеологические представления неолитических племен Тихоокеанского региона (по археологическим материалам Южного Амура, Приморья, Северной Японии). – Конференция ИПДО, тезисы докладов, М., 1980, с. 58-61.
- 42.** Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы, II. Тб., 1984.
- 43.** Григолия Г., Мирцхулава Г. Итоги работ археологической экспедиции по изучению каменного века Менгрелии. – ПАИ, 1974 (1976), с. 82-84.
- 44.** Джапаридзе О. М. На заре этнокультурной истории Кавказа. Тб., 1989.
- 45.** Иващенко М. М. Мцхета, III. Тб., 1980.
- 46.** Лисицина Г. И., Прищипенко Л. В. Палеоэтноботанические находки Кавказа и Ближнего Востока. М., 1977.
- 47.** Маркевич В. И. Новые данные о трипольских верованиях по материалам Молдавии. – Конференция ИПДО, тезисы докладов, М., 1980, с. 10-12.
- 48.** Массон В. М. Изучение идеологии древних обществ. – Конференция ИПДО, тезисы докладов, М., 1980, с. 3-6
- 49.** Массон В. М., Мерперт Н. Я., Мунчаев Р. М., Черных Е. К. Археология СССР, Энеолит СССР. М., 1982.
- 50.** Мирцхулава Г. И., Мирцхулава Н. Д. Экспедиция Иорского ущелья. – ПАИ, 1988 (1997), с. 24-26
- 51.** Мунчаев Р. М., Мерперт Н. Я. Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии. М. 1981.
- 52.** Мунчаев Р. М. Кавказ на заре бронзового века. М. 1975.
- 53.** Рамишвили Ал. Раскопки в Хашурском районе в 1984-86 гг. – ПАИ, 1986 (1991), с. 22-25.
- 54.** Рамишвили Р., Джорбенадзе В., Гогелия Д., Глонти М., Чихладзе В., Робакидзе Ц., Маргвелашвили М., Мухигулашвили Н., Рчеулишвили Г., Циклаури Д., Ломидзе Ц., Каландадзе З., Циклаури И., Церетели К. Археологические исследования в Арагвском ущелье. – ПАИ, 1978 (1981), с. 129-143.
- 55.** Рыбаков Б. А. Космогония и мифология земледельцев энеолита. – СА, 1, 1965, с. 24-47.
- 56.** Ростомов И. И. Ахалкалакский уезд в археологическом отношении. – СМОПК, XXV, Тб, 1893, с. 1-133.
- 57.** Ростуров В. А. Куро-Аракские могильники Северной Осетии, погребальный обряд

древнего и средневекового населения Северного Кавказа. Орджоникидзе, 1988.

**58. Токарев С. А.** Религия в истории народов Мира. М., 1964.

**59. Урушадзе Н.** Изобразительная символика палеолита в Грузии. Тб., 1989.

**60. Шахнович М. Н.** Первобытная мифология и философия. Л., 1971.

**61. Штенберг А. Я.** Первобытная религия. Л., 1936.

**62. Чубинишвили Т. Н., Челидзе Л. М.** К вопросу о некоторых признаках раннеземледельческой культуры. – მაცენა, 3, 1979, გვ. 48-61.

**63. Цвек Е. В.** Некоторые вопросы становления идеологических представлений трипольских племен Буго-Днепровского междуречья. – Конференция ИПДО, тезисы докладов, М., 1980, с. 99-102.

**64. Цвинария И. И.** Поселение Гуандра. Тб., 1978.

**65. Хачатрян Т. С.** Древняя культура Ширака. Ереван, 1975.

**66. Энишлен Ш.** Происхождение религии. М., 1954.

**67. Ямпольский З. И.** Некоторые археологические факты и дорелигиозная первобытная магия. – ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 92-96.

**68. Mellaart J.** Catal-Huyuk: A Neolithic town in Anatolia. London, 1967.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – თიხისა (1, 2) და ქვის (3) ფალოსის გამოსახულებები ჩაქის ენეოლიტური ნასახლარიდან; 4. ქვის ფალოსის გამოსახულება ქაცხელას მტკვარ-არაქსული ნასახლარიდან; 5. ქვის ფალოსის გამოსახულება საგვარჯილეს ენეოლიტური ფენიდან; 6-9. რქიანი ფალოსები გუანდრას ნასახლარის ენეოლიტური და ადრებრინჯაოს ხანის ფენებიდან; 10. თიხის ფალოსების გამოსახულება ორხევის მტკვარ-არაქსული ნასახლარიდან.

ტაბ. II – 1-5. კერის თიხის სადგრები სომხეთის მტკვარ-არაქსული ძეგლებიდან; 6. ითიფალური კერის სადგარი ამირანის გორიდან (მტკვარ-არაქსი); 7. ხარის ქანდაკება ციხია-გორიდან (მტკვარ-არაქსი); 8-9. ფალიურ-გამოსახულებიანი საკიდები აღაიანის სამაროვნიდან (ძვ.წ. III ს.); 10. ქანდაკება ხიზანაანთვორიდან (მტკვარ-არაქსი); 11-12. ხარის ქანდაკები მაიკოპის კულტურიდან.

ტაბ. III – 1. თიხის ნიღაბი ნაცარგორიდან (მტკვარ-არაქსი); 2. თიხის საკურთხევლის ფრაგმენტი ახალი უინგალიდან (მტკვარ-არაქსი).

ტაბ. IV – თიხის ჭურჭელი ბადაანის ნასახლარიდან (მტკვარ-არაქსი).

ტაბ. V – 1. თიხის ჭურჭელი ქვემო არანიდან (მტკვარ-არაქსი); 2. ქანდაკება შილდის სამლოცველოდან; 3-4. ითიფალური გამოსახულებები არუხლოს ენეოლიტური ნასახლარიდან, 5. ქვის ქანდაკება არუხლოს ნასახლარიდან; 6. ქანდაკებები მელაანიდან (ძვ.წ. VIII-VII ს.).

ტაბ. VI – ითიფალური ქანდაკებები სტეფანინიდის განძიდან (ძვ.წ. VI-V ს.).

ტაბ. VII – 1. სტეფანინიდის განძი (ძვ.წ. VI-V ს.); 2. ქანდაკება ზეკრიდან (ქუთაისის მხარეთმცოდნებით მუზეუმი); 3. ქანდაკება ვანიდან (ძვ.წ. III ს.).

ტაბ. VIII – ქვის ფალიური სვეტები: 1. წითელი ხიდიდან; 2. სოფ. დიდომიდან; 3. სოფ. მლეთიდან; 4. სოფ. კავთისხევიდან.

### Description of the figures

Pl. I – 1,2 clay and (3) stone phallus images from the Chakvi Aeneolithic settlement site; 4. image of a stone phallus from the Kura-Araxes site of Kvatskheli; 5. image of a stone phallus from the Aeneolithic layer of Sagvarjile; 6-9. horned phalluses from the Aeneolithic and Early Bronze layers of Guandra site; 10. clay phallus images from the Orkhevi Kura-Araxes site.

Pl. II – 1,2,3,4,5. clay andirons of the hearth from the Kura-Araxes sites of Armenia; 6. ithyphallic hearth andiron from Amiranis gora (Kura-Araxes); 8-9. pendants with phallic images from the Aghaiani burial ground (3<sup>rd</sup> cent. B.C.); 10. sculpture from Khizanaant gora (Kura-Araxes); 11-12. ox sculptures from Maikop culture.

Pl. III – 1. clay mask from Natsargora (Kura-Araxes); 2. Fragment of a clay altar from Akhali Zhinvali (Kura-Araxes).


Pl. IV – Clay vessels from Badaani site (Kura-Araxes).

Pl. V – 1. Clay vessels from Kvemo Aranisi (Kura-Araxes); 2. sculpture from Shilda shrine (14<sup>th</sup>-13<sup>th</sup> cent. B.C.); 3,4. ithyphallic images from the Aeneolithic site of Arakhlo; 5. stone sculpture from Arakhlo site; 6. sculpture from Melaani (8<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cent. B.C.).


Pl. VI – Ithyphallic sculptures from the Stepantsminda treasure (6<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cent. B.C.)


Pl. VII – 1. Stepantsminda treasure (6<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cent. B.C.); 2. sculpture from Zekari (Kutaisi Museum of Local Lore); 3. sculpture from Vani (3<sup>rd</sup> cent. B.C.).

Pl. VIII – Phallic stone pillars: 1. from Red Bridge; 2. from v. Dighomi; 3. from v. Mleta; 4. from v. Kavtiskhevi.




ঘোড়. II








ঁৰ. IV




1




2




1




2




3




4



5



გაბ. VI





1




2



3

ঁৱ. VIII



## ლეილა წითლანაძე

### მასალები შიდა ქართლის მთისამრა ზოლის გარე სამყაროსთან ურთიერთობისთვის გვიანი ბრინჯაოს ხანაში

შიდა ქართლის მთისპირა ზოლი ბრინჯაოს ხანაში მოსახლეობის განსაკუთრებული სიმჭიდროვით გამოირჩეოდა, რაზეც მიგვითითებს ამ პერიოდის ნამოსახლარების და სამაროვნების სიმრავლე. ამის მიზეზი უპირველესად ბუნებრივ პირობებში, სამეურნეო ყოფაში უნდა ვეძებოთ: შესანიშნავ სახნავ-სათეს მინდვრებში, რომელიც მორწყებს არ საჭიროებდა, თუმც წყალუხვი მდინარეების არეში იყო მოქცეული, ცენტრალური კავკასიონისა და თრიალეთის ქედის საძოვრებთან სიახლოვეში, რაც მესაქონლეობის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, ტექების გარემოცვაში, რომელიც მონადირეობას უწყობდა ხელს. ხოლო მდინარეთა ხეობების საშუალებით ადვილად ხდებოდა მიმოსვლა და გარესამყაროსთან დაკავშირება.

1955 წელს ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიულ-გეოგრაფიულმა დაზვერვითმა ექსპედიციამ შიდა ქართლში ბორცვებზე განლაგებული 40-ზე მეტი ნამოსახლარი აღმოაჩინა [2, გვ. 153], ხოლო მდ. ნარეკვავის ზემო და შუა დინებაზე, სადაც ჩვენ მოგვიხდა მუშაობა, სამი გორანამოსახლარი იქნა და-დასტურებული, ხანგრძლივი ცხოვრების კავ-ლით, ადრე ბრინჯაოს ხანიდან ადრე შესასუკუნეებამდე (შესაბამის პერიოდის გამოკლებით). ამ გორების შესწავლისას დგინდება, რომ აქაური მოსახლეობა არ ცხოვრობდა კარჩაკეტილი ცხოვრებით, რომ ყველა ის პოლიტიკური თუ კულტურული პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა მთელს მსოფლიოში და განსაკუთრებით წინა აზიაში, აქაც აისახებოდა და პოულობდა გამოხმაურებას. გორების ქვედა ფენები მტკარ-არაქსული კულტურის მატარებელი ხალხით ყოფილა დასახლებული. არ დასტურდება ზოგიერთი მკვლევარის აზრი (ი. კიკვიძის), თითქოს ასეთ გორებზე ადრებრინჯაოს ხანის თხელი ფენებია წარმოდგენილი [6, გვ. 86]. პირიქით, ჩვენს მიერ შესწავლილ მჭადიჯვრის № 2 გორაზე [10, გვ. 97] საქმაოდ მძლავრი, თითქმის 3-მეტრიანი მტკარ-არაქსის ხანის ფენა აღმოჩნდა ყველა თავისი კომპონენტით: შენობათა ნაშთები, კერები, სარიტუალო ორმოები, ყალიბები, სადგრები, ნაირგვარი ფორმის კერამიკა. აქ მოპოვებული უხვი არქეოლოგიური მასალა ანალოგებს პოულობს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მეზობელ რეგიონებში: აზერბაიჯანში (ქულ-თევზე), სომხეთში (შენგავითი, არიჩი), ჩეჩენ-ინგუშეთში (ლუგოვი, სერეჯ-იურტი). საერთო ელემენტები აკავშირებს სირიის, პალესტინის აღმოჩნდათან. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ შიდა ქართლიდან ვრცელდებოდა ჩრდილოეთში აღნიშნული კულტურა.

არქეოლოგთა აზრით, შიდა ქართლი, შუა ბრინჯაოს ხანაში (ბ. კუფტინი, ი. ჯაფარიძე, რ. აბრამიშვილი, კ. ფიცხელაური) თრიალეთური კულტურის პერიფერიულ ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც, სამწუხაროდ, გორანამოსახლარებზე არ აისახა. ხოლო შემდგომ აქ ხდება ადგილობრივი ბრინჯაოს კულტურის განვითარება, წინა ადგილობრივ კულტურებთან გენეტიკური კავშირის ფონზე. უმძლავრესი ბრინჯაოს ხანის ფენები ჩანს ყველა შიდა ქართლის მთისპირა გორანამოსახლარებზე და სამაროვნებზე. ასევე მჭადიჯვარის № 2 გორაზე.

გორის შედარებით კარგად დაცულ ჩრდილოეთ ნაწილში 75 სმ სიღრმეზე გამოჩნდა მორებით ნაშენი, ბათქაშით შელესილი, ოთხკუთხა შენობის ნაშთები. შენობა მთლიანად დამწვარი და განადგურებული იყო. იატაკი მოფენილი იყო დამსხვრეული, დამწვარი და დაწილებული კერამიკის ნატეხებით, რომელიც სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჰურჭელს მიეკუთვნებოდა. აქვე იყო აღმოჩენილი თიხის საბეჭდავი, კვირისტავები, ობსიდიანის ერთ ჯგუფად დაყრილი უამრავი ნატეხი და სხვ. შენობა თავისი კონსტრუქციით ყათნალიხვის მეორე ფენის [11, გვ. 49] ნაცარგორის მე-3 [3, გვ. 269] ფენის და ხოვლეგორის V ფენის [8, გვ. 31] შენობებს ემსგავსებოდა და გვიან ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპით, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულით დავათარილეთ. ხოლო მოპოვებული კერამიკა ორ ჯგუფად გავყავთ. ერთი ნაწილი შენობის თანადროულად ჩავთვალეთ, მეორე ნაწილი უფრო ადრეულად მივიჩნიეთ. ცალკე გამოგყავით მოზრდილი ქოთანი, რომელიც განსაკუთრებული კვლევის საგნად გვესახება.

ქოთანი მოყვითალოდ იყო გამომწვარი, ხელით უხეშადაა ნაძერწი, მსხვილმარცვლოვანი პრიალა მინარევებიანი თიხისაგან დამზადებული. პირი ოდნავ გადმოკეცილი აქვს, ყელი დაბალი, მხრები გადგმული, გვერდები მირისაგნ მკვეთრად შევიწროვებული, ძირი ქუსლიანი. ქოთანის მხრის ერთ ნახევარზე, მსხვილი წკირით სველ თიხაზე უხეშად დატანილი ტეხილი შევრონისებრი ორნამეტი შემოუყვება, რომლის ბოლოებს შორის ტეხილი მოკლე ხაზებითვე შესრულებულია რაღაც გაურკვეველი კომპოზიცია: ოთხუთხედში ჩასმული სვასტიკისებური მცირე გამოსახულებები (ქოთნის სიმაღლე 14 სმ, ძირის დიამეტრი 7 სმ, პირის დიამეტრი 11,5 სმ).

ქოთანი თავის კეცით, ფორმით, ორნამენტის დატანის წესით მკვეთრად განსხვავდება ბრინჯაოს ხანის სხვა კერამიკისაგან. ფერზე მსჯელობა ცოტა ძნელია მისი ცეცხლში ყოფნის გამო. მას შიდა ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის

ნამოსახლარების მასალათა შორის ანალოგი არ მოეძებნება, უფრო წაგავს შუა ბრინჯაოს ხანის ჭურჭელს.

მსგავსი ჭურჭელი შენიშნული იყო ჩვენს მიერ ქვემო ქართლში, თრიალეთში, საბიდახჩას 28-ე სამარხში და ტაბაწყურის 42-ე გორასა-მარხში აღმოჩნდილ მასალათა შორის, რომლებიც გამთხრელმა ბორის კუფტინმა, სხვა ყორდანებიდან მოპოვებულ მასალებთან ერთად, შუა ბრინჯაოს ხანით დაათარიღდა [12, გვ. 85]. მასალის თვალსაზრისით ეს ყორდანები მწირი იყო, თითოეულში მხოლოდ 2-2 ჭურჭელი აღმოჩნდა. ამ ორი ჭურჭლიდან თითო მორგვზე იყო დამზადებული და შეგპრიალა ზედაპირი ჰქონდა, მეორე კი ხელით იყო ნაძერწი.

საბიდახჩას ჭურჭელზე სამგან არის გამოსახული ოთხმხრიანი მიმრგვალებულფრთხებიანი ჯვარი, რომელსაც არქეოლოგები ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით ათარიღდებან.

ტაბაწყურისა და საბიდახჩას ზემოთ აღწერილი ჭურჭლები ერთმანეთს უახლოვდება, როგორც ფორმით, ისე შემკობით და თიხის სტრუქტურით. ამიტომ ორივე გორასამარხი და მათში მოთავსებული კერამიკა თანადორული ჩანდა.

თრიალეთური კულტურის ძეგლების ქრონლოგიის ვ. გოგაძის მიერ ახლებურად შესწავლის შედეგად, ტაბაწყურის 42-ე და საბიდახჩას 28-ე გორასამარხების ჭურჭელი შუაბრინჯაოს სამარხების არც ერთ ჯვუფში არ მოხვდა და მიეკუთვნა შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალ ხანას [4, ტაბ, XII<sub>3</sub>].

ამ ორი ყორდანის მასალაზე ჭურადღება გაამახვილა ნიკოლოზ თუშიშვილმა მადნისჭალის სამაროვნის მასალების დათარიღებისას და ისინი დეტალურად შეისწავლა [7, გვ. 149-150]. ის აღნიშვნავდა, რომ საბიდახჩასა და ტაბაწყურის შავპრიალა ჭურჭელი ზედაპირის დამუშავების ტექნიკით, ძალიან ჰავას თრიალეთურ შუა ბრინჯაოს ხანის ჭურჭელს, კეცის სტრუქტურით და დამზადების ტექნიკით კი უფრო გვიან ბრინჯაოს ხანის ჭურჭელს უახლოვდება. ნ. თუშიშვილი მაღნისჭალის სამაროვანს ძვ.წ. XIV ს-ით და XIII ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს, ხოლო საბიდახჩასა და ტაბაწყურის აღნიშნულ ყორდანებს უფრო აღრეულად მიიჩნევს. რ. აბრამიშვილი თრელის სამაროვნის სამარხეული მასალის დათარიღებისას, საბიდახჩას 38-ე და ტაბაწყურის 42-ე ყორდანებს ულიანოვებისას, და ოლეს ყორდანებთან ერთად ძვ.წ. XV-XIV სს. ათარიღებს, და მათ კახეთისა და ჩრდილოეთ სომხეთის მასალებთან ერთად ერთ კულტურულ წრეში აცცევს. მისი აზრით ეს კულტურა ძღ. არაგვამდე ვრცელდებოდა. იგი გვიან ბრინჯაოს ყველაზე აღრეულ ძეგლს ძვ.წ. 1450 წ. მიაკუთვნებს [1, გვ. 83].

ვ. ფიცხელაური აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითად პრობლემებზე მუშაობისას განსაკუთრებულ ადგილს უთმობს შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ არქე-

ოლოგიურ კომპლექსებს, მათ შორის კიდევ საფეხურებს გამოყოფს [13, გვ. 69]. ესენია ზემო ბოდებს № 1, 2, 4, 5, 6, 7 სამარხები და მათ შორის ტაბაწყურის № 42 და საბიდახჩას № 28 სამარხის ინვენტარი. ყველა ესენი თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურის გავრცელების რაოთონს ემთხვევა, გარდამავალ პერიოდს მიეკუთვნება და ძვ.წ. XV ს-ით თარიღდება [9, გვ. 13].

ამგვარად, მჭადიჯვარის სათავსოში აღმოჩნდილი ქოთანი, რომელიც ფორმით, კეცით უახლოვდება საბიდახჩას და ტაბაწყურის გორასამარხების კერამიკას, ხოლო შევრონისებრი ორნამენტით ბოდებსა და ნამგალა მიწების № 2 სამარხის კერამიკის შემცულობას, შუადან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ. ცეცხლისგან დაზიანებული კეცი და ზედაპირი დაწყრილებით გამოკვლევის საშუალებას არ იძლევა.

არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ შეცხერდეთ მის ორნამენტზე – მახვილი საგნით დატანილ ტეხილ ხაზზე, რომელიც შევრონისებურად არის განლაგებული, ამ სარტყლის შუა ნაწილში მოცემულია გამოსახულება, რომელიც ზემო ბოდებს № 2 ყორდანის ფეხიან ჭურჭელზე მოცემულ გამოსახულებას მოგვავრებს [9, ტაბ, II<sub>2</sub>], მაგრამ აქ შევრონი პრიალა ხაზებითაა წარმოდგენილი. ყორდანი გარდამავალ პერიოდს მიეკუთვნება. პრიალა ზოლებით შედგენილი შევრონი გვივდება ნამგალა მიწების № 2 სამარხეულ კომპლექსში [1, გვ. 84], აგრეთვე სომხეთში, არიჭში შუაბრინჯაოს ხანის № 85 სამარხში აღმოჩნდილ ჭურჭელზე [14, გვ. 120, სურ. 74]. შევრონები სომხეთში შუა და გვიანბრინჯაოს ხანის აღრეული ეტაპის ძეგლებზე ხშირია.

თუ რას გულისხმობდა შევრონი, ამის შესახებ არსებობს ეთნოგრაფი ი. სურგულაძის [7, გვ. 110] მოსაზრება, რომ ის თითქოს ღრუბლებს განასახიერებდა. ეს თეორია ამ ჭურჭელზეც გამართლებული უნდა იყოს. ხოლო გამოსახულების ცენტრალური ნაწილი გამძინვარებულ სტიქიას უნდა გამოხატავდეს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ის სათავსო, სადაც ეს ქოთანია აღმოჩნდილი, კულტმსახურების ჩასატარებელ აღვილად მიგახნია და კიდევ არსებობს სხვა მასალები, რომელიც ამ მოსაზრებას ამაგრებს, ჭურჭელს, ალბათ, განსაკუთრებული საპატიო მოვალეობა ეკისრებოდა.

ამგვარად, ზემოთაღწერილი ქოთანი შუაბრინჯაოს ხანიდან გვიანზე გარდამავალ პერიოდს, ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებს მივაკუთვნოთ.

**EVIDENCE ON THE CONTACTS OF SHIDA KARTLI FOOTHILLS WITH THE OUTER WORLD IN THE BRONZE AGE**  
(Summary)

The finds of Central Transcaucasian pottery type in the lower cultural layers of the Late Bronze Age hill of Mchadijvari № 2 (Dusheti district) are indicative of both succession of the Trialeti cultural traditions and affiliation of the Shida Kartli foothill region with the Central Transcaucasian cultural area, in general.

Shida Kartli foothills were quite densely populated in the Bronze Age primarily due to both geographic location and environment. Settlements were generally distributed on hillocks. More than 40 such hillocks bearing traces of a long habitation starting from the Bronze Age (excluding the Middle Bronze Age) till the Early Middle Ages were excavated. In the Middle Bronze Age Shida Kartli was a peripheral region of the strong Caucasian, Trialeti culture (B. Kuftin, O. Japaridze, R. Abramishvili, K. Pitskhelauri), failing to be reflected on hillock settlements.

Nevertheless, single artifacts, brought to light in the process of excavations, can be attributed to the late stages of the Trialeti culture, more precisely – to the period of transition from the Middle to the Late Bronze Age.

A pot, excavated in the Late Bronze Age facility of Mchadijvari site, differs from the rest of its inventory and is related to the archaeological material obtained from Tabatsquri 42, Sabidakhcha 28, Namgalamitsebi 2, Zemo Bodbe 2 burials, which belong to the Trialeti cultural area and coincide in chronology with the transitional period from the Middle to the Late Bronze Age.

Chevron-like broken lines, decorating the pot presumably represent clouds (ethnographer I. Surguladze). The author assumes that the place where the cup was found served for cult worship.

Vessels, decorated with similar ornaments but adorned with glossy lines, were brought to light in kurgan № 2 in Bodbe, Kakheti (K. Pitskhelauri), burial complex № 2 of Namgala Mitsebi in Kartli (R. Abramishvili), Arich in Armenia (G. Khachatrian).

The pot should be dated to the 15<sup>th</sup>-14<sup>th</sup> cent. B.C., though how it found its way into the premise of a later period still calls for further research.

**ლიტერატურა**

1. აბრამიშვილი რ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I. თბ., 1978.
2. ბერძენიშვილი ბ. ერთი ფურცელი ისტორიული გეოგრაფიის დღიურიდან. – სიგპ, I, 1960, გვ. 141-184.
3. გობეჯივილი გ. ცხინვალის ნაცარორა. – მიმომხილველი, II, 1951, გვ. 239-276.
4. გოგაძე ე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.
5. თუშეშვილი ბ. მაღნიჭალის სამაროვანი. თბ., 1972.
6. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.
7. სურგულაძე ი. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბ., 1986.
8. მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბ., 1978.
9. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-XIV სს.). თბ., 1973.
10. წითლანაძე ლ., მირცხულაგა გ., გოჩიაშვილი მ. არქეოლოგიური კვლევა სოფ. მჭადივარში. – გმ, № 39, 1975, გვ. 41-46.
11. ხახუჭავაშვილი დ. უფლისციხე I, თბ., 1964.
12. კუფტინ ბ. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.
13. პიცხელაური კ. Восточная Грузия в конце Бронзового века. Тб., 1979.
14. ხაचატրյան თ. ს. Древняя культура Ширака. Ереван, 1975.


**ტაბულის აღწერილობა**

ტაბ. I - ქოთანი მჭადივარის № 2 გორის ნამოსახლარიდან.

**Description of the plate**

Pl. I – Pot from the site Mchadijvari № 2.

ঘোষ. ।



0 3

## ირაკლი ჯაფარიძე, რევაზ პაპუაშვილი, გიგი ინანიშვილი

### ფერადი ღიოთონის ტარმოვანისათვის გვიანდენჯარის ხანის პოლიტიკა

კავკასია-საქართველოს ტერიტორიაზე ღიოთონის კულტურის ათვისებასთან დაკავშირებული პროცესის დღესაც დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს. განსაკუთრებით აქტუალურია ფერადლითონდამუშავების ტექნოლოგიის საკითხი, რომელიც წინაისტორიული პერიოდის ძირითად ეტაპებს მოიცავს (ძვ.წ. IV-I ათასწლეულები). მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული არქეოლოგიური სპილენძ-ბრიჯაოს ნივთების ქიმიური შედგენილობის შესწავლისა და დათარიღების მიზნით [1, 2, 4, 8, 9, 10].

სპილენძ-ბრიჯაოს მეტალურგიის საკითხებს მიეძღვნა რამდენიმე სპეციალური მონოგრაფია, რომელიც საფუძვლად დაედო უძველესი ბრიჯაოს წარმოების კომპლექსურ კვლევას [6, 12, 13, 15].

წინამდებარე ნაშრომში თანამედროვე კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით განხილულია გვიანბრინჯაოს ხანის ბრინჯაოს ზოგიერთი სახეობის იარაღის და სამკაულის დამზადების ტექნოლოგიური სქემის შესწავლის შედეგები. მასალა დამუშავდა გერმანიის ქ. ბოხუმის სამთო საქმის მუზეუმის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ინტერდისციპლინარული განყოფილების ლაბორატორიათა ბაზაზე.

გვიანბრინჯაოს ხანის ფერადლითონდამუშავების ნაწარმიდან შესწავლილია კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული 18 არტეფაქტი, შემდეგი კატეგორიის ნივთებით: კოლხური ცული, ბრტყელი ცული, სატევარი, თოხი, სატეხი, აბზინდა და სეგმენტი (ურეკის, ყულევის, ცაიშის, საირმის და თამაკონის არქეოლოგიური მასალა) (ტაბ. I).

კომპლექსურ ქიმიურ-ტექნოლოგიურ ანალიზს დაეჭვემდებარა შემდეგი წარმომავლობის ბრინჯაოს ინვენტარი:

ცული (№ 1), შემთხვევით მოპოვებული ცაგერის რაიონის ს. საირმეში. აღნიშნული ცულის რომელიმე სამაროვანთან, ნამოსახლართან ან განთან დაკავშირება არ ხერხდება. მოპოვების დრო და ვითარება გაუკევეველია. ფორმალური ტიპოლოგიური თვალსაზრისით ის ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში გარცელებული კატეგორიის ბრინჯაოს იარაღს უკავშირდება.

ცული (№ 2; 05-R-81-248), შემთხვევით აღმოჩენილი მარტვილის რაიონის სოფ. თამაკონში. მასთან ერთად მოპოვებული ამავე ტიპის კიდევ ხუთი ეგზემპლარი მარტვილის მხარეთ მცოდნების მუზეუმში ინახება. აღმოჩენის ადგილის დათვალიერებისას ნამოსახლარის ან სამაროვანის არსებობის კვალი არ დასტურდება. როგორც ჩანს, ისინი განძს ან განძის ნაწილს წარმოადგენენ. ცულები, ტიპოლოგიურად, დასავლეთ საქართველოში, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ცნობილ ცულებს უკავშირდე-

ბიან. მათ შემდგომ ხანებში გავრცელებული კოლხური ცულების პროტოტიპებად მიიჩნევენ.

ათი ერთეული ბრინჯაოს ნივთი, მათ შორის ხუთი სხვადასხვა ზომის კოლხური ცული (№ 3, 6-9; 05-K-2000-317, 318, 319, 322, 324), ორი ე.წ. ბრტყელი ცული (№ 4, 5; 05-K-2000-329, 330), ორი სატეხი (№ 10, 11; 05-K-2000-362, 553) და სატევარი (№ 12; 05-K-2000-551). აღნიშნული ნივთები მოპოვებულია ხობის რაიონის სოფ. ყულეული, 2000 წელს გათხრილი ვრცელი ნამოსახლარის II კულტურულ ფენაში; სხვადასხვა ხასიათის მრავალრიცხოვან არტეფაქტთან ერთად, აქ მოპოვებული ნივთები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით თარიღდება.

თოხი (№ 13; 05-U-76-2) და აბზინდა (№ 14; 05-U-76-3) მოპოვებული 1976 წელს ურეკის სამაროვანზე; მათი ფუნქციონირების პერიოდი, ისევე როგორც მთლიანად ურეკის სამაროვნისა, ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე შეოთხედით განისაზღვრება.

ოთხი ნივთი: ორი ცული (№ 15, 16; 05-C-04-39, 40) და ორი ე.წ. სეგმენტისებრი იარაღი (№ 17, 18; 05-C-04-37, 38) ზუგდიდის რაიონის ს. ცაიშის ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის სამაროვნის № 1 კოლექტიურ სამარხ თრმოშია მოპოვებული. თანხმელები ინვენტარის გათვალისწინებით ნივთები ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.

გამოკვლევების შედეგებით დადგენილია შენადნობის ქიმიური შედგენილობა (შენადნობის ტიპი, ლეგირების ელემენტები), ჩატარებულია მეტალოგრაფიული ანალიზი. სპექტრული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილის სახით (ცხრ. 1), მიკროსტრუქტურული მონაცემები კი მიკროფოტოგრაფიული გამოსახულებით (ტაბ. II).

შენადნობთა ქიმიური შედგენილობის მიხედვით ნივთები იყოფა ოთხ მეტალურიულ ჯგუფად: 1) კალიანი ბრინჯაო (Cu+Sn) – 6 ნივთი (33,3%); 2) დარიშხნიანი ბრინჯაო (Cu+As) – 6 ნივთი (33,3%); 3) სამკომპონენტიანი შენადნობი (Cu+Sn+As); (Cu +As+Pb); Cu+Sn+Sb) – 4 ნივთი (22,2%); 4) სპილენბის ჯგუფი – 2 ნივთი (11,1%).

შენადნობში წამყვანი მალეგირებელი ელემენტია კალა. როგორც ცხრილი 2-ის მონაცემებიდან ჩანს, კალიანი ბრინჯაოს შენადნობისაგან დამზადებულია ცულები და სატეხი. კალის შემცველობა ცულებში მაღალია და იცვლება 6,32%-15,0%-ის ზღვრებში. აღნიშნული მეტალურიული ჯგუფიდან მეტალოგრაფიულად შესწავლილია ვ ცული:



ცხრილი 1. გვანბრინჯაოს ხანის ნივთების ქიმიური შედგენილობა (სპექტრული ანალიზის შედგები)

<i>N</i>	<i>ნივთის ძალებორია</i>	<i>ინგენტარის ნომერი</i>	<i>Cu%</i>	<i>Sn%</i>	<i>As%</i>	<i>Sb%</i>	<i>Pb%</i>	<i>Fe%</i>	<i>Ni%</i>	<i>Co%</i>	<i>Bi%</i>	<i>Ag%</i>
1	ცული	№ 1	92,6	6,32	0,27	0,057	0,22	0,017	0,056	0,005	0,010	0,074
2	ცული	№ 05-R-81-248	93,1	0,014	7,09	0,31	0,14	0,005	0,072	<0,001	0,009	0,024
3	ცული	№ 05-K-2000-318	86,9	11,5	0,57	0,19	0,12	0,043	0,065	0,004	0,009	0,065
4	ცული	№ 05-K-2000-329	88,9	9,21	1,22	0,036	0,031	0,043	0,092	0,006	0,012	0,026
5	ცული	№ 05-K-2000-330	95,1	0,020	3,63	0,19	0,48	0,005	0,085	0,001	0,008	0,027
6	ცული	№ 05-K-2000-322	95,4	0,019	3,74	0,19	1,15	0,009	0,15	0,011	0,012	0,043
7	ცული	№ 05-K-2000-324	94,6	0,024	3,88	0,28	0,53	0,012	0,10	0,001	0,014	0,034
8	ცული	№ 05-K-2000-317	89,2	10,0	0,088	0,016	0,030	0,011	0,052	0,002	0,011	0,057
9	ცული	№ 05-K-2000-319	91,8	6,76	1,00	0,18	0,16	0,010	0,069	0,003	0,008	0,067
10	სატენი	№ 05-K-2000-362	95,2	0,090	3,65	0,050	0,11	0,086	0,13	0,003	0,021	0,022
11	სატენი	№ 05-K-2000-553	91,6	7,42	0,33	0,36	0,14	0,008	0,13	0,003	0,015	0,038
12	სატენი	№ 05-K-2000-531	85,8	11,1	0,19	1,27	0,22	0,055	0,12	0,002	0,020	0,041
13	თონი	№ 05-U-76-2	93,1	0,012	6,92	0,098	0,090	0,003	0,077	<0,001	0,009	0,023
14	აბზინდა	№ 05-U-76-3	97,1	0,010	1,72	0,079	0,27	0,010	0,083	0,001	0,009	0,028
15	ცული	№ 05-C-04-39	83,2	14,6	0,30	0,088	0,26	0,021	0,058	0,003	0,011	0,079
16	ცული	№ 05-C-04-40	81,7	15,0	0,046	0,038	0,074	0,023	0,047	<0,001	0,010	0,071
17	სეგმენტი	№ 05-C-04-37	95,6	0,12	0,29	0,053	0,18	0,033	0,057	0,002	0,011	0,082
18	სეგმენტი	№ 05-C-04-38	97,8	0,065	0,23	0,038	0,21	0,043	0,067	0,004	0,013	0,070



## ცხრილი 2

ნივთის კატეგორია	ანალიზების რაოდენობა	გ ე ტ ა ლ უ რ გ ი უ ლ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი			
		Cu+As	Cu+Sn	Cu+Sn+As Cu+Sn+Pb	Cu
ცული კოლხური	9	2	5	2	
ცული ბრტყელი	2	1		1	
სატევარი	1			1	
თოხი	1	1			
სატეხი	2	1	1		
სეგმენტი	2				2
აბზინდა	1	1			
სულ	18	6	6	4	2

1) ცული კოლხური (№ 3; 05-K-2000-318), კალის შემცველობა 11,5%-ია, მიკროსტრუქტურიდან ჩანს, რომ ცულის ძირითადი ფორმა მიღებულია ჩამოსხმით და სამუშაო ნაწილის მექანიკური თვისებების გაუმჯობესების მიზნით დამატებით გამოჭედილია ცხელ მდგომარეობაში (ტაბ. II); 2) ცული კოლხური (№ 8; 05-K-2000-317), მალევირებელი ელემენტის შემცველობა 10,0%-ია. მიკროსტრუქტურული ანალიზით დასტურდება ანალოგიური დამზადების ტექნოლოგიური სქემა – ნივთი ჩამოსხმულია, დამატებით დაექვემდებარა ცხელი ჭედვის პროცესს (ტაბ. II); 3) ცული კოლხური (№ 16; 05-C-04-40), კალის შემცველობა შენადნობში 15,0%-ია. ნივთი დამზადებულია ჩამოსხმით. მიკროსტრუქტურა წარმოდგენილია მაღალლეგირებული კალიანი ბრინჯაოს სხმულისათვის დამახასიათებელი მონაცემებით (ტაბ. II<sub>3</sub>). რაც შეეხება კოლხურ ცულებს № 1, 15 და სატეხს № 11, ნივთების ფორმისა და ლითონის მოცულობის შესაბამისად, მათი დამზადების ტექნოლოგიური სქემა ჩამოსხმა უნდა იყოს.

დარიშხნიანი სპილენძის შენადნობებისაგან მიღებულია 3 ცული, სატეხი, თოხი, აბზინდა. აქედან მეტალოგრაფიულად შესწავლილია კოლხური ცული და თოხი: 1) ცული კოლხური (№ 2, 05-R-81-248), დამზადებულია ოპტიმალურად ლეგირებული დარიშხნიანი ბრინჯაოსაგან (As=7,09%). მაკროსტრუქტურული კვლევის შედეგებით ნივთი მიღებულია ვერტიკალურ მდგომარეობაში ჩამოსხმით. ნივთის გრძივი კვეთის მთელ სიგრძეზე შესწავლილი მაკროსტრუქტურის მიხედვით ჩამოსხმის დეფექტები (ჩაჯდომის ნიუკლეის) თავმოყრილია ძირითადად ყუისა და სატარე ნაწილის სფეროში (ტაბ. II<sub>6</sub>) აღნიშნული დეფექტები მჭრელი პირის მიმართულებით საგრძნობლად შემცირებულია. 2)

თოხი (№ 13; 05-U-76-2), დარიშხნის შემცველობა სხმულში 6,9%-ია. მიკროსტრუქტურა წარმოდგენილია ა ფაზის დენდრიტებით (17, სურ. 200). ნივთი ჩამოსხმულია (ტაბ. II<sub>5</sub>), სავარაუდოა მისი პირის ნაწილი თოხის ფუნქციის შესაბამისად დამატებით დამუშავებული ყოფილიყო ჭედვით. დარიშხნიანი სპილენძის ჯგუფში განთავსებული დანარჩენი ნივთები, ბრტყელი ცული № 5 (As=3,63%), კოლხური ცული № 7 (As=3,88%), სატეხი № 10 (As=3,65%), აბზინდა № 14 (As=1,7%), დამზადებული უნდა იყოს ჩამოსხმით.

სამკომბონენტიან შენადნობთა ჯგუფში განხილულია 3 ცული (№ 4, 6, 9) და სატევარი № 12. მათგან მეტალოგრაფიულად შესწავლილია ბრტყელი ცული კალა-დარიშხნის ლეგირებით (№ 4; 05-K-2000-329), სადაც წამყვანი მაღებირებელი ელემენტის – კალის შემცველობა 9,21 %-ია. ნივთი მიღებულია ჩამოსხმით (ტაბ. II<sub>2</sub>). ცულის სამუშაო პირზე შესწავლილი მიკროსტრუქტურა წარმოდგენილია ε ფაზით (17, სურ. 200-201). აღნიშნულ მეტალურგიულ ჯგუფში შემავალი სხვა ნივთები: კოლხური ცული № 9 (Sn=6,76%; As=1,0%), კოლხური ცული № 6 (As=3,74%; Pb=1,15%), სატევარი № 12 (Sn=11,1%; Sb=1,27%) დამზადებული უნდა იყოს ჩამოსხმით.

სამკომბონენტიან შენადნობისათვის დამახასიათებელი ტიპიური ქიმიური შედეგებით გვიანბრინჯაოს ხანის კოლხეთში მეორადი გადამუშავების საწარმო-სახელოსნოთა ფუნქციონირებასთან. აღნიშნულ ობიექტებზე დიდი მოცულობით გამოიყენებოდა „ნახმარი“, დაზიანებული, თუ არასასურველი ფორმის ნივთებისა და ზოდებისაგან შედგენილი ჯართი, მომდინარე

ე.წ. „მდნობელთა“ თუ „ჩამომსხმელთა“ განძებიდან [5, გვ. 146-147; 9, გვ. 117; 11, გვ. 162; 14, გვ. 171]. ამ პერიოდის კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების ღონისა და წარმოების მასშტაბების გათვალისწინებით, დასაშვებია ყველა ცნობილი კატეგორიის განძების გამოყენება ვივარაუდოთ [7, გვ. 179].

მე-4 მეტალურგიულ ჯგუფში შემავალი ნივთები წარმოდგენილია სეგმენტებით (№ 17, 18) და დამზადებულია სპილენძისაგან, მცირე მინარევებით. მათი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით, სავარაუდოა დამზადებულია ჭედვით, ან ჩამოსხმა-ჭედვის კომბინაციის სქემით.

შესწავლილი მასალის ისტორიულ-ტიპოლოგიური მონაცემები და ცალკეული ნივთის ქმიურ-ტექნოლოგიური ანალიზის შედეგი აღნიშნული ინვენტარის სტატისტიკური განხილვის საშუალებას იძლევა (ცხრ. 2).

შესწავლილი მასალის მიხედვით, გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული კოლხური ცული, ძირითადად დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან. ამ პერიოდში შედარებით იშვიათია კოლხური ცულის დარიშხნიანი სპილენძისაგან დამზადების ფაქტი. ადრეული პერიოდის ლითონ-დამუშავების ტექნოლოგიური სქემის ტრადიციის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს ის მომენტი, რომ განხილულ პერიოდში დარიშხნიანი სპილენძისგან არის მიღებული ისეთი ნივთები, როგორიცაა: ბრტყელი ცული, სატეხი, თოხი.

როგორც ეს ადრეული ნაშრომებიდან არის ცნობილი [6, გვ. 340-341], ჩვენს შემთხვევაშიც ლითონის მოცულობისა და ნივთის ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით გამოყენებულია დამზადების რთული ტექნოლოგიური სქემა და ისეთი იარაღისათვის, როგორც არის კოლხური ცული, ტიპიურია ჩამოსხმა – შემდგომი ცხელი ჭედვით (ცულები № 1, 8). სხვა ეგზემპლარები დამზადებულია ჩამოსხმით (ცულები № 2, 4, 6).

კომპლექსურად შესწავლილი ნივთებისათვის, მათი ქიმიური შედეგები კარგად თავსდება სპილენძ-კალისა და სპილენძ-დარიშხნის ორკომპონენტიანი სისტემის მდგომარეობის დიაგრამების შესაბამის მონაკვეთებში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთის გვიანბრინჯაოს ხანის ფერადლითონდამუშავების ნიმუშები მიღებული და დამუშავებულია სპილენძის ლეგირებით შექმნილი თანამედროვე ბრინჯაოს მასალის ტექნოლოგიური სქემების ანალოგიურად, რაც მეტალურგიისა და ლითონდამუშავების მაღალი საწარმო ღონის მაჩვენებელია. ჩამოსხმისა და ჭედვის რეჟიმის მიხედვით შენადნობში მიღწეულია შესაბამისი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების კომპლექსი.

## I. Japaridze, R. Papuashvili, G. Inanishvili

### TOWARDS THE STUDY OF BRONZE NONFERROUS METAL PRODUCTION IN LATE BRONZE AGE COLCHIS

(Summary)

The paper deals with the results of chemical and technological studies of the samples of artifacts of nonferrous treatment of the Late Bronze Age obtained by archaeological excavations or accidentally found on the territory of historical Colchis (Ureki, Qulevi and Tsaishi burial inventory and material found accidentally in Tamakoni and Sairme). The chemical composition (spectral analysis) of the material and technological scheme of production (metallographic examination) were studied.

According to the chemical composition of the artifacts, the metallurgical groups were identified. Bronze production of the considered period was characterized by mainly tin-mixed bronze alloy and complex technology, with casting-forging combination.

Production of three-component alloy is characteristic of the period under study. It refers to the assimilation of complex alloying in the process of nonferrous metal treatment, application of wastes and recycling of material.

### ლიტერატურა

1. აბესაძე ც. ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძგ.წ. III ათაწლეულში. თბ., 1969.
2. აბესაძე ც.. ბახტაძე რ., დვალი თ., ჯაფარიძე თ. სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში. თბ., 1958.
3. გობეჯიშვილი გ. ძველი ქართული სამთამაზნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები ს. ღებიდან. – სმამ, XIII, № 3, 1952, გვ. 183-190.
4. გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952.
5. გობეჯიშვილი გ, ჯაფარიძე თ. გვიანბრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში. – საქართველოს არქეოლოგია, თბ, 1959, გვ. 129-154.
6. თავაძე ფ., საყვარელიძე თ. ძველი ქართული ბრინჯაოს ცულების ჩამოსხმა და დამუშავება. – ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1956, გვ. 329-341.
7. ლორთქიფანიძე თ. „განძები“ კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში. – კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი VI), თბ, 2001, გვ.178-194.

**8.** ჯაფარიძე თ. ქართველი ტომების ისტორიისათვის ღიათონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.

**9.** Иессен А. А. К вопросу о древней металлургии на Кавказе. – ИГАИМК, вып. 120, М-Л., 1935.

**10.** Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

**11.** Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, 2. Тб., 1950.

**12.** Селимханов И. Р. Историко-химические и аналитические исследования древних предметов из медных сплавов. Баку, 1960.

**13.** Тавадзе Ф. Н., Сакварелидзе Т. Н. Бронзы древней Грузии, Тб., 1959.

**14.** Трапиშ მ. მ. ტრუდები. 1. სუხუმი, 1950.

**15.** Черных Е. Н. История древнейшей металлургии Восточной Европы. М., 1966.

**16.** Ottaway B. S., Wang, Q. Casting Experiments and Microstructure of Archaeologically Relevant Bronzes, BAR International Series, 1331, Oxford, 2004.

**17.** Scott D. Metallography and Microstructure of Ancient and Historic Metals. Singapore, 1991.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – კოლხეთის გვიანბრინჯაოს ზანის ინკენტარი: ურეპი (13-14), ყულევი (3-12), ცაიში (15-18), საირმე (1), თამაკონი (2).


ტაბ. II – მიკროსტრუქტურა: 1. კოლხეური ცული № 3 (Sn=11,5%); 2. ბრტყელი ცული № 4 (Sn=9,21%; As=1,22%); 3. კოლხური ცული № 16 (Sn=15%); 4. კოლხური ცული № 8 (Sn=10,0%); 5. თოხი № 13 (As=6,92%); 6. კოლხური ცული № 2 (As=7,09%).


### Description of the plates

Pl. I – Late Bronze finds from Colchis: Ureki (13-14), Qulevi (3-12), Tsaishi (15-18), Sairme (1), Tamakoni (2).



Pl. II – Microstructure: 1. Colchian axe № 3 (Sn=11.5%); 2. flat axe № 4 (Sn=9.21%; As=1.22%); 3. Colchian axe № 16 (Sn=15%); 4. Colchian axe № 8 (Sn=10.0%); 5. mattock № 13 (As=6.92%). 6. Colchian axe № 2 (As=7.09%).

♂♂. I








1. 2.



3. 4.



5. 6.



## ნინო ახელედიანი

ამიმრბაშპასიის გვიანებრინჯაო-ადრენალინის სანის არქოლოგიური მეგლების დათარიღების  
შესახებ

სამთავროს სამაროვანი კავკასიის გვიან-  
ბრინჯაო-ადრენალინის ხანის ძეგლებს შორის,  
მათი შედარებითი და აბსოლუტური ქრონო-  
ლოგიის თვალსაზრისით, დღემდე ინარჩუ-  
ნებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

სამთავროს სამაროვანი ქრონოლოგიური  
ხარვეზის გარეშე მოიცავს მთელ პერიოდს  
გვიანბრინჯაოს ხანიდან რეინის საბოლოო  
გამარჯვებამდე (ძვ.წ. XV-VI სს.). მთელი  
ათასი წლის მანძილზე სამთავრო ინარჩუ-  
ნებს კულტურულ მთლიანობას. სამთავროს  
კერამიკაში არ ჩანს კულტურული ტეხილი,  
რაც იმაზე მიუთითებს, რომ კავკასიაში  
სტრატეგიული თვალსაზრისით ესოდენ მნი-  
შვნელოვანი ტერიტორია უკვლელად ეჭირა  
ზოომორფულყოფილიანი კერამიკის მატარებელ  
საზოგადოებას.

გვიანბრინჯაო-ადრენალინის ხანის ძეგლების-  
თვის დიფერენცირებული ქრონოლოგიური სკა-  
ლის შექმნა პირველად კავკასიაში სწორედ სამ-  
თავროს სამაროვანის მასალების მიხედვით მო-  
ხერხდა [1; 2].

სამთავროს გვიანბრინჯაო-ადრენალინის ხანის  
ძეგლების I ჯგუფის (ძვ.წ. XV ს. მეორე ნახე-  
ვარი – XIV ს.; 1, ტაბ. I, 29, ტაბ. III) ქვედა  
ქრონოლოგიური თარიღი თავდაპირველად შემუ-  
შავდა ამიერკავკასიის შუაბრინჯაოს ხანის ძეგ-  
ლებისთვის მიღებულ ზედა ქრონოლოგიურ თა-  
რიღზე დაყრდნობით, რომლის დადგენაც მო-  
ხერხდა თრიალეთის და კიროვაკანის ყორდა-  
ნების შებისპირების (მასრაზე სალტით) და  
ამიერკავკასიის რაპირისებური მახვილები მსგავ-  
სების შედეგად წინააზიურ და მიკენურ ნივთებ-  
თან. აღნიშნულზე დაყრდნობით მკვლევართა  
უმეტესობა ამიერკავკასიის შუაბრინჯაოს ხანის  
ყველაზე გვიანდელი ძეგლების თარიღად ძვ.წ.  
XVI-XV სს. ვარაუდობს [35, გვ. 511-512; 2, გვ.  
314; 24, გვ. 64-69; 17, გვ. 240-248; 4, გვ. 66-  
69; 21, გვ. 18]. ამასთან ერთად, გვიანბრინჯაოს  
ხანის მომდევნო ჯგუფის ძეგლების ზედა ქრო-  
ნოლოგიური საზღვარი (ძვ.წ. XIII ს.) შედა-  
რებით ზუსტად განისაზღვრა რას-შამრასა და  
ლჟაშენის სამთითების სინქრონიზაციის საფუ-  
ძველზე [2, გვ. 319].

უკანასკნელ პერიოდში გამოითქვა მოსაზრე-  
ბა შუაბრინჯაოს ხანის ძეგლების ქრონოლოგიუ-  
რი საზღვრების გადასინჯვის თაობაზე [3, გვ. 48-  
51; 15]. სადღეისოდ ხელთარსებული მასალის  
მიხედვით აღნიშნული პერიოდის ზედა ქრო-  
ნოლოგიური თარიღი მკვეთრ ცვლილებას ვერ  
დაექვემდებარება. თავის დროზე გვიანი ბრინჯა-  
ოს ხანის ძეგლებისთვის მიღებული ქვედა ქრო-  
ნოლოგიური თარიღი (ზოგადად ძვ.წ. XV ს.)  
შეამაგრა ახალმა მონაცემებმა. ამჟამად აბსო-

ლუტური და შეფარდებითი თარიღების დასაზუ-  
სტებლად გათვალისწინებულია ჩვენთვის საინ-  
ტერესო პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებიდან  
მომდინარე არაერთი წინააზიური ნივთის ანა-  
ლოგი, კერძოდ: არტიკის საბეჭდავები [34, გვ.  
170, 173]; ბრინჯაოს, ძვლის, პასტის, ოქროს  
მძივები; ბრინჯაოს საკიდები, ბრინჯაოს აბჯრის  
ფირფიტების სახეობები, წრიულსაყბეურიანი  
ლაგმები, და ნივთები, რომელთა ანალოგებიც  
მოპოვებულია ეგვიპტელი ფარაონების მერნეპ-  
ტას (ძვ.წ. 1251-1231 წწ.) კარტუშიან მახვილთან  
და ამენოფისის (1455-1429 თუ 1412-1375 წწ.)  
ბეჭედთან ერთად [36, გვ. 170-178; სურ. 122-  
125, ტაბ. VIII; 33, გვ. 57-63; 18, გვ. 7].

ძალაში რჩება აღმოსავლეთ საქართველოს  
ტერიტორიაზე ე.წ. სუბმიკენური ტიპის (ბლინ-  
კენბერგის მიხედვით, 32, გვ. 58) ფიბულების-  
თვის მიღებული ქვედა ქრონოლოგიური თარი-  
ღიც (ძვ.წ. XI ს. ან XII-XI სს. მიჯნის ახლო  
ხანები [2, გვ. 329]). ამ ტიპის ფიბულაზე და-  
ყრდნობით ბაიერნის № 591 სამარხის გაახალ-  
გაზრდავება (ტაბ. I; 10, გვ. 66) რომ გაუმართ-  
ლებელია, ამას ასაბუთებს თრელის № 71 სა-  
მარხი, სადაც ამავე სახის ფიბულა (ტაბ. I<sub>3</sub>)  
აღმოჩენილია რკინის ტარშეურჩენელ მახვილ-  
თან (ძვ.წ. XI-X სს.) [1, გვ. 136] და არქაულ,  
ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებისთვის დამახასიათე-  
ბელ კერამიკასთან ერთად (ტაბ. II). აღნიშნუ-  
ლის გათვალისწინებით, თრელის № 71 სამარხი  
ძვ.წ. XI-X სს., უფრო კი ძვ.წ. XI ს. ფარგ-  
ლებში ექცევა.

ბრინჯაოს მშვილდსაკინძი აღმოჩენილია  
თეთრწყლების № 5 სამარხსა (ტაბ. I<sub>5</sub>; 6, გვ.  
89) და არაშენდას სამლოცველოზე (ტაბ. I<sub>6</sub>, 12,  
გვ. 37, 123). ამათვან თეთრწყლების № 5 სა-  
მარხში შედარებით გვიანი სახის რკალისებური  
ფიბულა დადასტურდა IV<sub>3</sub> ჯგუფის (კ. ფიცხე-  
ლაურის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიხე-  
ვით, 13, გვ. 70) მახვილთან ერთად [6, ტაბ. XIX],  
რომლის ქრონოლოგიური დიაპაზონიც ძირითა-  
დად ძვ.წ. VIII-VII სს. განისაზღვრება [18, გვ. 4;  
14, გვ. 143]; არაშენდას სამლოცველოზე კი ბაი-  
ერნის № 591 სამარხის ანალოგიური, დაბალ-  
რკალიანი და გრეხილეროიანი ფიბულა IV<sub>1</sub>  
ჯგუფის მახვილთან და გველის თავებით და-  
ბოლოებულ სამაკურთან ერთად აღმოჩნდა [12,  
ტაბ. XLII].

არაშენდას სამლოცველო ზოგადად ძვ.წ. I  
ათასწლეულის პირველი ნახევრით არის დათა-  
რიღებული [12, გვ. 123], მაგრამ აქ დადასტუ-  
რებული სამაკურის თარიღის გათვალისწინებით  
(ძვ.წ. VII ს. მეორე ნახევარი – VI ს.) [1, გვ.  
126, ტაბ. I<sub>33,34,40,48</sub>] არაშენდას როგორც მახვილი,

ისე მშვილდსაკინძი, ძვ.წ. VI საუკუნითაც კი შეიძლება დათარიღდეს.

ბაიერნის № 591 სამარხში აღმოჩნილია რკინის შებისპირი მასრაზე შემორტყმული ბრინჯაოს ფირფიტით. ბრინჯაოს სალტის შემოვლების წესი სამთავროს სამაროვანზე ძვ.წ. XI-XIX სს. სამარხებიდან მომდინარე რკინის შებისპირებს ახასიათებთ (I, ჭაბ. I<sub>39,17</sub>).

აღნიშნული ხანის ბრინჯაოსა და რკინის შებისპირებს შორის მთავარ განმასხვავებელ ნიშანს პირველთაოვის მასრის მთლიანობა, მეორეთაოვის კი მასრაგახსნილობა წარმოადგენს. ეს გარემოება კი ბრინჯაოს და რკინის იარაღების დამზადების სხვადასხვა წესით არის გამოწვეული. სამთავროს მასრაზე სალტეშემორტყმულ რკინის შებისპირებს შორის, ყველაზე აღრეულია ბაიერნისეული № 591 სამარხის შებისპირი (ამჟამად დაკარგულია). ბ. კუფტინის ჩანახატის მიხედვით [23, სურ. 23] შებისპირი საქმაოდ გრძელია და მისი სიგრძე დაახლოებით, ამავე სამარხში მოპოვებული წეტიანი მახვილის სიგრძეს უტოლდება (ნ. სულავა აღნიშნულ იარაღს ბოლომომრგვალებულ მახვილად მოიხსენიებს [11, გვ. 65]). ჩვენთვის საინტერესო შებისპირს, მასრის მთელ სიგრძეზე აქვს შემოსალტული ბრინჯაოს ფირფიტა [31, გვ. 36]. ქრონოლოგიურად მომდევნო ყველა სხვა შემთხვევაში სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული და ამ წესით დამზადებულ რკინის შებისპირებს მასრაზე უკვე მხოლოდ ბრინჯაოს მავთული აქვთ შემოსალტული.

ბრინჯაოს შებისპირები თავდაპირველად ჭედვის ტექნიკით მზადდებოდა. სამასრე ნაწილს აბრტყელებდნენ და შემდეგ მათოვის საჭირო ფორმას აძლევდნენ, რის გამოც იარაღი ერთ მხარეს გახსნილი რჩებოდა. ჩამოსხმის ტექნიკის განვითარებასთან ერთად ბრინჯაოს შებისპირის მასრაც ერთ მთლიან რეალს ქმნიდა. რადგან რკინის შებისპირები ისევ ჭედვით ტექნიკას მოითხოვდნენ, მათი მასრაც გახსნილი იყო, ბრინჯაოს სალტე კი მასრას გადახსნისგან იფარავდა.

როგორც ყოველთვის, ყოველ სიახლეს და ახალ ლითონსაც გარკვეული უნდობლობით ექცეოდნენ და ამ ახალი ლითონის იარაღების დამზადებისას ხშირად ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდნენ. სალტების პრაქტიკულ დანიშნულებაზე მიუთითებს მათი შემორტყმის წესი, რაც ესთეტიკაზე არ არის გათვლილი. მომდევნო ხანის რკინის შებისპირებზე ამდაგვარ სალტეებს უკვე აღარ ვხვდებით.

რკინის შებისპირი მასრაზე სალტით სამთავროს სამაროვანზე კიდევ ერთხელ ჩნდება რკინის ფართო ათვისების ხანის № 96° სამარხში, რომელიც აქვე აღმოჩნილი რკინის ფიგურულტარიანი მახვილის მიხედვით კარგად თარიღდება ძვ.წ. VIII ს.-VII ს. პირველი ნახევრით [1, გვ. 132-134]. № 96° სამარხის რკინის შებისპირის მასრის თავსა და ბოლოში ლამაზად არის შემოკრული ბოლოებში სიმეტრიულად დაბილული ბრინჯაოს ფირფიტები, მაგ-

რამ აქ მათ უკვე ორნამენტის დანიშნულება აქვთ.

ფიბულა არ არის კავკასიური მოვლენა. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. სუბმიკენური ფიბულის შემცველი და როგორც არქეოლოგიური მასალის, ისე ისტორიული ვათარების გათვალისწინებით დათარიღდებული ძეგლის (ძვ.წ. XII-XI სს. მიჯნა, ბაიერნისეული № 591 სამარხი), ძვ.წ. IX საუკუნით გაახალგაზრდავებისთვის, ავტორს (ნ. სულავა) უნდა ემტკიცებინა, რომ თავად ეგეოსურ სამყაროში ამ ტიპის ფიბულა აღნიშნულ ხანაზე აღრე არ გხევდება, რაც შეუძლებელი იქნებოდა.

რაც შეეხება სამთავროს სამაროვანზე ფიბულების შემცველ სამახებს შორის არსებულ ქრონოლოგიურ ლაპუნას, რომელსაც 6. სულავამ ახსნა ვერ მოუძებნა და რის გამოც გადაწყვიტა ფიბულის შემცველი ყველაზე აღრეული სამარხის გაახალგაზრდავება [11, გვ. 66], შევნიშნავთ, რომ ნივთის ქრონოლოგიური ხარვეზის გარეშე არსებობა განისაზღვრება არა ერთი სამაროვნის მიხედვით, თუნდაც ეს იყოს სამთავროს სამაროვანი, არამედ გარკვეული რეგიონიდან მომდინარე მასალის შეჯერებით; რკალისებური ფიბულა კი აღმოჩნილია ძვ.წ. XII-XI სს. მიჯნის ახლო ხანების (ბაიერნის № 591 სამარხი), ძვ.წ. XI-X სს. (თრელის № 71 სამარხი), ძვ.წ. IX-VIII სს. მიჯნის ახლო ხანების (თრელის № 49 სამარხი, ტაბ. I<sub>5</sub>) ძვ.წ. VIII-VII სს. (თეთრწყლების № 5 სამარხი) და ძვ.წ. VII ს. მეორე ნახევარი-ძვ.წ. VI ს. (არაშენდას სამლოცველო) ბეგლებზე, ანუ ფიბულის ჩვენთვის საინტერესო ტიპს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. XII-XI სს. მიჯნიდან, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ყველა ეტაპზე ედევნება თვალი. ძვ.წ. VIII საუკუნიდან კი აღნიშნული ტიპის მშვილდსაკინძი თანაარსებობს ასევე რკალისებური ფიბულის სახესხვაობასთან. ამის დამამტკაცებელია გვანის ხანის ფიბულის შემცველი ნაქულბაქევის № 3 სამარხი (ტაბ. III), რომელიც აქვე დადასტურებული ფიგურულტარიანი რკინის მახვილითა და რკინის სატევრით (ტაბ. III<sub>1,2</sub>) კარგად თარიღდება ძვ.წ. VIII-VII სს-ის პირველი ნახევრით.

ფიგურულტარიანი რკინის მახვილი აღმოჩნდილია ნარეკვავის № 61 სამარხში [9, ტაბ. XXIXIII]. სამარხის ინვენტარის ერთი ნაწილი ძვ.წ. VIII ს-ზე ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება და მათი ზედა ქრონოლოგიური თარიღი ძვ.წ. IX ს. განისაზღვრება (ბრინჯაოს შებისპირი მასრაზე ორი რელიეფური სარტყლით [9, ტაბ. XXIXIII<sub>73</sub>; 13, გვ. 75; 5, გვ. 143]; რკინის ტარშეურჩენელი მახვილი [9, ტაბ. XXIXIII<sub>728</sub>; 1, ტაბ. I<sub>122,152</sub>] ძვ.წ. XI-X სს.), ხოლო მეორე ნაწილი კი (ფიგურულტარიანი რკინის მახვილი, ბრინჯაოს ჭდეულზედაპირიანი სამაჯური [9, ტაბ. XXIXIII<sub>727,735</sub>]) ძვ.წ. VIII ს-დან იწყებს არსებობას [1, ტაბ. I<sub>75,111,112,116,117</sub>]. აქვე აღმოჩნდილი რკინის დანა [9, ტაბ. XXIXIII<sub>729</sub>] ტიპოლოგიუ-

რად არ განეკუთვნება მოხრილი დანების ჯგუფს და ამიტომ დამათარიღებლად არ გამოდგება.

კოლხური ცული [9, ტაბ. XXXIII<sub>733</sub>], დ. ქორიძის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, კოლხური ცულების განვითარების მეორე ეტაპს ეკუთვნის (IV<sub>1</sub> სახეობა), რომელიც ქრონოლოგიურად ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულითა და I ათასწლეულის პირველი მეოთხედით შემოიფარგლება [6, გვ. 59-74].

რადგან ნარეკვავის № 61 სამარხში ორი მომიჯნავე ქრონოლოგიური ჯგუფის განმაზღვრული ნივთები (ზედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ.წ. IX ს. – ბრინჯაოს შუბისპირი მასრაზე რელიფური სარტყლით, რკინის ტარშურჩენელ მახვილი და ძვ.წ. VIII ს.-VII ს. პირველი ნახევარი – ფიგურულტარიანი რკინის მახვილი, რკინის სატევარი ბრინჯაოს ჭვირული ტარით, ჭდულზედაპირიანი სამაჯურები) ერთად გახვდება, კომპლექსი ძვ.წ. IX-VIII სს. მიჯნით უნდა დათარიღდეს.

არ არის გამორიცხული, რომ ფიგურულტარიანი რკინის მახვილების ქვედა ქრონოლოგიური თარიღი ძვ.წ. IX ს. ბოლო ხანებით შეიცვალოს, მაგრამ ამგვარი ცვლილება დამატებით არგუმენტებს საჭიროებს.

რაც შეეხება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, ძვ.წ. VI ს., ის სკვითური ნივთების შემცველ ფენაზე დაყრდნობით ინარჩუნებს სიმყარეს. აღნიშნული ხანის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრისას ძვ.წ. VI საუკუნის გამორიცხვა გაუმართლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ძვ.წ. VII და VI საუკუნეების მასალების გამიჯვნა (თუ არა საკუთრივ „სკვითური“ ისრისპირები) ფაქტიურად შეუძლებელია.

უსაფუძვლოა კავკასიაში უძველესი რკინის ნივთის შეცველი ბეშთაშნის № 13 სამარხის (ტაბ. IV) გაახალგაზრდავების მცდელობა ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებით [19, 25] კუფტინის მიერ გამოქვეწნებულ [22, ტაბ. XLVIII] ბალთაზე დაყრდნობით [19, გვ. 119]. ეს ნივთი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საარქივო მასალების მიხედვით № 13 სამარხის შემადგენლობაში არ დასტურდება. კომპლექსის გვიანდელობის არგუმენტად არ გამოდგება არც აქ აღმოჩენილი არქაული სახის სატევარი და არც შებისპირი.<sup>17</sup>

ბეშთაშნის № 13 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხუთკოპა ლახტისთავის შემცველი ძეგლების ზედა ქრონოლოგიური საზღვარი

ძვ.წ. XIV-XIII სს. მიჯნის ახლო ხანების ან ძვ.წ. XIII ს. ფარგლებში ექცევა (სამთავროს № 26, ბორნილელებს № 52, არტიკის № 109, მაკარაშენის № 2 სამარხები, ლჭაშენის № 2 ყორდანი [8, ნახ. 89]; 20, ტაბ. XXXI; 24, ნახ. 24a, ტაბ. IX]). გარდა ამისა, ბეშთაშნის კომპლექსის არქაულობის მაუწყებელ სხვა ნივთებთან ერთად (ამის შესახ. იხ. 2, გვ. 317) აქვე აღმოჩენილი ბრინჯაოს ხუთკოპა საკინძის ანალოგიური დადასტურებულია სტირფაზში, შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლზე [26, ნახ. 42].

ხელთარსებული მასალების მიხედვით სამხრეთამიერკავკასიური შედგენილტარიანი სატევრების ერთი ნაწილი სამთავრული ფოთლისებური სატევრების არსებობის მირითად დროს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ტიპის იარაღი აღმოჩენილია კუშჩის № 8 სამარხში, რომლის ადრეულობაზეც მეტყველებს აქვე დადასტურებული ფართოქედიანი და ვიწროპირიანი მასრაგახსნილი შუბისპირი (ტაბ. V<sub>1,2</sub>). კახური ტიპის შედგენილტარიანი სატევრის შემცველი სამთავროს № 44 სამარხი კი კომპლექსის გათვალისწინებით ძვ.წ. XIV-XIII სს. მიჯნის ახლო ხანებში უნდა ექცეოდეს.

კუშჩის № 8 სამარხი შეიცავს ასევე განჯაყარაბალული კულტურისათვის დამახასიათებელ ბრინჯაოს სატევარს, დანისპირს და ღრმა ჭდებით შემკულ სამაჯურს, რაც, თავის მხრივ, განჯაყარაბალული და სამთავრული კულტურების სინქრონულობის მაუწყებელია (ტაბ. V<sub>3,4,5</sub>).

რაც შეეხება კოლხური კულტურის ძეგლების დათარიღებას, სამისოდ ვეყრდნობით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან მომდინარე იმ კომპლექსებს, რომლებიც კოლხური კულტურის განმაზღვრელ ნივთებს შეიცავენ [27, გვ. 7; 7, გვ. 58-59]: სურამის კოლექცია, ბრინჯაოს კოლხური ტიპის ცულით, ფოთლისებური სატევრით და მასრაგახსნილი შუბისპირით (ტაბ. VI); ურბისის № 219 სამარხი, ბრინჯაოს სეგმენტური იარაღით, ფოთლისებური სატევრით, მასრაგახსნილი შუბისპირით და თავხვია საკინძით [16, ტაბ. XXIX], ხიზაბავრას კომპლექსი ბრინჯაოს თოხებით, მასრაგახსნილი შუბისპირით და ფოთლისებური სატევრით (ტაბ. VII), დგვრისის კომპლექსი კოლხური ცულით, მასრაგახსნილი შუბისპირით და თავხვია საკინძით [26ა, სურ. 30] და ბორნილელებს № 52 და 69 სამარხები კოლხური ცულებით და ფოთლისებური სატევრებით [20, ტაბ. XXX; 20<sub>2</sub>, ტაბ., 52]. გარდა ამისა, კოლხური კულტურის მაღალ თარიღის მხარს უჭრეს ზურგას ნასაზღარზე რადიოკარბონული მეთოდით მიღებული თარიღიც, რომლის მიხედვითაც გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკის შემცველი ფენა, აქვე აღმოჩენილი ხის ნახშირის განსაზღვრის შედეგად ძვ.წ. XV ს. დათარიღდა [7, გვ. 31-60].

ქრონოლოგიურ სისტემაში ცვლილების შეტანა კარგად დასაბუთებული არგუმენტების გარეშე მცდარი დასკვნების საფუძველი ხდება,

<sup>17</sup> ს. პოლიანი ბეშთაშნის № 13 სამარხის შუბისპირს სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ და მარტიროსიანის მიერ ძვ.წ. I ათასწლეულით დათარიღებულ [24, ტაბ. XXXVI] შუბისპირებს უკავშირებს [25, გვ. 54]. ბეშთაშნის ანალოგიური შუბისპირი არათუ მითითებულ ტაბულაზე, არამედ მარტიროსიანის ნაშრომში საერთოდ არ არის გამოქვეწნებული.

რასაც, თავის მხრივ, აღრევა შეაქვს მეტ-ნაკლები სიზუსტით გარკვეულ საკითხებში.

N. Akhvlediani

## ON THE ISSUE OF THE DATING OF LATE BRONZE-EARLY IRON AGE SITES IN TRANSCAUCAZIA

(Summary)

Samtavro burial ground maintains its particular significance among Late Bronze-Early Iron Age Caucasian sites from the point of view of their comparative and absolute chronology.

According to Samtavro material Late Bronze-Early Iron Age sites are limited within the 15-6<sup>th</sup> cc. B.C.

Recently the view has been put forward on the revision of the chronological boundaries of the Middle Bronze Age sites [3, 15]. On the basis of the material available to date the *terminus post quem* of the cited period cannot be subject to drastic alteration. The *ante quem* (15<sup>th</sup> cent. B.C.), adopted for the Late Bronze Age sites has been strengthened by new evidence. At present, the analogy of numerous near Eastern items is taken into account to make absolute and relative dates more precise: the Artik seal stamps [34], bronze, bone, paste, gold beads, varieties of armour plates, bits with circular mouthpieces and items whose analogues are found together with the cartouche sword of the Egyptian pharaoh Merneptah (1251-1231 B.C.) and the seal of pharaoh Amenophis (1455-1429 or 1412-1375 B.C.) [36,33,18].

The date of the so-called sub-Mycenaean type fibulae (according to Blinckenberg) on the territory of Eastern Georgia (circa the turn of the 12<sup>th</sup>-11<sup>th</sup> cent. B.C. [2, p. 329]) remain valid. Shifting the date of Bayern's burial 591 (pl.I<sub>1</sub>) containing this type of fibula, to the 9<sup>th</sup> cent. B.C. (by N. Sulava [11]) is unjustified. This is confirmed by burial 71 of Treli (pl. I<sub>4</sub>), in which a fibula of this type has been found with a sword whose hilt has not survived (11<sup>th</sup>-10<sup>th</sup> cent. B.C.) and along with archaic pottery of the 13<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cent. B.C. (pl.II). Bearing this in mind, burial 71 of Treli falls to the 11<sup>th</sup>-10<sup>th</sup> cent. B.C. – rather than to the 11<sup>th</sup>.

A bronze low-shaped fibula has been found in burial 5 of Tetritslebi (pl. I<sub>5</sub>) and at Arashenda shrine (pl. I<sub>6</sub>). Of these, a relatively later-period fibula was found in burial 5 of Tetritslebi, alongside a sword of group IV<sub>3</sub>, the chronological range of the fibula being mainly defined as the 8<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cent., while a low-arched and twisted-stem fibula, analogous to the Bayern burial 591 specimen, were found together with a sword of group IV<sub>1</sub> and bracelet ending with snake heads.

Generally, Arashenda shrine is dated to the first millennium B.C. [12, p. 123]. However, bearing in mind the lower chronological date of the bracelet discovered here (second half of the 7<sup>th</sup>-6<sup>th</sup> cent. B.C.), both the sword and the bow-shaped fibula may be dated to the 6<sup>th</sup> cent. B.C.

The fibula is not a Caucasian phenomenon. In order to shift the date of the archaeological material on the territory of Eastern Georgia, containing the so-called sub-Mycenaean fibula, and with account of the site dated to the (turn of the 12<sup>th</sup>-11<sup>th</sup> cent. B.C., Bayern's burial 591) on historical grounds, the author (N. Sulava) would have to argue the absence of this type of fibula in the Aegean world itself earlier than the cited period, which would have been impossible.

As to the chronological lacuna between the fibulae of the Samtavro burial ground, containing fibulae, which the author failed to account for and hence decided to shift backward the date of the earliest grave containing the fibula [11, p. 66], I shall note that the existence of an item with a chronological gap is determined not according to a single burial ground, even the Samtavro burial ground, but by juxtaposition of material stemming from a definite region. On the territory of Eastern Georgia arc-shaped fibulae have come to light on sites dating from *ca* 12<sup>th</sup>-11<sup>th</sup> cent. B.C. (Bayern, burial 591), 11<sup>th</sup>-cent. B.C. (Treli burial 71), *ca* 9<sup>th</sup>-8<sup>th</sup> cent. B.C. (Treli burial 49, pl I<sub>5</sub>), 8<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cent. B.C. (Tetritslebi burial 5) and second half of the the 7<sup>th</sup> and 6<sup>th</sup> cent B.C. (Arashenda shrine). In other words, the type of fibula of our present interest is traceable on the territory of Eastern Georgia at all stages of the Late Bronze-Early Iron Age from the turn of the 12<sup>th</sup>-11<sup>th</sup> cent B.C. From the 8<sup>th</sup> cent B.C. the indicated type the fibula coexists also with the arc-shaped fibula of a different variety. This is confirmed by burial 3 of Nakulbakevi containing a later-type fibula (pl. III), its date being attested by a plastic handled iron sword and a dagger dated to the 8<sup>th</sup> –first half of the 7<sup>th</sup> cent. B.C.

As regards the *terminus post quem non* of the Late Bronze –Early Iron Age sites, the 6<sup>th</sup> cent. B.C. remains stable on the basis of the layer containing Scythian items.

A five-knotted mace head characteristic for South Transcaucasia is found in Samtavro burial ground 26, which also contains a leaf-shaped dagger. An analogue of the five-knotted mace head is excavated in Beshtasheni burial, 13.

Along with other items (dagger, spearhead) of burial 13 of Bashtasheni, an analogous item of the bronze five-knotted mace head discovered here, is attested on a Middle Bronze site at Stirpaze [25].

The attempt to shift the date burial 13 of Beshtasheni, containing the oldest iron item in the Caucasus, to the 9<sup>th</sup>-8<sup>th</sup> cent. B.C. [19,25] is unfounded on the basis of the buckle published by B. Kuftin. According to the archival material of the State Museum of Georgia the item in question is not attested in the grave goods of burial 13 (This error was noted back in 1961 [2, p. 317], and was verified later by me).

Neither the archaic type dagger nor the spearhead can serve as an argument of the late date of Beshtasheni burial 13 (S. Polin relates the spearhead of Bashtasheni burial 13 to the spearheads discovered on Armenian territory and dated by A. Martirosyan to the 1<sup>st</sup> millennium B.C. [25, p. 54]. An analogous corresponding spearhead is not indicated in the author's table, nor is it in general published in Martirosyan's work).

One part of South-Caucasian composite-handled daggers must belong to the time of existence of Samtavro leaf-shaped daggers (II half 15<sup>th</sup>-14<sup>th</sup> cent. B.C.) A weapon of this type has been discovered in burial 8 of Kushchi, the early age of which is attested by a wide-ridged and narrow bladed spearhead found here (pl. V).

In defining the *terminus ante quem non* of Colchian culture, take into consideration relatively better dated East-Georgian complexes that contain items determining Colchian culture:

The Surami "Collection" a bronze with Colchian type axe, a leaf-shaped dagger and an open-socketed spearhead (pl. VI); burial 219 of Urbnisi, with a bronze segment-like weapon, a petal-like dagger, an open-socketed spearhead and a spiral-headed pin; the Khizabavra complex with an open-socketed spearhead, a petal-shaped dagger and a bronze hoe the Dgvrishi complex with a Colchian axe; an open-socketed spearhead col a spiral-headed pin [26a, fig. 30] and the Bornighele burial ground N 52, 69 with Colchian axes and petal-shaped daggers [20, pl. XXXI; 20, pl 52] (pl. VII). Apart from this, the earlier date of Colchian culture is supported by radiocarbon dating obtained on Zurga settlement site (15<sup>th</sup> cent. B.C.) [7, pp. 31-60].

Introduction of changes into the chronological system without well-grounded arguments leads to erroneous conclusions.

## ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვან-ზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების და-თარიღებისათვის. – სსმ, XIXA-XXIB, 1957, გვ. 116-139.
2. აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების სა-კითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტე-რიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს). – სსმ, XXII-B, 1961, გვ. 291-381.
3. აბრამიშვილი გ. თრიალეთის კულტურის აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხისათვის. – კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები (ძიებანი, დამატებანი, X), 2003, გვ. 48-51.
4. გოგაძე ე. თრიალეთური ყორდანული კულტურის გენეზისი და პერიოდიზაცია. თბ., 1971.
5. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, რ. აბრამიშვილის რედაქციით. თბ., 1978.
6. მაისურაძე ბ. არქეოლოგიური გათხრები სოფ. თეთრწყლებში. – კაეშ, IV, 1980, გვ. 81-100.
7. მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძვე-ლესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ., 1974.
8. მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ა. აფაქიძის რედაქციით, ტ. IV. თბ., 1980.
9. მცხეთა, ნარეკვავი, II, ა. აფაქიძის რე-დაქციით. თბ., 2000.
10. რამიშვილი ალ. ბრინჯაოს ხანის არ-ქეოლოგიური ძეგლები წაღვლები. თბ., 2004.
11. სულაგვაძე ნ. სამთავროს სამაროვნის ფი-ბულებიანი სამარხების დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 5, 2000, გვ. 65-71.
12. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქარ-თველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლე-მები. თბ., 1973.
13. ფიცხელაური კ. იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი გულტურა. თბ., 1965.
14. ფიცხელაური კ., მენაბდე ც. გადრეკი-ლის არქეოლოგიური ძეგლები. – კაეშ, V, 1982.
15. ქავთარაძე გ. საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბ., 1981.
16. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ის-ტორიისათვის. თბ., 1965.
17. ჯაფარიძე თ. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969.
18. **აბრამიშვილი რ. მ.** Хронология и периодизация памятников Восточной Грузии и синхронизация с ним основных комплексов Закавказья, монография წაკითხული 1978 წ. სიღ-ნაღის საკავშირო კონფერენციაზე, ხელნაბეჭდი (ინახება რ. აბრამიშვილის არქივში).
19. **Вальчак С. Б., Скаков А. Ю.** Диоргические "пекторали" предскифского периода. – РА, 2000, № 2, с. 47-53.

**20.** Гамбашидзе О., Гамбашидзе И. Мечет-Джавахетская экспедиция в 1984 году. – ПАИ, 1984-1985 (1987), с. 328-331.

**21.** Иессен А. А. Из истории Мильско-Карахской степи. – Труды Азербайджанской археологической экспедиции, т. II, М.-Л., 1965.

**22.** Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

**23.** Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе. – Աւագ, XII-Բ, 1944, զ. 291-397.

**24.** Мартиросян А. А. Армения в эпоху поздней бронзы и раннего железа. Ереван. 1969.

**25.** Полин С. В. О хронологии раннескифской культуры (по И. Н. Медведской). – РА, 1998, № 4, с. 50-59.

**26.** Техов Б. В. Стырфазские кромлехи. Цхинвали. 1974

**26а.** Техов Б. В. К истории изучения памятников энеолита и бронзы в нижнем течении реки Большой Лиахви. Тб. 1963.

**27.** Abramishvili R, Le necropole de Samtavro et chronologie des civilisations archéologiques du bronze recent et du début du fer eu Caucase. – VIII congress international des sciences préhistoriques et protohistoriques (Belgrade), Moscow, 1971, p. 1-10.

**28.** Abramishvili R. und M. Archäologische Denkmäler in Tbilisi, unter Wegs zum Goldenen Vlies. Archäologische Funde aus Georgian, Saarbrücken, 1995, S. 190-205.

**29.** Abramishvili R. Chronological Ordering of Archaeological finds of Transcaucasia. – Bulletin of Tbilisi Archaeological Museum, № 1, 1997.

**30.** Badalian R., Smith A., Avetisian P. – The Emergence of Sociopolitical Complexity in Southern Caucasia; An Interim Report on the Research of Project ARAGATS. – Archaeology in the Borderlands, Monograph 47, Los Angeles, 2003, զ. 144-165.

**31.** Bayern Fr. Untersuchungen über die ältesten Gräber-und Schatzfunde in Kaukasien. – ZE, Supplement, Berlin 1885.

**32.** Blinckenberg Chr. Fibules grecques et orientales. Kobenhavn, 1926.

**33.** Edelstein G. Tombs de marchands guerriers au nord d'Acre. – Archeologia Tresors des Ages, N 60, 1973, զ. 57-63.

**34.** Kossak G. Tli grab 85, Bemerkungen zum Beginn des skythenrailichen Formenkreises in Kaukasus. Kommision für Allgemeine und Vergleichende Archäologie des Deutschen Archäologischen Instituts, Bonn, Beiträge zur Allgemeinen und Vergleichenden Archäologie, 5, 1983.

**35.** Shaeffer Cl. Stratigraphie comparée et chronologie de l'Asie Occidentales, Oxford, 1948.

**36.** Shaeffer Cl. Ugaritica, III, Mission de Ras Shamra, VIII, Paris, 1956.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ბრინჯაოს ფიბულები: 1. სამთავროს № 591 სამარხიდან; 2. სამთავროს № 600 სამარხიდან; 3. თრელის № 71 სამარხიდან; 4. თრელის № 49 სამარხიდან (რ. აბრამიშვილის მიხედვით [5, նախ. 80]); 5. თეთრიწყლების № 5 სამარხიდან (ბ. მაისურაძის მიხედვით [6, ტაბ. XIX<sub>7</sub>]); 6. არაშენდას სამლოცველოდან (კ. ფიც-ხელაურის მიხედვით [11, ტაბ. XLII]).

ტაბ. II – თრელის № 71 სამარხის კერამიკა და რკინის ტარშეურჩენელი მახვილი.

ტაბ. III – ნაქულბაქევის № 3 სამარხის ინვენტარის ნაწილი – რკინის: 1. ფიგურულტარიანი მახვილი ბრინჯაოს ტარით და ქარქაშით; 2. სატევარი ბრინჯაოს ჭვირული ტარით; ბრინჯაო: 3. ფიბულა; 4. სამაჯურები ჭდეული ზედაპირით; 5. ბეჭდები; 6. პინცეტი; 7. საკინძები; 8. კილიტი; 9. ისრისპირი; 10. მანჭვალი; 11. ძვლის ისრისპირი.

ტაბ. IV – ბეჭთაშენის № 13 სამარხი: 1. შუბისპირი; 2. ხუთკოპა საკინძი პირამიდისებური თავით; 3. რქის საყბეური (2 ც.); 4. ნამგალი; 5. კავები (4 ც.); 6. მუზარადი; 7. ლაგამი (2 ც.); 8, 10. ძვლის ნივთები; 9. ქვის სატეხი; 11. სატევარი; 12. სარტყელი; 13. ძვლის და 14. სარდიონის მმივები; 15. ხვია; 16. პინცეტი; 17. რკინის დანა ბრინჯაოს ორი მანჭვლით; 18. ხუთკოპა ლანგტებისთავი; 19-26. კერამიკა. სამარხში ასევე აღმოჩენილია ბრტყელი სამაჯური და თხელფირფიტოვანი უკენტიანი ისრისპირები.

ტაბ. V – კუშჩის № 8 სამარხი: 1. სამხრეთ ამიერკავკასიური ტიპის შედგენილტარიანი სატევარი; 2. შუბისპირი; 3. განვე-ყარაბაბალული ტიპის სატევარი; 4. დანა; 5. სამაჯური.

ტაბ. VI – სურამის კოლექცია: 1-5. ბრინჯაოს სამაჯურები; 6. ბრინჯაოს ფოთლისებრი სატევარი; 7. ბრინჯაოს კოლხური ტიპის ცული; 8. ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი

ტაბ. VII – ხიზაბავრას კომპლექსი:<sup>18</sup> 1-2. ბრინჯაოს თოხები; 3. ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი; 4. ბრინჯაოს ფოთლისებრი სატევარი.

### Description of the plates

Pl. I – Bronze fibulae: 1. from burial 591 of Samtavro; 2. from burial 600 of Samtavro; 3. from burial 71 of Treli; 4. from burial 49 of Treli (after R. Abramishvili [5, fig. 80]); 5. from burial 5 of Tetritslebi (after B. Maisuradze [6, pl. XIX<sub>7</sub>]); 6. from Arashenda meeting-house (after K. Pitskhelauri [11, pl. XLII]).

<sup>18</sup> ტაბულები IV-VII შედგენილია რ. აბრამიშვილის ჩანახატების მიხედვით.

Pl. II – Pottery and an iron sword with handle missing from burial 7 of Treli.

Pl. III – Part of the grave goods from burial 3 of Nakulbakevi: 1. iron sword with bronze figural handle and sheath; 2. iron dagger; 3. bronze fibula; 4. bronze bracelets with knotted surface; 5. bronze finger-rings; 6. bronze pincers; 7. bronze pins; 8. bronze button; 9. bronze arrowhead; 10. bronze nail; 11. bone arrowhead

Pl. IV. burial 13 of Beshtasheni: 1. bronze spearhead; 2. bronze five-bossed pin with pyramidal head; 3. bone mouthpiece (2 pieces); 4. sickle; 5. bronze hooks (4 pieces); 6. bronze helmet; 7. bronze bit (2 pieces); 8, 10. bone items; 9. stone chisel; 11. bronze dagger; 12. bronze belt; 13. bone beads; 14 sard beads; 15. bronze spiral; 16. bronze pincers; 17. iron knife with two bronze nails; 18. bronze five-bossed macehead; 19-26. pottery; a flat bracelet and thin-plate arrowheads with hooks have also found in the burial.


Pl. V - burial 8 of Kushchi – bronze: 1. compound-handled dagger of South-Caucasian type; 2. spearhead; 3. Ganja-Karabakh type dagger; 4. knife; 5. bracelet.

Pl. VI – Surami collection: 1-5. bronze bracelets; 6. bronze leaf-shaped dagger; 7. bronze spearhead.


Pl. VII – Khizabavra complex:<sup>19</sup> 1-2. bronze hoes; 3. bronze sparhead; 4. bronze leaf-shaped dagger.

---


<sup>19</sup> Plates IV-VII are compiled according to R. Abramishvilis' drawings




1




2




3



4





5




6


ঋড. II







ঋঢ. IV





♂♂. VI





## ლერი ჯიბლაძე

### ახალი ინფორმაცია გაღის რაიონის სოფ. გაბილაში აღმოჩენილ ბრინჯაოს ინვენტარზე

უკანასკნელ პერიოდში ჩვენი თანაავტორობით რამდენიმე სტატია იქნა გამოქვეყნებული გალის რაიონის სოფ. გაგიდაში შემთხვევით აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთებზე [10, გვ. 237-243; 11, გვ. 39-41; 12, გვ. 203-208; 13, გვ. 74-82].<sup>20</sup> უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, სოფ. გაგიდის ზღვისპირა სანაპირო ზოლში ადგილ „ისორეტში“ უახლესი ტრანსგრესიული პროცესების შედეგად ზღვის მიერ მიტაცებული და წყლით დაფარული იქნა ხელოვნურად გამართული ბორცვ-ნამოსახლარი (დიხა-გუმუბა)<sup>21</sup> და ასევე, როგორც ჩანს, შუა და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდის სამაროვნის გარკვეული ნაწილი. ვფიქრობთ, ამ კატეგორიის ძეგლის არსებობას უნდა ადასტურებდეს ამ მიდამოებიდან მომდინარე ბრინჯაოს სხვადასხვა ხასიათის ნივთები: უკამილიანი ცულები, შუბისპირები, დისკოსებრთავიანი საკინძები, სატევრისპირები, სხვადასხვა ტიპის სამკაული, მრგვალდერიანი, სპირალურბოლოებიანი (სათვალისებური ფორმის) დუგმები და ა.შ. (დაწვრილებით იხილეთ, 13, გვ. 74-82, ტაბ. I-IV).

როგორც ჩვენ გადმოვცეს, ამჟამადაც სოფ. გაგიდაში ყოველი ზღვის დელვის დროს სანაპიროზე ირიყება ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც ხელთ უვარდებათ ადგილობრივ მცხოვრებლებს. შემდეგ კი ხდება მათ მუზეუმებში ჩაბარება ან, შესაძლოა, კერძო პირებზე გაყიდვა.

წინამდებარე სტატიაში შემდეგი ახლადმოპოვებული ბრინჯაოს ნივთებია წარმოდგენილი: დისკოსებრთავიანი საკინძი, სატევრისპირი, შუბისპირი და დუგმა (ტაბ. I<sub>4</sub>).<sup>22</sup>

1. სოფ. გაგიდაში მოპოვებულ ბრინჯაოს მასალებში ერთი ცალი მრგვალგანიველითანი, ნა-

<sup>20</sup> ინტენსიური ძიების შედეგად ჩვენამდე მხოლოდ სამჯერ მოაღწია სოფ. გაგიდიდან მომდინარე შემთხვევით აღმოჩენილმა ბრინჯაოს ნივთებმა, რომლის მხოლოდ აღწერა და ჩახატვა შევძებლით.

<sup>21</sup> 1985-1986 წწ. აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპლიციის (ხელმძღვანელი მ. ბარამიძე) ერთ-ერთმა რაზმა (რაზმის უფროსი ი. წვინარია) 10×10 კვ. მეტრის ფართობზე შეისწავლა სოფ. გაგიდაში ზღვისპირა ტერასაზე მდებარე წინარე ანტიკური ხანის ნამოსახლარი. იმ პერიოდში მდ. გაგიდისწყლის მარცხნა სანაპიროზე, ზღვის სანაპიროზე 25 მ-ის დაშორებით წენარ ამინდში მართლაც ჩანდა დიხა-გუმუბას ზედა ნაწილი. ზღვის სანაპიროზე კი გამორიყელი იყო დიდაღი კერამიკული მასალა. როგორც ჩვენ ადგილობრივმა მაცხოვებლებმა გადმოგვცეს, ეს დიხა-გუმუბა გასული საუკუნის 70-იან წლებში ზღვის სანაპიროსთან ახლოს ყოფილა გამართული, შემდეგ კი ტრანსგრესიული პროცესების შედეგად ზღვას მოუტაცია.

<sup>22</sup> ბრინჯაოს ნივთები მოგვაწოდა აფხაზეთიდან ლტოლვილმა ტარიელ არონიამ.

ჭედი, დისკოსებრთავიანი საკინძი შედის, რომლის მთლიანი სიგრძეა 23 სმ, ხოლო დეროსი კი 16 სმ. ღეროს დასაწყისში, ტანის ზედა ნაწილში დატანილია მრგვალი ფორმის ნახვრეტი. ტანზე, შუა ნაწილში დაუყვება გრეხილი (ტაბ. I). ანალოგიურ საკინძებს შეიცავდა გაგიდის ადრე გამოქვეყნებული კოლექცია [13, ტაბ. III<sub>2-6</sub>]. ასეთი ტიპის საკინძები გვხვდება ასევე ბრინჯის (ადრეული კომპლექსები), მოდინახეს (შუაბრინჯაოს ხანის სამარხები), თრიალეთისა და წაღვლის სამაროვნებზე [6, გვ. 149, ტაბ. XXIV<sub>465</sub>; 2, გვ. 9, სურ. VIII; 4, გვ. 14; 14, გვ. 24; 15, სურ. 21].

2. ბრინჯაოს სატევრისპირი (სიგრძე 12 სმ) ნაჭედია და ცუდადა დაცული (ტაბ. I<sub>3</sub>). აქვს ნაკლული მრგვალი ყუნწი, დაშვებული მხრები, ბრტყელ-განიველითანი, დაბალქედიანი ტანი, რომელიც მომრგვალებული წვეროსკენ თანდათანიბით ვიწროვდება. სატევრის პირი გვერდებზე ოდნავ ნაკლულია. ეს ნივთი ზოგიერთი ელემენტის მიხედვით ახლოს დგას თლიასა და ბრინჯის სამაროვნების უადრესი კომპლექსების სამარხების სატევრისპირებთან [1, ტაბ. X<sub>1,2</sub>]. ახლო პარალელები შეინიშნება ჭოლიას ნამოსახლარზე აღმოჩენილ ანალოგიურ ნივთთან [5, გვ. 37]. შეიძლება ითქვას, რომ იგი ტიპოლოგიური მონაცემებით თითქმის მთლიანად იმეორებს გაგიდაში ადრე აღმოჩენილ სატევრისპირის ზოგიერთ სახეობას [13, გვ. 75, ტაბ. II<sub>2,3</sub>].

3. გაგიდის ბრინჯაოს შებისპირს (სიგრძე 15 სმ) გააჩნია საშუალო ზომის გახსნილი მასარა, მაღალი ქედი და დაშვებული მხრები (ტაბ. I<sub>2</sub>). თითქმის სამკუთხა მოყანილობის ბრტყელ-განიველითანი, გვერდებზე ოდნავ ნაკლული ტანი პირისკენ თანდათანიბით ვიწროვდება. ეს შებისპირი ფორმის მიხედვით იმეორებს ჩვენს მიერ ადრე გამოქვეყნებულ გაგიდის ანალოგიურ ნიმუშებს [13, ტაბ. I<sub>1-3</sub>]. ასევე ახლო პარალელები შეიძრება წაღვლის, ბრილის, ნულის, თლიას (უადრესი კომპლექსები), მოდინახეს, მესხეთ-ჯავახეთის შუაბრინჯაოს ხანისა და გვიანი ბრინჯაოს საწყისი ეტაპის შებისპირებითან [1, ტაბ. X<sub>10-12</sub>; 3, გვ. 5-8; 4, გვ. 5-17; 6, გვ. 37, ტაბ. IV<sub>12,13,16</sub>; 7, ტაბ. II; 14, ტაბ. IX<sub>3</sub>].

4. მსხვილლერობინი, სპირალურბოლოებინი (სათვალისებური ფორმის) დუგმა ერთ ცალადაა წარმოდგენილი (ტაბ. I<sub>4</sub>). ერთ გვერდზე ნაკლულია. ღეროზე დატანილია ნაჭედები. ანალოგიური ნივთები ცნობილია წაღვლის, ბრილის, თლიას, მოდინახეს სამაროვნებზე და მესხეთ-ჯავახეთში [6, ტაბ. XXIV<sub>465</sub>; 9; 13, ტაბ. 8<sub>7</sub>, 9<sub>9</sub>].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, გაგიდის სამაროვნიდან მომდინარეობს ფრიად საყურადღებო

და საინტერესო მასალები. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ გასაგები ობიექტური მიზეზების გამო არ შეგვიძლია ბრინჯაოს კოლექციის აღმოჩენის ადგილის დათვალიერება და სამარხთა ტიპების განსაზღვრა. იმულებული ვხდებით, როგორც კი გაგიდიდან მომდინარე ბრინჯაოს ინკვენტარზე ხელი მიგვიწვდება, პერიოდულად გაქვეყნოთ, რათა არქეოლოგიური სამეცნიერო წრისათვის ეს აღმოჩენები დაკარგული არ დარჩეს. დასანაია ის ფაქტი, რომ, როგორც ჩანს, გაგიდის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს მასალების დიდი ნაწილი სხვადასხვა ადგილებში იუანტება და ჩვენთვის ხელმიუწვდომელი რჩება.

ვფიქრობთ, გაგიდიდან მომდინარე ბრინჯაოს ეს კოლექცია ზოგადად ძვ.წ. XVII-XIV საუნდა განისაზღვროს.

## L. Jibladze

### NEW INFORMATION ABOUT THE BRONZE GRAVE GOODS DISCOVERED IN V. GAGIDA, GALI DISTRICT

(Summary)

Recently numerous bronze items have been discovered in the coastal zone of v. Gagida, Gali district. They presumably stem from a burial ground. The bronze collection appears to be dateable to the 17<sup>th</sup>-15<sup>th</sup> cent. B.C.

#### ლიტერატურა

1. გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952.
2. ლომთაძე გ. ახლად აღმოჩენილი სამარხი მოდინახედან. – ნარკვევები, III. თბ., 1997, გვ. 3-11.
3. ლომთაძე გ. მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. – არქეოლოგიური ჟურნალი, I, 2000, გვ. 5-18.
4. ლომთაძე გ. მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. – არქეოლოგიური ჟურნალი, II, 2002, გვ. 5-17.
5. მურვანიძე ბ. რამდენიმე ექსპონატი ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან. – გურია, III, თბ., 2001, გვ. 36-39.
6. რამიშვილი ალ. ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღვლში. I, თბ., 2004.
7. ფანცხავა ლ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. ბრილის სამაროვნის 1939 წ. გათხრილი № 12 სამარხის დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 8, 2001, გვ. 39-48.
8. ფხავაძე გ., ბარაშიძე მ. ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი გალის რაიონში. – კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატება VI, 2001), გვ. 125-128.

9. ღამბაშიძე ი. სამცხე ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებში (ბორჯომის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი თბ., 1999.

10. ხვისტანი რ., ჯიბლაძე ლ., ბაბუაშვილი რ., ფიფიძე გ. ბრინჯაოს ხანის ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა მდ. ენგურის აუზიდან. – საისტორიო ძიებანი, V, თბ., 2002, გვ. 237-243.

11. ხვისტანი რ.; ჯიბლაძე ლ; ბაბუაშვილი რ; ფიფიძე გ. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში. – აფხაზეთის მოამბე, № 6-7, თბ., 2004, გვ. 39-41.

12. ჯიბლაძე ლ., ხვისტანი რ., ბაბუაშვილი რ., ფიფიძე გ. შუაბრინჯაოს ხანის შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა მდ. ენგურის აუზში. – საისტორიო ძიებანი, IV, თბ., 2001, გვ. 203-208.

13. ჯიბლაძე ლ., ბაბუაშვილი რ., ხვისტანი რ. შუა და გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენა გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში. – ძიებანი, № 13-14 გვ. 74-82.

14. Техов В. Б. Центральный Кавказ в XVI-XV вв до н. э. М., 1977

15. Техов В. Б. Тлийский могильник. Тб., 1980.


#### ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – 1. დისკოსებრთავიანი საკინძი; 2. შუბისპირი; 3. სატევრისპირი; 4. სპირალურთავიანი დუგმა.

#### Description of the plates

Pl. I – 1. Pin with discoid head; 2. spearhead; 3. dagger-blade; 4. spiral-headed hook

♂♂δ. I



## ბიძინა მურვანიძე

### ელი-ბაბას სამაროვანი

ელი-ბაბას (საბეჭდავის) სამაროვანი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, თრიალეთის პლატოზე. სამაროვანი მიეკუთვნება ელი-ბაბას მთის თხემზე და ფერდობებზე მდებარე ნამოსახლარს [7, გვ. 124].

აღნიშნული ნამოსახლარი XX ს-ის 30-იან წლებში უნახია ბ. კუფტინს და მისი ხელმძღვანელობით დატანილია ვ. წილოსანის მიერ შედგენილ რუკაზე. ამავე ნამოსახლარის ჩრდილოეთით, მდ. ბაშკოვ-სუს მარჯვენა ნაპირზე, დატანილია ნიშანი, რომელიც სამაროვანს აღნიშნავს. მეორე სამაროვანი ნამოსახლარის სამხრეთ-აღმოსავლეთით 100 მ-ის დაცილებით, შმრალი ხევის მარცხენა ნაპირზე უნდა მდებარეობდეს. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილზე ხვნის დროს მიივებს და სხვა, როგორც ჩანს, სამარხეულ მასალას პოულობდა. მესამე სამაროვანი ნამოსახლარის აღმოსავლეთით 150 მ-ის დაცილებით მდებარეობს.

სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა რიგით მეოთხე სამაროვანზე, რომელიც მდებარეობს სოფ. ბეჭთაშენსა (ბეშქენა-შენი) და სოფ. ბაშკოის (ბარეთი) შორის, ელი-ბაბას მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ბაშკოვ-სუს მარცხენა ნაპირზე (ტაბ. I) [6, გვ. 3].

სამაროვანი გამართულია ბაზალტის ქვის ორ დიდ მასივს შორის მოქცეულ ჩაღრმავებაში, რომელიც მიწითაა შექსებული. ჩაღრმავების სიგრძე ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 100 მ-ია, აღმოსავლეთ-დასავლეთით – 200 მ. სამაროვნის ფართობი კი  $40 \times 50$  მ<sup>2</sup>-ია, რომელიც იმდენად ინტენსიურადა ათვისებული, რომ სამარხთა კრომლეხები და ყრილები უმეტეს შემთხვევაში დარღვეულია მეზობელი სამარხების გამართვისას. მიუხედავად ბევრი თავისუფალი ადგილისა, სამარხები მიჯრითაა გამართული. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სამაროვანი ფიზიკურად ან ვირტუალურად იყო შემოსაზღვრული, რომლის გარეთაც სამარხთა გამართვა არ ხდებოდა. გათხრების დროს ზღუდის ან შემოსაზღვრის რაომე ნაშთი არ დადასტურებულა. სავარაუდოა, რომ სამაროვნის გარეთ დარჩენილი ადგილი ტაბუირებული იყო (ტაბ. II).

სამაროვნის საზღვრების დაგენის შემდეგ მთელ ფართობზე მოიხსნა მიწის ფენა. გამოვლენილი ქვაყრილი იმდენად ინტენსიური იყო, რომ სამარხთა ქვაყრილების კონტურების დადგენა არ მოხერხდა. ამავე დონეზე ჩნდებოდა სამარხეული ინვენტარი, ამიტომ სამაროვანი გაითხარა ფენა-ფენად, რამაც შემდგომში გარკვეულწილად გაადვილა იმ რთული და ზოგჯერ აუხსნელი მომენტების გაანალიზება, რომებიც გათხრის დროს იჩენდა თავს.

საჭიროდ ჩავთვალეთ, მოკლედ აგვეწერა სამაროვნის გათხრის თანმიმდევრობა, რათა უფრო ნათელი ყოფილიყო დონეების მიხედვით ფიქსაციის აუცილებლობა [6, გვ. 7-9].

ჰუმუსის (I დონე) მოხსნის შემდეგ გამოვლინდა წვრილი ქვების ინტენსიური ყრილი, რომელშიც ალაგ-ალაგ ამოჩრილი იყო ბაზალტის დიდი ფილაქები.

ამ ტაბზე (II დონე) სამარხთა კონსტრუქცია ნათლად არ იკვეთებოდა, არც მათი საზღვრების დადგენა იქნა შესაძლებელი, ამიტომ სამაროვნის მთელ ფართობზე მოიხსნა ეს დონე, რის შემდეგაც (III დონე) გამოვლინდა სამარხთა ქვაყრილები, კრომლეხები და სახურავები.

III დონის მოხსნის შემდეგ დაფიქსირდა სამარხთა კონსტრუქციის ძირითადი ნაწილები (კრომლეხი, სამარხი კამერის სახურავი), რომლებიც IV დონედ იქნა დაფიქსირებული (ტაბ. II).

სამარხი კამერების შესწავლის (V დონე) შემდეგ, მოხსნილი იქნა ყველა კრომლეხი, რომელთა ქვეშ სამარხთა თუ რიტუალის ნაშთები დააღსტურდა (VI დონე).

არქეოლოგიური მასალა I დონეზე არ დადასტურებულა, II დონეზე მცირე რაოდენობითაა დაფიქსირებული, III და IV დონეები კი დიდი რაოდენობით შეიცავდა მასალას. ამ დონეებზე აღმოჩნდა კერამიკა (ზოგიერთ შემთხვევაში მთლიანი ეგზემპლარები), მძივები და ლითონის სხვადასხვა ნივთები. V დონეს შეესაბამება სამარხეული ინვენტარი, VI დონე სამარხთა კრომლეხებისა და ქვაყრილების ფილების მოხსნის შემდეგ დაფიქსირდა.

III-IV დონეებზე აღმოჩნდილი მასალები ძირითადად იმ სამარხებს ეკუთვნის, რომელთა კრომლეხის შიგნითაც ისინი დაფიქსირდა.

როგორც ჩანს, ქვაყრილების თავზე (II დონე) აღმოჩნდილი მასალების ნაწილი სამარხთა გაძარცვისას არის ამოცრილი. მარცვა იმ დროს ჩანს მომხდარი, როცა სამარხთა ქვაყრილები მიწით არ იყო დაფარული.

თუმცა, ამავე პერიოდის კნოლეს სამაროვანს, რომელიც სულ რაღაც 1,0 კმ-ითაა დაცილებული ელი-ბაბას, გაძარცვის კვალი არ ეტყობა.

სამაროვნის ასეთი მასიური ძარცვა თრიალეთში დღემდე დაფიქსირებული არ ყოფილა. თრიალეთში გათხრილი ამავე ეპოქის კნოლეს, ბეშთაშენის, სანთას, წინწყაროს, თაქ-ქილისას სამაროვნებზე მიცვალებულთა ნაშთებიც იქნა დადასტურებული და ინვენტარიც სამარხი კამერაში იყო განთავსებული. მხოლოდ თაქ-ქილისას სამაროვნის აღწერისას ბ. კუფტინი თავის დღიურში აღნიშნავს, რომ ქვაყრილში ფიქსირდება თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ეს ფაქტი შეიძლება სამარხების რიტუალურ ძარცვაზე მიუთითებდეს.

სამაროვნის ზემოთ აღწერილი მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ:

II დონეზე მასალები სამარხთა ძარცვის შედეგად უნდა მოხვედრილიყო;

III დონეზე აღმოჩენილი ინკანტარი ქვაყრილების გამართვის დროს შესრულებული რიტუალის შედეგად დარჩა;

IV დონის მასალები სამარხი კამერის და კრომლეხის გამართვის შემდეგ ჩატარებული რიტუალის ნაშთებს მიეკუთვნება;

V დონე დაკრძალვის პროცესში ჩატანებულ ნივთებს შეიცავს;

VI დონეზე დაფიქსირებული მასალები კრომლეხის გამართვამდე შესრულებულ რიტუალს უკავშირდება.

სამაროვანზე გათხრილი 127 სამარხიდან დიდი უმრავლესობა ქვაყუთია, დანარჩენი – ორმოსამარხი. ორივე ტიპის სამარხებს ქვის წრეები (კრომლეხები) აქვს შემოვლებული, ზოგჯერ წრის წყობა ორმაგია, რომელიც მოზრდილი ქვებით არის შედგენილი. წრის შიგა სივრცე წვრილი ქვებით არის შეგვებული (ტაბ. II, III).

ქვაყუთები მოგრძო ფორმისაა, კედლები შედგენილია ბრტყელი, დაუმუშავებელი ბაზალტის ქვის ფილებისაგან. თავის დროზე გადახურული ყოფილა ორი ან სამი ბრტყელი ქვით, თუმცა გათხრის მომენტისათვის ბოლომდე გადახურული, ხელუხლებელი სამარხი თითქმის არ შემორჩენილა. ხშირად სახურავთა უმეტესობა გადაადგილებულია და სამარხი კამერის გვერდით დევს, უმეტეს შემთხვევაში, დასავლეთის მხარეს (ტაბ. VI, XI).

ზოგჯერ სამარხის კედლები შედგენილია რამდენიმე ქვისგან. არის შემთხვევები, როცა მთლიანად კედლები ან კედლის ნაწილი ნატეხი ქვებით არის ამოყვანილი. კედლის მშენებლობაში შემაგრების მიზნით, ან „ბალიშებად“ გამოყენებულია მომცრო ზომის ბრტყელი ქვები. კუთხების შეერთების ადგილი წვრილი რიყის ქვებით არის შევსებული.

სამარხების უმეტესობა დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზეა დამხრიბილი, გამონაკლისს მხოლოდ რამდენიმე სამარხი წარმოადგენს, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ არის დამხრიბილი.

ქვაყუთები და ორმოსამარხები გვერდი-გვერდაა გამართული. მხოლოდ ერთი, № 53 ორმოსამარხია გამართული სამაროვნიდან ჩრდილოეთით, ორი მეტრის დაცილებით (ტაბ. II).

დასაკრძალავი კამერის ორმოები დედაქანშია ჩაჭრილი, შესაბამისად, სამარხის იატაკი ყვითელი ფერის თიხატეპნილია, მხოლოდ რამდენიმე მცირე ზომის ქვაყუთი და ორმოა გამართული შავი ფერის ჰუმუსში.

სამაროვანზე მიცვალებულთა ნაშთები მხოლოდ რამდენიმე სამარხში დადასტურდა. სამარხები ინდივიდუალურია. დადასტურებული

ფაქტების მიხედვით, ისინი დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ზელ-ფეხმოკეცილი, თავით – დასავლეთით.

მიცვალებულთა ძვლების არარსებობა, ნიადაგის მჟავიანობის ან, უფრო სწორად, სამარხთა ზელმეორედ გახსნის (ძარცვა) შედეგად ძვლების ჰაერზე მოხვედრის გამო დაშლის მიზეზით უნდა აიხსნას. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მიცვალებულის კრემაცია ხდებოდა. კრემაციის ნიშნები თითქოს შეინიშნება №№ 17, 42 და 46 სამარხებში.

№ 17 სამარხის კამერის ცენტრალურ ნაწილში ამოჭრილია ორმო, რომელშიც დგას შუაზე გადაჭრილი ჭურჭლის ქვედა ნაწილი (ტაბ. IV). ზედა ნაწილები, ერთ რიგად, დაწყობილი იყო იქვე, სამარხის იატაკზე. ლაბორატორიული დამუშავებისას გაირკვა, რომ ჭურჭლის ზედა ნაწილი დეფორმირებულია ცეცხლის ზემოქმედების შედეგად. ჭურჭლში აღმოჩნდა რამდენიმე მძივი და კოხის ქვები. ასეთი ფაქტი სამაროვანზე № 42 სამარხშიც დაფიქსირდა, როცა თიხის ჭურჭლი იატაკში ამოთხრილ ორმოშია ჩადგმული (ტაბ. XII). ამ სამარხებში მიცვალებულის ნაშთი არ დადასტურებულა. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გავაქს მიცვალებულთა კრემაციასთან, რომელთა ფერფლი იატაკში ჩადგმულ ჭურჭლებში იყო მოთავსებული. თუმცა ამ ვარაუდის დასამტკიცებლად მონაცემებია აშკარად მცირეა. აქ შეიძლება აღვინიშნოთ № 48 სამარხში დადასტურებული ნახმირის და დამწვარი ძვლების აღმოჩნდის ფაქტიც.

დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებით ერთ-ერთ საინტერესო ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ პატარა ზომის ქვის ფილებით შედგენილი ყუთები ან მცირე ზომის ორმოების რომლებიც შეიძლება ცრუ სამარხებს სამალაგებს ან დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებულ ადგილებს წარმოადგენნ. ისინი ძირითადი სამარხის (№№ 18 18 20 20 42 45) კრომლეხის გარშემო (№№ 19 89 94 96 98 117 120) ან ქვეშ მდებარეობენ (ტაბ. III დ XI). მათ დამოუკიდებელი ქვაყრილებიც აქვთ. ასეთ სამარხებში (№№ 89 96) თიხის ჭურჭლიდან ჩატარებით შევსებული ისებ რომ თავისუფალი ადგილი დატოვებული არ არის ზოგიერთში მხოლოდ მძივები აღმოჩნდა. № 42 სამარხის გარშემო ოთხი ასეთი ?ორმო% დადასტურდა (ტაბ. XI). არ არის გამორიცხული რომ მცირე ზომის სამარხები სწორედ ძირითად დიდი ზომის სამარხებთანაა დაკავშირებული დაბ ამდენად რიტუალის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

რიტუალის ეს სახე შესანიშნავად არის დაფიქსირებული საფარ-ხარაბას უფრო ადრეული ხანის სამაროვანზე, სადაც ძირითადი სამარხის გვერდით, მისგან ჩრდილოეთით, გამართულია

სარიტუალო ორმოები, რომლებშიც თიხის ჭურჭელია ჩადგმული [5].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქვის ანთროპომორფული ფიგურა. ეს არის პირველი შემთხვევა თრიალეთში ამ ტიპის ქანდაკების აღმოჩენისა, რომელიც სამარხზე (№ 42) არის დადგმული (ტაბ. XI, XII).

ელი-ბაბას სამაროვანზე მოპოვებული თიხის ნაწარმის უმეტესობა ხელითაა ნაძერწი, დამზადებულია ტლანქად, ერთგვაროვანია და ნაკლებად ორნამენტირებული. კეცი შეიცავს მსხვილ მინარევებს, გამომწვარია ძირითად მოყავისფრო-მოჩალისფროდ ან აგურისფრად. ასეთ ჭურჭელს მიეკუთვნება პატარა და საშუალო ზომის ქოთხები, სასმისები და ჯამები.

თიხის ჭურჭლის მეორე ნაწილი ჩარჩხეა დამზადებული. თიხა შედარებით კარგადაა განლექილი, შეიცავს წვრილ მინარევებს. გამომწვარია მოშავო-მოყავისფროდ ან მოჩალისფროდ. ასეთი ჭურჭლები უფრო დიდი ზომისაა, ესენია: დერგები, დოქები, ლანგრები, ასევე, პატარა ზომის ქოთხები. მათი უმრავლესობა ორნამენტირებულია.

რკინის იარაღებიდან სამაროვანზე მოპოვებულია: სატევრები, შუბისპირები და დანები.

რკინის სამკაულიდან მხოლოდ რამდენიმე დაზიანებული სამაჯურია დაფიქსირებული.

შედარებით მეტია ბრინჯაოს ნივთები. იარაღიდან მხოლოდ ერთი ისრისპირია ნაპოვნი. დაფიქსირებულია ასევე ბრინჯაოს რამდენიმე კვერთხისთავი. სამკაული წარმოდგენილია სამაჯურების, სხვადასხვა ტიპის საკიდების, როლების და ბეჭდების სახით.

მოპოვებული მასალებიდან შედარებით მრავალფეროვნად გამოიყრება მძივები. სარდიონის, აქატის და ქალცედონის მძივებთან ერთად დიდი რაოდენობითა დაფიქსირებული სხვადასხვა ფორმის და ფერის პასტის მძივები. მათ შორის ჭარბობს „დომინოსებრი“ მძივები, რომელიც დამახასიათებელია ქვემო ქართლის სამაროვნებისათვის [3, გვ. 104-106].

წარმოდგენილი მცირე ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამაროვანი იმ დროსაა გამართული, როდესაც ეკონომიკის დონე დაცემულია, რაზეც მიუთითებს ლითონის ინვენტარის სიცირე და მდარე ხარისხის ხელით ნაძერწი კერამიკა.

ელი-ბაბას (საბეჭდავის) სამაროვნის მასალები (ტაბ. V, VII, VIII, IX, X, XIII) განსაკუთრებულ მსგავსებას ამჟღავნებს ქვემო ქართლის რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების – განთიადის [2, გვ. 38-105], ორწყლების [8, გვ. 29-30], ღრმახევისთავის [1, გვ. 101-199], კნოლეს [7, გვ. 126], ბეშთაშენის [9, გვ. 65], წინწყაროს [4, გვ. 5-21], თაქ-ქილისასა [9, გვ. 55] და სხვა სამაროვანთა სამარხეულ ინვენტართან.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ელი-ბაბას სამაროვანი უნდა დათარიღდეს ძვ. წ. VII-VI საუკუნეებით.

## B. Murvanidze

### THE ELI-BABA BURIAL GROUND

(Summary)

The Eli-Baba (Sabechdavi) burial ground is situated on Trialeti plateau, South Georgia.

The Eli-baba mountain crest is occupied by the "cyclopean" settlement site of Sabechdavi. According to the material found here, the site is dated to the 8th-6th cent. B.C. The site has four burial grounds of various periods. The burial ground under discussion lies between v. Beshtasheni and v. Bashkoi, on the north-eastern slope of Eli-Baba mountain, on the left bank of the Bashkov-su river.

The Territory of the burial ground came within the zone of construction of the Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline. Archaeological excavations on the site were conducted in 2002-2003. 127 burials were excavated. Their majority are cists; pit burials also occur, with stone circles (cromlechs) round them. The area of the stone circle is filled with small and medium-size stones. The burials are individual. The burial chambers are oriented along the E-W line. The deceased are laid to rest on the right or left side, in crouched posture, the head turned west.

According to the material found in the burials the necropolis is dated to the 7<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries B.C.

## ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კანიანი კ. ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1980.

2. ავალიშვილი გ. ქვემო ქართლი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბ., 1974.

3. დავლიანიძე ც. ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბ., 1982.

4. მენაბდე მ., დავლიანიძე ც. თრიალეთის სამაროვნები, კატალოგი I. თბ., 1968.

5. ნარიმანიშვილი გ. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. 2005 წელს საფარ-ხარაბას სამაროვანზე ჩატარებული კპლევა-ძიება. თბ., 2005 (ხელნაწერი, ინახება აკც-ში).

6. ნარიმანიშვილი გ. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2002-2003 წწ. ელი-ბაბას სამაროვანზე ჩატარებული კპლევა-ძიებას ანგარიში, თბ., 2003 (ხელნაწერი, ინახება აკც-ში).

7. ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ., ზან-შაშვილი ნ., მელიქიძე შ. წალკის ექსპე-დიცია 1990-1992 წლებში. – საველე არქეო-ლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში, თბ., 2003, გვ. 123-128.

8. ხაхиანი კ., ირემაშვილი შ., იო-დინიშვილი ჯ., ცქვიტინიძე ვ. არქეო-ლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში, თბ., 2003, გვ. 123-128.

9. კუფტინ ბ. არქეოლოგიური გა-დგრენილობა

ტაბ. I – ელი-ბაბა. ტოპოგეგმა.  
ტაბ. II – ელი-ბაბას სამაროვანი. გეგმა.  
ტაბ. III – სამარხი № 17. გეგმები.  
ტაბ. IV – სამარხი № 17. გეგმა და ჭრილები.  
ტაბ. V – სამარხი № 17. ინვენტარი: 1, 2, 6.  
სარდიონისა და პასტის მძივები; 3, 4, 9. ბრინ-ჯაოს რკოლები; 5. ბრინჯაოს ისრისპირი; 7, 8.  
რკინის ფრაგმენტები; 10. თიხის ჭურჭელი.

ტაბ. VI – სამარხი № 21. გეგმა და ჭრილები.  
ტაბ. VII – სამარხი № 21. ინვენტარი: 1-3.  
თიხის ჭურჭელი; 4-6, 10, 11. ბრინჯაოს საკიდები;  
7. ბრინჯაოს მილაკები; 8, 9. პასტის მძივები.

ტაბ. VIII – სამარხი № 21. ინვენტარი: 1.  
ბრინჯაოს სამაჯური; 2. სარდიონის მძივები.

ტაბ. IX – სამარხი № 21. ინვენტარი: 1.  
სარდიონისა და აქატის მძივები; 2-3. ბრინჯაოს  
საკიდები; 4-5. ანთიმონის (?) საკიდები.

ტაბ. X – სამარხი № 21. ინვენტარი: 1-2.  
პასტის მძივები.

ტაბ. XI – სამარხი № 42. 1, 3. გეგმები; 2.  
ანთროპომორფული ფიგურა.

ტაბ. XII – სამარხი № 42. გეგმა და ჭრი-ლები.

ტაბ. XIII – სამარხი № 42. ინვენტარი: 1,  
3. რკინის სატევრები; 2. სარდიონის მძივი; 4-7.  
თიხის ჭურჭელი.

### Description of the plates

Pl. I – Eli-Baba. Topographical plan.

Pl. II – Eli-Baba necropolis. Plan.

Pl. III – grave No. 17. Plans.

Pl. IV – grave No. 17. Plan and sections.

Pl. V – grave No. 17. Grave goods: 1, 2, 6.  
cornelian and paste beads; 3, 4, 9. bronze rings; 5.  
bronze arrowhead; 7-8. iron fragments; 10-11.  
clay vessels.

Pl. VI – grave No. 21. Plan and sections.

Pl. VII – grave No. 21. Grave goods: 1, 3. clay  
vessels; 4-6, 10-11. bronze pendants; 7. bronze  
tubes; 8-9. paste beads.

Pl. VIII – grave No. 21. Grave goods: 1.  
bronze bracelet; 2. cornelian beads.


Pl. IX – grave No. 21. Grave goods: 1.  
cornelian and agate beads; 2-3. bronze pendants;  
4-5. antimony (?) beads.

Pl. X – grave No. 21. grave goods: 1-2. paste  
beads.


Pl. XI – grave No. 42. 1, 3. Plans; 2, Anthro-  
pomorphic figurine.



Pl. XII – grave No. 42. Plan and sections.

Pl. XIII – grave No. 42. Grave goods: 1, 3.  
iron daggers; 2. cornelian beads; 4-7. clay vessels.




୪୯୬. ॥







ঘোড়া. IV




1 - 1




2 - 2




0 20 40 60




ঘোষ. VI







♂δ. VII


ঘোষ. VIII






ঘোষ. X







Ѳаð. XII




1 - 1



2 - 2



0 20 40 60



## ნანა ბახსოლიანი

### ძვ.შ. | ათასოდეულის პირველი ნახტომის აღმოსაზღვრი მცირე აზია არქეოლოგიური გათხრების შედეგები

XX საუკუნის შუა წანებიდან დაწყებული ამ ბოლო დრომდე აღმოსავლეთ მცირე აზიაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა გვიანხე-თური წანის სამეცნ-სამთავროთა ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარ-მოადგენს.

გვიანხეთური წანის მუშქების განსახლების სავარაუდო ტერიტორიაზე (დღევ. კონია) ჩატა-რებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მატერიალურ ძეგლთა ნაშთებს, ძი-რითადად, თიხის ჭურჭელი წარმოადგენს. 1964 წელს კონიაში გათხრების შედეგად უამრავი ორმო აღმოჩნდა, რომლებშიც დოქების (ძირითა-დად, ნაცრისფერი ჭურჭლის) ნამსხვრევები აღ-მოაჩინენ. ნაგებობათა ნაშთები არ გამოვლინდა [19, გვ. 86].

მოგვიანებით არქეოლოგებმა კვლავ კონიის რეგიონში (აღათინ თევზში) წაზოვანი სტილით მოხატული, ცხოველთა ფიგურებით დამშვენე-ბული ჭურჭელი იპოვეს. ჭურჭელზე, ძირითა-დად, ლომები, თხები და შევარდნებია გამოსა-ხული, ირმებისა და წარების გამოსახულებები იშვიათადაა წარმოდგენილი. ამ ჭურჭელს მკვლე-ვარები ძვ.წ. VIII საუკუნით ათარიღებენ [34, გვ. 169-180].

1975 წელს კონიის რეგიონში მდებარე ყარა-ჰუიუქში სფინქსის გამოსახულებიანი ვაზა აღ-მოჩნდა. იგი საკულტო დანიშნულების უნდა ყო-ფილიყო. ხეთურ-იეროგლიფურად ნავი ცის აღ-მნიშვნელ იეროგლიფს წააგავს. ხეთური ტექს-ტების მიხედვით მას ლიბაციის შესასრულებ-ლად იყენებდნენ და *tapisana* ეწოდება.

სფინქსის მამაკაცის თავი აქვს. მას დიდი ყურები, სპირალური ფორმის ნაწინავი, სქელი წარბები, სწორი ცხვირი, ულვაშები, თხელი ტუჩები და სამკუთხედი წვერი აქვს. ამ ვაზას, როგორც ჩანს, მეორე მხარესაც პქონდა ასე-თივე ფიგურა გამოსახული, რადგან კერამიკის კიდევ ერთ ფრაგმენტზე აღმოჩნდა მამაკაცის თავის გამოსახულება. აღნიშნულ ვაზას ძირზე ლომის თათები პქონდა. ჭურჭელი კარგად გაპ-რიალებული და ყავისფერი იყო [4, გვ. 9-11].

XX საუკუნის 90-იან წლებში არქეოლოგი-ური გათხრების შედეგად კონიაში Kicikisla-ს მხარეში კერამიკული ნაწარმი გამოვლინდა, რო-მელიც ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევ-რით თარიღდება. მოპოვებული თიხის ჭურჭელი ახლო მსგავსებას დასავლეთ და სამხრეთ-დასავ-ლეთ ანატოლიურ კერამიკასთან ამჟღავნებს, რო-გორიცაა იონიური ჩიტაინი ვაზები, შავ-წითელი თიხის ჭურჭელი [35, გვ. 782].

ჯ. მელარტის მოსაზრებით, ტავრის მთათა სისტემა ჩვენთვის საინტერესო ჭურჭლის გავრ-ცელების სამხრეთით საზღვარს ქმნიდა. გორდიონში მიკვლეული ცხოველთა ფიგურებით მოხატული კერამიკის მსგავსი თიხის ჭურჭელი კონიაშიც დასტურდება. ჩანს, რომ კონია ასეთი სახეობის აღმოსავლეთ საზღვარს წარმოადგენ-და, რადგან კონიის რეგიონის დასავლეთ მხა-რეში ჯერჯერობით მჯდომარე ცხოველებით მოხატული თიხის ჭურჭელი არ გამოვლენილა [6, გვ. 1].

როგორც დავინახეთ, მუშქების განსახლების სავარაუდო ტერიტორიაზე (კონიის რეგიონში) მოპოვებულ თიხის ჭურჭელს თასები და ვაზები შეადგენს. თიხის ჭურჭლის როგორც შიგნითა, ისე გარეთა მხარეც მოხატულია. მათი დეკო-რაციის სახე მოტივების ფართო მწკრივს გვი-ჩვენებს. გამოყენებულია როგორც პარალელური ზოლები, ვერტიკალური წაზები პარალელურ ზოლებს შორის, ისე კონცენტრირებული წრე-ები, ტალღოვანი წაზები, ჭადრაკის დაფისებრი სახეები, დიაგონალური და წერტილოვანი სა-ხეები [6, გვ. 7].

გაცილებით მეტი არქეოლოგიური მასალა თაბალისათვის სავარაუდო ტერიტორიაზეა აღ-მოჩნდა. გვიანხეთური წანის თაბალის სხვა-დასხვა რაიონებში ნაპოვნი ცალკეული ძეგლე-ბისა თუ ნაქალაქარების ნაშთები საშუალებას გვაძლევს, რათა მეტ-ნაკლებად აღვადგინოთ მი-სი ისტორია.

1968 წ. გოლუდაღის მაღალმა ბორცვმა არ-ქეოლოგების ყურადღება მიიბყრო. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გვიანხეთური წანის ნაქა-ლაქარი გამოვლინდა. ბბორცვის უმაღლესი ნა-წილი გარშემოვლებული იყო აღმოსავლეთ-და-სავლეთის მხრიდან 1 კმ სიგრძის კედლით. კე-დელს სამი ჭიშკარი, აღმოსავლეთით, დასავლე-თით და სამხრეთით, პქონდა დატანებული. ოვალური ფორმის კედელი, რომელიც თავდაც-ვით ნაგებობას ეკუთხნდა, დასავლეთიდან კრატერითა და ტბით იყო გარშემოვლებული და ამიტომ მას გოლუდაღი ეწოდება. დღიდი პარა-ლელოგრამის ციტადელი (დაახლ. 100×261 მ) შიგნით ნაგებობათა კომპლექსით ცენტრში იყო აღმართული. ქალაქის ცალკეული ნაგებობანი ერთმანეთისაგან ქუჩებით იყო გამოყოფილი. შესასვლელი ფართო იყო. შიდა ჭიშკარი მჯდო-მარე სფინქსების რელიეფური გამოსახულე-ბანით იყო გაფორმებული. ხოლო ციტადელის შესასვლელი ორთავიანი და ოთხთავიანი ლომე-ბის ფიგურებით დამშვენებული. ეს ფიგურები ახლა კაისერის მუზეუმში ინახება. იქვე, აღ-შარ IV-ის მსგავსი ხელით ნაკეთები ცხოველთა

ფიგურებით მოხატული თიხის ჭურჭელსაც მიაკვლიეს. ეს კერამიკული ნაწარმი სტილისტურად უფრო მდიდრულია, ვიდრე გორდიონსა ან ალიშარში აღმოჩენილი. ეს გავაფიქრებინებს, რომ გოლუდალი და კონიის ზონა უნდა ყოფილიყო წარმოების ცენტრი. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ქალაქი ძვ.წ. VIII ს-ში ხანძრის შედეგად განადგურებულა და მას შემდეგ აღარ გაშენებულა [15, გვ. 213-214; 37, გვ. 19].

წარმატებული გამოდგა არქეოლოგიური გათხრები ქიულ-თეფეში. ბორცვის გათხრისას ქალაქის ნაწილი იქნა გასუფთავებული. ქალაქის კედელი ჰქონდა გარშემოვლებული. იგი 6 მეტრი სისქის იყო და მასში მართკუთხა კოშკები იყო დატანებული. შიგნით ქვის კიბე ზემოთ აღილა. თვით კედელი კირ-დუღაბის გარეშე იყო აგებული. დასახლება ძვ.წ. IX-VII საუკუნეებით თარიღდება.

მოგვანებით სრულად წარმოჩნდა ნაქალაქარის სურათი: ნაგებობა მეგარონის ტიპის, გადაუხურავი იყო; ოთახი დაუმუშავებელი ობისიდანით დაფარული; შესასვლელი სვეტებით დამშვენებული. სხვა ნაგებობები ნათალი ქვის ბლოკებით იყო ნაშენი, კედლები სქელი იყო. იქვე დიდი რაოდენობით ქოთხები აღმოჩნდა. ისინი ალიშარ IV-ის მსგავსია და ცხოველთა მოტივებითაა მოხატული. ნაცრისფერი და შავი ფერის ჭურჭელი იშვიათია, ხოლო მკრთალი ყვთელი და და ყავისფერი დიდი რაოდენობით აღმოჩნდა. იგი ადგილობრივი ნაწარმა [27, გვ. 19].

გვიანეთური ხანის ნაქალაქარი კულულუს ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ქალაქი ტერასის ფორმის ბორცვზე იყო გაშენებული. მას სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა, რადგან ბორცვი სიგასისა და მალატიის გზებზე ადვილი შესამჩნევი იყო. აქაც ქალაქი გალავნით იყო გარშემორტყმული. დასახლება მასიური ნაგებობებისგან შედგებოდა. კულულუს ნაქალაქარი გოლუდალის მსგავსად გადამწვარი და დანგრეულია. იგი დაახლოებით ძვ.წ. VIII საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

უკვე კარგად ცნობილი მოხატული ე.წ. „ფრიგიული“ კერამიკა კულულუშიც აღმოჩნდა. თურქების მიერ შეგროვილია ბაზალტისა და ანდეზიტის ფრაგმენტები, სტელა იეროგლიფური წარწერით, ტყვიის ფირფიტები იეროგლიფურ-ლუკიური ტექსტებით, მონუმენტური ქანდაკებები. მათ რიგს განეკუთვნებიან – სფინქსის თავი, ხელის ფრაგმენტი, წვეროსანი ღვთაების ქანდაკება რქიანი გვირგვინითა და ვარდულებით შემკული თავსაბურავით, სხვა ქანდაკებათა პატარა ფრაგმენტები, რომლებიც ახლა კაისერის მუზეუმში ინახება. ბევრ მათგანს ჩაუტარდა რესტავრაცია და ტყვიის ფირფიტების ახალი მონაცემებით მკვლევარებმა ბაზალტის უთავო ქანდაკება თაბალის მეფე ვასურმეს ვასალს

მიაკუთვნეს. ქანდაკება 3 მეტრი სიმაღლისაა და სამოსი ფუნჯებითა და ზიგზაგისებური სალტეთია გაწყობილი [16, გვ. 135; 17, გვ. 166-167; 1, გვ. 26-27].

პორსუქში ზეივე-ჰუიუქის მაღალ ბორცვზე არქეოლოგებმა გათხრების შედეგად ქალაქის დიდი ნაწილი გაწმინდეს. იგი გვიანხეთური ხანის დასახლება აღმოჩნდა. ააგურის დიდი კედლები ქვის საძირკველზე იყო ნაშენი, რომლის სისქი 2.50 მეტრი, ხოლო შემორჩენილი სიმაღლე 3 მეტრი იყო. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს გვიანხეთურ ხანაში საფორტიფიკაციო სისტემის განვითარებას. წნავებობას კოშკები ამშვენებდა. იგი პატარა ქვებით იყო აგებული და ოთხეტოხელი ფორმისაა. კედლებში კი ქვის კარიბჭეა დატანებული.

პორსუქის რეგიონში Ulukışla-ს ტერიტორიაზე საკმაოდ დაზიანებული დიდი საფორტიფიკაციო კედლელი გაიწმინდა. მოგვიანებით, ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მთლიანი სახით იქნა გამოვლენილი ამ საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთები. გაირკვა, რომ ოდნავ დაქანებულ ადგილას მდებარე ციტადელს პარალელური კედლები საზღვრავდა. ძველი შესასვლელი ამოვსებული და სხვა მხარეს იქნა გადატანილი. ახალი შესასვლელი კი, გამოუმწვარი აგურის კამაროვანი სახურავით იყო გადახურული. წნაქალაქარი გვიანხეთური ხანით თარიღდება.

პორსუქში ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად კიდევ ერთი დასახლების ნაშთები მაღალ ბორცვზე აღმოჩნდა – წინა ჭიშკარი თავისი სახურავით, ხის კოჭებითა და კარით, რომელიც ხეთურ კონსტრუქციას განეკუთვნება. არქეოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ეს ნასახლარიც დამწვარია.

პორსუქის სამოსახლოებში არაჩეულებრივი თიხის ჭურჭელი გამოვლინდა: ნარინჯისფერი თასები, მონოქრომიულ თეთრ ლივლივაზე მოხატული, მრგვალპირიანი დოქები, პარალელური და ტალღოვანი ხაზებით მორთული; მაღალი პითოსი, რვა პორიზონტალური ამობურცული ზოლებით მოხატული. მძისი ზემო ნაწილი ყურის ორი მწერივით იყო მორთული და ვარდულის შთაბეჭდილებას ქმნიდა. პითოსის ტუჩის ქვეშ ხარის თავის რელიეფური გამოსახულება ამშვენებდა. ჭურჭელთან ერთად სამურნეო დანიშნულების იარაღიც იდო – ძვლის საგანი, ტარი, ნემსკავი ბრინჯაოს მოქლონებით, რომლის ბოლოში რკინის ფრაგმენტი იყო. მკვლევარები ზემოხსენებულ ნივთებს ძვ.წ. IX-VII საუკუნეებით ათარიღებენ. [28, გვ. 13, 53, 55; 3, გვ. 23; 29, გვ. 55].

ჩვენთვის საინტერესო ხანის თაბალური ნაქალაქარი არქეოლოგებმა ტოპაკლიშიც გათხა-

რეს.Qქალაქის სრული სურათის აღდგენა მისი სერიოზული დაზიანების გამო შეუძლებელია. თუმცა, ქალაქის თავდაცვითი სიმაგრის უზარ-მაზარი კედელი ნათლად მეტყველებს დასახლების დაგეგმარებისა და არქიტექტურის სრულყოფილებაზე. აღნიშნული კედლის სიგანე 4.60 მეტრი და სიმაღლე 3.50 მეტრი იყო. მას ჯე-ბირიც ჰქონდა.

ტოპაკლიში, ისევე როგორც სხვა თაბაღურ სამოსახლოებზე, დიდი რაოდენობითაა აღმოჩე-ნილი კერამიკული ჭურჭელი (ძირითადად, თა-სები, ვაზები). ისინი ლაკწასმულია და ყვითე-ლი, წითელი და მწვანე ფერებითაა მოხატული, რომლებზეც გეომეტრიული მოტივები საკმაოდ მარტივადაა დეკორირებული. მოხატულ ჭურ-ჭელთან ერთად გამოუმწვარი თიხის ზებუს ქანდაკება აღმოჩნდა [28, გვ. 64; 33, გვ. 67; 32, გვ. 49-50; 13, გვ. 64].

ნიღდეს რეგიონში Pinarbaşı ჰუიუქში მდე-ბარე მაღალი ბორცვის გათხრისას ფრიგიული ხანით დათარიღებული ნაქალაქარი გამოვლინ-და, რომელიც ისლამური სამარხებით იყო გა-დაფარული. ნაგებობის საძირკველი დიდი ნათა-ლი ქვებითაა ნაშენი. იატაკის ქვეშ პოლიქრო-მიული თიხის ჭურჭლის ნამტვრევები აღმოჩნდა. კერამიკული ჭურჭელი ყვითლად, შავ პარა-ლელურ ხაზებად დია წითელსა და ვარდისფერ ფონზე მოხატული, თავმოყრილი წრებითა და სამკუთხედი მოტივებით დამშენებული. ააქ მო-ნოქრომული (მუქი ნაცრისფერი) ფრიგიული ჭურჭელიც იყო. აარქეოლოგების მიერ ნაპოვნია წითელი და შავი პრიალა ჭურჭელი, რომელთაც ცხოველების (ხარი, ირემი, თხა) გამოსახულებები ამშვენებდა. თიხის ჭურჭელთან ერთად, საწყობი ყუთები, პითოსი (რომელშიც ბავშვის ჩონჩხი იყო მოთავსებული და ზემოდან ქვა ეფარა), სხვადასხვა სამეურნეო იარაღები (ძვლისა და რქისგან დამზადებული დანები, შების წვერები და სხვ.) აღმოჩნდა [33, გვ. 259].

ნიღდე-თეფებაღლარში ბორცვის გათხრისას საფორტიფიკაციო ნაგებობის ფრაგმენტები და კერამიკული ნაწარმი გამოვლინდა. იგი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. 1975 წ. ნიღ-დეს მიზგითში ვარპალაგას ვაჟის შავი ბაზალ-ტის სტელაც იქნა ნაპოვნი.

ნიღდეს ჩრდილო-დასავლეთით Keşlik-ის მხა-რეში კლდეში გაჭრილი გზა იქნა აღმოჩნდილი, რომელიც ზემო და ქვემო დასახლებულ ბორ-ცვებს ერთმანეთთან აკავშირებდა. შორიახლოს სტელაზე გამოსახულია ვარპალაგა ქალღვთაება ქუბაბასა და სხვა ღვთაებებთან ერთად. ამჟამად რესტავრირებული და ნიღდეს მუზეუმში ექსპო-ნირებულია ბაზალტის სტელა, რომელზეც ტახტზე მჯდარი ქალღვთაება ქუბაბა და წა-მოწოლილი ლომია გამოსახული. ნიღდე Gök-bez-ში კლდის რელიეფზე ამინდის ღვთაება ცუ-

ლითა და ჰექა-ქუხილის სიმბოლოთია წარმოდ-გენილი. მართალია, რელიეფი დაუმთავრებელია, მაგრამ მონუმენტური გამოსახულება სახვითი ხელოვნების მაღალ მხატვრულ ნიმუშს წარმო-ადგენს. რამდენიმე ადგილას ნაპოვნია რელიე-ფურ გამოსახულებათა ფრაგმენტები: ლომ-კაცი აღმართული ხელებით, ტახტზე მჯდარი ფიგუ-რა, რომელიც ფეხზე იდგა [18, გვ. 300; 19, გვ. 435; 20, გვ. 470; 21, გვ. 337].

ტავროსის საბადოების ინტენსიურმა კვლევა-ძიებამ არქეოლოგები ბულდარ-მადენთან ვერ-ცხლისა და ტყვიის უძველესი საბადოების ნაკ-ვალევთან მიიყვანა. ქრონოლოგიურად იგი გვი-ანხეთურ დასახლებებთან იქნა მიახლოებული [22, გვ. 452].

გვიანებული ხანის თაბაღში მმართველობის აღმინისტრაციის მაღალ დონეს ამ ტერიტო-რიაზე აღმოჩნდილი ამჟამად მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში მოხვედრილი საბეჭდავები მიუთითებს. ეს საბეჭდავები სამეცნიერო ლიტე-რატურაში ასე განიხილება: “ადამიანის თავი”, “მუშტის” და “მუშტის ფორმის ცილინდრული” საბეჭდავები. მათზე მრავალგვარი სცენებია გა-მოსახული: ვარდულები, გაჭენებული ცხენი, მთის თხა, წყვილი მორიელი, ხუთი ნიშანი და სადღესასწაულო სცენები.

უფრო სრული სურათის შესაქმნელად სა-ინტერესოა, რომ თაბაღის ტერიტორიაზე XX საუკუნის 90-იან წლებში ზორარქეოლოგების მიერ მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის ფარის, თხების, მელის, კურდღლის, ჩიტებისა და ქვე-წარმავლების ძვლები დეტალურად იქნა შეს-წავლილი. ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად ბოტანიკური (ხის ნახშირი, თესლები) მატე-რიალური ნაშთებიც აღმოჩნდა [38, გვ. 10; 14, გვ. 99]. არქეოლოგიური მასალა დიდ დახმა-რებას გაგვიწევს სამეურნეო ყოფა-ცხოვრების შესწავლის საქმეში.

თაბაღური სამოსახლოების მსგავსად არქე-ოლოგიური გათხრები მაღატიაშიც მაღალ ბორ-ცვებზე მიმდინარეობდა და დღესაც ინტენსიუ-რად გრძელდება. ჰარაბა (Haraba) ერთ-ერთ ბორცვზე რომაული და ელინისტური ფენების ქვეშ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნაქალაქარი გაითხარა. იგი ძალიან დაზიანე-ბული იყო და ამიტომ ქალაქის დაგეგმარების სრული სურათის აღდგენა არ მოხერხდა. შენო-ბების იატაკებები დიდი რაოდენობით გვიანებული ხანის კერამიკული ჭურჭელი გამოვლინ-და. ნაწარმი თხელკედლიანი იყო და მოხატული ყვითელი, მუქი ყავისფერითა და სხვადასხვა გეომეტრიული ორნამენტებით დამ-შვენებული.

Değirmenlerpe-ს ბორცვზეც თითქმის ყველა პერიოდის ნასახლარის ნაგრევები აღმოჩნდა, რაც ზოგადად, აღბათ, მაღატიაში ცხოვრების უწყვეტი ხაზით მიმდინარეობაზე მიუთითებს. ჩვენთვის საინტერესო ხანის ნაგებობათა ნან-

გრევებით თუ ვიმსჯელებთ, შენობები ტალანთიანი აგურისგან იყო აგებული. საძირკველი კი, დიდი ქვებისგან შედგებოდა. იატაკიც აგურის იყო. იქვე სხვადასხვა ზომისა და ფორმის აგურებიც გამოვლინდა, რაც მაღატიაში მეოუნეობის დაწინაურებაზე მეტყველებს.

მაღატიასთან ახლოს Kötşkerbaba პურუში ურარტული ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობა მაღალი ბორცვის თავზე იყო გაშენებული. დასახლებას უზარმაზარი ქვის კედელი პქნდა გარშემოვლებული. აქ სადრენაჟო არხიც გადიოდა. ასქაც შენობები მასიური ქვის საძირკვლისა და აგურისგან იყო აშენებული. ზოგიერთი ნაგებობა დიდ და პატარა საწყობებსა და სამზარეულოებს წააგავდა. კერამიკული ნაწარმი ძალიან დაზიანებულია. მას მკვლევარები ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებენ.

Degirmentepere-ში ინტენსიური გათხრები დღესაც ვრძელდება. სხვა ბორცვზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად შიდა ციხე-სიმაგრე აღმოჩნდა, რომელიც გვიანხეთური ხანით თარიღდება.

მაღატიის დასახლებული პუნქტები მსგავსებას პოულობენ თაბაღურ დასახლებებთან, როგორც არქიტექტურული გეგმარებით, ასევე მხატვრული გაფორმებითაც. მაგალითად, არსლანთეფეში გათხრილი ნაქალაქარის სკულპტურული შესასვლელი და ლომის ფიგურებით დამშვენებული ჭიშკარი აღმოჩნდა [26, გვ. 33; 5, გვ. 16; 9, გვ. 188; 10, გვ. 184].

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ მცირე აზა, ჩვენთვის საინტერესო მაღატია ურარტული გზების ქსელით იყო დასერილი და მას როგორც სავაჭრო, ასევე სამშედრო მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ მხრივ საინტერესოა მდ. ევფრატის ზემო დინებაზე ნორშუნთეპესთან აღმოჩნდილი მომთაბარეთა ორი გაძარცული სამარხი. პირველი ცხენის სამარხს წარმოადგენს. მისი ზომებია – სიგანე 3,50, ხოლო სიმაღლე 3 მ. სამარხის კედლების სისქე 0,50 სმ-ია და მშრალი ქვისგანაა აგებული. იატაკი მაგრად დატაპნილი თიხის ფენისგან შედგება. დაახლოებით ორმოს ზემო კიდესთან ორი ულაყისბ თორი ძალისბ ცოტა უფრო ღრმად კიბ ფაშატის ჩონჩხები აღმოჩნდა. ცხოველები მსხვერპლად იყვნენ შეწირული. მიკვლეული კერამიკის მიხედვით სამარხი შეიძლება ძვ.წ. VII ს-ით დათარიღდეს. იგი ურარტუს დაცემას უკავშირდება.

მეორე ნაგებობა მრგვალკუთხიანი სამარხი იყო სიგანით 6 მ, ხოლო სიმაღლე 7 მ. სამარხში ადამიანის ჩონჩხის ნაწილები, რკინის ცულისა და დანის ფრაგმენტები გამოვლინდა. პ. პაუპტმანის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული სამარხი ცხენების მფლობელს ეკუთვნოდა, რასაც ცხენის სამარხში აღმოჩნდილი ინვენტარი (მათრახი,

ლაგამი, ბრინჯაოს ბეჭედი, ცული, დანა) ადასტურებს. პ. პაუპტმანი ამ ინვენტარის ახლო ანალოგებს სკვითურ კომპლექსებთან ხედავს.

ასეთივე სამარხები იმირლერას ტერიტორიაზე, ამასიასთან ახლოს, ვანის ტბის დასავლეთით მუშ რაიონში დაფიქსირდა [2, გვ. 154]. ზემოაღნიშნული არქეოლოგიური მონაპოვარი დიდ დახმარებას გაგვიწევს მაღატიის პოლიტიკური ისტორიისა და ურარტუსა და სხვა მომთაბარე ხალხებთან ურთიერთობის შესწავლის საქმეში.

მაღატიაში აღმოჩნდილი კლდის რელიეფების ერთი ნაწილი ღვთაებებს მათივე ატრიბუტებით წარმოადგენს, ნაწილი ლომსა და ირემზე ნადირობის სცენებს ასახავს, დანარჩენებზე კი, მსხვერპლშეწირვის რიტუალებია გამოსახული. აამ შემთხვევაში, როგორც წესი, მთავარი ფიგურები მეფე და ღვთაებაა. ზემოდასახელებული რელიეფური გამოსახულებანი დიდი ოსტატობითაა შესრულებული კლდის რელიეფებსა და სტელებზე და სახვითი ხელოვნების განვითარებაზე მეტყველებს [25, 105, 107, 109, 110, 111, 112, 113, 114, 117; 12, გვ. 169].

გვიანხეთური ხანის კუმუხის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა შედარებით უფრო მცირეა.

ხეთების მაცერიის დაცემის შემდეგ ძვ.წ. IX ს-ში დღევანდელი ადამიანის ვილაიეთში აღმოცენდა კუმუხის სამეფო რომლის ცენტრიც დღევანდელ სამსათანა ასოცირდება. ასურული ლურსმული წარწერების თანახმადბ სარგონ II-მ კუმუხი და მისი 62 ქალაქი დაიპყრო. არქეოლოგთა მიერ სწორედ რამდენიმე მათგანი გაითხარაბ თუმცა იმდენად დაზიანებულიბ რომ სრული სურათის აღდგენა თითქმის შეუძლებელია. მაგრამ ცალკეული ფრაგმენტების მეშვეობით შეიძლება კუმუხის ისტორიის საინტერესო ეტაპები შევისწავლოთ.

ზემოდასახელებული გვიანხეთური სამეფო-სამთავროების მსგავსად, კუმუხის ქალაქებიც მაღალ ბორცვებზე იყო გაშენებული. Tille პურუში გასული საუკუნის 80-90-იან წლებში არაერთი ბორცვი გათხარა. აქ დასახლებებისა და ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები აღმოჩნდა. ეს სტრატეგიული ადგილი იყო, რადგან აღმოსავლეთ-დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარეობდა.

მოგვიანებით, სხვა ბორცვზე წარმატებით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად კომპლექსურ ნაგებობათა ნაშთები და ალაყაფის კარები იქნა გამომზეურებული. ეს ქალაქი ხანგრძლივი ცეცხლის შედეგად განადგურებულა. თუმცა, გვიანხეთური ხანის მონუმენტური სკეტები და ლოდები იეროგლიფურ-ლუკიური წარწერებით თანამედროვე ნაგებობათა კომპლექსებშია ჩართული, ნივთები კი, მოსახლეობაში საძიებელი.

აქ ნაპოვნი თიხის ჭურჭელი, ძირითადად, თასები, ქოთნები, ხელითაა ნაკეთები. ჭურჭლის შიდაპირი ნაცრისფერია. მასთან ერთად უამრავი საბრძოლო (ხმალი, შუბისთავი) და სამურნეო იარაღიც იყო [36, გვ. 6-7; 7, გვ. 110].

სამსათში ბორცვის გათხრისას, რომაული და შემდეგ ელინისტური ფენების ქვეშ, ჩვენთვის საინტერესო ხანის ნაქალაქარი გამოვლინდა. დასახლება ჭიშკრის კომპლექსებს შეიცავდა. კედლები ძირითადად, წრიული დეკორაციებით გაწყობილი აგურებისგან იყო აგებული. კირქვისგან დამზადებული კიბის საფეხურები გვირაბის ფუნქციას ასრულებდა. იგი ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს აღმოჩნდა. როგორც ჩანს, გვირაბი ნაქალაქარს ქვემოთ მდებარე წყაროსთან აკავშირებდა. რამდენიმე ათეული (63) საფეხურის გასუფთავებისას წყლის რეზერვუარი აღმოჩნდა. ნაგებობის სახურავი ხეთურ სტილში ციკლოპური ბლოკებით იყო გადახურული.

სამსათის კერამიკული ჭურჭელი კონცენტრული წრეებითაა მოხატული. მასთან ერთად იეროვლიურ-ლუვიური წარწერები, ბაზალტის რელიეფების ფრაგმენტები (ადამიანის სახე, თმა, წვერი), ბრინჯაოს ჭრიფინა ასურული სტილის დოქტი და ოქროს ნივთების შესანახი სკივრი გამოვლინდა [22, გვ. 448; 23, გვ. 135].

ცილინდრული ფორმის საბეჭდავები, რომელიც გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ მცირე აზიის ტერიტორიაზე ბევრგანაა მიკვლეული, კუმუხის ტერიტორიაზეც დასტურდება. სამსათის ერთ-ერთ ბორცვზე სასახლის საფორტიფიკაციო ნაწილის, ჭიშკრისა და შიდა ციხე-სიმაგრის გარდა, სხვადასხვა ნივთებს შორის ცილინდრული საბეჭდავია ნაპოვნი. მმისი დიზაინი ასეა გამოსახული: ღვთაება ნავზე დგას, რომლის ბოლო მომრგვალებული ფორმისაა. ღვთაებას ხელში მთვარე და ომეგას სიმბოლო უჭირავს და მეფე თაყვანსცემს. მმეფეს თავზე კონუსისებური ფორმის ქუდი ეფარა. N6. ოზგუქის მოსაზრებით, ცილინდრულ საბეჭდავზე კუმუხის ღვთაება სინია გამოსახული [24, გვ. 554].

კუმუხის მონუმენტური ქანდაკებები, როგორიცაა კვარცხლბეკზე მდგომი ლომის ფიგურა ნემრუდ-დაღიდან, არწივები, ასევე ქალღვთაება ქუბაბას რელიეფური გამოსახულებები ანქოზიდან, ტახზე და სხვა ცხოველებზე ნადირობის ამსახველი სცენები ადამიანიდან, ღვთაების გამოსახულება ჰაქი-ბებეკლიდან [30, გვ. 170] და სხვა, მაღალი ოსტატობითა და დახვეწილი გემოვნებითაა შესრულებული.

კუმუხის მოსახლეობის სამურნეო საქმიანობის დასახასიათებლად ქილისთეფეში აღმოჩენილი 5 ერთმანეთის მოსაზღვრე სახელოსნო ღუმელებითურთ დიდ დახმარებას გაგვიწევს. ღუმელების ფუძე უზარმაზარი რიყის ქვისგან შედგებოდა. არქეოლოგებმა ამ ადგილებში რკი-

ნის პატარა და დიდი ნატეხები, ბრინჯოს ორნამენტებიანი ჯაჭვები, თიხის ქოთნების ნატეხები, სამეურნეო იარაღი, ცხენის ნალები, ღურსმნები და სხვადასხვა მოწყობილობა აღმოაჩინეს [8, გვ. 39-40].

როგორც ვხედავთ, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდილი მატერიალური კულტურის ძეგლები, დასახლებები თავისი ტოპოგრაფიითა და არქიტექტურული დაგეგმარებით ერთმანეთის მსგავსი არიან. ამ ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად ბევრგან ხეთური იმპერიის გადმონაშობები სხვადასხვა სფეროში გამოვლინდა. ეს, კიდევ ერთხელ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის აღმოსავლეთ მცირე აზიის სატფო-სამთავროთა ხეთურ ხასიათს უსვამს ხაზს.

### N. Bakhsoliani

#### EASTERN ASIA MINOR OF THE FIRST HALF OF THE 1<sup>ST</sup> MILLENNIUM BC ACCORDING TO ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS

(Summary)

Artifacts brought to light during archaeological excavations in eastern Asia Minor have been an important source for the study of the history of the Late Hittite Kingdoms from the middle of the 20th c. up to the present day.

The materials discovered as a result of archaeological studies allow us to discuss such questions as town-building, artisan production (pottery), monumental sculpture, roads, natural deposits and furnaces, administrative government (stamps), economical activities (based on zoo and botanical materials) of eastern Asia Minor of the 1st half of the first millennium BC.

## ლიტერატურა

1. ხაზარაძე ნ. აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბ., 1978.
2. Иванчик А. И. К вопросу об этнической принадлежности и археологической культуре киммерийцев. – ВДИ, 3, 1994, Москва, с. 151-159.
3. Alkim U. Recent archaeological research in Turkey. – AS, vol. XXI, 1971, p. 5-58.
4. Alp S. Eine Sphinxvase aus Karahöyük bei Konya. – Anadolu, XXI, Ankara, 1987, p. 9-11.
5. Bahar H. The Konya region in the Iron Age and its relations with Cilicia. – AS, vol. 49, 1999, p. 1-9.
6. Bilgi Ö. Recent archaeological research in Turkey. – AS, vol. XXXII, 1982, p. 9-22.
7. Blaylock S., French D., Summers G. The Adiyaman survey: an interim report. – AS, vol. XL, 1990, p. 81-135.
8. Dörner F. Recent archaeological research in Turkey. – AS, vol. XVI, 1966, p. 25-53.
9. Esin U. Recent archaeological research in Turkey. – AS, vol. XXXV, 1985, p. 175-214.
10. Esin U. Recent archaeological research in Turkey. – AS, vol. XXXVII, 1987, p. 179-223.
11. French D. Excavations at Can Hasan. – AS, vol. XV, 1965, p. 86-94.
12. Hellenkemper H., Wagner J. A late Hittite rock-relief on the river Karasu. – AS, vol. XXVII, 1977, p. 167-173..
13. Mallowan M. Carchemish, Reflections on the Chronology of the sculpture. – AS, vol. XXII, 1972, p. 63-85.
14. McGovern P. Science in archaeology. A review. H. Hongo, R. Meadow, Faunal analysis with a focus on Anatolian. – AJA, vol. 99, #1, Baltimore, 1995, p. 99.
15. Mellink M. Archaeology in Asia Minor. – AJA, vol. 73, #2, 1969, 213-214.
16. Mellink M. Archaeology in Asia Minor. – AJA, vol. 72, #2, 1968, p. 125-147.
17. Mellink M. Archaeology in Asia Minor. – AJA, vol. 74, #2 1970, p. 157-178.
18. Mellink M. Archaeology in Asia Minor. – AJA, vol. 81, #3 1977, 289-321.
19. Mellink M. Archaeology in Asia Minor. – AJA, vol. 87, #4, 1983, 427-442.
20. Mellink M. Archaeology in Asia Minor. – AJA, vol. 85, #4, 1981, p. 463-479.
21. Mellink M. Archaeology in Asia Minor. – AJA, vol. 83, #3, 1979, p. 331-344.
22. Mellink M. Archaeology in Asia Minor. – AJA, vol. 88, #4, 1984, p. 441-459.
23. Mellink M. Archaeology in Asia minor. – AJA, vol. 195, #1, 1991, p. 123-193.
24. Mellink M. Archaeology in Anatolia. – AJA, vol. 89, #4, 1985, p. 547-567.
25. Meriggi P. Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi – 2aE3a Serie. Roma, 1975.
26. Öğün B. Recent Archaeological Research in Turkey. – AS, vol. XXIV, 1974, p. 17-60.
27. Özgür T. Summary of Archaeological work in Turkey. – AS, IV, 1954, p. 15-27.
28. Pelon O. Recent archaeological research in Turkey. – AS, vol. XX, 1970, p. 7-35.
29. Pelon O. Recent archaeological research in Turkey. – AS, vol. XXII, 1972, p. 11-62.
30. Pelon O. Recent archaeological research in Turkey. – AS, vol. XXVII, 1977, p. 23-61.
31. Polacco L. Recent archaeological research in Turkey. – AS, vol. XXIII, 1973, p. 13-68.
32. Polacco O. Recent archaeological research in Turkey. – AS, vol. XXV, 1975, p. 15-52.
33. Sams G. Phrygian painted animals: Anatolian Orientalizing Art. – AS, vol. XXIV, 1974, p. 169-180.
34. Silistreli U. Recent archaeological research in Turkey. – AS, vol. XXXIII, 1983, p. 231-264.
35. Summers G. The year's work: Field research. – AS, vol. XXXIX, 1989, p. 3-16.
36. Roller L. Book Reviews: Anatolian Iron Ages. – AJA, Vol. 98, #4, 1994, p. 782.
37. Tescan B. Recent archaeological research in Turkey. – AS, XIX, 1969, p. 3-26.
38. Watkins T. Excavations at Pinarbaşı. – Anatolian Archaeology, vol. #1, 1995, p. 10.

## ამირან ქახიშვილი, მერაბ ხალგაში

ქიორესური ამფორების ერთი ჯგუფის დათარიღების საკითხებისათვის  
(ზიზხნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული ნეპროცესის მიხედვით)

ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის ბერძნული ნეკროპოლი (გაითხარა 273 სამარხი) აღმოსავლეთ პონტისპირეთში და მთლიანად ამიერკავკასიაში ელიურ ეთნოსთან უშუალოდ და კავშირებული ერთადერთი ძეგლია. შესწავლილი სამარხებისა და სარიტუალო კომპლექსების შესანიშნავი დაცულობა შესაძლებლობას იძლევა ზუსტად განისაზღვროს დაკრძალვის წესები, სამარხთა ტიპები და ჩაყოლებული ინვენტარის ქრონოლოგიური ჩარჩოები.

სარიტუალო მოედნებსა და ცალკეულ სამარხებში სხვა მასალასთან (ბერძნული მოხატული გაზები, ტორუეტიკის, საიუველირო ხელოვნებისა და გლიპტიკის ნიმუშები, პალესტრასთან დაკავშირებული ნივთები, ფერადი მნის ჭურჭელი, ტერაკოტები, მონეტები, სამკაულები და ა.შ.) ერთად მრავლადაა აღმოჩენილი სხვადასხვა ცენტრის ამფორები. წარმოდგენილ პუბლიკაციაში ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის ბერძნული ნეკროპოლის მონაცემების მიხედვით მოცემულია გვიანდელი ყელგამობერილი ქიოსური ამფორების ახლებური დათარიღება.

კუნძულ ქიოსის პრიდუქცია ადრიდანვე იწყებს გავრცელებას საქართველოს ზღვისპირეთში. ბათუმისციხეზე აღმოჩენილი თეთრანგობიანი ქიოსური ამფორები თიხის სტრუქტურის, დამზადების ტექნოლოგიის, მოხატულობისა და მრავალრიცხვოვნი ანალოგების მიხედვით ძვ.წ. VII ს-ის დასასრულითა და VI ს-ის დასაწყისით თარიღდება [1, გვ. 75]; შედარებით ინტენსიურ ხასიათს ძვ.წ. VI ს-ის ბოლოს, განსაკუთრებით კი, ძვ.წ. V ს-ის პირველ ნახევარში იღებს.

როგორც ცნობილია, ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ქიოსური ამფორების წარმოებაში მკვეთრი ცვლილებები ხდება. მათი ტანი უკვე კვერცხისებური მოყვანილობისაა, ქუსლი ცილინდრული, ღრმა ფოსოიანი. ყელი დაბალი და გამობერილია. გამობერილ ყელთან ერთად განსაკუთრებული მახასიათებელი ნიშანია ზედაპირის შავი და წითელი ლაკისებური საღებავით შედგენილი ზოლებითა და ჯვრისებურ გამოსახულებიანი გაფორმება [3, გვ. 27; 4, გვ. 96; 5, გვ. 16]. ამ სახეს ი. ბრაშინსკი ყელგამობერილი ამფორების აღრეულ ნიმუშებად მიიჩნევს და ათენის მასალებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ისინი ჩნდება ძვ.წ. VI ს-ის დასასრულს და არსებობს V ს-ის პირველ მეოთხედში [4, გვ. 96]. რ. კუკისა და პ. დიუპონის პუბლიკაციაში მოხატული ყელგამობერილი ამფორების ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად ძვ.წ. 480-470 წლებია მითითებული [7, გვ. 149]. ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედშიც ქიოსური ამფორების ფორმა ძირითადად უცვლელი რჩება

(ტაბ. I), მაგრამ ზედაპირზე მოხატულობა აღარ დასტურდება. ამავე პერიოდში ვრცელდება მეორე ვარიანტი, რომელთაც მაღალი, მხოლოდ ზედა ნაწილში გამობერილი ყელი აქვთ. განსხვავებულია ქუსლის კონფიგურაციაც – როგორადაა პროფილირებული და მორფოლოგიურად გვიანდელი, სწორყელიანი ამფორების მსგავსია (ტაბ. I<sub>2</sub>). ს. მონახოვის, ა. აბრამოვისა და ი. ბრაშინსკის კლასიფიკაციით ეს ტიპი გვხვდება ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედშიც [3, გვ. 27; 4, გვ. 16; 6, გვ. 144-145]. ელიზავეტსკის სამართვანზე ასეთ ამფორებთან ერთად აღმოჩენდა ძვ.წ. 430-425 წლების „პანათენური“ ტიპის ამფორა. ამის საფუძველზე ს. მონახოვი ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს მინიმუმ ძვ.წ. V ს. 20-იანი წლების შუახანებით განსაზღვრავს [6, გვ. 145, ტაბ. 49-1]. მიუთითებენ მათი და სწორყელიანი ამფორების თანაარსებობაზე [4, გვ. 16]. ჰ. მათინგლი კორინთოს ფორმუმის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში ჩატარებული გათხრების მიხედვით აღნიშნავს, რომ გამობერილყელიანი ქიოსური ამფორები ხმარებიდან საბოლოოდ ძვ.წ. 430-იან წლებში გამოდის და მათ მთლიანად ენაცვლება სწორყელიანი ამფორები [8, გვ. 78-79]. განსხვავებული სურათი შეინიშნება ფიჭვნარის მაგალითზე: ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედით დათარიღებულ სამარხებში ყელგამობერილი ამფორები საერთოდ არ გვხვდება, სწორყელიანები კი 25 ეგზემპლარითაა წარმოდგენილი. ძვ.წ. V ს-ის შუა ხანები, განსაკუთრებით მესამე მეოთხედი, ფიჭვნარის ბერძნული სამოსახლოს აყვავების ხანაა. კანონზომიერია ვიფიქროთ, რომ სწორყელიან ამფორებთან ერთად ფიჭვნარში ასეთი სახის პრიდუქციაც უნდა შემოტანათ. გასათვალისწინებელია ასევე ქიოსის პრიორიტეტული როლი კოლხეთიან, კონკრეტულად ფიჭვნართან მიმართებაში. ჩვენ მივდივართ დასკვნამდე, რომ ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებიდან ამ ტიპის ამფორების დამზადება მკვეთრად იზღუდება ან საერთოდ წყდება. სახეზეა სრულიად ახალი ფორმა ქიოსური ამფორებისა. კიდევ უფრო სანტერესოა ისიც, რომ ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედშივე ჩნდება უკვე მკვეთრად განსხვავებული ყელისა და ქუსლის მქონე ქიოსური ამფორების ტიპი. ამ შერიც განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედის ბერძნული ნეპროპოლის სააღაპო მოედანზე აღმოჩენილი 0,63 მ სიმაღლის ამფორა [2, გვ. 53, სურ. 129], რომელსაც აქვს ცილინდრული, სწორი ყელი, კონუსის ფორმასთან მიახლოებული კორპუსი და პროფილირებული, ტანისაგან გა-

მოყოფილი, ფოსოიანი ქუსლი (ტაბ. I<sub>3</sub>).<sup>23</sup> როგორც ჩანს, ადრეული ფორმებისათვის დამახასიათებელი ნიშნები თანდათანობით ქრება. იგვეთება ახალი სახეობა, რომელიც ჩამოყალიბებულ ფორმას ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედის დასაწყისისათვის ღებულობს.

ფიჭვნარის კომპლექსების მიხედვით ჩანს, რომ ყელგამობერილი ამფორების წარმოება ძვ.წ. V ს-ის შუახანებისათვის წყდება. ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედშივე ჩნდება ამ ცენტრის კერამიკული ტარის ახალი სახეობა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს გარდამავალ ფორმად ყელგამობერილ და სწორყელიან ქიოსურ ამფორებს შორის (ტაბ. I<sub>3</sub>). ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარში და IV საუკუნეში მხოლოდ სწორყელიანი ამფორები მზადდება. ვფიქრობთ, რომ ამ პერიოდის კომპლექსებში (ძვ.წ. V ს მეორე ნახევარი) ყელგამობერილი ამფორების აღმოჩენა შემთხვევითობით უნდა აიხსნას.

**A. Kakhidze, M. Khalvashi**

## TOWARDS THE DATING OF ONE GROUP OF CHIAN AMPHORAE (ACCORDING TO THE 5<sup>TH</sup> CENTURY B.C. NECROPOLIS OF PICHVNARI)

(Summary)

The paper presents a new chronology for the late Chian amphorae with bulging neck on the basis of the archaeological material of the 5<sup>th</sup> cent. B.C. obtained at the Pichvnari Greek necropolis. It is noted that production of amphorae with bulging neck ceased by the mid 5<sup>th</sup> cent. B.C. A new variety of Chian amphorae appeared in the second quarter of the 5<sup>th</sup> cent. B.C. It can be considered a transitional type from amphorae with bulging neck to those with a straight neck. Since only straight neck amphorae were manufactured in the second half of the 5<sup>th</sup> cent. B.C., the finds of convex-necked amphorae in complexes dated to this period should be considered accidental.

## ლიტერატურა

1. კახიძე ა., ხახუფაიშვილი დ. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის (წინაანტიკური და ანტიკური ხანა). – სდსძ, XVIII, 1989.
2. კახიძე ა., ვიკერსი მ. ფიჭვნარი I – კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები – 1998-2002 წწ.). ბათუმი-ოქსფორდი, 2004.

<sup>23</sup> ანალოგიური ამფორა აღმოჩენილია ჩრდილო შავიზღვისპირეთში [5, გვ. 99, ტაბ. X-2].

**3. Абрамов А. П.** Античные амфоры. Периодизация и хронология. – Боспорский сборник, 3, М., 1993, сс. 4-135.

**4. Брашинский И. Б.** Греческий керамический импорт на Нижнем Дону. Ленинград, 1980.

**5. Брашинский И. Б.** Методы исследования античной торговли. Ленинград, 1984.

**6. Монахов С. Ю.** Греческие амфоры в Причерноморье, комплексы керамической тары. Саратов, 1999.

**7. Cook R. M., Dupont P.** Archaic East Greek trade amphoras. – East Greek Pottery, London, 2002, pp. 142-190.

**8. H. B. Mattingly,** Coins and amphoras. Chios, Samos and Thasos in the fifth century B.C. – JHS, vol. CI, 1981, pp. 79-86.


## ფაბულის აღწერილობა

ტაბ. I – ფიჭვნარის ძვ.წ. V-IV სს ქიოსური ამფორები.

## Description of the plate

Pl. I – Chian amphorae of the 5<sup>th</sup>-4<sup>th</sup> centuries B.C. from Pichvnari.

ঘোষ. ।



## ქეთევან ჯაგანიშვილი

### გლიპტიკურ ქამოფენების ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები III. გეგმა სამთავროდან

1985 წელს სამთავროს ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ორფერდასახურავიანი აკლდამა (№ 905), რომელშიც ორი მანდილოსანი იყო დაკრძალული [2, გვ. 7-8].<sup>24</sup> როგორც სამარხის გამოხრელები ა. აფაქიძე და ვ. ნიკოლაიშვილი ვარაუდობენ, აკლდამაში წარჩინებული ოჯახის (სამეფო სახლის) წარმომადგენლები იყვნენ დაკრძალული [2, გვ. 41]. ოქრომჭედლობისა და ტორევტიკის მრავალრიცხოვან პირველხარისხოვან ნივთებს შორის ამ აკლდამაში აღმოჩნდა გლიპტიკური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშებიც. მათ შორის ერთი ოქროს ბეჭედი, რომელსაც გრანატის (პირობის) შესანიშნავი პორტლიფური კამეო ამკობს<sup>25</sup> (სურ. 1) [2, გვ. 50, № 26, ტაბ. XXXII<sub>1</sub>; LI].



სურ. 1

კამეო წარმოადგენს ახალგაზრდა მამაკაცის ბიუსტს პირდაპირ (en face), შემოფარგლულს კისრის ქვემოთ (სურ. 2-3). მამაკაცს თავზე ლამაზ რბილ ტალღებად განფენილი შუაში ხშირი ქოჩის სახით შუბლიდან მკვეთრად უკან გადაწნული თმა აქვს; მკაფიოდ გამოსახული ოდნავ წინ წარმოწეული ყურები, კლასიკური ანტიკური პროფილი, ცხვირიდან წარბზე გადასვლის ლამაზი ხაზით, მკრთალად აღნიშნული დაშვებული წარბები, მოკლე მოხდენილი სწორი ცხვირი, პატარა ნესტორებით; შესანიშნავად მოდელირებულ უკეებში ღრმად ჩამჯდარი ფართოდ გახელილი თვალები, გამოსახული ძალიან რელიეფურად, პლასტიკურად –

ზედა ქუთუთო წვრილი, თითქმის შეუმჩნეველი მოხრილი რკალით, ქვედა თითქოს ოდნავ შებერილი – ნახევარმოტოვარისებური, რელიეფური ამობურცულობებით (მარჯვენა უპე და თვალი უფრო რელიეფურად არის გამოსახული, მარცხნა ნაკლებად); მსხვილი, ოდნავ გახსნილი ბაგეები, ნიკაპის მრგვალი, რბილი მონახაზი, მარცხნა მხრისაკენ ოდნავ დახტოილი თავი (რის გამოც სახე რამდენადმე ასიმეტრიულია – მარცხნა თვალი უფრო დაბლაა, ვიდრე მარჯვენა); კისერზე შუა ადგილას ყრონტის გამომხატველი ერთგვარი ამაღლება და პატარა ბურცობი; რბილი მოდელირება თვალების, ცხვირისა და პირის გარშემო – ასეთია ეს რამდენადმე განზოგადოებული, მაგრამ გარკვეული ინდივიდუალობის მატარებელი პორტრეტი. კამეოს ზედმიწევნით გაპრიალებული ზედაპირი და ქვის შესანიშნავი კიაფი განსაკუთრებით ეფექტურს ხდის ამ არც თუ სავსებით სრულყოფილ ხელოვნების ნიმუშს.



სურ. 2



სურ. 3


<sup>24</sup> პირველი და მეორე წერილი ამ სერიისა იხ. „ძიებანი“ № 7, 2001, გვ. 64-67; № 10, 2002, გვ. 52-56.

<sup>25</sup> გლიპტიკური კაბინეტი, საინვ. № 1572. ზომები: კამეო – 22×14×10 მმ; ბეჭედი – 33×25 მმ.

ოქროს ფურცლისაგან დამზადებული დიდი ზომის ბეჭედი ფუუე უნდა იყოს; რკალი გარედან ძლიერ ამობურცულია, შიგნიდან-ნაკლებად; გარე და შიდა ზედაპირის ზღვარზე ორივე მხარეს მთელ სიგრძეზე თითო სუსტი წახნაგი გასდევს; ზემო განიერ ნაწილში ამოჭრილია არაწესიერი ოვალის მოყანილობის თვალბულე, რომელსაც გარედან გარშემო დაჭდევებული მავთულის (ცრუგავარსის) ერთი წყება შემოუყება; იმის გამო რომ კამეოს არა აქვს პორტლიფური კამეობისათვას ჩვეული ფუძე (არე), მის დასამაგრებლად თვალბულის შიგნით ქვის გარშემო ოქროს თხელი ფურცელია მირჩილული; ეს ფურცელი, რომელიც კამეოს კონტურს გასდევს თავისი უსწორმასწორო ნაპირებით და რჩილვის ხარისხით, ერთგვარი დაუდევარი ნახელავის შთაბეჭდილებას სტოკებს, რაც თვალში საცემია საკმაოდ ოსტატურად შექმნილ კამეოს ფონზე. ბეჭედი უფრო გვიანდელი უნდა იყოს (ახ.წ. II-III საუკუნეებისა [1, გვ. 67, 68, აღწ. №№ 88,89, სურ. 135, 10,11]) ვიდრე კამეო, რომელიც თავდაპირველად შესაძლოა სხვა სამკაულის ნაწილს შეადგენდა.



სურ. 4



სურ. 5

კამეო წარმოადგენს უდავოდ პორტრეტულ გამოსახულებას, მაგრამ რამდენადმე განზოგადოებულს. ცალკეული დეტალებითა და საერთო

ხასიათით ეს გამოსახულება ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტებს გვაგონებს, არა იმდენად გემებზე, რამდენადაც ქანდაკებაში, კერძოდ კი, ვფიქრობთ ალექსანდრეს ცნობილ მარმარილოს თავს პერგამონიდან (სურ. 4-5), რომელიც სტაბბულის ოტომანის მუზეუმში ინახება და ანტიკურობის გამოჩენილი მოქანდაკის ლისიპეს ქანდაკების მოგვიანო ასლად [5, გვ. 219, სურ. 7, ტაბ. V] ან მასთან დაკავშირებულად [4, გვ. 146, სურ. 129] არის მიჩნეული. მცხეთის კამეოზე მამაკაცის რბილ ტალღებად განფენილი, შებლზე შუაში სწორი ხაზით მკაფიოდ შემოსაზღვრული და მკეთრად უკან გადავარცხნილი თმა, ღრმა უპეტში ჩამჯდარი ფართოდ გახელილი თვალები, სახის ერთგვარი ასიმეტრიულობა, ონავ გახსნილი ბაგების ფორმა, ნიკაპის რბილი მონახაზი, მარცხენა მხრისაკენ ოდნავ დახრილი თავი (შედეგი ალექსანდრეს ფიზიკური ნაკლისა [4, გვ. 219]), მკაფიოდ გამოსახული ყრონტის ბვალი და საერთოდ პერგამონის თავთან დიდი ფიზიონომიური მსგავსება განსაკუთრებით შესამჩნევი პროფილში (მიუხედავად იმისა, რომ პერგამონის თავს ცხვირის წვერი მოტეხილი აქვს), გვაფიქრებინებს, რომ მცხეთის კამეო ლისიპესეული თავის მიხედვით ან მისი გავლენით უნდა იყოს შექმნილი.

ლისიპე, ანტიკურობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოქანდაკე, როგორც ვარაუდობენ, მოღვაწეობდა დაახლოებით ძვ.წ. 350-300 წლებს შორის. პლინიუსის ცნობით, ის ჯერ კიდევ ალექსანდრეს ბავშვობის დროინდელ პორტრეტებს ქმნიდა. შემდგომში კი მისი კარის მოქანდაკე გახდა. ბერძენ რსტატთა შორის ლიპისე ყველაზე მრავალმხრივი მოქანდაკე იყო [6, გვ. 254]. მის შემოქმედებას, რომელშიც თანაბრად იყო შერწყმული მგზნებარება და რეალიზმი [12, III გვ. 159], პორტრეტის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. პლასტიკური ხელოვნების ისტორიაში ლიპისე პირველია, ვინც ცდილობს გადმოსცეს ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი სულიერი პათოსი. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალექსანდრე მაკედონელის თავი პერგამონიდან, რომელიც, როგორც მიაჩნიათ, წარმოადგენს ლისიპესეული ორიგინალის შესანიშნავ რეპლიკას, შექმნილს ელინისტურ ხანაში [8, გვ. 86]. ალექსანდრეს პორტრეტების ცნობილი მკვლევარის ო. ვალდაცუერის აზრით, ასლი ზუსტად გადმოსცემს ადრეული ხანის ორიგინალს. პერგამონის თავი ალექსანდრეს პორტრეტებად მიჩნეულ სხვა ქანდაკებებზე უფრო მეტად წარმოადგენს პორტრეტს, იმ გაგებით, როგორც ჩვენ ეს ეხლა გვესმის და ამაშია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა. მასში არ არის ის კლასიკური სილამაზე, რაც ალექსანდრეს პორტრეტებად მიჩნეულ სხვა ქანდაკებებშია [5, გვ. 219, სურ. 1-6, 8, ტაბ. I-IV], მაგრამ ამ პორტრეტში შესანიშნავად არის გაღმოცემული პიროვნების შინაგანი სამყარო, წინააღმდეგობებით აღსავსე მისი

მშფოთვარე ბუნება, სულიერი ბრძოლა, პათეტიკური გამომეტყველება, რომელსაც რაღაც ტრაგიზმის ელფერი დაპკრავს [8, გვ. 86]. ერთგვარი მწუხარებამორეული გამომეტყველება მცხეთის გლიპტიკურ პორტრეტშიც შეინიშნება, მაგრამ ის უდავოდ შორს არის ლისიპესეული ზედმიწვნით მეტყველი პორტრეტის სრულყოფილებასთან.

მცხეთის კამეოს შედარებისას პერგამონის თავთან თვალში საცემია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: პერგამონის თავზე მამაკაცს ყურები მთლიანად დაფარული აქვს თმით, მცხეთის გლიპტიკურ პორტრეტზე კი ყურები დაუფარავია და მკაფიოდ გამოსახული. მაგრამ როგორც ო. ვალდპაუერი აღნიშნავს, ალექსანდრეს პორტრეტების განხილვისას შეუძლებელია გავჩერდეთ ერთ პორტრეტზე, მით უმეტეს, რომ შემორჩენილია სხვა სარწმუნო გამოსახულებებიც, თუნდაც ლისიმაქეს მონეტებზე და მედალიონზე ტარსიდან [5, გვ. 218, ტაბ. VI]. ამ მონეტებზე და მედალიონებზე, აგრეთვე საქმაოდ მრავალრიცხოვან გემებზე [13, I, ტაბ. XXXIII<sub>2,3,5</sub>; II, ტაბ. 48, 227; 12, № 998, ტაბ. IX, 204; 10, გვ. 37, № 2; 3, I, ტაბ. III<sub>14</sub>] გამოსახულ ალექსანდრეს პორტრეტებზე ყურები თმით არ არის დაფარული. ალექსანდრეს პორტრეტებად მიჩნეულ ქანდაკებებშიც ზოგ შემთხვევაში ყურები თმით დაფარულია [5, ტაბ. I-IV, ნახატი 5-8], ზოგჯერ კი – არა [5, ნახატი 2,3]. ამდენად საფიქრებელია, რომ მცხეთის კამეოს შემქმნელი ხელოვანი ალექსანდრეს სხვადასხვა გამოსახულებებს ითვალისწინებდა, მაგრამ ძირითად მოდელს მისთვის მაინც ალექსანდრეს ლისიპისეული პორტრეტი წარმოადგენდა.

ცნობილია, რომ რელიეფურზედაპირიანი გლიპტიკური ძეგლების – კამეოების ხელოვნება ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან იწყება. როგორც ვარაუდობენ, ამ დარგის პირველი სახელოსნოები ქ. ალექსანდრიაში უნდა ყოფილყო [13, III, გვ. 151, 155]. აქ შეიქმნა საყოველთაოდ ცნობილი ელინისტური კამეოების სწორუპოვარი ნიმუშები, მათ შორის პტოლემაიოსთა დინასტიის წარმომადგენელთა შესანიშნავი პორტრეტებით [13, I, ტაბ. 53; 10, №№ 1-66; და სხვ.]. რომაულ ხანაში კამეოების ხელოვნება განსაკუთრებულ აყვავებას ავგუსტუსის ეპოქაში (ძ.წ. 27 – ა.ძ.წ. 14 წ.). აღწევს [13, III, გვ. 306, 314]. თვით ავგუსტუსის თაოსნობით რომში თავმოყრილმა ბერძენმა ქვისმჭრელმა ოსტატებმა შემოიტანეს კვეთის მაღალი ტექნიკა და ნატიფი მხატვრული კულტურა. ამ ხანის მრავალრიცხოვან შესანიშნავ ნიმუშებს შორის არის პორტრელიური კამეოები თვით იმპერატორ ავგუსტუსის გამოსახულებებით [16, ტაბ. XLII<sub>3598</sub>; 14, ტაბ. LXX<sub>650</sub>; 15, ტაბ. 71,1,2; ტაბ. 87,1-4]. შესრულების მანერით და საერთო ხასიათით მცხეთის კამეო ახლოს არის ამ კამეოებთან. რამდენადაც ცნობილია,

ავგუსტუსის ეპოქის ქვისმჭრელი ოსტატები გემების სიუჟეტისთვის ხშირად იყენებდნენ ბერძნული მონუმენტური ხელოვნების, მათ შორის ცნობილი მოქანდაკების ნიმუშებსაც [13, III, გვ. 79; 9, გვ. 15]. ვფიქრობთ, მცხეთის კამეო ალექსანდრეს ლისიპესეული თავის მიხედვით შექმნილ ავგუსტუსის ეპოქის კლასიცისტური ხელოვნების მიმდევარი ბერძენი ოსტატის ნახელავს უნდა წარმოადგენდეს.<sup>26</sup>

## K. Javakhishvili

### GEMS BEARING REPRESENTATIONS OF SCENES FROM SPECIMENS OF ANCIENT MONUMENTAL ART. III. GEM FROM SAMTAVRO

(Summary)

The paper deals with the gold ring adorned with garnet cameo rendered in high relief, discovered along with other masterpieces of goldsmithery and toreutics in the tomb (# 905) of the royal house, excavated in 1985 on the valley of Samtavro (Mtskheta, Eastern Georgia). The image of a young man with somewhat generalized features is represented on the cameo. In terms of separate details and general characteristics this image is reminiscent of sculptural representations of Alexander the Great, in particular the famous Pergamene marble head of Alexander, preserved in the Ottoman Museum of Istanbul and considered to be a later replica of the original

<sup>26</sup> წინამდებარე წერილი უკვე გადაცემული იყო დასაბეჭდად, როდესაც გავიცანი ა. ტროფიმოვას სტატიას (Трофимова А. А. Imitatio Alexandri в искусстве эпохи эллинизма. – Эллинистические штудии в Эрмитаже. Санкт-Петербург, 2004, გვ. 62-73). სტატიაში აღნიშვნულია, რომ არსებობს მრავალი საბუთი ავგუსტუსის განსაკუთრებული კეთილგანწყობისა ალექსანდრე მაკედონელის პირვენების მიმართ. ავგუსტუსის ეპოქაში შეიქმნა ხელოვნების მრავალი ძეგლი, მათ შორის გემებიც, ალექსანდრეს გამოსახულებებით. ავგუსტუსის პირად საბეჭდავზეც ალექსანდრეს პორტრეტი იყო გამოსახული. ნიმანდობლივია, რომ ავგუსტუსმა მონახულა ალექსანდრეს საფლავი ალექსანდრიაში. როგორც სტატიას ავტორი აღნიშნავს, ავგუსტუსის პრინციპატისათვის, ელინისტური ეპოქისაგან განსხვავდებოთ, უფრო ლოგიკური იყო ალექსანდრეს არა როგორც ლეთაების, არამედ როგორც გმირი-მმართველის სახე, რომელიც ლისიპესეული ტრადიციებიდან გამომდინარებდა და აღბეჭდილი არის ალექსანდრეს პერგამონისეულ პორტრეტში. სწორედ ამ ტრადიციებს ეძღვოდა უპირატესობა ავგუსტუსის ეპოქაში (იქვე, გვ. 70). ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული უფრო დამაკერებელს ხდის ჩვენს ვარაუდს იმის შესახებ, რომ მცხეთის კამეო ლისიპესეული ალექსანდრეს პორტრეტის მიხედვით ავგუსტუსის ეპოქაში უნდა იყოს შექმნილი.

statue sculpted by Lysippus (O. F. Waldhauer), or related to it (V.D. Blavatski). The following features of the image on the Mtskheta cameo: soft and wavy hair with a clearly cut parting in the middle of the forehead combed to the back, widely open eyes placed deeply in the sockets, somewhat asymmetric face, shape of slightly opened lips, soft line of the chin, head inclined to the left shoulder (physical flaw of Alexander), clearly cut larynx and general similarities with the Pergamene head especially in profile (despite the fact that the tip of the nose is broken off from the sculpture) make the author think that the artist, author of the cameo, either created the image according to the masterpiece of Lysippus or was strongly influenced by it, though it can be assumed that the author took into consideration other representations of Alexander (those ones where the king's ears were not covered with hair).

It is known that artists in the period of Augustus often turned to masterpieces of Greek monumental art and sculptures for imagery to be depicted on their gems and cameos (A. Furtwängler, O. Ya. Neverov). It can be conjectured that the cameo from Mtskheta was made by a Classicist Greek artist of the age of Augustus. The cameo is attached to a roughly rendered gold ring of a later (2<sup>nd</sup> cent.A.D.) period.

### ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდა ა., ლომთათიძე გ. მცხეთა I. თბ., 1955.
2. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი გ. მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. III საუკუნისა – აკლდამა 905. – მცხეთა, XI, თბ., 1996, გვ. 7-79.
3. ლორთქიფანიძე გ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეგმა, II. თბ., 1958.
4. Блаватский В. Д. Греческая скульптура. М.-Л., 1939.
5. Вальдгауэр О. Ф. Портреты Александра Великого. – Записки Классического Отделения Императорского Русского Археологического общества. т. IV, С.-Петербург, 1907, გვ. 193-224.
6. Виппер Б. Р. Искусство древней Греции. М., 1972.
7. Захаров А. А. Геммы и античные перстни Государственного Исторического музея. – РАНИОН, 1923, გვ. 104-146.
8. Коллинский Ю. Д. Искусство эгейского мира и древней Греции. Памятники мирового искусства. М., 1970.
9. Неверов О. Я. Геммы античного мира. М., 1983.

**10. Неверов О. Я.** Античные камеи. Ленинград., 1988.

**11. Antike Gemmen in Deutschen Sammlungen, II.** München, 1969.

**12. Boardman J.** Greek Gems and Finger Rings. London, 1970.

**13. Furtwängler A.** Die antiken Gemmen. Leipzig-Berlin, 1900.

**14. Richter G.** Catalogue of Engraved Gems. Greek, Etruscan and Roman. Roma, 1956.

**15. Vollenweider M. L.** Die Steinschneidekunst und Ihre Künstler in Spätrepublikanischer und Augusteischer Zeit. Baden-Baden, 1966.

**16. Walters H. B.** Catalogue of the Engraved Gems and Cameos. London, 1926.

### სურათების აღწერილობა

1. მცხეთის ბეჭედი
2. მცხეთის კამეო, პროფილში
3. მცხეთის კამეო, პირდაპირ (en face)
4. პერგამონის თავი პროფილში
5. პერგამონის თავი პირდაპირ (en face)


### Descriptin of the figures

1. Ring from Mtskheta.
2. Cameo from Mtskheta, profile.
3. Cameo from Mtskheta, en face.
4. Head from Pergamon, profile.
5. Head from Pergamon, en face.

## თემურ თოდუა

### სერაპისის ჰანდაგება გონიო-აფსაროსიდან

გონიო-აფსაროსის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მრავალფეროვან არქეოლოგიურ მასალათა შორის ინტერესს იწვევს სერაპისის ქანდაკება [2, გვ. 48, ტაბ. XIX]. ის დაფიქ-სირდა გონიოს ციხესიმაგრის სამხრეთი კარიბ-ჭის გარეთ, SW -III სექტორის მე-80 კვად-რატში. ქანდაკება ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული; ღვთაება ტახტზე ზის, თავზე ადგას კალა-ფი და გრძელი წვერები აქვს [სურ. 1].



სურ. 1

როგორც ცნობილია, სერაპისის კულტი და მისი გამოსახულებები პირველად ეგვიპტეში ჩნდება. ჯერ კიდევ გვ. წ. IV ს-ში ბრიაკისმა

გამოაქანდაკა სერაპისი, რომელიც ალექსანდრიაში იდგა<sup>27</sup> [20, გვ. 177]. თუმცა ზოგიერთი ძველი ავტორის ცნობით, სერაპისის ქანდაკება ალექსანდრიაში სინოპედან გადაიტანეს (Tacit., Hist., IV, 83, 84). ამ ცნობის თანახმად, ეგვიპტის მეფე პტოლემაიოს სიზმარში ქალღმერთი გამოეცხადა და უბრძანა მას, რომ პონტოდან ალექსანდრიაში შემოეტანა სერაპისის ქანდაკება, რომელიც ეგვიპტის კეთილდღეობას უზრუნველყოფდა. პტოლემაიოსმა თხოვნით მიმართა სინოპეს ტირანს – სკიდროფეხმიდოსს, რათა მის-თვის სერაპისის ქანდაკება დაუთმო, მაგრამ უარით გაისტუმრეს. მაშინ, ღვთაება თვითონ „გა-მოიქცა“ ტაძრიდან და ალექსანდრიაში აღმოჩნდა.

ეს ტიპური სატაძრო ლეგენდა, თანამედროვე მკვლევართა განსჯის საგანი გახდა. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ამგვარი ლეგენდის შეთხვის საფუძველს წარმოადგენდა სინოპეში ფართოდ გავრცელებული ხთონიური ღვთაება, რომელსაც სერაპისის მსგავსი ნიშნები ახასიათებდა [9, გვ. 25]. მკვლევართა მეორე ნაწილის მოსაზრებით, ახ.წ. 137 წელს და სეპტიმიუს სევერუსის დროს მოჭრილ მონეტებზე გამოსახულია სინოპური სერაპისი, ალექსანდრიული სე-რაპისის ორეული; ზოგიერთი მკვლევარი კი ასეთ შეხედულებას უარყოფს, რადგანაც ისინი ალექსანდრიულ სერაპისა და ახ. წ. პირველი საუკუნეების სინოპურ მონეტებზე გამოსახულ ქალღმერთს შორის მსგავსებას ვერ ხედავენ [24, გვ. 194].

ვუიქრობთ, სავსებით შესაძლებელია, რომ სინოპეში შენარჩუნებული ყოფილიყო პაფლაგონიური ღვთაება, ლეგენდის მიხედვით სერაპისის ორეული. როდესაც ჩამოყალიბდა ალექსანდრიული სერაპისი, მაშინ ეს ღვთაება გარდაქმნილი სახით სინოპეში დაბრუნდა, მთო უმეტეს, როცა ალექსანდრიულმა ღვთაებამ, ჯერ კიდევ ელინიზმის ეპოქაში, მცირე აზიის ბევრ ქალაქში შეაღწია [22, გვ. 165-179; 15, გვ. 416].

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: სე-რაპისის კულტი თავიდანვე მცირე აზიასა და საერთოდ ბერძნული სამყაროს პანთეონში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მეტიც, იგი ელინიზმის ხანაში უნივერსალური ღმერთი ხდება.

<sup>27</sup> ახ. წ. 391 წ. ეპისკოპოს ფეოფილეს წინამძღოლობით, ფანატიკოსთა ბრძომ ალექსანდრიაში სერაპისის ქანდაკება და ტაძარი დაანგრია [იხ. 11, გვ. 322].

სერაპისი ზევსის, პლუტონისა და ჰელიოსის ფუნქციებსაც ითავსებდა (CIG, 2716, 4042).

ახ.წ. I საუკუნიდან სერაპისის კულტი მთელს რომის იმპერიაში პოპულარული ხდება. იტალიაში სერაპისის კულტი ჯერ კიდევ გვიანერესპუბლიკის ხანაში გავრცელდა, ხოლო ძვ.წ. 80 წლისათვის თვით რომში,<sup>28</sup> სადაც უკვე ლეგალურად არსებობდა „პასტიფორმების“ კოლეგია. რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციებიდან სერაპისი ძალზე პოპულარული იყო გალიაში, სადაც მას ძირითადად ქალაქების მოსახლეობა სცემდა თაყვანს [18, გვ. 286]. ამავე ხანებში რომის უკიდურეს დასავლეთ პროვინციაში – ესპანეთშიც სერაპისის კულტი ფეხმოკიდებული ჩანს [5, გვ. 105].

აფრიკის პროვინცია – კართაგენშიც ფართოდ იყო გავრცელებული სერაპისის კულტი [3, გვ. 58]. ასევე ითქმის ეს იმპერიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ პროვინციების მიმართ. ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებიდან კი, სერაპისის კულტის გამორჩეული ადგილი ეკავა დაკის პანთეონში [3, გვ. 60-61].

რაც შეეხება შავიზღვისპირეთს, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჯერ კიდევ ძვ.წ. III საუკუნიდან სერაპისის კულტი ფართოდ ჩანს გავრცელებული; ახ.წ. I საუკუნიდან კი ძალზე პოპულარული ხდება. სერაპისის გამოსახულებას ვხედავთ ტრაპეზუნტის მონეტებზე, თუმცა მითრასთან შედარებით, ამ ღვთაების გამოსახულებათა რაოდენობა მინიმალურია [24, გვ. 399]. ამისო მრავალრიცხოვან სამონეტო სერიებში ვხვდებით ასევე სერაპისის გამოსახულებებს [24, №97, 98, 100], მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა. სამაგიეროდ, სინოპეს ახ.წ. პირველი საუკუნეების მონეტებზე სერაპისის გამოსახულებები მრავალრიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი.

იმპერატორ ადრიანეს ეპოქიდან ახ.წ. III ს-მდე სინოპეში მოჭრილ 37 სამონეტო სერიაში სერაპისის გამოსახულება ფიგურირებს [24, №108, 109, 110]. ეპიგრაფიკული მასალებით დასტურდება, რომ სინოპეში ძვ.წ. III – ახ.წ. II-III ს-ში სერაპისის ტაძარი ფუნქციონირებდა [IGR, III, №95, 96]. როგორც ჩანს, სერაპისი

სინოპეს პანთეონში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

დასავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის პოლისებში სერაპისის კულტის გავრცელება ელინისტური ხანიდან იგარაუდება [10, გვ. 111]. ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან კი, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნაქალაქარებზე სერაპისის გამოსახულებები საკმაოდ მრავლადაა დადასტურებული. ხშირად ფიგურირებს, ასევე ამ ღვთაების სახელი ეპიგრაფიკულ ძეგლებზე. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან აღსანიშნავია ძვ.წ. II ს-ის წარწერა ტერასიდან. წარწერაში საუბარია სერაპისისადმი მსხვერპლშეწირვის შესახებ. მკვლევართა აზრით, სამსხვერპლო ტაძარში იდგა [12, გვ. 58-59]. რაოგორც ეპიგრაფიკული ძეგლები მოწმობენ სერაპისის ტაძარი ოლბიაშიც უნდა ყოფილიყო [13, გვ. 1-8].

სერაპისის მინიატურული გამოსახულებიანი მედალიონი ოლბიაშია აღმოჩენილი [8, გვ. 102]; აღნიშნული ღვთაების გამოსახულებები ფიქსირდება, ასევე ბოსფორის სამეფოს დედოფლის – დინამიას მონეტებზე [6, გვ. 44, ტაბ. I-2]. აღსანიშნავია პანტიკაპეონსა და ხერსონესში დადასტურებულ ჭრაქებზე სერაპისის სკულპტურები [7, გვ. 49, ტაბ. XXXIII, №312; 14, გვ. 112] და სხვ.

გონიოში ნაპოვნი სერაპისის ქანდაკება კი ჯერჯერობით ერთადერთია მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და ამდენად ის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ღვთაება ტრადიციულ პოზაში – თავზე კალათოსითა და გრძელი წვერებითა გამოსახული. სერაპისის ანალოგიური ფიგურები საქმიანდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი რომაული პროვინციული მონეტების რევერსზე. მაგალითად, აღრიანეს, სეპტიმიუს სევერუსის მონეტები სინოპედან [24, №110, 112, 114], ტრაპეზუნტის 218-222 წწ.-ში მოჭრილ მონეტაზე [1, გვ. 309, ტაბ. 76, №100], ანდა ანტიოქიაში ლიცინიუსის სახელზე მოჭრილ საფასეებზე გამოსახული სერაპისი თავზე კალათოსითა და გრძელი წვერებით [1, გვ. 382, ტაბ. 90, №1252].

გონიოში აღმოჩენილი სერაპისის ქანდაკება იკონოგრაფიული ნიშნებით ახლოს დგას ასევე ოლბიაში დადასტურებული სერაპისის ვერცხლის ქანდაკებასთან, რომელიც ძვ.წ. I-ახ.წ. I ს-ით თარიღდება [4, გვ. 42]. მის იდენტურ გამოსახულებას ვხვდებით ხერსონესისა [10, გვ. 113, სურ. 3] და კროკოლილობილის [21, გვ. 40, სურ. 21, 2] თიხის ჭრაქებზე, რომლებიც, შესაბამისად, ახ.წ. III და II-III ს-ით თარიღდება.

გონიოს სერაპისის ქანდაკება კულტურული ფენისა (II-III ს) და თვით სერაპისის გამოსახულების მიხედვით, II-III ს-ით უნდა დათარიღდეს. რაც შეეხება მის წარმომავლობას, ის აღმოსავლურ, შესაძლოა მცირე აზოურ ნაწარმთა წრეს ეკუთვნოდეს. მცირე აზიის ცენტრე-

<sup>28</sup> ვიტრუვიუსის რეკომენდაციით, სერაპისისა და ისიდას ტაძრები რომში ბაზრის ტერიტორიაზე უნდა აღმართულიყო (Vitr., I, 7). რამდენადაც ავტორი, რომაული პანთეონის ცნობილ ღვთაებათა (მერკური, აპოლონი, მარსი, ვენერა, ცერენა) გვერდით ისიდასა და სერაპისის იხსენიებს, ვფიქრობთ, ეს ღვთაებებიც ასეთივე პოპულარულები იყვნენ. მართალია, ავგუსტუსის დროს, პოლიტიკური მოსახრების გამო, იმპერიის ღვთაებაში ეგვიპტური ღმერთებისადმი თაყვანისცემაზ იქლო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ავგუსტუსს მათი ტაძრების მშენებლობისათვის ხელი არ შეუშლია.

ბთან აფსაროსს მთელი რომაული ზანის მანძილზე მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა. ძირითადად იქიდან შემოდიოდა კერამიკული პროდუქცია, მონეტები და სხვ.

ანტიკური ტრადიციის თანახმად, სერაპისი ითვლებოდა ნაყოფიერების, ზღვის, ჯანმრთელობის ღვთაებად და ასოცირებული იყო სხვა-დასხვა კულტთან იმისდა მიხედვით, თუ რა გეოგრაფიულ გარემოში უხდებოდა მას „ცხოვრება“. მაგალითად, საბერძნეთში სერაპისი იკონოგრაფიულად ზევსთან, დიონისესთან ან ჰელიოსთან იდენტიფირდებოდა [17, გვ. 333-338; 23, გვ. 2117]. რომში ის იმპერატორის კულტთან ასოცირდებოდა [19, გვ. 215]. ეგვიპტეში სერაპისი სახლის მფარველ ღვთაებადაც ითვლებოდა. ალექსანდრიაში არ იდგა ისეთი სახლი, სადაც მის კარგბზე, სარქმლებზე ან კედლებზე სერაპისის გამოსახულებანი არ ყოფილიყო [21, გვ. 40].

აფსაროსური სერაპისი კი, ვფიქრობთ, სიუხვის, ნაყოფიერებისა და წარმატებების ღვთაებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მას თავზე ხთონური ძალის გამომხატველი კალათოსი ედგა. შესაძლოა ის აფსაროსში ზღვაოსნობის მფარველ ღვთაებადაც ასოცირებულიყო,<sup>29</sup> ვინაიდან ციხე-ქალაქის კეთილდღეობა უსაფრთხო და წარმატებულ ნავიგაციაზე იყო დამოკიდებული. არც ისაა გამორიცხული, რომ სიუხვისა და წარმატებების ღვთაება სერაპისი აფსაროსში დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების პანთეონში სერაპის გარკვეული დაფილიყო.

ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია: აღწერილი ქანდაკება რომაული საჯარისო შენაერთების შემოტანილი უნდა იყოს; ყოველ შემთხვევაში, ის მათი კუთხინილია. ამავე დროს ჩანს, რომ აფსაროსში განლაგებული რომაული სამხედრო შენაერთების პანთეონში სერაპის გარკვეული ადგილი ეკავა.

## T. Todua

### FIGURINE OF SERAPIS FROM GONIO-APSAROS

(Summary)

<sup>29</sup> ცნობილია, რომ სერაპისის, ისიდასა და დიონსკურებს განსაკუთრებით თაყვანს სცემდნენ ის ხალხები, რომელთა ცხოვრება ზღვასთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც აღნიშნულ ღვთაებათა გამოსახულებიან საგანთა მფლობელები იყვნენ მეზღვაურები, ზღვაოსან-ვაჭრები, რომლებიც საზღვაო დაშქრობებისას ხსენებული ღმერთების მფარველობას საჭიროებდნენ [16, გვ. 114].

A figurine of Serapis was found in square 3-80 of the SW-III section of the Gonio-Apsaros site. The figurine is a bronze representation of the deity sitting on the throne, wearing a calathos on the head and with a long beard. Similar representations are evidenced on Sinopean and Trapezuntine coins. Iconographically, it also reveals some similarity with a silver figurine of Serapis found in Olbia. The Gonio Serapis is dated to the 2<sup>nd</sup>-3<sup>rd</sup> cent. A.D. and should be considered to be the god of fertility and abundance. This deity occupied a certain position in the panoply of gods revered by the Roman soldiers garrisoned at Apsaros.

## ლიტერატურა

1. დუნდუა გ. სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძ.წ. II – ა.წ. IV სს. – დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975, გვ. 280-413.

2. კახაძე ამ., მამულაძე შ. 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხეს სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-მიების ანგარიში. – გონიო-აფსაროსი, III, თბ., 2002, გვ. 44-49.

3. მშვილდაძე გ. ზოგიერთი საკითხი სერაპისის კულტის გავრცელების შესახებ რომის იმპერიაში. – კავკასიის მაცნე, №5, 2002, გვ. 57-64.

4. Алексеев В. П. Памятники античной культуры из Ольвии. – ВДИ, № 2, 2003, გვ. 36-43.

5. Бласкес Мартинес Х. М. Характерные черты испанского общества в период поздней римской империи. – ВДИ, № 1, 1993, გვ. 97-110.

6. Бравич В.М. Египетские монеты в monetной чеканке Боспорского царства конца I в. н.э. (к вопросу о монетах с монограммой ВАЕ). – НЭ, II, 1960, გვ. 35-49.

7. Вальдгауз О. Ф. Античные глиняные светильники. СПБ., 1914.

8. Варнике Б. Серапис на обломке ольвийской посуды. – ИАК, вып. 63, 1917, გვ. 95-108.

9. Граков Б. Н. Древнегреческие керамические клейма с именами астиномов. М., 1929.

10. Кобылина М. М. Изображения Восточных божеств в Северном Причерноморье в первые века н.э. М., 1978.

11. Куманецкий К. История культуры древней Греции и Рима. М., 1990.

- 12. Латышев В. В.** Греческие и латинские надписи, найденные в южной России в 1889-1891 годах. – МАР, № 9, 1892, გვ. 35-43.
- 13. Латышев В. В.** Две Ольвийские посвятительные надписи. – ИАК, вып. 45, 1912, გვ. 1-10.
- 14. Лепер Р. Х.** Дневники раскопок херсонского некрополя. – ХС, вып., II, 1927, გვ. 109-115.
- 15. Максимова М. И.** Античные города юго-восточного Причерноморья. М.-Л., 1956.
- 16. Неверов О. Я.** Группа эллинистических бронзовых перстней в собрании Эрмитажа. – ВДИ, №1, 1974, გვ. 106-115.
- 17. Новосадский Н. Н.** К вопросу о культе Исиды в Греции. – ЖМНП, ч. 240, 1885, გვ. 330-338.
- 18. Шкунаев С. В.** Культура Галлии и романизация. – Культура древнего Рима, т. II, М., 1985, გვ. 258-302
- 19. Штаерман Е. М.** Социальные основы религии древнего Рима. М., 1987
- 20. Amelung A.** Le Sarapis de Bryaxis. – RA, II, 1903, გვ. 160-178.
- 21. Kaufman C. M.** Die ägyptisch-griechischen Terrakotten. Cairo, 1913.
- 22. Magie D.** Egyptian deities in Asia Minor. – AJA, 57, № 3, 1953, გვ. 163-190.
- 23. Roder S.** Isis . – RE, IX, 2. 1915, გვ. 2115-2117.
- 24. Waddington W., Babelon E., Reinach F.** Recueil general des monnaies d'Asie Mineur, I. Paris. 1925.

### სერაპის აღმუნილობა

სურ. 1 – სერაპისის ქანდაკება გონიო-აფსაროსიდან.

### Description of the figure

Fig. 1 – Figurine of Serapis from Gonio-Apsaros.

## დოდო ლეგაშვილი

### ოქროფენილი და ვერცხლფენილი მინის მძივები მცხოვის ანტიპური ხანის სამარხებში

მინის ორ ფენას შუა მოქცეული, ოქროს, ან ვერცხლის ფენადატანებული მძივების დამზადება ჩაისახა ეგვიპტეში, ძვ.წ. IV ს-ში მათი წარმოება დაკავშირებული იყო მინის და საოქრომჭედლო სახელოსნოებთან. მასალად გამოყენებოდა მინა, ოქრო, ან ვერცხლი. გარდა მძივებისა, ამ ტექნოლოგით ამზადებდნენ ლარნაკებს, მოზაიკურ პანოებს და სხვა დეტალებს. მათი წარმოება როულ ტექნოლოგიურ პროცესებს მოიცავდა და მოითხოვდა დიდი ცოდნას და გამოცდილებას. საჭირო ფორმის მძივზე (ან სხვა ნივთზე), რომელიდაც მცენარეული ხსნარით აწებებდნენ ვერცხლის ან ოქროს თხელ ფენას და აცხელებდნენ 600-800 გრადუსამდე. უფრო მეტ ტემპერატურაზე ოქრო “დაიწვებოდა”. შემდეგ, ზემოდან აკრავდნენ გამჭვირვალე მინის 0,5-0,1 მმ-ის სისქის ფენას. ფორმის დასრულება შესაძლებელი იყო გაცივებამდეც – უმატებდნენ დამატებით დეტალებს – ზედაპირის დახორცვლა, გადაგრეხვა და სხვა [17, გვ. 27-30].

არქეოლოგიურ ლიტერატურაში ეს მძივები სხვადასხვა სახელით გვხვდება – ოქროს ან ვერცხლის სარჩულიანი, ოქროფენილი [4, გვ. 103], მოოქრული, მოვერცხლილი [6, გვ. 29-53], ოქროდატანებული და სხვა. რუსულად მათ ეწოდებათ “стекло с металлической прокладкой” [17, გვ. 27].

ოქროფენილი და ვერცხლფენილი მძივების დამზადების ტექნოლოგიური ხერხები განსხვავებულია ელინისტური ხანის მძივები უფრო ხშირად მინიატურულია, ნახვრეტის კიდეები კარგად მოსწორებული აქვთ. საუკუნეთა მიჯნაზე, საბერავი მილის გამოგონებით ისინი მკვეთრად იცვლებიან – ნახვრეტის გარშემო უჩნდებათ მილის კვალი-ნაწიბური, ნახვრეტი უფრო გაფართოებულია, მინა – უფრო სქელკედლიანი. მათ ამზადებდნენ აგრეთვე ყალიბში ჩამოსხმით – ერთ გრძელ ნამზადად და შემდეგ ჭრიდნენ. დაჭრისას, რამდენიმე ცალი ერთმანეთზეა მიბმული და ზოგჯერ მეორე მძივის ნახევარიც მიუყოლებიათ [17, გვ. 25-28].

ას.წ. I-II საუკუნეებში ჩნდება კიდევ ერთი სახელი – შიგნიდან ღრუ მძივები, რომლებიც უფრო რთული ტექნოლოგით მზადდებოდა – მისი ზუსტი წარმოდგენა დღეს შეუძლებელია. საჭირო ფორმის მინის მძივს ზემოდან აკრავდნენ უფრო ხშირად ვერცხლის ფირფიტას. მესამე, ზედა ფენა

ლითონს ზედ კი არ ეკვროდა, არამედ, მათ შორის რჩებოდა სიცარიელე (სიღრუე). სამივე ფენა ერთდებოდა ნახვრეტის კიდესთან. ვარაუდობენ, რომ სიღრუე მიიღწეოდა შიგ ჰაერის შეშვებით [17, გვ. 125-130].

მესამე სახეობაა ორფენიანი მძივები, რომლებიც გარებნულად ძლიერ ჰგავს ლითონ-დატანებულ მძივებს, მაგრამ მათ შუაში ლითონი არა აქვთ. ოქროფენილი და ვერცხლფენილი მძივების ზუსტი შესწავლით შესაძლებელია თარიღის დადგენა.

მცხოვის ელინისტური ხანის სამაროვნებზე – კამარახევი (ორმოსამარხი № 25, 2 ც.) [16, გვ. 160] (გამთხრელებს განსაზღვრული აქვთ პასტის მძივად) და მუხათგვერდი II (ქვაყუთი № 60, 1 ც.) [2] – სამარხებში ისინი თითოოროლა. მათი რიცხვი მატულობს სამთავროს ქვევრსამარხებში – ზოგჯერ ერთ სამარხში ასობით ცალია [6] და მათი ფართო გავრცელებაც ადრეული „ქვევრსამარხების ხანას“ ემთხვევა. მოგვიანო ხანის ქვევრსამარხებში (სკეტიცხოველი I, სამარხები №№ 2, 5, 11, 14, 15) მათი რიცხვი შემცირებულია და უმრავლესობა კიდეებზე ნაწიბურიანია, ან შიგნიდან ღრუა, დამზადებულია ტლანქი ყვითელი ფერის მინისაგან, რომელიც დამახასიათებელია რომაული ხანისათვის.

სამთავროს ჩრდილოეთ სამაროვანზე ოქროფენილი და ვერცხლფენილი მძივები მხოლოდ თეთრი ან მოყითალო მინისაა [17, გვ. 130]. სამხრეთ უბანზე კი აღმოჩენილია თეთრი მინისა, შუაში ვარდისფერი [19, გვ. 134], ღურჯი, სქელკედლიანი და თეთრი მინისა, ზოგიერთი მოზრდილია (დმ – 1,3 სმ), ზოგი – დაბრტყელებული და კანელურებიანია (სსმ ფონდი, ინვ. №№ 12:54:8949, 8989, 9021, 9023, 10424, 10429, 10537, 10538, 10522, 10602, 11757, 11778, 11798, 12330). ღურჯი და ვარდისფერი მძივები სამთავროს ჩრდილოეთ უბანზე და სხვა სამაროვნებზე არ დადასტურებულა.

სამთავროს S უბნის № 75 ორმოსამარხის (1939 წ.) ოქროფენილიან მინის მძივს ანალიზი გაუკეთა რ. ბატტაძემ და აღნიშნა, რომ განაპირა ფენები ყვითელი მინისაა, შუაში კი

ოქრო აქვს დატანებული [3, გვ. 45]. ყვითელი მინის მძივები მატულობს გვიანანტიკური ხანის სამარხებში, ისინი უფრო ხშირად ლიმონისებრი ფორმისაა, სქელკედლიანი და ტლანქია.

მცხეთის გვიანანტიკური ხანის 1975-85 წ. გათხრილ სამაროვნებზე ოქრო და ვერცხლფერილი მძივების რიცხვი შემცირებულია. სვეტიცხოველი I, № 13 კრამიტსამარხში – 44 ცალია, № 6-ში – 25 ც., კარსნისხევის № 6 კრამიტსამარხში – 8 ც., მოგვთაკარის № 7 კრამიტსამარხში – 27 ც., წიწამური III № 19 ორმოსამარხში – 69 ც., ბაიათხევის № 18 ქვაყუთში – 10 ც., სამთავროს № 564 ორმოსამარხში – 9 ც., დანარჩენებში თითო-ოროლა. ისინი იშვიათია ქვაყუთებში და არ აღმოჩენილა თიხის ფილასამარხებში.

ოქროფენილი და ვერცხლდატანებული მძივები მრავლადაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ქვევრსამარხებში [6], ვანის ნაქალაქარზე კი სულ 449 ცალია (ძვ.წ. III-I სს.) [4, გვ. 110]. აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებზე ისინი გვხვდება – „რიყიანების ველის“ სამარხებში (ძვ.წ. I-ახ.წ. II სს.) [9, ტაბ. III-IV], ქუშანაანთოგორის № 11 სამარხში [13, გვ. 51, III-IV სს.], „საფარაულო სერის“ № 7 ქვევრსამარხში – 240 ც. [15, გვ. 46, ძვ.წ. I ახ.წ. I სს.], კლდეეთში [7, გვ. 57, II ს.], ურბნისში (სამარხი № 165 I-II ს.) [14, გვ. 52], ჭერემში (№ 3 და № 12 ქვაყუთები, III-IV სს.) [8, გვ. 87, 100], წალკის რომაული ხანის სამარხში [21].

ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე ეს მძივები IV-V სს-ის სამარხებში 6 %-ს შეადგენს, მატულობს VI-IX ს-ის სამარხებში და სირიიდან ან ალექსანდრიიდან შემოტანილად ითვლება [18, გვ. 27, 28]. ოქროფენილი და ვერცხლფენილი მძივები მრავლადაა სომხეთის [23] და აზერბაიჯანის ქვევრსამარხებში [20].

ოქროფენილი და ვერცხლფენილი მინის მძივების რიცხვი IV ს-ის შემდეგ კიდევ უფრო კლებულობს. ეს მძივები კლავ შემოდის ხმარებაში შუა საუკუნეებში (დმანისი, რუსთავი, IX-XIII სს.). მას მიიჩნევენ მარგალიტის იმიტაციად. ფიქრობენ, რომ მათი დამზადება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა (3 და 5 ფენიანია), ბევრი მათგანი ერთმანეთზეა გადაბმული (ე.წ. „ჩურჩხელისებრი“) [5, გვ. 55-57].

კავკასიის ანტიკური ხანის სამაროვნებზე ისინი ათასობით ცალია აღმოჩენილი და, ჩანს, მათზე მოთხოვნილება დიდი იყო. შესაძლოა ჩვენთან შემოჰქონდათ სირიიდან, ეგვიპტიდან, ან მზადებოდა ადგილობრივ ცენტრებში, მათ შორის კი, სავარაუდოა, მცხეთაშიც, რომელიც მიჩნეულია ოქრომჭედლობის დაწინაურებულ ცენტრად [1].

მცხეთის ანტიკური ხანის სამაროვნებზე 1975-85 წ.წ. აღმოჩენილი მძივები (რიგითი ნომერი ემთხვევა ტაბულის ნომერს):

I. ოქროფენილი მინის მძივი, თეთრი, სფერული კიდეებმოსწორებული, კამარახევი, ორმოსამარხი

№ 25, ინვ. № 78, 2 ც.; მუხათგვერდი II, ქვაყუთი №60, ინვ. №551, 1 ც. (ერთიც ნატეხია). ზომები: 0,3-0,15 სმ; ძვ.წ. IV-III სს. თითო, ტყუპი, სამი და ოთხი ერთად გადაბმული მძივი, კიდეებზე ნაწიბურიანი, სვეტიცხოველი I, ქვევრსამარხი № 15, ინვ. № 216, 1 ც.; ქვევრსამარხი № 11, ინვ. № 174, 10 ც. ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.; კარსნისხევი, ორმოსამარხი № 6, ინვ. № 9, 1 ც. კრამიტსამარხი № 13, ინვ. № 38, 8 ც.; კრამიტსამარხი № 19, ინვ. № 60, 3 ც. I-III სს. მოგვთაკარი, კრამიტსამარხი № 7, ინვ. 73, 27 ც., I-III სს. სამთავრო, ორმოსამარხი № 564, ინვ. № 1443, 9 ც., III ს. ზომები: 1) 0,6-0,2 სმ; 2) 0,5-0,2 სმ; 3) 0,4-0,2 სმ; 3) 0,3-0,15 სმ; ბაიათხევი, ქვაყუთი № 18, № 70, 10 ც., III-IV სს.<sup>30</sup>

1.1. ყვითელი, სქელკედლიანი მინისა, ფართო, ცილინდრულნახვრეტიანი, წიწამური III, ორმოსამარხი №1, ინვ. № 1, 5 ც. ორმოსამარხი № 19, ინვ. № 160, 65 ც. ზომები: 1) 0,7-0,4 სმ; 2) 0,6-0,4 სმ; 3) 0,5-0,3 სმ; I-II სს.

1.2. ვერცხლფენილი მინისა, მანდარინისებრი, სვეტიცხოველი I, ქვევრსამარხი № 11, 20 ც. ზომები: 1) 0,5-0,2 სმ; 2) 0,4-0,25 სმ; 3) 0,3-0,2 სმ; ქვევრსამარხი № 15, 2 ც., ინვ. № 226, 1) 0,7-0,4 სმ; 2) 0,4-0,2 სმ; ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.

2. ოქროფენილი მინის მძივი, კასრისებრი, ნახვრეტის გარშემო ნაწიბურიანი, თითო ტყუპი, სამი და ოთხი ერთადა გადაბმული. სვეტიცხოველი I, ქვევრსამარხი № 2, ინვ. № 53, 1 ც.; ქვევრსამარხი № 5, ინვ. № 98, 27 ც.; ქვევრსამარხი № 11, ინვ. № 174, 10 ც.; ქვევრსამარხი № 14; ინვ. № 214, 44 ც.; ქვევრსამარხი № 5; ინვ. № 226, 2 ც.; კრამიტსამარხი № 6; ინვ. № 133-138; 25 ც.; კრამიტსამარხი № 13; ინვ. № 199, 44 ც.; ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. წიწამური III, ქვევრსამარხი № 5, ინვ. № 22, 1 ც.; ქვევრსამარხი № 8, ინვ. № 27, 2 ც.; ორმოსამარხი № 19, ინვ. № 160, 65 ც.

3. ოქროფენილი მინის მძივი, ლიმონისებრი, შიგნიდან ღრუ, სვეტიცხოველი I, კრამიტსამარხი № 13, ინვ. № 198, თითო 30 ც.; ტყუპი – 10 ც.; სამი ერთად – 2 ც. ოთხი ერთად – 2 ც. ძვ.წ. I-ახ.წ. I სს.; წიწამური III, ორმოსამარხი № 14, ინვ. № 105, 6 ც. ზომები: 1) 0,6-0,2 სმ; 2) 0,5-0,2 სმ; 3) 0,4-0,2 სმ; I-II სს. მოგვთაკარი, კრამიტსამარხი № 6, ინვ. № 45, 20 ც. I-III სს.

4. ოქროფენილი მინის მძივი, მილაკისებრი შიგნიდან ღრუ. სვეტიცხოველი I, ქვევრ-

<sup>30</sup> ჩანახატი ელზა გომარელისა.

სამარხი № 14, ინვ. № 214, 13 ც.; ძვ.წ. I- ახ. წ. I სს. წიწამური III, ორმოსამარხი № 14, ინვ. № 105, 3 ც. ზომები: 1) 1,8-0,2 სმ; 2) 1,7-0,82 სმ; 3) 1,6-0,2 სმ; 4) 1,5-0,2 სმ; ახ.წ. I-II სს.

5. ოქროფენილი მინის მძივი, გვერდებდაღარული, კარსნისხევი, ორმოსამარხი 28, ინვ. № 105, 17 ც. ახ.წ. II-III სს.

ვერცხლფენილი მინის მძივი, სვეტიცხოველი I, ქვევრსამარხი № 14, ინვ. № 214, 33 ც. ზომები: 1) 0,7-0,3 სმ; 2) 0,6-0,3 სმ; 3) 0,5-0,25 სმ; 4) 0,4-0,15 სმ; ძვ.წ. I-ახ.წ. I სს.

6. ვერცხლფენილი მინის მძივი, ცილინდრული, ზედაპირაბორკლილი, 1, 2, 3, 4, 5, ძვ.წ. რივად, სვეტიცხოველი I, ქვევრსამარხი № 11, ინვ. № 174, 1 ც.; ქვევრსამარხი № 14, ინვ. № 214, 3 ც. ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. წიწამური III, ორმოსამარხი № 19, ინვ. № 160, ახ.წ. I-II სს. ზომები: 1) 0,6-0,3 სმ; 2) 0,5-0,3 სმ; 3) 0,4-0,2 სმ; 4) 0,3-0,15 სმ; ახ.წ. I-III სს.

7. ოქროფენილი მინის მძივი, ოვალური, ზოგს შეუ ნაწილი დაბრტყელებული აქვს, ნახვრეტან ლილვაგებიანი. კარსნისხევი, ორმოსამარხი № 16, ინვ. № 190, 1 ც. ახ.წ. II-III სს. მოგვთაკარი, კრამიტსამარხი № 6, ინვ. № 26, 17 ც. ზომები: 1) 0,6-0,3 სმ; 2) 0,5-0,3 სმ; 3) 0,4-0,25 სმ; 4) 0,3-0,1 სმ; ახ.წ. I-III სს.

8. ვერცხლფენილი მინის მძივი, წაკვეთილ-ბიკონსური, სვეტიცხოველი I, კრამიტსამარხი № 14, ინვ. № 214, 1 ც. ზომები: 0,5-0,3 სმ; ახ.წ. I-II სს.

9. ოქროფენილი მინის მძივი, ხრახნისებრი, მოგვთაკარი, კრამიტსამარხი № 6, ინვ. № 45, 6 ც. ზომები: 0,8-0,4-0,1 სმ; ახ.წ. I-III სს.

## D. Lekashvili

### GILT AND SILVER-PLATED GLASS BEADS FROM CLASSICAL BURIALS OF MTSKHETA

(Summary)

The technique of manufacturing glass beads with silver or gold layer inserted between two glass layers was invented in Egypt in the 4<sup>th</sup> cent. B.C being connected with glass and goldsmithery workshops. Materials used were glass, silver and gold.

Gilt and silver-plated glass beads were found during archaeological excavations in 1975-1985 in Classical burials of Mtskheta (cists, jar-burials, tile-burials, pit-burials), (Kamarakhevi, Mukhatgverdi II – 4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> cent. B.C.), Svetitskhoveli I (1<sup>st</sup> cent. B.C-1<sup>st</sup> cent. A.D.), Tsitsamuri III (1<sup>st</sup>-2<sup>nd</sup> cent.), Mogvtakari (1<sup>st</sup>-3<sup>rd</sup> cent.), Karsniskhevi (2<sup>nd</sup>-3<sup>rd</sup> cent.), Samtavro (3<sup>rd</sup>-4<sup>th</sup> cent.), Baiatkhevi (3<sup>rd</sup>-4<sup>th</sup> cent.).

The techniques for manufacturing gilt and silver-plated glass beads differed in the Hellenistic and Late Classical periods. Beads dating from the Hellenistic period are tiny in size with carefully evened hole edges. Starting from the 1<sup>st</sup> cent. A.D. the core of glass beads became thicker, with notches around the holes and were cast as long billets in moulds. Then the billets were cut into separate beads – sometimes a few beads were still attached to each other or even beads were cut in the middle. Beads hollow inside appeared in the 1<sup>st</sup>-2<sup>nd</sup> cent. – they have free space between gold and glass layers. It is believed that the hollowness effect was reached by letting air into beads. The third type is represented by two-layered glass beads without metal insets.

All the three bead types are attested at the Mtskheta necropoleis. Only a few beads characteristic of the Hellenistic period have been found in Kamarakhevi and Mukhatgverdi II cemeteries. Their quantity increases in Samtavro jar-burials – sometimes hundreds of beads are found in a single burial, such beads being widespread during the period of jar-burials. The amount of beads in the jar-burials of a later period and other types of burials is comparatively smaller. They are absent in tiled burials. The bulk of glass beads have thick yellow core, either hollow inside or with notches on the edges, characteristic of the Roman period. Beads with pink or blue glass layer – occurring rarely – have been discovered in Samtavro. Occasional finds of gilt and silver-plated beads of the Late Classical times become even scarcer after the 4<sup>th</sup> cent. Such beads are back in usage only in the Middle Ages. Study of gilt and silver-plate glass beads enables dating the burials themselves.

Thousands of such beads, discovered at ancient necropoleis in the Caucasus, are indicative of a great demand for them. They either could have been imported in to Georgia from Syria and Egypt, or manufactured in local workshops, presumably in Mtskheta, which is considered to have been an advanced centre of goldsmithery.

## ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ." ქანდაბაძე ა., ლომთათიძე გ. მცხეთა, ტ. I. ობ., 1955.
2. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი გ., სინარულიძე ა., ბიბილური თ.,

გიუნაშვილი გ., მანჯგალაძე გ., სადრაძე გ., ხეცურიანი ლ. დიდი მცხეთა, 1981. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – მცხეთა, ტ. IX, თბ., 1989, გვ. 26-35, 67-68.

3. ბახტაძე რ. საქართველოს უძველესი მინების შესწავლისათვის. თბ., 1964.

4. გიგოლაშვილი ე. მძივსამკაული. – ვანი, ტ. VII, თბ., 1983, გვ. 96-112.

5. დოლაბერიძე რ. XI-XII სს. საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ., 1985.

6. თოლორდაგა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980.

7. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი ახ. ტ. II საუკუნისა. თბ., 1947.

8. მამაიაშვილი ნ. ჯაგახიშვილი ქ. ჭერემის გვიანრომაული ხანის სამაროვანი. – კაეშ, VI, 1984, გვ. 77-108.

9. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1983.

10. ნიკოლაიშვილი ვ. კარსნისხევის მეთუნებელოსანთა დასახლება. თბ., 1993.

11. ნიკოლაიშვილი ვ. გიუნაშვილი გ. ბაიათხევი. – მცხეთა, ტ. V, თბ., 1995, გვ. 97-134.

12. ნიკოლაიშვილი ვ. ნარიმანიშვილი გ. წიწამური III. – მცხეთა, ტ. V, თბ., 1995, გვ. 58-96.

13. რამიშვილი რ. ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. თბ., 1979.

14. ჯაგახიშვილი ქ. ნაქალაქარ ურბნისის გლიპტიკური ძეგლები. თბ., 1972.

15. ჯინჯიხაშვილი გ. ბვწ. I და ახ.წ. I სს. ქვევრსამარხები “საყარაულო სერის” სამაროვნიდან. – კად, თბ., 1980, გვ. 42-58.

16. ჯღარგვათ თ. კამარახევი. – მცხეთა, ტ. V, თბ., 1982, გვ. 139-188.

17. Алексеева Е. М. Античные бусы Северного Причерноморья. САИ, вып. Г-12, М., 1978, с. 27-33.

18. Деопик В. Б. Классификация бус Северного Кавказа IV-V вв. – СА, № 3, 1959, с. 21-30.

19. Иващенко М. М. Самтаврские погребения первых трех веков н.э. – მცხეთა, ტ. III, თბ., 1980.

20. Казиев С. М. Альбом кувшинных погребений (Археологические раскопки в Мингечевире). Баку, 1960.

21. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

22. Хачатрян Ж. Гарни, т. II. Ереван, 1957.


### ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – ოქროფენილი და ვერცხლფენილი მინის მძივები მცხეთის ანტიკური ხანის სამარხებიდან.


### Description of the plate

Pl. I – gilt and silver-plated glass beads from Classical burials of Mtskheta


გაბ. I



1



1.1



1.2




2



3




4




5




6



7



8



9



## ქეთეგან რამიშვილი

### ორი ბულა მცხეთის სვეტიცხოვლის უბნიდან

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1991 წელს სევტიცხოვლის უბნის ერთ-ერთი შენობის № 2 სათავსში აღმოჩნდა ორი თიხის ბულა, რომელიც სასანური წრის საბეჭდავებიდან მიღებული ანაბეჭდებია. ეს აღმოჩნდა განსაკუთრებული ინტერესს იმსახურებს იმის გამო, რომ თუმცა ჩვენში სასანური საბეჭდავები დიდი რაოდენობით არის მოპოვბული ადრეული შეუ საუკუნეების ქართლის ძეგლებზე, (კერძოდ, მცხეთის – სამთავროს და არმაზისხევის ვრცელ სამაროვნებზე, ასევე ისტორიული დიდი მცხეთის სხვა პუნქტებში: მარტაზისხევი, ავჭალისკარი, კარსნისხევი, მუხათგვერდი, მოგვთაკარი და სხვ.), სასანურ გამოსახულებიანი ბულა კი სულ ორი იყო ცნობილი აქამდე: ერთი უფლისციხილან (ყოთნალიხევის ნამოსახლარზე), რომელზეც წარჩინებული მამაკაცის პორტრეტია გამოსახული, სასანური ოფიციალური პორტრეტისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით და ფალური წარწერით [5, გვ. 83-84]. მეორე ბულა ურბნისის ნაქალაქარიდანაა [6, გვ. 122-127]. მასზე სამი ანაბეჭდია და აქედან ორზე სასანური ნიშანი, ანუ „მონოგრამა“ გამოსახული. აქაც ერთ მათგანზე მსგავსი სტერეოტიპური ფალური წარწერაა. სასანური გემების დიდი რაოდენობით აღმოჩნდა უტყუარი დადასტურებაა IV-VII სს. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ (კერძოდ, საკუთრივ მცხეთის მოსახლეობის მიერ) მათი ფართოდ მოხმარებისა. მცხეთაში სათავს ნაგებობაში ბულების აღმოჩენამ კი დაგვანახა ყოფაში მათი პრაქტიკული გამოყენების ცოცხალი სურათი.

ერთ-ერთი ბულა სათავსის იატაკზე აღმოჩნდა. იგი წარმოადგენს წმინდად განლექილი თიხის მოზრდილ გუნდას, ზურგის მხარეს ნაწილობრივ მოთეთრო ფენით დაფარულს და ერთგან ოდნავ ჩაშავებულს (დამწერობის კალი). ბულა პირისა და ზურგის მხარეს მცირედ დაბრტყელებულია; სამ ადგილას შეინიშნება გამჭოლი ფოსოები: ორი, პირის კიდეზე და ერთი, ზურგიდან პირისაკენ, ისე რომ გამოსახულებას აზიანებს. ბულის პირზე მოთავსებულია მრგვალ და ბრტყელბირიანი საბეჭდავის ანაბეჭდი – სასანური ნიშანი, ანუ ეწ. მონოგრამა: პორიზონტალური „სადგარი“, გარეთ გადმოხრილი რქალებით დაბოლოებული, ეყრდნობა მის მიმართ დაგონალურად მიმართულ ორ საყრდენ „ფეხს“. სადგარის ცენტრიდან აღმართულია კუთხისებური ნიშანი, რომლის წვერო დაბოლოებულია ნახევარმთვარის გამოსახულებით. მის შიგნით კიდევ მცირე ზომის რკალის მსგავსი ნიშანია მოთავსებული. სადგარის ერთ-ერთი „ფეხი“ ასეთივე ნიშნით არის დაბოლოებული. შესაძლოა ასო-ნიშანია. გამოსახულებას გარს აკრავს ფალური სახელ-პატრონიმის შემცველი წარწერა

– იაზდან-შაჰი, მე სტადანისა (სურ. 1; ტაბ. I, (წარწერა წაიკითხა მ. წოწელიამ).



სურ. 1

გარდა ამ ძირითადი გამოსახულებისა ბულის კიდევებზე კიდევ შეინიშნება სამი ანაბეჭდი. აქედან ორი წარმოადგენს მცირე ზომის საბეჭდავების ანაბეჭდებს. ერთ მათგანზე, მიუხედავად ბუნდოვანი გამოსახულებისა, მაინც გაირჩევა მწოლიარე ლომი, პროფილში მარჯვნივ მიმართული (ტაბ. I<sub>2</sub>). ცხოველის სხეული ოვალური ღრმულით არის ასახული. დიდი, ფაფრიანი თავი წინა კიდეულებისაკენ არის გადახრილი, თათები მოგეცილი აქვს სხეულს ქვეშ. ნაკვთების გარჩევა ჭირს. მეორე ანაბეჭდზე გამოსახულება კიდევ უფრო ბუნდოვანია. მდგომარე ადამიანის ფიგურა უნდა იყოს, გრძელ სამოსში (ტაბ. I<sub>3</sub>). საერთო იერით, იგი ნაკლებად დახვეწილ გვიან-რომაული საბეჭდავების გამოსახულებებს ემს-გავსება. მესამე ანაბეჭდი კი სულ სადა ჩანაჭდევია, მოგრძო რკალის სახით (ტაბ. I<sub>4</sub>). უბრალოდ, ფრჩხილის ჩანაჭდევი უნდა იყოს. ამდენად, ბულაზე ოთხი ანაბეჭდია – ერთი ცენტრალური და სამი გვერდით. ბულა კარგად არის დაცული, მხოლოდ მცირე ჩამონატეხები აქვს ზონრის გასაყრელი ფოსოების ირგვლივ (ზომები: ბულის დმ – 35 მმ; ძირითადი ანაბეჭდის დმ – 20 მმ; II ანაბეჭდის დმ – 10 მმ; III ანაბეჭდის სიგრძე – 10 მმ; სიგანე – 4 მმ; ფრჩხილის ჩანაჭდევის სიგრძე – 11 მმ).

ძირითად გამოსახულებას, ზოგადად მსგავსი ელემენტებისაგან შედგენილი, მრავალი ანალოგია ეძებნება სასანურ გემებზე [19, გამ. Ngl, NH4, NFL; 9, გამ. 191. 192; 21, გამ. 6. 43, 6. 80, 6. 81]. საქართველოში მოპოვებულ მასალაში მსგავსი „ნიშანი“, მცირეოდენი განსხვავებებით, გვხვდება ბაიერნისეული სამთავროს ოქროს ბეჭდის ლაუვარდის ინტალიოზე [2, გამ. 95], არმაზისხევის № 17 სამარხის ბრინჯაოს ბეჭდის ლურჯი მინის ინტალიოზე [2, გამ. 96], მაგრა-

ნეთის № 6 სამარხის ვერცხლის ბეჭდის ინტალიოზე [2, გვ. 98]. კველაზე ახლო ანალოგია კი ურბნისის ნაქალაქარზე მოპოვებული ბულის ერთ-ერთი გამოსახულებაა. ეს ბულა სპეციალურად შესწავლილი აქვს ქ. ჯავახიშვილს და მიიჩნევს, რომ მისი სამუალებით ირანიდან შემოსული საქონლის ფუთა უნდა ყოფილიყო და ბეჭდილი [6, გვ. 126, ტაბ. VII]. იგივე ბულა, კერძოდ მისი წარწერა, შეისწავლა ფ. უინიომ და ჰქონდა მნიშვნელოვანი დაკვირვება იმის შესახებ, რომ „მონოგრამაში“ მოთავსებული ასონიშნები იმეორებენ გარშემო მოთავსებული წარწერის ზოგიერთ ასოს, ე.ი. მის ერთგვარ ქარაგმულ მინიშნებას წარმოადგენენ [4, გვ. 84-87]. საინტერესო იქნება ამ თვალსაზრისით მცხოვრის ბულის წარწერაც იქნეს შესწავლილი.

სასანურ გემებზე გამოსახული ნიშნების („მონოგრამების“) შინაარსისა და მნიშვნელობის შესახებ მკვლევარებს მრავალი მოსაზრება აქვთ გამოთქმული. კველა ისინი ვარაუდის დონეზე რჩება დღემდე. ე. ჰერცფელდის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს ნიშნები მფლობელთა სახელების მიხედვით შედგენილი მონოგრამებია, უმრავლეს შემთხვევებში არ დადასტურდა, მაგრამ სახელწოდება „მონოგრამები“ პირობითად დარჩა [27, გვ. 17]. ფ. აკერძანი ამ ნიშნებს ასტრალურ კულტებს უგავშირებდა და მათ სიმბოლურ გამოსახულებებად თვლიდა [18, გვ. 805-807]. ზოგი მეცნიერი მათ ემბლემებს უწოდებს და თვლის რომ თავდაპირველად, ალბათ, ეს იყო მომთაბარე ირანელების საქონლის დასანიშნი დამდები, შემდეგ კი ზოგადად საკუთრების დამადასტურებელ ნიშნებად იქცა [19, გვ. 28]. ბევრი მკვლევარის აზრი ემთხვევა ერთმანეთს იმ თვალსაზრისით, რომ ეს ნიშნები (ან მათი დიდი ნაწილი) შესაძლოა იყოს საგარეულოთა, ან დიდი ოჯახების განმასხვავებელი ნიშნები – ინსიგნიები [23, გვ. 110; 29, გვ. 225; 14, გვ. 148]. გარკვეული სახეობა ნიშნებისა კი სხვადასხვა ცეცხლის ტაძრების ნიშან-სიმბოლოდ არის მიჩნეული [9, გვ. 42; 19, გვ. 28]. ა. ბრანერის აზრით, მოგვიანო ხანის ნიშნების (იგი მათ „დევიზებს“ უწოდებს) გამოსახულებებში მართლაც შეინიშნება ცალკეული ასოების ჩართვა და ზოგ შემთხვევებში ამ აბრევიატურების ამოხსნა ხერხდება გარშემო მოთავსებული წარწერების წაკითხვის შემდეგ [20, გვ. 123]. აქ უნდა აღვნიშნოთ ფ. უინიოს დაკვირვება ურბნისის ბულის წაკითხვის დროს: მან შენიშნა, რომ აქ უგუპროცეს ჰქონდა ადგილი. პირიქით, სწორედ მონოგრამაში ჩართულმა ასოებმა მისცა მას საშუალება კურსივით შესრულებული გარე წარწერის ზოგიერთი ასოს დაზუსტებისა [4, გვ. 90]. ა. ბრანერსავე აქვს გამოთქმული ვარაუდი, რომ ერთგვაროვანი ნიშნების დიდი სიმრავლე შეიძლება აიხსნას იმით, რომ დიდი საგვარეულოები, თუ კლანები, თავის ქვეშევრდომებს – მსახურებს, მოხელეებს, აგრეთვე

სასულიერო პირებს, აძლევდნენ ნებას დუბლი-კატების ქონებისა [20, გვ. 123].

საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული სასანური ნიშნების შესახებ რ. ფრაის, შეისწავლა რა ქასრ-ი აბე ნასრში აღმოჩენილი ბულები. იგი მიიჩნევს, რომ მონოგრამების დიდი ნაწილი შეიცავს საშუალო სპარსული ასოების ელემენტებს. მათ შორის არის ისეთები, სადაც ეს ასოები იკათხება და არის ისეთებიც, სადაც ძლიერი სტილიზაციის გამო, მათი ამოცნობა და გარჩევა გეომეტრიული სახეებისაგან შეუძლებელია. რაც შეეხება მათ დანიშნულებას და შინაარსს, იგი თვლის, რომ თითოეულ მათგანში მფლობელს გარკვეული აზრი ჰქონდა ჩადებული და ამდენად, მოცემული სიმბოლიკაც მხოლოდ მისთვის უნდა ყოფილიყო გასაგები [24, გვ. 54]. გეომეტრიული ელემენტების არსებობა კი მათ დეკორატიულ დანიშნულებაზე მიგვითოთებს. ასეთი ნიშნები ხომ საბეჭდავების გარდა გვხვდება ლითონის ჭურჭელზე, თიხაზე, სტუკოზე, და კველა მათგანს დიდი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა [24, გვ. 55-56].

ვ. ლუკონინის მიერ გამოყოფილი სამი ძირითადი ჯგუფიდან პირველ ორში ძირითადად კლდის რელიეფებზე და საბეჭდავებზე, დიდებულთა, დიდ მოხელეთა და სასულიერო პირთა თავსაბურავებზე მოთავსებული ნიშნებია გაერთიანებული. მესამე ჯგუფში კი მან საბეჭდავებზე დამოუკიდებლად არსებული ნიშნები განიხილა [9, გვ. 38]. სწორედ ამ ნიშნების ძირითადი შემადგენელი ნაწილია ჰორიზონტალური სადგარი, მის ზემოთ აღმართული ნახევარმთვარით და აქეთ-იქეთ გადახრილი რკალების სხვადასხვა კომბინაციებით, და სწორედ ამ ჯგუფის გამოსახულებებს მიაკუთხნებდა გ. პუგაჩენკოვა ზოროასტრული ტაძრის გუმბათის წვერის პირობით გამოსახულებას [14, გვ. 148]. ვფიქრობთ, უფრო მისაღებია ვ. ლუკონინის ვარაუდი, რომ ამ სახის აღრეული პროტოტიპი შეიძლება ყოფილიყო ცეცხლის საკურთხევლის – ათაშდანის გამოსახულება [9, გვ. 42].

საქართველოში მოპოვებული „მონოგრამაზი“ საბეჭდავების უმრავლესობაზეც ამ სახის გამოსახულებებს ვწედავთ. ერთ-ერთი გამოსახულება კი მართლაც ძალიან ჰგავს ცეცხლის საკურთხევლის პირობით მინიშნებას (სამთავროს სამაროვნის № 82 ქვევრსამარხის ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭედი) [2, გამ. 8]. მცხეთის ბულის ნიშანი-მონოგრამაც სწორედ ამ წრის გამოსახულებებს უახლოვდება.

რაც შეეხება ბულის გვერდებზე მოთავსებულ ანაბეჭდებს, ისინი გაცილებით მცირე ზომისა და უფრო უხარისხოა. ერთ-ერთ მათგანზე მწოლიარე ლომია გამოსახული. მკაფიოდ არ ჩანს, მაგრამ ზოგადი მოხელეობით მაინც ჰგავს სასანურ გლიპტიკაში გავრცელებულ მწოლიარე ლომების მცირე გამოსახულებებს [19, გამ. DA8,11,12; 25, გამ. D50, 54, 165].

მეორე გვერდითა გამოსახულება, როგორც აღნიშნე, ძალიან ბუნდოვანია, დაუდევრად შესრულებული მცირე ზომის საბეჭდავის ანაბეჭდია. მესამე გვერდითა ჩანაჭდევი, რომელიც ფრჩხილის ჩანაჭდევი უნდა იყოს, ინტერესს იმსახურებს. მსგავსი გაურკვეველი ჩანაჭდევები პ. ჰარპერსაც აქვს შემჩნეული ქასრ-ი აბუ ნასრის ბულებზე [25, გვ. 43-44]. იგი აღნიშნავს, რომ დაბეჭდვაში მონაწილეობის მსგავსი წესი უძველესი დროიდან არის ცნობილი მახლობელ აღმოსავლეთში. ჯერ კიდევ ჰარპერის დროინდელ თიხის ფირფიტებზე ჩნდება მსგავსი ჩანაჭდევები სხვა საბეჭდავების ანაბეჭდების გვერდით. ასეთივე სურათი შემჩნეულია სელევკიაში აღმოჩენილ ანაბეჭდებზე. ქასრ-ი აბუ ნასრში კი ისინი საბეჭდავების გამოსახულებების გვერდით, ერთ ან მეორე მხარეს არის ჩაჭდეული [25, გვ. 43-44]. მსგავსი სურათია მცხეთის ბულაზეც. აქაც, სამი საბეჭდავის ანაბეჭდთან ერთად გვჩვდება მეოთხე, ფრჩხილის ჩანაჭდევი, რაც ამ სახით დაბეჭდვის აქტში მონაწილეობაზე მიუთითებს.

ამდენად, ამ ბულაზე ძირითადი და გადამწყვეტი ფუნქცია ენიჭება ცენტრალურ, „მონოგრამიან“ ანაბეჭდს. არსებობს დაკვირვება, რომ მონოგრამიანი საბეჭდავები ეკუთვნოდათ სასულიერო პირებს, ქურუმებს, და ისინი, ამავე დროს, მსაჯულის ფუნქციასაც ასრულებდნენ [9, გვ. 42].



სურ. 2

მეორე ბულა სათავსში მიკვლეული ქვევრის ფსკერზე აღმოჩნდა. იგი წარმოადგენს წმინდად განლექილ, მკვრივი თიხის დაბრტყელებულ გუნდას (სურ. 2); ბაცი ყავისფერია, ოდნავ მოვარდისფრო და ცალ მხარეს მოშავო ლაქით. ბულის მცირედ დაბრტყელებულ პირზე მრგვალი ფორმის, ბრტყელპირიანი საბეჭდავის ანაბეჭდია მოთავსებული. სუფთა, მკაფიო კეთა უნდა ყოფილიყო, რადგან თიხაზე მკვეთრ რელიეფს იძლევა.

ანაბეჭდზე რთული კომპოზიციაა გამოსახული: ცენტრში აღმართულია დიდი ზომის ჯვარი, რომლის ვერტიკალური ღერძი თავსა და ბოლოსაკენ თანდათან ფართოვდება. ჯვრის მოკლე მკლავები მცირე ვერტიკალური ღარებით არის დასრულებული. მკლავებს ზემოთ, ერთმანეთის საპირისპიროდ ორი მცირე ზომის ფრინველია გამოსახული. ისინი ნახევრად ფრთხებაშილილი არიან და ნისკარტებით ჯვრის ღერძის ზედა, გაფართოებულ ნაწილს ეხებიან. მკლავებს ქვე-

მოთ, ღეროს ორივე მხარეს სასანური ბაფთებია სიმეტრიულად აფრიალებული. ქვემოთ, ჯვრის ძირში კი ჯიხვის წყვილი თავია გამოსახული, ერთმანეთისაკენ კეფებით შექცეული (სურ. 3; ტაბ. I<sub>5</sub>). ჯიხვების ყანწისებურად მოხრილი რქები ისეა ჯვრის აქტი-იქით აღმართული, რომ, ერთი შეხედვით, სასანურ ხელოვნებაში გავრცელებულ, გამლილი ფრთხების ასოციაციას იწვევს [26, გამ. 43]. მსგავს შემკულობაში – ფრინველის გაშლილ ფრთხებში, ან მცენარის აყვავებულ რტოებში სხვადასხვა ზოროსტრული სიმბოლოების, ან მეფეთა და დიდებულთა პორტრეტების ჩასმა გავრცელებული მხატვრული ხერხი იყო სასანურ ხელოვნებაში [19, გამ. AB 6-12; 9, გამ. 674]. საყურადღებოა, რომ შემკულობის ეს სახეობა ფართოდაა გავრცელებული ქრისტიანულ ხელოვნებაშიც და კერძოდ, აღრექრისტიანული ხანის ქართულ ძეგლებზე [8, (მცხეთის ჯვრის მონასტრის პორტალი - „ჯვრის ამაღლება“) გამ. 30; 7, ტაბ. LVIII<sub>1</sub>, XXXIV<sub>1,2</sub>].



სურ. 3

გარდა ძირითადი ანაბეჭდისა ბულის კიდეებზე კიდევ ორი მცირე ანაბეჭდია. ერთ მათგანზე გამოსახულია მწოლიარე ჯიხვი (სურ. 4, ტაბ. I<sub>6</sub>). ცხვეველის სხეული მოგრძო დანაწევრებული ღრმულით არის გადმოცემული. მას მოხრილი კიდურები და პარალელურად უკან გადახრილი, გრძელი, რქები აქვს. მეორე გვერდითა ანაბეჭდი ჩადრეკილია, რაც მიგვანიშნებს, რომ საბეჭდავის პირი ამობურცული იყო. ანაბეჭდზე გამოსახულია მინიატურული ჯვარი, რომელიც ისევ წყვილი გაფრიალებული ბაფთით არის შემკული (სურ. 5, ტაბ. I<sub>7</sub>). გამოსახულება ძალზე ბუნდოვანია; ჩანს რომ დაუდევრად არის შესრულებული. შესაძლოა მინის ინტალიონდან იყოს მიღებული.



სურ. 4

ბულა ცალ მხარეს გაბზარულია, რის გამოც ერთი გვერდითა გამოსახულება დაზიანებულია. (ზომები: ბულის პირის დმ – 29 მმ; ძირითადი

ანაბეჭ. დმ. - 16 მმ; I გვერდითი ანაბეჭ. დმ - 10 მმ; II გვერდითი ანაბეჭ. დმ. - 7 მმ).



სურ. 5

ამდენად, ამ ბულაზე სამი ანაბეჭდიდან ორზე ქრისტიანული სიუკეტია, ერთზე კი ჩლიქოსანი ცხოველი, რომლის მსგავსი ხშირად გვხვდება სასანურ გემებზე [9, გამ. 370; 19, გამ. FH7,8,9,10].

განსაკუთრებულ ინტერესს ამ ბულაზე ცენტრალური გამოსახულება იძინავს. აյ ძირითად ქრისტიანულ სიმბოლოს - ჯვარს ვხედავთ ზოროსტრული სიმბოლიკისათვის დამახასიათებელ ელემენტებთან ერთად. ჯვარი და მის აქეთ-იქეთ ფრინველების გამოსახულებები ერთ-ერთი გავრცელებული თემაა ქრისტიანულ ძეგლებზე. მაგრამ ფრინველი კერძოდ ფარშევანგი, როგორც სამოთხის სიმბოლო, მიღებული იყო ძველ აღმოსავლურ სამყაროშიც; ქრისტიანობამ კი იგი, გარდა ამისა, სულის ამაღლების და უკვდავების სიმბოლოდ აქცია [22, გვ. 308]. ამიტომ ფარშევანგი (შემდეგ კი, საერთოდ ფრინველი, - მცირე ჩიტი) ჯვრის გამოსახულების გვერდით, ფართოდ გავრცელდა ქრისტიანულ ხელოვნებაში. გავიხსენოთ კონსტანტინოპოლის რელიეფი ბერლინის მუზეუმიდან [8, გვ. 14, გამ. 5], ბოლნისის სიონის ერთ-ერთი კაპიტელის რელიეფი [8, გამ. 6]. ყიზილ-ქილისას და სათხის ეკლესიების კედლებში ჩაშენებული ბაზის ფრაგმენტები, სადაც სხვადასხვაგარად შესრულებული ფარშევანგის გამოსახულებებია ჯვართან ერთად [7, ტაბ. XXX<sub>1,2</sub>, LVIII<sub>1</sub>]. აქვე უნდა დავასახელოთ რელიეფი მრამბიდან (აფხაზეთი), სადაც ფრინველები გამოსახულია არა ჯვართან, არამედ წყალსატევთან, რაც ქრისტიანულ სინამდვილეში იგივე შინაარსის მქონეა და გარდა სულის ამაღლებისა, წმინდა ევეკარისტიის საიდუმლოზეც მიგვანიშნებს [17, გვ. 34, ტაბ. XX<sub>1</sub>]. ამავე დროს წყვილი ცხოველის და ფრინველის გამოსახვა სიცოცხლის სიმბოლოს, სიცოცხლის ხის გვერდით ფართოდ გავრცელებული თემაა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, უძველესი დროიდან. კერძოდ სასანური ირანის ხელოვნებაშიც ხშირია მსგავსი გამოსახულებები ტორევტიკულ ნაწარმზე [16, გამ. 70,100], გლიპტიკურ ძეგლებზე [19, გამ. ES1; 9, გამ. 408; 20, გვ. 93; გამ. 3fd]. ქართულ მასალაში სამთავროს სამაროვნის № 650 ქვის სამარხის ვერცხლის ბეჭდის ლაქვარდის ინტალიოზე გვაქვს ორი ხარის შეზრდილი პროტომა სიცოცხლის ხესთან [2, გამ. 44].

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მაინც სასანური სამყაროს სხვა ძეგლებზე აღმოჩენილ გლიპტიკურ მასალაზე და ბულებზე მიკვლეული ანალოგიები. ქასრ-ი აბუ ნასრის ბულების ვრცელ მასალაში არის რამდენიმე ანაბეჭდი, რომლებიც შინაარსით ახლოს დგანან ჩვენს გამოსახულებასთან: ერთ ანაბეჭდზე ექვსი სფეროსებრი საგნის გროვაზე (სავარაუდოდ, ნაყოფების სქემატური გამოსახულება) ერთმანეთისაკენ მიმართული ორი ფრინველი ზის, ისე რომ ნისკარტებით ერთმანეთს ეხებიან (ტაბ. I<sub>8</sub>). [25, გამ. D.375]. მეორე ანაბეჭდზე უკვე საკურთხევლის მაგვარ სადგარზეა მოთავსებული „ნაყოფები“; მათ ზემოთ, სფეროში ექვსქიმიანი ვარსკვლავი, თუ ვარდულია ჩასმული (რაც შესაძლებელია ჯვრის ეკვივალენტი იყოს), ხოლო ნაყოფებზე კვლავ ერთმანეთისაკენ მიმართული ორი ფრინველი (ისევები?) ზის. მათ ზემოთ ორმაგი რკალით ნახევარმოვარეა გამოსახული [25, გამ. D.376]. მესამე ანაბეჭდზე სიცოცხლის ხე - სამრტოიანი ბროწეულის ბუჩქია გამოსახული. სამივე რტო ბროწეულის ნაყოფით ბოლოვდება; გვერდითა ნაყოფებზე მცირე ჩიტები არიან შემომსხდარნი და ნისკარტებით ძირითადი რტოს ნაყოფს ეხებიან [25, გამ. D.328]. ვფიქრობ, სამივე შემთხვევაში სიუხვის, კეთილდღეობის და, შესაძლოა, სამოთხის სიმბოლურ გამოსახულებასთან გვაქვს საქმე. ეს გამოსახულებები უკვე ქრისტიანულ სიუჟეტად შეიძლება ჩაითვალოს. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავსი გამოსახულებანი - სიუხვის, კეთილდღეობის, სამოთხის ამსახველი სცენებით, ცნობილია ადრექრისტიანული ხანის ხელოვნებაში. გავიხსენოთ რავენის სენ-ვიტალის ეკლესიის საკურთხევლის სვეტისთავების ზემოთ მოთავსებული მოზაიკური შემცულობა, სადაც ნაყოფებით დახუნძლულ ლარნაკზე აქეთიქიდან ფრინველებია შემომსხდარი [11, ტაბ. 30].

ჩვენს გამოსახულებასთან შინაარსობრივად კიდევ უფრო ახლოს დგას დვინში (სომხეთი) აღმოჩენილი ერთი ბულა, სადაც ერთ-ერთ ანაბეჭდზე სტილიზებული სიცოცხლის ხე, ფაქტიურად უკვე ჯვრის გამოსახულებას უახლოვდება: ძირითადი ღერძი, დაბოლოვებული ხუთფურცელა ყვავილით, თუ ფოთლებით და ჯვრის მკლავების მსგავსი ორი მოკლე რტო, რომლებზეც თითო ჩიტია მოთავსებული, თავებით მცენარის ზედა, აყვავებული ნაწილისკენ მიმართულინი. ძირითადი ღერძის ორივე მსარეს, ქვემოთ, მორკალული რტებია გამოსახული, რომლებიც სასანურ ძეგლებზე გავრცელებულ სტილიზებულ მცენარეულ მოტივსაც გავს და ცხოველის (ვერძის) რქებსაც (ტაბ. I); ამავე დროს აყვავებული ჯვრის მოტივსაც გვაგონებს. კერძოდ, ჩვენი გამოსახულების მსგავსად, აქაც აშკარად ჩანს ქრისტიანული სიუჟეტის გამოსახვისას სასანური ელემენტების გამოყენება - ღერძის

აყვავებული წერო, მორკალული რტოები [10, ტაბ. VI, გამ. 57].

ყველაზე ახლო ანალოგია მცხეთის ბულის გამოსახულებისა კი არის პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ერთი საბეჭდავი [21, გამ. 4. III] (ტაბ. I<sub>10</sub>). აქ ჯვრისებური ფორმის სამნაწილად ბროწეულის ბუჩქზე, გვერდითა რტოებზე (ჯვრის მკლავებზე), ერთმანეთის ჰირისაირ სხედან ჩიტები და ნისკარტებით ეხებიან ძირითადი ღეროს დამაგვირვინებულ ბროწეულის ნაყოფს (შევადაროთ მცხეთის ბულას), ღროს ქვედა ნაწილში კი, ორივე მხარეს, აღმართულია სასანური მანერით შესრულებული ფრინველის გაშლილი ფრთები, რომელთა ბოლოები ზუსტად ისეა ჩაგრეხილი შიგნითენ, რომ წყვილი რქის გამოსახულებასაც გავს. მსგავსი ვითარება, როდესაც ჭირს გარჩევა, გაშლილი ფრთებია, თუ ცხოველის (ხარის ან ვერძის) რქები, მოთავსებული ძირითადი გამოსახულებების ქვეშ, გვხვდება სასანურ ძეგლებზე [9, გამ. 611]. მსგავსებას ჩვენს გამოსახულებასთან კიდევ უფრო ამძაფრებს ის, რომ აღწერილ საბეჭდავზე „ფრთების“ ქვედა ნაწილი ორ-ორი ვერტიკალური ხაზით არის მკვეთრად გამოყოფილი, რაც პირობითად, თითქოს, ცხოველის თავების ისეთ მდებარეობაზე მიუთითებს, როგორიც მცხეთის ბულაზეა.

ამგვარად, ამ სასანურ საბეჭდავზე ვნედავთ თითქმის ზუსტად იგივე სქემას, რაც მოცემულია ჩვენს ანაბეჭდზე (ჯვრისებურად გამოსახული მცენარე, ზედ მოთავსებული ჩიტები, ზუსტად ანალოგიურ მდგომარეობაში, მცენარის შემკობა ფრინველის გაშლილი ფრთებით, რომელთა მოხაზულობა და შესაძლოა, შინაარსიც, ემსგავსება მცხეთის ანაბეჭდზე ცხოველის თავების და რქების კონფიგურაციას). ცხადია, ეს გამოსახულებაც სამოთხის განსახიერება უნდა იყოს და, შესაძლოა, უკვე ქრისტიანული შინაარსის მატარებელია.

რამდენიმე სიტყვით შევხები ბულების დანიშნულებისა და გამოყენების საკითხს. მკვლევართა უმრავლესობა მივიდა იმ დასკნამდე, რომ ბულები ძირითადად ორი მიმართულებით გამოიყენებოდა. მათ ნაწილს ხმარობდნენ სხვადასხვა ღოკუმენტების (მათ შორის იურიდიული ღოკუმენტების, სავაჭრო გარიგებების), პირადი წერილების, სიგელების, ამანათების დასაბეჭდად [9, გვ. 35; 25, გვ. 43]. პრ. ჰარპერი ქასრი-ი აბუ ნასრის ბულების შესწავლისას ასკენის, რომ მცირე ზომის ბულები, რომლებზეც ერთი ან ორი ანაბეჭდია და რომლებზეც ზურგის მხარეს შეინიშნება კანაფის, ან ტყავის თასმის კვალი, ღოკუმენტების დასაბეჭდად გამოიყენებოდა. ხოლო უფრო მოზრდილი ბულები, რომლებზეც რამდენიმე ანაბეჭდია, საქონლის დასაბეჭდი ბულებია. ამ უკანასკნელებით ბეჭდავდნენ ფუთებს, ფუთებს, დიდი ზომის ჭურჭელს, საცავებს და სხვ. [9, გვ. 35; 10, გვ. 21; 25, გვ. 42-43]. მათ თასმის კვალი არა აქვთ, მაგრამ ხშირად აქვთ კვალი იმ საგნისა, რომლებზეც იყვნენ დაკრულნი. ბევრ მათგანს ზონრის გასაყრელი გამჭოლი

ფოსოები აქვთ, მცხეთის ბულების მსგავსად. აღსანიშნავია, რომ ყველა იმ ძეგლზე, სადაც ბულები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა (ქასრ-ი აბუ ნასრი, ტახტ-ი სულეიმანი, აქ-თეფე, დვინი) ისინი თავმოყრილი იყვნენ ერთ ოთახში, ან სათავსში, სადაც, როგორც ჩანს, ინახებოდნენ საქონლიდან მოხსნის შემდეგ, როგორც დასტური იმ საქონლის ვარგისიანობის და მისი წარმომავლობის შესახებ. ჩვენ შემთხვევაში სულ ორი ბულა აღმოჩნდა სათავსში, ქვევრთან, სხვა თიხისა და მინის ჭურჭლის ფრაგმენტებთან ერთად. შესაძლოა, იქ წწორედ ამ ბულებით დალუქული ქვევრი და სხვა საქონელი ინახებოდა.

ბულებზე, საერთოდ, სასანურ საბეჭდავებზე გავრცელებული თითქმის ყველა გამოსახულება გვხვდება. ფ. უინიო თვლის, რომ ოფიციალური საბეჭდავები მხოლოდ წარწერებს შეიცავენ. ამიტომაცა ბულებზე ყველაზე მეტი წარწერიანი საბეჭდავების ანაბეჭდები [21, გვ. 2]. ამავე აზრისაა რ. ფრაიც [15, გვ. 296]. რაც შეეხება მონიღრამიან ანაბეჭდებს, ისინიც საკმაოდ ხშირია ბულებზე და თითქოს შუალედური აღგილი უჭირავთ წარწერიან და გამოსახულებიან საბეჭდავებს შორის. ისინი ძირითადად სასულიერო პირებს (მაგებს, მაგუპატებს) ეკუთვნოდნენ, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ უმაღლესი მსაჯულის უფლებებით, მონაწილეობინენ „სამართლის წიგნის“ შედგენაში, აწარმოებდნენ გადასახადების აკრეფის კონტროლს, ხელმძღვანელობდნენ სწავლა-განათლების საკითხებს და ხშირად სავაჭრო გარიგებებშიც მონაწილეობდნენ, როგორც მთავარი არბიტრები [12, გვ. 35; 24, გვ. 47]. ამიტომაც, რომ ბულებზე, რომლებითაც ბეჭდავდნენ საქონელს, ან საქონლის საცავებს, ერთ-ერთი ანაბეჭდი, თითქმის ყოველთვის „მონიღრამიანი“ საბეჭდავისაა.

წყაროებიდან დასტურდება, თუ რაოდენ დიდი იყო საბეჭდავების მნიშვნელობა სასანურ საზოგადოებაში. საინტერესოა, რომ ტერმინი „მიკრ“ გულისხმობდა, როგორც თვით საბეჭდავს, ასევე ბულებზე დასმულ ანაბეჭდს [24, გვ. 47]. ბეჭდი ფაქტიურად განსაზღვრავდა პიროვნების ადგილს, სტატუსს საზოგადოებაში. არის ასეთი ცნობა ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“, სადაც მეფეს დაუსახელეს პირვენება, მან კი თქვა - „მე არ ვიცი ვინ არის იგი, და არც მისი ბეჭდი მინახავს“. ან კიდევ - ხოსრომ მოიკითხა კაცის (ვაჭრის) სახელი და მისი ნიშანი [20, გვ. 124]. საბეჭდავები ჰქონდათ როგორც მაღალი წრის, ისე საშუალო და ღარიბი ფენის წარმომადგენლებს; კერძოდ, დაბალ მოხელეებს, ვაჭრებს, ხელოსნებს. არსებობს დაკვირვება, რომ ბეჭდის ზომა და მისი ადგილი ბულებზე განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდი იყო ამა თუ იმ პიროვნების უფლებამოსილება [23, გვ. 102]. იმის შესახებ, თუ რას უნდა ნიშნავდეს ერთ ბულაზე რამდენიმე (3-7 და მეტი) ანაბეჭდის არსებობა, აგრეთვე აზრთა სხვადასხვაობაა. ძირითადად ითვლება, რომ ეს უნდა ნიშნავდეს საქონლის მფლობელთა მეწილეობას [28,

გვ. 107]. ამით უნდა აიხსნას ზოგჯერ ბულაზე ერთი და იგივე ანაბეჭდის რამდენჯერმე გამეორება. ე.ი. ერთ-ერთ მფლობელს რამდენიმე (2,3 ან 4...) წილი ეკუთვნის, სხვას კი, ვთქვათ, მხოლოდ ერთი. მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ გარდა ძირითადი საბეჭდავისა (რომელიც მფლობელს ან მსაჯულს ეკუთვნის) არის კიდევ მოწმეების საბეჭდავთა ანაბეჭდები [23, გვ. 104].

ჩვენს შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ადრე მკვლევართა მიერ ჩატარებული დაკვირვების შედეგად გამოთქმული ვარაუდები ძირითადად მართლდება. მცხეთის ბულები გარევნულად და ზომებით სავსებით მსგავსი არიან ქასრი აბუ ნასრის ბულებისა. პრ. ჰარპერის აღწერილობით, საშუალოდ მათი ზომები მერყეობს 2-7 სმ შორის. ჩვენი ბულების ზომებია 3,5 სმ და 2,9 სმ, ისინიც არ არიან მთლად სიმეტრიული (განსაკუთრებით არათანაბარია სისქე), არა აქვთ ზურგის მხარეს კანაფის კვალი და გააჩნიათ ზონარის გასაყრელი ფოსოები.

პირველ ბულაზე „მონოგრამიანი“ ანაბეჭდი არის ძირითადი და მოთავსებულია ბულის „პირზე“. იგი ზომითაც გაცილებით დიდია სხვა ანაბეჭდებზე და აშკარად გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა. დანარჩენი ორი ანაბეჭდი ბულის კიდეებზეა მოთავსებული, გაცილებით მცირე ზომისა და უფრო მდარეხარისხოვანია. მესამე გერიდითა ანაბეჭდი კი, როგორც აღინიშნა, უბრალოდ ფრჩხილის ჩანაჭდევია.

რაც შეეხება მეორე ბულას, აქ მონოგრამის ნაცვლად საპატიო ადგილზე, „პირის“ ცენტრში, ვწედავთ ქრისტიანული სიმბოლოს - ჯვრის გამოსახულებას, მდიდრულად შემკულს და საზეიმო იერის მქონეს. ვკერდზე ისევ შედარებით უხარისხო, მცირე გამოსახულებიანი ანაბეჭდებია მოთავსებული. აქც აშკარაა პირველი ანაბეჭდის უპირატესობა, მათთან შედარებით. აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას. სასანურიანში, მის როულ ადმინისტრაციაში, არა მხოლოდ ზოროასტრული რელიგიის მესვეურებს ენიჭებოდათ ისეთი მაღალი უფლება, როგორც მსაჯულობაა, არამედ ქრისტიანული ეკლესიების მეთაურებსაც. კერძოდ, წყაროების მიხედვით, ნესტორიან ეპისკოპოსებს და სამღვდელოებას ეძლეოდათ უფლება ეწარმოებინათ გადასახადების აკრეფა ქრისტიანულ მოსახლეობაში, გაეკონტროლებინათ სავაჭრო გარიგებები და სხვ. [13, გვ. 243-245]. ამდენად, თუ პირველი ბულის ანაბეჭდი ზოროასტრ ქურუმ-მსაჯულს უნდა მივაკუთვნოთ, რომელმაც თავისი ბეჭდით დაადასტურა საქონლის ვარებისანობა, მეორე ბულაზე ქრისტიანული სიუჟეტის მქონე ანაბეჭდი, ბუნებრივია, ქრისტიანი სასულიერო პირის საბეჭდავის ასლად შეგვიძლია მივიჩნიოთ. გადაჭრით იმის თქმა, თუ სად მოღაწეობდა ეს პიროვნება, ჭირს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ უკანასკნელი საბეჭდავის მფლობელი აღიღობრივ (ქართლში) ასრულებდა მსაჯულის ფუნქციას, მაგრამ, ვფიქრობ, უფრო სავა-

რაუდოა, რომ ორივე ამ საბეჭდავით უკვე ირანიდან შემოტანილი საქონელი ყოფილიყო დაბეჭდილი. თუ ერთზე სასანური მონოგრამაა, მეორეზე სასანურ გამოსახულებებთან სტილისტურად ძალიან ახლოს მდგომი, თუმცა ქრისტიანული შინაარსის მქონე გამოსახულებაა. მისი შემკულობა კი - ტრადიციული სასანური ბაფთები (აშხარვანდ), ცხოველის რქების გამოსახვის თავისებური მანერა, ძალიან ახლოვებს მას ზოგადად სასანური ხელოვნების ძეგლებთან. ბულებზე არსებული ანაბეჭდების მიხედვით მნელია ლაპარაკი საბეჭდავების ზუსტ თარიღზე, მათთან ერთად სათავს თოახში აღმოჩენილი სხვა არქეოლოგიური მასალის მიხედვით (თიხის და მინის ჭურჭელი), ისინი IV-V სს. შეიძლება დათარიღდეს [1, გვ. 70].

მცხეთაში, სვეტიცხოვლის უბანზე ბულების აღმოჩენამ, ერთის მხრივ, ხელი შეუწყო ჩვენს სინამდვილეში სასანური ბულების შესწავლის საკითხს და, მეორეს მხრივ, კიდევ ერთხელ დაგვანახა ის უტყუარი კავშირები (ამ შემთხვევაში ეკონომიკური კავშირები), რომლებიც, მჭიდრო კულტურულ ურთიერთობასთან ერთად, არსებობდა ირანსა და მის არეალში მყოფ აღრეული შუა საუკუნეების ქართლის სამეცნო შორის.

## ლიტერატურა

**1. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. და სხვ.** მცხეთის ექსპედიცია. – საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები). თბ., 2004, გვ. 70-81.

**2. რამიშვილი ქ.** სასანური გემები საქართველოში. თბ., 1979.

**3. რამიშვილი ქ.** სასანური პორტრეტი სართიჭალის საბეჭდავ-ბეჭედზე. – იბერია-კოლეგიი, № 1, 2003 (ძიებანი, დამატებანი, IX), გვ. 62-69.

**4. ჟინიო ფ.** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სასანური ბულა. – სსმ, XXXV-B, 1981, გვ. 89-91.

**5. ხახუტაშვილი დ. უფლისციხე, I.** თბ., 1964.

**6. ჯავახიშვილი ქ.** უბნისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი სასანური ბულა. – სსმ, XXXVI-B, 1982, გვ. 122-128.

**7. ჯაფარიძე გ.** ადრე შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან. თბ., 1982.

**8. ალაშვილი ნ.** Монументальная скульптура Грузии. М., 1977.

**9. Борисов А. Я., Луконин В. Г.** Сасанидские геммы. Л., 1963.

**10. Калантарян А.** Раннесредневековые буллы Двина. – Археологические памятники Армении, т. 13, вып. V, Ер., 1982.

11. Лазарев В. Н. История византийской живописи, II. М., 1984.
12. Луконин В. Г. Сасанидские буллы. – СГЭ, XIX, 1960, с. 32-35.
13. Пигуловская Н. В. Города Ирана в раннем средневековье. М.-Л., 1956.
14. Пугаченкова Г. А. Материалы по восточной глиптике. – Труды САГУ, вып. CXI, Археология Средней Азии. Ташкент, 1957.
15. Фрай Р. Наследие Ирана. М., 1972.
16. Тревер К. В., Луконин В. Г. Сасанидское серебро. М., 1987.
17. Хрушкова Л. Г. Скульптура раннесредневековой Абхазии V-X веков. Тб., 1980.
18. Ackerman Ph. Sasanian Seals. – SPA, I, London-New York, 1938, pp. 784-815.
19. Bivar A. D. H. Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum. Stamp Seals, II, London, 1969.
20. Brunner Ch. Sasanian Stamp Seals in the Metropolitan Museum of Art. New York, 1971.
21. Gignoux Ph. Catalogue des sceaux, Camée et bulles Sassanides, II. Paris, 1978.
22. Ghirshman R. Iran Parthians and Sassanians. Thames and Hudson, 1962.
23. Göbl R. Die sasanidischen Tonbullen vom Takht-i Suleiman und die Probleme der sasanidischen Sphragistik. Acto Antiqua Academie Scéentiarum. Hungaricae, XIX, 1971.
24. Frye R. Inscriptions and Monograms on the Sealings. – Sasanian Remains from Qusr-i Abu Nasr. Seals, Sealings and Coins. Harvard Iranian Series, vol. 1. Cambridge, Massachusetts, 1973, pp. 47-65.
25. Harper P. O. Physical Characteristics of the Sealings and Form of the Seals. – Sasanian Remains from Qasr-i Abu Nasr. Seals, Sealings and Coins. Harvard Iranian Series. vol. 1. Cambridge, Massachusetts, 1973, pp. 42-45.
26. Harper P. O. The Royal Hunter. Art of the Sasanian Empire. New York, 1978.
27. Herzfeld E. Kushano-Sasanian Coins. – Memoirs of the Archaeological Survey of India, 38, Calcutta, 1930, pp. 3-18.
28. Lukonin V. Iran, II. Des Seleucides aux Sassanides. – Archeologia Mundi, Imprimé en Suisse, 1967.
29. Porada E. Iran ancien. Paris, 1963.

**K. Ramishvili**

## TWO BULLAE FROM MTSKHETA SVETITSKHOVELI SITE (Summary)

Two bullae were found in a premise of the Svetitskhoveli site of Mtskheta. Despite the fact

that quantities of Sassanian seals have been discovered on the territory of Georgia, bullae represent quite rare finds, thus attaching even more importance to the present artifacts from Mtskheta.

Both of the bullae represent two slightly flattened lumps of clay with holes for the strings to be attached. An inscription in Pahlavi – “Iazdan-shah, son of Stadan” – runs along the representation. Central impression of this bullae represents a Sassanian mark of the so-called “monogram” bearing many analogies with Sassanian gems. Besides the monogram, three more impressions are placed on the sides of the bulla: a lying lion, very vaguely rendered image of a standing human and an impression of a nail.

The central representation of the second bulla forms an involved composition: Christian cross, with two birds facing each other and perched on its bars, two Sassanian “ribbons of glory” flutter from the center of the cross. The merging heads of ibexes are placed at the bottom of the cross so that the arrangement of their horns resembles the representation of spread wings of a bird. This element is also a characteristic feature of Sassanian symbolism. The sides of this bulla bear two vague impressions of small seals – a wild goat and a tiny cross.

Both artifacts resemble in shape and size other Sassanian bullae coming from other sites (Qasr-I Abu Nasr, Dvin, etc.). Other archaeological material, attested in the same facility (fragments of pottery and glass vessels) enables the author to date the bullae to the 4<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cent.

As the bullae were found in a household facility, it can also be conjectured that they had been used to seal goods stored there. It is difficult to say whether the goods were sealed in situ or they had been sealed already in Iran before their import and storage here.

This finding provides a clear picture of the practical use of Sassanian bullae in every-day life of Georgia, being another confirmation of close economic links between Sassanian Iran and Early Mediaeval Georgia.

## სურათებისა და ტაბულის აღწერილობა

სურ. 1 – სასანური ნიშნის („მონოგრამის“) გამოსახულებიანი ანაბეჭდი მცხეთის ბულაზე.

სურ. 2 – ჯვრის გამოსახულება მკლავებზე მოთავსებული ჩიტებით, მცხეთის ბულაზე.

სურ. 3 – ამავე ბულის ზურგის მხარე.

სურ. 4 – ამავე ბულის გვერდითი მხარე გარეული თხის გამოსახულებიანი ანაბეჭდით.

სურ. 5 – ამავე ბულის მეორე გვერდი მცირე ჯვრის გამოსახულებიანი ანაბეჭდით.

ტაბ. I – 1. ნიშანი-„მონოგრამა“. პირველი ბულის ძირითადი ანაბეჭდი; 2. ლომის გამოსახულება. ამავე ბულის გვერდითა ანაბეჭდი; 3. ადამიანის მცირე გამოსახულება. ამავე ბულის მეორე გვერდზე; 4. ფრჩხილის ჩანაჭდევი. ამავე ბულაზე; 5. ბაფთებით და ჯიხვის თავებით შემკული ჯვრის გამოსახულება მეორე ბულაზე; 6. გარეული თხის გამოსახულება მეორე ბულის გვერდზე; 7. მინიატურული ჯვრის გამოსახულება ამავე ბულის მეორე გვერდზე; 8. ქასრ-ი აბუ ნასრის ბულის ანაბეჭდი. საკურთხეველზე ნაყოფები და ჩიტები; 9. ღვინის ბულის ანაბეჭდი. აყვავებული ჯვარი, მკლავებზე ჩიტებით; 10. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის საბეჭდავი: ბროწეულის ხე, რტოებზე ჩიტებით და გაშლილი ფრთებით შემკული.

### Description of the figures and the plate

Fig. 1 – Imprint with a representation of a Sassanian sign ("monogram") on a Mtskheta bulla.

Fig. 2 – Representation of a cross with birds perched on its bars, on the Mtskheta bulla.

Fig. 3 – Reverse of the same bulla.

Fig. 4 – Lateral side of the same bulla with an imprint of a wild goat.


Fig. 5 – The other side of the same bulla with an imprint with the representation of a cross.

Pl. I – Sign-“monogram” – the principal imprint of the first bulla; 2. Representation of a lion. Lateral imprint of the same bulla; 3. Small representation of a man – on the other side of the same bulla; 4. Imprint of a finger-nail on the same bulla; 5. representation of a cross adorned with ribbons and ibex heads, on the other bulla; 6. Representation of a wild goat on the side of the second bulla; 7. Representation of a miniature cross on the other side of the same bulla; 8. Imprint of the bulla of Kasr-i abu Nasr; fruits and birds on the altar; 9. Imprint of the Dvin bulla. Blossoming cross with birds on the bars; 10. Seal of the Bibliothèce Nationale in Paris; pomegranate tree adorned with birds with widespread wings on the branches.

ঘোষ. ।



1




2



3



4




5




6



7



8



9




10

## გერა ჩიხლაძე

### შინვალის სამაროვანის მოპოვებული საპინძები

საკინძი-ქინძისთავი, ტანსაცმლის შესაკრავი სამკაულია, ზოგჯერ რიტუალური დანიშნულების მქონე. მას ამზადებდნენ ძვლისა და სხვა-დასხვა ლითონისაგან. ქართულში დასტურდება კომპოზიტი ქინძისთავი – მნიშვნელობით ლი-თონის პატარა წვრილი ღერო, თავმრგვალი და წვერწვეტი, ხმარობენ რისიმე მისამაგრებლად [41, გვ. 71-72]. უძველესი საკინძები ტანსაც-მლის შესაკრავად იყო განკუთვნილი, ადრე შუასაუკუნეებში თმისა და თავსაბურავის სამაგრ სამკაულად იქცა.



სურ. 1 არაგვის ხეობა აღრეშუასაუკუნეებში.

XIX-XX სს. ქართულ ეთნოგრაფიულ სი-ნამდვილეში ცნობილია მანდილოსანთა თავსაბუ-რავის შესამკბ-დასამაგრებული წვრილებროია-ნი საკინძები – შუბლის ქინძისთავები [35, გვ. 673-624].

უნგვალის სამაროვანზე 121 სამარხში 333 ც. საკინძი დადასტურდა. ამათგან 1 ვერცხლისაა, 172 ბრინჯაოსი და 160 რკინისა. საკინძების უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით რკინისა, და-ჟანგული და დამტვრეულია. სამაროვანზე სა-კინძების ნაირსახეობა გავრცელებულია ძირი-თადად IV-VIII სს. დათარიღებული სამარხებში. ზოგიერთ სამარხში (№№ 49, 138, 396, 411, 375) 10-დან 18-მდე საკინძი იქნა დადასტურე-

ბული. საკინძების ასეთი სიმრავლე მოწმობს, რომ უნგვალის მოსახლეობა ფართოდ იყენებდა ამ ტიპის სამკაულს.

უნგვალის სამაროვანზე I-III სს. დათარი-ღებულ კომპლექსებში გვაქვს თითო-ოროლა საკინძის აღმოჩენის ფაქტი. სულ 12 ცალი. ამ დროს საკინძების მხოლოდ ტანისამოსის შე-საკრავ-შესაკინძად ხმარობდნენ. ეს საკინძები დიდი ზომისაა, მთლიანად სხმული, მასიური და იგი უხეში ქსოვილისაგან ან ტყავისაგან დამზადებულ ტანისაცმლის თუ წამოსასხამის შესაკინძად იხმარებოდა.

IV ს-ის დასაწყისიდანვე უნგვალის სამა-როვანზე, ისევე, როგორც საქართველოს სხვა სინქრონულ ძეგლებზე, მრავლად გვხვდება სა-კინძები. მათი დანიშნულება ახლა მარტო ტანი-სამოსის შეკინძვით არ ამოიწურება. ისინი ძი-რითადად მანდილოსანთა თავსაბურავის შესამ-კობ-დასამაგრებული და მათი ვარცხნილობის აქტიური ატრიბუტი გახდა.

განვიხილოთ უნგვალის სამაროვანზე მოპო-ვებული საკინძები ქრონოლოგიური თანმიმდევ-რობით.

უნგვალის სამაროვანზე I-III სს. დათარიღე-ბულ რვა სამარხში აღმოჩნდა რვა საკინძი, ხო-ლო ერთი დანგრეულ სამარხში, ფენაში. აქედან შვიდი ბრინჯაოსია და ორი რკინისა. ისინი რო-გორც ჩანს, უხეში ქსოვილისაგან დამზადებული ტანისამოსისა თუ წამოსასხამის შესაკრავ-შე-საკინძად იყო განკუთვნილი.

I-III სს. დათარიღებულ სამარხებში აღმოჩე-ნილი საკინძები სამი ტიპისაა: ბურთულათავიანი, ლეროგახვრეტილი და თავხვია (ტაბ. I<sub>1,2,3,4</sub>).

ქრონოლოგიურად ყველაზე აღრინდელი სა-კინძი სამაროვანზე აღმოჩნდა 277-ე ყორექცე-ლიან სამარხში, რომელიც სხვა მრავლად აღ-მოჩნდილი ინვენტარით I ს-ის დასასრულით – II ს-ის დასაწყისით არის დათარიღებული.

I ტიპი. საკინძი (09-XXV-79-385, ტაბ. I). ბრინჯაოსია, ბურთულათავიანი, მოთვალული. ორი ნახევარსფეროსაგან შემდგარი მსხვილი ბურთულა თავი დამზადებულია ბრინჯაოს თხე-ლი ფირფიტისაგან, რომელიც წიწვოვანი ორნა-მენტითა შემკული. ბურთულას შიდა სიცარიე-ლე შევსებულია მკვრივი კაოლინური თიხით. საკინძის ღერო სადაა, მას ყელთან შემსხვი-ლებული, ოთხუთხა ფუძე აქვს. სიგრძე 12,2 სმ; თავის დმ – 4,6 სმ. საკინძი ამ სამარხის სხვა მრავალრიცხოვან ინვენტართან ერთად ყუ-რადღებას იქცევს თავისი არქაული ფორმით. ამ საკინძის ანალოგიური საკინძები საქართველოს სინქრონულ ძეგლებზე ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. იგი გაღმონაშობის სახით უნდა იყოს შემორჩენილი [36, გვ. 58-68, ტაბ. II]. მსგავსი საკინძი თრიალეთის შუაბრინჯაოს

ხანის მე-17 ყორდანშია აღმოჩენილი [44, ტაბ. V].

II ტიპი. სამაროვანზე სამი ღეროგახვრეტილი, მასიური, მთლიანადსხმული ბრინჯაოს საკინძი აღმოჩენდა (ტაბ. I<sub>2,3</sub>): ორი მათგანი II-III სს-ით კარგად დათარიღებულ სამარხებში, ხოლო მესამე დანგრეულ სამარხში, ფენაში. სამარხები კარგად თარიღდება მათში აღმოჩენილი კერამიკითა და ბეჭდებით. ანალოგიური საკინძები თანადროული სამაროვნებისათვის არ არის დამახასიათებელი. იგი უფრო წინაანტიკური და ანტიკური ხანის კომპლექსებისათვის არის დამახასიათებელი. აქ კი მთისწინეთში გადმონაშთის სახით უნდა იყოს შემორჩენილი. ანალოგიური ღეროგახვრეტილი ბრინჯაოს 2 ცალი საკინძი აღმოჩენილია მძივიანამამულებში III-IV სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში [15, გვ. 5, ტაბ. III].

III ტიპი. (ტაბ. I<sub>4</sub>) სამაროვანზე III-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენდა 8 ცალი მთლიანადსხმული თავხვია საკინძი, 6 ბრინჯაოსი და 2 რკინისა. მსგავსი საკინძები საქართველოს სინქრონულ ძეგლებზე არ გვხვდება. ანალოგიური რკინის თავხვია საკინძები (5 ც.) აღმოჩენილია მძივიანამამულებში, III-IV სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში [15, გვ. 7, ტაბ. II], ხოლო ნებისის სამაროვანზე 1985-1986 წლებში 20 ც. თავხვია საკინძი აღმოჩენდა, ბრინჯაოსი და რკინისა, III-V სს-ით დათარიღებულ სამარხებში [23, გვ. 7]. ისე როგორც უინგალის, მძივიანამამულებისა და ნებისის სამაროვანზე მოპოვებული საკინძები ტანისამოსის შესაკრავ-შესაკინძად იყო განკუთვნილი. თუ უინგალის სამაროვანზე თავხვა საკინძები III ს-ის ბოლოსა და მხოლოდ IV ს-ის დასაწყისში გვხვდება, მძივიანამამულებში – III-IV ს-ის, ხოლო ნებისის სამაროვანზე III-V ს-ის. დათარიღებულ კომპლექსებში. როგორც ჩანს, ისინი მთისწინეთშია გავრცელებული IV-V ს-ში, ამ რეგიონში ერთნაირი ჩატულობის გამო.

IV ს-ის დასაწყისიდან უინგალის სამაროვანზე აშკარად შეინიშნება ტანისამოსის მოდის შეცვლა. სწრაფად და ფართოდ ვრცელდება მშვილდსაკინძებისა და საკინძების ახალი, როული სახეები, რომელიც როგორც ქსოვილის შეცვლასთან, ასევე ქალის ახალი თავსამკაულისა და თმის ახალ ვარცხნილობასთანაა დაკავშირებული. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა, ალბათ, ახალი რელიგიის შემოსვლას უნდა ჰქონდა ფერდალური კლასის გამარჯვებასთან ერთად. ახალმა რელიგიამ, ქრისტიანობამ, როგორც სულიერად, ისე გარეგნულად შეცვალა მოსახლეობის ყოფა. ამის ნათელი დასტურია სამაროვანზე მრავლად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა.

უინგალის სამაროვანზე IV-VIII ს-ს. სამარხებში აღმოჩენილი საკინძები მრავალფეროვანია. ისინი ოთ. ტყეშელაშვილის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციით ორ ჯგუფად იყოფა: I. ერთი მასალისაგან დამზადებული და II. მძივით

თავშემჯული საკინძები [31, გვ. 128-147]. უინგალის სამაროვანზე პირველ ჯგუფში გამოიყო 15, მეორე ჯგუფში კი – 11 ტიპი ამ საკინძებისა.

I ჯგუფი. ერთი მასალისაგან დამზადებული საკინძები სამაროვანზე 101 ცალი დადასტურდა.

1. მთლიანადსხმული ბრინჯაოს საკინძები, რომელთაც თავი ღერაკთან შედარებით ოდნავ შემსხვილებული აქვთ, საკინძისთავი კი ფორმით მსხლისებრი, წიფლისკვირტისებრი ან ნაძვის გირჩისებრია. მათი სიგრძე 3-7 სმ-ია; ისინი გვხვდება ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებსა და ქვის სამარხებში. ამ ფორმის საკინძი 9 სამარხში 24 ც. დადასტურდა (ტაბ. I<sub>2,27</sub>). ისინი გვხვდება IV-V სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში. ძირითადად თავის ქალის არეში. ორ შემთხვევაში შუბლსაკინძებთან ერთად ქვის სამარხებში № 80-სა და 387-ში (ტაბ. III-V), რომლებიც ანთროპოლოგიური მონაცემებით დედაკაცებს ეკუთვნოდათ. დედაკაცს ეკუთვნოდა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი 371, რომლის თავის ქალის არეში დადასტურდა ანალოგიური საკინძი, ხოლო პირის ღრუში სასანური მონეტა, კერძოდ ვარახან V-ის (421-439) ვერცხლის დრაქმა, რაც კარგად ათარიღებს ამ სამარხს V ს-ის პირველი ნახევრით.<sup>32</sup>

ანალოგიური საკინძები დადასტურებულია სამთავროში [3, ტაბ. III-VII], არმაზისხევში [16, ტაბ. XVII<sub>22</sub>, XVI<sub>18</sub>], მცხეთიგორაზე [18, სურ. 817], მუხათგვერდში [42, სურ. 890, 888, 861], ერწო-თანაეთში [45, ტაბ. XIX, 6], თხოთის მთის სამაროვანზე [14, გვ. 106, 107, ტაბ. 160, 173], ავჭალისკარის სამაროვანზე (მასალა გამაცნო უნის ხელმძღვანელმა ლ. ხეცურიანმა) და სხვა, IV-V სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში.

2. ბურთულათავიანი მთლიანადსხმული საკინძები ბრინჯაოსი და რკინისა (ტაბ. I<sub>7</sub>), მათი სიგრძე 6-13 სმ-ია. ამ ფორმის საკინძი 11 სამარხში 22 ც. დადასტურდა. ისინი აღმოჩენილია IV ს-ით დათარიღებულ ორმოსამარხებსა და V-VI სს-ით დათარიღებულ ქვის სამარხებში, ერთი ცალიც – კატაკომბურ სამარხში.

ორმოსამარხებში აღმოჩენილი საკინძები, როგორც ბრინჯაოსი, ისე რკინისა, ტანისამოსის შესაკრავ-შესაკინძად იყო განკუთვნილი, ყველა ისინი გულმკერდის არეში დადასტურდა. ხოლო ქვის სამარხებში აღმოჩენილი უკლებლივ ყველა საკინძი თავის ქალის არეში იქნა მოპოვებული. ისინი თავსაბურავისა და თმის ვარცხნილობისათვის იყო განკუთვნილი (ტაბ. III).

ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია სამთავროში [45, ტაბ. 3], იალსარში [53, გვ. 111, 120], არმაზისხევში [16, ტაბ. XVII<sub>32,33</sub>], ტუია-

<sup>31</sup> სამაროვნის ანთროპოლოგიური მონაცემების განსაზღვრა ეკუთვნის პ. ფირფილაშვილსა და ლ. ასლანიშვილს.

<sup>32</sup> სასანური მონეტები შეისწავლა ირ. ჯალაღანიამ.

ქოჩორას სამაროვანზე [19, სურ. 627, 637], ურბისში [40], იარაღჯულებში [45, ტაბ. XIX<sub>4,5</sub>], სოფელ მაგრანეთში, საცხვრეგორაზე [45, სურ. 12<sub>223,225</sub>], თრანში, ბაღების სამაროვანზე [45, სურ. 14, 610], ვაშლაჯვარში [20, ტაბ. XV-5], თხოთის მთის სამაროვანზე [14, ტაბ. 140, 174], ხერთვისში, ბაღებიანის სამაროვანზე [37, ტაბ. I<sub>5</sub>] და აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუასაუკუნეების თითქმის ყველა თანადროულ ძეგლზე.

3. ლურსმნისებურთავიანი მთლიანადსხმული საკინძები სამაროვანზე 5 სამარხში აღმოჩნდა 6 ც. IV-V სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში, 5 ც. რკინისა და ერთი ბრინჯაოსი. სამი ცალი ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებში იქნა დადასტურებული, ერთი – ქვის სამარხში. ხოლო 86-ე კატაკომბში ორი ცალი დადასტურდა თავის ქალაზე – ერთი ბრინჯაოსი დაუზიანებლად არის შემორჩენილი. მისი სიგრძე 7 სმ-ია, ხოლო რკინის საკინძები დაუზებული და დამტკრეულია, მხოლოდ თავის ფორმაა შემორჩენილი.

ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია სამთავროზე [32, ტაბ. I<sub>20,21</sub>], ტუიაქოჩორას სამაროვანზე [19, სურ. 647], თხოთის მთის სამაროვანზე [14, სურ. 140], ვაშლიჯვარში [20, ტაბ. XVI<sub>39,40</sub>], მცხეთიგორაზე [18, სურ. 800], მუხათვერდში [43, სურ. 864], იალსარში [53, გვ. 111-127], არაგვისპირში [24, გვ. 17] და სხვ.

4. სოკოსებურთავიანი მთლიანადსხმული საკინძები. ყველა მათგანი ბრინჯაოსია. აღმოჩნდა 5 ცალი, ერთ კატაკომბსა და სამ ქვის სამარხში. მათი სიგრძე 5-9 სმ-ია, ისინი თავისა და მკერდის არეშია დადასტურებული. თარიღდება VI-VII სს-ით. № 126 ქვის სამარხში აღმოჩენილი იქნა მამაკაცის ჩონჩხზე 2 ცალი მკერდის არეში. სამარხის თარიღი ბრინჯაოს ბალთებით VI-VII სს-ით განისაზღვრა. ხოლო № 551 ქვის სამარხში დადასტურდა დედაკაცის თავის ქალაზე მტრედის გამოსახულებიან შუბლსაკინძებთან ერთად თავსაბურავზე. ეს კარგად დათარიღდა ამავე სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის სასანური მონეტით, კერძოდ, ფეროზის (459-484 წწ.) დრაქმით.

ანალოგიური საკინძები დადასტურებულია თელოვანში [21, ტაბ. XVI<sub>9</sub>], ვაშლიჯვარში [20, ტაბ. XVI<sub>18,24,25</sub>], სამთავროზე (30, ტაბ. II) V-VIII სს-ით დათარიღებულ სამარხებში.

5. მრგვალი, ჭვირულთავიანი საკინძები რკინისა, მთლიანად ნაჭედი, საკინძის დერო დაუზაბული და დამტკრეულია. მრგვალი საკინძის-თავი ოთხ თანაბარ ნაწილად არის დატიხრული რკინისავე დერაკებით, რომელიც ტოლმქლავა ჯვრის გამოსახულებას ქმნის. ერთ-ერთ მათგანში ჯვრის მკლავების ბოლოში სამ-სამი მცირე ზომის მარგალიტია (მკვდარი) შემორჩენილი (ტაბ. I<sub>8,9</sub>). საკინძისთავზე წმინდად ნაქსოვი

ქსოვილის ანაბეჭდია შემორჩენილი. ორი ცალი აღმოჩნდა ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხ № 469-ში, რომელიც 25-30 წლის დედაკაცს ეკუთვნოდა. დაკრძალვის პოზა წარმართული იყო. სამარხი მასში აღმოჩენილი ოქროს საფურეებით, ვერცხლის ბეჭდითა და ვერცხლისავე მშვილდსაკინძით კარგად თარიღდება IV ს-ის პირველი ნახევრით. საკინძები თავის არეში დადასტურდა. ისინი, ალბათ, თავსამკაულისათვის იყო განკუთვნილი. შესაძლოა, შუბლსაკინძადაც კი გამოიყენებოდა.

ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია სამთავროში [32, ტაბ. I] IV-V სს-ით დათარიღებულ კომპლექსში, ტუიაქოჩორას სამაროვანზე [19, სურ. 628] IV ს-ით დათარიღებულ სამარხში.

6. დისკოსებურთავიანი საკინძები, შუბლსაკინძები ბრინჯაოსი (ტაბ. I<sub>5,6</sub> და ტაბ. V<sub>5,8,9</sub>). აღმოჩნდა IV ს-ით დათარიღებულ ორ ქვის სამარხში ორ-ორი ცალი წიფლისკვირტისებურთავიან საკინძებთან ერთად თავის ქალის არეში, სიგრძე 7-11 სმ. ორივე სამარხში ეს საკინძები შუბლის არეშია დადასტურებული. № 387 ქვის სამარხი ინდივიდუალური იყო, დაკრძალვის პოზა წარმართული, მკეთრად მოხრილი. ანთროპოლოგიური მონაცემებით 30-35 წლის დედაკაცის იყო. სამარხში აღმოჩნდა თავის ქალის არეში 5 ც. საკინძი – სამი წიფლისკვირტისებურთავიანი და ორი შუბლსაკინძი, დისკოსებურთავიანი (ტაბ. III<sub>104-108</sub>). № 80 ქვის სამარხში ორი ჩონჩხი დადასტურდა. ორივე ზურგზე იყო გაშოტილი. ხელები კიდურების გასწვრივ ჰქონდა ჩამოშვებული. სამარხი დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ანთროპოლოგიური მონაცემებით ერთი ჩონჩხი 35-40 წლის მამაკაცს ეკუთვნოდა, მეორე კი – 25-30 წლის დედაკაცს. მამაკაცის ჩონჩხზე აღმოჩნდა ბრინჯაოს მასიური ღილი და რკინის დანა. დედაკაცის ჩონჩხზე კი მოვერცხლილი ბურთულა მძივები, მინისა, ყელის არეში; საყურე, ვერცხლისა, შედგენილი, ვერცხლისავე ღრუ საკიდით და თავის ქალის არეში – 6 ცალი, ბრინჯაოს საკინძი, მათ შორის 2 ცალი შუბლსაკინძი შუბლის არეში. აღნიშნული შუბლსაკინძები მთლიანადსხმულია. გაბრტყელებული დისკოსებრი თავით. ერთ-ერთ მათგანზე შემორჩენილია დარჩილული ბრინჯაოს რგოლი, რომელიც ოთხ თანაბარ ნაწილად არის დატიხრული ბრინჯაოსივე დერაკებით, ტიხრებს შორის ჩასმულია მინანქარი (შემორჩენილია ერთ მათგანში). ერთი შეხედვით იგი ქრისტიანობის სიმბოლოს, ჯვარს მოგვაგონებს. ეს სამარხები აღნაგობით, ინვენტარით და დაკრძალვის წესით კარგად თარიღდება IV ს-ით.

ანალოგიური დისკოსებურთავიანი საკინძები ორი ცალი დადასტურებულია სოფ. მაგრანეთში, საცხვრეგორის სამაროვანზე, IV-V სს-ით დათარიღებულ სამარხში.

ეს საკინძები შეიძლება შორეულ ანალოგიად ჩაითვალოს შუა და გვიან ბრინჯაოს ხანაში

გაგრცელებული დისკოსებურთავიანი საკინძები-სა [50, გვ. 26; 49, გვ. 22-24].

7. საკინძი ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული, მტრედის გამოსახულებიანი თავით (ტაბ. I<sub>11,12</sub>). სიგრძე 11,5 სმ; 2 ც. აღმოჩნდა თავის ქალის არეში, სარდიონის ბურთულასა და დაწახნაგე-ბულთავიან საკინძებთან ერთად. როგორც ჩანს, ის დედაკაცის თავსამკაულის ნაწილია. დადასტურებულია შუბლის არეში და შუბლსაკინძს უნდა წარმოადგენდეს. თარიღი ამ საკინძებისა კარგად განისაზღვრა ამავე სამარხში აღმოჩე-ნილი სასანური მონეტით, კერძოდ, პერიზის (459-484 წლ.) დრაქმით – V ს.

ანალოგიური საკინძები, ფრინველის გამოსა-ხულებიანი, აღმოჩენილია სამთავროში [32, ტაბ. II] VI-VIII სს-ით დათარიღებულ სამარხებში. ცნობილია აგრეთვე ცხოველის გამოსახულები-ანი საკინძები ამავე სამაროვნიდან [31, გვ. 150].

8. გრდემლისებრთავიანი მთლიანადსხმული საკინძები, ბრინჯაოსი (ტაბ. III<sub>144,147</sub>) აღმოჩნდა 2 ც. V-VI სს-ით დათარიღებულ კომპლექსში. მათი სიგრძე 12 სმ-ია. ისინი თავის ქალის არეშია აღმოჩენილი, ერთ შემთხვევაში თმის ვარცხნილობასთან ერთად № 375 ქვის სამარხ-ში. ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია ვაშ-ლაჯვარში [20, ტაბ. XVI<sub>7</sub>], VI ს-ით დათარი-ღებულ კომპლექსში.

9. საკინძი ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული ვი-ოლინსებრი ბრტყელი თავით (ტაბ. I<sub>24</sub>). აღ-მოჩნდა ერთი ცალი, VI ს-ით დათარიღებულ კომპლექსში. ანალოგიური საკინძები აღმოჩე-ნილია თელოვანში [21, ტაბ. XVII], სამთავ-როში ქვის სამარხ №№ 810 და 395, რომლებიც VI-VII სს-ით თარიღდება.

10. საკინძი ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული რგოლიანი თავით (ტაბ. II<sub>173,175</sub>). რგოლზე რე-ლიეფური სარტყლებით. თავს ქვემოთ, ღეროზე ორ-ორი რელიეფური სარტყელი შემოსდევს. სიგრძე 11-12 სმ; აღმოჩნდა 2 ც. V-VI სს-ით დათარიღებულ კომპლექსში თავის ქალის არეში. შეგავსი საკინძები ჯერჯერობით ჩვენთვის უც-ნობია. ამ საკინძებთან ერთად მოპოვებული მა-სალა საშუალებას გვაძლევს მათი თარიღი V-VI სს-ით განისაზღვროს.

11. საკინძი ბრინჯაოსი მთლიანადსხმული, გულისებრი ფორმის თავით (ტაბ. I<sub>17</sub>). თავს ქვე-მოთ ორი რელიეფური სარტყელი შემოსდევს. სიგრძე – 15,5 სმ; აღმოჩნდა 1 ც. VI-VII სს-ით დათარიღებულ კომპლექსში. იგი ტანისამოსის შესაკინძად იყო განკუთვნილი. ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია სამთავროში VI-VII სს-ით დათარიღებულ სამარხებში.

12. საკინძი ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული, რომლის თავი გამოსახავს ხელის მტევანს. თი-თები ოდნავ მოხრილ მდგომარეობაშია გამოსა-ხული. საკინძს თავს ქვემოთ ორი რელიეფური სარტყელი შემოსდევს. აღმოჩნდა 2 ც. სხვა-დასხვა სამარხში. სიგრძე 6-16 სმ; ერთი აღმოჩნ-და IV ს-ით დათარიღებულ კომპლექსში, ქვის ფილებით გადახურულ № 276 როგორსამარხში,

40-45 წლის დედაკაცის თავის ქალაზე, ხოლო მეორე – № 138 ქვის სამარხში (ტაბ. II<sub>174</sub>).

ხელის მტევნის გამოსახულებიან საკინძებს ახლო ანალოგიები მოეძებნება ადრე შუასაუკუ-ნეების სამაროვანებზე. ისინი დამზადებულია ორ- გორც ბრინჯაოს, ისე ძვლისგან. უინვალის სა-მაროვანზე აღმოჩენილი საკინძები ორივე შემ-თხვევაში ქალის თავსამკაულს უკავშირდება. ძვლისა და ბრინჯაოს მხგავსი საკინძები აღმო-ჩენილია ურბისში [40, გვ. 58, ტაბ. XV]. ლ. ჭილაშვილი მათ საწერ ხელსაწყოდ – სტილო-სად მიიჩნევს. მსგავსი საკინძები აღმოჩენილია არმაზისხევში [33, გვ. 33], სამთავროში, მცხე-თაში – ფრ. ბაიერნის და ე. თაყაიშვილის განა-თხარიდან, მარტაზისხევში, წერტში, ტუიაქო-ჩორაზე [19, სურ. 650, 651], ერწოს ველზე [45, გვ. 70-71, სურ. 17]. ანალოგიური საკინძები დადასტურებულია საქართველოს ფარგლებს გა-რეთაც მინგებაურსა [52, გვ. 139, სურ. 59<sub>3</sub>] და ხორეზმში [56, გვ. 111, ტაბ. 27, სურ. 1]. ბ. ჯორბენაძე ხელის მტევნის გამოსახულებიან საკინძებში ქრისტიანულ სიმბოლიკას ხედავს და წერს, „ხელის გამოსახულებიან საკინძებში შეიძლება დავინახოთ ქრისტიანული სიმბოლი-კის შეჭრა სამკაულში, თუ ვივარაუდებთ, რომ ხელის ზოგიერთი გამოსახულება „სამებას“ გა-მოხატავს“ [45, გვ. 72].

13. მთლიანადსხმული, ოთხკუთხა, დაფან-ჯრულთავიანი საკინძები ბრინჯაოსი, თავზე ბროჭეულის ნაყოფისებრი გვირგვინით (ტაბ. III<sub>142,143</sub>). ოთხ ქვის სამარხში დადასტურდა 8 ც. მათი სიგრძე 11-15 სმ-ია; ყველა ისინი მოპო-ვებული იქნა დედაკაცების თავის ქალის არეში V-VI სს-ით დათარიღებულ სამარხებში. ხოლო ერთ სამარხში დადასტურდა ნაწინვის სამაგ-რად.

ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია სამ-თავროში [45, ტაბ. II], ფიტაგში [11, ტაბ. I<sub>5</sub>], სტირფაზში [49, გვ. 14), ჩინთში, ბანთარეულის სამაროვანზე [12, ტაბ. III<sub>3</sub>], ნაჭულბაქევში, ქო-შიგორის სამაროვანზე [46, გვ. 111] VI-VII სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში.

14. საკინძები ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული, სამრეკლოსებრი თავით [ტაბ. I<sub>19,20</sub>]. აღმოჩნდა სამაროვანზე 10 ცალი VI-VII სს-ით დათარი-ღებულ 5 სამარხში, თავის ქალისა და მკერდის არეში. მათი სიგრძე 16-17 სმ-ია. ამ საკინძების თავი გუმბათიანი სახლის მოდელს მოგვაგო-ნებს. ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია სამ-თავროში [32, ტაბ. III], ტუიაქოჩორას სამა-როვანზე [19, სურ. 635-636], ქუშანაანგორაზე (45, სურ. 161), მარტაზისხევში [33, გვ. 80, 83], ხობისის ქედის სამაროვანზე (აღგეთის ხეობა; ცნობა მომაწოდა კ. ამირანაშვილმა), წერტში, სტირფაზში [49, გვ. 14] და ფიტაგში [11, გვ. 118]. სამრეკლოსებრთავიანი საკინძები აღმოჩე-ნილია აგრეთვე დვინის ციტადელის გათხრისას

და V-VII სს-ით არის დათარიღებული [51, გვ. 53, ტაბ. VIII<sub>10</sub>].

ბ. ჯორბენაძე ამ საკინძების თავის გამოსახულებაში ქრისტიანულ სიმბოლიკას ხედავს, ვინიდან მათი სამრეკლოსებრი დაფანჯრული „თაღოვანი“ თავი ექლისისა თუ სამრეკლოს გუმბათს მოგვაცნებს [45, გვ. 72].

15. საკინძები მოხრილი თავით. ჟინგალის სამაროვანზე აღმოჩნდა მოხრილთავიანი საკინძები 13 ც. ამთვან 2 ც. რკინისაა, დანარჩენი ბრინჯაოსი. ეს საკინძები ორ ქვეტიპად უნდა დავყოთ: დიდი და მცირე ზომის.

I. დიდი ზომის ერთი ცალი თავმორკალული საკინძი აღმოჩნდა VI-VIII სს-ით დათარიღებულ კომპლექსში. მისი სიგრძე 12 სმ-ია; იგი ქვის სამარხში აღმოჩნდა ჩინჩხზე მეტრის არეში. ანალოგიური მასალა დადასტურებულია სამთავროში [3, გვ. 127, ტაბ. XXVII<sub>32</sub>, XXXI<sub>39</sub>] და სოფელ მაგრანეთში, საცხვრეგორის სამაროვანზე [45, გვ. 72-73, სურ. II<sub>212</sub>] VI-VII სს-ით დათარიღებულ სამარხებში.

II. მცირე ზომის თავმოხრილი საკინძები აღმოჩნდა კატაკლმბებში, 4 ც. [ტაბ. I<sub>21-22</sub>; ტაბ. IV<sub>255-257,262</sub>] № 265 ქვის სამარხსა და ერთიც № 440 ორმოსამარხში. ისინი წვრილდეროიანია. მათი სიგრძე 3-5 სმ-ია. ისინი ყველა თავის ქალის არეში იქნა დადასტურებული. ანალოგიური საკინძები ჩვენთვის ცნობილი არ არის. ჩვენი დაკვირვებით, ისინი დედაქაცთა თმის ვარცხნილობისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, მთლიანად სხმული, ერთი მასალისაგან დამზადებული საკინძები გამოიყენებოდა როგორც ტან-საცმლის შესაკრავ-შესაკინძად, ისე თავსამკაულისა და თმის ვარცხნილობის დასამაგრებლად. მითუმეტეს, რომ მათი უმეტესი ნაწილი დედაკაცების თავის ქალის არეში იქნა დადასტურებული.

ვერ გავიზიარებთ ო. ტყეშელაშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ერთი მასალისაგან დამზადებული საკინძები მხოლოდ ტანსაცმლის შესაკრავად იხმარებოდა და არა სამკაულად (31, გვ. 269). ჟინგალის სამაროვანზე № 80 ქვის სამარხში აღმოჩნდილი წყვილი მინანქრიანი შუბლსაკინძი, № 551 ქვის სამარხში დადასტურებული მტრედის თავებიანი წყვილი საკინძი, დისკოსებურთავებიანი წყვილი საკინძი № 387 ქვის სამარხიდან და ბოლოს № 375 ქვის სამარხში შემორჩენილი ვარცხნილობა – ნაწინავი სხვადასხვაგვარი საკინძებით, რომლებითაც თმა არის დამაგრებული, ამის თქმის უფლებას გვაძლევს. ანალოგიური მდგომარეობაა დამტკიცებული ვაშლივეგვარას № 18 ქვის სამარხში, სადაც შემორჩენილია ვარცხნილობანაწინავი კონუსურად დახვეული, რომელიც რკინის საკინძითაა დამაგრებული [20, გვ. 68].

II ჯგუფი. მძივით თავშემკული საკინძები.

ჟინგალის სამაროვანზე მძივით თავშემკული საკინძები უფრო მრავალრიცხვანია (სულ 220 ცალი), ვიდრე ერთი მასალისაგან დამზადებული. მძივების ფორმის მიხედვით ეს საკინძები 11 ჯგუფად იყოფა:

I ჯგუფში შედის ბურთულა მძივით თავშემკული საკინძები (ტაბ. I<sub>23</sub>). ისინი გვხვდება როგორც ბრინჯაოსი, ისე რკინისა. მათი საშუალო ზომა 4 სმ-ია. ისინი გვხვდება IV-VIII სს-ით დათარიღებულ კომპლექსში. ასეთი საკინძი სამაროვანზე 30 ცალი აღმოჩნდა. აქედან 7 საკინძის თავი სხვადასხვა ფერის მინის ბურთულა მძივით აქვს შემკული. გვაქვს სამი ცალი ძორის, 13 ცალი სარდიონის, 3 ც. აღმანდინის, 2 ცალი მარჯნის, ერთი მარგალიტისა და ერთი ვერცხლის ფუჟე მძივით თავშემკული საკინძები. ისინი აღმოჩენილია დედაკაცთა სამარხებში თავის ქალის არეში თავსამკაულისა და თმის ვარცხნილობის დასამაგრებლად.

ამგვარი საკინძები აღმოჩენილია: მცხეთაში [16, ტაბ. XVII<sub>22</sub>, სურ. 28], იალსარის სამაროვანზე [53, გვ. 115], ბოლნისში, რაჭის უბნის სამაროვანზე [54, გვ. 30-31, ტაბ. IX], მაგრანეთში, საცხვრეგორის სამაროვანზე [45, სურ. 12, ტაბ. XVIII], ტუიაქოჩორას სამაროვანზე [19, სურ. 638, 639], მცხეთიგორაზე [18, სურ. 811], მუხათგვერდში [42, სურ. 892, 904], თელოვანში [21, ტაბ. XVI<sub>8,15</sub>], ვაშლაჯვარში [20, ტაბ. XV<sub>9</sub>], თხოთის მთის სამაროვანზე [14, გვ. 174], საირჩეში [17, ტაბ. 17<sub>8,11,12</sub>] და სხვ.

II ჯგუფში გაერთიანდა მოგრძო, ცილინდრული მოყანილობის მძივით თავშემკული საკინძები (ტაბ. III<sub>149</sub>). მძივები სადაა. ასეთი საკინძი სამაროვანზე 14 ც. აღმოჩნდა IV-VII სს-ით დათარიღებულ სამარხებში. მათი საშუალო ზომა 7-9 სმ-ია, გვაქვს 5 ც. მინისებრი პასტის, 6 ც. მინის, 2 აღმანდინისა და ერთი მარჯნის მძივით თავშემკული საკინძები. ამ საკინძების პარალელები მოებებინებათ მცხეთაში და მის მიდამოებში შესწავლილ აღრეშუასუკუნეთა ხანის სამაროვანებზე: სამთავროზე, არმაზისხევში, ნაცოსადენში, მცხეთიგორაზე, მუხათგვერდში, ავჭალისკარზე, ტუიაქოჩორაზე, თხოთის მთის სამაროვანზე და აღმოსავლეთ საქართველოში შესწავლილ სხვა თანადროულ ძეგლებზე.

III ჯგუფი – ნუშის გულისებრი მძივით. თავშემკული საკინძები. ისინი (ტაბ. I<sub>25</sub>) სამაროვანზე 6 ცალი დადასტურდა V-VI სს-ით დათარიღებულ №№ 49, 211, 551 ქვის სამარხებში. 4 ცალი პასტისაა, ერთი მინის და ერთი სარდიონისა. მათი საშუალო ზომა 6-9 სმ-ია.

ანალოგიური საკინძები დადასტურებულია სამთავროში, თელოვანში – ბაჭყალაზე, ვაშლაჯვარზე, ავჭალისკარის სამაროვანზე და სხვ.

IV ჯგუფი. შინდის კურკისებრი მოყვანილობის მძივით თავშემკული საკინძები. 4 ცალი დადასტურდა IV-V სს-ით დათარიღებულ №№ 213, 388 კომპლექსებში. მათი საშუალო ზომა

9-10 სმ-ია. ყველა მათგანი მინისაა. მსგავსი საკინძები დადასტურებულია მცხეთაში [32, ტაბ. I<sub>6</sub>], თხოთის მთის სამაროვანზე (14, გვ. 140, 142), მაგრანეთში, საცხვრეგორაზე (45, სურ. 12<sub>227,228,229,233</sub>) და სხვ.

V ჯგუფი. ერთი საკინძით არის წარმოდგენილი. იგი ბრინჯაოსია. თავი ორად აქვს განტოტილი და სარდიონის ბურთულა მძივებით არის შემკული. სიგრძე 5 სმ-ია. სამარხი IV ს-ით თარიღდება (ორმოსამარხი 291).

ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე [2, სურ. 586, 592], არმაზისხევში [16, ტაბ. XVII], მუხათგვერდში [43, ტაბ. XXXV<sub>II</sub>], მაგრანეთში, საცხვრეგორის სამაროვანზე IV-V ს-ით დათარიღებულ კომპლექსში.

VI ჯგუფში გაერთიანებულია მსხლისებური ფორმის მძივით თავშემგული საკინძები. ისინი სამაროვანზე ხუთი ცალი დადასტურდა ხუთ სამარხში (336 ქვ. ფ. გ. ორმოსამარხი, 250, 388, 401, 411 ქვისამარხები), რომლებიც IV-V ს-ით იქნა დათარიღებული. მათი საშუალო ზომა 3-9 სმ-ია. გვაქვს 2 ცალი მინისებრი პასტის და სამი მინის მძივით თავშემგული საკინძი. ისინი ყველა თავის ქალის არეშია დადასტურებული.

ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია თელოვანში [21, ტაბ. XVI<sub>II</sub>] თხოთის მთის სამაროვანზე [14, სურ. 140, 141], სამთავროზე, მცხეთი-გორაზე, ავჭალისკარის სამაროვანზე და სხვ.

VII ჯგუფი წარმოდგენილია ჯვრის ფორმის საკინძებით (ტაბ. I<sub>6</sub>). სამაროვანზე ხუთი ცალი დადასტურდა, ერთი რკინისა, დანარჩენი ბრინჯაოსი. მათი საშუალო ზომა 7-9 სმ-ია, თარიღი IV-V ს-ს. აღმოჩენდა ერთ კატაკომბსა (№ 450) და სამ ქვის სამარხში (№№ 250, 306, 388). ერთ შემთხვევაში, № 250 ქვის სამარხში, დადასტურდა ორი ცალი თავის ქალაზე (ალბათ, შუბლსაკინძებია) სხვა საკინძებთან ერთად, სამ შემთხვევაში კი მკერდის არეში. ზოგიერთ მათგანს თავზე შემორჩენილი აქვს მინისებრი პასტისა და ძოწის ბურთულა მძივები.

ანალოგიური საკინძები დადასტურებულია სოფ. მაგრანეთში, საცხვარეგორაზე [45, გვ. 51, სურ. 234, 235, 236], თხოთის მთის სამაროვანზე [14, სურ. 143], ვაშლაჯვარში [20, ტაბ. XVI<sub>46</sub>], სამთავროზე [3, ტაბ. XXX<sub>53</sub>], ტუია-ქოჩორაზე [19, სურ. 649].

VIII ჯგუფი – დაწანაგებული მძივით თავშემგული საკინძები. მძივები გვხვდება ოთხახნაგა, ხუთწანაგა, მრავალწანაგა (ტაბ. III<sub>140-141</sub>). ამ ტაბის საკინძები სამაროვანზე 24 ცალი დადასტურდა IV-VII ს-ით დათარიღებულ კომპლექსებში. საკინძები გვხვდება ორგორც რკინისა, ასევე ბრინჯაოსი. მათი საშუალო ზომა 8-11 სმ-ია. საკინძისთავებად გამოყენებულია 9 შემთხვევაში სარდიონი, 9-ში – მინა, 4-ში – მინისებრი პასტა და 2-ში – ალებასტრი. ისინი თითქმის ყველა თავის ქალის არეშია დადას-

ტურებული და თავსამკაულისა თუ ვარცხნილობის შემადგენელი ნაწილია.

ანალოგიური საკინძები დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა თანადროულ ძეგლებზე.

IX ჯგუფი. ბროწეულის ყვავილისებრი მძივით თავშემგული საკინძები (ტაბ. I<sub>8</sub>) ამ ტაბის საკინძი სამაროვანზე 16 ცალი დადასტურდა V-VIII ს-ით დათარიღებულ კომპლექსებში. მათი საშუალო ზომა 7-11 სმ-ია. საკინძისთავებად გამოყენებულია 5 მარჯანი, 3 ლაჟვარდი, 4 მინა და 4 მინისებრი პასტა. საკინძების უმრავლესობას რკინის ღერო აქვს. ისინი თავის ქალის არეში იქნა დადასტურებული.

VII ს-ში ჩნდება საკინძები – ბრინჯაოსი, ოთხკაპა მძივების დამჭერი თავით, რომელშიც ბროწეულის ყვავილისებრი მარჯნის მძივია ჩასმული (ტაბ. IV<sub>123-124</sub>). ისინი ამ სამარხების ძირითადი და დამთარიღებული ინვენტარია (ტაბ. IV, სამარხი № 210).

ბროწეულის ყვავილისებრი მძივით თავშემკული საკინძები ყველაზე მეტად გავრცელებული ნივთია VI-VII ს-ის აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებზე. მსგავსი საკინძები საქართველოს მეზობელი ქვეყნების არქეოლოგიური მასალებიდან უცნობია.

ბროწეულის ყვავილისებრი მძივით თავშემკული საკინძების გაერცელება აღმოსავლეთ საქართველოში. 6. აფხაზავამ ირანულ ქალღვთაებას ანაპიტას დაუკავშირა, რომლის კულტი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდანაა ცნობილი ირანულ სამყაროში. მისი ერთ-ერთი ძირითადი სიმბოლო ბროწეულია. აღმოსავლეთ საქართველოში ბროწეულის ყვავილისებრი მძივით თავშემგული საკინძების გავრცელება ემთხვევა სასანიანთა დინასტიის ზეგავლენას ამ რაიონებზე IV-VII ს-ში. „ასეთი დამთხვევა მაფიქრებინებს, რომ იგი ირანული გავლენის შედეგია. ისინი უთუოდ შემკულობის გარდა გარკვეული სიმბოლური დანიშნულებისა უნდა იყოს“ [3, გვ. 89].

ბროწეულს უძველესი დროიდან იცნობდნენ საქართველოში როგორც სიცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლოს. ქართველები ბროწეულის ბუჩქს თაყვანს სცემდნენ, ხოლო მის ნაყოფს სამკურნალოდ იყენებდნენ. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, დასავლეთ საქართველოში, საახალწლო ჩიჩილაკს, რომელსაც ჯვრის ფორმა ჰქონდა, ამკობდა ვაშლები და ბროწეულები [6, გვ. 70-73]. სამეგრელოში ახალ წელს მფერხავი ღვინიანი ჭიქით ეზოში მდგარ ბროწეულის ბუჩქს თაყვანს სცემდა და შემდეგ ეპლე-სიაში წავიდოდა. წირვიდან გამოსვლის შემდეგ ერთმანეთს ულოცავდნენ ახალ წელს და ბროწეულებს უცვლიდნენ [28, გვ. 41-42]. ქართულ ხალხურ ზღაპრებში ბროწეული ძალიან ხშირად გვხვდება. მას ყოველთვის სიუხვისა და დოვლათის ძალა აქვს. ბროწეული პიპოკატეს და პლიიუსს ჩასახვისა და მშობიარობის ხელშემწყობ ნაყოფად მიაჩნდათ [29, გვ. 57].

ბროწეულის ყვავილისებრი და ბროწეულის ნაყოფისებრი მარჯნის მძივით თავშემკული საკინძები გამოხატავს სიუხვის, დოვლათისა და ნაყოფიერების სიმბოლოს. თვით მინერალი მარჯანი ცნობილია, რომ ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენს [48, გვ. 293]. მარჯანი არის ბროწეულის ყვავილის ფერი (22, გვ. 38).

მსგავსი საკინძები დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ სამაროვნებზე სამთავროში, ვაშლიჯვარში, ურბნისში, სართიჭალაში, ავჭალისკარში, ჩინიში, ბათიარეულის სამაროვანზე და სხვა. ვაშლიჯვარის სამაროვანზე № 11 ქვის სამარხში, რომელიც VI-VII სს-ით იქნა დათარიღებული, ბროწეულის ნაყოფი აღმოჩნდა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ბროწეულის კულტის არსებობას საქართველოში.

ბროწეულის ყვავილისებრი და ბროწეულის ნაყოფისებრი მძივით თავშემკული საკინძები გახვება სამრეკლოსებრთავიან, ოთხკუთხა, დაუანჯრულთავებიან და ხელის მტევნის გამოსახულებიან საკინძებთან ერთად ერთსა და იმავე თავის ქალაზე თავსამკაულად თუ თმის ვარცხნილობის დასამაგრებლად ქვის სამარხებში №№ 29, 210, 534 და 375, ხოლო ერთი და იგივე პიროვნება არაფრით არ შეიძლება ყოფილიყო ორივე საპირისპირო რელიგიის კულტის მსახური.

ბროწეულის ყვავილისებრი და ბროწეულის ნაყოფისებრი მძივით თავშემკული საკინძები ადგილობრივი, ქართული წარმოშობისაა და სიმბოლიკაც ქართულია, ქრისტიანული. იგი ეროვნულ წარმართობასა და ქრისტიანობა შორის წარმოქმნილი ხანგრძლივი ბრძოლის ანარეკლიუნდა იყოს.

X ჯგუფში გაერთიანებულია საკინძები ოქროსა და ვერცხლის თვალბუდიანი თავით, რომელთაც ღერო მოძრავი აქვს. სამაროვანზე რვა ასეთი საკინძი დადასტურდა სამ ქვის სამარხში (№№ 138, 375, 534), რომელთა თარიღი V-VII სს-ით განისაზღვრა (ტაბ. VI<sub>13,15-17</sub>). ერთ მათგანს ვერცხლის ღერო და ვერცხლისავე თვალბუდე აქვს, რომელიც სრულად არის შემორჩენილი, მეორეს ბრინჯაოს ღერო და ოქროს თვალბუდე აქვს, ხოლო დანარჩენი ექვსი მხოლოდ სხვადასხვა ფორმის ოქროს საკინძისთავის სახითაა შემორჩენილი. ისინი აღმოჩენილია დედაკაცთა სამარხებში თავის ქალის არეში – თავსამკაულისა და თმის ვარცხნილობის დასამაგრებლად და აგრეთვე მკერდის არეში, ტანისამოსის შესაკინძად.

ანალოგიური ოქროს თვალბუდიანი საკინძები აღმოჩენილია მცხეთაში [16, ტაბ. XVII], ტუაქონირას სამაროვანზე [19, სურ. 626, 628], არმაზისხევში, „ტყისუბნის“ სამაროვანზე [32, ტაბ. II], თრანში, ბაღების № 4 სამარხში 2 ც. [45, სურ. 14<sub>63,64</sub>], ახალ ჟინვალში VIII უბანზე – ფალაურწარწერიანი [38, გვ. 106-109], მჭადიჯვარში ნამოსახლარ ფენაში [39, ტაბ. V] და

ხერთვისში, ბალებიანის სამაროვანზე [7, ტაბ. I]. მათი თარიღი V-VII სს-ით განისაზღვრა.

XI ჯგუფი – კვირისტავისებრი საკინძისთავები. ჟინვალის სამაროვანზე I-IV სს-ის კომპლექსებში გახვედება კვირისტავისებრი დიდი ზომის მძივები სხვადასხვა ფერის მინისა, აქატისა, ქალცედონისა, გიშრისა და შავი ქვისა. მათი უმრავლესობა მძივსაკიდებია. ისინი მძივებთან ერთად ყელისა და თავის არეში იქნა დადასტურებული. მაგრამ IV ს-ით დათარიღებულ ექვს სამარხში (№№ 291, 552, 160, 196, 189) შეგვხვდა რკინის დამტერეულ საკინძებთან ერთად. შესაძლოა, ისინი ამ დამტერეული საკინძების თავებს წარმოადგენდნენ.

მსგავსი კვირისტავისებრი მძივები აღმოჩენილია გვიანანტიკურ კომპლექსებში ურბნისში [40, სურ. 545], გარნისში [47, გვ. 67], მინგეჩაურში [47, გვ. 26, ტაბ. II-III] და მათ მკვლევარი ღილებად მიიჩნევენ.

გერმანელმა მკვლევარმა ჰევერნიკმა სპეციალური ნაშრომი უძღვნა მინის კვირისტავებს. ისინი მას საკინძისთავებად მიაჩნია. საკინძისთავებად მიიჩნევს ურბნისში აღმოჩენილ მსგავს ნივთებს მ. საგინაშვილიც [25, გვ. 54-58] და მათ I-II სს-ით ათარიღებს.

უნგვალის სამაროვანის მძივით თავშემკული რკინის საკინძები მასიურია. ისინი ტანისამოსის შესაკინძად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. გარდა ამისა, მათ მაგიური დანიშნულებაც უნდა ჰქონდათ. ამის დასტური უნდა იყოს № 522 ორმოსამარხში მოპოვებული შავი ქვის კვირისტავისებრი მძივით თავშემკული საკინძი. შავი ფერის ქვა ძველთაგანვე ცნობილია როგორც ამულეტი, ავგაროზი და მას დღესაც იგივე დანიშნულებით იყენებენ ხევსურები.

მსგავსი კვირისტავისებრი მძივები დადასტურებულია ყველა თანადროულ სამაროვანზე I-IV სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში. მაგრამ ის ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილია მძივიანამულებისა და ნებისის სამაროვანზე.

უნგვალის სამაროვანზე აღმოჩენილი მძივით თავშემკული საკინძები, რომელიც IV-V სს-ით თარიღება, დამზადებულია ბრინჯაოსა და რკინისაგან. დამზადების ტექნიკა ერთნაირი აქვთ. თავთან რელიეფური სარტყელი შემოსდევთ, რათა მძივი კარგად დამაგრდეს წაწვეტებულ წამაზულ ღეროზე და ჩამოვარდნის საშიშროება არ იყოს, ხოლო ზემოდან ვარდული აქვს დამაგრებული, ზოგ მათგანს მცირე ზომის მარგალიტიც. რაც შეეხება VI-VIII სს-ით დათარიღებულ მძივებით თავშემკულ საკინძებს, მათ ორივე მხრივ, ზემოდანაც და ქვემოდანაც, ვარდულები აქვთ დამაგრებული.

საკინძისთავებად გამოყენებული მძივები – სარდიონის, აქატის, ქალცედონის, მთის ბრძლის – ადგილობრივი ნედლეულისაგან ადგილობრივი ხელოსნების მიერ არის დამზადებული. სავარაუდებელია ზოგიერთი მათგანის

(მარჯანი, ქარგა) ნედლეულის სახით შემოტანა და ადგილზე დამზადება.

რაც შეეხება მინის მძივებს, ისინი ადგილობრივ ქართულ მინის სახელოსნოებშია დამზადებული და იქვეა საკინძებზე მორგებული.

უინგალის სამაროვანზე საკინძთა დიდი ნაწილი სამარხებში დედაკაცთა თავის ქალის არეში დადასტურდა. ისინი თავსაბურავისა და თმის ვარცხნილობისათვის იყო განკუთვნილი. საქართველოს არქეოლოგის სახელმძღვანელოში გვითხულობით: „მათში თანამედროვე ქართული ჩიხტიკოპისა და თავსაკარავის მსგავსი თავსაბურავის შესაბნევი თუ დასამშვენებლად ჩასარჭობი საკინძები უნდა დავინახოთ და უნდა ვივარაუდოთ, რომ თვით ეს წესი თმის შემკობისა თუ თავის დახურვისა შედარებით გვიან (IV ს-ის დასაწყისი – ვ.ჩ.) გაჩენილია ჩვენში. ამრიგად, თითქოს ხელთა გავაქს ქართველი ქალის ჩაცმა-დახურვის ამჟამად ცნობილი წესის საწყისები“ [26, გვ. 337].

უინგალის სამაროვანზე თავსაბურავის ნაშთები არ შეგვხედრია, მაგრამ დედაკაცთა სამარხებში თავის ქალებზე, კერძოდ, შუბლის არეში დადასტურებული წყვილადი შუბლსაკინძები (დისკოსებურთავიანი), მინანქრიანი, ჯვრის გამოსახულებით, მტრედისთავიანი და სხვ. მიგვანიშნებენ მათ არსებობას. ჩიხტა უნდა მოერგოს ამა თუ იმ პიროვნების თავის ფორმას, რაც გარკვეულ დახელოვნებას მოითხოვს ოსტატისაგან [8, გვ. 113]. ეს უინგალელ ოსტატს ბრწყინვალედ შეუსრულებია. 1500 წლის შემდეგაც ისინი შუბლის არეში, თავის თავდაპირველ ადგილას დადასტურდა.

როგორი იყო ქართველი ქალის ვარცხნილობა ადრეშუასაუკუნეებში და რას მატებს ახალს უინგალის არქეოლოგიური მასალა მას?

ყველი ვარცხნილობა, ისე როგორც სამოსი, ზუსტად ეხმაურება დროის მოთხოვნებს, გამოხატავს ეპოქის სულს, გემოვნებას, მხატვრულესთეტიკურ ცვლილებებს. ვარცხნილობა უაღრესად ეროვნული, რელიგიური, კლასობრივი და სოციალური ფენომენია [6, გვ. 5].

ქალს თავდაუბურავად არ უნდა ევლო, ხოლო მაღალი წილების კუთვნილს თმადაუწველად [27, გვ. 229].

გ. ლომთათიძე როცა განიხილავს IV-V სეის ჩაცმულობასა და შემკულობას, წერს: „რაც შეეხება თმის დაყენებას, ზოგ სამარხზე დაკირვება გვიჩვენებს, რომ ქალებს „ბულულებად“ უტარებით იგი და შიგ გრძელი, თავიანი საკინძები ჰქონიათ დასამშვენებლად ჩარჭობილი“ [13, გვ. 114].

გახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „თავი ქალწულთა: კავნი თვისსავე თმისა დაწვა ზედა და ქედი ან ლეჩაქი. არამედ ქმროსანთა კავსა ზედა დაწვა აძესთ თმა შეწნული. მსხვილი იმიერ და ამიერ, და ყბას ქვეშ მარგალიტით შემზადებულს ამოიდებენ და თხემსა ზედა შეიკურენ და ჰქონიათ მასზედ ლეჩაქი“ [4, გვ. 32].

ქალთა ვარცხნილობის ვახუშტისეულ აღწერას ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი უმატებს: „ხევსურეთში დღესაც გასათხოვარ მანდილოსანთ თმა თავზედ დაწნული, ხოლო გათხოვილთ თმა გადატკეცილი აქვთო“ [1, გვ. 66].

საინტერესოდ აქვს აღწერილი, ქალის ჩაცმულობა და ვარცხნილობა XIX ს-ის მოღვაწეს დავით ფანასკერტელ-ციციშვილს: „ქალებს თავზე ებურათ ლეჩაქი ზედმოვლებულის ფოჩითა, რომელთამე ოქრომეტერდისა, რომელთამე ჭიჭაურისა. კავთა ანუ თმათა ზედა მსხვილი სხვა თმისაგან ნაქმარი კავნი, ჭავლად ხმობილნი. შუბლთა ზედა თავსაკრავი ზოგთა მარგალიტით ნაკერნი. ბერანგი ზოგთა წითელი, ზოგთა ყვითელი გრძელნი ფეხთამდე. გულთან ზედან მოვლებულის გრეხილითა, რომელი იყო მრავალგვარი: მარგალიტისა, მძივისა, ხავერდისა. ნაქსოვ ოქრომეტერის ანუ ჭიჭაურისა და შეკრული ძვირფასის ერთის ღილითა.

კაბა ძვირფასის ლარისა, გრძელი ფეხთამდე, წინ კალთა გახსნილი. მაჯათა ზედა ესხათ ხრიკები, ზოგთა თვლისა ზოგთა ოქროისი და ზოგთა ვერცხლისა, ხოლო მდაბიოთა სპილენძისანი.

ყმაწვილთა ქალთა თავსა ზედა ეხურათ ყამჩი, მარგალიტით ნაკერი და თვლითა. ყელჩამოსნილი ლეჩაქ მოუხვევლად, არამედ ებურათ მხოლოდ თავსზედა და ზურგზედ გადაფენილი“ [34, გვ. 121].

ყამჩი არის რამდენიმე წყება ასხმა მარგალიტისა, რომელიც კავებქვეშა ამოდებული და თხემზედ ლეჩაქეჭვეშ შეკრული [9, გვ. 197].

უინგალის სამაროვანზე № 375 ქვის სამარხში აღმოჩნდა თმის ვარცხნილობის ნაშთი. თავის ქალაზე იდო ბრინჯაოს თავგახსნილი რგოლი, რომელზედაც სამად დაწნული თმა იყო შემოწვეული და დამაგრებული საკინძებით (თმა ლაბორატორიულად შეისწავლა ციალა ყარაულაშვილმა. იგი მოწაბლისფროა, ეკუთვნის 13-15 წლის გოგონას). თმაში ცხრა საკინძი იყო ჩარჭობილი. ზემოდან ედო ბრინჯაოს სამაგრი, რომლითაც, ალბათ, ლეჩაქი იყო დამაგრებული თმაზე.

ანალოგიური თმის ვარცხნილობა აღმოჩნდა ვაშლიჯვარის სამაროვანზე, № 18 ქვის სამარხში. თავის ქალასთან იდო პირამიდისებრი ფორმის სამად დაწნული ნაწინგების ხვეული, რომელსაც ბოლოში რკინის საკინძი ჰქონდა ჩარჭობილი [20, გვ. 68]. სამარხი V-VI სს-ით დათარილდა.

ადრეშუასაუკუნეების წერილობით ძეგლებში, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ ვეხდებით ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ჩაცმადახურვაზე და თმის ვარცხნილობაზე – მაღალი წოდების ქალებს „თავი დაბურული“ უნდა ჰქონდათ. პიტიახშის მეუღლეს თავზე „გუბასტი“ ებურა. მდაბიო დედაკაცები კი „თმაგატევებული“ და დაუწნავი დადიოდნენ. მაღალი წოდების ქალს არ უნდა ეარნა „თმაგატევებული“,

ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანს“ [10, გვ. 16-17]. „კუბასტეს“ სულხან-საბა ლეჩაქად განმარტავს, ნ. ჩუბინაშვილი კი „ქალთ თავსაბურავად.“

წყაროებში გადმოცემული ცნობები ზუსტად ესადაგება შინგალის სინამდვილეს. № 375 ქვის სამარხი მასში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით V-VI სს-ით დათარიღდა. 13-15 წლის უინვალელ გოგონას თმა დაწნული აქვს და დახვეული ბრინჯაოს რგოლზე პირამიდისებრად თავზე, რომელიც დამაგრებულია სხვადასხვაგვართავიანი საკინძებით. თმაზე დამაგრებულია ბრინჯაოს სამაგრი, რომლითაც ლეჩაქი თუ მანდილი ებურა თავზე. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს იმას, რომ მოზარდები თმას სამად იწნავდნენ. თავს ზემოთ იმაგრებდნენ (ზეცისკენ ილტვოდნენ), ხოლო დედაკაცები კავებად დაშვებული თმებით (დალალებით) შუბლსაკინძებით დამაგრებული მიწისაკენ, დედამიწისაკენ (ქვესკნელისაკენ) ისწრაფვიან.

უინვალის სამაროვაზე მოპოვებული საკინძები, როგორც ვნახეთ, მრავალგვარი და მრავალფეროვანია. როგორც აღმოჩენილი და შესწავლილი მასალებიდან ჩანს, ეს სამაროვანი ქალაქური ტიპის დასახლებას უნდა ეპუთვნოდეს, რასაც კარგად ამტკიცებს აქ აღმოჩენილი მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა.

## V. Chikhladze

### PINS FOUND AT ZHINVALI BURIAL GROUND

(Summary)

A large number of diverse beads have been discovered and studied at Zhinvali burial ground. The pins brought to light in the burial dated to the 1<sup>st</sup>-3<sup>rd</sup> centuries were used to fasten clothes, while their function alters in the 4<sup>th</sup>-8<sup>th</sup> cent., when they are head-dress, becoming a necessary attribute of their hairdos.

The pins unearthed at Zhinvali burial ground are divided into two groups: made of the same material and its head adorned with a beads. In the first group 15 types have been identified, and in the second – 15. Pins adorned with Christian symbols have also been attested. As is evident from the material discovered and studied, the burial ground must belong to an urban-type settlement, as proved well by the diverse archaeological material discovered here.

## ლიტერატურა

1. აღექსი-მესხიშვილი ნ. ისტორიული პიესების წარმოდგენის გამო. – გაზ. „ივერია“, № 66, 1904.

2. აფაქიძე ა., მანჯგალაძე გ. და სხვ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში. – მცხეთა, II, თბ., 1978, გვ. 81-156.

3. აფხაზაგა ნ. ადრეშუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ., 1979.

4. გახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფო-სა საქართველოსა. თბ., 1941.

5. ბარდაგელიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1941.

6. ბარდაგელიძე ნ. ვარცხნილობა-87. – გაზ. „თბილისი“, II.IX. 1987 წ.

7. ბუჩუკური ა. ბალებიანის სამაროვნის არქეოლოგიური გათხრები. 1983 წლის ანგარიში (ხელნაწერი, ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე).

8. გოგიჩაიშვილი ფ. ხელოსნობა საქართველოში. თბ., 1976.

9. გრიშაშვილი ი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. თბ., 1986.

10. იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება. კრ. ძველი ქართული მოთხრობა, თბ., 1979.

11. კალანდაძე ხ. ფიტავის სამაროვანი (ხელნაწერი, ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე).

12. ლომიძე ც. აბანოსხევის ადრეული შუასაუკუნეების სამაროვანი. – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, VI, თბ., 1998, გვ. 49-58.

13. ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს-ში. თბ., 1977.

14. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1983.

15. მუხიგულაშვილი ნ. არქეოლოგიური გათხრები მიმიკანმამულებში 1982 წელს. (ხელნაწერი, ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე).

16. მცხეთა, I, თბ., 1955.

17. ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1976.

18. ნიკოლაიშვილი ვ. გოუნაშვილი გ., ღლონტი ნ. მუხათვერდის სამაროვანი, კატალოგი. – მცხეთა, VII, თბ., 1985, გვ. 132-150.

19. ნიკოლაიშვილი ვ. ტუაიქოჩორას სამაროვანი. – მცხეთა, II, თბ., 1978, გვ. 157-169.

20. ნიკოლაიშვილი ვ. ვაშლაჯვარას სამაროვანი. – სას, თბ., 1978, გვ. 63-78.

21. ნიკოლაიშვილი ვ. დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხახაში. – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, III, თბ., 1978, გვ. 90-104.

22. ორბელიანი ს.ს. მოგზაურობა ევროპაში. თბ., 1940.

23. რობაქიძე ც. ნებისმის სამაროვანი. (ხელნაწერი, ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე).
24. რობაქიძე ც. არაგვისპირის სამაროვანი. (ხელნაწერი, ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე).
25. საგინაშვილი მ. საკინძისთავების ერთი სახეობის შესახებ. — მმ, № 37, 1975, გვ. 54-57.
26. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.
27. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
28. სახორცია თ. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. თბ., 1936.
29. სურგულაძე ო. ქართული სააზალწლო ჩიჩილაკი. — მმ, № 36, 1974, გვ. 41-45.
30. ტყეშელაშვილი თ. სამთავროს ახ.წ. IV-VIII სს. სამარხებში აღმოჩნილი ქინძისთავები. — სსმმ, ტ. XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 149-162.
31. ტყეშელაშვილი თ. ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან (ახ.წ. IV-VIII სს.), საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1955.
32. უგრელიძე ბ. ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის. თბ., 1967.
33. უგრელიძე ბ. ადრეფეოდალური ბეჭეთის მატერიალური კულტურა არმაზისხევისა და ნაგოსადენის არქეოლოგიური მასალების მიხედვით, 1956 წ. (ხელნაწერი, ინახება აკც-ში).
34. ფანასკერტელი-ციციშვილი დ. შემოქლებული მოთხოვნა ქვევათა და ჩვეულებათათვის ქართველთა. — გაზ. „ივერია“, № 121, 122, 1901.
35. ქსე, ტ. VIII, თბ., 1984.
36. ჩიხლაძე ვ. უინგალის სამაროვნის ყორეკედლიანი სამარხები. — ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, VI, თბ., 1998, გვ. 58-70.
37. წიკლაური ჯ. ხერთვისის ბალებიანის სამაროვანი, 1982 (ხელნაწერი, ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე).
38. წიკლაური ჯ. ახალი უინგალის სამაროვნის საკინძისთავი ფალაური წარწერით. — არქეოლოგიური ძიებანი, IV და V სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1985, გვ. 106-111.
39. წითლაპანაძე ლ., ბუჩქური ა. მჭადიჯვრის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, 1985 (ხელნაწერი, ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე).
40. ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი. თბ., 1964.
41. ჭოხონელიძე ნ. ქინძისთავის წარმომავლობისათვის. — არნ. ჩიქობავას სახ. ენათ-
- მეცნიერების ინსტიტუტის 63-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2004, გვ. 71-72.
42. ხეცურიანი ლ. მუხათგვერდი I, ადრეფეოდალური ხანის სამარხები, კატალოგი. — მცხეთა, VII, თბ., 1985, გვ. 151-163.
43. ხეცურიანი ლ. მუხათგვერდი I, ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი. — არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა II და III სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1982, გვ. 56-60.
44. ჯაფარიძე ბ. ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში. თბ., 1983.
45. ჯორბენაძე ბ. ერწო-თიანეთი შუასაუკუნეებში. თბ., 1982.
46. აბრამიშვილი რ. თბილისკარის ექспедიცია. — ПАИ, 1980 (1981), с. 29-34.
47. არაკელიან ბ. ნ., თირაციან გ. ა., ხაჭატრიან ჟ. დ. სტეკლი ძველი არმენიი (I-IV საუკუნეები). ერევან, 1969.
48. ბორისიან ნ. ა. ნекоторые материалы об амулетах и украшениях населения Средней Азии. М., 1975.
49. გაგლიერ რ. ხ. კ истории населения бассейна р. Большой Лиахви в I-VI вв. н.э., Автограферат кандидатской диссертации, Тб., 1977.
50. ჯაპარიძე օ. მ. ქასატალის მატერიალური ეპოქის ბრინჯაოს ხანის მისალები იუსტიუციური მისალების მიხედვით. — კსიმკ, ვიუ. 60, 1955, с. 23-31.
51. კალანტარიან ა. ა. მатериальная культура Двина IV-VIII вв. Ереван, 1970.
52. ითხოვთ არქეოლოგიური კულტურის მიმართ სამარხების მისალები. — კსიმკ, ვიუ. 60, 1955, с. 23-31.
53. რამიშვილ რ. მ. Исследование раннефеодального могильника "Иагсари." — Труды Кахетской археологической экспедиции, I, Тб., 1964, с. 111-128.
54. სინაურიძე მ. ი. Результаты археологического изучения Болниssкого района. Тб., 1977.
55. ტკეშელაშვილი օ. მატერიალной культуры раннефеодальной эпохи из Самтаврского могильника (IV-VIII вв.). Автограферат кандидатской диссертации. Тб., 1958.
56. თოლეთ ს. პ. Древний Хорезм. М., 1948.

### ტაბულებისა და სურათის აღწერილობა

- სურ. 1 — არაგვის ხეობა ადრეშუასაუკუნეებში.
- ტაბ. I — საკინძოა სახეობები უინგალის სამაროვნიდან.
- ტაბ. II — ქვის სამარხი № 138-ის კომპლექსი.
- ტაბ. III — ქვის სამარხების № 375 და 387-ის კომპლექსები.

ტაბ. IV – ქვის სამარხების № 210 და 265-ის კომპლექსები.

ტაბ. V – ქვის სამარხების № 29, 23 და 80-ის კომპლექსები.

ტაბ. VI – ქრისტიანული სიმბოლოებით თავ-შემკული საკნძები.

ტაბ. VII – 1. ვარცხნილობის ნაშთი აღმოჩენილი *in situ* № 375 ქვის სამარხიდან; 2. აღ-დგენა ვარცხნილობისა (მხატვარი – ე. გომარელი).

### **Description of the plates**

Pl. I – the Aragvi valley in the early Middle Ages.

Pl. II – varieties of pins from Zhinvali burial ground.

Pl. III – complex of cist 138.

Pl. IV – complexes of cists 375 and 387.


Pl. V – complexes of cists 210 and 265.

Pl. VI – complexes of cists 29, 30 and 80.


Pl. VII – pins adorned with Christian symbols.

Pl. VIII – 1) trace of hairdo, discovered *in situ* from cist 375; 2) restored hairdo (artist E. Gomareli).


♂♂δ. I





Ѳѧд. II




ტაბ. III







0 3

Fig. V





გაბ. VII



## თეა კინწურაშვილი, ნინო გალანდაძე

არქეოლოგიური მინის პლატფორმაზე და რესტაციის საპილისათვის  
(ყველაზე აღმოჩენილი მინის ჭრაზღვის მაგალითი)

უძველესი მინის ქიმიური შედგენილობისა და ტექნოლოგიის შესწავლით მოპოვებულ ინფორმაციას, არქეოლოგიურ გამოკვლევებთან ერთად, გადამწყვეტი როლი შეუძლია შეასრულოს აღმოჩენილი მინის ნიმუშების ამა თუ იმ რეგიონისადმი მიკუთხნების საკითხში და ამ რეგიონის კულტურული განვითარების დონის შეფასებაში.

სამხრეთ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, რომელიც ყოველთვის იმყოფებოდა ძელი საგაჭრო გზების გზაკვარედინზე, მოპოვებულია დიდი რაოდენობით მინის მასალა, რომელიც ასახავს არა მხოლოდ ამ რეგიონის, არამედ ძელი სამყაროს მინის წარმოების პრაქტიკულად ყველა ეტაპს [1, გვ. 50]. უძველესი ეპოქებიდან, ამ სახის პროდუქციას განსაკუთრებული ადგილი უკავია კაცობრიობის ისტორიაში. შესაბამისად, დიდია მეცნიერული ინტერესი ამ სახის ნაწარმისადმი [5, გვ. 3].

კავკასიაში მინის წარმოებასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობილი მეცნიერის პ. ფლინდერსის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „უძველესი მინის ნივთები ნაკეთებია მესოპოტამიის ჩრდილო რაიონში და იქნებ კიდევ უფრო ჩრდილოეთითაც – კავკასიაში, სადაც მინის საწარმო ცენტრები უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში და, კერძოდ, ეგვიპტეში“. მის აზრს იზიარებს ე. ბერგერიც, რომელიც აგრეთვე ჩრდილო მესოპოტამიას ან კავკასიას მინის ძელ საწარმო ცენტრებად თვლის [9, გვ. 230; 8, გვ. 163]. ამ მოსაზრების ჭეშმარიტება ჩვენი შემდგომი კელევის საგანია, მაგრამ ფაქტად რჩება, რომ ჩვენი ქვეყანა მიეკუთვნება მსოფლიოს იმ რეგიონთა რიცხვს, რომლებშიც მინის წარმოებას იცნობდნენ უძველესი დროიდან. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მინისა თუ მინისებრი ნივთიერებისაგან დამზადებული უძველესი საგნები ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება. ეს აღმოჩენები საშუალებას იძლევა, სირიასა და ეგვიპტესთან ერთად, საქართველოც მივაკუთვნოთ მინის წარმოების ერთ-ერთ უძველეს კერათა რიცხვს, საიდანაც იგი გავრცელდა ჩრდილოეთით [2, გვ. 3].

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მინის მასალის ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უძველესი დროიდან დაწყებული მინის მიღების ძირითად მინერალს წარმოადგენს სილიციუმის ორჟანგი ( $\text{SiO}_2$ ), რომელიც საუკეთესო მინის წარმომქმნელი ნივთიერებაა, თხევად მდგომარეობაში გადადის მინისებრ ანუ ამორფულ მდგომარეობაში, და ამ თვისებას

ანიჭებს სხვადასხვა კრისტალურ ნივთიერებებს – სილიკატებს [1, გვ. 50-51].

გამლობარ სილიციუმის ოქსიდს შეუძლია გახსნას ფუძე ქანგვეულები, მაგრამ თუ მათი რაოდენობა მომატებული იქნა, მინა გაციებისას დაკრისტალდება. სილიციუმის ორჟანგი (კაუმიწა) დნება  $1700^{\circ}\text{C}$ . მისი დნობის ტემპერატურა მცირდება ტუტე და ტუტემიწა ლითონთა ქანგეულებისა და აგრეთვე სხვადასხვა ლითონთა ოქსიდების მეტვეობით. მინის გამოსაღნობად საჭირო ნედლეული შეიძლებოდა ცალ-ცალკე მოეპოვებინათ და მინერალისა და ქვიშის სახით გამოყენებინათ. მინებში, სილიციუმის ოქსიდის მცირე რაოდენობრივი ცვლილება განსაზღვრავს მინის ტექნოლოგიურ თვისებებს: დნობადობას, კრისტალიზაციის უნარს და სხვ. სილიციუმის ორჟანგს აქვს სახესხვაობები: კვარცი, ქალცედონი, ოპალი და სხვ., რომლებიც თანაბრად გამოიყენებიან მინის წარმოებისათვის. მეორე მთავარი კომპონენტი მინის წარმოებაში არის კარბონატული მინერალების ჯგუფი, რომლებიც შერეულია ქვიშაში და განსხვავებულია ყველა საბადოსათვის. ესენია: კალციტი ( $\text{CaCO}_3$ ), დოლომიტი ( $\text{CaMg}(\text{CO}_3)_2$ ), სიდერიტი ( $\text{FeCO}_3$ ), ამასთან ერთად მინის წარმოების მინარევებს წარმოადგენს რკინის სხვადასხვა ნაერთები: ლომინიტი ( $\text{FeO}_3$ ), მაგნეტიტი ( $\text{FeO}_4$ ), პირიტი ( $\text{FeS}$ ) და სხვ. ყველა ზემოთჩამოთვლილი ნივთიერება მეტ-ნაკლები რაოდენობით იმყოფება ქვიშებში. კალციუმის და მაგნიუმის კარბონატები ხელს უწყობენ მინის წარმოქმნას, ხოლო რკინის კარბონატები და სხვა მინარევები ფერს უცვლიან გამომდარ მინას, თუმცა დაბლა სწევენ კაზმის დნობის ტემპერატურას. ნედლეულის სახით შეიძლება გამოყენებული იქნეს კალციუმის, რკინისა და ალუმინის სილიკატი, რომელიც წყალსაც შეიცავს [7, გვ. 98].

მინის აღნაგობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოვლინებას წარმოადგენს მისი მედეგობა ბუნებრივი სიბერის მიმართ, რომლის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ძელად წარმოებული მინის შესწავლით.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ყულევში აღმოჩენილი ადრეშუასუკუნების მინის ჭურჭელი.

1999-2001 წლებში არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. პაპუაშვილი) საველე სამუშაოები განახორციელა სოფ. ყულევში, სადაც მდ. ხობის მარჯვენა სანაპიროზე შესართავიდან 200 მ დაცილებით, ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვი დაფიქსირდა, რომელიც 4 კულტურუ-

ლი ფენით იყო წარმოდგენილი [3, გვ. 31-32]. ყულევის ნამოსახლარზე სტრატიგრაფიულად 4 კულტურული ფენის გარდა გამოვლინდა ცალკეული ნიგოები, რომლებიც ადრე ფეოდალური ხანით თარიღდებიან. მათ შორის აღსანიშნავია მინის ჭურჭლის ფრაგმენტები და გოფრირებულტანიანი, ყელწიბოიანი ამფორები, რომლებიც ბიზანტიური პერიოდისათვის არის დამახასიათებელი და თარიღდებიან ა.წ. IV-VI საუკუნეებით. ამ ხანის ეპოქის შესატყვისი კულტურული ფენები აღმოჩნდა XX საუკუნის 40-იან წლებში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას (ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით) მდ. ცივის ორივე სანაპიროზე, შესართავიდან 3 კმ-ის დაშორებით. 1972-1973 წლებში კი, კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ამავე პერიოდის ნაგებობები გამოავლინა მდ. ხობისწყლისა და ცივის შეერთების ადგილას.



სურ. 1

IV-VI საუკუნეები ის პერიოდია, როდესაც ცნობილია მინის მიღების ტექნოლოგია. დაიხვეწა მინის მისაღებად საჭირო კაზმის შედგენილობა, რომელიც ძირითადად შეიცავდა კვარც-შემცველ ნედლეულს (ქვიშებს), ბუნებრივ სოდას ან ნაცარს და ზოგიერთი შემთხვევაში კალციტ-შემცველ მასალებს. გამოიკვეთა მისწრაფება გამოეყენებინათ „სუფთა“ ქვიშები, რათა მიეღოთ კ.წ. თეორი ან მკვეთრად შეღებილი მინები. ამ პერიოდში ფუნქციონირებს სხვადასხვა კონსტრუქციის ლუმელები, შეიმჩნევა საღებავების გაზრდებული შერჩევის მცდელობა. ჯერ კიდევ ძვ.წ. I და ა.წ. I საუკუნეთა მიჯნაზე მინის ტექნიკის განვითარების დიდი ცვლილებები მოხდა – აითვისეს საბერავი მილი. საბერავი მილის გამოგონება ახალ ეპოქას ჰქმნის მინის წარმოებაში, რადგან გარდა იმისა, რომ ნაკეთობათა ფორმის, ზომისა და ჭურჭელთა კედლის სისქის შერჩევისას იგი უსაზღვრო შესაძლებლობას ანიჭებს ოსტატს, ამავე დროს ხელსაყრელს ხდის წარმოებასაც [4, გვ. 6].

ყულევში აღმოჩნდილი მინის ჭურჭელი მოლწეულია ჩვენამდე 32 ფრაგმენტის სახით (სურ. 1). ჭურჭლის ფორმის განმსაზღვრელი ყველა ნიშნის მახასიათებელი დეტალები შემორჩნი-

ლია. ასეთ დეტალებს წარმოგვიდგენენ ჭურჭლის პირი, რომლის დიამეტრია – 40,2 მმ, პირის სისქე – 3,5 მმ, ძირის დიამეტრი – 40,1 მმ, ძირის სისქე 4,5 მმ; ყურის სიგრძე – 55 მმ, სისქე – 4 მმ, სიგანე – 2 მმ; ყელის დიამეტრი – 20,1 მმ-ია.

ნიგოების გიზუალური დათვალიერებისას და მაკროსკოპული შესწავლისას შედგა ლაბორატორიული დოკუმენტაცია, ჩატარდა ფოტოფიქსაცია და პირველადი რეკონსტრუქცია. დეტალების აწყობა პირველადი რეკონსტრუქციის დროს მოხდა ე.წ. ლეიკოპლასტის საშუალებით. პარალელურად ჭურჭლის დეტალებს ერთმანეთთან ვაკავშირებდით თითბერის მცირე ზომის დუგმებით. ლითონის დუგმების ბოლოები მინას კარგად ეკვრის დაი-იჩის მომენტალური წებოს საშუალებით. პირველადი რეკონსტრუქციის პროცესის დასრულებისას ჭურჭელზე გამოჩნდა ორი დიდი ზომის ნაკლები ადგილი (სურ. 2). ნაკლები ადგილების ფართობი განსხვავებული ზომისაა: 1. სიმაღლე – 50 მმ, სიგანე – 65 მმ; 2. სიმაღლე – 26 მმ, სიგანე – 55 მმ.




სურ. 2

პირველადმა რეკონსტრუქციამ საშუალება მოგცა იზომეტრიაში აღგვედგინა ნიგოების ორიგინალური ფორმა და შემდგომ ამოგვერჩია დაკარგული ფორმის შესავსები ოპტიმალური ვარიანტი. იმისათვის რომ, ნაკლები ადგილის იდენტური ნაწილისათვის აგველო რომბერივი ანაბეჭდი, აღდგენილი ჭურჭელი ორ ნაწილად იქნა დაშლილი. ანაბეჭდი აღებულ იქნა ორკოპონენტიანი სილიკონის მეშვეობით. ანაბეჭდის აღების წინ მინის ჭურჭლის ფრაგმენტებს მოვაცილეთ ლეიკოპლასტები და დუგმებით ერთმანეთთან დაგავშირებული დეტალები დაფიქსირდა არალდიტის პოლიმერით. 24 საათის შემდეგ (არალდიტის გამყარების ვადაა 24 საათი), მოხსნა თითბერის დუგმები და სილიკონით აღებული ანაბეჭდები დაედო დაკარგული ადგი-

ლების შესაბამის ფართობს და შეივსო არალდიტისა და მშრალი პიგმენტის ნარევით (არალდიტი A – 100 + არალდიტი B 30 + მწვანე პიგმენტი). ანალოგიური მეთოდი გამოყენებულ იქნა მეორე ნაწილის აღსადგენადაც. საჭირო დროის გასვლის შემდეგ მოიხსნა სილიკონი და აღდგენილი ჭურჭელი გაიწმინდა მექანიკურად. სრული რეკონსტრუქციის პირობებში შესაძლებელი გახდა მინის ჭურჭლის ზუსტი ფორმისა და ტექნოლოგიური მახასიათებლების დადგენა.

ჭურჭელს გააჩნია მრგვალი და გარეთ გადაშლილი პირი, რომელსაც ერთვის ლენტისებური ფური. ყურის ერთი ბოლო ჭურჭლის ტანზეა დამერწილი, მეორე კი მაგრდება უშუალოდ პირზე. პირის კიდე დამუშავებულია, ოდნავ შესქელებული. ვიწრო და მოკლე ყელი გადადის სფეროსებრ ტანში, ( $d=80$ , 1 მმ), რომელიც ძირისკენ ვიწროვდება და მრგვალი ქუსლით ბოლოვდება. ჭურჭლის ძირი ქუსლის შიგნით ოდნავ შეზნექილია. ყელიდან ტანზე გადასვლის ადგილი აქცენტირებულია იგივე ფერის რელიეფური რგოლების 5 რიგით (რგოლების სისქე – 1 მმ). ჭურჭლის საერთო სიმაღლე – 124,5 მმ-ია (სურ. 3).



სურ. 3

რელიეფური რგოლების ზედა და ქვედა რიგს საბერავი მილის კვალი ამჩნევია. ჭურჭელი დამზადებულია და მწვანე შეფერილობის მინისაგან, რომელიც გამოუფიტავია. მინის მა-

სის გამოდნობის ხარისხი დაბალია; მასში შეინშნება როგორც დიდი ზომის მრგვალი, ისე წერილი ელიფსური ფორმის ბუშტულები.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ყულევში აღმოჩენილი ჭურჭელი ღია მწვანე შეფერილობისაა. მეცნიერულად დადგენილია, რომ ა.წ. I-VI საუკუნეებში მინის შეღებვა ძირითადად ხდებოდა  $\text{CuO}$  და  $\text{Mn}_2\text{O}_3$ -ით, რომლებიც სხვა ოქსიდებთან შერევით (ძირითადად  $\text{Fe}_2\text{O}_3$ ) იძლეოდნენ ნაწარმისათვის დამახასიათებელ მოცისფრო, მოყვითალო, მოყვითალო-მოყავისფრო და მწვანე ფერის სხვადასხვა ტონალობებს. მწვანე ფერი მინაში აიხსნება კაზმში  $\text{MnO}$ -სა და  $\text{FeO}_3$ -ის ერთობლივი ზემოქმედებით [2, გვ. 9].

ყულევში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი ფორმით და ზომით უახლოვდება გრაფინის ტიპის ცისფერი მინის ჭურჭელს არმაზის ერისთავთა საგარეულო სამაროვნიდან, რომელიც ა.წ. III საუკუნითაა დათარილებული. არმაზში აღმოჩენილი ნივთის წარმომავლობის შესახებ მნელია საუბარი, რადგან ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ორ დიდ ქალაქში – მცხეთასა და ურბნისში სხვა ხელოსნურ დარგთა შორის მინის წარმოებაც არის სავარაუდებელი. ამავე დროს არ გამოირიცხება მინის ნაწარმის იმპორტიც, როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ქართლის სამეფოს მეზობელ ქვეყნებთან გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აქვს [4, გვ. 6].

აღსანიშნავია, რომ არმაზისხევის გრაფინისებურ ჭურჭელს, ჩვენს მიერ შესწავლილ, ყულევში აღმოჩენილი მინის ჭურჭლისაგან განსხვავდით ამკბს წახსაგები. მსგავსი ოთხწახსაგა გრაფინისებური ჭურჭელი ცხობილია გონიო-აფსაროსიდან. მათი ქრონოლოგიური დააპაზონი ფართოა და მოიცავს ა.წ. I-IV სს. წარმომავლობის მიხედვით ისინი ორ დიდ ჯგუფად იყოფა. პირველი რომის ევროპულ პროვინციებშია დამზადებული (გალია, რეინის ოლქი, დუნაისპირეთი და სხვ.) და ეკუთვნის დასავლეთ რომაულ ჯგუფს, ხოლო მეორე, სირიის, ეგვიპტის და კვიპროსის ნიმუშები კი – აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის ჯგუფს [5, გვ. 7].

მსგავსი ფორმის მინის ნაკეთობები ტიპურია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვისაც. პანტიკაპეონში (I ს-ის დასასრული, II ს-ის დასაწყისი) აღმოჩენილია ფორმითა და ზომით მსგავსი გრაფინის ტიპის მინის ჭურჭელი, რომლის ტანი წარმოდგენილია მომრგვალებული სფერული ფორმით, ყელი ქვემო ნაწილში ფართოვდება, პირის გვირგვინი განიერი და გარეთ გადაშლილია, ძირი ბრტყელი, ყური ლენტისებრგანივეკეთიანი. პირის ყელთან მიერთების ადგილზე კუთხე იქმნება. მინა გამჭვირვალე, მოცისფრო ფერისაა [6, გვ. 174].

კიდევ ერთი ანალოგიური მწვანე მინის ჭურჭელი პანტიკაპეონიდან თარიღდება III ს-ის დასასრულითა და IV ს-ის დასაწყისით. მისი ტანი მსხლისებრი ფორმისაა, ყელი ქვემოთკენ

ფართოვდება, პირის გვირგვინი განიერი და შიგნით ჩაკეცილია, ძირი კონუსისებური, შეზნექილი. ყური ლენტისებურ-განივევეთიანია, სამი წიბოთი. ჭურჭელზე იკვეთება მრავალრიცხოვანი მცირე და დიდი ზომის ბუშტულები. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ანალოგიური მასალა ხშირად გვხვდება III-IV საუკუნეებით დათარიღებულ ბოსფორის სამეფოს სამაროვნებში [6, გვ. 183].

კვლევის ამ ეტაპზე ძალზე მნელია ყულევში აღმოჩენილი ჭურჭლის წარმომავლობის დადგენა, როგორც მისი, ისე იმპორტული ანალოგების მასალის ქიმიური შედგენილობისა და დამზადების ტექნოლოგიური რეჟიმის მონაცემების უქონლობის გამო. რაც შეეხება დათარიღების საკითხს, შესაძლოდ მიგვაჩნია, მისი ყულევში აღმოჩენის ფაქტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთს დაუკავშიროთ, სინქრონული მასალების მიხედვით კი, ახ.წ. III-IV საუკუნით დავათარიღოთ.

**T. Kintsurashvili, N. Kalandadze**

### **TOWARDS THE STUDY AND RESTORATION OF ARCHAEOLOGICAL GLASS (AS EXEMPLIFIED BY GLASS VESSELS DISCOVERED IN QULEVI)**

(Summary)

The Kolkheti Expedition of the Centre for Archaeological Studies carried out field work in the village of Qulevi in 2000-2001. An artificial hill revealing four cultural layers was excavated on the right bank of the river Khobi, 200 m of the mouth. Besides 4 stratigraphically attested cultural layers, single finds of artifacts were brought to light, generally dated to the Middle Ages and containing fragments of glass vessels.

In all 32 fragments were found at Qulevi and the process of their reconstruction-restoration started. At the first stage fixation of the details with adhesive bandage, while they were attached to one another with brass hooks. Then the ends of the hooks were connected to the glass by means of Dai-ichi instant glue. The primary reconstruction enabled us to restore the general shape of the vessels, revealing at the same time two large gaps. The latter cavities prompted further direction of reconstruction. As a result of mechanical cleansing of the vessels it became possible to determine the initial shape and technological characteristics of the items. It can be assumed that the Qulevi vessels are connected with the South-Western Georgian coastal region and, with account of analogous synchronous material, should be dated to the 3<sup>rd</sup>-4<sup>th</sup> cent. A.D.

### **ლიტერატურა**

**1. ბახტაძე რ.** უძველესი მინის წარმოების ზოგიერთი საკითხი. – სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია, კონსერვაცია, ტექნოლოგია. თბ., 1980, გვ. 50-91.

**2. კაპანაძე მ.** მინის ქიმია და ტექნოლოგია ძველ საქართველოში, საკანდიდატო დისერტაციას ავტორეფერატი. თბ., 1999.

**3. ბაბუაშვილი რ.** არქეოლოგიური გათხრები ყულევში 1999-2001 წლებში. – ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: πλατις Ἡλλενις და πόλις βάσιται. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. 2002 წლის 23-26 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები (მიებანი, დამატებანი VIII), თბ., 2002, გვ. 31-32.

**4. უგრელიძე ნ.** მინა ძველ საქართველოში. თბ., 1961.

**5. შალიკაძე თ.** გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2004.

**6. Кунина Н.** Античное стекло в собрании Эрмитажа. – Художественные сокровища России, 1997, с. 174-183.

**7. Ремсден Э. Н.** Начало современной химии. Ленинград, 1989.

**8. Berger E.** Glasbereitung und Glas-Rohstoffgemenge vor zweitausendfunfhundert Jharen, Glastechnische Berichte, Heft. 4, 1927, S. 160-166.

**9. Flinders P.** Glass in the Early Ages. – Journ. Soc. of Glass Technology, vol. X, No. 39, 1936, pp. 229-234.

### **სურათების აღწერილობა**

სურ. 1 – მინის ჭურჭელი ყულევიდან რესტავრაციამდე.

სურ. 2 – იგივე ჭურჭელი რესტავრაციის შემდეგ.

სურ. 3 – მინის ჭურჭელი ყულევიდან, ნახაზი.

### **Description of the figures and the plate**

Fig. 1 – Glass vessel from Qulevi before restoration.

Fig. 2 – The same vessel after restoration.

Fig. 3 – Glass vessel from Qulevi, drawing.

# ა რ ქ ე თ ლ თ გ ი ი ს ი ს ტ ი რ ი ა

## History of Archaeology

### ხათუნა ჯორბენაძე

#### დიმიტრი ბაქრაძის წვლილი შემთხვევითი აღმოჩენების გადარჩენის საქმეში

გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში [15, გვ. 98-100]. საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობისას მეცნიერი ერთ-ერთ მთავარ გზად არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას მიიჩნევდა, რომლის განხორციელებაც სპეციალურად დაგეგმილი სადაზვერვო გასეღლების და „ლია ფურცლით“ შესრულებული სამუშაოების გარდა, შემთხვევით აღმოჩენებსაც უკავშირდებოდა. დიმიტრი ბაქრაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შემთხვევითი მონაპოვრების შეგროვებას, აღმოჩენის პირობების შესახებ ცნობების მოძიებას და მათ მეცნიერულ შესწავლას. ამ მიმართულებით მისი აქტიური მოღვაწეობის ამსახველია ის საინტერესო ინფორმაციები, რომლებიც ჩვენ მოვიძიეთ იმდროინდელი ქართული თუ რუსული პრესის ფურცლებზე და მეცნიერის პირად არქივში (პ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი). ფონდი № 32). 1877 წლის გაზეთ „ივერია“-ში ვკითხულობთ: „უბრალო შემთხვევას რომ არ აღმოჩენა 1870 წ. ჩვენ აქამდე არაფერი გვეცოდინებოდა თუ რა არქეოლოგიური საუნჯე ძევს დედამიწის გულში სამთავროს გვერდით მცხეთაში. ცოტაოდენი რამ, რაც კი იქიდამ ამოვილეთ, დიდი ყურადღება მიიქცია ჩვენს მხარეზე ევროპისაც და რუსეთისაც. ამგვარივე ყურადღება აღმრა მეცნიერებს შორის საქართველოს ძევლმა ტაძრებმა და მონასტრებმა, რომელთაც ჩვენ გულ-გრილად შევცერით... თუმცა საქართველოში უმეტესი ნაწილი ძევლის სამკაულებისა სამუდამოდ დაკარგულია ჩვენის უმეცრებისა და უთაურობისაგან, მაინც კიდევ ბლომად არიან დარჩენილები. მაგრამ რა მდგომარეობაში ვპოულობთ იმათ? უმიზეზოდ ალპობენ, აგირავებენ და უბრალო ფასად ჰყიდიან. ეკლესიებში და მონასტრებში ჩვენ თვითონ გვინახავს ბევრ ადგილას ძვირფასი ნივთეულობა, ვერცხლისა, ოქროსი, სხვა და სხვა გვარი ხელნაწერები მტვერში და ნაგავში... რამდენიმე იმათგანი შეიცავს ძვირფას მასალას ჩვენის ისტორიისათვის. ისტორიას არ შეუძლიან იმათით ისარგებლოს, რადგან დაფანტული არიან აქაიე კერძო სახლებშივე, მონასტრებშივე, ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში და სხვაგან. კარგია თუ რომელიმე იმათგანი შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში“ [2, გვ. 13].

1885 წლის ზაფხულში არტანუჯის სატელეფონო სადგურის უფროსმა ს. ასლანოვმა დიმიტრი ბაქრაძეს აცნობა არტანუჯის ციხესთან ნაპოვნი მეტად საინტერესო ნივთის შესახებ. იქ ერთმა გლეხმა, მიწის თხრის დროს იპოვა საუ-

კეთესოდ შენახული ზარი და მასთან ერად თიხის ქოთანი. ზარი 12 - ფუთიანი აღმოჩნდა, რომელსაც ირგვლივ ასომთავრული ანბანით შესრულებული წარწერა ჰქონდა. გარდა ამისა, ს. ასლანოვი იტყობინებოდა, რომ არტანუჯის მიდამოებში ბევრი სხვა არქეოლოგიური მასალაც იყო [16]. 1886 წელს ახალციხის მხარეში სახლის საძირკვლის თხრის დროს ნაპოვნი იქნა თიხის მცირე ზომის დოქი და 3 მონეტა („თეთრი“) დოქი აღმოჩნდა მდ. კურცხანისწყლისა და ოცხისწყლის შესართავთან, ოცხესაგან მარჯვნივ. ამის თაობაზე დ. ბაქრაძეს აცნობა ახალციხის მაზრის უფროსმა ნ. აღექსიმესხიშვილმა. იგი დ. ბაქრაძისადმი მოწერილ წერილში გამოთქვამდა აზრს, რომ აღნიშნულ ადგილებში უნდა ყოფილიყო მოსაძებნი ქალაქი ოცხე და ამის გამო „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებას“ ამ მხარეში თვიანთი წევრების მივლინებას სთხოვდა [16].

დიმიტრი ბაქრაძეს 1886 წელს გამოუგზავნეს რამდენამე არქეოლოგიური ნივთი, ერთი მათგანი თბილისის მახლობლად სიფ. ნინოწმინდის ეგრეთწოდებულ „დედაბრიანთ ხევში“ უპოვათ, სადაც სამი პატარა ქილა წყლის ნიაღვარს გამოუჩენია; ხანჯლის მსგავსი ნივთი ერთ-ერთ ქილაში ყოფილა დამალული და მხოლოდ ტარიღი მოუჩანდა. ამოღების დროს იარაღი გადატეხილა და ქილაც დაშლილა [9, გვ. 2]. მთიულეთის ერთ-ერთი ძევლი ეკლესიის ახლოს 1886 წელს „რაღაც უცნაური ნაგთი, რკინისა, არც თუ ფარი, არც თუ ხმლის ტარი“, აღმოჩენილა. ამ ეკლესიის გარშემო უმრავი ნანგრევი და ძევლი აკლდამები ყოფილა, საიდანაც მიცვალებულების ძვლებიც ჩანდა. ნივთები და ერთი ძევლი მონეტა დიმიტრი ბაქრაძემ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუზეუმს გადასცა [9, გვ. 2].

იმ პერიოდში აღმოჩენილი და დაკარგვას გადარჩენილი არქეოლოგიური ნივთები ძირითადად „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუზეუმსა ან კავკასიის მუზეუმში ხვდებოდა. 1889 წელს დიმიტრი ბაქრაძის ძალისხმევითა და ინიციატივით თბილისში დაარსდა საეკლესიო მუზეუმი, რომელიც შედარებით მყარ გარანტიად იქცა არქეოლოგიური მონაპოვრების დაცვისა და გადარჩენის საქმეში [8, გვ. 101-104; 13, გვ. 288-304].

საინტერესოა ასეთი ფაქტიც: ფოტოგრაფ უზეფ ტერ-ზაქარიანის ვიდაც ქურთისაგან 1884 წელს უყიდია ორი ტომარა, სხვადასხვა ძველი ნივთებით. ქურთს ეს ნივთები უპოვია სოფ.

იშხანში, ნანგრევებში, X საუკუნის ტაძართან. ოლთისში გზად გაუვლია ვინმე ინგლისელ ბორენს, შემთხვევით შეუტყვია ეს ამბავი და ამ ფოტოგრაფისაგან უყიდია ყველა ის ნივთი, რაც კი მოსწონებია. მათ შორის იყო წარწერიანი სამი ქილა, ერთ-ერთ მათგანზე გამოსახული ყოფილა კაცი და ქალი სამეფო ტანისამოსში, მეორეზე – ლომი და მზე, მესამეზე – მხოლოდ მზე. ბორენს შეუძნია ორი თითბერის წარწერებიანი სინი, სასახლისა და სასახლის წინ მდგომი გვირგვინოსანი ქალისა და კაცის გამოსახულებით; აგრეთვე, ხელნაწერი წიგნი, „გაუგებარ ენაზე დაწერილი“ და სპილენძის ხელი [11, გვ. 1].

შემთხვევითი აღმოჩენების მიმართ, და კონკრეტულად ამ შემთხვევის გამო, არაგულგრილი დამოკიდებულება და გარკვეული ინტერესი ნათლად გამოჩნდა „დროებისა“ და უფრო ადრე «Кавказъ»-ში გამოქვეყნებულ წერილებში, სადაც გამოიტქვა საყვედლური ასკასიის საისტორიო და საარხეოლოგო საზოგადოების მიმართ, რომლის თავმჯდომარეც დიმიტრი ბაქრაძე იყო: „ისეთი მცირებე პირი არხეოლოგისა, როგორიც დიმ. ბაქრაძეა, არის აგრეთვე ქართველი და მაშასადამე უფრო გული უნდა სტყიოდეს ყოველგვარ საარხეოლოგო სახსოვრის დაკარგვაზე, მით მომეტებულად, თუ იგი სახსოვრინი, მაგროგორც ამ შემთხვევაში, ნამდვილი განძი და ფასდაუდებელი სამკაულია, როგორც ჩვენი მუზეუმისთვის, ისე ისტორიისა და მეცნიერებისათვის“ [11, გვ. 1].

1886 წელს გაზეთმა „ივერია“-მ გამოაქვეყნა საყურადღებო ცნობა: „ხიდისთავში, ლვინიაანთ ეკლესიასთან, გლეხებს დაუწყიათ მიწის თხრა და უპოვიათ ზარი და ჯვარი. თავად ეს გლეხები უარყოფენ ამ ფაქტს, მაგრამ არქეოლოგ დიმ. ბაქრაძეს თავისი გავლენით შეუძლია ამ გლეხებს გამოაჩინონ მათ მიერ აღმოჩენილი ზარი და ჯვარი“ [4, გვ. 2].

ქართულ თუ რუსულ ენაზე გაშუქებული ინფორმაციები შემთხვევითი აღმოჩენების შესახებ, ნათლად გვიჩვენებს საზოგადოების ფართო წრეების დაინტერესებას ისტორიული სიძველეებით: როგორც ირკვევა, უკვე მომწიფებულია აზრი, რომ შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები არ წარმოადგენს მხოლოდ რაიმე განძს, არამედ ისინი ისტორიის შესწავლაში უნდა დახმაროდნენ ამ საქმით დაინტერესებულ პირებს. საზოგადოების დიდი ნაწილი აქტიურად ცდოლობდა შემთხვევითი აღმოჩენების ფაქტების „კავკასიის საისტორიო და საარხეოლოგო საზოგადოებისათვის“ შეეტყობინებინა.

1886 წელს დიმიტრი ბაქრაძემ მის მიერ დაარსებულ „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების“ სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში, ისაუბრა საქართველოში შემთხვევითი აღმოჩენების მნიშვნელობის შესახებ. დამსწრე საზოგადოებას გააცნო აგრეთვე მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების გადაწყვეტილება კავკასიის საქრისტიანო ტაძრების შე-

სწავლის თაობაზე. მეცნიერმა მოკლედ მიმოზილა, თუ სად და რა ადგილას უნდა განეხორციელებინა საზოგადოებას სამუშაოები. მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებას, გაზეთ „Московские ведомости“-ის მიხედვით, მოუსმენია დ. ბაქრაძის მოსაზრებები კავკასიის არქეოლოგიური კუთხით შესწავლის თაობაზე და გადაუწყიტა კომისიის შექმნა, რომელიც დიმიტრი ბაქრაძის მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით შეძლებდა ჩანაფიქრის განხორციელებას [10, გვ. 2]. საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების წახალისების მიუხედავად, ეს საქმიანობა გარკვეულმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა შეაფერება და მისი განახლება გვლავ შემთხვევით აღმოჩენას დაუკავშირდა. 1889 წელს „ივერიის“ რედაქციაში ილია ჭავჭავაძე-სთან მივიდა ვინმე განძის მაძიებელი ბერძენი, რომელმაც, როგორც ჩანს, დამოუკიდებლად ჩაატარა გათხობი ბაგინეთზე და სათანადო სახსრების უქონლობის გამო მუშაობა ველარ გააგრძელა. ილია ჭავჭავაძემ ეს ამბავი აცნობა ისტორიკოს დ. ბაქრაძეს, რომელსაც, როგორც რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თხრის ნებართვა (ე.წ. ღია ფურცელი) მიეცა [6, გვ. 370-371]. დიმიტრი ბაქრაძემ, გადაწყვიტა ეს საქმე უკვე გამოცდილი ახალგაზრდა მეცნიერისათვის, ექ. თაყაიშვილისათვის დაეგალებინა, რადგან თავად სისტემატურად ველზე ყოფნა აღარ შეეძლო. იმ დროისათვის ექვთიმე თაყაიშვილი გიმნაზიაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და მეცნიერობას ვერ გააცდენდა. ამის გამო მეცნიერმა „ლია ფურცელი“ პეტერბურგში განათლებამილებულ, პროფესიით მათემატიკოსს, დავით ქუთათელაძეს გადასცა [6, გვ. 371].

დავით ქუთათელაძე დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ბაგინეთში მუშაობას. გასათხრელი კოშკის მცირე ფართობის გამო, მან მხოლოდ ორი-სამი მუშის აყვანა შეძლო. ექ. თაყაიშვილი დღე-გამოშვებით ადიოდა ბაგინეთზე და თვალყურს ადევნებდა მუშაობის პროცესს. დავით ქუთათელაძე მარი ბროსეს მიბაძვით „რაპორტს“ (ანგარიშს) წერდა, სადაც შეძლებისდაგვარად დაწვრილებით აღწერდა გათხობის ყოველდღიურ შედეგებს.<sup>33</sup>

გათხოები სულ სამ კვირას გრძელდებოდა და უსახსრობის გამო შეწყდა. რაც შეეხება გათხოების დაფინანსებას, მოხერხდა მცირეოდენი თანხის მოგროვება (100 მან.), დ. ბაქრაძის, ექ. თაყაიშვილის, ილ. ოქრომჭედლიშვილის დახმარებით.

გათხოების პროცესში ყურადღება მიიქცია კედელის მხატვრობის ფრაგმენტმა, ქალის მინიატურული თავის გამოსახულებით. დავით ქუთათელაძემ ეს ფრაგმენტი თბილისში წამოიღო.

<sup>33</sup> დავით ქუთათელაძის ხელნაწერი „რაპორტი“ წლების მანძილზე დაკარგულად ითვლებოდა და იგი პირველად აკადემიკოს ექ. თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნდა 1966 წელს [1, გვ. 117-119].

აღმოჩენით აღფრთოვანებულმა იღ. ჭავჭავაძემ, განაცხადა: „ას მანეთად მარტო იმ ქალღმერთის თავის სურათი ღირს“-ო [6, გვ. 372].

ფრესკის ფრაგმენტი, რომელიც ბაგინეთის გათხრების დროს იქნა აღმოჩნილი, კარგა ხანს დაკარგულად ითვლებოდა. ექ. თაყაიშვილის ინფორმაციით, წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში ინახებოდა: „ახლა კი ხელოვნების მუზეუმში უნდა ინახებოდეს წესით, „მეტეხს რომ ეძახიან, იმის ფონდში [6, გვ. 371].

1979 წელს, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილებაში საფონდო სამუშაოების დროს, მეცნიერთა ფურადღება კედლის მხატვრობის ორმა მცირე ზომის ფრაგმენტმა ( $5 \times 3$  სმ;  $3 \times 2$  სმ) მიიქცა. მკვლევართა დაკვირვებით, ეს ნაშთები სტილით, შესრულების მანერით, ბათქაშის სტრუქტურით, მკეთრად განსხვავდებოდა შუასაუკუნეების კედლის მხატვრობის ნიმუშებისაგან და გვანანგრიკური ხანის მოხატულობის ძეგლებთან ჰპოვებდა მსგავსებას [7, გვ. 134]. ამ ფრაგმენტების აღმოჩენის ადგილი მეცნიერთათვის უცნობი იყო. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობების თანახმად, მაშინვე გაჩნდა ეკვი, რომ ისინი ბაგინეთის გათხრებთან იყვნენ დაკავშირებული. ბაგინეთის პირველი არქეოლოგიური გათხრების შესახებ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურისა და „რაპორტის“ დაწვრილებით გაცნობის საფუძველზე ეს ვარაუდი დადასტურდა [7, გვ. 133-148].

მრავალი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი ქართული არქეოლოგის განვითარების საქმეში დიმიტრი ბაქრაძის დამსახურების შესახებ. მეცნიერს საკმაოდ დიდი მუშაობის ჩატარება უხდებოდა საზოგადოების ფართო წრეებთან, რათა შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები გულგრილი და უცოდინარი ადამიანების ხელში არ მოხვედრილიყო. მიუხედავად იმისა, რომ „ისტორიული წიგნების მკითხველს და მწერალს, ხეირად დასკინოლნენ და ბერების ნაშთების მთხრე-მჩხრეკელს უწოდებდნენ“ [14], დიმიტრი ბაქრაძე ასეთ მოკიუნეებს ფურადღებას არ აქცევდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ: „საფლავნი და სხვადასხვა ნაშთი, უტყუარი მთხრობელი არიან წარსულისა. ხოლო ახლა საჭირო იყო მათი შესწავლა, მათი აღწერა, რომ იგინი საინტერესონი შექმნილიყვნენ თვით ერისთვისაც“ [14]. დიმიტრი ბაქრაძეს მტკიცებული სწამდა, რომ: „ჩვენს წარსულში იყო ჩადგმული ის მკვიდრი დედა-ბოძი, რომდებაზე-დაც უნდა აგებულიყო მომავლის შენობა“ [14].

ბაგინეთის გათხრების შედეგად მოპოვებული კედლის მხატვრობის ფრაგმენტი, ქალის (ღვთაების) თავის გამოსახულებით, იდენტიფიცირებული 1979 წელს, იმედს გვიტოვებს, რომ მუზეუმის ფონდებში, კვლავაც შესაძლებელია XIX საუკუნეში შემთხვევით ოუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების მოძიება და მათი მეცნიერული შესწავლა.

## ლიტერატურა

1. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. – კრებული, თბ., 1966, გვ. 117-119.

2. ბაქრაძე დ. ზოგი რამ ჩვენს ისტორიაზე, არხეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვ., ათონის მთიდან მოტანილის ძევლი წიგნის შესახებ (მუზეუმის დაარსების აუცილებლობა). – ივერია, 1877, №- 8, გვ. 12-14.

3. გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1996.

4. გორიძან გგწერებ (მკითხველების გავლენა. ზარისა და ჯერის პოვნა სოფ. ხიდისთავში. ამ შემთხვევაში დიმ. ბაქრაძის დაინტერესების საჭიროება). – ივერია, 1886, № 94, გვ. 2.

5. დუმლაძე გ. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. ბათუმი, 1950.

6. თაყაიშვილი ექ. რჩეული ნაწარმოებები. - ტ. I, თბ., 1968.

7. კავლელიშვილი ელ. არმაზის ციხე. ბაგინეთის გვაიანრომაული ხანის კედლის მხატვრობის ნაშთები. – მცხეთა XI, თბ., 1996, გვ. 133-148.

8. მუმლაძე გ. საეკლესიო მუზეუმები თბილისში. – ძიებანი, № 6, თბ., 2000, გვ. 101-104.

9. პატივცემულს დიმიტრი ბაქრაძეს სოფ. მლეთიდან (იქ ნაპოვნი ძველი ნივთების მიღება. ძველი ეკლესია რეინის კარზე ხუცური წარწერით). – ივერია, 1886, № 236, გვ. 2.

10. საისტორიო და არქეოლოგიური საზოგადოების კრება (დ. ბაქრაძის მოხსენება. მატიანე ჩვენის ქვენის არქეოლოგიისა. 1885 და 1886). – ივერია, 1886, № 80, გვ. 2.

11. სოფელ იშხანში ნაპოვნი ძველი ნივთები და ამისი შეძენა ინგლისელ ბორენის მიერ, ამის გამო საყვედური დ. ტ. ბაქრაძეს. – ღრობა, 1884, № 117, გვ. 1.

12. ჩარგვიანი გ. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – იბერია-კოლხეთი, № 2 (ძიებანი. დამატებანი. XIV), 2005, გვ. 76-84.

13. ჩხაიძე გ. თბილისის საეკლესიო მუზეუმები. – სსმმ, 45, 2003-2004, გვ. 288-304.

14. ჯანაშვილი გ. დიმიტრი ბაქრაძის მოღვაწეობა. – ივერია, 1890, № 32.

15. ჯორბეგაძე ხ. დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლი ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში. – ძიებანი, № 10, 2002, გვ. 98-101.

16. ბაკრაძე დ. Отчет об археологических находках в 1886 г. на Кавказе, преимущественно в Сухумском округе (ხელნაწერი, ინახება კ. გავლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. ფონდი № 32).

A d m e m o r i a m

აპადემიკოს ფერდინაძე თაგაძის ხსრვნას



სასიქადულო ქართველი მეცნიერის აკად. ფ. თავაძის გარდაცვალებიდან 15 წელი გავიდა. რაც დრო გადის, მით უფრო ნათლად ჩანს ამ ღვაწლმოსილი პიროვნების სიღიადე და მეცნიერული მემკვიდრეობა.

ფ. თავაძე საქართველოში მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას და იმდენად შთამბეჭდავია, რომ მათი აღნიშვნის გარეშე მნელი იქნებოდა დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მრავალმხრივი შემოქმედებითი ცხოვრების სრულყოფილი წარმოჩენა. განსაკუთრებულია ფ. თავაძის დამსახურება მეტალურგიის ისტორიის სფეროში.

ქართული მეტალურგიის პრობლემა ფ. თავაძეს იმთავითვე აინტერესებდა და მთელი ცხოვრების მანძილზე მუდმივად ფიქრობდა უძველეს ლითონის ნაკეთობათა მიღება-დამუშავების საუკუნეების ფერფლით დაფარულ საიდუმლოებაზე. ბატონი ფერდინანდის პირად არქივში დაცულია ძველი ხელნაწერი, რომელიც საოცრად ნათლად გადმოგვცემს მის დამოკიდებულებას ამ პრობლემისადმი. აი ერთ-ერთი პასაჟი ამ ხელნაწერიდან:

„ლითონმცოდნეობა ჩაისახა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ადამიანმა პირველად შეიცნო ლითონი, თვითხაბადი ოქრო, ვერცხლი, სპილენძი თავისი ლამაზი, ბრჭყვიალა და მბზინავი ფე-

რით, პლასტიკურობით, ჭედვის უნარითა და წერიალა ლითონური ხმით. ამასთან ერთად ჩაისახა და ვითარდებოდა ლითონის მიღება-დამუშავების ტექნოლოგია. საქართველო და მთელი ამიერგავგასია მეტალურგიის ერთ-ერთი უძველესი კერაა მსოფლიოში. აქ ლითონთა დამუშავების მრავალი ისეთი ტექნოლოგია გამოუმუშავებიათ, რომლებსაც დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს ამ დარგის სპეციალისტები“.

ფ. თავაძის ხელნაწერის ეს პატარა ფრაგმენტი, რომელიც მის პიპოთეზურ მოსახრებებს და კითხვებს მოიცავს, მისი მრავალი მეცნიერული წერილისა და ოთხი ფუნდამენტური მონოგრაფიის ლაიტმოტივად იქცა. მან საფუძველი ჩაუყარა ქართული ტექნიკური აზრის განვითარების ისტორიის შესწავლას. როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, ბატონი ფერდინანდი უდიდეს პოპულარობას უწევდა ჩვენი მდიდარი ისტორიული წარსულის წარმოჩენა-გამომზეურებას.

ლითონისა და სამთო საქმის (შემდგომში მეტალურგიის) ინსტიტუტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ძირითად საქმიანობასთან ერთად, ფერდინანდ თავაძის მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიასთან. ბატონ ფერდინანდს, უდავოდ, დიდი წვლილი აქვს შეტანილი იმ წარმატებულ საქმიანობაში, რომელსაც ეს ლაბორატორია წლების განმავლობაში ეწეოდა როგორც არქეოლოგიური ნივთების პრაქტიკულად კონსერვაცია-რესტავრაციის, ისე სამეცნიერო-კვლევითი განხრით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მან ლირსეულად განახორციელა ის საქმე, რომლისთვისაც ლაბორატორია იყო მოწოდებული მისი დამარსებლის, დიდი იგანე ჯავახიშვილის ჩანაფიქრით.

ოცდაათიანი წლების მიწურულისათვის საქართველოს ტერიტორიაზე წარმატებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაგროვილმა ლითონის მასალამ მწვავედ დააყენა მათი დაუყოვნებლივ დამუშავების საკითხი. ივანე ჯავახიშვილის დიდი მცდელობის შედეგად ჯერ კიდევ 1939 წელს სახელმწიფო მუზეუმთან გაიხსნა ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია. თავისი არსებობის საწყის ეტაპზე ლაბორატორიის საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლებოდა იმ არქეოლოგიური ნივთების დამუშავებით, რომელიც უკანასკნელი წლების, განსაკუთრებით კი მცხეთა-სამთავროს 1938 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაგროვდა. ამ პრაქტიკული სამუშაოების დიდი საჭიროებისა და მნიშვნელობის მიუხედავად, ივანე ჯავახიშვილი ლაბორატორიის დანიშნულებას მხო-

ლოდ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებაში როდი ხედავდა. მისი დიდი სურვილი იყო, რომ ლაბორატორიას გამიზნული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაც ეწარმოებინა.

ოცდაათიანი წლების მიწურულში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა ფერდინანდ თავაძემ, რომელიც ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაკეთობების დასათვალიერებლად ხშირად ჩადიოდა მცხეთაში. მოპოვებული ლითონის მასალის შესწავლა, მათი შემდგომი კონსერვაცია-რესტავრაციის მიზნით, ბატონ ფერდინანდს უკვე იმ პერიოდშივე ჰქონდა გადაწყვეტილი. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა სიმონ ჯანაშიასთან. მოგვიანებით ბატონი სიმონ ჯანაშიას წინადადებით ფერდინანდ თავაძე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის მეცნიერ-კონსულტანტად მიიწვიეს, ხოლო შემდგე სამეცნიერო საბჭოს წევრადაც აირჩიეს. ასეთი არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა, ფერდინანდ თავაძეს ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის პროფილით წამოწყებული ჰქონდა გარკვეული სამუშაოები და ამ მიმართულებით უკვე საკმაო გამოცდილებაც გააჩნდა.

ბატონი ფერდინანდის პირად არქივში ინახება მისივე ხელით დაწერილი ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელშიც ლაბორატორიის სამომავლო გეგმა არის წარმოდგენილი. ეს გეგმა ივანე ჯავახიშვილის ჩანაფიქრის ხორციელებას წარმოადგენს და ამასთანავე ტექნიკის მეცნიერებათა წარმომადგენლის ხედვით არის ჩამოყალიბებული. ფერდინანდ თავაძის აზრით, ლაბორატორიის საქმიანობა ორი ძირითადი მიმართულებით უნდა წარიმართოს. აქედან პირველი მიმართულება აუცილებელ და პროფილაქტიკურ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებთან ერთად მიზნად უნდა ისახავდეს მეცნიერული შესწავლის საფუძველზე არქეოლოგიური ნივთების დასამუშავებელი ახალი, პროგრესული მეთოდების დანერგვას. რაც შეეხება მეორე მიმართულებას, ბატონი ფერდინანდის სიტყვებით რომ გადმოვცეო, ის „შესწავლის ტექნიკისა და მეცნიერების ისტორიას, დაამუშავებს ცალკეულ საკითხებს, ლიტერატურულ წყაროებს, ჩატარებს ექსპერიმენტულ ცდებს, რათა დაადგინოს ამა თუ იმ ეპოქის ლითონთა მიღება-დამუშავების ტექნოლოგია, მეტალურგია...“

ბატონი ფერდინანდის მეცნიერული ხელმძღვანელობით ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიამ საკმაოდ მოკლე დროში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. წამოწყებული სამუშაოები არა მარტო ლითონის აღდგენასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებს მოიცავდა, არამედ არქეოლოგიური ლითონის ნაკეთობების მეცნიერულ შესწავლას და მის საფუძველზე რესტავრაცია-კონსერვაციის ახალი მეთოდების შემუშავებას ითვალისწინებდა.

შემდგომ წლებში მისი ხელმძღვანელობით კიდევ უფრო გაიშალა თავდაპირველი გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკულ-ლაბორატორიული თუ თეორიული სახის სამუშაოები (ამ კვლევების შედეგები ფ. თავაძისა და მისი მოწავლეების ავტორობით სისტემატურად იბჭდებოდა პერიოდულ ლიტერატურაში, მოგვიანებით კი უკვე მუზეუმის კრებულში, „სამუზეუმო ექსპონატთა რესტავრაცია, კონსერვაცია, ტექნოლოგია“. სამეცნიერო-ისტორიულმა კვლევებმა ფართო მასშტაბი მიიღო. ფერდინანდ თავაძემ და მისმა მოწავლეებმა მუშაობა გაშალეს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში და არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.

ფერდინანდ თავაძემ საქართველოში შექმნა ახალი მეცნიერული მიმართულება, რომელშიც გააერთიანა სხვადასხვა თაობის კვალიფიციური მკვლევარები. ბატონ ფერდინანდთან და მისი სკოლის წარმომადგენლებთან სხვადასხვა დროს მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი ჰქონდათ გამოჩენილ არქეოლოგებს, ს. ჯანაშიას, ბ. კუჭუტიშვილს, შ. ამირანაშვილს, ა. აფაქიძეს, გ. ლომთათიძეს, ალ. ჯავახიშვილს, ბ. პიოტროვსკის, ო. ჯაფარიძეს, შ. მესხიას, გ. გობეჯიშვილს, დ. კაპანაძეს, ვ. ახვლედიანს.

პირველი დიდი მოცულობის ნაშრომი (ფ. თავაძე, შ. მესხია, ვ. ბარქაა - „ფურცლოვანი ლითონების ჩარჩზე დამუშავება ძველ საქართველოში“, თბ., 1954), ეხებოდა არქეოლოგიურად მოპოვებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიის დადგენას. ნიშანდობლივია, რომ ეს სამუშაო ფერდინანდ თავაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საცავებსა და ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში, რომელიც ამ დროისათვის უკვე საგსებით მზად იყო მსგავსი კვლევების ჩასატარებლად. საწყისი სტადია არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული, ოქრო-ვერცხლისაგან დამზადებული სხვადასხვა ეპოქის რთული ფორმის მქონე ღრუტანიანი ნაკეთობების შესწავლას ითვალისწინებდა. ლითონის დამუშავების ყველა შესაძლო მეთოდის განხილვის შემდგომ, მკვლევარები შეჩერდნენ ფურცლოვანი ლითონის გაწევით დამუშავების წესზე. სამოდელო-ექსპრიმენტული სამუშაოების ჩატარების საფუძველზე დადგინდა, რომ ტექნოლოგიას შესაბამისი გასაწევი ჩარხის გამოყენებით საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის შეუ ჩანებიდან იცნობდნენ.

ბატონი ფერდინანდის საკვლევაძიებო სამუშაოების ამ ციკლს დიდი მნიშვნელობა აქვს ლითონის დამუშავების ტექნიკის ისტორიისათვის, ვინაიდან ახლად შიღებული მონაცემების საფუძველზე წარმოიშვა ლითონსაჭრელი ჩარხების დამკვიდრებასთან დაკავშირებული ქრონოლოგიური მონაცემების გადათარიღების აუცილებლობა. აღმოჩენის საყოველთაოდ აღიარებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სამუშაოს მთავარი

მონაპოვარი პირველ თავშია შეტანილი ჩარხების ისტორიასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ ნაშრომში ფ. ნ. Загорский, "Очерки по истории металлорежущих станков до середины XIX века", Москва, 1960.

დიდი გამოხმაურება მოჰყვა ფ. თავაძის და  
თ. საკუარელიძის მონოგრაფიას "Бронзы древ-  
ней Грузии" (თბილისი, 1959, რედაქტორი ალ-  
ჯავახიშვილი), სადაც არქეოლოგიური ნივთების  
კომპლექსური შესწავლისა და ანალიზის სა-  
ფუძველზე ავტორების მიერ ნაჩერებია, რომ  
საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებმა  
მეტალურგია-ლითონდამუშავების ისტორიული  
განვითარების ყველა საფეხური გაიარეს, რომ  
თვითმყოფადი მატერიალური კულტურის აღმო-  
ჩენილი ძეგლები იმ ერთს კუთვნილებაა, რო-  
მელიც კანონზომიერად ვთარდებოდა და თაო-  
ბიდან თაობას გადასცემდა დაგროვილ გამოც-  
დილებას.

ფ. თავაძისა და თ. საყვარელიძის აღნიშნული მონოგრაფიის მონაცემებს ასევე ცალკე თავი დაეთმო ცნობილ ნაშრომში: А. М. Петриченко, "Книга о литье", Киев, 1972.

არანაკლები წარმატება ზვდა წილად ფ. თავაძისა და ი. ანდრიაშვილის მონოგრაფიას „ქართული ჭედური ხელოვნების ტექნოლოგიური პროცესი“ (თბილისი, 1967). ჭედური ხელოვნების არქეოლოგიური ნიმუშების და ძველი საოქრომჭედლო იარაღის კომპლექსური მეთოდით შესწავლის საფუძველზე ავტორებმა დაადგინეს ჭედვისათვის გამოყენებული მეთოდების ტექნოლოგიური მექანიზმი და გამოავლინეს ამ პროცესებთან დაკავშირებული მთელი რიგი მანამდე უცნობი საოქრომჭედლო იარაღები. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა ბ. პიოტროვსკიმ:

"Монография имеет большое теоретическое и практическое значение для технологического исследования металлических художественных археологических памятников, для истории техники Грузии, для восстановления и развития современного чеканного искусства и для подготовки мастеров чеканного искусства".

1948 წელს ფერდინანდ თავაძემ ცნობილ ნუმიზმატ დავით კაპანაძესთან ერთად რუსულ ენაზე დასაბეჭდად მოამზადა სტატია „საქართველოს უძველესი ოქროს მონეტების დამზადების ტექნიკა“. სამუშაო წარმოადგენს პირველ გამოკვლევას, რომელიც მიზნად ისახავდა აღლექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების მსგავსად მოჭრილი მინაბაძების – ქართული ოქროს მონეტების (ძვ.წ. III – ახ.წ. II ს.ე.) შესწავლას. სამუშაო ითვალისწინებდა მონეტების ლითონის სინჯის, შედგენილობის და დამზადების ტექნოლოგიის დაფუძნას.

სამუშაოების გერცხლის რესტავრაციასთან  
დაკავშირებით, საინტერესოა ბატონი ფერდი-  
ნანდის ხელმძღვანელობით ჩატარებული სამუ-  
შაო, რომელიც გერცხლის ნაკეთობების ზედა-

ჭარმოქმნილი ვერცხლის ქლორიდის  
ვერცხლამდე აღდგენას ითვალისწინებს. ნიადაგ-  
ში ვერცხლის ნაკეთობებზე ქლორ-იონის ზე-  
მოქმედების შედეგად ასეთი დანაფარის წარმოქ-  
მნა მათ თანდათან აკარგვინებს სიმტკიცეს და  
გადამწყვეტი ზომების დროზე მიუღებლობის  
შემთხვევაში უძველესი ნაკეთობა შეიძლება  
მნიშვნელოვნად დაზიანდეს.

თერმოლინამიკური მონაცემების საფუძველზე პერსპექტიული აღმდგენლების შერჩევისა და მათი ექსპერიმენტალურად გამოცდის შემდგომ დადგინდა, რომ არქეოლოგიური ვერცხლის საუკეთესო აღმდგენელს წარმოადგენს წყალბადი. შემუშავებული მეთოდი იმითაც აღმოჩნდა ღირსშესანიშნავი, რომ მისი საშუალებით ნაკეთობის გამაგრება და მისი თავდაპირველი მექანიკური თვისებების აღდგენა გახდა შესაძლებელი.

ფერდინანდ თავაძემ მოწაფებთან ერთად  
ნაშრომების მთელი ციკლი მიუძღვნა ისტო-  
რიული ბულატის ფოლადის დამზადების ტექ-  
ნიკოლოგიის აღდგენის საქმეს (გ. ინანიშვილი, ბ.  
ამაღლობელი). ქიმიური შედგენილობის შესწავ-  
ლის საფუძველზე დადგინდა, რომ ბულატი  
წარმოადგენს მაღალნახშირბადიან შენადნობს,  
რომელიც სხვა სახეობის ფოლადებისაგან გამო-  
ირჩევა მაღალი „ფხამახვილობით“, პლასტიკუ-  
რობით და ცვეთამედევობით. შენადნობი სპეცია-  
ლური ჩამოსხმისა და ჭედვის განსაკუთრებული  
მეთოდის საფუძველზე მიიღება. ამ ტექნიკოლო-  
გიით დამზადებულმა ნიმუშებმა თავისი ფიზი-  
კურ-მექანიკური მახასიათებლებით ისტორიულ  
ბულატთან სრული თანხვდენა გამოამჟღავნა,  
ბულატის დამზადების საიდუმლოება წარმატე-  
ბით ამოიხსნა.

ფერდინანდ თავაძის ხელმძღვანელობით სა-  
ფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ახალ ტექნოლო-  
გიურ მიმართულებას – გამოსადნობი მოდელე-  
ბის მეთოდის გამოყენებით ძელი ქართული  
მხატვრული ნივთების პირების ჩამოსხმას. დღიდი  
მხატვრული გემოვნებით შესრულებული ბრინ-  
ჯაოს ნაკეთობების დამზადებასთან ერთად, ასე-  
თი სამუშაოების მიზანს ამ შემთხვევაშიც ის-  
ტორიული ნივთების ჩამოსხმის ტექნოლოგიის  
აღდგენა წარმოადგენდა. ექსპერიმენტის მონა-  
ცემების საფუძველზე დადგინდა, რომ ძელი  
ოსტატების მიერ ცვილისაგან დამზადებული  
საყალიბები მასალა სათანადო გაშრობის შემდეგ  
მაღალი აირგამტარობით ხასიათდებოდა და  
საფუძველს წარმოადგენდა მხატვრული სხეუ-  
ლების მიღებისათვის.

ფ. თავაძის ინიციატივით წერილობით წყაროებზე და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგროვდა და გამოიცა ჭელური ხელოვნების ძველი ტექნიკურ-მეტალურგიული ტერმინოლოგია.

2001 წელს რუსეთში გამოვიდა ჟურნალ "Литейное производство"-ს მე-7 ნომერი, რომელიც მთლიანად ფერდინანდ თავაძეს ეძღვნება (ჟურნალის სარჩევი პირდაპირ იწყება მითი-

თებით, რომ "Тематическая подборка статей посвящена основателю грузинской научной школы металловедов и литеищиков Ф. Н. Тавадзе"). აქ სხვადასხვა სფეროს ნაშრომებთან ერთად ორი სტატია მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის საკითხებსაც ეძღვნება: პირველ სტატიაში განხილულია ძველ საქართველოში მხატვრული ჩამოსხმის საკითხები, ხოლო მეორის ანალიზის ობიექტს ბულატის ფოლადი წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ უურნალის გარეკანი დამშვენებულია ფერდინანდ თავაძისა და მისი მოწაფეების მიერ გამოკვლეული ძველი ქართული მხატვრული ჩამოსხმის ნიმუშების ფერადი ილუსტრაციებით.

უურნალში მოყვანილი ყველა, და მათ შორის მეცნიერულ-ისტორიული შინაარსის, ნაშრომი, მასწავლებლისადმი მოწაფეების მხოლოდ მადლიერების და პატივისცემის გამოხატვას როდი ისახავს მიზნად. ისინი შეიძლება ერთგვარ განაცხადადაც ჩაითვალოს, რომ მომავალშიც ღირსეულ გაგრძელებას პოვებს ის მეცნიერული მიმართულებები, რომლებსაც საქართველოში სათავე დაუდო ფერდინანდ თავაძემ. მათ შორის ის მეცნიერულ-ისტორიული კვლევებიც იგულისხმება, რომელთა მეშვეობითაც ბატონმა ფერდინანდმა ჩვენი მდიდარი წარსულის არაერთი უმნიშვნელოვანების მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევა წარმოაჩინა.

მოგონებების წერილის მოცულობა ვერ იტევს ყველა იმ სამუშაოს დახასიათებას, რომელიც ფ. თავაძემ ჩაატარა მეცნიერებისა და

ტექნიკის ისტორიის სფეროში, რამდენად შთამბეჭდავი და მრავალფეროვანი იყო ამ მიმართებით მისი მოღვაწეობა.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთვლორთქითანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრში შექმნილი ინტერდისციპლინარული კვლევის განყოფილებაც ფ. თავაძის ნაღვაწისა და ჩანაფიქრის ხორცმებმა. უძველესი ლითონის მეცნიერული კვლევის და მოვლა-პატრონობის საქმე, ხომ ბატონი ფერდინანდის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა.

დღეს ცხოვრება და მეცნიერული კვლევა-ძიება გრძელდება განსხვავებულ და თავისებურად რთულ პერიოდში, ვიღრე ბატონ ფერდინანდს მოუხდა მოღვაწეობა, ან თუ მას სამომავლოდ წარმოედგინა. მიუხედავად განვლილი წლებისა, დიდი მეცნიერისა და მაღალი პროფესიონალის გადადგმული ნაბიჯები კვლავაც განაპირობებენ ეროვნული საგანმურის, რვალისა და რკინის მჭედელი ძველი ქართველი მეტალურგების მიერ შექმნილი უნიკალური შედეგების სიცოცხლის გაგრძელებას.

ფერდინანდ თავაძე – ეს პიროვნება წარუშლელია ქართული მეტალურგიის ისტორიისათვის. მან კაცურად იცხოვრა და იღვაწა, დატოვა ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელი.

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას!

გ. ინანიშვილი  
რ. ჩაგუნავა

ജ റ റ 6 0 3 3  
C H R O N I C L E

## არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2004 წელს სამეცნიერო კვლევითი მუშაობა

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ძირითადი  
მიმართულებებიდან გამომდინარე – საქართვე-  
ლოს არქეოლოგიური ატლასი; სისტემური არ-  
ქეოლოგიური გათხრების შედეგების უნიფიცირე-  
ბული მეთოდით პუბლიკაცია; არქეოლოგიური  
კვლევა-ძიების ტერმინოლოგიური, ანალიტიკურ-  
ბიბლიოგრაფიული, კომპიუტერული, კარტოგრა-  
ფიული და ინტერდისციპლინარული უზრუნველ-  
ყოფა; საქართველო და კავკასია მსოფლიო კულ-  
ტურულ-ისტორიულ პროცესში: კულტურათა  
დღალოგი და ურთიერთზომერებული კულტურული დღალოგი და ურთიერთზომერებული – 2004  
წელს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა ასე  
განისაზღვრა: ბუნებრივი გარემო ძველი ქვის  
ხანაში და ადამიანის ადაპტაცია; კავკასია ნეო-  
ლით-ბრინჯაოს ხანის კულტურათა სისტემაში;  
საქართველოს უძველესი სახელმწიფოები –  
კოლხეთი, იბერია, ლაზიკა; შუასაუკუნეების  
ხანის საქართველოს არქეოლოგია – ნაქალაქა-  
რები, ნასოფლარები, ეკლესიები, საწარმოო კე-  
რები; ინტერდისციპლინარული – ქიმიურ-ტექნო-  
ლოგიური, ტრასოლოგიური, არქეობოტანიკური  
გამოკვლევები; არქეოლოგიის ოთხრია და ისტო-  
რია; ანალიტიკური ბიბლიოგრაფია; „ქართლის  
ცხოვრების“ ტრასო-არქეოლოგიური ცნობარი.

## გრანტით შესრულებული სამუშაო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით მიმდინარეობდა 27 დასახელების პროექტზე, რომელთა შესრულების ვადა, გარდა ერთისა (იხ. მითითება ქვემოთ), შემოიფარგლა 2004-2005 წლებით. ესნაა: ანტიკური არქეოლოგიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ნაკვეთი 2. არქიტექტურა (დ. კაჭარავა – ხელმძღვ, გ. კვირკველია, ნ. ლოროტქიფანიძე. ი. ცუხიშვილი); ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი (გ. დუნდუა – ხელმძღვ, ი. ჯალაძანია); ბიზანტიის იმპერიის ტაბულა. ლაზიკა III (ქრისტიანული არქიტექტურისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. რომაულ-ბიზანტიური წყაროებისა და დოკუმენტების კომენტარი) (ვ. ჯაფარიძე – ხელმძღვ, კ. წერეთელი, გ. გვინჩიძე, ე. ბალათურია, ირ. ბერძენიშვილი); კახეთის არქეოლოგიური რუკა (კ. ფიცხელაური – ხელმძღვ, ვ. გარაზაშვილი, რ. რუსიშვილი, ზ. თოლრია, ც. მენაბდე, ნ. მამაიაშვილი); დავით გარეჯის უდანოს შუა პალეოლითური კულტურის ძეგლთა ლოკალური ჯგუფი (თ. ბუგანიშვილი); უნივალის სამლოცველოს ენეოლითური ხანის მასალები და მათი ადგილი ამიერკავკასიის ადრესამიწაოქმედო კულტურებში (გ. ჩიქოვანი – ხელმძღვ, ლ. ჭელიძე, მ. ლლონტი); ჩიხორის ენეოლით-ადრეიბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი

და სახელოსნო. ენეოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი პერიოდის პრობლემები დასავლეთ საქართველოში (ლ. ნებიერიძე – ხელმძღვანელი; შიდა ქართლის, მცხეთის მიკრორეგიონის ნამოსახლარები, სამაროვნები და ადრებრინჯაოს ხანის სტადიალური განვითარების თავისებურება (ვ. სადრაძე); მტკვარ-არაქსისა და ადრეყორდანული კულტურების ქრონოლოგიური და კულტურული ურთიერთმიმართების საკითხები შიდა ქართლის ახალი მასალების შუქზე (ა. რამიშვილი – ხელმძღვანელი; მ. ფუთურიძე); მტკვარ-არაქსის კულტურა და მისი ეპროპული პარალელები (კულტურათა რადიაცია, კულტურული ურთიერთობები) (გ. მირცხულავა – ხელმძღვანელი; ნ. მირცხულავა, ი. ესვანჯია); ნამოსახლარების, სამაროვნებისა და დიუნური სადგომების კორელაციისათვის კოლხეთის დაბლობზე (რ. პაპუაშვილი); „წინასტრონიული თბილისი – ევრაზიის უდეველესი კულტურათა გზაჯვარედინი“ (გამოფენის კატალოგის მომზადება) (მ. აბრამიშვილი – ხელმძღვანელი; ნ. ახვლედიანი, ნ. გიგუაშვილი, გ. ბედიანაშვილი, ო. ბოკოევა); სამთო-მეტალურგიული წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე ძ.წ. II-I ათასწლეულებში (გ. ინანიშვილი – ხელმძღვანელი; ბ. მაისურაძე, შ. ჩართლანი); შიდა ქართლის ურთიერთობა მეზობელ რეგიონებთან ბრინჯაო-ადრერენინის ხანაში (ნამოსახლარებზე მოპოვებული არტეფაქტების მიხედვით) (ლ. წითლანაძე); აფხაზეთის წინაანტიკური ხანის ძეგლები (არქეოლოგიური ატლასი) (მ. ბარამიძე – ხელმძღვანელი; გ. ფხავაძე, ლ. ქორქია, ნ. დოლიძე); გვიანბრინჯაოს ხანის ქრონოლოგიის ზოგიერთი საყრდენი არტეფაქტის არქეოლოგიური და ტექნოლოგიური კვლევა (ნახევარწრიული აბზინდები, ჭუმილიანი ცულები, მტანდარტები – სამთავროსა და ბრილის სამაროვნების მიხედვით (2004 წელი). ნ. სულავა – ხელმძღვანელი; კალანდაძე); ახალი მასალები კოლხეთის გარესამყაროსთან ურთიერთობის კვლევისათვის გვიანელინისტურ ხანაში (ნ. მათიაშვილი – ხელმძღვანელი; ლ. ძიძიგური, დ. ახვლედიანი); საკრალური არტეფაქტები და მათი ინტერპრეტაცია ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიური მასალიდან (გ. გამყრელიძე – ხელმძღვანელი; მ. ფირცხალავა, ელ. გიგოლაშვილი, თ. ჭანიაშვილი); „დიდი მცხეთის“ მინის ჭურჭელი (I-IV სს.) (დ. საგინაშვილი); ლითონის სამკაულები ბიჭვინტიდან (აფხაზეთი) (ნ. კილურაძე – ხელმძღვანელი; თ. თოლდუა, ვ. თოლორდავა, რ. ფუთურიძე); ხომულის ციხე (კ. კალანდაძე); ქ. რუსთავის შუასაუკუნეთა ხანის სამაროვნები (კატალოგი) (ც.

ჩიკოიძე – ხელმძღვ., მ. ჩხატარაშვილი, ნ. პაჭიკაშვილი); აღმოსავლეთ საქართველოს საერი-სთავოს ცენტრები შუასაუკუნეებში დ. მინდო-რაშვილი – ხელმძღვ., მ. მარგველაშვილი, ე. ჯანდიერი); ქრისტიანობის გავრცელების ისტო-რიისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთია-ნეთში (არქეოლოგიური მასალის მიხედვით) (რ. რამიშვილი – ხელმძღვ., გ. რჩეულიშვილი, ივ. წიკლაური, ვ. ჩიხლაძე); ქვემო ქართლის აღმ. შუასაუკუნეების ქრისტიანული კულტურა „ნა-გზურის“ საეკლესიო კომპლექსის მიხედვით (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკლევა) (ჯ. კოპალიანი – ხელმძღვ., ალ. აბდალაძე, ქ. ქუ-თათელაძე, ე. ღლიალვაშვილი, კ. კახიანი); საქა-რთველოს მეფის ვახტაგ VI-ის (1675-1737) აკლდამის საიდუმლოება (გ. ღამბაშიძე); ნავთო-ბის მილსადენის პერიმეტრის საცხოვრებელი და სამურნეო ნაგებობები XI-XIX ს. (თ. ჩიქოვანი).

### **სამეცნიერო სესია-კონფერენციები, სიმ-ბოზიუმები, სედომები, სემინარები**

26-30 აპრილი. არქეოლოგიურმა კვლევის ცენტრმა ჩატარა ტრადიციული საანგარიშო სესია, მიძღვნილი 2003 წლის საველე არქეო-ლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. სესია გახსნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დი-რექტორმა ვ. ჯაფარიძემ. მოხსენებები: ვ. ჯაფა-რიძე - არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2003 წელს; მ. გაბუნია - სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიცია; ჯ. კოპალიანი - ექსპე-დიცია დმანისის ნაქალაქარზე; მ. ნიორაძე, ა. ვეკუა, დ. ლორთქიფანიძე, მ. თვალჭრელიძე - გათხრები დმანისის პალეოლითურ ძეგლზე; დ. კაჭარავა - გათხრები ვანის ნაქალაქარზე; გ. მახარაძე, ზ. ბრაგვაძე - სამუშაოები ბაქო-სუფსის მილსადენზე საჩხერის რაიონში; მ. აბრამიშვილი - თბილისის და მისი ქვეყნის ექს-პედიცია; კ. კახიანი - განთხოვანიანი და მისი განთხოვანიანი განთხოვანიანი, მ. ჩხატარაშვილი „ორმოც“ მომარევებული არქეო-ლოგიური მასალების მიხედვით); მ. მარგველა-შვილი - ხელოსნობა და შინამრეწველობა შუა-საუკუნეთა ხანის ქართულ სოფელში განათხა-რი მასალების მიხედვით; ვ. ასლანიშვილი - არაგვის აუზის შუასაუკუნეთა ხანის სოფლის მოსახლეობის პალეოსტომატოლოგია; ჯ. სონ-ღულაშვილი - დიდგორის ნასოფლარები; გ. რჩეულიშვილი - დავითიანის და ორმოცის ნამოსახლარები; ც. ჩიკოიძე - შიდა კახეთის ნასოფლარები (ფოხორულები, არტოზანი, მარ-კანი); დ. მინდორაშვილი - „თეთრიგზის“ ნა-სოფლარი; ნ. პაჭიკაშვილი, მ. ჩხატარაშვილი - გლდანის ხეობის ნასოფლარები; კ. წერეთელი - ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები კუდოს და საყვირალას ნასოფლარებზე; ივ. წიკლაური - პირიქით ხევსურეთის ნასო-ფლარები (არღუნის ხეობის მასალების მიხე-დვით); ა. ბომიშვილი - ნასოფლარი გუდელისი; ვ. ჯაფარიძე - დასავლეთ საქართველოს შუა-საუკუნეების ნასოფლართა შესწავლის საკითხი; ვ. ჩიხლაძე - ნასოფლარი დიდღვაბუნა; ც. ლო-მიძე - ნასოფლარი ბანთარეული; ე. ბაღათურია - კოდორის ხეობის გვანანტიკური დასახლებე-ბი; ი. ბერძენიშვილი - აფხაზეთის აღრე შუასა-უკუნეთა ნამოსახლარები - საკულტო არქიტე-ქტურა; რ. ხვისტანი - შუასაუკუნეთა ხანის სვანეთის ნასოფლარების შესწავლისათვის; ზ.

ტური ხანის სამაროვანზე; ზ. შატბერაშვილი, ვ-შატბერაშვილი - ექსპრეს-ინფორმაცია - რომა-ული ხანის მდიდრული სამარხი ხოვლედან (კასპის რ-ნი). ერთი სხდომა დაეთმო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობისას ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ან-გარიშებს; გ. ნარიმანიშვილი - თრიალეთის ექსპედიცია (წალკის რ-ნი); ა. ორჯონიძემ, მ. ბარამიძე - გათხრები ახალციხის რაიონში; ი. ღამბაშიძე, კ. კახიანი - ბორჯომის რაიონის ექსპედიცია; ზ. შატბერაშვილი - თეთრიწყაროს რაიონის ექსპედიცია; გ. მირცხულავა - გა-თხრები სამშვილდეში (თეთრიწყაროს რ-ნი); თ. მეშველიანი, ე. ქორიძე, მ. ჯალაბაძე - გა-თხრები მარნეულის რაიონში.

12-14 მაისი. არქეოლოგიურმა კვლევის ცე-ნტრმა გამართა II კონფერენცია თემაზე: შუა-საუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლო-გიური მასალების მიხედვით. კონფერენცია გახ-სნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირე-ქტორმა ვ. ჯაფარიძემ. მოხსენებები: მ. ჭირა-ძაძე - ნამოსახლართა ტერმინოლოგიური ვე-ლის შედგენილობისათვის ქართულ არქეოლო-გიაში; თ. ჩიქოვანი - ნასოფლარი, დასახლების ფორმათა შესწავლის წყარო; რ. რამიშვილი - შუასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი ქვეყ-ნის თავდაცვით სისტემაში; ჯ. ამირანაშვილი - რკინის წარმოება შუასაუკუნეთა ხანის საქარ-თველოში (ნასოფლარებზე მოპოვებული არქეო-ლოგიური მასალების მიხედვით); მ. მარგველა-შვილი - ხელოსნობა და შინამრეწველობა შუა-საუკუნეთა ხანის ქართულ სოფელში განათხა-რი მასალების მიხედვით; ვ. ასლანიშვილი - არაგვის აუზის შუასაუკუნეთა ხანის სოფლის მოსახლეობის პალეოსტომატოლოგია; ჯ. სონ-ღულაშვილი - დიდგორის ნასოფლარები; გ. რჩეულიშვილი - დავითიანის და ორმოცის ნამოსახლარები; ც. ჩიკოიძე - შიდა კახეთის ნასოფლარები (ფოხორულები, არტოზანი, მარ-კანი); დ. მინდორაშვილი - „თეთრიგზის“ ნა-სოფლარი; ნ. პაჭიკაშვილი, მ. ჩხატარაშვილი - გლდანის ხეობის ნასოფლარები; კ. წერეთელი - ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები კუდოს და საყვირალას ნასოფლარებზე; ივ. წიკლაური - პირიქით ხევსურეთის ნასო-ფლარები (არღუნის ხეობის მასალების მიხე-დვით); ა. ბომიშვილი - ნასოფლარი გუდელისი; ვ. ჯაფარიძე - დასავლეთ საქართველოს შუა-საუკუნეების ნასოფლართა შესწავლის საკითხი; ვ. ჩიხლაძე - ნასოფლარი დიდღვაბუნა; ც. ლო-მიძე - ნასოფლარი ბანთარეული; ე. ბაღათურია - კოდორის ხეობის გვანანტიკური დასახლებე-ბი; ი. ბერძენიშვილი - აფხაზეთის აღრე შუასა-უკუნეთა ნამოსახლარები - საკულტო არქიტე-ქტურა; რ. ხვისტანი - შუასაუკუნეთა ხანის სვანეთის ნასოფლარების შესწავლისათვის; ზ.

ბრაგვაძე – ზემო იმერეთის ადრე შუასაუკუნეების ნამოსახლარები; ო. ტყეშელაშვილი – ფრონეს ხეობის ნასოფლარები (მოხსენებათა მოკლე შინაარსები დაიბეჭდა 2003 წელს – იხ. ძიებანი, № 13-14, გვ. 174 და შმდ.).

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, და ფოლკლორისტიკა“ (თბილისი, 24-25 ოქტომბერი), რომელიც მიეძღვნა აკად. ა. აფაქიძის დაბადებიდან 90 წლისთავს (კოორდინატორი გ. დამბაშიძე). კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის 35 თანამშრომელმა (ჯ. ამირანაშვილი, ე. ბადათურია, ი. ბერძნიშვილი, პ. ბუხრაშვილი, გ. გვინჩიძე, გ. გოგოშვირი, გ. დუნდუა, რ. კვარკვაძე, ნ. კილურაძე, ვ. ლიჩელი, მ. მარგველაშვილი, გ. მინდიაშვილი, გ. მირცხულავა, გ. ნარიმანიშვილი, გ. ნიორაძე, მ. ნიორაძე, ა. ორჯონიკიძე, ნ. პაჭიკაშვილი, პ. ფიცხელაური, გ. ფხაბაძე, გ. დამბაშიძე, ნ. შანშაშვილი, შ. ჩართოლანი, ც. ჩიკოიძე, გ. ჩიქოვანი, ვ. ჩიხლაძე, მ. ჩხატარაშვილი, მ. ძელაძე, ლ. წითლანაძე, ივ. წიგლაური, ლ. ჭელიძე, რ. ხეისტანი, ვ. ჯაფარიძე, ოთ. ჯაფარიძე, ლ. ჯიბლაძე). მოხსენებათა მოკლე შინაარსები გამოქვეყნდა (იხ. ქვემოთ).

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, აგრეთვე, ქ. ბოხუმის გერმანული სამთო მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა მოაწყო სემინარი თემაზე: „არქეომეტალურებია და სამთოარქეოლოგია – თანამედროვე პრობლემები“ (თბილისი. 26-28 ოქტომბერი). სემინარი გახსნეს ვ. ჯაფარიძემ, ირ. დამბაშიძემ, ა. ჰაუპტმანმა. სემინარზე მოხსენებით წარსდგნენ გერმანელი მეცნიერები – ანდრეას ჰაუპტმანი, თომას შტოლნერი, უნზალ იალჩინი, მიხაილ პრანგე.

20 მაისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შედგა აკადემიკოს თოარ ლორთქითანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლის პირველი მოხსენება - „თოარ ლორთქითანიძის როლი ქართულ და საერთაშორისო მეცნიერებაში – უცხო თვალით დანახული“. მომხსენებელი – პროფესიონალ ვოლფგანგ შულერი (კონსტანცი. გერმანია).

26 ნოემბერს არქეოლოგიური კვლევის ცენტრში გაიმართა ცნობილი ქართველი არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ლომთათიძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა. მოხსენება – გიორგი ლომთათიძის ცხოვრების გზა – გააკეთა ვ. ჯაფარიძემ. მოგონებით გამოვიდნენ: ა. აფაქიძე, ოთ. ჯაფარიძე, დ. მუსხელიშვილი, რ. ჯანაშია, ე. ხოშტარია-ბროსე, კ. ფიცხელაური, ი. გაგოშიძე, რ. რამიშვილი, ე. ჯანდიერი, ც. ჩიკოიძე, გ. დამბაშიძე.

ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე შემდეგი სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში:

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე - „ელინოლოგიისა და ლათინისტიკის აქტუალური საკითხები“ დ. კაჭარავაშ წაიკითხა მოხსენება – უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები ვანის ნაქალაქარზე; ნ. ლორთქითანიძემ – ელინისტური ხანის ვერცხლის ორი მცირე ქანდაკება ვანიდან.

ქ. ბაქოში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა პეტროგლიფების შესწავლას, მ. გაბუნია წარსდგა მოხსენებით – თრიალეთის პეტროგლიფები.

საერთაშორისო სიმპოზიუმზე - „კავკასიისა და ახლოაღმოსავლეთის კულტურათა კავშირები ძვ.წ. V-III ათასწლეულებში“ (ქ. სანკტ-პეტერბურგი) – ზ. მახარაძე გამოვიდა მოხსენებით – ადრებრინჯაოს ხანის ახალი ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოდან.

გ. გამყრელიძე და მ. აბრამიშვილი მონაწილეობდნენ კაიროს უნივერსიტეტის სემინარის მუშაობაში; მიიღეს სპეციალური სერთიფიკატი - „არქეოლოგია და არქეოლოგიურ არტეფაქტთა კონსერვაცია“.

ასირიოლოგთა 50-ე საერთაშორისო კონგრესზე (სკუფუზას ნაკრძალი ქ. პრეტორიასთან. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) მ. ფულურიძემ გააკეთა მოხსენება – ახალი მონაცემები სამხრეთ კავკასიის ფლორასა და ფაუნაზე ძვ.წ. III-II ათასწლეულის ძეგლებიდან და მათი მიმართება მხატვრული ხელოსნობის ნიმუშებთან.

ქ. განმი (თურქეთი) საერთაშორისო სიმპოზიუმზე მ. აბრამიშვილმა წაიკითხა ორი მოხსენება – 1. კავკასიისა და ეგვის შორის, 2. არქეოლოგიური გათხრები საჯოგის ნასახლარზე; გ. ბედიანაშვილმა – ნამგალამიწის ყორდანები და მისი კულტურის წრე.

სამეცნიერო კონფერენციაზე – „შავი ზღვა გუშინ, დღეს და ხვალ“ (ქ. სტამბოლი) – ვ. ლიჩელი და რ. ჰაპუაშვილი გამოვიდნენ მოხსენებით – რკინის ხანის ადრეული დასახლებები კოლხეთში და მათი კავშირი ეგეოსურ სამყაროსთან. მოხსენების მოკლე შინაარსი დაიბეჭდა (იხ. ქვემოთ).

ქ. ვოლოსში (საბერძნეთი) გამართულ საერთაშორისო კონგრესზე - „ეგეოსური სამყარო და შავი ზღვა“ – ვ. ლიჩელმა და რ. ჰაპუაშვილმა წარადგინეს მოხსენება – ეგეოსური სამყარო და კოლხეთი (ადრეული კონტაქტები).

გ. ღამბაშიძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის – „ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში“ – მუშაობაში მოხსენებით: საქართველოს სამოციქულო ეპლესია და ქრისტიანული რელიგიისა და ქართული კულტურის წრის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში. მოხსენება გამოქვეყნდა (იხ. ქვემოთ).

XXIV რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე გ. ჩიქოვანმა გააკეთა მოხსენება – ხევს- ფუძის შესატყვისი მეგრულში. მოხსენების მოკლე შინაარსი დაიბეჭდა (იხ. ქვემოთ).

### არქეოლოგიური საუბრები

თებერვალ-აპრილში, ყოველ ოთხშაბათს, იმართებოდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული და სხდომები – ე.წ. არქეოლოგიური საუბრები. წარმოდგენილი იყო ცენტრის თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინებების ანგარიშები და მოხსენებები არქეოლოგიის აქტუალურ საკითხებზე: მ. ფუთურიძე – აშშ-სა და თურქეთში სამეცნიერო მივლინების ანგარიში; მ. აბრამიშვილი – სამეცნიერო მივლინება ნიუ-იორქსა და ჰარკვის უნივერსიტეტში; გ. ნიორაძე – ესპანეთში სამეცნიერო მივლინების ანგარიში; ზ. მახარაძე – სანკტ-პეტერბურგში სამეცნიერო მივლინების ანგარიში; კ. ფიცხელაური – ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები კახეთში; გ. ბოლქვაძე – არქეოლოგიური ძიება მცხეთის ზემო ეკლესიაში; მ. გაბუნია – ბუნებრივი გარემოს ეკოლუცია ძველი ქვის ხანაში სამხრეთ საქართველოს კულტურული მთიანეთის რეგიონის მიხედვით; გ. ჩიქოვანი – ადრესამიწათმოქმედო კულტურათა შესწავლის შედეგები და პრობლემები აღმოსავლეთ საქართველოში; მ. ბარამიძე – კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიის ერთი პრობლემის შესახებ (ლითონის იმპორტი ძვ.წ. II-I ათასწლეულის შუა ხანაში); ქ. ესაკია – ტრასოლოგიური კვლევის სიახლე თანამედროვე არქეოლოგიაში (ტექნიკურ-მეთოდური, სტატისტიკურ-კონრომიტური ანალიზი); ლ. ჭაბაშვილი – „თეოტრიქვების“ (უდაბნო) ყორლანი № 4; ნ. რუსიშვილი – ბაქო-თბილისი-ჯერიპანის ტრასაზე აღმოჩენილი პალეობოტანიკური მასალის კომპლექსური ანალიზი; მ. საგინაშვილი – ოთხწახნაგა ბოთლები – კუბიკოსები იძერიაში; მ. ფირცხალავა – იარაღის შემცველი რამდენიმე კომპლექსი ანტიკური ხანის კოლხეთიდან; ვ. ჩიხლაძე – გვიანანტიკური ხანის მეორის სამარხი უინგალის სამაროვნიდან; ნ. პაჭიკაშვილი – დაკრძალვის წესი რუსთავის ადრე შუასაუკუნეთა ხანის სამაროვნიზე; ქ. ქუთათელაძე – „პერიზიანთა/ნათესავით პიტიახშთა“ საგარეულო ქვემო ქართლში V-VIII საუკუნეებში; ელ. გიგოლაშვილი – კლდეში ნაკვეთი საკულტო კომპლექსი ვანიდან; რ. პაპუაშვილი – დაკრძალვის ზოგიერთი თავისებურებანი კოლხეთის ადრეურ კონის ხანის სამაროვნებზე (წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული პარალელების შუქზე); გ. რჩეულიშვილი – ჟინგალის ხერთვისის არქეოლოგიური ძეგლები; ივ. წიკლაური – მასალები ჯვარ-სალოცავებსა და საკომუნიკაციო სისტემის ურთიერთდამოკი-

დებულების შესწავლისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

### ქრისტიანული არქეოლოგიის სემინარი

არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მუშაობა განაგრძო ქრისტიანული არქეოლოგიის მუდმივ-მოქმედმა სემინარმა (ხელმძღვანელი რ. რამიშვილი). ცენტრის შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განვითარების თანამშრომლებთან ერთად სემინარში აქტიურად მონაწილეობდნენ მოწვევული მეცნიერებიც: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, თ. მგალობლიშვილი, გ. გაგოშიძე, გ. ნარიძე, ვ. გოილაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ქ. ქურდაინი, ლ. პატარიძე. ცენტრის თანამშრომლებმა წარმოადგინეს შემდეგი მოხსენებები: წილკნის აკლდამის ბერძნულ წარწერაში მოხსენებულ საუკლიერო პირთა ეთნიკურ-კონფესიური კუთვნილების საკითხისათვის (კ. წერეთელი), თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესიის შესწავლისათვის (ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა) (ოთ. ტყეშელაშვილი, მ. ძელაძე, ჯ. გვეტაძე, ზ. კალანდაძე), ერთხელ კიდევ ქრისტიანული სტელების დათარიღებისათვის (რ. რამიშვილი), ბეჭედი წმ. ნინოს გამოსახულებით (კ. ჩიხლაძე), „მოქცევად ქართლისად“ – საეკლესიო აღმშენებლობის მნიშვნელოვანი წყარო (გ. ბოლქვაძე).

### სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლება

ცენტრის სადისერტაციო საბჭოზე („არქეოლოგიისა“ და „ნუმიზმატიკა-სფრაგისტიკის“ სპეციალობით) დ. ახვლედიანმა დაიცვა დისტრიცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ხოლო მ. ჩარკვიანმა – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ავტორეფერატებზე მითითება იხ. ქვემოთ).

### ექსპედიციები

საველე არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა შემდეგმა ექსპედიციებმა: დმნისის (ჯ. კოპალიანი), დმანისის ადრეპალეოლითური ხანის რაზმმა (მ. ნიორაძე), თბილისისა და მისი ქვეყნის (მ. აბრამიშვილი), მაშავერას ხეობის (კ. კახიანი), ვანის (დ. კაჭარავა), ტაძრისის (რ. რამიშვილი), ქუთაისის (ო. ლანჩავა), კახეთის (დედოფლისწყაროს რ-ნი) (კ. ფიცხელაური, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების მონაწილეობით), კახეთის-უდაბნოს (კ. ფიცხელაური. ქ. ტიუბინგენის ებრ-ჰარდ კარლის სახელობის უნივერსიტეტის – „ტროას პროექტთან“ ერთად), კოლხეთის (რ. პაპუაშვილი), ბოლნისის (ირ. ღამბაშიძე). ერთობლივი ქართულ-გერმანული ექსპედიცია; ბაქოთბილისი-ჯერიპანის მიღსადენის მშენებლობაზე – ბორჯომ-ახალციხის (ირ. ღამბაშიძე), წალკათრიალებითის (გ. ნარიმანიშვილი), თეთრიწყაროს რაზმა (გ. გოგოშვირი), ახალციხის (მ. ბარამიძე), ახალციხის – ორჭოსანის რაზმა (გ. რჩეულიშვილი),

აწყურის (ვ. ლიჩელი), სამშვილდის (გ. მირცხულავა).

### მიგლინებები

საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში მივლინებით იმყოფებოდნენ ვ. ჯაფარიძე (ქ. ბერლინი), გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის 135 წლისთავის იუბილეზე), დ. კაჭარავა (ქ. ანკარა, ბრიტანეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი; საფრანგეთი, ბეზანსონის უნივერსიტეტი), გ. კვირკველია (ქ. ანკარა, ბრიტანეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი), ნ. ლოროტქიფანიძე (ქ. რომი, საფრანგეთის არქეოლოგიური სკოლა), გ. გამყრელიძე (ეგვიპტე, კაიროს უნივერსიტეტი), მ. აბრამიშვილი (ეგვიპტე, კაიროს უნივერსიტეტი; თურქეთი, ქ. ვანი), გ. ბედიანაშვილი (თურქეთი, ქ. ვანი), მ. ფუთურიძე (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ქ. პრეტორია; ქ. სტამბოლი, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტი), ვ. ლიჩელი (თურქეთი, ქ. სტამბოლი; საბერძნეთი, ქ. ვოლოსი), რ. ჰაბუნაშვილი (თურქეთი, ქ. სტამბოლი; საბერძნეთი, ქ. ვოლოსი), მ. გაბუნია (ქ. ბაქო), ზ. მახარაძე (ქ. სანკტ-პეტერბურგი), კოტე ფიცხელაური (გერმანია, ქ. ტიუბინგენის ებერჰარდ კარლის სახელობის უნივერსიტეტი, DAAD-ის სამწლიანი პროგრამით), ი. ჯაფარიძე (ქ. ბოჭუმის გერმანული სამთო მუზეუმის თემატური სტიბენდით).

### დაჯილდოება

მ. ნიორაძეს (ლ. გაბუნიასთან, ა. ვეკუასა და ღ. ლოროტქიფანიძესთან ერთად) მიენიჭა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 2004 წლის სახელმწიფო პრემია და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წილება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში 1992-2001 წლებში შესრულებული შრომათა ციკლისათვის – „დმანისელი ადამიანის ადგილი ადრეულ პომინიდებს შორის, მისი მატერიალური კულტურა და ბუნებრივი გარემო“.

### 2004 წელს გამოქვეყნებული ნაშრომები

ა. მონოგრაფიები, კრებულები,  
ჟურნალები

ლოროტქიფანიძე ნ. არგონავტების მითის ასახვა ადრებერძნულ კულტურაში. თბ., 2004, 166 გვ., 12 სურ., რეზ. გერმ. ენ.

მამაიაშვილი ნ. ქალაქი ჭერემი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). რედ. რ. რამიშვილი. თბ., 2004, 208 გვ., 69 ტაბ., რეზ. რუს. ენ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

მარგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ. ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. = საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. № 1. თბ., 2004, 408 გვ., 204 ტაბ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლე-

ვის ცენტრი. კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილების საერთაშორისო ფონდი).

ორჯონიგიძე ა. მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების მირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 2004, 202 გვ., 76 სურ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

რამიშვილი ალ. ბრინჯაოს არქეოლოგიური ძეგლები წალვლში. ხაშურის ექსპედიციის შრომები. ტ. I. = ძიებანი. დამატებანი. VII. თბ., 2004, 436 გვ. 253 ტაბ. რეზ. ინგლ. და რუს. ენ.

წითლანაძე ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები II (მასალის პუბლიკაცია). თბ., 2004, 91 გვ., 37 ტაბ., რეზ., რუს. ენ.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა“. ეძღვნება აკადემიკოს ანდრია აფაქიძის დაბადებიდან 90 წლის იუბილეს. მოხსენებათა მოკლე შინაარსების კრებული. თბ., 2004, 274 გვ., ილ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისია. საქართველოს არქეოლოგიური კომისია. საქართველოს ეთნოლოგიური კომისია. ოთ. ლოროტქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. გ. ნიორაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დ. ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი).

შემოკლებით – კავკასიის არქეოლოგია – 2004.

საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები). რედკოლეგია: ოთ. ლოროტქიფანიძე, ვ. ჯაფარიძე, ბ. მაისურაძე, გ. მინდიაშვილი, ი. ჯალაღანია. თბ., 2004, 358 გვ., 214 ტაბ., რეზ. გერმ. ენ. (არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

შემოკლებით – საკ 1989-1992.

ძიებანი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს თარი ლოროტქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უურნალი. № 13-14. მთ. რედ. ვ. ჯაფარიძე. თბ., 2004, 183 გვ., ილ., რეზ. ინგლ. და გერმ. ენ. (არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

შემოკლებით – ძიებანი. № 13-14.

ძიებანი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უურნალი). დამატებანი. XII. ინტერდისციპლინარული გამოკვლევები. მთ. რედ. ვ. ჯაფარიძე. თბ., 2004, 132 გვ., ილ., რეზ. ინგლ. ენ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

შემოკლებით - ძიებანი. დამატებანი XII.

Journal of Georgian Archaeology. The Journal of the Otar Lordkipanidze Centre for Archaeo-

logical Studies Georgian Academy of Sciences. N1. Tbilisi. 2004. შემოკლებით - JGA. N 1.

**ბ. სტატიები, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, ავტორუფერატები**

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი გ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., ნარიმანიშვილი გ., სადრაძე გ., ძელაძე მ., ირემაშვილი შ., ნონეშვილი ალ., ხეცურიანი ლ., გავაშელი ე. მცხეთის ექსპედიცია. - საკდ 1989-1992, გვ. 70-81, ტაბ. CXIX-CXLVIII, რეზ. გერმ. ენ.

ახვლედანი დ. კოლხეთის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები ძვ.წ. V-II სს-ში. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის აგზორევურატი. თბ., 2004, 117 გვ., 2 ცხრილი, პარალელ. ტექსტი რუს. ენ.

ბოხოჩაძე ა., მირიანაშვილი ნ. ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია 1989-1990 წლებში. - საკდ 1989-1992, გვ. 104-109, ტაბ. CLXXVIII-CLXXXV, რეზ. გერმ. ენ.

ბუგიანიშვილი თ. საქართველოს მეზობელი კავკასიური ქვეყნების ქვედა და შეა პალეოლითის ხანის ძეგლები. - ძიებანი. № 13-14, გვ. 5-10, რეზ. ინგლ. ენ.

ბუხრაშვილი პ. ბრინჯაოს ხანის „დროშები“ (?) და ხევისბერის ინსიგნიები (?) ზემო ზგიდიდან (დიდგორიდან). - ამირანი. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. X. მონრეალი-თბილისი, 2004, გვ. 7-21, 5 ტაბ., რეზ. გერმ. ენ.

გაბიძაშვილი გ., სახაროვა ლ., სულავა ნ., სულხანიშვილი დ. ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის კალევა-ძიების შედეგები (1989-1991 წწ.). - საკდ 1989-1992, გვ. 121-123, ტაბ. CC-CCIV, რეზ. გერმ. ენ.

გაბუნია მ. სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიცია. - საკდ 1989-1992, გვ. 5-7, ტაბ. I-V, რეზ. გერმ. ენ.

გამყრელიძე გ. იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო საქმის ისტორია. V. თბ., 2004, გვ. 50-70, რეზ. ინგ. ენ.

ინანიშვილი გ., გვერდწითელი მ., მარგველაშვილი მ., ცქიტიშვილი ქ. ამირკავკასიაში გავრცელებული აკინაკის წარმომავლობის საკითხისათვის. - ძიებანი. დამატებანი. XII, გვ. 69-78, 2 სურ., რეზ. ინგლ. ენ.

გეწაძე მ., თავართქილადე ნ., კალანდაძე ნ. არქეოლოგიური რეგის კონსერვაციის მეთოდი ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მასალის მიხედვით. - ძიებანი. დამატებანი. XII, გვ. 58-62, 2 სურ., რეზ. ინგლ. ენ.

გეწაძე მ., თავართქილადე ნ., მარგველაშვილი მ., ცქიტიშვილი ქ. არქეოლოგიური ვერცხლის კონსერვაცია. - ძიებანი. დამატებანი. XII, გვ. 63-68, 2 ცხრილი, 1 ტაბ., რეზ. ინგლ. ენ.

გეწაძე მ., მარგველაშვილი მ., თავართქილადე ნ., ცქიტიშვილი ქ. ბრინჯაოს ქანდაკებები ვანის ნაქალაქარიდან. - ძიებანი. დამატებანი. XII, გვ. 49-57, 2 სურ., რეზ. ინგლ. ენ.

ესაკია ქ. ექსპერიმენტალურ-ტრასოლოგიური მეთოდის გამოყენება ადრესამიწათმოქმედო ეკონომიკის ეფექტურიზაციის განსაზღვრისათვის. - ძიებანი. დამატებანი. XII, გვ. 6-10, 2 ცხრილი, რეზ. ინგლ. ენ.

ესაკია ქ., მარგველაშვილი მ. აი-ილიას ქვის ინდუსტრიის ანალიზი (წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2002 წ. ნოემბერ-დეკემბერში მოპოვებული მასალების საფუძველზე) - ძიებანი. დამატებანი. XII, გვ. 11-16, 7 ცხრილი, რეზ. ინგლ. ენ.

ზარნაძე თ. მარი ბროსეს სამეცნიერო კონტაქტები ქართველ მოდვაწებთან (პლატონ იოსელიანი). - კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. X. მონრეალი-თბილისი, 2004, გვ. 40-47, რეზ. ინგლ. ენ.

თოდუა თ. არიანეს "ეკატიკ კატ' ალავ"-ის ერთი ცნობის განმარტებისათვის. - ძველი ისტორია. V. თბ., 2004, გვ. 40-49, რეზ. ინგლ. ენ.

თოდუა თ. ახ.წ. IV-V სს-ის ბერძნულწარწერიანი სტელა სოხუმიდან. - ძიებანი. № 13-14, გვ. 151-154, 1 სურ., რეზ. ინგლ. ენ.

ინანიშვილი გ. რეგის წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. XII-I საუკუნეებში. - ძიებანი. დამატებანი. XII, გვ. 79-121, 8 ცხრილი, 21 სურ., რეზ. ინგლ. ენ.

ინანიშვილი გ., გეწაძე მ., გვერდწითელი მ., თავართქილადე ნ. არქეოლოგიური რეგის კვლევის მეთოდიკა და ლაბორატორიული ექსპერიმენტი. - ძიებანი. დამატებანი. XII, გვ. 30-42, 7 სურ., რეზ. ინგლ. ენ.

ინანიშვილი გ., გვერდწითელი მ., კალანდაძე ნ., ცქიტიშვილი ქ. რეგინა-ფოლადის დამუშავების უძველესი ტექნოლოგია და ჭედვის პროცესის თბური ეფექტი. - ძიებანი. დამატებანი. XII, გვ. 43-48, 1 ცხრილი, 2 სურ., რეზ. ინგლ. ენ.

კალანდაძე კ., ბუგიაშვილი თ., იოსელიანი ნ., ჯიქა მ., კალანდაძე ნ. წყალტუბოს ექსპედიცია. - საკდ 1989-1992, გვ. 16-19, ტაბ. XVII-XXVII, რეზ. გერმ. ენ.

კალანდაძე ნ. აღრერკინის ხანის კოლხური გრავირებული აბზინდების შესწავლისათვის. - ძიებანი. № 13-14, გვ. 111-117, 2 ტაბ., რეზ. ინგლ. ენ.

კაჭარავა დ. კუნძული ლევაზ. - კავკასიურ-ახლოადმოსავლური კრებული. თბ., 2004, გვ. 200-215, რეზ. ინგლ. ენ.

კახიანი კ., ღლილვაშვილი ე., ცქიტიშვილი ზ., კალანდაძე გ., კალანდაძა ა., შერეზადიშვილი ბ. არქეოლოგიური გათხრები დმანისის რაიონში 1989-1990 წწ., - საკდ 1989-1992 წწ., გვ. 39-44, ტაბ. LXX-LXXIV, რეზ. გერმ. ენ.

კილურაძე ნ. ლეგიონერთა სამარხები პიტიუნტის სამაროვანზე. – კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. თბილისი. 2004, გვ. 216-225, 4 ტაბ., რეზ. ინგლ. ენ.

კობახიძე თ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო ბიბლიოთეკა 2003 წელს. – ძიებანი. № 13-14, გვ. 179.

ლორთქიფანიძე ო., ფუთურიძე რ., კვირკველია გ., თოლორდავა ვ., ფირცხალავა მ., ყიფანი გ., მათიაშვილი ნ., გიგოლაშვილი ე., კაჭარავა დ., ახვლედიანი დ., ჭყონია ა., ლებანიძე ლ. ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია. – საკმ 1989-1992, გვ. 81-93, ტაბ. CXLIX-CLVIII, რეზ. გერმ. ენ.

მათიაშვილი ნ. კოლხეთის წარმართული პანთეონის იკონოგრაფიისათვის. – კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. თბ., 2004, გვ. 226-235, რეზ. ინგლ. ენ.

მაისურაძე ბ., რუსიშვილი რ. შირაქის ექსპედიცია 1989-1991 წლებში. – საკმ 1989-1992, გვ. 32-36, ტაბ. XLVIII-LX, რეზ. გერმ. ენ.

მინდაშვილი გ. 2003 წლის საველე სამუშაოები. – ძიებანი. № 13-14, გვ. 180-182. პარალელ. ტექსტი ინგლ. ენ.

მიქელაძე თ., პაპუაშვილი რ., ჩუბინიშვილი ნ., პაპუაშვილი ნ., სახვაძე ე. კოლხეთის ექსპედიცია. – საკმ 1989-1992, გვ. 36-39, ტაბ. LXI-LXIX, რეზ. გერმ. ენ.

მუმლაძე მ. ლექჩერის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიიდან. – ძიებანი. № 13-14, გვ. 160-164, 4 სურ.

ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ., შანშაშვილი ნ., მელიქიძე შ. წალკის ექსპედიცია 1990-1992 წლებში. – საკმ 1989-1992, გვ. 123-128, ტაბ. CCV-CCXIV, რეზ. გერმ. ენ.

ნიორაძე მ. მდ. წყალწითელას ხეობის ქვის ხანის შემსწავლელი ექსპედიცია 1989-1990 წწ. – საკმ 1989-1992, გვ. 7-10, ტაბ. VI-IX, რეზ. გერმ. ენ.

ორჯონიკიძე ა. ქვის ისრისპირები საქართველოდან. – ძიებანი. № 13-14, გვ. 24-61, 24 რუკა, 9 ტაბ., რეზ. ინგლ. ენ.

ორჯონიკიძე ა., მუმლაძე მ. ჯავახეთის პლატოზე 1989 წელს ჩატარებული სამუშაოები. – საკმ 1989-1992, გვ. 20-21, ტაბ. XXVIII-XXXVI, რეზ. გერმ. ენ.

რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ., ჩიქოვანი გ., ღლონტი მ., წითლანაძე ლ., ბუჩქური ა., რობაქიძე ც., მინდორაშვილი დ., რჩეულიშვილი გ., ლომიძე ც., ჩიხლაძე ვ., მარგველაშვილი მ., წიკლაური ივ., წიკლაური ჯ., გამეხარდაშვილი მ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. – საკმ 1989-1992, გვ. 95-104, ტაბ. CLXI-CLXXVII, რეზ. გერმ. ენ.

რუსიშვილი რ., მაისურაძე ბ. [შემდგენელები]. ოთარ ჯაფარიძის ნაშრომების სია. – არქეოლოგიური კრებული. IV. თბ., 2004, გვ. 17-24.

საგინაშვილი მ. კიდევ ერთხელ კვირისტავის ფორმის მინის საკინძისთავების შესახებ. – ძიებანი. № 13-14, გვ. 143-146, 1 სურ., რეზ. ინგლ. ენ.

სულავა ნ. კავკასიის ფიბულების შესახებ. – ძიებანი. № 13-14, გვ. 91-110, 11 რუკა, 9 ტაბ., რეზ. ინგლ. ენ.

ტყეშელაშვილი ო., კალანდაძე ზ., ჭუმბურიძე ზ., წერეთელი კ. შუასაუკუნეთა ხანის თბილისის არქეოლოგიური ექსპედიცია. – საკმ 1989-1992, გვ. 118-121, ტაბ. CXCVII-CXCIX, რეზ. გერმ. ენ.

უიცხლაური კ. ვარაზაშვილი ვ., კინწურაშვილი მ., მამაიაშვილი ნ., მენაბდე ც., მანსფელდი გ., ორტმანი ვ., ეგოლდი ა. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. – საკმ 1989-1992, გვ. 22-32, ტაბ. XXXVII-XLVII, რეზ. გერმ. ენ.

ფხაკაძე გ. ხარის რეჟისებური სადგრები კავკასიასა და წინა აზიაში. – ძიებანი. № 13-14, გვ. 16-23, 4 ტაბ., რეზ. ინგლ. ენ.

ფხაკაძე გ., დარსანია ლ., გაბიძაშვილი გ. საჩხერის ექსპედიცია 1989-1990 წწ. – საკმ 1989-1992, გვ. 67-69, ტაბ. CXVII-CXVIII, რეზ. გერმ. ენ.

ქორქია ლ., წერეთელი ლ. გათხრები აფიანხას მდგიმები 1989-1991 წწ. – საკმ 1989-1992, გვ. 10-16, ტაბ. X-XVI, რეზ. გერმ. ენ.

ლამბაშიძე გ. საქართველოს სამოციქულო ეპლესია და ქრისტიანული რელიგიისა და ქართული კულტურის წრის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში. – საერთაშორისო სამცენიერო სიმპოზიუმი – „ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში“. მოხსენებათა კრებული. თბ., 2004, გვ. 296-307, რეზ., რუს. ენ.

ლამბაშიძე ოთ., ლამბაშიძე ირ., კვირკვაია რ., კვიუნაძე დ. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1989-1991 წწ. – საკმ 1989-1992, გვ. 44-51, ტაბ. LXXV-XCI, რეზ. გერმ. ენ.

ყაზახიშვილი ლ. V არქეოლოგიური ყრილობა (მასალები). – ძიებანი. № 13-14, გვ. 16-169.

ყვავაძე ე., შატბერაშვილი ზ., ამირანაშვილი ჯ., რუხაძე ლ., რუსიშვილი ნ., მელაძე ნ. ტყეშელარის (თეთრიწყაროს რაიონი) გორასამარხების ფენების პალინოლოგიური და პალეოკარბოლოგიური შესწავლის პირველი შედეგები. – ძიებანი. დამატებანი. XII, გვ. 17-29, 9 ნახ., რეზ. ინგლ. ენ.

ყიფიანი ნ. წითელფიგურული კრატერი საირხიდან. – არქეოლოგიური უურნალი. III. თბ., 2004, გვ. 114-119, 13 სურ., რეზ. გერმ. ენ.

შანშაშვილი ნ. ობსიდიანი დაკრძალვის რიტუალში. – ძიებანი. № 13-14, გვ. 68-73, რეზ. ინგლ. ენ.

ჩარკვიანი მ. ექვთიმე თაყაიშვილი და XIX-XX სს-ის მიჯნის საქართველოს არქეოლოგია. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორული ფილი. თბ., 2004, 63 გვ., 1 რუკა, პარალელ. ტექსტი რუს. ენ.

ჩიკოიძე ც., არჩვაძე თ., ჩხატარაშვილი მ., ჯაფარიძე ი. პაჭიკაშვილი ნ., ხავთასი ბ. კუხეთის ექსპედიცია 1989-1990 წწ. – საკმ 1989-1992, გვ. 109-112, ტაბ. CLXXXVI-CLXXXVII, რეზ. გერმ. ენ.

ჩიქოვანი გ. ხევო-ფუძის შესატყვის მეგრულში. – XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2004, გვ. 77-78.

ჩიქოვანი თ. ხარო – მარცვლეულის მიწისქვეშა საცავი. – ძიებანი. № 13-14, გვ. 155-159, 3 სურ., რეზ. ინგლ. ენ.

ცქიტიშვილი გ., გვეტაძე ჯ., კვაჭაძე მ., კვიტაშვილი რ., მახარაძე ზ. კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიცია. – საკმ 1989-1992, გვ. 51-61, ტაბ. XCII-CVI, რეზ. გერმ. ენ.

ჭაბაშვილი ლ. „თეთრი ქვების“ გორასამარხი № 4. – ძიებანი. № 13-14, გვ. 62-67, 2 ტაბ., რეზ. გერმ. ენ.

ჭაბაშვილი თ. მუხათვერდის სამაროვნის ერთი სამარხის დათარიღებისათვის. – ძიებანი. № 13-14, გვ. 83-90, 4 ტაბ., რეზ. ინგლ. ენ.

ჭელიძე ლ. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითისა და ადრებრინჯაოს პერიოდების ქვის ინვენტარს შორის მემკვიდრეობითის საკითხი. – ძიებანი. № 13-14, გვ. 11-15, 2 ტაბ., რეზ. ინგლ. ენ.

ჯაფარანია ი., ჯორბენაძე ხ., ჭყონია ა. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2003 წელს. – ძიებანი. № 13-14, გვ. 170-179.

ჯაფარიძე ვ. ვ., კობალიანი ჯ., ბოლქვაძე გ., ნიორაძე მ. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია. – საკმ 1989-1992, გვ. 112-118, ტაბ. CLXXXVIII-CXCVI, რეზ. გერმ. ენ.

ჯაფარიძე ვ., ჭელიძე ზ., კვირიკაძე მ., წერეთლი მ. საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების არქეომაგნიტური გამოკვლევის შედეგები. – ძიებანი. დამატებანი. XII, გვ. 122-131, 1 ცხრილი, 2 სურ., რეზ. ინგლ. ენ.

ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., ხვისტანი რ. შუა და გვიანდინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენა გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში. – ძიებანი. № 13-14, გვ. 74-82, 4 ტაბ., რეზ. ინგლ. ენ.

Ахвледiani დ. Взаимоотношения Колхиды и Синопы в VI-III вв. до н.э. – Кавказоведение, № 5. Москва, 2004, с. 91-97, 1 рис., 2 табл., рез. на англ. яз.

Багатуриა Э. О раннем этапе функционирования «Великого шелкового пути» вдоль Кодори. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 29.

Бердзенишвили И. Себастополис-Цхум – церковный центр. Археологические данные. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 37.

Гамбашиძე Г. Три лапидарные надписи Епископа Георгия (Х в.) из христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия). – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 47-48, 4 სურ.

Гвинчидзе Г. К сведениям Плиния Старшего и Стефана Византийского о местоположении города Айа. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 52.

Гогочури Г. Бронзовые предметы из Кодисцкаро. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 56-57, 1 ტაბ.

Джапаридзе В. Вопросы генезиса городов античной Грузии. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 61-63.

Джибладзе Л. Ареал протоколхидских и древнеколхидских культур. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 64.

Дзнеладзе М. Изучение керамических строительных материалов древней Грузии. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 65, 1 ტაბ.

Дундуа Г. Нумизматика Грузии античного периода (общий обзор). – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 66.

Квирквиანი Р. Боржомское ущелье в VIII-VI вв. до н.э. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 73.

Кигурадзе Н. Археология на страницах журнала «Кавказская старина». – კულტურის ისტორიის საკითხები. XX. თბ., 2004, გვ. 68-72.

Кигурадзе Н., Лордкипаниძე Г. Аврелий Ахол – Квазипрозелит?! – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 74-75.

Личели В. Ацкури языческого периода. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 87.

Майсурадзе В. Г., Инанишвили Г. В. Святилище Шилда, культовый памятник из Кахетии (Грузия). – РА. № 4, 2004, с. 38-51, 9 рис., рез. на англ. яз.

Маргвелашвили М. Жинвальская церковь «Джвари патиосани» – «Крест величественный». – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 90-91, 1 სურ.

Миндиашвили Г. Ранний курган у с. Тедоцминда. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 94-95, 1 ტაბ.

Мирцхулава Г. О культуре плодородия в раннеземледельческой культуре. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 96-97.

Нариманишвили Г. Цилиндрические печати из Триалети. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 105-106, 1 ტაბ.

Нариманишвили Г., Амиранашвили Дж. К исторической топографии поселений Квемо Картли. – გავასის არქეოლოგია – 2004, გვ. 107-108.

Ниорадзе М., Ниорадзе Г. Новые находки остатков древнейшего человека из раннепалеолитической стоянки в Дманиси. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 111-113, 1 ტაბ.

Орджоникидзе Ал. Некоторые определяющие элементы культур бронзового века Восточной Грузии. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 114.

Пачикашвили Н. Булавки с Руставских раннесредневековых могильников. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 116-117, 1 ტაბ.

Пицхелаури К. Некоторые вопросы топографии поселений II-I тыс. до н.э. центральной части Южного Кавказа на фоне новых археологических открытий. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 118-119.

Пхакадзе Г. Новый очаг раннеземледельческой культуры в Южной Грузии. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 120-121, 1 ტაბ.

Сулава Н. К датировке и типологии фибул Тлийского могильника. – Кавказоведение, № 5. Москва, 2004, с. 110-114, 1 табл., рез. на англ. яз.

Хвистани Р. С. Тагилони – один из важных пунктов на Северо-Западе Колхиды в античную эпоху. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 131.

Циклаури И. Памятники мегалитной культуры в центре горного Кавказа. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 136.

Цитланадзе Л. Каменный топор из Гергети. – გავასის არქეოლოგია – 2004, გვ. 137, 1 სურ.

Чартолани Ш. Археологические исследования в Сванетии. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 138-139, 1რუპ.

Челидзе Л. Локальные варианты Шулавери-Шомутепинской культуры VI-IV тыс. до н.э. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 140-141, 1 ტაბ.

Чиковани Г. К вопросу распространения одного вида керамического орнамента в Закавказье в раннеземледельческих поселениях. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 142, 1 ტაბ.

Чикойдзе Ц. Проектирование и социальная топография средневековых городов (по археологическим данным г. Рустави). – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 143.

Чихладзе В. Медальоны, обнаруженные на Жинвальском могильнике. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 144-145, 1 ტაბ.

Чхатарашвили М. Раннесредневековые стеклянные украшения из г. Рустави. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 146-147, 1 ტაბ.

Шаншавили Н. К распространению одного типа керамики на Кавказе. – კავკასიის არქეოლოგია. 2004, გვ. 148-149, 1 ტაბ.

Abramishvili M. Between Caucasus and the Aegean, Mountains and Valleys: A Symposium on Highland/Lowland interaction in Bronze Age settlement systems of Eastern Anatolia, Transcaucasia and Northwestern Iran. Van-Turkey. 2004.

Bedianashvili G. Barrows of Namgalamitsa and its Cultural Environment, Mountains and Valleys: A Symposium on Highland/Lowland interaction in Bronze Age settlement systems of Eastern Anatolia, Transcaucasia and Northwestern Iran. Van-Turkey. 2004.

Bolkvadze G. The first Christian Church in Mtskheta – the Lower Church or “Holy of Holies”. – JGA. N 1, p. 203-207, 3 fig., ანთაცია ქართ. ენ.

Buchraschvili P. Die Flagge und die Insignien des Stammführers aus der Bronzezeit. – გავასის არქეოლოგია. 2004, გვ. 43.

Celiberti V., Barsky D., Cauche D., Notter O., Nioradze M., Lordkipanidze D., Gabunia L. K., Lumley de, H., Les industries lithiques archaïques du site de Dmanissi, Géorgie. – Actes du XIV<sup>e</sup> Congrès du I.U.I.S.P.P., Université de Liège, 2-8 septembre 2001. BAR 2004. International series 1272, p. 29-36.

Chelidze L., Gogelia D. Arukhlo I: an Early-Farming Site. – JGA. N 1, p. 46-92, 3 fig., 38 pl., ანთაცია ქართ. ენ.

Dundua G. Hoards of Foreign Coins of the Classical Period from Colchis (4<sup>th</sup> century B.C. – 4<sup>th</sup> century A.D.). – JGA. N 1, p. 160-169, ანთაცია ქართ. ენ.

Gamkrelidze G. On the History of Archaeology in Georgia (part I). – JGA. N 1, p. 208-217, 3 fig., ანთაცია ქართ. ენ.

Justus A., Nioradze M. Die Steinartefakte des Altpaläolithischen Fundplatzes Dmanisi (Georgien, Kaukasus) – ein Überblick. – JGA. N 1, S. 7-38, 18 Abb., ანთაცია ქართ. ენ.

Japaridze V. New Archaeological Data on Shorapani. – JGA. N 1, p. 186-202, 12 pl., ანთაცია ქართ. ენ.

Kacharava D. A Bronze Figurine from Vani. – JGA. N 1, p. 225-227, 4 fig.

Licheli V. A Burial with a Stone Embankment at Atsquri. – JGA. N 1, p. 218-224, 5 pl.

Licheli V., Papuashvili R. Iron Age Colchis and early relations with the Aegean. – An international inter-disciplinary conference on the Black Sea region: Past, Present and Future. Last of abstracts. Istanbul, 2004, p. 109.

Lordkipanidze O. "Hoards" in Cochian Bronze Culture: their Role and Purpose. – JGA. N 1, p. 134-151, 2 fig., ანოტაცია ქართ. ენ.

Maisuradze B., Pirtskhalava M. The so-called Scythian Presence in Georgia. – Ancient Near Eastern Studies. Vol. XLI. 2004, Louvain, p. 192-217, 6 maps, 12 fig.

Makharadze Z. End of the Early Bronze Age in Eastern Georgia (According to the materials of Tsikhiagora site). – JGA. N 1, p. 102-113, 2 fig., 7 pl., ანოტაცია ქართ. ენ.

Narimanishvili G. Ritual Roads at Trialeti Barrows. – JGA. N 1, p. 120-133, 9 pl., ანოტაცია ქართ. ენ.

Narimanishvili G., Shatberashvili V. The Red-Painted Pottery of the Achaemenid und Post-Achaemenid Periods from Caucasus (Iberia): Stylistic Analysis and Chronology. – Ancient Near Eastern Studies. Vol. XLI. 2004, Louvain, p. 120-166, 38 fig.

Nebieridze L. The Chronology of the Sagvarjile Cave Ornaments and Amulets. – JGA. N 1, p. 39-45, 3 pl., ანოტაცია ქართ. ენ.

Orjonikidze A. Hearths and Andirons of the Kura-Araxes Culture (According to Georgian material). – JGA. N 1, p. 93-101, 3 fig., ანოტაცია ქართ. ენ.

Papuashvili R. Collective Burial Pit N 4 of Ergeta II Burial Ground. – JGA. N 1, p. 152-159, 5 pl., ანოტაცია ქართ. ენ.

Ramishvili A. A Threshing Board of the Middle Bronze Age from Georgia. – JGA. N 1, p. 114-119, 2 fig., 1 pl., ანოტაცია ქართ. ენ.

## არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო ბიბლიოთეკა 2004 წელს

ცენტრის სამეცნიერო ბიბლიოთეკა მუშაობას აგრძელებდა რამდენიმე მიმართულებით: სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის შემოსვლის უზრუნველყოფა, სხვადასხვა დაწესებულების ბიბლიოთეკებთან გაცვლითი ურთიერთობების კოორდინაცია, მკითხველთა მომსახურება და ა.შ. 2004 წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა 245 ბეჭდვითი ერთეული, აქედან 136 – შემოწირულობის, 13 – შეკვეთა-გამოწერის, 51 – გაცვლითი ურთიერთობების, დანარჩენი – სხვა წყაროების შედეგად. ამჟამადაც შემოწირულობათა რაოდენობა საგრძნობლად აღემატება სხვა გზებით შემოსულ წიგნების რიცხვს. კიდევ ერთხელ დიდი მაღლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ყველა ის პირი თუ დაწესებულება, რომელსაც აქვს ამასთან უშუალო კავშირი.

2004 წელს ბიბლიოთეკა მოემსახურა 1700-მდე მკითხველს, რომელთა შორის, გარდა ცენტრისა, იყვნენ სხვადასხვა სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულების თანამშრომლები, აგრეთვე, ასპირანტები, სტუდენტები. საგანგებოდ აღსანიშნავია მკითხველთა ახალგაზრდული ნაწილის – ასპირანტთა და სტუდენთთა რიცხვის ზრდა. მკითხველთა მომსახურება ხდებოდა ბიბლიოგრაფიულ-ინფორმაციული სახის წერილობითი და ასევე ზეპირი განმარტებების გაცემით. სასიამოვნო ფაქტია, რომ ცენტრის ბიბლიოთეკა ახალ ფუნქციას – მასობრივ-საჯარო ხასიათს იძენს.

თინათინ კობახიძე

### მილოცვა

ავალიშვილი გ., მაისურაძე ბ. ოთარ ჯაფარიძე 80 წლისაა. არქეოლოგიური კრებული. IV. თბ., 2004, გვ. 14-17.

წლორთქიფანიძე ოთ. ვულოცავთ [ოთარ ჯაფარიძეს]. – არქეოლოგიური კრებული. IV. თბ., 2004, გვ. 13.

Джапаридзе О., Джапаридзе В. Творческий путь академика Андрея Мелитоновича Апакидзе (к 90-летию со дня рождения). – კავკასიის არქეოლოგია – 2004, გვ. 15-16.

ირინე ჯალაღანია,  
ხათუნა ჯორბენაძე  
ანა ჭყონია

**შ მ ა მ თ ბ ლ ე ბ ა თ ა 8 ა 6 მ ა რ ტ ე ბ ა**  
**A B B R E V I A T I O N S**

**აკც** – არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი.

**გაძ** – კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი.

**მსკი** – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი.

**სას** – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.

**სდსბ** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი.

**სიგპ** – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

**სმაბ** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი.

**სსმბ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

**ძიებანი** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახელის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უურნალი. თბილისი.

**ძვ** – ძეგლის მეობარი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. თბილისი.

**ВДИ** – Вестник древней истории. Институт всеобщей истории. Москва.

**ЖМНП** – Журнал министерства народного просвещения. Санкт-Петербург.

**ИАК** – Известия Императорской археологической комиссии. Санкт-Петербург.

**ИАН** – Известия Академии наук СССР. Москва.

**ИГАИМК** – Известия Государственной академии истории материальной культуры. Москва–Ленинград.

**КСИА** – Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института археологии. Москва.

**КСИИМК** – Краткие сообщения Института истории материальной культуры. Москва.

**МАР** – Материалы по археологии России. Санкт-Петербург.

**МИА** – Материалы и исследования по археологии СССР. Москва.

**НЭ** – Нумизматика и эпиграфика. Москва.

**ПАИ** – Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси.

**РА** – Российская археология. Институт археологии. Москва.

**СА** – Советская археология. Институт археологии. Москва.

**САИ** – Свод археологических источников. Археология СССР. Москва.

**САНГ** – Сообщения АН Грузии.

**СГЭ** – Сообщения Государственного Эрмитажа. Санкт-Петербург (Ленинград).

**СМОМПК** – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Санкт-Петербург.

**ТКАЭ** – Труды Кахетской археологической экспедиции. Центр археологических исследований. Тбилиси.

**Труды САНГУ** – Труды Среднеазиатского государственного университета. Ташкент.

**ХС** – Херсонесский сборник. Ленинград.

**AJA** – American Journal of Archaeology. The Journal of the Archaeological Institute of America.

**AS** – Anatolian Studies. The Journal of the British Institute of Archaeology at Ankara.

**CIG** – Corpus inscriptorum Greacarum.

**IGR** – Inscriptiones Graeca ad res Romanas pertinentes.

**JRGZM** – Jahrbuch des Römisch-Germanischen Zentralmuseums Mainz

**JHS** – Journal of Hellenic Studies.

**RA** – Revue Archéologique.

**RE** – Pauly-Wissowa, Real-Encyclopädie der klassischen Altertumswissenschaft (1893–).

**ZE** – Zeitschrift für Ethnologie. Berlin